114
1960

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

## 2

თებერვალი

1960

# მ ნ ა თ ო ბ ი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 37-ე | № 2 | თებერვალი 1960 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო


## შ ი ნ ა ა რ ს ი


გვ.

ირაკლი აბაშიძე — ხვამლს, ჩემს ოცნებას, ხვამლს. ლექსი . . . 3
ოტია იოსელიანი — მენავე, მოთხრობა . . . 4
მაყვალა მრევლიშვილი — ლექსები . . . 8
თამაზ ჭილაძე — ლექსები . . . 10
რევაზ ჯაფარიძე — ჯარისკაცის ქვრივი, რომანი. წიგნი მეორე. გაგრძელება . . . 12
გაბრიელ ჯაბუშანური — ლექსები . . . 51
ლადო სულაბერიძე — ლექსები . . . 53
ვახტანგ გორგანელი — ლექსები . . . 54
პეტრო პანჩი — გზაში, მოთხრობა. თარგმანი უკრაინულიდან. გიორგი ნამორაძისა . . . 55
ოსკარ უაილდი — მებადური და მისი სული, მოთხრობა. თარგმანი ინგლისურიდან ზვიად გამსახურდიასი . . . 59
ფედერიკო გარსია ლორკა — ლექსები. თარგმანი ნანა ხატისკაცისა . . . 82
იური ნაგიბინი — ზამთრის მუხა, მოთხრობა. თარგმანი მარიამ აგიაშვილისა . . . 84
ოთარ ჭელიძე — ქალაქის მზგავსი ადამიანი პოემა. დასასრული . . . 91


### კრიტიკა და პუბლიცისტიკა


ვლადიმერ ჯიბუტი — ცხოვრების მხარდამხარ . . . 97
ნოდარ ჭოლოკავა — ტიპიური გარემო მხატვრულ ლიტერატურაში . . . 105
გიორგი წაღირაძე — სენსორული ესთეტიკის საკითხი . . . 112
ნოდარ კაკაბაძე — „ჰამლეტი ანუ გრძელი ღამე თავის დასასრულს უახლოვდება" . . . 117
ხ. შარიქაძე — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის დიდი პროგრამა . . . 120
ვ. ლობჟანიძე — ქართული საბჭოთა ლიტერატურა დიდ სამამულო ომში . . . 126


იხ. მეორე გვერდზე


გამომცემლობა
«საბჭოთა საქართველო»

## ლიტერატურული მემკვიდრეობა


შალვა რადიანი — გიორგი წერეთლის ლიტერატურული შეხედულებანი . . . . . 130
გ. მეგრელიშვილი — ანტონ ფურცელაძის სოციალ-პოლიტიკური მსოფლმხედველობა . 135
ივანე ლოლაშვილი — ჰომეროსი, შავთელი, რუსთაველი . . . . . 143


ეროვნული ბიბლიოთეკა

## საუბრები ენის საკითხებზე


შოთა ძიძიგური — ქართულის მონათესავე ენები მსოფლიოში . . . . . . . . 150


## ჩვენი მეცნიერები


ნიკოლოზ ძიძიშვილი — ქართული ფიზიოლოგიის დედაბოძი . . . . . . . . 157


## მეცნიერება


გ. პაპალაშვილი — სიცოცხლე სამყაროში თანამედროვე მეცნიერულ გამოკვლევათა შუქზე 164


## ხელოვნების საკითხები


ევგენი ლუნდბერგი — კოტე მარჯანიშვილის შემოქმედებითი გზა და მემკვიდრეობა გაგრძელება . . . . . . . . . . . . . . . . . . 173


## წიგნების მიმოხილვა


ლავროსი კალანდაძე — დიდი პოეტის პატარა კრებული . . . . . . . . 181
გრიგოლ მაჭავარიანი — ნ. მიწიშვილის „რჩეული" . . . . . . . . 184
მიხ. ქვლივიძე — იპ. ვართაგავას „კრიტიკული წერილების" შესახებ . . . . . . 185
ჯემალ შარაშიძე — გ. ნატროშვილის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების კრებული . . . . . . . . . . . . . . . . . . 188
თ. გორელიშვილი — სადრიდინ აინის „მოგონებების" მესამე წიგნი . . . . . . . 191
ახალი წიგნები . . . . . . . . . . . . . . . . . გარეკანის მესამე გვ.


---


რედაქტორი ს. ჩიქოვანი

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი), გ. მარგველაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42, 2-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/II-60 წ. ქაღალდის ზომა 70×108. ანაწყობის ზომა $7\frac{1}{4}\times12\frac{1}{2}$. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16. უე 00560. ტირაჟი 6000. შეკვეთა № 66.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი აბაშიძე

★

# ხვამლს, ჩემს ოცნებას, ხვამლს!

გზებზე

შემოუვლელი
მე დამრჩა
მთვარე...
თითქოს გავეცან ამ დედამიწას;
ამსტერდამიდან მივწვდი ამრიცარს —
(ფენჯაბი — ხუთი მდინარის მხარე.)
ძველ აბადანთან ხვატი მალხობდა,
ინდთან დეკემბრის მწვავდა ქარაჩი,
ვიდექ მახლობლად ამხმარ ლახორთან,
ვიდექ აქბარის გამქრალ ქალაქში.
თითქოს მეძახდა, თითქოს მელოდა
ჩან-შას,
რადომის,
გენტის ქუჩები;
ცას მოარღვევდნენ ჩემკენ ქვემოდან
ჰიმალაები ჰინდუკუშები.
ზღაპრულ ელადას ჩემკენ უძღოდა
ქედები ძველთა ღმერთთა იერით...
მძინარ ჰუძონთან
მძვინვარ ჰუძონთან
ცაში მტყორცნიდა ემპაიერი.
თითქოს ეს გულიც
გულიც ელოდა
გზებს უსასრულოს, გზებს ადამის წლის;
გავიგე ფასი, მიმზიდველობა,
გავიგე სიტკბო ამ დედამიწის.
მაგრამ შენს აჩრდილს,
ხვამლო მაღალო
მე ვერ გავექეც, მთაო ცხრა-მთაო,
ჩემო ზეიმო, ჩემო ნაღველო,
ჩემო სათავე და შესართავო:
ყველგან შენ სდევდი
ჩემს მწველ შარაგზებს,
მთა ჩემის სიზმრის, ჩემის ნირვანის...
ო, ხვამლო, ხვამლო
მე შენს ქარაფზე
ვარ მიჯაჭვული ძე ამირანის.

1960. I.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთია იოსელიანი

★

# მენავე

ნანა ყოველთვის ფიქრობდა ზღვაზე, ახლა ზღვასთანაა და ზაფხულს ამ ზღვისპირა სოფელში გაატარებს. ქალაქი, ძველი თბილისის ქუჩა, დერეფანივით ეზო, ვიწრო ბინა, გამოცდები. ფანჯარა ქუჩისაკენ, მეზობლის ზოლიანი ლეიბი.. ლურჯი საცვალი და... უცებ სოფელი... სოფელი მაღლობზე. ზევიდან უცქერის ციტრუსების ბაღებს, ბამბუკის ტყეებს, ჩაის გრძელ პლანტაციებს და ზღვას.

ზღვა საშიშია.

ნანას ყოველთვის ეშინოდა ზღვის.

ზღვა უძიროა.

საშიშია ზღვა.

მდინარის წყალი ღიაა, ანკარა. ყველგან ჩანს ფსკერი, ხასხასა კენჭები. მდინარის პირას ტირიფებია და ნაპირებზე გაძენძილი ფესვები აქვს ჩაშვებული. მდინარის ზოგიერთ ვიწრო კალაპოტს შეიძლება გადაახტე კიდეც.

ზღვა საშიშია.

ზღვას მომწვანო-მოლურჯო ფერი აქვს და უსაშველოდ ღრმაა. არსად კიდეგანი არ უჩანს. ზღვა უსასრულობაა.

მდინარეში რომ ჩახტე, ტალღები ნაპირებს შეეხლება, მოიმატებს წყალი. მდინარეში რომ მოზრდილა ბელტი ჩააგდო, აიმღვრევა. ადამიანი ზღვისთვის არაფერს არ წარმოადგენს, არც მთელი ხომალდი, არც ეს უზარმაზარი მთა.

ზღვას შეუძლია დაფაროს სოფლები, თვალუწვდენი ხეებით და ეკლესიის გუმბათებით, შეუძლია ერთი მოსმით ჩანთქას ქალაქი და... ერთი სიტყვით, ზღვას შეუძლია მთლიანად დააქციოს ქვეყანა.

ნანას ყოველთვის ეშინოდა ზღვის.

ეშინოდა ზღვის და ზღვა ყოველთვის იზიდავდა ნანას.

ზღვა მშფოთვარეა, ბორგავს, ბობოქრობს, მოუსვენარია. თეთრ ტალღებს იქოჩრავს, მრისხანეა, ზღვაზე ქარიშხალი იცის... თეთრი თოლიებია ზღვაზე.

ნანა მშიშარა გოგონა არაა. სიკვდილსაც... საერთოდ, სიკვდილით არ უნდა იზომებოდეს შიში. ნანას არ ეშინია ტყეში. ის მთელ ტყეს მარტო დაივლის, ღამე მიკიოტის ძახილისაც არ ეშინია. ნანა არაა მშიშარა გოგონა. ნანას არც ზღვის თევზები აფრთხობს, არც კიბოები. ნანას არც ზვიგენებზე უფიქრია, არც ზღვის ლომებზე. ნანას ყოველთვის ეშინოდა ზღვის.

ზღვა უძიროა. ზღვას კიდეგანი არა აქვს, ზღვა უსასრულობაა.

ნანა პირველადაა ზღვასთან.

სოფელი მაღლობზეა. კარგად ჩანს, როგორ ლაპლაპებენ მზეზე ტალღები, როგორ ადიან ღრუბლები ზღვიდან და საღამოს როგორ იძირება გავარვარებული მზე ამ უძირო უსასრულობაში.

აქედან კარგად ჩანან თეთრი თოლიები. მუქი ზღვა და თეთრი, თეთრი თოლიები.

მწვანე ფერდობით ჩადის სოფელი ზღვამდე. იქ ვიწრო ნაპირია, განუწყვეტლივ შრიალებს ზღვა. ეს სოფელი სააგარაკო სოფელი არაა. აქაურებს არ აკვირვებთ ზღვა. არც არავის სცალია ზღვისთვის. სოფელია, ათასი საქმეა. დილით ბრიგადირი ჩამოივლის. გამყინავი ხმა აქვს ბრიგადირს. საქმეა ყანაში, საქმეა ბაღში, საქმეა პლანტაციაში.

ამ მთის გადაღმა დაბლობია, მერე ისევ მთა, მთის იქით, ვინ იცის...

ნანა დილიდანვე გამოდის ზღვასთან, დგას და უცქერის, ზის და უცქერის. ზღვიდან ყოველთვის უბერავს გრილი

სიო, ზღვიდან ყოველთვის უბერავს სიცოცხლე.

ამოდენა ზღვა, აქედან ხელის გულივითაა.

დილით ზღვა წყნარია. მშვიდად მოაგორებს ტალღებს. მოაწყდება ტალღა ნაპირს, შეიმართება, აიწევა ყალყზე და დაენარცხება ქვიშას. ერთს მეორე მოსდევს, მეორეს — მესამე, ზღვა ყოველთვის შრიალებს. ტალღები არასოდეს არ დაიღლება. ზღვამ არ იცის დასვენება.

მზე კიდევ არ არის ამოსული, საცაა ამოვა.

ნანა დგას და ხედავს. ზღვაზე არავინაა, მაგრამ...

იმ მთას ზღვა უვლის. იმ მთამდე კარგად ჩანს ნაპირი, მეორე მთის იქით ვინ იცის...

ა, საცაა მზეც ამოვა და მთის იქიდან ზღვაზე ნავი გამოდის.

მზე?..

მზე ამოვიდა.

ნავი სწრაფად მოდის. ნაპირის გასწვრივ, უფრო ზღვისაკენ.

სწრაფად მოდის. ნიჩბები არ ჩანს, ძლივს გაარჩევ მხოლოდ მენავეს. ნავი სწრაფად მოსრიალებს და შეუმჩნევლად იზრდება. მენავე, ეტყობა, მარდად უსვამს ნიჩბებს.

მზის სხივებში ლაპლაპებს ზღვა. თითქოს იცინის კიდეც, მაგრამ მაინც საშიშია იგი.

ნავი სწრაფად მოდის. კვეთს ტალღებს. კვალს ტოვებს ნახმლევივით. მენავე უკვე ჩანს, ძლივს გაარჩევ ნიჩბებს.

მენავე იხრება წინ, ნიჩბებს უკან გადმოისვრის, მერე ერთბაშად გადაიწევა ზურგისაკენ.

მისრიალებს ნავი.

მენავე მარდად უსვამს ნიჩბებს. მენავეს, ეტყობა, მაგარი კუნთები აქვს.

ნავი ნაპირის გასწვრივ მიდის, ირიბად, ოდნავ ზღვისაკენ. იგი შეუმჩნევლად იზრდება.

უკვე კარგად ჩანს. მას გახუნებული მაისური აცვია. ნავი სულ არ ტორტმანებს, მისრიალებს მოწყვეტით, მისრიალებს როგორც გასროლილი.

მენავე არ იხედება უკან, არც აქეთ, ნაპირისაკენ, არც იქით, თვალუწვდენ ზღვისაკენ. გადმოისვრის ნიჩბებს ზურგისკენ, გაჭიმავს მკლავებს წინ, წაიხრება მთელი ტანით და მერე ერთბაშად მოუსვამს. იგი არსად არ იხედება, კარგად იცის, საით მიდის.

და არ ეშინია ზღვის.

...მენავე უცებ აჩერებს ნიჩბებს. ნავი შეტორტმანდება, კიჩო შეხტება მაღლა და მოწყვეტით ანელებს სვლას.

ნავი ნელა მიდის. მენავე წამოიმართება, დაიხრება, იღებს რაღაცას, შლის...

ბადე?

მენავე შლის ბადეს, უშვებს წყალში. ნავი ნელა მიდის წინ, ცვივა ბადე წყალში, ნავი ირწევა, ტორტმანებს. მენავე განაგრძობს საქმეს. სულ არ ეშინია.

ერთ ადგილას გაიკვანძა რაღაც. ერთგან დაიბურდა ბადე. მენავე უკან ეზიდება წყალში ჩაშვებულ ბადეს, უკვირდება, უნდა გაშალოს, ჩაკირკიტებს, ჩაკირკიტებს და უშვებს წყალში.

აი, თითქმის სულ ჩაუშვა, რომ ისევ გაიკვანძა ბადე. ჩაკირკიტებს, ჩასჩერებია, შლის, არ დაადგა საშველი, ჯდება იქვე ნავის კიდეზე. ნავი გადმოიფერდა, ნავი გადმოიკოჩა. ხომ შეიძლება გადმობრუნდეს?

რა ეშველება?

მაგრამ არა, მენავეს სულ არ აშინებს ნავის გადაბრუნება. არც ფიქრობს ამაზე, არც ტალღები, არც ზღვის სიღრმე, არც სიფართოვე აშინებს.

ჩაუშვა ბადე.

იხდის შარვალს, გახუნებულ ნაქსოვ მაისურს, დგება ხარიხაზე და მოწყვეტით ვარდება წყალში.

მოგორავენ ტალღები. ირხევა ნავი, გადაიქროლეს თოლიებმა. მეთევზე არა ჩანს.

ხომ არ ჩაითრია ზღვამ?

არა, ზღვა ვერ ჩაითრევს მენავეს, ზღვა ვერ მოერევა მეთევზეს. იგი თმას ისწორებს ორივე ხელით და ისე მიდის

ნავისაკენ, ხელს არც ხმარობს, ზღვას არაფრად არ აგდებს მენავე.

მიდის ნავისაკენ. ცალი ხელის თითებით თმას ივარცხნის, მეორით იტკეპნის, ისწორებს. ეტყობა, ჯიუტი ქოჩორი აქვს. მიდის ნავისაკენ, ხელგაუნძრევლად, თავშეუწუხებლად. მგონი თვითონ მიჰყავს ზღვას მეთევზე ნავთან თუ ნავი მოჰყავს მეთევზესთან.

ზღვას თითქოს ეშინია კიდეც მენავის. მგონი ცალი ხელით ეპიდება ნავს. ნავი გადმოიფერდა, გადმოიფერდა და... ხომ შეიძლება, თავზე წამოემხოს ნავი?

„ჰოპ" და მეთევზე ნავშია.

ზღვამ თუ უბიძგა, თვითონ ზღვა თუ დაეხმარა, ზღვამ თუ...

ზღვას ნამდვილად ეშინია მენავის.

ისევ თმას იტკეპნის მენავე, მძიმედ იღებს ნიჩბებს, უსვამს მოზომილად, მწყობრად, ზუსტად, ძლიერი კუნთები აქვს მენავეს.

... და მიდის ნავი შორს, შორს, უფსკერო, უკიდეგანო ზღვისაკენ.

მიდის, მიდის და პატარავდება. ჯერ ნიჩბები გაქრება, მერე მენავე. მერე ყველაფერი ერთ წერტილად გადაიქცევა და ნანა არ აშორებს თვალს ტალღებში მოცურავე შავ წერტილს. მერე ტალღა მოეფარება, ისევ გამოჩნდება, მოეფარება, გამოჩნდება და ბოლოს ერთი რომელიღაც ტალღა მთლიანად ჩანთქავს, ჩანთქავს და ამის შემდეგ აღარ ჩანს მენავე.

და ნანას მთელი დღე არ ასვენებს ფიქრი.

არა, მართლა ხომ არაფერი შეემთხვეოდა მენავეს?

რატომ წავიდა ისე შორს?

ვითომ მშვიდობით დაბრუნდება მენავე?

ვაი თუ?..

ფიქრობს, ფიქრობს, უყურებს, უყურებს, არ ჩანს მენავე.

საღამოს ნანა ეკითხება ყველას, ნათესავ დიასახლისს, მის ორ უფროს ქალიშვილს, მეზობლის გოგონებს.

დიასახლისი მოკლედ ჭრის:

— არ დაიკარგება, ზღვის ეშმაკია!

ქალიშვილები იცინიან.

მეზობლის გოგონებს უკვირთ. და უყვებიან:

იგი საუკეთესო მეთევზეა მთელს კოლექტივში. ძალიან ღონიერი ბიჭია. ის ძლიერ ღელვაშიც შედის ზღვაში და ის კი არა, იმ მენავეს შეუძლია წყალზეც დაიძინოს, მაგრამ... ესაა, რომ შეუხედავი ბიჭია.

... და ნანა მთელი ღამე ფიქრობს: მენავე უსათუოდ კარგი მეთევზეა, ძლიერი მკლავები აქვს, მას არც დიდ ღელვაში შეეშინდება ზღვის, მაგრამ ნუთუ ისე შეუხედავია მეთევზე?

დილით ისევ ზღვასთანაა ნანა.

ჩარბის უფრო ქვევით ზღვისაკენ, საშიშია ზღვა.

ზღვა ისევ მოაგორებს ტალღებს. ზღვამ არ იცის დასვენება. ზღვა ყოველთვის შრიალებს.

მზე კიდევ არაა ამოსული. საცაა ამოვა და მთის იქით, ზღვაზე ნავი გამოდის.

მზე ამოვიდა.

ნავი სწრაფად მოდის. მოდის ნაპირის გასწვრივ, უფრო ზღვისაკენ. იგი სწრაფად მოსრიალებს, კვეთს ტალღებს. ნავი წყალზე გრძელ ხაზს ტოვებს ნახშლევივით. ლაპლაპებს, თითქოს იცინის, მაგრამ მაინც საშიშია ზღვა.

მენავეს ფეხებზეც არა ჰკიდია ზღვა.

შლის ბადეს, შლის, უშვებს წყალში. ბადეს ტყვიები აქვს აცმული ქვევით და მაშინვე იძირება.

მერე ყირამალა ეშვება წყალში. ამოდის. თავს თითებით ივარცხნის და თვითონ ზღვა ვალდებულია მიიყვანოს ნავთან, ან მიუყვანოს ნავი...

ნუთუ ისე შეუხედავია ის ბიჭი?

მერე ნავი მიდის. მიდის შორს, იკარგება ტალღებში.

ყოველ დილით გამოდის მენავე ზღვაზე. მეთევზეს დაცდილი აქ, სად უნდა გაშალოს ბადე.

ნანა ჩადის ფერდობზე, დაბლა, სულ დაბლა, ზღვასთან. ერთი მოზრდილა ტალღა ფეხებამდეც კი მისწვდა. ნანა შეხტა.

საშიშია ზღვა.

მენავე კი შლიდა ბადეს და აინუნშიაც არ აგდებდა ზღვას.

არა, მართლაც ასე შეუხედავია მენავე?

ნანას ორივე ფეხზე შემოასკდა ტალღა.

მენავე მალე მორჩება ბადის ჩაშვებას. მერე წყალში გადაეშვება, კისრით. თმებს დაივარცხნის თითებით, დაჯდება ნავზე და მშვიდობით.

ნანა კი, ხვალ დილით, თბილისში იქნება.

იქნება არც ისე ულამაზოა მენავე?

ნანას მუხლებს ულოკავს ზღვა.

მენავეს არც დიდ ღელვაში ეშინია ზღვის. ზღვას დიდ ღელვაშიაც ეშინია მენავის. მძინარე მენავისაც ეშინია ზღვას.

მენავე არ შეიძლება შეუხედავი იყოს.

ნანა ჩაიკეცა.

ნანა...

ნანა არ ჩაძირულა. ტალღებმა აიტაცეს ნანა. ნანა იქნევს ხელებს, ფეხებს და არ ძირავს ზღვა. მენავემ გამოუგზავნა ტალღები ნანას და მიჰყავს მასთან. ტალღები ხომ მენავის ხელთაა და ერთი გაბედოს ტალღებმა ნანას ჩაძირვა. აი, ეგერაა მენავე. მგონი აქეთაც იხედება იმ წამსვე გადმოეგებება და...

მენავე ზღვის მბრძანებელია.

მენავე არ შეიძლება ლამაზი არ იყოს.

და მიჰყავს ტალღებს ნანა მენავესთან.

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მაყვალა მრევლიშვილი

★

# ამორძალები

ბრძოლაც, ალერსიც ჯიქურ გვიყვარდა,
ძველი კოლხეთის ვართ რაინდები.
მარჯვენა ძუძუ გადაგვიგვარდა,
შვილდისგან ძალა გვადგა იმდენი.
იყო მარულა ჩვენი ღრეობა.
გამოქვაბული — თავშესაფარი
კლდეებს შადრევნად შეეფრქვეოდა
ქალის თმები და რაშის ფაფარი,
დაირხეოდა კაი ქალობად
ნადირს ცხენდაცხენ ვინცა ტყორცნიდა
გვესხდნენ ასულნი შთამომავლობად
ჯიქის ტყავებზე ჯიხვის ხორცითა.
არ ღირსებია ადამის ძისგან
არვის — ჩვენგანი მონად დაებას.
ჰიმნით მზისდამი ვხვდებოდით ცისკარს,
ცივი კივილით — შემოღამებას.
ქმარს სანაშენოდ ერთს ვიკადრებდით,
და სიძვის ძლაბებს თვალმოხატულებს
საძრახ საქმეზე თუ მივასწრებდით,
ვტოვებდით კისერგამოლადრულებს.
გვესხა სიფიცხე დედაკაცური,
შეგვატყდებოდა სატაცურივით
ჩვენსკენ სალიზღოდ წრეგადასული
მხდალი ცვედნები და კაცუნები.
ხოლო ვაჟკაცი სენშეპყრობილი
გზაზე თუ იყო გადაქცეული,
თავს ევლებოდა დედობილივით
ამორძალების ათასეული.
უმკურნალებდნენ ნაზი გულებით.
მიაცილებდნენ სამშვიდობომდე.
რაწამს ჯანსაღად დაიგულებდნენ.
კვლავ დასცხებდნენ და, მაინც
ომობდნენ.
მოწეულ ხორბლის ფერად ელავდა
მთებში ჯანსაღი რაზმის თარეში...
მერე
გვბაძავდა ძველი ელადა
სიმკვირცხლესა და სისადავეში.
მამაკაცთ მოდგმას ვცელავდით უბრად
მარადის მტრები ვყავდით საშიშნი.
წესად მოგვდევდა:
გაჩენის უმალ
ჩვენივე ხელით ვსპობდით ვაჟიშვილთ.
რატომ? ალი თუ გულს შეეპარა
დანაკვერჩხლდება ღველფით ათასად.
რატომ? სიყვარულს კერის, შვილების
გადაეგები ზედ ფიანდაზად...

ერთხელაც მოხდა:

ყრმას მივაგენით,
რისხვით ავზიდეთ უფსკრულთა ზედა...
გულზე მოგვეკრო ჩვილის ბაგენი
შემოგვფოფინა უმწეო „დე-და!“
ზღვა სიყვარული დაუხარჯველი
ვაჟისწილ ჩვენში რაც კი ეგუბა
მოსკდა!.. ამართა ყველამ მარჯვენა
უცხო ბიჭუნა არ დაგვეღუპა...

გაუხედნავნი, ქედმოუხრელნი
გავხდით მონები საკუთარ ძეთა
ქედზე იმდენჯერ გატკბა უღელ.,
რამდენმა ბალღმაც შეგვძახა: დედა,
არა თქვა, მოდგმა ჩვენი დაკნინდა
ჩვენი ხსენებაც გადაივიწყე.
უმანკოებას ქალთა აკვნიდან
ჩვენი უბიწო მოსდევს სიფიცხე.

ღაზლის მორგვივით დრომ დაგვარღვია,
კი არ მოგვტეხა მკლავმოქანცულ.ნი.
ნატიფ მაჯასთან ჩვენი ძარღვია
ცეცხლს რომ შეგაფრქვევს ვინმე
ქალწული.

დაითითოვეს ჩვენი ისრები.
იტყვი, — ასეთი რა წამეკიდა! —
ჩუმად შიგ გულში დაგიმიზნებენ
ჩამოფოცხილი წამწამებიდან.
არ დაგვიზოგავს საშვილიშვილოდ
არც მოკრძალება, არც მოძალება —
დასჭირდეს? სუსტიც უცბად
იშიშვლებს
და გაიელვებს ამორძალებად!

# ჩრდილი

გარეთ ვარ, ოთახში კი არა,
ჩეროში ვხელსაქმობ დილიდან.
ჩერომ კი —
იარა, იარა,
გზისპირა მესერთან მივიდა.
გადაღმით გადაწვა შარაზე,
მე ეზოს მზიგულზე დამტოვა,
რას უზამ, ჩაკეტე, ჩარაზე!
ჩრდილებზე ფუჭია დანდობა.
მივდიე, ვიჩოჩე ნელნელა,
ვავყურებ მესერის გადაღმა;
დახე, სად გამისხლტა მზეწნულია,
აბა ზედ მეც ხომ არ გადავალ.
ხელსაქმეს დღეს რაღას მოვრჩები,
ეს ხვატიც აღარა თავდება.
ხე ეზოს მიმშვენებს მორჩილად,
ჩრდილი კი ჰყოლია თავნება..
მგზავრები ზედ ფეხით დადიან,
ან მე რა მტკენია, ანდა მას.
გათელონ, ახალი დარდია!
ჯანდაბას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თამაზ ჭილაძე

★

### ჭადრები

პეტრიაშვილის აღმართის ჭადრებს,
პეტრიაშვილის აღმართის ჭადრებს
მე ვუძღვნი ამ ლექსს.

მე ვუძღვნი ამ ლექსს ჩემს პირველ ხეებს,
ბავშვობის ფიქრებს და თეთრ სიმაღლეს,
დაძაბულ დუმილს,
უსაზღვრო ხმაურს
და ფოთოლცვენას
მე ვუძღვნი ამ ლექსს.

ქაფენილებზე და მანქანებზე
ეფინა მათი ცახცახა ჩრდილი,
და ღვინის ქარხნის მაღალ ვაზებზე
ეფინა მათი ცახცახა ჩრდილი.

მძლავრი ტოტებით, მაღალ აფრებით
და ყვავილობის თეთრი ბურუსით
ათრობდნენ ქალაქს და განთიადზე
მიბარბაცებდნენ ცაში ქუჩები.

და ჩემს გარშემო, როგორც სიზმრები,
აუმღვრეველი, თეთრი სიზმრები
იდგნენ ჭადრები და შეუმჩნევლად
მღეროდნენ ქარში და შრიალებდნენ.

მე ყურს ვუგდებდი... ნუთუ მესმოდა,
ნუთუ ვხვდებოდი რას ჩურჩულებდნენ...
ჩემს პირველ ხეებს,
ჩემს პირველ ხეებს
და ფოთოლცვენას
მე ვუძღვნი ამ ლექსს..

### ზამთრის მზიანი დღე

ჯაჭვის რგოლებით ყელგაგუდული
ზღვა გაწოლილა ქვებზე და შფოთავს,
აფრების ჩრდილი, როგორც ურდული,
ადევს ფიქრსა და მოწყენილ ოთახს.

და მძიმედ სუნთქავს ზღვა გადაშლილი,
ფანჯრის რაფაზე თვლემს-ჭრელი კატა,
და თეთრ კედელზე ბიჭი ნახშირით
ცერებზე შემდგარ გოგონას ხატავს.

პირველი ტრფობა, პირველი იჭვი
ამ ქვის კედელზე სურს რომ დატიოს,
რას ფიქრობს ნეტავ პატარა ბიჭი
გადაცრეცილი, ვით ბურატინო.

გოგონა უმზერს ზღვას და თოლიებს,
თითქო უღიმის უცნაურ ამინდს
და გრძნობს — ზღვა მალე გაიყოლიებს
მის სასაცილო მიჯნურს და რაინდს.

ასე შემკრთალი, ფეხის წვერებზე
შემდგარი გოგო — ფიქრში გართული
ჩნდება ქალაქის სოველ კედლებზე
ბავშვის გულიდან გადახატული.

და მძიმედ სუნთქავს ზღვა გადაშლილი,
ისიც პირველად ხედავდეს იქნებ
ასე უბრალოდ — ქვით და ნახშირით
შექმნილ იმედებს, რწმენას და ფიქრებს.

### იპოდრომი

შენი ფიქრების მაღალ ბალახში
ჭიხვინებს თეთრი ცხენების რემა,
ტკაცუნობს სიცხე ყვითელ ბალახში
და მზე მოისმის, ვით გულისცემა.

მკვეთრი და ბასრი, როგორც ლურსმანი,
დროშების ჩრდილში ქარი შიშინებს,
ვით იპოდრომის იარუსები,
სავსე ხარ თრთოლვით, მზით და
ყიჟინით.

თითქო ვიღაცის გესმის ძახილი
და თმებს გიწეწავს ქროლვა მარულის,
სტუმრებით სავსე ნათელ სახლივით
ხარ დამაბული და მხიარული.

თითქო ვერ მხედავ... და შიშველ
მხრებზე
აწყნარებ სიცხეს, აწყნარებ ჩვენს
და შენი ჩრდილი თბილისის მთებზე
თვალებახვეულ ცხენივით მირბის...

## ყრმობის წვიმები

ვხევ ძველ რვეულებს და უჯრებს
ვკეტავ,
თითქო ყველაფერს ვიწყებ თავიდან,
როდის ვიყავით ბავშვები ნეტავ,
სად გაქრა ის დღე, სად გადავიდა.

სპილენძის ძველი, მძიმე ფულები,
შუშის ნამტვრევი, წიქარას რქები...
გუგუნებს ქარი და მავთულები
ცაში ცეკვავენ ჩრდილების ქნევით.

გუგუნებს ქარი და გუბეები
მთვარეს პურივით ინაწილებენ,
ისევ ხმამაღლა, დაუბერებლად
მღერიან ჩემი ყრმობის წვიმები.

და როგორც ატმებს გაზაფხულისას,
თავბრუდამხვევი ასდით სურნელი,
პირველი გზები,
პირველი მთები,
პირველი ტრფობა განუკურნელი.

ვინ შემატოვა ამ მოგონებებს;
ამ მოშრიალე ლამაზ ხეივნებს
და წვიმებს, როგორც მაღალ გოგონებს,
ქარი ქუჩებში დაასეირნებს.

ხან აფრებივით მკერდდაბერილნი,
ხან ცრემლებივით პაწაწინები
ისევ ხმამაღლა, დაუბერებლად
მღერიან ჩემი ყრმობის წვიმები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

★

# ჭარისკაცის ქვრივი*

რომანი

## წიგნი მეორე

გვანცა ღიღინებდა, თან მოკლეტარიანი ჩეკიით აფხვიერებდა ახლადვადაბარულ კვალს.

— ბეჰ! — დაიძახა ზურიამ.

გვანცა შეკრთა. წამოუწევლად მოიხედა უკან და მაშინვე ღიმილმა გაუნათა სახე.

— რა ჩუმჩუმა ხარ, რომ იცოდე! — თითი დაუქნია ზურიამ და თვითონაც გაუღიმა, — რას მღეროდი?

გვანცა გაწითლდა. შუბლზე ჩამოყრილი თმა ხელის ზურგით უკან გადაიყარა.

— შეყვარებული ხარ? — აღარ მოეშვა ზურია.

— სუ, ბიჭო, არავინ გაიგონოს! — კიდევ უფრო გაწითლდა გვანცა.

— აბა რად მღეროდი სიყვარულის სიმღერას?

— ყველა სიმღერა სიყვარულზეა.

— ყველა?

— ყველა კარგი სიმღერა, — შეასწორა გვანცამ და თმაზე კიდევ გადაისვა ხელის ზურგი.

— რას არ მოიგონებ, ოღონდ თავი გაიმართლო! — მეგობრულად ეღიმებოდა ზურია, რომელსაც ახლა სრულებითაც აღარ ახსოვდა დღევანდელი გულისტკივილი, — ჩვენთან რატომ არ ამოდიხარ ვითამ?

— მე უნდა ამოვიდე? შენ რატომ არ ჩამოდიხარ!

— იჰ, აქ სასიარულოდ მცალია?

— შენ გგონია, მე მოცლილი ვარ? მოკიდე ხელი ბარს, ეს კვალი გადამიბარე, მე ჩეკიით მოგყვები.

ზურიამ ბარი აიღო, ხელში შეატრიალ-შემოატრიალა და ისევ გვანცას დააცქერდა.

— კიტრებს თესავ?

— ვარდებს! — მზაკვრულად გაუღიმა გვანცამ.

— ვარდები რად გინდა, გოგო?

— იმას უნდა გავუგზავნო.

— ვისა? — რატომღაც ცივმა ოფლმა დაასხა ზურიას.

გვანცამ ხმამაღლა გაიცინა.

— დაბარე ახლა, ბარვა არ იცი?

— შენ მასწავლი სწორედ! — თვალი გამომცდელად გაუყარა თვალში ზურიამ და ბარი ფხვიერ მიწას დაჰკრა.

— ნელა! — შესძახა ბიჭის წამიერი შეცბუნებით გამხიარულებულმა გვანცამ, — ის კი არ მითქვამს, ბოსტანი დამინგრიე მეთქი!

ზურიამ თავაუღებლივ განაგრძო ბარვა. როცა კვალი მოათავა, ბარი ხიმეზე მიაყუდა და ბოსტნის თავში ჩაცუცქდა.

— გვანცა, ეგნატე ბიძია შინ არის?

— როგორ ატყობ? — კვლავაც მზაკვრულად გაუღიმა პატარა ქალიშვილმა.

— სად წავიდა?

— არ ვიცი, ზაქარა ბიძიას წაჰყვა.

„ალბათ, რაიონში იქნებიან," — გაიფიქრა ზურიამ და ხარები მოიკითხა.

---

* გაგრძელება. იხ. „მნათობი" № 1.

გვანცას გაუკვირდა, ხარები რად უნდაო.

— დღეს ისევ ჩვენს სახლში გადავდივართ, — დინჯად თქვა ზურიამ, რომლის ხმასა და სახის გამომეტყველებაში ერთბაშად გაჰქრა წელანდელი ცელქობის ნატამალიც კი.

— მართლა? — გულწრფელად გაიხარა გვანცამ, — ხარები ფერმაშია. მაგრამ შენ მოეკიდები?

— რატომაც ვერ მოვეკიდები, უშიაზე ნაკლები ვარ? გამომატანენ?

— თუ უცალიათ, როგორ არ გამოგატანენ. იორამ ბაბუა არის იქ.

— შენ ვერ წამოხვალ, ვერ ეტყვი, მამამ დამაბარა ათხოვეთქო?

— რომ არ დაუბარებია?

— უთხარი, დაიბარათქო. სად ვნახო ახლა მამაშენი. ძალიან მჭირდება. ამისთვის ჩამოვედი.

— ხათუნა ბიცოლამ უთხრას და მისცემენ.

— ხათუნა ბიცოლა შინ არ არის. ამ დილას ზესტაფონში წავიდა. ბაბუას ავადმყოფობის დეპეშა მივიღეთ.

— უჰ! — შეწუხდა გვანცა, — მერე რა გეჩქარება, ჩამოვიდეს და მაშინ გადადით. მარტო რა უნდა გააკეთო!

— დამიბარა, ჩემს ჩამოსვლამდე მოუარე ამ საქმესო, — გაბედულად იცრუა ზურიამ, რომელსაც მტკიცედ გადაეწყვიტა კალოსუბნიდან დაბრუნებულ დედას მამისეულ სახლში დახვედროდა.

— ცოდვა ხარ, ბიჭო, — მოწიფული ქალის სიდარბაისლით წარმოსთქვა გვანცამ, — აბა წამოვალ, მეც მოგეხმარები.

— მაგას რაღა აჯობებს, ოღონდ ჩქარა, დაღამებამდე უნდა მოვასწროთ ყველაფერი, ხვალ აღარ მეცლება.

ურემი და უღელი ეზოში დაეტოვებინა ეგნატეს, მაგრამ სამატს ვერსად მიაგნეს. სამატი ტყავისა იყო. ძაღლები ემტერებოდნენ და ამიტომ ეგნატე საგანგებოდ მალავდა. გვანცამ ამაოდ მიაკითხა ბეღელს, მარანს, საწნახელსაც კი აჰხადა ცაცხვის გრძელი ფიცარი. ზურია შეწუხდა. აბა, უსამატოდ როგორ უნდა გაემართათ ურემი!

ნუ გეშინია, ახლავე მოვიტანო, წამოიძახა გვანცამ და სადღაც გაიქცა. ხუთიოდე წუთის შემდეგ მოირბინა.

— რა ჰქენი? — მიეგება ზურია.

— არც მიროტაძეები ყოფილან შინ. სახლი დაკეტილია.

— იქ რამ წაგიყვანა ახლა! — აბუზღუნდა ზურია.

— სხვას არავისა აქვს ამ კუთხეში. მე წავალ, ხარებს გადმოვდენი, მერე გავიქცევი სამატზე. შენ ურემი გამოაგორე გზაში. დიდი ჭიშკარი გააღე, ოღონდ არაფერს გამოედო. იცი, როგორ იღება?

— სამატი?

— ხომ გითხარი, მერე წავალ სამატის მოსატანად!

ამ სიტყვებზე გვანცა ჭიშკრისაკენ გაიქცა და მალე თვალს მიეფარა.

„რა დაუზარელი გოგოა!“ — გაიფიქრა ზურიამ, რადგან სხვა საქებარი სიტყვა ვეღარ გამოუძებნა გვანცას.

დერეფანში შევიდა, მიიარ-მოიარა და წალდი იპოვნა. წალდი ალმასივით იყო ალესილი.

„ყველაფერი რომ ასე მარჯვე აქვს ეგნატე ბიძიას! — ფიქრობდა ზურია და წალდს ფხას უსინჯავდა, — თუ მეურნე ხარ, მართლაც უნდა იყო! როდესაც ოჯახს გავმართავ, მეც ასე მექნება ყველაფერი!“

დერეფანში საჯირკე გოდრები იყო დაყუდებული. ზურიამ სათითაოდ გადმოაბრუნა ყველა, აქ ხომ არ არის სამატიო. როცა ვერსად წააწყდა, წალდით ხელში ეზოში გამოვიდა. ჭიშკრის გაღალმა, გზის იქით, სადაც ზამთარზაფხულ ჩქრიალა ნაკადული მოედინებოდა, გადაბელილ ტირიფებს შეავლო თვალი.

„ეგ მხოლა წნელები კი გამომადგება!“ — გაიფიქრა ზურიამ.

ხეზე არ ასულა, ისე, ქვემოდან შეაჭრა ორიოდე წნელი და ეზოში შე-

მოიტანა. კალოსუბანში არაერთხელ ენახა, როგორ აკეთებდნენ ღვლერჭის სახელდახელო სამატს პურის ლეწვის დროს. წნელის მსხვილ ბოლოს ფეხი დაადგა და წვრილი ბოლოდან ფრთხილად დაიწყო გადაგრეხა. ნედლ წნელს წვენი გასდიოდა, მაგრამ არსად გადასტეხია. სულ მალე ორი წყვილი ამნაირი ღვლერჭი გადააწნა ერთიმეორეს, რათა წნელებს მეტი სიმაგრე მისცემოდათ და ურმის ფრჩხილეებს სწორედ ისე ამოუბა, როგორც ტყავის ნამდვილ სამატს ამოუბამენ ხოლმე.

— შენ ნამდვილი მეურმე ყოფილხარ, ზურია! — წამოიძახა აღტაცებულმა გვანცამ, როდესაც ლომა ხარები ეზოში შემორეკა და სახრე ამწვანებულ მოლზე დააგდო, — გარეთ ვერ გამოაგორე ურემი?

— რა ძალა მადგა, ხარები აგერ არ არიან?

— ხიმეზე მივაბა?

— რად უნდა მიბმა!

— ვაითუ უღლის დადგმისას ტაბიკი გაგვიტეხონ.

— მაგის ჯავრი ნუ გაქვს შენ! — თავდაჯერებულად მიუგო ზურიამ და უღელს დასწვდა, — მოაძახე აქეთ!

— თფრჩა, წაბლა!

— მოაძახე, მოაძახე, ჰო!

— მეშინია, ბიჭო, არ გირჩოლონ!

ზურიამ გაჭრილ ყურში წაატანა წაბლას ხელი და უღლის ტაბიკები თვალის დახამხამებაში ჩაუცურა კისერზე. მერე ნაცარასაც დაადგეს უღელი. ზურიამ საიმედოდ შეუკრა ხარებს აპეურები, უკან დაახევინა და ურემში გააბა.

გვანცა განზე იდგა. თვალებგაბრწყინებული შეჰყურებდა ზურიას, რომლის ყოველ მოძრაობასაც აღტაცებაში მოჰყავდა. ახლა კი მიხვდა: ღუდის დაუჩქარებლადაც გაუმკლავდებოდა საქმეს ზურია.

— ზედ შეჯდები თუ ფეხით წამოხვალ? — გადმოჰხედა გოგონას მეურემ, როდესაც ურემი ყურთამდე ვიღებულ ჭიშკარში გაჰყავდა.

— დავჯდეთ, თუ გინდა.

— ო, მაამო! მოდი, ჯერ ეს ჭიშკარი დამაკეტინე!

ოროლობე მუსაიფით აიარეს. მართალია, ურემი ჯაყჯაყებდა უწესრიგოდ დაყრილ ქვებზე, მეურმე მაინც შეძლებისდაგვარად არჩევდა გზას.

კანტორის ჭიშკართან ზურიამ გაკვირვებული თვალები მიაპყრო აივანს: იქ კაცის ჭაჭანებაც აღარ იყო.

— მართლა, ზურია!—თითქოს ფიქრს მიუხვდაო, ჩურჩულით დაიწყო გვანცამ, — სახატოში იმდენი ხალხია, იმდენი, ბაზარი გეგონება.

— სახატოში? — გადმოჰხედა ზურიამ.

ურემს დადარაჯებული პავლე და შალიკო მოსცვივდნენ.

— მოიცათ, მოესწრებით! — შეუტია ურემზე ამობობღებულ ძმებს ზურიამ და კვლავ გვანცას მიუბრუნდა,— ნეტავი რა ამბავია?

რა ვიციო, ტუჩები აიბზუა გვანცამ.

— დღეს მთაში წავიდა ვინმე? — ისევ ჩაეძია მინდელი.

— არა მგონია. მამა უნდა წასულიყო...

— ხვალ წავლენ?

— ვერ გეტყვი, ზურია, მამა მოვა და ვკითხავ.

— თხა უნდა გავატანო.

ბიჭები ურემზე მოწყობილიყვნენ. ზურიამ მათ გადმოჰხედა და ხარებს ქვის კიბისაკენ გაუტია.

## თავი მეთხუთმეტე

გულგახეთქილმა მარგალიტამ კინაღამ კივილი ასტეხა, როცა მინდელების კარი მოფლეთილი დაუხვდა. იატაკზე ფეხსაცმლით გათელილი გაზეთის ნაგლეჯები ეყარა. თვად ოთახი ცარიელი იყო. მარგალიტა გარეთ გამოვარდა და ძლივს მეზობლის ქალებისაგან გაიგო, რაც მომხდარიყო: სანამ სახატოში გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართულ კრებაზე ხალხი თავს ახლიდა ერთიმეორეს, ზურიას ხარ-ურემი მოეყვანა და ოჯახის მთელი ავლადიდება ორ გზად გაეზიდა კანტორის ეზოდან. გამოძიება — ვინ მისცა თავზე რძეგადაუმშრალ ღლაპს ამდენის უფლებაო, მარგალიტას სანუგეშოს ვერას მოუტანდა, მაგრამ რადგანაც ხათუნას დაბრუნებამდე ბავშვების მზრუნველობა თავს ედო, მაშინვე „არაწმინდა ბიჭის“ ყურების ასაწევავად გაეშურა.

ყორესთან მომდგარ მეზობელს ზურია იმგვარი თავდაჯერებულობით გამოეგება, მარგალიტას უმალვე წაუხდა ბიჭის დატუქსვის ხალისი.

— მობრძანდი, მარგალიტა მამიდა!

— რა გიქნია, ბიჭო, ეს, არა გრცხვენია?

— რა მიქნია? — დასცეცხლა ზურიას.

— რომ აგილია და წამოგიცუნცულებია ყველაფერი, აღარ იკითხე, შენს გარდა, სათამაშოდ სცალია თუ არა ვისმე?

— მე არ ვთამაშობ, მარგალიტა მამიდა, რაც დედამ დამაბარა, ის გავაკეთე. ჩვენ სახლიცა გვაქვს და კარიც, სხვისი შემყურე რატომ უნდა ვიყოთ!

— გადამრევს ეს ბიჭი პირდაპირ. აგრე ვეტყვი დედაშენს, მოიცადე!

— უთხარი!

თუმცა ჭიშკარი იქვე ახლოს იყო, გაგულისებული მარგალიტა ყორეზე გადმოვიდა, ამაყი მასპინძელი უკან ჩამოიტოვა და პირი ქოხისაკენ ჰქნა. სანამ დერეფანში შევიდოდა, მოიხედა და კიდევ უთხრა ზურიას:

— რავა გგონია, იქიდან აქ შევიძლებ მე სიარულს? აქ ვის ამარა უნდა ეყაროთ დედაშენის ჩამოსვლამდე!

— საპყრები კი არა ვართ! — იწყინა ზურიამ.

მარგალიტამ შეატყო, ამ გაჯიუტებულ ბიჭს ტყუილად ვექაქანებიო: დოინჯი შემოიდგა და დერეფანში შევიდა.

— ეს რომელია? — წამოიძახა უცებ, როცა წყალმოსხმულ იატაკზე ჩაჩოქილი ფეხშიშველი გოგო [illegible] გვანცა ხარ შენ?

ლაწვებალანძულმა, დაღლილმა გვანცამ მოიხედა და შუბლზე ჩამოყრილი თმის ბღუჯა ხელის ზურგით უკან გადაიყარა.

— რას იკრიჭები, გოგო, რა გინდა აქ! — აკაპასდა ნისკარტა მოანგარიშე, — მოიცადე, თუ მამაშენს არ ჩავუკენჭო ყველაფერი!

— მარგალიტა მამიდა, გვანცას თავი დაანებე, გვანცას არაფერი დაუშავებია, — გამოესარჩლა ამხანაგს ზურია, — მე შევეხვეწე და წამოვიდა. არ შეიძლება მოხმარება?

მარგალიტას ენაზე უტრიალებდა მომზადებული მწარე სიტყვა. აღარ იცოდა, კიდევ გასწყრომოდა ბავშვებს თუ გასცინებოდა: ყველაფერი, ყველაფერი, მაგრამ ეს მაგიდა, სკივრი და ჭურჭლის განჯინა მაინც რანაირად ჩამოიტანეს კიბეზეო.

— ხომ არაფერი დაგრჩენიათ? — შემრიგებლურ კილოზე იკითხა ბოლოს.

— მწ, — თავი გაიქნია ზურიამ.

— რანაირად ვიარო ახლა იქიდან აქ, ან იმ ადამიანს რა ვუთხრა! — წუხდა მარგალიტა, — თუ ასე იყო, ვერ თქვა ხათუნამ?

— ალბათ, დაავიწყდა, — ბოდიში მოჰხადა დედას ზურიამ.

— რაღა გაეწყობა ახლა, — ოჯახის ნამდვილ დიასახლისივით მკლავებდაკაპიწებულ გვანცას გადაჰხედა გაუთხოვრად დაბერებულმა ქალმა და იქვე ატუზულ ზურიას შეავლო ეჭვიანი თვალები, — ხათუნამ ფული დამიტოვა. თუ დაგჭირდეთ, კანტორაში ამომაკითხეთ. მე აქ სიარული არ შემიძლია.

ეს თქვა და წასვლა დააპირა. ცნობისმოყვარეობამ მაინც დასძლია და ოთახში შეიხედა, ერთი დავინახო, რანაირად დაალაგესო.

ავეჯი თავთავის ალაგას იდგა, მხოლოდ ლერწმის საწოლები დაეტოვებინათ დერეფანში. განჯინასთან ზაქარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მჭედლის ტყუპები მიყუჟულიყვნენ, კარის მოსაზღვრე კედელთან კი ყურებდაცქვეტილ შალვას და პალიკოს ეპოვნათ სამალავი.

მარგალიტას ბავშვებისათვის არაფერი უთქვამს. ცივად გამოტრიალდა.

ზურიამ ჭიშკრამდე გააცილა სტუმარი და აქ მანამ იდგა დონჯშემოყრილი, სანამ სიგამხდრისაგან დალეული მარგალიტა თვალს არ მიეფარა.

ზურიას თავმოყვარეობა ახლა დაკმაყოფილებული იყო. ეამაყებოდა კიდეც, ასე კუდამოძუებული რომ გაისტუმრა დიდი გულით მოსული მარგალიტა. ზურიას საკუთარი თავი აბია მხრებზე. მადლობა ღმერთს, ბალღი აღარაა. შინაური საქმე სხვებზე უკეთ იცის. ბიჭოს! ეს რა სხვების სამსჯელო და სალაპარაკოა! განა ბაბუა სპირიდონი ყოველთვის ასე არ იქცეოდა? ყველაზე ახლო მეზობელსაც არ ჩაირევდა ოჯახის საქმეში. კალოსუბანში კი ამბობდნენ სპირიდონ ყანჩაველს „დახურული ოჯახი“ აქვსო, მაგრამ მერე რა! ოჯახი „დახურული“ უნდა იყოს. აბა რა გამოვიდა, თუკი ყველამ, ვისაც კი მოეხასიათება, შიგ აფათურა ხელი!

ასე ფიქრობდა სპირიდონ ყანჩაველის მოსწრებული შვილიშვილი ზურია და გონებაში ანგარიშობდა, როგორ უნდა მოქცეულიყო მამისეული ოჯახის ფეხზე წამოსაყენებლად.

თუ ბაბუას არაფერი გაუჭირდა და დედა მშვიდობით დაბრუნდა შინ, ყველაფერი ადვილად მოეწყობა. თვითონ ზაქარა ბიძიამ თქვა: შენ ოღონდ მოინდომე, კოლმეურნეობას ავანსს მოვაცემინებ, სახლ-კარს მიჰხედე და მერე... მერე ქალსაც იმისთანას მოგგვრით, ვარსკვლავებს ეთამაშებოდესო.

ზურიას სირცხვილი სწვავდა, როცა გულკეთილი ზაქარა ამნაირად მოუქცევდა სიტყვას, მაგრამ, რა დასამალია, გულში კი უხაროდა; საბერვლის ჭოკს გაშმაგებით ეჭიდებოდა, ისედაც გავარვარებულ ქურას კიდევ უფრო ავარვარებდა და ფერდებდაბერილი საბერვლის ქშუტუნის ნაცვლად ყურში ნაღვლიანი სიმღერა ჩაესმოდა. თვალებს ხუჭავდა და ცდილობდა წარმოედგინა იმ ახალგაზრდა ქალის სახე, რომელიც წითელა ბატონების მოხდის შემდეგ ყოველთვის თან სდევდა. ეს ძველისძველი მოგონება, ზურიას აზრით, პირველი, გაუმხელელი სიყვარული იყო. იგი ქრუანტელს ჰგვრიდა ზურიას. ზურია, ალბათ, სიცოცხლესაც არ დაიშურებდა, ოღონდ ნაცნობი სიმღერა ერთხელ კიდევ ცხადლივ გაეგონა, კიდევ ერთხელ მიელულა თვალი ნაღვლიან გალობისას... მერე რა თუ ყელშეხვეული ახალგაზრდა ქალის სახე დიდი ხანია, რაც უკვე აღარ ახსოვდა. მერე რა თუ დროთა განმავლობაში ეს სახე ბუნდოვან ლაქად გადაიქცა, მერე რა თუ მის ადგილას ვისიც გნებავთ სახის წარმოდგენა შეიძლება! ზურია მაინც კმაყოფილი იყო, რადგან გარდა იმ სიყვარულისა. რომელსაც გული აევსო. არაფერი სჭირდებოდა. მაგრამ მას შემდეგ დიდმა დრომ გაიარა. ახლა ზურიამ უკვე იცოდა ზოგი რამ იმ საიდუმლო ურთიერთობისა. რომელსაც ადამიანები სიყვარულს ეძახიან. მას აღარ ახსოვდა, როდის და როგორ შეიტყო ეს პირველად, ვინ გააგებინა. თითქოს დედის მუცლიდანვე თან დაჰყოლოდა აკრძალული ცოდნა...

უმალ ამაზე გადადიოდა მისი ფიქრი, როდესაც გავარვარებული თოხის ყუის გამოკვერვით გართული მჭედელი „მასკვლავებს მოწყვეტილ გოგოზე“, ზურიას მომავალ საცოლეზე გააბამდა ნახევრად სერიოზულ, ნახევრად სახუმარო საუბარს.

„მაგრამ ამისათვის ჯერ ოჯახი უნდა გავმართო,—ფიქრობდა ჭიშკართან მარტოდმარტო დარჩენილი ზურია და ყორიდან გადმოვარდნილ ხავსიან ქვას ადგილს უძებნიდა, — ყველაფერი ისე უნდა მოვაწყო, როგორც ზაქარა ბიძიას აქვს მოწყობილი.“

დრო გავა და ზურიასაც მჭედელი დაერქმევა.

803

ზურია მოუთმენლად მოელოდა ამ დღეს.

ზურია მჭედელი!

რა კარგად ჟღერს, „ზაქარა მჭედელზე“ უარესი არაფრით არ არის!

ოღონდ კარგი მჭედელი უნდა გამოვიდეს, თორემ მარტო სახელი რის მაქნისია, თუნდაც ყარამან-ყანთელი დაირქვი! ქარხანაში გაჭედილი ცელი ან ნაჯახი ბალღის ნაცუღლუტარად უნდა გამოიყურებოდეს მისი ნახელავის გვერდით. აი, მაშინ იტყვიან, ზურია მჭედელს ოქროს ხელი აქვსო!

ზურია მჭედელს!

ზოგზოგები მის პატარაობას მოიგონებენ, მაშინვე ეტყობოდა ნიჭი და გულისყურიო. რატომაც არა, მამა ჰყავდა უნიჭო და უგულისყურო თუ ბაბუა!

—ზური! — ქოხისაკენ მოახედა გვანცას ხმამ.

ფეხშიშველა გვანცა დერეფანში იდგა.

— რას აკეთებ, ბიჭო, მანდ?

—ამას ვასწორებდი,—ყორეს გაჰხედა ზურიამ და რატომღაც გაწითლდა,— წყალი ხომ არ გამოგელია?

— ერთი ჩაფიც მოიტანე, ფეხებს დავიბანთ.

— შიგნით გათავდა?

— ვერ ხედავ, ტილო გავწურე?

— ისინი რას აკეთებენ?

— საწოლს დგამენ. მოიცა, აგრე ნუ მეხვალ, წუღები გაიხადე!

— გავიქცევი, ჯერ წყალს მოვიტან.— დაიხარა წელანდებურად ფიქრებში გართული ზურია და შაბიამნის ხსნარით გალურჯებული ჩაფი აიღო.

— ბეჭზე არაფერს დაიფენ?

— ჰო, მართლა, შარვლის ძონძი იყო აქ, რა უყავი?

„შარვლის ძონძი“ ამ ზამთარს გვიდილაურის მარნიდან ჩამოტანილ საწნახლის უკან აღმოჩნდა გადავარდნილი. ზურიამ ძლივს ამოათრია იქიდან და წყლის მოსატანად მოჰკურცხლა. როდესაც დაბრუნდა, დედისა და პატარების საწოლი გამართული დაუხვდა. გაანცებული შალვა ზედ ასულიყო, ფიცრებზე დაბრაგუნობდა. ზურიასავით საქმიანი პავლე გოგონებს ეხმარებოდა მზეზე გაფენილ ქვეშაგებლის შემოტანაში.

—ახლა ამას დავაგებთ და წავალთ!— გამოაცხადა გვანცამ, — ზური, გაგვაცილებ?

— ჩვენ მარტო დავრჩეთ? — წამოიძახა მშიშარა შალიკომ.

— გაჩუმდი! — დაუღრინა ძმას ზურიამ, — დარჩეთ თუ არა, დათვი მოგივარდებათ!

სანამ ტყუპები ლოგინს შლიდნენ და საწნახლის ინდურზე ჩამომჯდარი გვანცა ფეხს იბანდა, ზურიამ ასანთი მოძებნა, რადგან უკვე საგრძნობლად დაბინდებული იყო. მაშინღა გაახსენდა, ნავთის ყიდვა ყველას დაჰვიწყებოდა. ამაღამ, ალბათ, უსინათლოდ მოუხდებოდათ დაძინება.

— პალიკო! — დაუძახა ზურიამ შუათანა ძმას, როდესაც გოგონებთან ერთად ეზოში გამოვიდა, — გამოიყვანე ეგ ვაჟბატონიც და ჩემს მოსვლამდე ჭიშკართან იყავით. ეზოში ჯერ არ ბნელა. მე იქიდან კანტორაში გამოვივლი, გავიგებ, დედას ხომ არ დაურეკია და ნავთსაც წამოვიძღვანიებ.

დამჯერე პავლე უმალვე გატრიალდა უფროსი ძმის განკარგულების შესასრულებლად.

— ცივა, არა? — წაილაპარაკა გვანცამ და ნაბიჯს აუჩქარა,—მოდით, გავიქცეთ!

— ზურია სულ ტყუილად წამოვიყვანეთ, რა გაცილება გვინდოდა! — შენიშნა თინამ.

— ხომ მაინც უნდა ასულიყო კანტორაში, დედას არ უნდა დაელაპარაკოს? — ჩაერია მეორე დაი.

— გავიქცეთ, გოგოებო! — წამოიძახა გვანცამ, — ერთი, ორი, სამი!

ფერმისაკენ მიმავალ ბილიკზე ტკრციალით მოჰკურცხლეს. ზურია არ ცდილობდა გასწრებას, თუმცა როგორც ჩანდა, ქურციკივით ფეხმარდი გვანცა

ბიჭებზე ნაკლებ როდი დარბოდა. ტყუპები ხელს უშლიდნენ ერთმანეთს. ორივეს ბილიკზე სირბილი უნდოდა. ზურია ბილიკის გასწვრივ, ყამირ-ყამირ მისდევდა გოგონებს.

ფერმაში მწყემსების ნაგაზი აყეფდა, რასაც ღამის ყარაულად დარჩენილი ბაბუა იორამის ქაქანი მოჰყვა.

ბნელოდა, როდესაც ოთხივენი ზაქარა მჭედელის ჭიშკარს მიადგნენ. ზაქარა ჭიშკართან დაუხვდათ. ხელში ანთებული ფარანი ეჭირა და, ალბათ, გოგონების მოსაყვანად წასვლას აპირებდა.

— ზურია გახლავთ? — ფანარი ასწია შეგირდის თავაზიანობით ნასიამოვნებმა ზაქარამ, — ასე რად დაიღამეთ?

— დაღამდა და რა ჩვენი ბრალია! — ორივე მხრიდან დაეკიდნენ მამას ტყუპები.

— ზურია, უსინათლოდ ხარ, ბიჭო? ჰა, ჩემი ფანარი წაიღე!

ზურიამ ფანარი გამოართვა.

— დედაშენს დაურეკია ზესტაფონიდან, ბაბუა უკეთ არისო.

— ვაი, მართლა? — თვალები გაუბრწყინდათ ბავშვებს.

— მარგალიტამ დაიძახა, ის შეხვედრია ტელეფონზე.

— კარგად არისო? — იკითხა აქამდე გაჩუმებულმა ზურიამ;

— ალბათ, კარგად იქნება, რაკი დედაშენმა ასე თქვა.

— ხომ გითხარით, ჩვენ არ გითხარით? — გაიხარეს ტყუპებმაც.

ზურიამ ჭიშკარში ჩამდგარ ზაქარას შესცინა მადლობის ნიშნად, ანთებული ფანარი იღლიაში ამოიდო და გვანცას მიუბრუნდა:

— წავიდეთ?

— ფრთხილად იარეთ, ბიჭო, გზაში არაფერი მოიწიოთ! — ერთხელ კიდევ მიაძახა წასულებს ზაქარამ.

ზურიამ და გვანცამ საჩქაროდ ჩაიარეს ორღობე. ეგნატე შინ არ დაუხვდათ.

— ვაითუ ჩემს საძებრად წამოვიდა? — ელდა ეცა გვანცას და მამას ხმამაღლა დაუძახა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასუხი არ იყო.

— მოვა, მეზობლებში გადავიდოდა, — თქვა ზურიამ.

შეწუხებული გვანცა ერთხანს კიდევ იდგა ჭიშკარში, შესვლას აყოვნებდა. მბჟუტავი ფანრის შუქი მკრთალად ანათებდა ორივეს სახეებს. ზურიას გული უფრიალებდა. უნდოდა გამომშვიდობებისას რაიმე ეთქვა გვანცასათვის. მთელი დღე ხალისიანად ჭყლოპინებდნენ, ახლა ენა რაღამ დაუბა? გვანცას თვალები გაშტერებოდა. ბიჭს გაუკვირდა, რა დაემართაო. ფანარი მიწაზე დადგა და ამხანაგს მხარზე გაუბედავად შეახო ხელი, თან კრძალვით ჰკითხა:

— რა მოგივიდა, გოგო?

გვანცამ ოდნავ შეარხია მხარი, ზურიას ცხელი ხელი მოიცილა, ჭიშკარი შეაღო და ეზოში შევარდა.

— გვანცა! — დაუძახა ზურიამ.

გვანცამ არ უპასუხა.

რა მოუვიდაო, კიდევ გაუელვა ბიჭს. დააპირა ეზოში შესულიყო და გვანცას დასდევნებოდა, მაგრამ რატომღაც ვერ გაბედა. გულდაწყვეტილი უკან გამობრუნდა.

პავლე და შალიკო ჭოტებივით ისხდნენ ყორეზე.

— თქვენ კიდევ აქა ხართ? — ფანარი მიანათა ძმებს ანაზდეულად შემკრთალმა ზურიამ, — ჩამოდით, ჩამოდით ძირს!

თვლემამორეული პავლე, რომელსაც მთელი დღის დაღლილობა ახლა მოჰრეოდა, ზანტად წამოდგა, შალიკო კი ზურიამ წამოიკიდა და ქოხისაკენ წაიყვანა.

## თავი მეთექვსმეტე

კრებამ კალისტრატე მასწავლებლის და მისი მომხრეების იმედი გაამართლა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება მაინც ვერ მიიღეს. ახალი ვენახის გაშენების სამუშაოები დროებით შეჩერ-

და. სოფლის აგრონომის, ელეფთერ ლაშქის თავმჯდომარეობით შემდგარ კომისიას დაევალა მოემზადებინა საკაურას კოლმეურნეობის საკუთრივ მევენახეობის კოლმეურნეობად გარდაქმნის გეგმა, რომელშიაც გათვალისწინებული იქნებოდა სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მნიშვნელოვანი შემცირება, რადგან ეს ამბავი მუშახელის ახლებურ განაწილებას და სავენახე მიწების განთავისუფლებას მოითხოვდა. მემინდვრეობის, მეხილეობის და სხვა ბრიგადები მევენახეობის ბრიგადებად გადაკეთდებოდნენ და თუ მთავრობა მხარს დაუჭერდა საერთო კრების გადაწყვეტილებას, ამიერიდან ყურძენს უნდა მოეტანა კოლმეურნეობის მთელი შემოსავალი.

კრებაზე აქა-იქ გაისმოდა ხმები მეცხოველეობაც შევკვეცოთო. საკაურა საზაფხულო საძოვრებით ღარიბი იყო, საკვები კი, უმთავრესად, სხვა რაიონებიდან შემოჰქონდათ, რაც კოლმეურნეობას მამასისხლად უჯდებოდა და ამის გამო საყოლებელზე გაწეული ხარჯი დიდად ჭარბობდა სარგებლიანობას.

პირუტყვის დიდი ჯოგით მოყენებული ზარალი თითქმის ყველასთვის აშკარა იყო, მაგრამ დამფრთხალი ბორის ლოლაძის თხოვნით ეს გარემოება გადაწყვეტილებაში არ შეუტანიათ.

გადაწყვეტილება იმით მთავრდებოდა, რომ სავენახე მიწების სხვა საბაბით გაფართოება მხოლოდ ზიანს მოუტანდა კოლმეურნეობას და იმ ყოველწლიურ შემოსავალს, რომელსაც სახელმწიფო იღებდა კოლმეურნეობისაგან.

ასეთი იყო ხალხის აზრი, როგორც იტყვიან, ხმა ერისა, რომელსაც თავისი სიტყვა უნდა ეთქვა, სადაც ჯერ არს.

კრებას რაიონიდან არავინ დასწრებია. ბორისის ბედად, მესხიც და რაიაღმასკომის თავმჯდომარეც თბილისში აღმოჩნდნენ გამახებული.

ბორისი თუმცა ადრინდელზე უფრო შეშინებული იყო, იმედს მაინც არ კარგავდა: მას უნდოდა დრო მოეგო, უფროსების დაბრუნებამდე კვლავ მოეტრიალებინა საქმე. ორჯერ მოითხოვა, თავმჯდომარის უფლებები ამყარეთო. ხალხი მიუხვდა, რისთვისაც იღებდა ლოლაძე მსხვერპლს და ყური არ ათხოვა. ბორისმა ისაია ჩუბინიძე წამოაყენა ახალ თავმჯდომარედ. ხალხი აყაყანდა. ახლაც უარჰყო ბორისის თხოვნა.

ბორისი გამწარდა. როგორც გინდათო, აუყვირდა თანასოფლელებს, მე თვითონ ვიხსნი თავმჯდომარის უფლებებსო.

ყველა მიხვდა, რომ ლოლაძის გააფთრებული მუდარა ამჯერად გულწრფელი იყო.

— მაშინ ხვალვე აიყარე აქედან! — საერთო სიჩუმეში შეუტია თავმჯდომარეს ისაია ჩუბინიძემ, — აიყარე, თუ სოფლის არა გესმის რა და ხვალაც სხვისი ხელის შემყურე იქნები!

— კიდევაც ავიყრები! — სულ დაჰკარგა თავგზა ბორისმა, რომელსაც ისაია მეკუბოვე მომადლიერებული ეგონა და მისგან ამდენს აღარ მოელოდა.

— ჰოდა, აიყარე! — დაიღრიალა ისაიამ.

შავი სატინის სამგლოვიარო ხალათში გამოკრული ხორცსავსე ელეფთერი მოუხერხებლად იჯდა კაკლის ფესვზე. მან მხოლოდ ერთხელ ილაპარაკა და ისიც მაშინ, როცა სიტყვა მეჯოგეობას შეეხო. ელეფთერმა ნათლად გამოთქვა აზრი: ეგნატე სივსივაძის მხარეს იჭერდა.

ბორისი თვალებით ჭამდა ელეფთერს. თავმჯდომარემ კარგად იცოდა, მეჯოგეობის შეკვეცაზე ლაპარაკი რომ სავსებით ზედმეტი იყო. ძროხეულისა და ხორცის დამზადების გეგმები წლითიწლობით უდიდდებოდა კოლმეურნეობას. მაშ უნდა შეეთხელებინათ თუ კიდევ უფრო მოემრავლებინათ ჯოგი! აი, თურმე რას გულისხმობდა ელეფთერი, როცა უთხრა, კალისტრატე მარ-

თალიაო! ზაგე მოიკვნიტა, მაგრამ კადრებით ვერა ჰკადრა რა ლაშხს, რადგან მის გამოსვლას მოწონების შეძახილებით ხვდებოდა ხალხი. ბოლოს გულზე მოეშვა: ელეფთერმა თავადვე მოითხოვა — რადგან ლოლაძის გაფრთხილება საფუძველმოკლებულად არ მიმაჩნია, მოდით, ჩემს ნათქვამს ჯერჯერობით ნუ შევიტანთ დადგენილებაშიო.

ეგნატე სივსივაძე წამოვარდა. კინაღამ ყელში წვდა ელეფთერს, მაგრამ ამ უკანასკნელის სიტყვას შთაბეჭდილება მოეხდინა და ეგნატე მაშინვე ჩააჩუმეს.

„მოიცა, შენთვისაც მოვიცლი! თუ ბიჭი ვყოფილვარ, დედას გიტირებ!“ — თვალს არ აშორებდა უჩვეულოდ გაფიცხებულ ეგნატეს ბორისი.

კრების შემდეგ ხალხი ყაყანით წავიდ-წამოვიდა. დიდრონ ჯგუფებად დაიფანტნენ ორღობეებში.

ეგნატე რეტდასხმულივით იყო. დაწინაურებულ ელეფთერს და ზაქარა მჭედელს ძლივს მისდევდა.

„ყველაფერს ვეტყვი! — ფიქრობდა გზადაგზა, — რა ვუყოთ თუ სწავლული კაცია. ჩემს საქმეში არც მე ვარ რეგვენი!“

ზაქარამ ფეხის ხმა გაიგონა და მოიხედა.

ეგნატემ ელამი თვალები შეავლო ორივეს და კვლავ შორიახლო მიჰყვა. ხმის ამოღება უჭირდა. ბოლოს მაინც გაბედა და დაიწყო:

— ელეფთერ, ბატონო, ზაქარა გვესწრება აგერ და ამანაც იცის: მე პირში მთქმელი კაცი ვარ.

ელეფთერი შეჩერდა. მისი სრული ზედა ტანი სატინის ვიწრო ხალათში ძლივს ეტეოდა.

— არ მომეწონა შენი დღევანდელი ნაზრძანები, რაც მართალია, მართალია, — ელამი თვალები კვლავ ასწია ეგნატემ, — ძროხებს შევაჭამოთ თავი, ძროხებს ვემსახუროთ?

— მოითმინე, შე კაცო, — თქვა ელეფთერის მაგიერ ზაქარა მჭედელმა, — ეგ სულსწრაფობა შენგან არ მიკვირს?

— მოითმინე თუ გინდა, ჰე! — გაცხარდა ეგნატე, — როდემდე მოვითმინო!

— კარგი, აბა, დავერიოთ ერთმანეთს.

— ერთმანეთს კი არ უნდა დავერიოთ, ზაქარა, ერთი პირი უნდა ვიქონიოთ.

— მე მგონია, საწყენი არაფერი მითქვამს, — ზაქარას გადაჰხედა გადატანილი მღელვარებით გაფითრებულმა ელფთერმა.

— საწყენი რას მიქვია, ღმერთო კი მომკალი! — ცხარობდა ეგნატე, — მე რა უნდა მაწყენინო, ელეფთერ, ბატონო. მე რა უნდა მაწყენინო! რაც მართალია, მართალია, ჯობდა არ გებრძანებინა. ჩემს ნათქვამს დადგენილებაში ნუ შეიტანთო.

— დამიჯერე, ეგნატე, აგრე აჯობებს.

— როგორ აჯობებს, როგორ, მე არ ვიცი, როგორც აჯობებს?

ელეფთერმა კოტიტა ხელი ჩაიქნია.

— მაგას ვამბობდი სწორედ ახლა, — ისევ ჩაერია ზაქარა მჭედელი, — თავათ წარმოიდგინე: ერთბაშად რომ ადგეს მთელი სოფელი, ჯგროდ და დაიძახოს, არ გვინდა მესაქონლეობაო, რას ემგვანება! ჯერ მთავარი საქმე უნდა გაკეთდეს, ეგნატე. რაკი საერთო კრებაზე დავადგინეთ, ყველაფერი გათავებულია ვითამ? არ დაიჯერო. რამდენი ძალთაპირობა მოგველის კიდევ! გადაკეთდება არტელი მევენახეობის კოლმეურნეობად? მაშინ, კი, ბატონო, დავჯდეთ და ვიმსჯელოთ, ვიყოლიოთ თუ არა საყოლებელი. ხელს გვაძლევს? დავიტოვოთ, არა და... ასე არ არის, ელეფთერ?

ელეფთერმა სქელი წარბები აზიდა.

— ისე რომ, ნუ გეშინია... მოიცა! — წამოიძახა ზაქარა მჭედელმა.

სამჭედლოსთან ვიღაც გადმოსდგომოდა ბექს და ისაია ჩუბინიძეს უძახდა.

— რომელია? — უცებ ვერ იცნო ხმა მჭედელმა, — პეპიჩა არ არის, ეგნატე?

— მგონია, კი.

— კომისიის და გამგეობის წევრები თუ ვინმე არის მანდა, უთხარი, ზაქარა, ნავახშმევს კანტორაში მოიყარონ თავი... გაიგონე? — ხაოდა ბექზე გადმომდგარი მიროტაძე.

— კიდევ კრებას აპირებენ? — განცვიფრდა ელეფთერი.

— მოიცადე მანდ, პეტრე, მოიცადე! — ნაბიჯს აუჩქარა ზაქარამ, — ნახე თუ ხელახლა არ უკბინოს ბზიკმა იმ ჩვენს თავმჯდომარეს! შენ რავა ფიქრობ, ეგნატე, რა უნდა იყოს?

— დასწყევლოს გამჩენმა!

პეპიჩას, ალბათ, ეჩქარებოდა. თავად გადმოეშვა შესახვედრად.

— რა იყო, რა ამბავია? — მიაგება ელეფთერმა.

— ყარამანიჩმა თქვა, ნათლია, უსიკვდილოდ მოიყარონ თავი ამაღამ, რა დროც არ უნდა იყოსო.

— მოდის ვინმე თუ?

— ეგ ვეღარ ვკითხე.

„კარგი მამაძაღლი ხარ, რას არ კითხავდი?“ — გაიფიქრა ზაქარამ.

— შენ კიდევ, ეგნატე, ამ წუთში ჩამოდი, ფერმაში ვიქნებით.

— ჩემთან რა უნდა?

— გამონაცვალი ხალათი ენდომება. რა ვიცი მე, რა უნდა! ისაია მეკუბოვე არსად დაგინახავს, ზაქარა? მგონია აქეთ წამოსულა.

ზაქარამ მხრები აიჩეჩა.

— რა ვქნა აპა ახლა! — გრძელი ხელები გადაშალა პეპიჩამ და აღლიანი ნაბიჯებით გაჰქუსლა ნასიმინდარ ყანაში.

— ეგ რაო, აღმასრულებელია? — ჩაიღიმა ზაქარამ.

ელეფთერსაც ღიმილი მოერია.

ეგნატე კვლავ პირმოქურუშებული იდგა და ნასიმინდარ ყანაში მიმავალ მიროტაძეს გაჰყურებდა.

— რას იზამ, დაბრუნდები? — გადმოჰხედა ზაქარამ.

ეგნატემ გაუბედავად შეავლო თვალი ელეფთერს. ზაქარას შეკითხვისათვის ყურადღება არ მიუქცევია. რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა, ღამე მშვიდობისო, ჩაილაპარაკა ორივეს გასაგონად და იმავე ბილიკით, რომლითაც აქეთ მოდიოდნენ, უკან დაბრუნდა.

— უცნაური კაცია, — თქვა ელეფთერმა, როდესაც მარტო დარჩნენ, — გეგონება, ჭიას ვერ გაალვიძებსო.

— ეგნატე? — დინჯად ჩაიცინა ზაქარამ და ფეხი აითრია, — ბევრი გაჭირვება გამოიარა საწყალმა...

— ცოლს რატომ არ ირთავს?

— ვინ იცის. ძნელი სათქმელია. ცხოვრება რომ ერთხელ აგეწეწება, მერე იოლად ვეღარ დაალაგებ შენს ჭკუაზე.

ელეფთერი მიხვდა: მჭედელი თავის სატკივარზე ლაპარაკობდა. მალე გაჩუმდა. წიფელთან ერთმანეთს დაემშვიდობნენ. გულახდილი საუბრის იმტაზე მოსულ ზაქარას უნდოდა შინ შეეწვია კარის მეზობელი, მაგრამ ვერ შეჰბედა, მგლოვიარედ არისო.

ელეფთერი მარტოდმარტო აუყვა ვიწრო ორღობეს.

თავზე წამომდგარ საღამოს სიცივე გაეგდო. ახლადამოვარდნილი ქვენა ქარი კოპიტის გაფოთლილ ჩოჩქებს აშრიალებდა ოლეში.

## თავი მეჩვიდმეტე

— რას უზიხარ, კაცო, აქ? — წამოიძახა გაკვირვებულმა ეგნატემ, როდესაც ფერმის ჩაბნელებულ ეზოში ამაო ხეტიალის შემდეგ სილოსის კოშკებთან იპოვნა თავმჯდომარე.

ბორისი ქვაზე იჯდა. პაპიროსს აბოლებდა. ეგნატე კინაღამ ზედ წაემტვრა.

— ბარუსი! — ხელახლა შეეხმიანა ეგნატე.

— ცოტა ხანს შეგეცადა კიდევ, რას მოიჩქაროდი! — დაგვიანების გამო უსაყვედურა ბორისმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— პეპიჩა ამ წუთში შემხვდა და...

ბორისმა მიიხედ-მოიხედა და როცა დარწმუნდა, მარტო ვართო, ხმადაბლა დაიწყო:

— რისთვის დაგიბარე ახლა აქ, ხომ იცი?

— შენ უკეთ გეცოდინება, — ავმა წინათგრძნობამ გული გაუკენწლა ეგნატეს.

— არ მინდა ვინმემ გაიგოს ჩვენი მოლაპარაკების ამბავი. ერთი რამ უნდა გთხოვო...

— მთხოვო? — მთელი სხეულით დაიძაგრა ეგნატე.

— ჰო, რა გაგიკვირდა! თუ გინდა, სათხოვარსაც ნუ დავარქმევთ. რაც გინდა, ის დაარქვი. ვაჟკაცურად მითხარი, ჯანზე როგორა ხარ?

— ჯანზე? — კიდევ უფრო განცვიფრდა ეგნატე, რადგან სრულებით არ მოელოდა ამგვარ შეკითხვას, — ჩხუბს მიპირებ თუ?

— მე გეკითხები, რამეს ხომ არ უჩივი მეთქი, ხელი გტკიოდა...

— ბარუსი, თუ ძმა იყო, პირდაპირ მოუჭერი, რის თქმა გინდა. ჩემი ხელის ტკივილი შენ როდის გაწუხებდა!

— პირდაპირ მოვჭრა? — დანოტიავებულ მიწას ყუნწამდე დამწვარი პაპიროსი დაასრისა ლოლაძემ, — მოვჭრი პირდაპირ! განცხადება უნდა დაწერო ჩემს სახელზე და უნდა მთხოვო, აწი ფერმას ველარ გავუძღვები, ვინაიდან ჯანმრთელობა ხელს არ მიწყობსთქო. გაიგე?

წამიერი სიჩუმე ჩამოვარდა. სადღაც ძროხამ დაიბღავლა. აშმორებულ ეზოში ვიღაცამ გაიარა ფეხსაცმლის ფლატუნით. მერე კარმა გაიჭრიალა. იორამ ლაბაძე თუ იყო.

— ხომ მოვჭერი! — წელანდელზე უფრო მშვიდად თქვა ბორისმა.

— ძალა შენს ხელშია, — მცირე ხანს კიდევ შეაყოვნა პასუხი ეგნატემ, — როგორც შენ მოგესურვება, ისე იქნება.

— ძალას მოვეშვათ. მე ძალაზე არ გელაპარაკები.

— რათ უნდა ლაპარაკი!

— თანახმა ხარ?

— რატომაც არა, დავწერ. ჩემთვის ახლა სულ ერთია, — რაღაც გადაწყვეტილება მიიღო ერთბაშად ეგნატემ, — ოღონდ ჯანმრთელობას ნუღარ ვახსენებთ, თუ ძმა ხარ. მე არაფერს არ ვუჩივი.

— მაშინ სხვა საბაბი უნდა მოვიგონოთ.

— მოიგონე, აგერ არა ხარ?

— არ მეგონა თუ ასე ადვილად დამთანხმდებოდი, — გამოტყდა ეგნატეს წინდახედული დაყაბულებით კმაყოფილი ბორისი.

— რატომ არ გეგონა, შეკაცო, გამორჩენა მაქვს რამე იმ შენი ფერმიდან თუ?

— არა, მაგრამ... დიდი ხანია მუშაობ.

— ხელფუკუდმართობაში ხომ არ...

— აჰ, მაგას ვინ გკადრებს!

— აბა რა მოხდა, ასე უცებ რაზე გადაწყვიტე ჩემი გათავისუფლება?

— საჭიროა.

— მაინც?

— დღევანდელი კრების შემდეგ შენ ამ თანამდებობისათვის შეუფერებელი ხარ.

— რათა ვითამ?

— მაგას მე მეკითხები? ვისაც თავისი საქმე არ სწამს, ის იმ საქმე ვერ გააკეთებს!

— მერე ვითამ შენ ჩემზე უფრო გწამს არტელის საქმე?

— ნუ დაიწყებ ახლა შენებურად! — ხმას ოდნავ აუწია ბორისმა, — ნურც სიტყვას ამიგდებ ბანზე. შენ ხომ ამბობ, ძროხებს ვემსახურებითო, ხომ ამბობ?

— ვამბობ, მერე?

— ახლაც იმეორებ?

— კიდევაც გავიმეორებ!

— იცი, რომ ეგ პოლიტიკური შეცდომაა?

— თუ ძმა იყო, პოლიტიკით ნუ შე-

მაშინებ. როცა შენ უშარვლოდ დარბოდი სარეცხელაზე, მე მაშინ ვეტანებოდი მაგ პოლიტიკას!

— მითუმეტეს!

— კარგი, ბარუსი, რახან აგრეა საქმე, ვნახოთ! — გატრიალდა ეგნატე და წასვლა დააპირა.

— მოდი აქ, სად მიდიხარ! — მოლბა ბორისი.

— ცხვარი არ დაკლა, ცხვრის ხორცი კი ყოველ წელიწადს მეტი და მეტი. მომეცით, ეს სწორია?

— რომელი ცხვარი, ხომ არაფერი გელანდება!

— ცხვარს თავი დავანებოთ, საძოვარზე ვილაპარაკოთ. საძოვარი და სათიბი თუ კარტოფილის დასათესად გადამახვნევინე, ჯოგი რითღა გავამრავლო, თავმჯდომარე ხარ და მითხარი აგერ!

—თუ ნება დაგვრთეს, იმ კარტოფილის ნათესებს ისევ საძოვრებად და სათიბებად არ გავუშვებთ?

— გაუშვი, ჰე, მარა მეტ საქონელს მეტი მწყემსი ხომ უნდა! ხალხი საიდან მოვიყვანო!

— ეგ პანიკა გღუპავს შენ, ეგნატე. ხალხის მეტი რა არის სოფელში!

— ჰმ, არის?—სიბნელეში სახატოსაკენ გაიშვირა ხელი ეგნატემ, — ინდისხურმა რომ დარგა აქ, ინდისხურმა, თუ იცი, გაიხარებს? მე მგონია, გაიხარებს, გელაპარაკები გაიხარებს! მარა ერთი ეს მითხარი, მოისხამს და დამწიფდება, რავარც სხვაგან? თქვი! არც მოისხამს და არც დამწიფდება! რადგანაც ხარობს და არ ხმება ეს ინდისხურმა, დავრგათ მაინცდამაინც? რათა, შე კაცო, თუ აქ ვაზი ხარობს უკეთესად! ამის თქმა მთავრობის ხელის შეშლა არის, ბარუსი? თორმეტი ქცევა ჩაი ხომ გაქვს ახლა გოგილას ყანაში? ხომ დახარჯე და კიდევ დახარჯავ ასობით შრომადღეს? მოდი აბა და დამანახვე იმ ჩაით მოტანილი სარგებელი! შენ თუ გკითხა კაცმა, გეგმა მომივიდა რაიონიდანო. გეგმა კი, მარა, შენ სადა ხარ. პირი ქვისკენ მიქნია, შე ოხერო, რა ჯანდაბად გინდა მარტო გეგმა, ეგ მოიყვანს მოსავალს? ხალხის მეტი რა არის სოფელშიო, — ისევ ბორისის ნათქვამს დაუბრუნდა თავისივე სიტყვებით გაფიცხებული ეგნატე, — არ არის! აბა კარგად მიათვალ-მოთვალიერე თუ არის? რატომ? ასე თავიანად რომ გვაქვს საქმე დაყენებული, იმიტომ! წავიდა! აღარ მოგიცადა! სხვაგან ნახა უკეთესი შემოსავლიანი ადგილი. რავა გგონია, შენ შემოგაჩერდება?

— არ შემომაჩერდება და საკარმიდამო ნაკვეთს თან ხომ ვერ წაიღებს, ჩამოვაჭრი! — შეაწყვეტინა ბორისმა.

— ჩამოაჭერი! მერე ვინ დაგიმუშავებს?

— შენ მაგას ნუ ჯავრობ! დროს ნუღარ მაკარგვინებ ახლა. ან ასე თქვი და ან ისე: წერ განცხადებას?

— არა! — მტკიცე გადაწყვეტილებით მოუჭრა ეგნატემ.

ბორისი წამოდგა.

— ესე იგი არ წერ!

— არ ვწერ! — გაიმეორა ეგნატემ,— თუ ჩემი გათავისუფლება გინდა, თავმჯდომარე ხარ და შენ იცი. თუ არა და, მე შენთვის არაფერი მითხოვია, არცა გთხოვ!

— არცა მთხოვ... — სიბნელეში თეთრი ეშვები გააელვა ბორისმა.

— ბარუსი... — უკან დაიხია ეგნატემ, — ერთხელ ლაშხისას გითხარი და ახლაც გეუბნები: მომეშვი! მე შენი საზიარო არაფერი მაქვს. ახლაც გამიფრთხილებიხარ ერთხელ და სამუდამოდ!

— წახვალ, მიჩივლებ?

ბოსლის კარმა გაიჭრიალა. ზღურბლზე იორამის ლანდი გამოჩნდა. ეზოში სიჩუმე სუფევდა. მოხუცი ბოსელში შებრუნდა, ანთებული ფანარი გამოიტანა და სილოსის კოშკებისაკენ წამოვიდა.

ბორისი და ეგნატე გაქვავებულებივით იდგნენ. ვერცერთს ველარ მოეხერხებინა ფეხის მონაცვლება.

ამასობაში იორამი მოუახლოვდათ. წელში ყავარჯენივით მოკაკვულს ფანარი თავს ზემოთ აეწია და ცალი თვალი მოეჭუტა.

— რას აკეთებთ, ბოშო, აქ! — უმალვე იცნო დამხვდურები.

— არაფერს, ვლაპარაკობდით, — როგორც იქნა დასძრა ხმა ბორისმა და განზე გამდგარ ეგნატეს მტრული მზერა ესროლა, — აბა კარგი, აგერ მე და აგერ შენ!

— იმე! — განცვიფრდა მოხუცი. სიბნელეში ალალბედზე მიმავალ ბორისს ფანრის შუქი მიაყოლა.

— რავა, ქე შელაპარაკდით თუ? — ახლა ეგნატეს მიუბრუნდა ·იორამი.

ეგნატე კრიჭაშეკრული იდგა. ცახცახებდა.

მოხუცმა სახეზე მოანათა ფანარი.

— ხომ არ შემოუკრავს?

ეგნატემ ამოიოხრა, მიიხედ-მოიხედა, ჩემი ნაბდის ქუდი ხომ არსად დამვარდნიაო, მაგრამ როდესაც ვერ იპოვნა, ხელი ჩაიქნია და თავადაც სიბნელეში შეალაჯა.

სახტად დარჩენილმა იორამმა რაღაც დაუძახა. ალბათ, ფარანს ატანდა. ეგნატეს არ მოუხედნია. ფერმის ღობის გადაღმა, სადაც შემოდგომობით ჩალის ზვინებს დგამდნენ ხოლმე, გზის სიმაგრე ფეხით მოსინჯა და როცა დარწმუნდა, ბილიკიაო, გაჰყვა. წყარომდე ხელების ფათურით მიაღწია. წყლის ჩქრიალის გაგონებაზე წყურვილი იგრძნო. გაიფიქრა, დავლევო, მაგრამ უმალ გაახსენდა, რომ მზის ჩასვლის შემდეგ წყაროზე წყლის დალევა ნაძრახი იყო და გზა განაგრძო. აქედან ორმოცდაათიოდე ნაბიჯი რჩებოდა სამჭედლომდე. სამანქანო გზაზე ელნათურები ბჟუტავდნენ.

„ბიჭოს, ვინ ზის ქვაზე? — გაუელვა ეგნატეს.

ფეხს აუჩქარა. ვეება თეთრი ლოდი, რომელსაც გარკვევით ხედავდა, აქ უხსოვარი დროიდან ეგდო.

„ბორისი თუა. ალბათ, მე მიცდის!“ — კიდევ გაიფიქრა ეგნატემ და სისხლი ყელში მოაწვა. შეხმიანება დააპირა. ენა მაშინვე მუცელში ჩაიგდო — დადარაჯებულმა ლოლაძემ მხდალობა არ შემწამოსო. მხოლოდ მიახლოებისას დარწმუნდა, რომ ლოდზე არავინ იჯდა.

„ფუ!“ — შეუკურთხა ლოდს ეგნატემ.

რის ეშინოდა? ნუთუ მართლა ბორისის ეშინოდა?

ეგნატე მოსალოდნელ სირცხვილს შეეშინებინა. იცოდა, ხელდახელ ვერაფერს დააკლებდა ქედიან ხარივით ღონიერ ლოლაძეს. მეორე დღეს იტყოდნენ, ბორისს ეგნატე სივსივაძე გაულახავსო. ამას ყველა გაიგებდა. ხმა გვანცას ყურამდეც მიაღწევდა. ეგნატე ვერ აიტანდა სიცოცხლის ერთადერთი ნუგეშის თვალში დამცირებას, ვერც სასამართლოში წასვლას იკადრებდა და ჩოყენებული შეურაცხყოფა სისხლით უნდა ეზღვევინებინა გავეშებულ ლოლაძისათვის.

თავით ბოლომდე წარმოიდგინა, რა მოჰყვებოდა ამ ამბავს. მტყუანსა და მართალს ვინღა გაარჩევდა!

ამიტომ მორიდება ჯობდა.

შეევლო ახლა კანტორაში? ეგნატე ერთხანს ყოყმანობდა. ბოლოს ისევ შინ წასვლა გადაწყვიტა.

„ჯანდაბას ყველაფერი! რაკი არ უნდათ, ნუ უნდათ, უსწორმასწორო ქვეყანა მაინც ვის გაუსწორებია! დღეის ამას იქით კრინტსაც აღარ დავძრავ!“ — ვინ იცის, ეს მერამდენედ აფრთხილებდა თავს ეგნატე, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგებოდა, მოთმინება ყოველთვის ღალატობდა და დიდებულ აღთქმას არღვევდა. ბარაქალა კალისტრატე მასწავლებლის ვაჟკაცობას! ამ ხნის მოიყარა და წარბს იხრის თუ? საქმეს კრიჭაში ჩაჰყვება, ღვინს გაალის, სანამ თავის ჭკუაზე არ მოატრიალებს. ბრძოლასაც, ალბათ, ნიჭი უნდა. ეგნატეს არ გამოჰყვა ბრძოლის ნიჭი. ეგდება თავისთვის და იქნება. გულდადებული

შრომით თუ ვერას გახდება, ქე მაინც არაფერს გააფუჭებს...

ეგნატე ამ ფიქრებით სახლამდე მივიდა და ის იყო, ჭიშკრის ურდული უნდა გაეწია, უკანიდან ვიღაც წამოეპარა და მკლავები მოჰხვია.

გვანცა იყო.

ეგნატეს მუხლები აუკანკალდა ნეტარებისაგან და გაირინდა.

ღმერთო, რამოდენაა, მამას ბეჭებამდე წვდება!

— გარეთ რას იყინები, გოგო! — მოუტრიალდა შვილს ეგნატე და საღი ხელი მხარზე გადაჰხვია.

— ცივა? — შესცინა გვანცამ და მამას უფრო მიეკრო.

— ეგ ყელი რას მოგიშიშვლია!

გვანცამ გაუღიმა და ორივე ხელი მკერდზე დაიფარა.

— რამდენჯერ გითხარი: მაგნაირად გულამოჭრილ კაბას თვალით ნუ დამანახვებ!

— მამა, ყველას ამისთანა აცვია და მე რა ვქნა!

— ყველას თუ აცვია, შენ ნუ ჩაიცვამ. არ შემიძლია.

— რატომ, შენ ხომ არ გცივა ჩემს მაგივრად, — მხიარულად იღიმებოდა გვანცა.

ეგნატემ წაუყრუა.

— კანტორაში იყავი?

— ჰო, — უგუნებოდ შეაღო ჭიშკარი ეგნატემ.

— მე რომ მითხრეს, აქ არ არისო?

— წინ დაიხედე, წინ!

— გათავდა?

— ჰო. ეს წალდი ვინ გამოიტანა აქ?! — წალდს ფეხი წამოჰკრა ეგნატემ და აიღო.

— უი, ზურიას დავიწყნია! წნელები მოჭრა...

— რა წნელები? — დერეფანში დაკიდებულ ელნათურის შუქზე ეჭვიანი თვალები მიაპყრო შვილს ეგნატემ.

გვანცა აიმღვრა. თავი ჩაღუნა.

— სამატი ვერ ვიპოვნეთ...

ეგნატემ დაწვრილებით გამოიკითხა ყოველივე. შვილს მდუმარედ უსმენდა და წამიერი ეჭვი, რომელმაც გული გაუსერა, თანდათან ეფანტებოდა.

მაშ სპირიდონი უღონოდ შექნილა და ხათუნა ზესტაფონში წავიდა? ვაითუ მოკვდეს ის საწყალი! რატომ ვერაფერი გაიგო ეგნატემ აქამდე, ჭურში ხომ არ იჯდა!

ზურიას სიმარჯვემ აღტაცება მოჰგვარა. თავადაც არ იწონებდა გულში ხათუნას ნაბიჯს, როცა სახლის დანგრევით შეშინებული კანტორაში გადასახლდა, მაგრამ აბა რა ექნა! მინდელის ქვრივი სათოფეზეც არ მიიკარებდა მის რჩევას. ვინ იცის, პირუტყვივით ამძუნებულმა ლოლაძემ კიდეც აისრულა საწადელი! იმიტომაც ასე უწყობს ხელს, ცივ ნიავს არ აკარებს!

ეგნატე გაბოროტებამ შეიპყრო. ახლა ზიზღს ჰგვრიდა ხათუნას გახსენება. მისი ალეწილი ღაწვები, გლუვი ყელი, ჯიუტად აბურცული ხარბი ტუჩები... რასაკვირველია, ეგნატესათვის არ გაჩენილა ქვეყნად კალოსუბნელი ყანჩაველის ნაპატივები ქალიშვილი, სხვისი იყო და სხვისი იქნება!

ეგნატე მთლად მოეშვა. თავისთავი ეზიზღებოდა. გახდისას კინაღამ ზედ შემოიგლიჯა ტანსაცმელი. უნდოდა რაიმე სტკენოდა, ისე მწვავედ სტკენოდა, თავადვე დამტკბარიყო საკუთარი ტკივილით.

ლოგინზე გულაღმა დაწვა და თვალები ჭერს მიაშტერა. ვინ იცის, რამდენ ხანს იწოლებოდა ასე, გაუნძრევლად, გვანცას თავშეკავებული სლუკუნი რომ არ გაეგონა.

გვანცა მეზობელ ოთახში იწვა. საბანი, ალბათ, ჩვეულებისამებრ თავზე წაეხურა, მაგრამ ეგნატეს მახვილ სმენას მაინც არ გამოჰპარვია შვილის ხმა.

„რა მოუვიდა?“ — გაიფიქრა ეგნატემ და წამოჯდა. მიხვდა: ასე უხეშად არასოდეს არ მოჰქცეოდა მამის ალერსში გაზრდილ გვანცას. შეეცოდა ბავშვი. მაშინვე ადგა და საცვლების ამარა გავიდა მეორე ოთახში.

— გვანცა! გვანცა, შვილო! — დაიძახა ჩურჩულით.

გოგონა გაიტრუნა. სუნთქვა შეიგუბა. მამის ყურადღებით გულაჩვილებულს ქვითინი მაინც წასკდა.

ეგნატე საწოლზე ჩამოჯდა, იქ, სადაც გვანცას თავი უნდა ყოფილიყო. გვანცა ჯიუტად ებღაუჭებოდა საბნის კიდეებს.

— რა გატირებს, გოგო? — წამოიძახა ეგნატემ, — რა გატირებს, მამა, აღარ იტყვი?

ბევრი ეხვეწა, ბევრი ემუდარა. გვანცამ პასუხიც არ აღირსა. იქნებ სწადდა კიდეც რაიმე ეთქვა, მაგრამ ცრემლებს ვერ მოჰრეოდა.

ეგნატეს უნდოდა მტირალი გოგონა საბნიანად ხელში აეყვანა, გულზე მიეხუტებინა და გვერდზე მოეწვინა, როგორც პატარაობისას იწვენდა ხოლმე. ვერ გაბედა, აგერ მეორე წელიწადი იყო, რაც გვანცა მამასთან აღარ იძინებდა. მამასა და შვილს შორის თანდათან დგებოდა რაღაც იდუმალი, გადაულახავი ზღუდე, დღეს-დღეობით ეგნატეს უჭირდა დანამდვილებით გაეგო, რა ხდებოდა იმ ზღუდის იქით და ეს სტანჯავდა...

ნაშუაღამევს გვანცას ჩაეძინა. ეგნატემ დააყურა, ხომ არ მატყუებსო.

გოგონა მშვიდად, თანაბრად სუნთქავდა, მხოლოდ ძილში წამოიკვნესებდა ხოლმე.

„რა ეღირება ჩემი სიცოცხლე, ეს რომ არ მყავდეს! — გაიფიქრა ეგნატემ, — მაშინ ვაჟბატონ ლოლაძეს ამდენს შევარჩენდი?“

წამოდგა, გვანცას სასთუმალზე გადაიხარა და ბალიშს ფრთხილად შეახო ხელი. ბალიში სველი იყო. უნდოდა გადაებრუნებინა ან სხვა ბალიში გამოეტანა. შეეშინდა, ბავშვს ისევ არ გაეღვიძოსო. ტანზე შემოტმასნილი და კისერთან ჩაკუჭული საბანი მაინც გაუსწორა, მერე შემპარავი ნაბიჯით გავიდა ჯერ კიდევ მოუთავებელ აივანზე.

ცას მოეწმინდა, ქარიც ჩამდგარიყო. ეგნატემ ღამის გრილი ჰაერი ჩაისუნთქა და იგრძნო, ძილი მოჰრეოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## . თავი მეთვრამეტე

ზესტაფონის სადგურის ბაქანი ხალხით გაჭედილიყო. ხათუნა გაჭირვებით მიიკვლევდა გზას გასასვლელისაკენ. ირგვლივ ხალხი ქოთქოთებდა. ვინ ვის ეძახდა, ვინ ვის უცინოდა, ტკრციალებდა, ხვიხვინებდა, როხროხებდა. ხათუნამ ორჯერ მოიხედა უკან, რადგან ორჯერვე თავისი სახელი მოესმა. იქნებ დახვდა ვინმე? იმედი გაუცრუვდა. ამ ზღვა ხალხში ერთი ნაცნობიც არ ერია, ვინც ხმას გასცემდა და სანუგეშო სიტყვას ეტყოდა.

„ალბათ, ცუდად არის საქმე, — გაიფიქრა ხათუნამ, — ჩემს დასახვედრად ვიღას სცალია!“

ამ მწარე ფიქრებში იყო, როდესაც რესტორნის კარის წინ გავლისას ვიღაც წამოეწია და ხელში ხელი ჩაავლო.

— უი, პაპუნა ბიძია! — ცივად წამოიძახა ქალმა.

პაპუნას ვაგონის ფანჯარაში დაენახა ხათუნა. მაშინვე კიბისთვის მიეშურებინა, მაგრამ იქამდე ხალხს აღარ მიეშვა და ახლა, აი, როგორც იქნა, წამოსწეოდა...

ხათუნა დაბნეული უსმენდა ბერიკაცის იწილო-ბიწილოს. უკვირდა, რისთვის აჭიანურებდა მოხუცი ამ უმნიშვნელო ამბავს და მთავარს არეუბნებოდა.

— სული უდგია? მითხარი! — ველარ მოითმინა ქალმა.

პაპუნა, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, გამოერკვა. ხათუნა ორივე ხელით ჩაჰფრენოდა მის მკლავს. თვალებით მოხუცის თვალებს ეძებდა.

— რამ გადაგრია, ცოცხალია, კარგად არის... — მშვიდად თქვა პაპუნამ და მუშამბაგადატყავებულ ჩემოდანს დასწვდა.

— მართალი მითხარი, ბიძია, სულ

ბიბლიოთეკა

ერთია, ხომ მაინც გავიგებ! — შეევედრა ქალი.

— მართალს გეუბნები, მეტი რა ვქნა! — წელში ოდნავ გაიზნიქა პაპუნა, თან თავისუფალი ხელი ხათუნას მოჰხვია, — გამოდი, გამოდი, რამ გადარია დღეს ეს ხალხი...

„არ ამბობს! არ უნდა ცუდი ამბავი მომახაროს! — ჯიუტაად ფიქრობდა ხათუნა და ბერიკაცის მკლავს მინდობილი ლასლასით მიიწევდა გასასვლელისაკენ, — მამა ცოცხალი აღარ არის, ეს კი არ მეუბნება...“

— დაიღალე? — ჩაჰკითხა პაპუნამ, — თუ გინდა, ჩამოვჯდეთ სადმე.

ქალს არ უპასუხნია, მხოლოდ მორჩილად მოჰყვებოდა.

მოედანზე გამოვიდნენ.

ბერიკაცი მიხვდა, ხათუნა კიდევ ეჭვობდა, არ სჯეროდა ავადმყოფის გამომჯობინება და მაშინვე ალაპარაკდა, რათა ყველაფერს დაწვრილებით მოჰყოლოდა. საქმე კი ასე ყოფილიყო: თურმე კოლმეურნეობის საწყობიდან სათესლე სიმინდი გამოჰქონდათ ტომრებით და მინდორში მიმავალ მანქანას ტვირთავდნენ. ხუთ-ექვს ფუთიან ტომარას ერთი კაცი ხომ ვერ ასწევდა. ორ-ორი კაცი ეზიდებოდა და მესამის დახმარებით დებდა ძარაზე. ხალხი არ ჰყოფნიდათ. მანქანა ცდებოდა. სპირიდონს მარტოდმარტო წამოეკიდა ტომარა და მანქანასთან მიეტანა...

— რას იკლავ, შე ოხერო, თავს, — ჩაურთო ამის გახსენებაზე პაპუნამ, — პრასი ხომ არა ხარ, ხელახლა ამოხვიდე!

მერე, სამი თუ ოთხი ტომარა რომ გამოეტანა, ჩასწყვეტოდა, მტრის და ავისას, გულ-გვამში რაღაცა...

ხათუნამ ბაგე მოიკვნიტა.

— რაღას ვიზამდით! — ქალის შეწუხებას ყურადღება აღარ მიაქცია პაპუნამ და განაგრძო, — დავაწვინეთ ეგ შერცხვენილი ტომრებზე და მივვარდით საავადმყოფოში. აღარ გვეგონა, თუ კიდევ მოიხედავდა...

— გონზე იყო?

— გაჩუმდი, რა გატირებს, ისეთი არაფერია და უჭირს!

— ბიძია, მართალი მითხარი... ცოცხალია?

— იჰ! — ხელი ჩაიქნია პაპუნამ.

ისინი ქუჩაში იყვნენ. ახლომახლო ხალხი მიდი-მოდიოდა, ზოგი ყურადღებას აქცევდა ატირებულ ქალს, კისერს იღრეჯდა.

პაპუნამ მახლობელ ეზოში შეუხვია. ვიღაცას ჭიქა გამოართვა და ხათუნას წყალი დაალევინა.

ღონემიხდილი ხათუნა იქვე, ონკანთან ჩამოჯდა, ხის სკამლოგინზე. თუმცა თავის მშვიდად დაჭერას ლამობდა, ცრემლები მაინც ღაპაღუპით ჩამოსდიოდა და მთელ სახეს უსველებდა.

პაპუნამ წამოაყენა. შვილები დააფიცა, ეგ ცრემლი აღარ დავინახო, ვიღაცას რაღაცა ეგონებაო.

— რა ვქნა... აღარ შემიძლია... — შესჩივლა ქალმა.

— სატირალი შენს დამაწყევარს ნუ მოაკლოს ღმერთმა. გაჩუმდი ახლა.

— აქეთ საით მიგყევარ?

— საავადმყოფოში.

— იქ წევს თუ? ვაიმე...

— მაგას ჩივი შენ?

ხათუნამ თავი ჩაღუნა. ტირილის შესამაგრებლად მთელი სხეულით დაიძაბა და სანამ საავადმყოფომდე მიაღწევდნენ, ხმა აღარ ამოუღია. აქ ერთი წუთით დასტოვა პაპუნამ, თვითონ კი საავადმყოფოს რკინის ჭიშკარში შევიდა.

ხათუნა გულის კანკალით მოელოდა მოხუცის დაბრუნებას.

„საწყალი დედა, შიშით არ გადაირეოდა? — ჩურჩულებდა თავისთვის, — როგორ წყევლიდა და აქვავებდა, ახლა კი...“

პაპუნა მოვიდა, ქალი ეზოში შეიყვანა და იქ მწვანედ შეღებილ სკამზე დასვა, გაფოთლილი აკაციის ჩრდილში.

— რაიო, არ გვიშვებენ? — ჩურჩულით იკითხა ხათუნამ.

— ხალათები არ გვაქვსო. ვინმე მნა-

ხველი გამოვა და მერე ჩვენ შეგვიშვებენ.

ხათუნას მოთმინების ფიალა აევსო. საყვედური მაინც არ დასცდენია. სახე ხელებში წარგო.

ათიოდე წუთს ისხდნენ.

დროდადრო თეთრხალათიანი სანიტრები გაივლიდნენ ასფალტით მოგებულ უსწორმასწორო ეზოში. ზოგს დაკეცილი საკაცე გაედო მხარზე, ზოგი რგოლზე ასხმულ ბრჭყვიალა გასაღებებს მიაჩხრიალებდა.

ხათუნას ყოველთვის ძრწოლვას ჰგვრიდა თეთრი ხალათის დანახვა. თეთრი ხალათი უბედურების მაცნედ ეჩვენებოდა. ახლაც ძველებურად აშინებდა თეთრი ხალათები, თუმცა იცოდა — შემოჩვეული შიში ცრუ რწმენა იყო.

„თუ მართლა მომჯობინებულია, დღესვე შევეხვეწები ექიმს და საავადმყოფოდან გამოვაწერინებ. შინ უკეთ მოვუვლით“, — ფიქრობდა ქალი.

პაპუნამ ყალიონი გააწყო, ბენზინის ასანთი გააჩხაკუნა და მოუკიდა.

ხათუნას თამბაქოს სუნი ეცა. თავი ასწია, რათა მყრალი ბოლისათვის სახე მოერიდებინა.

პაპუნას არ შეუმჩნევია თუ ქალს ბოლი აწუხებდა. ასე ნაგვიანევად ბავშვების ამბავი ჰკითხა.

ხათუნას პატარები გაახსენდა, პაპუნას მოკლედ უპასუხა, გმადლობთ, არა უშავთ რაო და წუთით შვილებთან გადასახლდა.

ამ დროს საავადმყოფოს კარში ვიღაც თეთრხალათიანი გამოჩნდა და პირდაპირ მწვანე სკამისაკენ წამოვიდა.

ხათუნა შეკრთა. თეთრხალათიანი ერთბაშად იცნო და მოულოდნელობისაგან კინაღამ შეჰკივლა.

— გამარჯობა, ხათუნა! — მიესალმა ქალს მოსული, რომელიც ხათუნაზე არანაკლებ აღელვებული ჩანდა და ხელი გაუწოდა.

ქალი ანაზდეულად წამოდგა.

— ნუ გეშინია, მამა ახლა კარგად არის, — თვალებში ჩააცქერდა მამაკაცი.

ხათუნას სიწითლემ გადაჰკრა, გაისუსა.

მამაკაცმა თეთრი ხალათი გაიხადა. ხათუნას გაუწოდა.

— აჰა, ჩაიცვი!

„შინაურულადაც მელაპარაკება!“ — სახე უფრო შეეკრა ხათუნას.

— მეორე ხალათი არ არის? — იკითხა უცებ, ანგარიშმიუცემლად და ცივმა ოფლმა დაასხა.

— თუ იქნა, დავიცდით.

ხათუნა განზე გადგა, მამაკაცებს ზურგი შეაქცია, ხალათი გადაიცვა და თითქმის სირბილით შევარდა საავადმყოფოს ღია კარში.

— რას შვრება? — ამოჰხედა პირით იმ კარისაკენ შებრუნებულ პორფილე ჩინჩალაძეს თუთუნის კვამლში გახვეულმა პაპუნამ და გვერდზე გაიწია, რათა ისედაც გრძელ სკამზე, რომელზედაც ხუთი კაცი მაინც დაეტეოდა, მისთვის ადგილი დაეთმო.

— სისხლი ამოუღეს, — ყრუდ წაილაპარაკა პორფილემ და დაჯდა.

— გაჭრეს?

— არა, ნემსით.

— ზღვას გადოურჩა და კიღამ წვეთმა არ გადეიყოლა თან?

— აბა!

— რა იყო მაინც?

— სისხლის კაპილარებმა უმტყუვნეს.

— ახლა რაიო?

— ამოუღეს სისხლი. გაბერილი იყო საწყალი.

— საიდან ეს სისხლი, რანაირად?

— აპერაციის დროს, ხომ კაპილარებს არ კერავენ.

— კაპილარები რაღა ეშმაკია?

— წვრილ-წვრილი ძარღვები. სისხლი გადის შიგ.

— რის მოხელეები არიან, რატომ არ კერავენ!

— წვრილ ძარღვებში სისხლი თავისით დედდებაო.

— მერე მაგას არ შეუდედდა?

— ახალგაზრდა რომ იყოს..

— დასწყევლოს ჩემმა გამჩენმა! სიცხე დაუვარდა?

პორფილემ პასუხი აღარ გასცა. თვალმოუშორებლივ მისჩერებოდა საავადმყოფოს შესავალ კარს, სადაც ორიოდე წამის წინ ხატუნა მიიმალა.

ხატუნამ სულმოუთქმელად აათავა კიბე. თავბრუ ესხმოდა. თვალები უჭრელდებოდა. მესამე სართულის გრძელი და ვიწრო დერეფანი ზომაზე მეტად ჩაბნელებული ეჩვენა. ძლივსძლივობით არჩევდა თუნუქის მრგვალ ფირფიტებზე გამოყვანილ ნომრებს, რომლებიც ყოველი კარის თავზე მიემაგრებინათ.

„აი, ეს არის! — გაიფიქრა და შეჩერდა, — დავაკაკუნო?“

კარს ფრთხილად მიაწვა. პალატაში ბნელოდა.

ხატუნას ხელახლა შეეშინდა. კარი გაბედულად შეაღო.

კუთხეში ერთადერთი თეთრი საწოლი მოჩანდა. ფარდებჩამოშვებულ ფანჯარასთან, საიდანაც სუსტად იჭრებოდა მზის სინათლე, ვიღაც იჯდა. ის ვიღაც ადგა. ხატუნასაკენ წამოვიდა.

— დედა! — წაიჩურჩულა ხატუნამ, როცა ერთმანეთს დაუახლოვდნენ.

ბაიყუშივით გაოგნებულმა ეკამ ახლაღა იცნო ქალიშვილი. ერთმანეთს გადაეხვივნენ.

— ცოცხალია? — ხმის კანკალით იკითხა ხატუნამ.

— ჩაეძინა.

ეკა ფანჯარას მივარდა. ფარდის ყური გადასწია. ოთახი მსწრაფლ განათდა. დედამ და შვილმა ერთმანეთი დაინახეს.

— ძინავს... — წაიჩურჩულა ხატუნამ და მამის გაცრეცილ, ჯაგარწამოზრდილ სახეს ხარბად დააცქერდა.

— გარეთ გავიდეთ.. — წაიჩურჩულა ეკამ.

ხატუნა ფრთხილად ჩამოჯდა საწოლის კიდეზე. თვალს არ აშორებდა მამას.

აჩხაბაჩხა ჭაღარა წვერი, რომელიც ხშირი პარსვისაგან ისე უუხეშდებათ მამაკაცებს, სპირიდონს შიგადაშიგ გაჰყვითლებოდა. გაყვითლებული ჭაღარა რაღაც არაამქვეყნიურ იერს აძლევდა გულაღმა მწოლარე ბერიკაცის სახეს. დიდრონი, ჭორფლიანი ყურები უცნაურად გაშეშებოდა. ხატუნას წინათ არასოდეს არ შეუნიშნავს თუ მამას ასე დიდი და ულამაზო ყურები ჰქონდა. ჭორფლიანი მარჯვენა ხელი, დაბუქებული და ტყვიასავით მძიმე, საბანზე შემოედო სპირიდონს. ეს შავკვიმატებიანი, ალაგ-ალაგ დახეთქილი ხელი ხატუნას გალურჯებული და უსიცოცხლო მოეჩვენა. ავადმყოფი ძლივს გასაგონად სუნთქავდა.

ხატუნამ ვერ მოითმინა: ხელით შეეხო მამის ჭორფლიან ხელს. გრილი იყო.

როდესაც ეკას დაყინებული თხოვნით ორივე დერეფანში გამოვიდა, ხატუნას კვლავ მამის გაცრეცილი სახე უდგა თვალწინ.

„ახლა, ალბათ, აღარ მოკვდება, — თავისდა უნებურად ფიქრში ამ სიტყვას ხმარობდა იგი, — რადგანაც ექიმების ხელშია, აღარაფერს გაუჭირვებენ!“

ეკამ მყუდრო ალაგი მოძებნა დერეფანში, შვილი დასვა, თვითონაც გვერდით მიუჯდა და მისი მხურვალე, ტკბილი ხელები კალთაში ჩაიწყო.

საამბობი ბევრი რამ ჰქონდათ. დაწყება ორივეს უჭირდა. შეუჩვეველი, უცხო გარემო ერთმანეთის მიმართაც აუცხოვებდა დედა-შვილს. ალერსს სითბო აკლდა, სიტყვას — გულწრფელობა. ახლომახლო ვერავის ამჩნევდნენ, მაგრამ ორივე გრძნობდა: ირგვლივ ხალხი იყო, უცხო ხალხი...

ხატუნამ რამდენჯერმე დააპირა წამოდგომა, რათა ფანჯრიდან გადაეხადა და დაენახა „ის წავიდა თუ ისევ იქა ზის,“ მაგრამ მისი ორივე ხელი დედას ეჭირა.

„ალბათ, არ წავიდოდა. მე დამიცდის..“

უკვირდა, რომ ეს ფიქრი ადრინდელი გაბოროტების ნაცვლად ახლა თბილად ეღვრებოდა გულში და ნამალევი ნეტარების აკრძალულ ჟრუანტელს ჰგვრიდა.

„ნამდვილად ჩემს ჭკუაზე აღარა ვარ, — შფოთავდა ხათუნა, — აბა რა მემართება?“

მართლაც საკვირველი რამ იყო: პორფილე ჩინჩალაძის სახის წარმოდგენა აქამდე ზიზღს ჰგვრიდა, აცოფებდა. მისდამი შეურიგებელი სიძულვილი არასოდეს არ დაუმალავს. რის მოთმინება ჰქონდა ამ კაცს? ნუთუ არ ესმოდა, რომ ხათუნას გაყინული გული არასოდეს არ გალხვებოდა?

ხათუნა ქალი იყო. ნუთუ არ შეიძლებოდა, ვინმე მოსწონებოდა ამ ხნის განმავლობაში? იქნებ კიდეც არის ეს „ვინმე“, პორფილე ჩინჩალაძემ რა იცის! მაინც არ ეშვება, მაინც ჩასციებია!

ხათუნა გაწამდა. არ უნდოდა ეფიქრა ამ ამბის გარშემო.

„მამა სულთმობრძავია!“ — უნერგავდა თავისთავს.

„იქნებ ასეც უნდა იყოს, სადაც ნამდვილი სიყვარულია, იქნებ მართლა ვუყვარვარ?“ — ეძალებოდა აკვიატებული ფიქრი.

ხელები გაითავისუფლა, თმა შეისწორა და თითქოს იმით შეშინებულმა, დედამ არაფერი შემატყოსო, ზეზე წამოდგა.

— სად მიდიხარ, შვილო? — ამოჰხედა ეკამ.

— აქ დამიცადე, ამ წუთში მოვალ, — მიუგო ხათუნამ და ფეხაკრეფით გაემართა მამის პალატისაკენ, რომლის ფანჯარაც მგონი ეზოს გადაჰყურებდა.

— მიშველე, არ გააღვიძო! — მოაძახა დედამ.

ხათუნამ პალატას გაუარა. დერეფნის ბოლოში გავიდა. იქაურობას თვალი მოავლო და საბაზანოს კარს მიაწვა.

საბაზანოს სარკმელიდან ეზოს ნახევარი და რკინის ჭიშკარი მოჩანდა.

აი, თუ არა! აკაციის ჩრდილში ისევ ისხდნენ პაპუნა ყანჩაველი და პორფილე ჩინჩალაძე.

— იპოვნე? — ჰკითხა ეკამ შვილს, როცა ეს უკანასკნელი დაბრუნდა და თავის ადგილზე დაჯდა.

— დედა, — თვალი თვალში გაუყარა ხათუნამ, — პორფილე ჩინჩალაძეს რა უნდა აქ?

ეკა აიბნა. ალბათ, ამგვარ პირდაპირ შეკითხვას არ მოელოდა.

„სად ეშმაკში ნახა!“ — გაიფიქრა, ის კი აღარ ახსოვდა, რომ პორფილე სწორედ ხათუნას შემოსვლის წინ გავიდა პალატიდან. თავის მართლება დააპირა, მაგრამ ხათუნამ სეტყვასავით მიაყარა:

— რით ვერ შეიგნეთ: მაგის დანახვას სიკვდილი მიჯობს! რისთვის დამახვედრეთ აქ, ბოლოსდაბოლოს აღარ უნდა გათავდეს ეს ამბავი?

ეკამ იძალა, შვილის ხელები ისევ კალთაში ჩაილაგა და შეევედრა ხათუნას, ჩუმად ილაპარაკეო.

ხათუნა მაინც არ ცხრებოდა. უფრო თავისთავზე იყო გულმოსული, მაგრამ ყველაფერს მშობლებს აბრალებდა.

— დაწყნარდი, შვილო, — ჩურჩულებდა ეკა, — შენ ხომ არაფერს გეუბნებით. რაც იყო, იყო.

— რა „იყო“, დედა, რა, ეგ კაცი მე ერთხელ და სამუდამოდ ჩამოვიცილე, მორჩა და გათავდა! — თავს ირწმუნებდა ხათუნა, — ხელახლა დააწყებინეთ წანწალი? სირცხვილი მაინც სად დაკარგა!

— ნუ გადაირევი ახლა! — დიდი ხნის მივიწყებული სიმხნევე მიემატა ეკას ხმას, — წყალში ხომ ვერ ჩავუყრით კაცს პატივისცემას!

— რას? — ახლა კი მართლა აპილპილდა ხათუნა.

ეკას სხვა გზა აღარა ჰქონდა — ყველაფერი უნდა ეთქვა. ისიც ადგა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოუყვა შვილს, რაც მომხდარიყო. ჩინჩალაძეს დიდი ამაგი დაედო სპირიდონისათვის. თუარ პორფილე, ვინ იცის, რა უბედურება

დატრიალდებოდა. აქაურ ექიმებს ხელი აღოთ ავადმყოფზე. ამის გამჭრელი კაცი არ არის ზესტაფონშიო; ან გაჭრა რის მაქნისია, სულ ერთია, ვერ გადაიტანსო...

— რატომ არ შემატყობინეთ!.. — აღმოხდა ხათუნას.

— ვიღას ჰქონდა, დედა, მაგის თავი, — ჰყვებოდა ეკა, — მე უბედურს გვიან გამაგებინეს. დაღამდა — კაცი არ არის. მივაკითხე საწყობში. იმისთანა შენს მტერს! ჩამოვასკდი. იმ დღეს არაფერი: ნაშუაღამევს პაპუნას გადაეწყვიტა ქუთაისს წასვლა. ვითამ იქიდან ამოვიყვან ექიმსო, მარა ამხელა გზაზე ვინ წამოგვყვება! პორფილე ენახა სადგურში. ეთქვა, ასე და ასე არის ჩვენი საქმეო. ძალიან შეწუხებულიყო. თუარა, კითხე პაპუნას. მაშინათვე გამოეყვანა მანქანა, მოეჯინა პაპუნა გვერდში და, ღმერთმა დიდი დღე მისცეს და ი პაწია გოგო გაუზარდოს, გამთენიისას ექიმი მოგვაყენა კარზე. სულზე მოუსწრეს უბედურს. ამისთანა სიკეთე გვიქნა, დედა. მტერი იყოს თუ გინდა. გაჭირვებაში მოგვეხმარა. ვკრათ ხელი?

ხათუნა გაშტერებულიყო. თავი ჩაეღუნა.

— მამამ გაიგო? — იკითხა მცირე დუმილის შემდეგ.

— გაიგო, აბა არ გაიგო? მამას ერთ წუთსაც არ დაუკარგავს გონი.

— მერე რა თქვა? — ახლა მთლად უაზროდ მიმართა დედას არეულ ფიქრებში გახლართულმა ხათუნამ.

— რას ეტყოდა. დიდი მადლიერი დაურჩა. დღესაც მაგ მარჯვენაგასახარელმა ამოიყვანა ექიმი. ორი საათის წასულიც არ იქნება. ასეა, დედა, ჩვენი საქმე. თუ ხათრი გაქვს, ურიგოს ნურაფერს კადრებ. კაცი კაცს დაეხმარა, რა ვუყოთ მერე. ჩვენ ცოტას დავხმარებივართ? შავ დღეში ჩავარდნილი იქნება მოსისხლე მტერიც ქე შეგეცოდოს. აბა? ასეა, შვილო...

ხათუნას ცრემლი მოეძალა და რათა სისუსტე არ გაეცა, ნაცემი ბალღივით მოიკუნტა და დედას შუბლით მიეხუტა მკერდზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თავი მეცხრამეტე

დერეფანში მომვლელმა ქალმა გამოიარა და ეკას წასჩურჩულა:

—ბიცოლა, თქვენმა ავადმყოფმა გაიღვიძა.

ხათუნა უმალ გასწორდა სკამზე. ნამტირალევმა დედას შეხედა, თითქოს უნდა ჰკითხოს, ახლა როგორღა მოვიქცეო. ადგა, წამოხურული თეთრი ხალათის სახელოთი, რომელიც სავსე თეძოზე სცემდა, ცრემლი მოიწმინდა და ეკასათვის აღარ დაუცდია, მამის პალატისაკენ ისე გაეშურა.

სპირიდონი განცალკევებულ პალატაში იწვა. ალბათ, ესეც პორფილე ჩინჩალაძის შემწეობა იყო. რომელსაც ხათუნა შევიდა, ავადმყოფს თვალები დახუჭული ჰქონდა, მაგრამ როგორც კი ფეხის ხმა მოესმა, მაშინვე გამოახილა.

ხათუნა შესდგა. მამას უყურებდა. მამაც უყურებდა თავის უარმყოფელ ქალიშვილს. ახლა არ იყო ძველი უსიამოვნების გახსენების დრო.

ხათუნას ღიმილი მოეფინა სახეზე. საწოლთან მიირბინა.

გამოძინების შემდეგ ოდნავ მოფერიანებულმა სპირიდონმა ჯაგრიანი ლოყა მიუშვირა საკოცნელად, ძველებურად მწყრალი თვალებით კი ისე შემოჰყურებდა, თითქოსდა არაფერიც არ მომხდარაო.

ხათუნა მკერდით დაეყრდნო მამის ხმელ მკერდს და მოხუცს დედობრივი სიყვარულით ჰკითხა:

— გული აღარ მოგდის ჩემზე?

სპირიდონი თვალმოუშორებლივ შემოჰყურებდა თვალებში. ხათუნას მოხუცის თვალები ეუბნებოდნენ, რარიგ აღმერთებდა მამა.

— როგორა ხარ? — კიდევ ჰკითხა ხათუნამ.

სპირიდონმა ჯაგარა წარბები აზიდა და თავი შეაქანა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ავადმოფი ახლა უკეთ იყო.

— ბიჭები რა უყავი? — დაიხრიალა ბოლოს სპირიდონმა და ჩააჩველა, — არ წამოგიყვანია?

— უცებ წამოვედი, მამა, — მოიბოდიშა მშობლის სიყვარულით განმსჭვალულმა ხათუნამ, — პაპუნას დეპეშა მომივიდა.

სპირიდონმა ამოიკვნესა და გაჩუმდა. ეტყობოდა, ძალზე უღონოდ იყო. ხათუნას სიახლოვე სიამოვნებდა. სიამოვნებდა შუბლზე შემოდებული მისი ხელის სითბო. თვალები მილულა და გაიტრუნა.

— ხომ არ გაწუხებ, მამა? — ყურში ჩასჩურჩულა ხათუნამ.

— არა, იყავი.

— კიდევ გეძინება?

სპირიდონმა თვალებგაუხელლად შეაქანა თავი და იკითხა:

— რა დროა ახლა, ექიმი წავიდა?

— წასულა. დროს თუ გინდა ზუსტად გაგიგებ.

— არ მინდა. იჯექი. შენი ამბავი მომიყევი.

— რა მოგიყვე, ვცხოვრობთ ისე...

— ხომ არავინ გაწუხებს?

— არა, რას ამბობ, მამა!

— არტელში მუშაობ?

— არა, საბავშო ბაღის გამგედ დამნიშნეს...

სპირიდონს ესიამოვნა შვილის პასუხი. ხელახლა ჩაჩუმდა. ხიხინით სუნთქავდა. ხანგამოშვებით მკერდი უცნაურად ებერებოდა.

— მამა, ებე მოკვდა, იცი? — უცებ მოაგონდა ხათუნას.

— ვინ ებე?

— ამბერკი ლაშხის ქვრივი. გახსოვს? შენ ხშირადახსენებდი ხოლმე.

— უჰ, — ეწყინა სპირიდონს, — აქამდე ცოცხალი იყო?

— იმ ხუთშაბათს დავმარხეთ.

— დარჩა ვინმე?

— კი, როგორ არა, შვილი, რძალი...

— მახსოვს... ქალაქს სწავლობდა.

— ჩვენებურებმა მოგიკითხეს, — მცირე დუმილის შემდეგ კიდევ მოიგონა სათქმელი ხათუნამ.

— სახლი შეაკეთე?

— ჯერ ვერა, ამ ზაფხულზე ვაპირებ...

— აბა სად ცხოვრობ?

— სად, სახლში! — ორაზროვანად იცრუა ხათუნამ.

— ბიჭები გაიზარდნენ?

— ზურია აქამდე მწვდება! — მხარზე დაიხედა ხათუნმა და გაიღიმა, — მეხმარება, მამა, იცი, რანაირად? სულ შენ გგავს!

სპირიდონმა ჩააჩველა. შვილის სიტყვები სასიამოვნოდ მოხვდა გულზე.

— მჭედელთან მყავს, შეგირდად, თან საღამოს სკოლაში სწავლობს, — განაგრძო ხათუნამ, — ამ შემოდგომაზე, თუ ხელი მოვიმართეთ, ძროხა მინდა ვიყიდო.

სპირიდონმა წაუყრუა. სხვა საფიქრალში გადავარდა.

ეკამ, რომელიც ამდენ ხანს გარეთ ყოფილიყო, რათა ნაჩხუბარ მამა-შვილისათვის თავისუფლად ლაპარაკის საშუალება მიეცა, დრო შეურჩია და სიჩუმე ჩამოვარდა თუ არა, ოთახში უხმაუროდ შემოვიდა.

— ვინ არის? — თვალები გაახილა სპირიდონმა.

ხათუნამ კარისაკენ მიიხედა. ეკა თავს წამოსდგომოდათ.

— რავა ხარ, შე უბედურო?

— ბოვშს აჭამე რამე? — იკითხა პასუხად სპირიდონმა.

— ამას?

— აბა რომელი ბოვში გყავს კიდევ!

— რას ვაჭმევდი აქანა, რა მაქვს! მოგშივდა, დედა, ხათუნა? ჭადი და ჭყინტლი ყველია აგერ. დილას პაპუნას პელომ შემოიტანა...

— შენც ჭამ? — ჰკითხა მამას ხათუნამ.

— აჰ, არა, დედა! — შეიცხადა ეკამ, — მაგას ქათმის ნახარშს ვასმევ. პურსაც

შიგ ვულბობ. ექიმებმა სათითაოდ გამაფრთხილეს, არამც და არამც არ გაბედოთო.

— მაშ არც მე მინდა.

— ნუკი გაჟინდები, წადი ახლა სახლში, აქ რას გამიკეთებ!—უჩვეულოდ გაუთბა ხმა სპირიდონს, — დილას ისევე ჩამოდი თუ გინდა.

— დედა წავიდეს. ამაღამ მე დავრჩები შენთან.

— წადი, წადი, შენ უფრო ცოდვა ხარ, ამას რა უჭირს!

—,აბა, შეღამდება თუ არა, ჩამოვალ.

— ოჰ, — ბევრმა ლაპარაკმა მოღალა სპირიდონი. ჭორფლიანი ხელის ძიგძიგით მხარზე საბანი წაიფარა და თვალები ისევ დახუჭა.

## თავი მეოცე

ხათუნა ფეხის წვერებზე გავიდა ოთახიდან. ვინ იყო ახლა ქვეყნად ხათუნაზე უბედნიერესი! ძნელად თუ ვინმე იქნებოდა. ხარბად სუნთქავდა. მისი განათებული თვალები ბალღურ კმაყოფილებას აევსო· მიდიოდა კი არა, მიფრინავდა. ამ წუთს ყველა და ყველაფერი თავის კეთილისმყოფელად ეჩვენებოდა ხათუნას. ეჩვენებოდა, რომ გრძელ დერეფანში მოსეირნე ცნობისმოყვარე ავადმყოფებსაც ესმოდათ მისი სიხარული და გულითადი ღიმილით თანაუგრძნობდნენ. დაავიწყდა წელანდელი გადაწყვეტილება მამა დღესვე გაეწერინებინა საავადმყოფოდან, დაავიწყდა მამის მკურნალი ექიმი ცალკე გაეხმო და ავადმყოფის ამბავი ხეირიანად გამოეკითხა. რაღაც იდუმალი ძალა გარეთ მიერეკებოდა და რაც უფრო ქვევით და ქვევით ეშვებოდა კიბეზე, მით უფრო გრძნობდა, როგორ ემატებოდა ღონე, მთელ სხეულს ოდესღაც ნაცნობი სიკისკასე და სიმსუბუქე დაუფლებოდა.

მშობლიურ კუთხეში ხათუნა თამამად იყო. აქაურობა თავის საკუთრებად მიაჩნდა..

პორფილე და პაპუნა მოთმინებით ელოდნენ აკაციის ჩრდილში.

ხათუნამ შენიშნა, როგორ აილეწა პორფილე მის დანახვისას. მოგებების მაგიერ განზე გადგა.

„მადლობას ვეტყვი, — გაიფიქრა ხათუნამ, — მივალ და ვეტყვი, მართლა ის ხომ არა ვარ!“

კეთილგონიერებას სიამაყემ სძლია. პროფილეს თვალი მოარიდა და ოთხად მოკეცილი თეთრი ხალათი უაზროდ შეატრიალა ხელში.

— ვის მივცე ეს?

კითხვა უმისამართო იყო. ხათუნამ იგრძნო, პორფილე თავისთავზე მიიღებდა. სახეზე სიწითლე მოაწვა.

პორფილემ მოისაზრა, ხალათი უნდა გამოვართვაო. გამოართვა.

— შენ რატომ არ ამოხვედი, ბიძია? — უხერხულობის გასაფანტავად მოხუცს მიუბრუნდა ღაწვებალეწილი ხათუნა.

— დილას ვიყავი, ახლა შენ დაგიცადე, — ზემოთ აუსვლელობის ნამდვილი მიზეზი დამალა ბერიკაცმა, რომელსაც შალის ჩაბალახი მოეხადა და მელოტი კეფა მზეზე უბრწყინავდა, — ხომ არაფერი ჭირდება?

— გმადლობ, ბიძია, წავიდეთ?

— ასე მალე რად ჩამოხვედი? — ჩაბალახი მოირგო თავზე პაპუნამ, — პორფილე, მივდივართ ჩვენ!

— ხალათს შევიტან და ამ წუთში დაგეწევით.

— რას ეპატიჟები! — მწყრალი თვალები შეავლო პაპუნას ქალმა.

ბერიკაცმა პორფილეს ზურგს გაჰხედა, ხათუნას კი მოეჩვენა ჩემი მწარე სიტყვები ჩინჩალაძემაც გაიგონაო· ამჯერად არ უნდოდა გადაჭარბებული სიმკაცრის გამოჩენა. სიმკაცრე ახლა უმადურობა იყო.

„რას მიკაკლავდა! — გაახსენდა დედის ნაამბობი, — მამაჩემს ხელი გაუმართა, მე რა შუაში ვარ!“

„უსამართლოდ ირჯები, — უმალვე შეეკამათა თავისთავს, — კუდმოკვეცილი მადლობა რაღა დასაკავებელია!“

პორფილე ჭიშკარშივე წამოეწიათ.

— კალოუბნისკენ, პაპუნა?

— რა ვიცი, ალბათ... — ხათუნას გადაჰკრა თვალი ბერიკაცმა.

— აგერ მანქანა!

ხათუნამ იგრძნო, მე მიყურებენო. თავი არ აუწევია. არც შეჩერებულა. ეს საკმაოდ გასაგები პასუხი იყო.

— ჰა, არ ჩავჯდეთ? — მაინც ჰკითხა პაპუნამ.

პორფილემ ორივეს გადაუსწრო, კუთხეში გაჩერებული „მოსკვიჩის“ კარი გამოაღო და საჭეს მიუჯდა.

ხათუნამ თითები ჩაასო მკლავში ბერიკაცს.

— რა იყო? — განცვიფრდა მოხუცი.

— წამო!

— არ გვინდა, არა, პორფილე, ნუ შეწუხდები. ხათუნამ პატარა საყიდლები მაქვსო.

— მანქანით უფრო მალე არ იქნება?

— დიდი მადლობა, შენი ჭირიმე!

ფართო ქუჩაზე გავიდნენ. ხათუნას გამალებით უცემდა გული. უკან მოხედვა ვერ გაებედნა. პაპუნას მკლავს ეკვროდა. მოესმა, როგორ გაიღო და მიიხურა მანქანის კარი, მერე კიდევ გაიღო და მიიხურა.

— ემდური თუ? — წასჩურჩულა პაპუნამ.

— რა? — თვალები დააკვესა ქალმა.

— ემდური მეთქი?

— ვემდური? ვემდური კი არა...

— აბა რა იყო, ვაწყენინეთ...

ხათუნას ხელახლა მწარე სიტყვა მოადგა ენაზე. თავი შეიმაგრა. ნეტავ წეღანაც არ ეთქვა, რა საჭირო იყო! უცებ დედის ლოცვა გაახსენდა, ღმერთმა ი პატარა გოგო გაუზარდოსო. რომელი გოგო? ხათუნამ იცოდა, რომ პორფილე ცოლგანაშვები იყო, მაგრამ თუ შვილიც ჰყავდა, ეს კი პირველად გაიგონა დღეს. მოუნდა დანამდვილებით გაეგო, მართლა ჰყავდა თუ არა შვილი პორფილეს. „რა შენი საქმეა! — შეეჭ-რძოლა თავს, — შენთვის სულ ერთი არ არის?“ როგორღაც მიხვდა — მისთვის „სულ ერთი“ არ იყო. ამის გაგება ძალიან უნდოდა. ცნობისმოყვარეობა... „დიახ, ცნობისმოყვარეობა!“ — ჩაეჭიდა მხსნელ სიტყვას.

— პაპუნა ბიძია...

— ბძანე!

— დედას შვილი წაართვა მაგ უბედურმა?

პაპუნა უცებ ვერ მიხვდა, რას ეკითხებოდა ქალი, ვის და რომელ შვილს ახსენებდა.

— ჩინჩალაძეზე ვამბობ. სასამართლომ მიაკუთვნა ბავშვი? — რაც შეიძლებოდა გულგრილად დააზუსტა ხათუნამ.

ბერიკაცმა ჟინჟღილა კისერი მხრებში ჩარგო და კოტიტა ხელებზე დაიხედა, თითქოს პასუხი ზედ უნდა ამოიკითხოსო. მცირე ყოყმანის შემდეგ ორჭოფულად წაილაპარაკა:

— ვინ გითხრა, პორფილეს შვილი ჰყავსო. არა ჰყავს შვილი, ნამდვილად ვიცი.

ეს გაეხარდა ხათუნას. თვითონაც ვერ გაეგო, რატომ გაეხარდა. მაგრამ პაპუნა ცერად უყურებდა. ახლა ამასაც აღძვროდა ცნობისმოყვარეობა.

— მე ასე ვიცოდი, — ფონს გასვლის მიზნით ისევ გულგრილად თქვა ქალმა.

— შვილი არა და, სხვაფრე კი არის საქმე, — დაიწყო პაპუნამ და შეჩერდა, — პორფილეს ერთი ძმა ჰყავდა, დაოჯახებული. როცა ომი გამოცხადდა, ორივე გაიწვიეს — პორფილეც და ისიც. ძმა, იასე ერქვა საწყალს, ქე დაიკარგა. დაიკარგა თუ მოკლეს, ვინ იცის ახლა. ერთი სიტყვით, აღარ დაბრუნებულა. ეგ ჩამოვიდა ორმოცდაოთხში. არა, არა, ორმოცდასამში, ღვინობისთვის დამლევს! მიაკითხა მამისეულ ოჯახს, სხვაგან სად წავიდოდა! რძალს — შვილს ველაპარაკები! — დაეწყო თავი-

სებური: საყვარლები გაეჩინა. ეს მაშინათვე უთხრეს მაზლს. ხალხის ამბავი არ იცი? პორფილემ იუკადრისა, რასაკვირველია. მერე ლაპარაკი მოუვიდათ. ქალს საქმრო გამოუჩნდა და ამან გაათამამა. დაუკრა ლარი საცხოვრებელზე და ქე წაართვა წილი პორფილეს. გაყიდეს მამისეული. ერთად ხომ არ ეცხოვრებოდათ! საწყალ იასეს პატარა გოგო დარჩა. ოთხის თუ ხუთის იყო იმ არეულობის დროს. ქალის ქმარმა გერი არ ინდომა. პორფილეს შეატოვეს ხელში. ზრდიდა, იქიდან მოკიდებული, უვლიდა. ახალგაზრდა კაცმა ბოვშის ყადრი რა იცის, მარა მშობელი მამა რაცა გაზრდის პატარას ისთე, რავარც ეგ ზრდიდა. ბოლოს პორფილეც მოეკიდა ოჯახს. დრო არ იყო თუ? ცოლმა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ამოიჩემა ე ლიფსიტა გოგო. სულ პირში შეჩერებოდა, ზედმეტი არაფერი შემიჭამოსო. ერთ დღეს დიდი ჩხუბი მოუვიდა ცოლ-ქმარს. წელიწადნახევარიც ვერ მოათიეს ერთხელა. მიზეზი ისევ ბოვში იყო. ახლა კაი წამოჩიტული გოგოა, სკოლაში დადის. ბიძამისს რო თვალში ჩაუვარდეს, ხელს არ ამოისვამს...

ხათუნას კრიჭა შეკვროდა. სულგანაბული უსმენდა ბერიკაცს.

— ცხენის კუდზე არ უნდა გამობა ზოგიერთი უსაქციელო დედაკაცი? — დაამთავრა პაპუნამ.

— ბავშვის დედა სად არის ახლა?

— წყალტუბოში გდებულა. ვიღაცა მეტრეველს ყავსო.

— სხვა კაცს?

— სხვას, აბა?

ხათუნამ ამოიოხრა. ეს რა დოლაბი დატრიალებულა პორფილეს თავზე, ეს რა უბედური კაცი ყოფილა!

## თავი ოცდამეერთე

შინ მისვლისთანავე ხათუნამ მთელი სახლი შემოირბინა. თვითონაც არ იცოდა, რა დაჰკარგვოდა, რას ეძებდა. აფორიაქებული იყო. გული არსად უდგებოდა. აკვიატებული აზრი თუ სიტყვა გამუდმებით თან სდევდა. გაურბოდა, როგორც ცოცხალ ადამიანს, ისე ეჭიდებოდა ამ აკვიატებულ აზრს თუ სიტყვას.

მარანში ჩავიდა. მიიარ-მოიარა. ბოსელშიც შეიხედა, ბეღელშიც...

ბეღლის უკანა კედელზე, რომელსაც კარიდან შემოჭრილი შუქის ოთხკუთხა ზოლი მისდგომოდა, დამჭკნარი ყურძნის ჯაგნები ეკიდა. ჩანდა, „წვრილფეხობის“ გამგზავრების შემდეგ ყურძნისათვის ხელი არავის ეხლო.

„საწყალი მამა, ყველაფერი ჩვენთვის უნდა!“ — გაიფიქრა ხათუნამ და ოდნავი შვება იგრძნო. ეს სხვა სიტყვები იყო, სხვა აზრი იყო.. ჯაგანს სამიოდე სურნელოვანი მტევანი შეაწყვიტა. საღამოჟამს იჯრასთან ერთად ავადმყოფს ჩაუტანდა.

ხათუნას ადამიანის დანახვა მოსწყურდა, სოფელი კი გაზაფხულის ალოს დაეცარიელებინა. უკაცურ ეზოებში ჭრელ-ჭრულა ქათმები, იხვები და ინდაურის ჭუკები დალასლასებდნენ წივწივითა და ყიპყიპით. ეზოს გარეთ გადმორეკილი უღლიანი ღორები ზანტად ღრუტუნებდნენ მიხურულ ჭიშკრებთან. გზის ამოყოლებაზე, თხმელის ბუჩქნარში თოთო ხბოები ბალახობდნენ. გაზაფხულის მზით გამთბარ ჰაერში განუწყვეტელი ბზუილი და ფუთფუთი იდგა. ძარღვების მომსხლეტ სიცხეს, რომელიც შუადღისას მძიმე ლოდივით ჩამოწვება ხოლმე, ცელქი ნიავიც კი გაეზარმაცებინა.

ხათუნა მოითენთა.

პაპუნამ მანქანაშივე შეატყო დაღლილობა და ეზოში აღარ შემოჰყოლია, ნამგზავრი ხარ, პატარა ხანს მოისვენეო.

ხათუნა დიდი მადლიერი დაურჩა, მაგრამ თვალის მოსატყუებლად წასვლის მაგიერ, ჭას მიაშურა, თოვლის ნაყურივით ცივი წყალი ამოიღო და სახეზე შეიშხაპუნა, რათა როგორმე გამოფხიზლებულიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხრობამდე მისი ხელი არ გაჩერებულა, ხოლო როდესაც მზე გადაიხარა, ცხელი შეჭამანდი ქოთანში გადაასხა, ზემოდან ახლადგამომცხვარი მჭადები მოალაგა, კალათაში წათხიდან ამოღებული ყველი და ყურძენი მოაქცია და ტანზე გამოიცვალა.

„მოგიკვდეთ დედა, თქვენ რა გუნებაზე მყავხართ ახლა,“ — გაიფიქრა და მაშინვე გაახსენდა, რომ ზურიასათვის არაფერი შეუტყობინებია. „ვინ იცის, ფოსტაში ზის საცოდავად და მიცდის, როდის დავრეკავ. ფოსტაში აქედანვე გავივლი. იქნებ დამალაპარაკონ.“

ამ ფიქრებით ხათუნა დერეფანში გამოვიდა და პალატის კარი გადარაზა.

ლობიოს საბუდნად გასულ ქალებს იმ დღეს ადრე აეშვათ ხელი სამუშაოზე. ყველას შინ მიეჩქარებოდა. დაღამებისას დაღლილ-დაქანცული და მშიერი კაცები დაბრუნდებოდნენ ყანავენახიდან. ამისდამიუხედავად, თავსაფრიანი ქალები მაინც ტაატით ამოსდგომოდნენ აღმართს აგურის ქარხნის თავზე.

ხათუნა გზაზე იდგა და გამვლელ მანქანას უცდიდა.

ქალები, სანამ უცხო სულს იცნობდნენ, მოურიდებლად ათვალიერებდნენ შორიდან. ბოლოს იცნეს. მხიარული ყაყანი შეუდგათ. გარს შემოეხვივნენ. ხათუნა ზოგს ხელს ართმევდა, ზოგს პირზე კოცნიდა.

ქალები ერთმანეთს აღარ აცლიდნენ. ყველა რაღაცას ეკითხებოდა.

— ბავშვები ხომ კარგად?

— კარგად, გმადლობთ... — ყოველ გამოპასუხებაზე ბალღივით წითლდებოდა ხათუნა.

— მამა უკეთ ყოფილაო.

— მგონი, დიახ...

— არ გინახავს თუ?—ქვე-ქვეშ ზვერავდნენ ქალები მამა-შვილის ახლანდელ დამოკიდებულებას.

— როგორ არა, ახლაც იქ მივდივარ, — ნაწყენობას მალავდა ხათუნა.

— აქეთ როდის გვესტუმრე?

— დღეს, ამ დილას...

— დიდხანს დარჩები?

— ვნახოთ...

— ზურია გახლავს თუ...

— არა, მარტო წამოვედი.

— წამოგეყვანა, შე ქალო, ბებიას და ბაბუას ნახავდა.

— რა ვიცი, ველარ მოვახერხე..

— არ ენატრებათ აქაურობა?

— ენატრებათ, მარა..

— შვილო!

— სკოლაში იქნებიან.

— ზურია და პალიკო, — ახლა ზურგსუკან ამომდგარ მეზობელს უპასუხა ხათუნამ და გაიღიმა.

— შენ — კარგად!—მაცდურად იღიმებოდნენ ქალები და მოურიდებლად ზომავდნენ თავით ფეხებამდე.

ამათ შორის ახალგაზრდებიც იყვნენ, ხანში შესულებიც, გათხოვილებიც, გაუთხოვრებიც. გაუთხოვრებსა და ცხოვრება უნახავთ სათაკილო ცნობისმოყვარეობით აგიზგიზებოდათ სახე, სხვები შიგ სულში ჩასძრომოდნენ, უნდოდათ ყოველი კუნჭული მოეჩხრიკათ.

ზემოდან მანქანის თუხთუხი მოისმა.

— მოდის! — დაიძახა ვიღაცამ.

მანქანა ბენზინის ცისტერნიანი აღმოჩნდა.

— გააჩერე! გააჩერე! — მიაყვირეს შოფერს ქალებმა.

— თავზე დაგისვათ? — გადმოიხედა მანქანიდან შოფერმა.

ქალებმა, რასაკვირველია, ხურდა დაუბრუნეს, მაგრამ მანქანა მაინც გაჩერდა. ხათუნა ძლივსძლივობით მოთავსდა კაბინაში, რადგან იქ შოფრის გვერდით უკვე იჯდა ვიღაც ნამძინარევი გაბუსხული კაცი.

ქალები კიდევ კარგა ხანს იდგნენ გზაზე და თავდაღმა დაშვებულ მანქანას გაჰყურებდნენ. ბოლოს ერთმა თქვა:

— ზოგს ქე უხდება, მგონია, გაჭირვება!

— რავა?

— სამი შვილი ჰყავსო , იფიქრებ ახლა მაგაზე?

— ხათუნა ყმაწვილი ქალია, ელპიტე.

— ყმაწვილი! ჩემსავით ვენახში დაალამოს, ადუღებულ კირში ურიოს ხელი და მერე გამოჩნდება, ვინ ყმაწვილია, ვინ ბებერი!

ელპიტე თავის დროზე შესამჩნევი ქალი უნდა ყოფილიყო. ალბათ, შური ალაპარაკებდა.

— რისთვის დაალამებს, ახალგაზრდობას მოხმარება უნდა! ის ინახავს ქალს!—ორაზროვნად თქვა მეორე შუახნის ქალმა.

მის სიტყვებს სიცილი დააყარეს. ელპიტე აპილპილდა:

— აბა ჩვენ სულელები ვყოფილვართ, ვინც ოჯახს შევწირეთ ახალგაზრდობაც და ყველაფერიც!

— კაი, კაი, ელპიტე, ისე რავა იქნებოდა, თვალი არსად გაგპარვოდა.

— შენ კი დაგვესო ეგ თვალები, ქვეყანა ბრმა არი მერე?

— რა იცი, იქნება დაგინახეს, შენ ხომ არ გეტყოდნენ.

ქალები აკისკისდნენ. ხანში შესულთ თვალები გაუბრწყინდათ, გაუთხოვართ ალმური მოეკიდათ და ფეხის წვერებს ჩაუკირკიტდნენ, რათა გულში ნალოლიავები ჩუმი ნატვრა უცებ არ გამჟღავნებულიყო.

„კიდევ კარგი, ზრდილობა მოიხმარა და შინ არ მომაკითხა, — ფიქრობდა ხათუნა მანქანაში და კაბინის მონჯღრეულ კარს ეკვროდა, — სულ ერთია: იქ დამიდარაჯდება".

ფიქრმა თვალები აუხილა. გაბოროტება გულმოწყალებამ შესცვალა.

ხათუნა სადღაც სულის სიღრმეში გრძნობდა, რომ პორფილეს უსამართლოდ მოექცა.

„ნეტავი მართლა დამხვდებოდეს! — ინატრა წამით, — ბოდიშსაც მოვიხდი და მადლობასაც ვეტყვი".

„ბოდიშს რატომ?"

არა, ნამდვილად უნდა მოიხადოს ბოდიში. დღევანდელი საქციელი სილის გაწვნას გავდა. აილო და უდანაშაულო კაცს სილა გააწნა! მერე რისთვის?

ხათუნა შეიშმუშნა.

გაბუსხულ კაცს ეგონა, ნამეტნავად ვავიწროვებო. ამოიოხრა და შეძლებისდაგვარად შოფრის მხარეს ჩაიწია.

— ხედავენ, დასაჯდომი არ არის, მაინც ეჩრებიან! — ბუზღუნებდა შოფერი.

ხათუნას ყური არ უთხოვებია. თავის საფიქრალს ფიქრობდა. თვალწინ მტარებელში ამგზავრებული თალხიანი ქალი ედგა. ამ ბოლო დროს ხშირად აგონდებოდა. სად ჩავიდა, რომელ სადგურში? ვინ იყო, იქნებ იასე ჩინჩალაძის ნაქვრივალი?

დაობლებულ გოგონას გადასწვდა. გაახსენდა, როგორ ნატრობდა ქალიშვილს შალიკო. ზურიას შემდეგ ქალს მოელოდნენ. პალიკო გაჩნდა. მესამედაც გაუმტყუნდათ იმედი. ისევ ბიჭი დაიბადა. არა, ბიჭი სჯობია! რამდენი სიმწარე მოელის ქალს... ქალის გაჩენაში ღმერთი არ ურევია.

„საცოდავი ბავშვი! — კვლავ ობოლს დაუბრუნდა ხათუნას ფიქრი, — რა უნდა ექნა, ბიძია რომ არ მოვლენოდა მხსნელად!"

საავადმყოფოს ახლომახლო ნაცნობი „მოსკვიჩი" არსად დახვედრია. ნუთუ არ მოვიდა? გადაწყვიტა, ზემოთ იქნებაო და კიბეს აუდგა.

ეკა დერეფანში გამოეგება. მოეხვია.

„რა მოუვიდა დედას, პირველად დამინახა?" — გაუელვა ხათუნას.

— როგორ გაიგე ჩემი მოსვლა?

— ფანჯარასთან ვიჯექი.

— მამას ღვიძავს?

— ახლა რაღა დააძინებს!

— მარტოა? — ჩურჩულით იკითხა ქალიშვილმა.

— აბა ვინ იქნება!

ხათუნამ ხმა გაკმინდა და დედას გაჰყვა. გული მოსდიოდა თავისთავზე, თუნდა კიდეც დამხვედროდა, რად მინდოდაო. მაგრამ ეს სიტყვები გულწრფე-

ლად ნათქვამი არ იყო. კარგად იცოდა, გულწრფელად ნათქვამი არ იყო და თავის მოტყუებას ცდილობდა.

„ხომ არ ჰგონია, შევეხვეწები? მანამ არაფერი უჭამია!“

რაც უფრო მეტს ფიქრობდა ამის გარშემო, სიბრაზე მით უფრო ერეოდა. დღეს, აი, ამ ორიოდე საათის წინ პირველად იგრძნო ქალური თავმოყვარეობის შელახვა. „თავმოყვარეობის შელახვა“ ადრე სხვანაირად ესმოდა. პორფილე აღარ ეძალებოდა. ალბათ, მამაკაცურმა ღირსებამ გაიღვიძა. ქალს გულის გაწყვეტილი სიმი შეერხა...

ხათუნას დიდი მიხვედრა არ სჭირდებოდა იმის გასაგებად, რომ ყველაფერი, რაც პორფილემ ბერიკაცისათვის მოიმოქმედა, ნამდვილად ხათუნასადმი ტრფიალი იყო.

„მერე ეს ანგარებით სავსე ზრუნვა კეთილშობილური საქციელია?“

„რატომ ანგარებით სავსე?!“ — მაშინვე შეეკამათა თავს და იგრძნო, ხელახლა პორფილეს გამართლებას ესწრაფვოდა.

„თუკი ვუყვარვარ და ცდილობს რითიმე მასიამოვნოს? განა შალიკოც ასე არ იქცეოდა?“

მინდელის სახელის ხსენებას ქალის გულში არავითარი შეშფოთება არ გამოუწვევია. მინდელი თითქოს ახლო ნათესავად იქცა და ქალის გულის საიდუმლოებასთან არაფერი ესაქმებოდა.

ეს სრულიად ახალი აღმოჩენა იყო. ხათუნას უკვირდა. ნუთუ დრომ იმოქმედა? ნუთუ მის არსებაში მისდა დაუკითხავად ხდებოდა რაღაც?

## თავი ოცდამეორე

ხათუნა ათიოდე წუთს იჯდა მამის სასთუმალთან.

ეკამ სახელდახელო სუფრა გააწყო გაზეთგადაფარებულ სკამზე.

მოხუცები უმადოდ შეექცნენ, თან შვილის ცქერით ვერ გამძღარიყვნენ.

ხათუნას ზედაც არ დაუხედავს ნაგვიანევ სადილისათვის. როცა ეკამ დააძალა, იცრუა — შინ ვჭამეო. ეკა მაინც არ ეშვებოდა. ხათუნამ კიდევ იუარა, თიხის სურას წამოავლო ხელი და ცივი წყლის მოსატანად გაიქცა.

— ახალი მოტანილია, დედა, — დაადევნა ეკამ.

ხათუნა სარკის წინ იდგა საბაზანო ოთახში. საკუთარ სახეს აკვირდებოდა.

„რასაკვირველია, ხანი მეტყობა! — ფიქრობდა სიმწრით, თუმცა თავი მხოლოდ ასეთი ახსოვდა, — როდის გაჩნდა პირველად ეს ცვლილება?“

შუბლი ანამყოლ დანაოჭებია. ნაოჭები არ ჩანს, მაგრამ გამჭვირვალე ირიბი კვალი ეტყობა...

„მზის ბრალი თუა.“

სამაგიეროდ, თვალების ვიწრო ჭრილებთან, სადაც ლაწვისთავი იწყება, ერთი ნაოჭიც არ არის! როდესაც ქალს სიბერე შეეპარება, პირველად აქ უჩნდება ძლივს შესამჩნევი, ლაწვისთავებისაკენ გაბნეული ზოლები.

ხათუნამ ლაწვზე აისვა ხელი, მერე შუბლსა და თმასააყოლა. სახეზე ვარდისფერმა გადაჰკრა. თვალებში მოწითალო, დაბლანდული ძაფები დაინახა. წაბლისფერ გუგებს ხავერდოვნება დაჰკარგვოდათ. ეს კი აღარ იყო ხათუნას თვალები! ხათუნას სხვანაირი თვალები ჰქონდა ადრე. სად გაჰქრა ის უმანკოება, სიკამკამე, უცხო შუქი?

ხათუნას ცრემლი მოერია. რაღაც წასულიყო და უკან არასოდეს აღარ დაბრუნდებოდა.

სარკეს მოსცილდა. პალატაში რეტდასხმულივით შელასლასდა.

— უქეიფოდ ხომ არ შეიქენი, შვილო? — შეაშფოთა ეკა ხათუნას დაღვრემილი სახის დანახვამ.

ხათუნამ თვალი ველარ გაუსწორა მშობლებს. სურა დადგა და სკამზე დაეშვა. ეკა აწრიალდა, თავი ორივე ხელით გადაუწია, თვალებში ჩახედა. ასე იცოდა ხათუნას ბალღობაში, როცა ანცი გოგონას გამოტეხვა სწადდა. ენა და

თვალები ერთმანეთს იშვიათად თუ ემოწმებოდნენ. ხათუნა გაწითლდა.

— მოეშვი, ადამიანო! — გამოესარჩლა შვილს სპირიდონი, — რატომ იცი ამისთანა გადარევა!

ეკა სურას მისწვდა, რათა წყალი დაესხა ხათუნასთვის, მაგრამ სურა ცარიელი აღმოჩნდა.

ხათუნას ახლაღა მოაგონდა, რომ სურა დასცალა, ავსება კი დაავიწყდა. ღიმი მოერია. გაკვირვებული ეკა შვილს მიაჩერდა, ხათუნას კი ისე ამოუჯდა გული სიცილისაგან, წამწამზე ცრემლი დაეკიდა.

მოხუცებულებმა ერთმანეთს გადაჰხედეს.

იმ დიდი უბედურების შემდეგ ეს ხათუნას პირველი სიცილი იყო.

სპირიდონსაც გაეხსნა ბაგე. ეკას კურცხალი მოეძალა. გულში ისიც იცინოდა და ქმარ-შვილის უმიზეზო მხიარულებას იზიარებდა.

საწოლზე გულაღმა გაშოტილ სპირიდონს ხველა აუვარდა. თვალებზე ნიდაყვი აიფარა. ქალებმა მაშინვე ავადმყოფს მიაშურეს. მისუსტებულმა ბერიკაცმა სული ძლივს ამოითქვა.

— შენ აგაშენა ღმერთმა, — სვენებსვენებით ამბობდა სპირდონი და ხათუნას დახმარებით მარჯვენა გვერდზე დაწოლას ცდილობდა, — მართლა არ გამაცინე?

— აგრე არ ჯობია, დედა? — აჰყლოპინდა ეკა, — გაუთავებელი სამგლოვიარო ჩვენს მტერს ნუ მოულიოს მამაზეციერმა!

— გაჩერდი შენ! სულელი! — რატომღაც გაწყრა სპირიდონი.

— ჰი, რა იყო?

— რა იყო და ის იყო... უნდა იცოდე, რა თქვა და რა არა!

— გავჩუმდები, ჰე.

— გინდა გაჩუმდი და გინდა...

— კარგი, მამა, რატომ იცი ასე, — ჩაერია ხათუნა, რომელიც გულში უმადლოდა მოხუცს ნაგვიანევი თანაგრძნობის გამოცხადებას.

— მამა-ღმერთი გაუწყრა მაგას!

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. მოისმა, როგორ შემოვიდა ეზოში მანქანა და მგონი საავადმყოფოს კარის წინ გაჩერდა. მოტორი კიდევ მუშაობდა.

„მოიყვანეს ვინმე?“ — გაიფიქრა ხათუნამ და ფანჯრიდან გადახედვა დააპირა. გული სულ სხვა რამეს ეუბნებოდა: შეიძლება ეს ახალმოსული პორფილე ჩინჩალაძე იყო?

მოტორი ჩაქრა. ალბათ, მანქანა ვიღაცის გამოსვლას ელოდება. ორიოდე წუთმა კვლავ დუმილში გასტანა. პალატაში არავინ შემოსულა.

ხათუნას განუზომლად მოუნდა — დედას ან მამას პორფილე ეხსენებინა; არც იქით, არც აქეთ, მამას ისევ ის ძველი ამბავი წამოეწყო. მაშინ უეჭველად თავს წამოჰყოფდა ძველი ხათუნა, მთელი უსიამოვნება თავიდან დაიწყებოდა, რაც ქალს ერთბაშად გაათავისუფლებდა მტანჯველ სინდისის ქენჯნისაგან, მაგრამ, თითქოს ჯიბრზე, სპირიდონი ხმას არ იღებდა, მგონი აღარც კი ახსოვდა თავისი ახირება. ნუთუ მართლა აღარ ახსოვდა? ხათუნა ხავსს მოეჭიდა: აბა რისთვის დაიახლოვა პორფილე ასე? დედის პირით რისთვის შემოუთვალა, დიდი პატივი გვცა და ამიტომ შენც მადლობა უთხარიო? არა, ჯიუტი მოხუცი კვლავ იმედოვნებდა, ოღონდ დაშინებული იყო, ჯერხანად ამ საგანზე ქალიშვილთან გამოლაპარაკებას გაურბოდა. თუმცა რა ეჩქარება! ხათუნა დღეს ჩამოვიდა. ახლავე რად მიახლის, როცა ხვალაც ამ თვისაა!

ხათუნას ცთუნებამ სძლია: ფანჯარასთან მაინც მივიდა და ეზოში გადაიხედა.

— რას უყურებ? — ხრინწიანი ხმით იკითხა სპირიდონმა.

— მგონი ვიღაც დაშავებული მოიყვანეს, — იცრუა ხათუნამ და საავადმყოფოს კართან გაჩერებულ სასწრაფო დახმარების მანქანას თვალი მოსწყვიტა.

— ამაღამ, თუ გინდათ, ორივე წა-

დით. მე არა მიჭირს რა, — თქვა ისევ სპირიდონმა.

— ჭკუაზე შეიშალა ეს ოხერი! — გულხელი დაიჭდო ეკამ.

— აბა მე დამადექით თავზე და იქ ოჯახი გააჩანაგეთ!

— შენ თუ აღარ იქენი, ოჯახი ვიღასთვის გინდა, შე უბედურო!

— გაგიხმეს ენა! წადი, მამა, ხათუნა. ნეტა ახლაც არ ჩამოსულიყავი.

— გეწყინა ჩემი ჩამოსვლა?

— კი არ მეწყინა, მარა წუხდები. უკან როდის უნდა გაბრუნდე?

— საქმე გვიჩვენებს, მამა.

— ჰო, არაფერი გაგიფუჭდეს.

— როცა მოიკეთებ, არ ამოგვივლი, მამა, იქით? — ეკას თვალი ჩაუკრა ხათუნამ.

— იჰ, თქვენ იყავით კარგად და...

— ეშინია მაგ საცოდავს. კი არ ჰგონია თუ ფეხზე წამოდგება კიდევ.

— მართლა, მამა?

— აბა ცას შევაბერდები!

ამაზე სამივეს გაეღიმა, რადგან სპირიდონმა ეს სიტყვები ხუმრობად ჩასთვალა.

— წადით ახლა, რაღას უცდით აქ!

— დედა, ორივეს არ დაგეტოვებენ?

— არა, არა, შვილო, მთელი ღამე ფეხზე რა გაგაჩერებს, ლოგინი არ არის და არაფერი!

— მე მამას შევუწევები ფეხებში.

— წადით, — ღრმა ოხვრას ამოაყოლა სპირიდონმა.

— ეს საცოდავი სულ ძილად გადაიქცა.

— რა ქნას, რაც თავის სიცოცხლეში არ უძინია, ახლა უნდა გაინაღდოს!

— ადამიანო, მარტო დარჩები მერე შენ?

— წადით, წადით!

— წავიდეთ თუ გინდა, მარა, — შვილს გადაჰხედა შეგულიანებულმა ეკამ, — რო რამე გაუჭირდეს?

— წადით. არაფერი არ გამიჭირდება.

— აბა მე ფოსტაში გავირბენ, ზურიას დეპეშას გავუგზავნი. შენ მომზადე!

ხათუნა დერეფანში გამოვიდა.

## თავი ოცდამესამე

პორფილე ჩინჩალაძე არც მეორე და მესამე დღეს გამოჩენილა. ხათუნა შფოთავდა, უჭირდა თავის შეკავება. ცოტაც გაწყდა, შინაურებს არ შეეკითხა გულის მოსაოხებლად, ის ვაჟბატონი სად დაიკარგა, ჩემი ხომ არ ეშინიაო. წინასწარ დაწყობილი გეგმები წყალში ჩაუცვივდა. წარმოდგენილი ჰქონდა, როგორ მოვიდოდა პორფილე ჩინჩალაძე, როგორ შეეცდებოდა საუბრის გაბმას, რათა მერე იქით გადაეხვია, საითაც სწადდა, როგორ „ყინულივით ცივი“ და „მიუკარებელი“ იქნებოდა ხათუნა...

თუ შურისძიებაა, შურისძიება იყოს! ხათუნა თექვსმეტი წლის გოგო როდია, პატივება შეეძლოს!

მაგრამ პორფილე არ მოდიოდა. ცხადია, ახლა ვიღაც სხვას დაადგა თვალი, უფრო ახალგაზრდას, თავისუფალს, ადვილად დამჯერეს... ორმოცს მიტანებულ დედაკაცს რა თავში იხლის! ყანჩაველებისაკენ იმისთვის მოიხედა, რათა დიდსულოვნება დაემტკიცებინა, რათა ხალხს დაენახა: თავიანთი უჭკუობით ვის ჰკრეს ხელი ყანჩაველებმა!

ხათუნას ლოყა აეწვა ამ წუთს სულით ხორცამდე სძულდა ჩინჩალაძე, სძულდა, ისევე, როგორც ექვსიოდე თვის წინათ.

ერთი ანახვა, ვინ არის ის უკეთესი, ვიღაც ცხვირმოუხოცელი გოგო! მაგრამ, კაცმა რომ თქვას, რისთვის ლანძღავდა უცნობ ადამიანს? აბა რა მისი ბრალი იყო! საერთოდ რისთვის ესწრაფვოდა ჩინჩალაძის დასაკუთრებას? ჩინჩალაძეს ცოლად არ გაჰყვებოდა. ეს არამარტო იცოდა, ამაზე ფიქრიც არ შეეძლო. სხვა კავშირი ხომ სავსებით წარმოუდგენელი იყო. მაშ რაღა დარჩა?

სანამ პორფილე მოიწევდა, ის თით-

ქოს არც არსებობდა ხათუნასათვის. მაგრამ როცა პირი იბრუნა, ხათუნამ იგრძნო, რომ რაღაც დააკლდა და ამან ცხოვრება დაუცარიელა. ზამთრის გრძელ ღამეებში ხათუნა ხანდახან იგონებდა პორფილეს. იცოდა: პორფილე სადღაც იყო და ხათუნას, სწორედ ხათუნას ალერსზე ოცნებობდა. ეს უჩუმარ შვებას ჰგვრიდა ხათუნას, გაუხუნარ ქალურ ღირსებას აგრძნობინებდა. ახლა მოვიდა ვიღაც სხვა, ვიღაც სხვა ქალი, უფრო ახალგაზრდა, თავისუფალი, ადვილად დამჯერე და უნებურად საშინელი ბოროტება ჩაიდინა: ხათუნას წაართვა ქალური ღირსება, ცხოვრება დაუცარიელა...

პორფილეს მხოლოდ მესამე დღეს გადააწყდა. იმ დღეს ხათუნა დილიდანვე მამასთან იყო და შეეძლო გარეთ სულაც არ გაეხედა. ბორჯომის წყლის მოტანა მოიმიზეზა და ქუჩაში გამოვიდა.

პორფილე კაცებში იდგა, სადაბო საბჭოს წინ. მგონი ვიღაც შიგ შესულს უცდიდნენ.

ხათუნას ელვასავით გაურბინა რაღაცამ. თავი შეიმაგრა. სადაბო საბჭოს წინ ისე ღირსეულად გაიარა, გვერდზედაც არ გაუხედავს. გუმანით იგრძნო: კაცებმა შეამჩნიეს და თვალი გამოაყოლეს. კინაღამ ნაბიჯი აერია. გასტრონომში შევიდა და ღონის მოსაკრებად დახლს დაეყრდნო.

გამყიდველმა ბზეში ამოგანგლული ბოთლები გადმოულაგა, საანგარიშო გააჩხაკუნა და ხურდა წინ დაუდო.

ხათუნა ხურდისა და ბოთლების აღებას აყოვნებდა. სადაცაა პორფილე ჩინჩალაძე უნდა შემოსულიყო.

ხათუნამ უკვე იცოდა, რასაც ეტყოდა პორფილეს. მწარე სიტყვებს არჩევდა. უნდოდა ეს სიმწარე სიკვდილამდე დაემახსოვრებინა ჩინჩალაძისათვის.

გამყიდველმა ერთი ორჯერ გაუარგამოუარა და როდესაც ქალი უაზროდ გაშტერებული დაინახა, ჰკითხა:

— კიდევ ხომ არაფერი გინდათ?

ხათუნა ხურდას დასწვდა, ბოთლები ბადეში ჩააწყო და მაღაზიიდან თავჩაღუნული გამოვიდა. ახლა ერთიორად შეურაცხყოფილი იყო. პორფილე ჩინჩალაძეს, ალბათ, მოსაკლავად არ დაინდობდა. თავს ძალას ატანდა, მაგრამ ფეხები არ ემორჩილებოდნენ. ვიწრო ტროტუარს კედელ-კედელ მიჰყვებოდა.

ისევ იქ გაევლო? ხათუნა შეჩერდა მიიხედ-მოიხედა. მეორე ქუჩაზე გადასახვევი მხოლოდ სადგურთან იყო.

„აქედან იქამდე ხუთი-ექვსი წუთის სავალია!“

სიამაყემ სძლია და გზა განაგრძო.

სადაბო საბჭოს წინ სამნიღა იყვნენ მათ შორის პორფილესაც დალანდა თვალი. კაცებმა ისევ მოჰხედეს.

„ჩემზე ლაპარაკობენ?“ — გაიფიქრა ხათუნამ. ნაბიჯს აუჩქარა. „მაგრამ ვაითუ დღესვე წავიდეს სადმე? აქ ხომ არ დავუცდი! რატომ უნდა ვიყო მაგისაგან დავალებული, ნეტავი ვინ ბრძანდება!“

ბევრი არ უფიქრია. ამან უფრო გააბედვინა: უმალვე მოტრიალდა.

კაცები მიხვდნენ, ჩვენ გვეძახისო სამივემ ერთდროულად მიიდო გულზე ხელი.

— თქვენ, თქვენ, ჩინჩალაძე! — ხმა დასძრა ხათუნამ და იგრძნო — ცეცხლში გაეხვია.

პორფილემ ამხანაგები მიატოვა და თხუთმეტი წლის ყმაწვილივით ხათუნასაკენ გამოიქცა.

დამამცირებელ მოლოდინში ხათუნას სირცხვილი სწვავდა. ნანობდა, ნეტავი ფეხი მომტეხოდა და დღეს გარეთ არ გამოვსულიყავიო. გვიანი იყო. აწ უკვე მომხდარს უკან ველარ დააბრუნებდა.

— წამოდით, თქვენთან საქმე მაქვს! — მოულოდნელად დაარღვია წამიერი სიჩუმე ხათუნამ, სანამ პორფილე ჩინჩალაძე რაიმეს ეტყოდა.

სათქმელის ხელახლა მოსაფიქრებლად ქალს დროის მოგება უნდოდა და „აქედან წასვლა“ ამისთვის აიჩემა.

პორფილე იმ განწირული პირუტყვივით გაჰყვა, რომლისთვისაც რქებში საბელი ჩაუბამთ და სასაკლაოზე მიჰყავთ.

თიხით შელესილი გრძელი კედლის ბოლოში ხათუნა გაჩერდა.

— ხვალ დილას, ექვს საათზე, ამ ადგილას მოდი! — დაიწყო მან და უცებ მოეჩვენა, რომ ამ სიტყვებმა ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა და საჩქაროდ დაუმატა: — თუ არ მოსულხარ, მე მაინც მოვალ და რაც გადმოსაცემი მაქვს, აქ დავტოვებ. ვინც უნდა, იმან წაიღოს!

— რას ამბობ, ხათუნა! — ახლა კი ამოიდგა ენა პორფილემ, — ოღონდ შენ მითხარი და...

ხათუნას პასუხისათვის აღარ დაუცდია: კაცი სახტად დასტოვა და საავადმყოფოს გზას გაუდგა. ეს სიამაყით არ მოსვლია. ქვითინი ყელს აწვებოდა. წამიც და, ხუხულასავით დაენგრეოდა გულზვიადობა...

მეორე დღეს სპირიდონი ეწერებოდა საავადმყოფოდან. ხათუნა შინ აღარ წასულა. ღამე მამის პალატაში გაათია. ინათლა თუ არა, ადგა. მოხუცს უკვე ეღვიძა.

— რა გეჩქარება, — დაიხიხინა სპირიდონმა, — ჯერ მაინც არავინ იქნება მოსული.

ხათუნას თავისი ჯავრი აწუხებდა: როგორ დასძრომოდა ეჭვიან მამას, ხომ არ გაეპარებოდა!

— დროზე მაინც ჩამოვიდოდეს ის დავარდნილი!—წაილაპარაკა სპირიდონმა.

— ვინ, მამა? — მოჰხედა ხათუნამ, თუმცა უმალვე მიხვდა — სიტყვა დედას შეეხებოდა.

— ტანზე ჩასაცმელს ვინ ჩამოიტანს!

— ჩამოვა. იცის და...

— შენ ხომ არსად მიდიხარ?

— ახლა არა... — თვალი აარიდა ხათუნამ, — პატარა ხნის შემდეგ ათიოდე წუთით გავალ...

— საქმე გაქვს რამე?

— ჰო, კაცს უნდა შევხვდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინ კაცია?

— ერთია, შენ არ იცნობ...

— გვარი არა აქვს?

— გვარი... კი, გვარი როგორ არა აქვს. კაკოიშვილია, საზანოელი...

მამა თვალებში შემოსცქეროდა. ხათუნა აიმღვრა.

— რას მიყურებ?

— შენ იცი! — თვალი არ მოუშორებია, ისე წარმოსთქვა სპირიდონმა.

— მამა! — ახალმა გადაწყვეტილებამ შესძრა ხათუნა. სასთუმალთან სკამზე დაეშვა, — მე მწყინს, როცა შენ აგრე მიყურებ...

სპირიდონი გაიბუტა. ხმა არ გასცა.

— როცა შენ აგრე ფიქრობ ჩემზე, მე მწყინს, — დააზუსტა ქალმა.

— მე არაფერსაც არ ვფიქრობ, შვილო, — თვალი აარიდა სპირიდონმა, — ჩემი სიტყვა ყოველთვის უკუღმა გესმოდა. შენც ხედავ და მეც: ვერ ვიხეირეთ მაგ უკუღმართობით. რა ვუყოთ ახლა. აწი შენ იცოდე შენი საქმე, ოღონდ ხანდახან გამიხსენე. სანამ ძალა მომდევდა და კაცი ვიყავი, თავი არ შემირცხვენია. ერთი თავი მებარა. ერთ თავს გლახაც ქე მოუვლის. ახლა შენს ხელთა ვარ. ოღონდ სიკვდილის პირას თავს ნუ მომჭრი და გახარებას აღარ გთხოვ, რაღა დროს ჩემი სიხარულია. ეს არის და ეს. ამის მეტს არაფერს გეტყვი. ანდერძიც ეს იყოს შენთვის და...

— მამა! — წამოიძახა ხათუნამ, მოხუცს ლოგინზე ჩამოუჯდა და სახით გულზე დაემხო.

კარგა ხანს ხმა აღარ ამოუღია არცერთს. ხათუნა ჩუმად ტიროდა. ბოლოს ისევ მან წამოსწია თავი, ცრემლები საბნის ყურით შეიმშრალა და სლუკინსლუკინით წაიჩურჩულა:

— რადგანაც აგრე, ყველაფერს გეტყვი. თუ ჩემი ბრალია რამე, ახლავე მომკალი!

სპირიდონს თვალები გაეყინა.

— აქედან რომ ჩავედით, დიდი თო-

ვლი იყო... — განაგრძო ხათუნამ, — სახლი კინაღამ თავზე დაგვენგრა. არც შეშა გვქონდა, არც არაფერი. კინაღამ ჭკუაზე შევიშალე. მეშინოდა, ბავშვებს არაფერი გაეგოთ. ერთ დღეს მე და ზურიამ თხა წავიყვანეთ გასაყიდათ. ვერ გავყიდეთ. ბაზარში შემხვდა...

— ვინ? — კინაღამ შეჰყვირა სპირიდონმა.

— პორფილე ჩინჩალაძე...

თვალებგაალმასებული მოხუცი შეინძრა.

— ,ისევ ძველ ამბავზე ჩამომიგდო სიტყვა... როცა ვერაფერს გახდა, დამემუქრა. მეც დავემუქრე, თან მეშინოდა, ჩვენი ლაპარაკი არავის გაეგონა. მერე მოლბა. განზე გამიხმო. მეც გავყევი. რა მექნა, ამ ამბის გახმაურებისა მეშინოდა...

— რატომ არ მოკალი! — აღმოხდა სპირიდონს.

— რით, როგორ... მითხრა, დედაშენმა წერილი გამომატანაო. კონვერტი მომაჩეჩა და თვითონ გაქრა. როცა მავიხედ-მოვიხედე, ვეღარსად დავინახე. კონვერტში ფული იყო. წერილი თავათ დაეწერა...

—რომელი ფული?! — დაიგმინა სპირიდონმა.

— რა ვიცი, ფული, ბევრი ფული...

— ფულით გყიდულობდა?

— ყელი მიშოვნა, მიჭირდა...

— იმ ფულით გაიტანე თავი აქამდე? — გაფთრდა ბერიკაცი.

— არა... არც დამითვლია...

— აბა რა უყავი!

ხათუნა დაიხარა. საწოლქვეშიდან მუშამბაშემოტყავებული ჩემოდანი გამოათრია.

— ფუ! — დაიღრიჯა სპირიდონი, როცა ცხვირსახოცში გამოკრული დასტა ხელში შეატრიალა.

— ახლა შენ მირჩიე, რა ვქნა, — მორჩილად თქვა ხათუნამ.

— ამ წუთში წაიღე და ცხვირ-პირში მიახალე იმ უნამუსოს!

— აი, იქ მივდივარ, მამა. შენი რიდი მაწუხებდა და საზანოელი კაკოიშვილი ტყუილად მოვიგონე.

თვალებჩალილავებულმა სპირიდონმა საბანზე დაყრილი ხელები ასწია და შვილს თავზე მოჰხვია. ხათუნას მეხსიერებაში მგონი ეს პირველად იყო: მამა ეალერსებოდა. მშობლის ხმელ, მოღეღილ მკერდს თავადაც დაენდო და მძიმე ტვირთმოხდილმა თვალები მილულა.

## თავი ოცდამეოთხე

ხათუნა თითქოს განწმინდა აღსარებამ. სულის სიმშვიდე დაუბრუნა. შელახული თავმოყვარეობაც დაკმაყოფილებული იყო. მან თვითონ უარჰყო პორფილე ჩინჩალაძე! რა ვუყოთ თუ სხვისმა ჭირმა გული სანთელივით დაურბილა და წუთიერი სისუსტე გამოიჩინა! ხანი გავა, ყველაფერი დავიწყებას მიეცემა. ამიერიდან ის კვლავ ძველი ხათუნა იყო: ქალური მადლით სავსე, მაგრამ ყველასათვის შორეული, მიუკარებელი... აკი თვითონ პორფილე გამოუტყდა „ოღონდ შენ მითხარიო...“

ქუჩაში ამაყად გამოვიდა და დათქმულ ადგილისაკენ გასწია. თან ის მიჰქონდა, რითაც ვერასოდეს ვერავის მოისყიდდა.

პორფილე დაუხვდა. ალბათ, კარგა ხნის მოსული იყო. მოუსვენრად დააბოტებდა აქეთ-იქით.

ხათუნა არ მისალმებია. მისვლისთანავე ქაღალდში გახვეული შეკვრა გაუწოდა.

— ეს რა არის?! — თავისდაუნებურად ხელები უკან წაიღო პორფილე ჩინჩალაძემ, რომელსაც მიუხედავად გაზაფხულის ნაადრევი სიცხეებისა, ფაქიზად დაუთოვებული შავი კოსტუმი ეცვა.

— შენ მითხარი, როცა მაძლევდი? — თვალები შეანათა ხათუნამ. მისი სახის გამომეტყველება გამანადგურებელ დაცინვას გამოჰხატავდა, — ეგ შენი მოტანილი ფულებია. მე მგონია, პატი-

ოსანმა კაცმა არც კი უნდა სცადოს ქალის სიყვარულის ყიდვა.

პორფილეს მეხივით დაეცა ხათუნას სიტყვები. ამოდენა ვაჟკაცი თრთოლვამ აიტანა. უკან-უკან იხევდა და რაღაც გაუგებარს ლუღლუღებდა.

— ჰა, გამომართვი! შეგრცხვა? — არ ინდობდა დამარცხებულ მტერს ხათუნა, — აქამდე ვერსად გნახე, არც მისამართი ვიცოდი. თუ არ გამომართმევ, აგერ დავაგდებ. მეტი არაფერი მაქვს სალაპარაკო!

ამ სიტყვებით ხათუნამ დასტა მიწაზე დააგდო და მაშინვე გატრიალდა. ქუჩაში არავინ იყო. ხათუნა ნაბიჯს უჩქარებდა.

— ხათუნა! — მოესმა უცებ.

ანაზდეულად კინაღამ მიიხედა, მაგრამ უცებ მოისაზრა, უკან მიხედვა რასაც ნიშნავდა და გზა უფრო ჩქარი ნაბიჯით განაგრძო.

— ხათუნა! — ხელახლა დაიძახა პორფილემ.

ქალს მუხლები მოუსავდა. ახლაღა მიხვდა, რომ შეიძლება ეს ამბავი ცუდად დამთავრებულიყო.

„მოხდეს, რაც მოსახდენია!“ — გადაწყვიტა გულში და რათა აქაურობას სასწრაფოდ გასცლოდა, კინაღამ გაიქცა, მაგრამ გაქცევა უკან მიხედვაზე უარესი იყო.

— ხათუნა! — მთელი ხმით დაიღრიალა პორფილემ.

ქალს სისხლი გაუჩერდა. ახლა ჭიშკრები გაიღება და ქუჩაში ხალხი დაიწყებს შეგროვებას. მამა თუგინდ არაფერი, უკვე იცის, ეს ამბავი ზურიას ყურამდე მივა...

ამის უბრალო გაფიქრებამაც კი ერთ ადგილზე გააქვავა ხათუნა. ესმოდა, როგორ ძუნძულით უახლოვდებოდა პორფილე ჩინჩალაძე. იქნებ პორფილე არაა, იქნებ სხვა არის... არა, პორფილეს მეტი ვინ იქნება, ყველას ძინავს...

— ხათუნა! — ქოშინით მოვარდა პორფილე და თითქოს შეშინებია, კიდევ არსად გამექცესო, ქალს ხელში ხელი ჩაავლო, — ერთ წუთს დამიცადე, სანამ სათქმელს არ გეტყვი...

— ხელი გამიშვი! — სიმტკიცის მენარჩუნება სცადა ხათუნამ, თუმცა ერთიანად გაფითრებული იყო და თავადაც კანკალებდა.

— აჰა, ოღონდ გთხოვ, არსად წახვიდე.

— მე შენთვის არ მცალია, პორფილე. საავადმყოფოში ავადმყოფი მამა მელოდება.

— ერთი წუთი მაჩუქე, მარტო ერთი წუთი, მერე სადაც გინდა, წადი.

ხათუნამ ამოიოხრა და მხრით კედელს მიეყრდნო.

— მარა უნდა მოითმინო, რაც არ უნდა გითხრა, უნდა მოითმინო, — სულს ძლივს იბრუნებდა პორფილე ჩინჩალაძე და შუბლზე წურწურით მომდინარე სიმწრის ოფლს ხელის გულით იწმენდდა, — როგორ იყო... ახლა გეტყვი ყველაფერს, როგორ იყო... რად უნდა დავმალო! სულ ერთია, ერთხელ მაინც ხომ უნდა გითხრა. მადლობა ღმერთს, მარტო დაგიგულე. შენ ნუ იფიქრებ, თავს გაცოდებდე, რაიმე იმედი მქონდეს, არა! ვიცი, არაფერი არ შეიძლება ამდენი ამბის შემდეგ... მარა მაინც გეტყვი. შენ რა გენაღვლება, გაიგონე. თუ გინდა, ცალ ყურში გაუშვი. ბავშვები არცერთი აღარა ვართ. ახლა ვერ გეტყვი, როდის ის... შემიყვარდი პირველად. ძნელია. რა დროს ამნაირი სიტყვებით ლაპარაკია. ჩვენ ორივემ კარგად ვიცით, სიყვარული რაც არის. ჰოდა, როგორც გინდა, ისე იფიქრე. სულ ერთია. თქვენს სოფელში, კალოსუბანში მამიდა მყავდა. თეკლე, ოქრუა ქავთარაძის სახლობა. გახსოვს? ახლა ისინი აღარ არიან, მამიდაშვილები დარჩნენ. პირველად იქ გნახე. პატარა გოგო იყავი. მე თექვსმეტის მაინც ვიქნებოდი. აბა მოიგონე!

ხათუნას არც უცდია მეხსიერების დაძაბვა. თიხით შელესილ კედლისათვის მხარი მოეცილებინა და სულელური

წინდაუხედავობით ხაფანგში გაბმული ტუჩებს იკვნეტდა.

— მეტი არაფერი... — დაბნეულად განაგრძო ჩინჩალაძემ, — მერე გაიზარდე. მე ზესტაფონში ვსწავლობდი. ხანდახან შორიდან გხედავდი. ერთხელ სპირიდონმა ვაშლი ჩამოიტანა გასაყიდად. ვაშლი დამზადების წერტმა არ მიიღო. მამაშენს გული მოუვიდა და ვაშლს გადაყრა დაუპირა. შენც თან ახლდი. მაშინ შეგხვდით. გამოგეცნაურეთ. მამაშენს ვუთხარი, ვაშლი მე დამიტოვე და გაგიყიდი მეთქი. რომელი ვაჭარი მე ვიყავი, ჰმ... დამიჯერა. ვაშლი გზის პირას დაყარა, ხიდთან და ხარები გაირეკა. შენ ფულის წასაღებად დაგტოვა. ხომ გახსოვს... შენ ვაშლის გროვასთან იჯექი. მე ქალაქში გავიქეცი. ნაშუადღევამდე ვირბინე, თან მეშინოდა, ვაითუ სადმე წასულიყავი. მუშტარი ვიშოვნე. ვაშლი ხელ-ბოსტნეულის წერტს მივეცი ჩალის ფასად...

— რად გინდა ახლა, პორფილე, მაგას რად მიყვები! — შეაწყვეტინა ხათუნამ, რომელსაც გული აუჩვილა ძველი, მივიწყებული ამბის მოგონებამ და არ უნდოდა ეს გაემჟღავნებინა.

—მოიცა! იმ დღეს მინდოდა მეთქვა. პატარად მომეჩვენე. სამ თვესაც არ გაუვლია, მინდელს გაჰყევი...

სადღაც დარაბამ გაიხრიგინა. მერე ჭრიალი მოისმა.

პორფილე აწრიალდა. დაფეთებულმა ჰიიხედ-მოიხედა.

— წავიდეთ აქედან! — თქვა ხათუნამ.

ქუჩის პირს მხარდამხარ გაჰყვნენ. ხმას არცერთი აღარ იღებდა. მათ თავზე დუმილის ვეებერთელა ქვა ჩამოვარდნილიყო.

—ახლა ყველაფერი გათავებულია! — ხელი ჩაიქნია პორფილემ და ხათუნას მოეჩვენა, თითქოს ეს კაცი ტიროდა. განზრახ დაწინაურდა და გუმანის შესამოწმებლად თანამგზავრს ცერად გადმოჰხედა.

პორფილეს სახე აბზინვებოდა. მოჭუტულ თვალებში ღამე უდგა ცრემლი.

სიბრალულმა ხელახლა შეახო ყლანჭი ხათუნას. უცებ სურვილი დაებადა, პორფილესათვის ხელი გამოედო და ვაჟკაცის მკლავი მაგრად მიეხუტებინა გულზე.

კეთილგონიერება უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

ვინ იცის, რამდენ ხანს იარეს. წინ სარკინიგზო სადგური იყო. აქა-იქ, მოედანზე, ლოგინიდან ახლადგამომძვრალი ხალხი დაბანცალებდა. ხისფეხიანი ბერიკაცი ფილაქნით მოგებულ ქუჩას რწყავდა მოედნის ბოლოში.

— საავადმყოფომდე მიგაცილებ, მიმართა ქალს პორფილემ.

უარის ნიშნად ხათუნამ თავი გააქნია და წასასვლელად აჩქარდა, თუმცა წასვლას ჯერ არ აპირებდა.

— მერე ბევრი სისულელე ჩავიდინე, — ძირს დაიხედა პორფილემ, — რაც წასულია, უკან ვეღარ დავიბრუნებ. ვიცოდი, რა დღეშიც იყავი. ფული მქონდა და მოგეცი. გლახად გამომივიდა. მაგას ნუ მეტყვი: სიყვარულის ყიდვა რა მოსატანია. მე მაგის კაცი არა ვარ, ხათუნა, თუარა დრო გავა და გაიგებ...

— ცოლი რატომ არ შეირთე?

— შევირთე. ხომ მყავდა ცოლი...

— მერე?

— გავეყარე.

— რას ემართლებოდი!

— მოხდა ისე...

— მაინც როგორ მოხდა?

პორფილე აიწურა.

— ალბათ, არ ვიყავით ერთმანეთისათვის გაჩენილები...

ხათუნამ სცადა ვაჟკაცის მზერა დაეჭირა.

პორფილე თვალს არიდებდა.

„ჩემიც ეშინია. ძმისწულის ამბავს არც მე მიმხელს..."

— პორფილე, — სიჩუმე დაარღვია ხათუნამ და გულგრილობის გამოსახატავად თვალი ხისფეხიან ბერიკაცს გაა-

ყოლა, — აქამდე რატომ არ მოდიოდი, მე გამეჯიბრე?

პორფილე შეკრთა. ენას არასოდეს არ უკიდებდა, ახლა კი შებორძიკდა:

— რ... რა თქვი, ხათუნა?

ქალი გაწითლდა. მიხვდა, ზედმეტი სითამამე მოუვიდა. ხელზე პორფილეს ცხელი ხელის შეხება იგრძნო.

— რას შვრები? — გამოერკვა ხათუნა.

ერთმანეთს მიაჩერდნენ. ხარბად მიაჩერდნენ, როგორც არასოდეს. პორფილე ამღვრეული იყო. ხათუნა იღიმებოდა.

## თავი ოცდამეხუთე

ნახევარ საათში მთელ სოფელს მოედო, სპირიდონი მოუყვანიათ საავადმყოფოდანო. ყველამ აქეთ ქნა პირი, რათა თავიანთი თვალით ენახათ სასწაულებრივად გადარჩენილი ბერიკაცი.

ავადმყოფი პალატში იწვა. მეზობლები ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ, ქალები, კაცები... ყველა ერთხმად საყვედურობდა სპირდონს — თუ ღმერთი გწამს, მეორედ ნუღარ იზამ მაგისთანა საქმესო, სავსე ტომარას ოცდაათი წლის ვაჟკაცები ვერ ეზიდებიან, შენ რა წელს იწყვეტო.

სპირიდონს კიდეც მობეზრდა თანასოფლელთა გადაჭარბებული მზრუნველობა. ყველა ერთსა და იგივეს გაიძახოდა. რჩევა-დარიგება პირდაპირ სიტყვის მასალად გაიხადეს. რა ექნა, ხომ ვერ ეტყოდა, ჩემი საქმისა მე ვიცი, აუტკივარ თავს რისთვის იტკივებთო.

ეკა და ხათუნა ცეცხლთან ტრიალებდნენ, მომსვლელებს უმასპინძლდებოდნენ.

სპირიდონს მაღალ სასთუმალზე დაესვენებინა თავი და მხარ-ბეჭი. აქედან გასცქეროდა შუა ოთახში გაშლილ სუფრას. ნანატრმა საღამომ როდისროდის მოატანა. მომსვლელებმა იკლეს.

დაღამდა ის დღე. მეორე დღესაც იგივე განმეორდა. ნაშუადღევს სპირიდონმა ტანსაცმელი და ჯოხი მოითხოვა. ამაყენეთო, მიმართა ცოლსა და შვილს, მეტი აღარ შემეძლია, ერთი ჭირია ორივე, გინდ წოლას მოვუკლავარ და გინდ ფეხზე დგომასო.

ხათუნამ და ეკამ ბევრი უშალეს. მაინც არ დაიშალა. როცა რის ვაივაგლახით ჩააცვეს, ჩლატებში ფეხი წასდგა და ხათუნას დახმარებით წამოდგა. მერე ისევ დაეშვა ლოგინზე. შვინდის წინსაბიჯგს ორივე ხელი მოსჭიდა, წინ გაიდგა და ზედ მიეყუდა, რათა თავი შეემაგრებინა. მის შემხედვარეს თვალები ეტკინებოდა. კაცი ნახევარი აღარ იყო. სანამ იწვა, ამ საშინელ სიგამხდრეს ძნელად თუ შეამჩნევდით, ახლა კი ტახტის კიდეზე მოჩვენებასავით ჩამომჯდარი, გაუპარსავი და ფერგადალეული ნამდვილი ძვალი და ტყავი იყო.

ეკამ ვერ გაუძლო ქმრის დანახვას. პირი იბრუნა და ცრემლმორეულმა ისევ ცომში წარგო ხელი.

სპირიდონი ოხრავდა. ეზოში გასვლა და სუფთა ჰაერის გადაყლაპვა ერთ რამედ ულირდა. სიცხემ, დახუთულ ოთახში წოლამ და უჭმელობამ დააუძლურა ასე ულვთოდ. დღეს პირველად წაატეხა ხაჭაპურს ყური და ზედ ნახევარი ჭიქა ძველშავის ღვინო დააყოლა. იმ ორიოდე წვეთმა ღვინომ გააბედვინა სწორედ ადგომა. თითქოს ძარღვებში სისხლი მოემატა. მას შემდეგ, რაც ნატყვიარი ფეხის ოპერაცია გაუკეთეს და სულგაძაღლებულმა ძმამ უსიამოვნება შეახვედრა, სპირიდონს ისე არასდროს არ მონატრებია სიცოცხლე, როგორც ახლა. თავს პირობას აძლევდა, დღეის ამას იქით გავფრთხილდებიო. ხათუნა გვერდით ჰყავდა. მისი სიახლოვე ძალას უორკეცებდა და კიდევ უფრო აწყურებდა სიცოცხლეს. უნდოდა მოჰხვეოდა, თავისი სისხლი და ხორცი გულში ჩაეხუტებინა და თუ მაინც სასიკვდილოდ განწირული იყო, შვილის ნაზი სითბო საფლავში ნუგეშად ჩაეტანა.

ეზოში გამიყვანეთო, ხელახლა შეევედრა ცოლ-შვილს.

ეკა და ხათუნა მხრებში შეუდგნენ. სპირიდონმა დამძიმებული ხელები მოჰხვია ორივეს და სოხანეზე გაუბედავი ნაბიჯი გადადგა. კარამდე მისვლას ხუთიოდე წუთი მოანდომეს. სპირიდონი წინ იყურებოდა და თითქოს ლამობდა თავისთავისთვის გაესწრო.

ეზოში, მწვანე მოლზე, საკარცხული დაუდგეს. სპირიდონი საიმედოდ ჩაჯდა შიგ და ბალახისა და მიწის გამაბრუებელ სურნელებას ხარბად დაეწაფა.

ეზოში წვრილფეხი გამოფენილიყო. იმ ლელვის ძირას, რომელსაც ამ ზამთარს თოვლმა კინაღამ ტოტები დაამტვრია, ვიღაცას ნაცარი დაეყარა. ნაცარში ბოლოწითელა ვარიები ფრთხიალებდნენ.

ბოსლის კარი ღია იყო. ალბათ, საქონელი მწყემსებს გაატანა ეკამ.

თავგადახდილ მარანს ფითრით გაჩეჩხერებული მსხლის ჩრდილი მისდგომოდა...

— ხათუნა! — დაიძახა სპირიდონმა.

— ბატონო!

— მოდი აქ.

ხათუნამ მოირბინა.

— სკამი მოიტანე.

— ვაიმე, იქ საქმე გვაქვს, მამა.

— კარგი. ჯერ ხომ არ მიდიხარ?

— სად?

— სახლში.

— რა ვიცი, მამა, თუ გამიშვებ, კი არის დრო. იქაურობა უპატრონოდ მაქვს მიტოვებული.

— ზურია რას იწერება?

ხათუნამ უბიდან ზურიას წერილი ამოიღო.

— აჰა, წაიკითხე!

— რაიო?

— არაფერი, კარგად ვართო, — წერილი ხელახლა გაშალა და ეს მერამდენეჯერ ჩაათვალიერა ხათუნამ. — შენს ამბავს კითხულობს. ახალი ვენახის საქმე ჯერჯერობით შეჩერებულიაო. დიდი ამბავი ყოფილა.

— აბა დაგიტოვებენ საკარმიდამოს.

— რა ვიცი, ღმერთმა ქნას.

ხათუნა უცებ გაჩუმდა. მამას არ შეუნიშნავს, როგორ შეეცვალა ქალს სახე.

აგურის ქარხნის ზემოთ, ნამეწყრალზე, ვიღაცამ ამოიარა.

ხათუნა ფეხაკრეფით შევიდა დერეფანში, იქიდან პალატში. გზადაგზა წინსაფარი შემოიხსნა. პალატიდან ისევ მალე გამოვიდა, თვალი მოხუცისაკენ გააპარა და როცა დარწმუნდა, მამა გამჭირვალე ნისლში გახვეული მთების თვალიერებით იყო გართული, დერეფანი გაიარა და იქ, ბეღლის უკან, ყორეზე გადავიდა. ორიოდე წუთის შემდეგ უკვე კარის ვენახის ბოლოზე იყო, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან ებჯინებოდა ნამეწყრალს. ხათუნამ ჯერ ფრთხილად დაზვერა იქაურობა, ხომ არავინ მითვალთვალებსო და ასევე ფრთხილად დაიძახა:

— პორფილე!

კაცი შეჩერდა.

— პორფილე, აქეთ, აქეთ! — ხელი დაუქნია ხათუნამ და ვენახის ბოლოზე გაყოლებულ კოპიტის ჩოჩქებში გამოჩნდა.

პორფილემ ყორესთან მოირბინა. ყორე კაცის სიმაღლე იყო. მისი გულდინჯად მოსწორებული თავი ვეშახს უსწორდებოდა.

— ხომ გითხარი, არ ამოხვიდე მეთქი! — ზემოდანვე უსაყვედურა ხათუნამ, რომელიც ამ კაცის გამოჩენას დილას აქეთია ელოდა.

— მოხდა რამე? — ამოჰხედა პორფილემ და ყორის ხავსიან ქვებს მიეზომა ვენახში გადმოსასვლელად.

— არა, არა, არ გადმოხვიდე! — წამოიძახა ხათუნამ.

— აბა აქ ვიდგეთ? — მოეშვა პორფილე.

— რად უნდა ვიდგეთ, წადი!

— მაშინ სახლში ამოვალ!

— არ შეიძლება. ხომ გითხარი!

— მაინც ამოვალ.

— ეს კიდევ თავისას გაიძახის!

— მიზეზი მითხარი!

— ვერ გეტყვი. ყველაფერს ხომ ვერ გეტყვი!

პორფილე მოუსვენრად იდგა, ყოყმანობდა. ბოლოს გადაწყვიტა, ხავსიან ქვას ხელი მოავლო და ვენახში გადმოხტა, მაგრამ როდესაც შარვალს ეკლები მოაცილა და გაიმართა, ხათუნა უკვე აღარ იყო იქ. ქალი სირბილით მიემართებოდა ბოსტნისაკენ, რომელიც ვენახის თავში, ჭიშკართან იყო.

პორფილემ უცებ ვერ მოისაზრა, რა უნდა ექნა. ამასობაში ქალმა ვაზნარი აათავა და ბოსტანში შევიდა. კიდევ წუთიც და, პორფილე ხმას ვეღარ მიაწვდენდა.

— ხათუნა! — დაუძახა ერთჯერ, მეორედ.

ხათუნას არც მოუხედნია. ჭიშკარი გააღო და ყორის გადაღმა, ეზოში გაუჩინარდა.

„ავალ, რაც იქნება, იქნება!“ — გაიფიქრა პორფილემ.

კიდეც დააპირა ამ გადაწყვეტილების შესრულება, რომ ხათუნა ისევ გამოჩნდა. ვენახში გადმოიხედა.

პორფილე გაბარდნილ კოპიტებთან იდგა.

ხათუნამ ჯერ დაძახება განიზრახა, მაგრამ ეს, ეტყობა, უფრო საშიშად მოეჩვენა და ბოსტნის ჭიშკარი გააღო.

პორფილეს გული მოეცა. ადგილიდან დაიძრა.

— მანდ იყავი, ჩამოვალ! — მოაწვდინა ხმა ხათუნამ.

პორფილე დაემორჩილა. კვლავ კოპიტების ხერგს ამოეფარა.

— ჩვენსას შენი მოსვლა არაფრით არ შეიძლება, — სასწრაფოდ წარმოსთქვა ხათუნამ და ხუთიოდე ნაბიჯის მოშორებით გაჩერდა.

— კი მაგრამ, რა მოხდა. რა იყო?

— მოხდა!

— არ გაიმხილება?

— ნუ ჩამაცივდები!

— უკან რისთვის დაბრუნდი?

— დავბრუნდი... — დამფრთხალი თვალები შეანათა ვაჟკაცს ხათუნამ, — ვიფიქრე, კვალდაკვალ გამომყვება მეთქი....

— გამოგყოლოდი, რა დამავდებოდა!

— არ შეიძლება! მამამ ყველაფერი იცის.

— რა ყველაფერი?

— შენი ფულის ამბავი!

— მერე?

— თავის ეზოში რომ დაგინახოს, უბედურება დატრიალდება.

— ხათუნა...

— წადი ახლა, გთხოვ!

პორფილემ ნაბიჯი გადადგა

— ახლოს არ მომეკარო!

პორფილე არ შეეპუა.

— სამუდამოდ დაგკარგავ, იცოდე! — ხმას აუწია ქალმა, უკან დაიხია და ვაზებს მიაწყდა.

პორფილე შედგა.

— რატომ არ მითხარი თუ მამა საავადმყოფოდან გამოგყავდა?

— არ იყო საჭირო.

— მაინც?

— ვერ ხვდები, რატომაც არ გითხარი?

— აქ კიდევ რამდენ ხანს დარჩები?

— არ ვიცი. შეიძლება ზეგ წავიდე.

— წახვალ თუ არა, მეც მაშინვე იქ გავჩნდები.

— ხომ არ გადაირიე, პორფილე, დაღუპვას მიპირებ?

— სხვა რა ვქნა?! — დაფარულმა სასოწარკვეთილებამ ხმა გაუბზარა ჩაიჩქლიკეს.

— რა უნდა ქნა, შენ შენთვის იყავი, მე ჩემთვის!

— მერე ეგ სამართალია?

— ჩემი ბრალი ხომ არ არის!

— ჩვენი ბედი ჩვენს ხელშია, ხათუნა! — მუდარით წარმოსთქვა პორფილემ და კიდევ გადადგა ნაბიჯი ქალისაკენ.

— არ მომეკარო! — ისე ცივად წამოსცდა ხათუნას, მამაკაცის უტყუარი

გუმანით პორფილე მიხვდა: ქალის თხოვნა გულწრფელი იყო.

— აბა რისთვის მიჩვენე გული, რისთვის... — ერთბაშად ხმა ჩაუწყდა ჩინჩალაძეს.

ხათუნამ მხრები აზიდა, თვალები გაუშტერდა:

— მეც ადამიანი ვარ.

— მერე მე რას გთხოვ ისეთს!

— შეუძლებელს მთხოვ. რაც არასოდეს არ მოხდება, იმაზე ტყუილად ნუ ვილაპარაკებთ. მე შვილები მყავს...

— შენი შვილები ჩემი შვილებია!

— მაგრამ შენ იმათი მამა არა ხარ.

— ვიქნები!

— ეგ მე და შენი საქმე არ არის, პორფილე, იმათი საქმეა. წადი. გადამარჩინე ამ სატანჯველს, მეტი აღარ შემიძლია!

— ხათუნა...

— წადი! ეს არის ჩემი საბოლოო პასუხი.

ხათუნამ ამ სიტყვებზე წასვლა დააპირა, პორფილემ გზა გადაუღობა.

— რა გინდა! — სუნთქვა შეუგუბდა ისედაც თავგზააბნეულ ქალს.

— ნუ წახვალ, ერთ წუთს დაიცადე!

პორფილე თრთოდა. მკერდი მალიმალ აუდ-ჩაუდიოდა. ქალს ეს ავის მომასწავებლად მოეჩვენა, დაფრთხა: გასაქცევი გზა მოჭრილი ჰქონდა.

— გეხვეწები, გამიშვი! — მუდარაზე გადავიდა და ცრემლები ღვარად მოადგა, — ოღონდ ახლა გამიშვი...

— ხვალ ზესტაფონში ჩამოდი! — წასჩურჩულა პორფილემ და ხელი დაუჭირა.

ხათუნა მხოლოდ ერთ წუთს ყოყმანობდა. მერე შიშითა და გულწრფელობით აღსავსე თვალები ჩინჩალაძეს მიაპყრო.

— ვერ გენდობი, პორფილე, რა ვქნა. შენი თქმის არ იყოს, რაც გინდა, ის იფიქრე. ხომ გამოვედი აგერ, ხომ გითხარი. ვისთვის ჩავიდენდი ამას, ვისთვის ჩავიგდებდი თავს საფრთხეში! მეტი რა ვქნა. სიკეთეს ბოროტად ნუ გადამიხდი. ვიცი, არ გძულვარ. არც მე მძულხარ. ნუ დამღუპავ, ნურც შენს თავს დაიღუპავ. წადი, დაწყნარდი...

— ვერ დავწყნარდები!..

ხათუნა მიხვდა: პორფილეს ეს სიტყვები მარტო სიჯიუტის გამოხატულება არ იყო და ნათქვამს ხმის კანკალით დაუმატა:

— თუ მაგაზე ვიფიქრებ, სიტყვას გაძლევ, შენს მეტს არავის... მეტი რაღა გინდა. დამშვიდდი ახლა, წადი...

— ხათუნა, მართალს მეუბნები?

— მართალს გეუბნები, შვილებს ვფიცავ.

— მე როგორ შევიტყო შენი გადაწყვეტილება?

— შეგატყობინებ.

„მატყუებს, თავიდან მიცილებს!“ — გაიფიქრა პორფილემ.

— არა გჯერავს? — ჰკითხა ხათუნამ.

— აქედან ფეხს არ გადავდგამ, სანამ საბოლოო პასუხს არ მივიღებ. თქვი და გაათავე!

— ახლა ვერაფერს ვერ გეტყვი, პორფილე. ხელი გამიშვი, ნუ მიჭერ აგრე მხეცივით!

— აბა როდის!

— ვნახოთ.

— მაინც?

— წავალ ჯერ, ბავშვებს დავხედავ...

პორფილეს მოეჩვენა, რომ ქალი თავპატიჟს იდებდა.

„ან ახლა ან არასოდეს!“ — მტკიცედ გადაწყვიტა გულში.

— რამდენი დღე გეყოფა მოსაფიქრებლად?

— ამომაძვრე სული ახლა!

— რამდენი დღე გინდა?

— ხომ გითხარი, შეგატყობინებ მეთქი.

— მე ვიცი, რასაც ნიშნავს ეგ შეტყობინება! სანამ აქ ხარ, მანამ უნდა გათავდეს ყველაფერი!

— გადაირიე? — გაეღიმა ხათუნას.

— ხვალ უნდა მითხრა! — ქალის ღიმილი თანხმობად მიიღო და ამან სიმხნევე შემატა პორფილე ჩინჩალაძეს,

— დაგელოდო ხვალ? ძველ ადგილზე, სადაც გუშინწინ შევხვდით. ნაშუადღევს, გინდ საღამოთი. არ მომატყუო. მთელ დღეს იქ დავაღამებ. ჰო, მითხარი, ჩამოვალთქო. ჩამოხვალ?

— კარგი, ჩამოვალ, — თავი ჩაღუნა ხათუნამ.

პორფილე სიხარულმა აიტაცა. სცადა მეორე ხელიც დაეჭირა ხათუნასათვის, მაგრამ ქალმა როგორღაც იღრძოვა, გაუსხლტა და უკანმოუხედავად შევარდა ზვარში.

## თავი ოცდამეექვსე

ცეცხლთან ტრიალით სახეწამოფიცხებულმა ეკამ დერეფანში გამოიხედა. ხათუნა კარგა ხნის გამოსული იყო. ეკას მამასთან ეგონა. ქმრისათვის უნდოდა დაეძახა, „ი ბოვში სად წავიდაო“, როცა ხათუნა ეზოს ბოლოზე დაინახა. ბოსტნის ჭიშკარს კეტავდა.

— სად იყავი, დედა? — მოავებ ეკამ შვილს, როგორც კი ამ უკანასკნელმა ეზო ამოათავა და საკარცხულში ჩახვავებულ სპირიდონს უბრად გამოუარა.

— მწვანილზე ჩავედი, — იცრუა ხათუნამ.

— იშოვნე? ვაითუ თხებმა გადაჭამეს!

ხათუნამ მუჭში ჩაგროვილი ქინძის პაწაწინა კონა აჩვენა.

— ასე რამ აგაწითლა?

— ვირბინე, — მიაფუჩეჩა ხათუნამ და რათა საუბრის გაგრძელებისათვის თავი აერიდებინა, საჩქაროდ პალატში შევიდა.

„ეს რა ვქენი! — შფოთავდა და შიშის ზარი თანდათან იტანდა, — ან ბავშვებს როგორ გავუმხილო ან მამას რა ვუთხრა!“

დღის დარჩენილი ნაწილი და მთელი ღამე ამ ფიქრში გაატარა. უნდოდა როგორმე ჩასძინებოდა და დილით, გამოფხიზლებულს გონების თვალით აეწონ-დაეწონა თავისი მდგომარეობა. ხანდახან წამით ჩასთვლემდა, არეულ სიზმარს ნახავდა და მაშინვე ეღვიძებოდა. ხის განიერ ტახტზე იწვა, სწორედ იმ ტახტზე, რომელზედაც სპირიდონი და ზურია იძინებდნენ ხოლმე ზამთარში. გვერდის ყოველ მონაცვლებისას ტახტი ჭრიალებდა. ამ ჭრიალს უმალვე გამოეხმაურებოდა მამის ტახტის ჭრიალიც. სიბნელეში დედა ამოიკვნესებდა და მერე ხელახლა სამარისებური სიჩუმე შთანთქავდა ყველაფერს. ეტყობოდა, არც მოხუცებს ეძინათ. ამ გაუთავებელ, ბნელ ღამეში სამივე ფხიზლობდა, მხოლოდ გამხელას ერიდებოდნენ.

დილით, როცა ტანზე ჩაიცვა და წვივსაკრავების ასაღებად ისევ პალატში შებრუნდა, ხათუნა მამის თვალებს წააწყდა. უმალვე სოხანეზე ჩაიჩოქა და ტახტქვეშ შეიხედა, თუმცა ერთმანეთზე გადასკვნილი წვივსაკრავები იქვე, ტახტის ფეხთან ეყარა.

— ხათუნა! — ჩაახველა მოხუცმა.

— ოჰ, გღვიძავს, მამა? — გაიმართა ხათუნა.

— სად მიდიხარ?

— დეპეშა მინდა გავუგზავნო ბიჭებს, იქნებ სადგურზე დამხვდნენ, — სხაპასხუპით მიუგო ქალიშვილმა, ტახტზე ჩამოჯდა და ფოჩებიანი წვივსაკრავი ფეხზე წამოიცვა.

— დედაშენი სად არის?

— ძროხას წველის.

— მალე ამოდი!

— იქ რას გავუჩერდები!

— ფრთხილად იარე, უნამუსო კაციშვილს არსად გადააწყდე.

— ნუ გეშინია, მამა, — თავი ჩაღუნა ხათუნამ და მოშიშვლებულ მუხლზე კაბის კალთა გადაიფარა.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაბრიელ ჯაბუშანური

★

## ორი თასი

და შენ, მზექალო, ლუდიანი მომართვი თასი,
ჩემს წინ დგახარ და იღიმები მნათობივითა.
სასმისში ელავს მოცინარი შენი ხატება..

დაგლოცე გულით.
დავეწაფე მოწყურვებული
თასს
და მწადია, სულის სწორო, შეგსვა მთლიანად...

დავცალე ჯამი.
კვლავ მწყურიხარ გაგიჟებითა
და გევედრები, რომ სასმისი ამივსო კვალად.

შენ უმალ მოგაქვს ორი თასი პირამდე სავსე.
ერთს მე მთავაზობ
და მეორეს რაყიფსა ჩემსა...
... შენ ახლა ჩანხარ ჩემი ჩია რაყიფის თასში...

ვიღაცა ხევსურს მივაჩეჩე ჩემი სასმისი,
გავშორდი ხალხს და...
აღარ ძალმიძს წვეთის დალევაც...

## გალადა შვიდზე

ამ კლდეში შვიდი დევი შემომხვდა,
ეხზე მოჩხუბართ მოგვიხდა ჩეხვა.
დავკარით ერთურთს: —
        შვიდი მე მომხვდა,
შვიდჯერ მათ გაჰკრა ჩემი ხმლის მეხმა.

შვიდ დღეს ვიბრძოდით,
ჩაჩქნიან თავებს
ცეცხლი
და სისხლის სდიოდა ქაფი.
მეშვიდე მწუხრზე ვაჯობე დევებს
და დავიმკვიდრე ქარაფში ქვაბი.

შვიდ თვეს ჭრილობებს მიხვევდა დალი
და ბოლოს სძლია სიცოცხლემ სიკვდილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვიდ წელს ვცხოვრობდი მიჯნური მწყრალი
შვიდი მთის მიღმა
და ახლაც მიკვირს:

ვით ავიტანე ის იარები,
ან უშენობა ვით ავიტანე,
მზის ღიმილს როგორ ვიზიარებდი,
ვით არ გავგიჟდი იმთავიდანვე...

მაგრამ, მზექალო, აჯობეს ყოველს
შენმა ღიმილმა
და შენთა თვალთა:
შვიდი წლის შემდეგ კვლავ სოფლად მოველ,
კვლავ შენი ეშხის ხანძარი მშანთავს...

როცა ვადარებ ტანჯვას აწინდელს
მასხრობად მიჩანს დევებთან რკენა.
ვერც დაჟანგული გორდა გავწმინდე,
ვერც სასაუბროდ ვაბრუნებ ენას.

საკუთარ თავის დაფერფვლას ვუმზერ,
მასვი, მზექალო, ცეცხლშერთულს წყალი!
შვიდი ჭრილობა მაჩნია გულზე,
შვიდ წელსაც ველარ მომარჩენს დალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ლადო სულაბერიძე

★

## მონოლოგი

ყირიმში დამრჩა
მოკვეთილი მარცხენა ხელი
იმ ხელით ახლა
მე მიჭირავს მიწაც ყირიმის.
აქ ხელს შევახებ,
მშობლიური მიწაა ცხელი,
მშობლიურ ზეცას
შემოვუქნევ ორთაყვირივით.
და მყის მარჯვენას
თან აჰყვება მარცხენაც გრძელი,
ასე დასჩემდა
ჩემს მარჯვენას მარცხენის განცდა,
თითქოს მოვხვიე
დედამიწას ორივე ხელი
და მიმაქვს მზისკენ...
მეტი რა ქნას ცალხელა კაცმა?!

## პოეტი

„შენ ამხანაგო, დღიურ პროზიდან..."
გალაკტიონი

მე წავალ ადრე და რძეს მოვიტან,
მე წავალ ადრე ,მოვიტან მაწონს,
შევიბუმბლები გარეთ თოვლითა,
ვჩქარობ, ბაზრისკენ არ გადამასწრონ.
და ამ საქმეში, გულგასახარში,
მინდა, არ მყავდეს არავინ ტოლი,
გზად შემომხვდება ორთქლი სახაშის,
ნისლი მგონია სახაშის ბოლი.
თოვს და სიცივე თუ არის მკაცრი,
მე შევისრისავ ხელებით ყურებს.
ღიმილით მომცემს რაჭველი კაცი
თონიდან ახლად ამოყრილ პურებს.
და დავბრუნდები მერე ბაზრიდან,
სახლისკენ ნელა ავყვები აღმართს.
ჩემს ბიჭებს, რძით და მაწვნით გაზრდილთა,
შევხედავ
და შევბრუნდები წაღმა.
ბავშვებს ჯერ სიზმრის ღიმილი მოსავთ...
დავლოცავ იმათ ხვალინდელ დღესაც...
და დილით ადრე დაწყებულ პროზას
ნაშუალამევს გარდავქმნი ლექსად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ვახტანგ გორგანელი

★

### ორი ალვის ხე

ველს გადუარეს ნისლის ქულებმა,
მთებმა ნელ-ნელა მკერდი გადიხსნეს,
თითქოს ერთმანეთს ეჩურჩულება
ჩემს ფანჯარასთან ორი ალვის ხე.
ხან მათ ფოთლებში ნიავი წვება,
ხან იკარგება კაკბის კაკანი,
ხან ისე უცებ შესწყვეტენ რწევას,
იტყვი. გაჩერდა ბავშვის აკვანი!

მთვარე ცაზე რომ დასცლის კალათას
და კარმიდამოს ვუმზერ შორიდან.
ასე მგონია, ლურჯ ფანჯარასთან
ჩემთან მოსული იცდის ორი და.
ღობეს გაჰყვება წყარო კანკალით.
როცა ფოთლების ჩხრიალს ჩაიხვევს.
ჩემი სახლი დგას, როგორც აკვანი
და ნანას ამბობს ორი ალვის ხე.

### გულგული

შენს ნარნარ ჰანგებს სიცოცხლეს
უძლევი,
რაც ქვეყანაზე არა ბერდება,
სიხარულს შენი სიმღერა უძღვის,
სიყვარულს შენი ცეცხლი ედება.
შენი ტკბილი ხმა სად არ გასტყორცნე,
შენი ტკბილი ხმა სად არ ილვრება,
გულის თაფლს მოგცემ, ჩემს სუნთქვას
მოგცემ,
ჩამომიქენი ერთი სიმღერა.
ვაზს ფესვების წვენს დავესესხები,
მზის სხივს გამოვთლი ლერწამას ღერად,
მომეშველება ენა მერცხლების
ოღონდ მასწავლე შენი სიმღერა.

მომეშველება აფრის ტკაცუნი,
ლალი ირმების მთაში ბუბუნი,
შორს ქარაფებში მწყემსი წასული
ტრფიალებისგან გულდაბუგული.
ივრის მჩქეფარე ტალღა მიშველის,
ამომიდგება მხარში გრიგალი.
მეც მათქმევინე ჰანგი ისეთი,
რომ თან ამოჰყვეს სიტყვას ჯიგარი.
მე შენი ბაგე მრავალჯერ ვკოცნე,
მე შენი შუქი წინ მიმიძღვება.
გულის თაფლს მოგცემ, ჩემს სუნთქვას
მოგცემ
ჩამომიქენი ერთი სიმღერა

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტრო პანჩი

★

# გზაში

კუპეებიანი ვაგონის ტალანში შევიდა ახალგაზრდა, რომელსაც ბოხჩა და დიდი ჩემოდანი ეჭირა ხელში, მან კუპეების ნომრების თვალიერება დაიწყო. იქვე ტალანის ღია ფანჯარასთან დახუჰუჭებულ წაბლისფერთმიანი გოგონა იდგა, ვიღაც გარეთ მყოფს უღიმოდა და მის დატკუცულ ლოყებზე მალი-მალ გულის წარმტაცი ჩაბურცი ჩნდებოდა. მოხატულ წარბებ ქვეშ ორი დიდრონი თვალი ტრამალის ტბებივით ალურჯებულიყო.

ახალგაზრდამ გოგონას ჩემოდანი მოახვედრა უცაბედად. გოგონამ მოიხედა და გაკვირვებით წარბები ასწია. შემდეგ სახეზე სიხარულის ღიმილი აუთამაშდა, რაც ჩქარა უხერხულობამ შესცვალა: მას ეცვა უბრალო რუხი ჯემპერი, ვიწრო სახელოებიდან მოსჩანდნენ აწითლებული ხელები, და გოგონას ეუხერხულა, ცოტა დაიბნა, მაგრამ მაინც გაუბედავად დაუძახა:

— ოლეგ!

ახალგაზრდამ მოიხედა და მის მიხაკისფერ თვალებში ჯერ საამო გაკვირვება ამოცურდა, წამიერ დაიბნა და მაშინვე იმანაც უხერხულობა იგრძნო: ძველებური პიჯაკი ეცვა და ფართოკვანძიანი ყელსახვევი ჰქონდა გაკეთებული.

— ირა! — დარცხვენით წარმოსთქვა იმანაც.

ვაგონში შემავალ მგზავრებს ჩემოდანი გავლას უშლიდა და ხმამაღლა აბუზღუნდნენ, მაგრამ ახალგაზრდა ვაჟი მათ ყურს არ უგდებდა, გოგონას გვერდით იდგა, ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა და არეულ-დარეულ კითხვებს აძლევდა მას.

— ხალხს გავლას ვუშლით, — უთხრა გოგონამ, — წამო ჩემს კუპეში.

როგორც გამოირკვა, ვაჟის ადგილიც ამავე კუპეში ყოფილიყო. ოლეგმა თავისი ბარგი დააბინავა, თავისუფლად ამოისუნთქა, ჩამოჯდა და დაკვირვებით მიაჩერდა გოგონას.

სამი წლის წინათ მათ კიევში ერთად დაამთავრეს საშუალო სკოლა. ირა ოცნებობდა არტისტი გამხდარიყო, ოლეგს კი დიპლომატია იტაცებდა. იქნებ ამიტომაც ორივე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა გარეგნობასა და მანერებს. ახლა ვაჟი თითქოს ვეღარა სცნობდა ირას: ის როგორღაც მწიფე ალუბალს ჰგავდა, მაგრამ ამით არა თუ განსხვავდებოდა მეათე კლასელ პრანჭია გოგონასაგან — ახლა მის გარეგნობაშიც, ქცევაშიც უფრო მეტი სისადავე და გულწრფელობა იგრძნობოდა.

— რაო, რას მომჩერებიხარ? — შეეკითხა მთლად წამოწითლებული ირა.— ძალიან დავუშნოვდი?

— პირიქით!

სანამ ვაჟი ჩუმად იყო, თითონ გოგონაც შეუმჩნევლად ათვალიერებდა თავის სკოლის ამხანაგს და ვერც ისა სცნობდა ოლეგს.

— მე კი მეგონა, ქათინაურებს გადაეჩვიე.

— გადავეჩვიე, ირა, როგორც ხედავ, გადავეჩვიე! შენ რა, მოსკოვში სწავლობ? თეატრალურში შეხვედი თუ სტუდიაში დადიხარ?

— არც იქა და არც იქა.

ვაჟმა კითხვის ნიშნად წარბები მაღლა ასწია.

— გიკვირს? — უთხრა გოგონამ. — არტისტად უნდა დაიბადო. სცენაზე კი თოჯინას რომ ვთამაშობდე, სინდისი უკვე ნებას აღარ მაძლევს. აი, როდის მოვედი ჭკუაზე. მაყურებელთა უმრავ-

ლესობა ახლა პიესას უკეთესად კითხულობს, ვიდრე ზოგიერთი თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი, ან თუნდაც მსახიობი.

— ჰო, მაგრამ შენ ხომ ოცნებობდი?

— მალულად, ოპერაზე, — გოგონა რატომღაც უცბათ წამოწითლდა, — იქ ლიბრეტოს წაკითხვის უნარი ხმას ვერ შესცვლის. გამოირკვა ,რომ სმენა არა მქონია.

— მაშ სწავლის გაგრძელებაზე აღარ ფიქრობ?

— ვფიქრობ. შემოდგომაზე წავალ, კიდევ შევეცდები ინსტიტუტში შესვლას, მხოლოდ ახლა სხვა არჩევანი მაქვს.

— რატომ? კიდევ შეეცდები?

— იმიტომ, რომ ერთხელ უკვე ვცადე და ჩავიჭერი. არცა ვნანობ. სულ მუდამ სხვის სნეულებებს ჩაჰკირკიტებდე... მშენებლობას არაფერი სჯობია! ყოველი შენი ნაბიჯი, ყოველი ხელის განძრევა ხილულ ობიექტად იქცევა. მერე შრომის შემდეგ დასვენება რა ტკბილია!

გოგონა რაც უფრო მეტსა ლაპარაკობდა ,ვაჟიც უფრო ჰკიბავდა თვალებს. ის ირას იცნობდა ისეთ გოგონად, რომელიც შავ სამუშაოს გაურბოდა, რომელსაც დედა მტვერსაც კი არ აკარებდა, მხოლოდ მამა, კადრის ზეინკალი, ყოველთვის ეუბნებოდა „შვილო, იცოდე, რასაც შენი ხელით გააკეთებ, იმას მოიპოვებო“. ახლა კი ირა, მეტის მეტი სურვილით თავის სკოლის ამხანაგს ფიზიკური მუშაობის უპირატესობა რომ დაუმტკიცოს, მთლად წამოჭარხალდა კიდეც.

— მაშ ინსტიტუტი რაღად გინდა?

— იმიტომ კი არ მინდა სწავლა, რომ ცხოვრება გავიადვილო? სწავლა იმისათვის მინდა, რომ უფრო უკეთესად შევძლო მუშაობა!

ვაჟმა გაიღიმა: გოგონა კუპეს სარკეში შეუმჩნევლად ათვალიერებდა თავის თავს და ყოველ ჩახედვაზე უფრო და უფრო იკრავდა წარბებს, როგორც ამას სკოლაში შვრებოდა ხოლმე ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

— შენა? ჩქარა იქნები დიპლომატი?

ახლა უკვე ვაჟის ჯერი დადგა ყურებამდე აწითლებულიყო, და როგორღაც ჩაიბუტბუტა:

— განა მარტო ფანჯარა გვაძლევს სინათლეს! — შემდეგ უცბად ხმას აუწია. — იცი, ერთი ჩვენი ნაცნობი ყამირ მიწებზე წავიდა, იქ კომბაინერად დაიწყო მუშაობა და უკვე სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიიღო.

— ვინ? რომელმა?

— ვერ მოგართვი. იმას შენ ცოტა უყვარდი კიდეც... ცოტა კი არა, ძალიან უყვარდი...

გოგონას უფრო გაეღვიძა სურვილი, გაეგო ვისზე ლაპარაკობდა ოლეგი.

— არ მეტყვი და არც მე გეტყვი რამეს.

— გამომშვიდობებისას გეტყვი.

— ახლა სად მიემგზავრები?

— ჟმერინკაში. დედმამას ვნახავ და ისევ სამუშაოს დავუბრუნდები.

— მოგწონს შენი სამუშაო? ასე მგონია სიცოცხლე უშრომლად არაფრად ვარგა. როგორც ცარიელი ბოთლი.

ვაჟმა გაიღიმა.

— ალბათ ახლა ბევრსა კითხულობ? აბა, თათი მაჩვენე, — უთხრა ქალმა.

ვაჟმა ხელი გაუწოდა. გოგონამ ხელი გადაუბრუნა და მის ხელისგულს ისე ჩააცქერდა, თითქოს მკითხაობას უპირებსო. შემდეგ ვაჟს თვალი მიაშტერა და ჰკითხა:

— ალბათ სტუდენტებთან ერთად იყავი ყამირზე პურის ასაკრებად? ხელებიც იქ დაგიკოჟრდებოდა!

— მართალი ხარ, ირა, იქ დამიკოჟრდა! აი, სად არის სილაღე! აი, სად უნდა მოძებნონ მხატვრული ნაწარმოების გმირები! შრომის შესახებ მშვენივრად ლაპარაკობდი, მაგრამ მგონი უფრო მეტად დააფასებდი მას, პრაქტიკიდანაც რომ გამოდიოდე.

გოგონამ ტუჩი მოიკვნიტა და სახე ფანჯრისაკენ მიაბრუნა.

— აბა, წარმოიდგინე, ირა, — განაგრ-

ძობდა ვაჟი, — საბჭოთა კავშირში პროფესიის ინტელიგენტურობის განსაზღვრა ცვალებადობას განიცდის, გარეგანი ნიშნები კი არა, სარგებლობის ხარისხი აღნიშნავს ამჟამად ადამიანის ადგილს საზოგადოებაში. გახსოვს, მამაშენი ხშირად ამბობდა ხოლმე: „ინტელიგენტი, ინტელიგენტი, ის კი მხოლოდ სუფთად არის ჩაცმული. მე კი თავის დღეში არ მოვისურვებდი იმასავით სხვებისთვის პირში მეცქირა“. ხშირად მაგონდება ხოლმე მისი სიტყვები, ნეტა მამაჩემზე ხომ არ ლაპარაკობს მეთქი. ერთი ხელობა მეც დანტისტობა მინდოდა, მერე — დიპლომატობა, ხოლო როცა ყამირზე ხალხს დავაკვირდი, მოვუსმინე, დავინახე, თუ რამდენად უფრო ინტელიგენტურია მათი შრომა, ვინემ მამიჩემისა, და არამც თუ მამიჩემისა... მათი გონების არე უფრო ფართოა, მსოფლმხედველობა ნათელი, შეგნება ღრმა, და სამშობლოს სიყვარული უფრო კონკრეტული.

კუპეში მგზავრებს შორის ერთი სქელი ქალიც იყო. მთელი გზა შემწვარ ქათამს ღრღნიდა და ლაპარაკში არ ჩაბმულა, მაგრამ ოლეგმა რომ ირას მამის სიტყვები მოიგონა ინტელიგენტების შესახებ, სქელმა ქალმა რაღაც ჩაიფრუტუნა და კუპე დასტოვა.

— ვგონებ აწყენინე, — უთხრა გოგონამ ოლეგს.

ვაჟმა უხერხულობა იგრძნო.

— მე ხომ მამიჩემის პროფესია არ მიძაგებია! ყოველგვარი შრომა კეთილშობილურია, თუ ის ყველასთვის არის გამოსადეგი. მაგრამ ვამბობდი და ვამბობ, რომ ინტელიგენტობის შესახებ ჩვენი შეხედულება კი საჭიროა გამოვიცვალოთ. განა ეს სწორი არ არის? უსაზიზღრესი პროფესია—მუქთახორობაა. მერე უფრო ხშირად სადა ვხვდებით მას? რასაკვირველია, ინტელიგენციაში.

გოგონა ოდნავ შესამჩნევად იღიმებოდა. შეიძლება, მოსწონდა, რომ მისი სკოლის ამხანაგი მომწიფებული ადამიანივით მსჯელობს. შემდეგ გულიდან ამოიოხრა და რომ ეს ამოოხვრა დაეფარა, ოლეგს მიმართა:

— უკვე გვიან არის, მოდი ვივახშმოთ.

გოგონა რომ ბადიდან პირსახოცს იღებდა, ვაჟმა თმა ჩამოსწია:

— ნაწნავები რა უყავი?

გოგონამ ხელზე ხელი დაჰკრა.

— ოჰო, ასეთი ხელით შენობების აშენებაც შეიძლება.

— შენ კი დროა, ქალებთან ზრდილობიანი მოქცევა ისწავლო. დამიხედეთ დიპლომატსა! წავალ ხელებს დავიბან, შენ კი სუფრა გააწყე. — კარების ზღურბლთან გოგონა ცოტა შეჩერდა, თვალები ძირს დახარა და მორცხვად სთხოვა: „ოლეგ, ერთი დღით კიევში დარჩი, ჰა? ჩვენს სკოლაში მივიდეთ, პარკში იმ სკამზე დავსხდეთ“... — სახე აუჭარხლდა და სასწრაფოდ გაირბინა ტალანი.

ვაჟი შუა კუპეში იდგა და თავის თავს უღიმოდა. შემდეგ მაღლა თაროზე აცოცდა ჩემოდანის ჩამოსაღებად, რომ თავისი სანოვაგეც ამოეღო. ჩემოდანი, როცა სკამზე დგამდა, კედელზე დაკიდებულ ირას ჟაკეტს წამოსდო. ჟაკეტი გაიშალა და ოლეგს შრომის წითელი დროშის ორდენმა შეანათა თვალებში. ოლეგს ჯერ ეგონა, რომ ჟაკეტი ტალანში გასულ ქალს ეკუთვნოდა, მაგრამ მისი სკამის ზემოთაც ეკიდა ჟაკეტი. ვაჟმა მხრები აიწია და გახევდა. „როგორ? ირამ ორდენი მიიღო? შეუძლებელია! რითი დაიმსახურა? გამოცდებში ჩაჭრით? შრომისადმი კეთილი აზრებით? არ მესმის!.. დაიცა, დაიცა... — ოლეგმა ჯიბიდან გაზეთი ამოიღო და ბრძანებულებაში მოყვანილი გვარების სიის გადათვალიერება დაიწყო.—„ნებილიცა ირინა მიტროფანეს ასული“... მერე რა დამოკიდებულება აქვს ამასთან ირას? — „მებათქაშეთა ბრიგადის სანიმუშო მუშაობისათვის“. მან ხელი ხელს შემოჰკრა... ირა? მებათქაშე? ღმერთო, მომკალი? აი, საოცრება! მეც მომიხდება სიტყვა გავტეხო... მან ფიცხლავ ამოალაგა ჩემოდნიდან სანოვაგიანი პარკები, მოშავო კოლოფი ამოიღო. ახადა მას სახურავი და იქიდან სოციალისტური შრო-

მის ვარსკვლავი ამოაძვრინა. მერე გაჭიმული ხელის სიშორეზე დაიჭირა, შეათვალიერა და უნდოდა პიჯაკზე გაეკეთებინა ,მაგრამ ტალანში ირას ფეხისხმა გაისმა: ოლეგი შეყოყმანდა, შემდეგ ორდენი ისევ კოლოფში ჩასდო და ღიმილით ჩაილაპარაკა. „კიდევ მოვასწრებთ, ვაჟკაცო!“ და ჩემოდანში შეინახა. „საოცარია! მე კი მრცხვენოდა ჩემი ხელების კოჟოჟები მეჩვენებინა!..“

პირის დაბანვის შემდეგ გოგონა თითქოს უფრო გაფურჩქვნილიყო და ვაჟი თვალს არ აშორებდა მას. ვახშმის შემდეგ სკამზე გვერდით მიუსხდნენ ერთმანეთს და დაიწყეს მოგონებანი სკოლის ამბებისა, კიევის ბაღებისა, წაბლებისა და მთვარიან ღამეებისა.

— გახსოვს, ირა, დნეპრზე რომ ნავებით გავისეირნეთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასუხი რომ ვერ მიიღო, ოლეგმა გახედა გოგონას. მას ვაჟის მხარზე თავი მიეყრდნო და ჩასძინებოდა. ვაჟმა ხელში აიღო გოგონას ხუჭუჭი თმის კულული, რომელსაც გრილი ნიავის სუნი უდიოდა და ნაზად აკოცა.

— ერთი დღე კი არა, ჩემო ტურფავ. მთელი ჩემი სიცოცხლე მსურს შენთან გავატარო...

ეს მან მხოლოდ გაიფიქრა, რადგან ეშინოდა გოგონა არ გაეღვიძებინა.

თარგმანი უკრაინულიდან

გიორგი ნამორაძისა

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ოსკარ უაილდი

★

# მებადური და მისი სული

ჭაბუკი მებადური ყოველ საღამოს გადიოდა ზღვაში და გადაისროდა ხოლმე ნავიდან ბადეს.

როდესაც ქარი ხმელიდან ქროდა, ვერას იჭერდა, ან სულ მცირეოდენს, რადგან ზღვას აღელვებდა შავფრთოსანი, ხორშაკი ქარი, დიდ-დიდი ტალღები ისწრაფვოდნენ მის შესახვედრად. ხოლო როდესაც ზღვიდან მოჰბეროდა ნაზი ბორიო, თევზი ტოვებდა ზღვის ბნელ უფსკრულებს და თავს იყრიდა მისი ბადის კუნჭულებში, იგიც გაიტანდა ხოლმე ნადავლს ბაზარზე და ყიდდა.

ყოველ საღამოს გადიოდა იგი ზღვაში და ერთ საღამოს დიდად ემძიმა თავისი ბადის წყლიდან ამოზიდვა. მაშინ გაიხარა მან და იფიქრა: „უთუოდ მთელი ამ ზღვის თევზი დამიჭერია. ან რაიმე ურჩხული თუ გაბმულა ბადეში განსაცვიფრებლად კაცთა, ან კიდევ სხვა რამ საშინელება, რომლის დანახვა დიდ დედოფალსაც გაახარებდა“. კვლავ მიიზიდა მთელი ძალით დიდი თოკები, მსხვილი ძარღვები დააჩნდნენ მაშინ მის მკლავებს, როგორც ბრინჯაოს ლარნაკს ცისფერი მინანქრის ზოლები. მერმე მოზიდა წვრილი ბაწრები, ახლოს და ახლოს მოცურდა ტივტივა რგოლთა წრე და ბოლოს ბადეც გამოჩნდა წყლის ზედაპირზე.

მაგრამ არც თევზი, არც ურჩხული, არც თუ საგანი რამ საშინელი არ მოჰყოლია მას ამჯერად: ზღვის პატარა ფერია გახვეულიყო ბადეში მხოლოდ, ტკბილად მძინარე.

დასველებული ოქროს საწმისის დარი თმები ჰქონდა მას და ყოველი ღერი თმისა ბაჯაღლო ოქროს ძაფს მიუგავდა, ბროლის თასში ჩადებულს. თეთრი სპილოსძვლისფერი სხეული ჰქონდა ფერიას და ვერცხლის ბოლო, მარგალიტით მოოჭვილი. ზღვის მწვანე ხავსი მოსდებოდა ვერცხლისა და მარგალიტის ბოლოზე, ზღვის მცირე ღინჭილების დარი ყურები ჰქონდა, ზღვისავე მარჯნის ფერი ტუჩები. გრილი ტალღები ეშხეფებოდნენ შემცივნებულ ძუძუმკერდს მისას და ზღვის მარილი დაწრეტოდა ქუთუთოებზე.

ჭაბუკი მებადური გაშრა ესოდენ ნატიფი მშვენების პირისპირ, მიიზიდა ბადე და მოჰხვია ხელები მძინარეს. მის შეხებაზე შემკრთალ მეთოლიასავით წამოიკივლა პატარა ფერიამ და გაეღვიძა. შეშინებულმა მიაპყრო ჭაბუკ მებადურს თავისი მოლიბრო-ამეთვისტოს თვალები და გასაქცევად გაიბრძოლა, მაგრამ ვაჟმა მჭიდროდ მიიკრა იგი მკერდზე და არ მისცა ნება თავის დაღწევის.

და რა დარწმუნდა, ამაო იყო ყოველივე ცდა, ატირდა ფერია და უთხრა მებადურს: „გევედრები, გამიშვი ხელი, რადგან მე მხოლოდშობილი ქალი ვარ ზღვათა მეფისა, მამაჩემი კი მოხუცაა და მარტოხელა“.

ხოლო ჭაბუკმა მებადურმა მიუგო: „კეთილი, გაგიშვებ, იმ პირობით კი, დაძახების უმალ გამომეცხადები და მიმღერებ რასმე, რადგან თევზებს ძლიერ უხარისთ ზღვის ბინადართა სიმღერის სმენა და ჩემი ბადეც მით ნიადაგ სავსე იქნება“.

„მაშ უთუოდ გამიშვებ, თუ შეგპირდები?“ შესძახა ფერიამ.

„უთუოდ გაგიშვებ“, მიუგო ჭაბუკმა მებადურმა.

მაშინ დასდო ფერიამ აღთქმა მებადურის სურვილისამებრ და ზღვის

ბინადართა ფიცით დაამოწმა იგი. ხელი შეუშვა მას მებადურმა და იგიც გაუჩინარდა წყალქვეშ უცნაურის შიშით გულათრთოლებული.

* *
*

ჭაბუკი მებადური ყოველ საღამოს გადიოდა ზღვაში და უხმობდა ფერიას, იგიც მოცურდებოდა და იწყებდა სიმღერას. მის ირგვლივ დელფინები დაცურავდნენ, მის თავზე ველური მეთოლიები ირაოს ჰკრავდნენ ჰაერში.

და მღეროდა იგი საოცნებო სიმღერას. მღეროდა იგი ზღვის მცხოვრებთათვის, თავიანთ ჯოგებს რომ დენიან ფშანიდან ფშანზე, დალალულ ხბორებს ზურგებით რომ დაატარებენ; და ტრიტონთათვის, გრძელი ხავსისფერი წვერი რომ აქვთ და ფაჩუნიერი გულმკერდი, დაღვარჭნილ ღინჯილებში რომ ჩაჰბერენ ხოლმე დიდ ხელმწიფის გამოჩენისას; ქარვით ნაშენი სასახლისთვის ზღვათა მეფისა, წმინდა ფირუზის სახურავითა და მარგალიტის ბრწყინვალე ფილაქნებით; წყლისქვეშა უცხო წალკოტთათვის, სადაც მთელ დღეს ირხევიან მარჯნის უზარმაზარი ფილიგრანული საჩრდილობელნი, ვერცხლის ჩიტუნებსავით დაფრთხიალებენ ირგვლივ თევზები, ზღვის სურო ეტმასნება წყალქვეშა კლდეებს და ოქროსფერ სილაში ვარდები ჰყვავიან; დიდ ვეშაპთათვის, წვერწამახული ლოლუები რომ მიჰკრობიათ ფარფლებზე ჩრდილოეთის ზღვებიდან მოსულთ; სირინოზთათვის, საუცხოო ამბავთა მოთხრობით რომ აჯადოებენ სმენას, გზადმიმავალ ვაჭართა , რომელნიც ცვილით იგლისავენ ყურებს მათი მოსმენის შიშით, რათა შემდეგ არ გადაცვივდნენ წყალში სირინოზთა ხმით გაჩხიბულნი; ჩაძირულ მაღალანძიან ხომალდთათვის, ანძებზე მობღაუჭებულ გათოშილ მეზღვაურთათვის მღეროდა, თუ ვით დაცურავენ დორადები დაღუპულ გემის ღია სამზერებში და პატარა ყვინთიები, რომელნიც დიდი მოგზაურნი არიან, ვით შეეტმასნებიან გემის ხერხემალს და, ამრიგად, მოივლიან ხოლმე მთელს ქვეყანას, მღეროდა თუ ვით ცხოვრობენ მელანთევზები წყალქვეშა კლდეთა ნაპრალებში, ვით გამოიწვდიან ისინი თავიანთ გრძელსა და შავ თათებს და სურვილისამებრ შეუძლიათ დღის ღამით შეცვლა. მღეროდა იგი ნაუტილუსის გამო, საკუთარი იალქანი რომა ჰყავს, ცის დანაკისაგან გამოკვეთილი, აბრეშუმის აფრებიანი; ზღვის ბედნიერ ბინადართათვის, აფრებზე დაკვრით რომ ძალუძთ დიდ ასფეხას ძილი მოჰგვარონ; პაწია ბალღთათვის, სლიპ ბოთლისცხვირა დელფინებს რომ მოახტებიან და, ამრიგად, დაქრიან წყლის სივრცეებში პირმომცინარნი; ტალღების ქაფში მონებივრე ფერიათათვის, მეზღვაურებს რომ უწვდიან თავის ნაზ ხელებს და ზღვის ლომთათვის დაღვარჭნილ ეშვებს რომ აკვესებენ და ფაფარაშლილ ზღვათა რაშთათვის.

და ვიდრე იგი მღეროდა, ურიცხვი თევზი ტოვებდა ზღვის უფსკრულებს და ილტვოდა მისი სიმღერის სასმენლად. ჭაბუკი მებადურიც გადაისროდა ბადეს და იჭერდა მათ, ზოგსაც ჭვირთით ხოცავდა. და როდესაც პირთამდე აივსებოდა მისი ნავი, ფერია გაუღიმებდა ხოლმე მას და გაჰქრებოდა ზღვის სიღრმეში.

მაგრამ არასდროს მიახლებია იგი მებადურს ხელისშესახებ მანძილზე. ხშირად უხმობდა ვაჟი მას და ევედრებოდა, მაგრამ ამაოდ; და როგორც კი ცდიდა ხოლმე ხელით მის დაჭერას, იხვივით ჩაყვინთავდა მაშინ ფერია და მთელ დღეს აღარ ჩნდებოდა ხოლმე.

დღითიდღე აჯადოებდა მისი ხმა მებადურს. გადაავიწყდა თავისი ბადეც, ნავიცა და ძველი სიმარდეც, აღარად ენაღვლებოდა თვისი ხელობა, ეგზომ ეტკბილა ფერიას ნაზი ხმა.

ძოწისფერფარფლებიანი და ოქროსთვალება დორადები უხვად გროვდებოდნენ მეჩეჩზე, მაგრამ მებადურს აღარ ეცალა მათთვის. იქვე უხმარად ეგ-

დო მისი ჰვირთი, დაცალიერებულიყვნენ ტირიფის ტოტებისაგან დაწნული კალათები. პირდაფჩენილი და თვალამღვრეული იჯდა უქმად ჭაბუკი მებადური თავის ნავში, იჯდა და უსმენდა, ვიდრე ღამეული ბურუსი არ ჩამოწვებოდა ზღვაზე და ზანტი მთოვარე არ გაავერცხლავდა მზემოკიდებულ ხელფეხს მისას.

და ერთ საღამოს მოუხმო მან ფერიას და უთხრა: „პატარა ფერიავ, პატარა ფერიავ, მე შენ მიყვარხარ, გახდი ჩემი საცოლე და მიგულე საქმროდ, ვინაიდან მე შენ მიყვარხარ“.

მაგრამ ფერიამ თავი გააქნია. „შენ კაცის სული გიდგას“, მიუგო მან მებადურს, „და თუ განდევნი შენგან შენსავე სულს, მხოლოდ მაშინ ძალმიძს შენი შეყვარება“.

მაშინ იფიქრა ჭაბუკმა მებადურმა, „რაში მარგია ნეტავი ეგ სული? თვალით ვერ მიხილავს. ხელი ვერ შემიხია. ვერც შემიცვნია. უთუოდ მოვიშორებ მაგას თავიდან და მაშინ დაივანებს სიხარული ჩემში“.

შვების ხმა აღმოხდა ჭაბუკ მებადურს, წამოხტა ფეხზე თავის მოხატულ ნავში გაუწოდა ფერიას ხელები და შესძახა:

„აწ კი მოვიშორებ ჩემს სულს თავიდან, შენ ჩემი საცოლე გახდები, მე — შენი საქმრო, ზღვის ფსკერზე დავსახლდებით ჩვენ და, რაიც შენ მიმღერე, იმას თვალით ვიხილავთ. მეც აგისრულებ ყოველგვარ წადილს და ვიცხოვრებთ ასე განუყრელად“.

პატარა ფერიამ გაიცინა, ამის გამგონემ, და გახარებულმა თავი ხელებში ჩარგო.

„ჰო, მაგრამ ვით გავეყარო ამ ჩემს სულს?“ შესძახა ჭაბუკმა მებადურმა, „მითხარი, როგორ მოვიქცე და, ვფიცავ, არაფერს დავერიდები.“

„ვაი რომ არ ვიცი“, მიუგო პატარა ფერიამ. „ზღვის მცხოვრებლებს სული არ გააჩნიათ.“

ნაღვლიანი მზერა შეავლო ვაჟს და წყლის სიღრმეში გაუჩინარდა.

* *
*

მეორე დილით, ალიონზე, სანამ მზე ერთი წყრთით ასცდებოდა გორაკს, ჭაბუკი მებადური მღვდელის სახლს მიადგა და სამჯერ დააკაკუნა.

მორჩილმა გამოიჭვრიტა კუტკარის თვალიდან, შემდეგ მოსწია ურდულს და შეიპატიჟა.

შევიდა თუ არა შინ ჭაბუკი მებადური, მუხლი მოიყარა სურნელოვანი ლაქაშით მოგებულ იატაკზე და შეჰღაღადა იქვე ლოცვად დამდგარ ხუცესს:

„მამაო, მე შემიყვარდა ზღვის ერთი ბინადარი, ჩემი სული კი ხელს მიშლის მივსწვდე სასურველს. მასწავლე, ვით დავეხსნა ამ ჩემს სულს, რადგან არაფერში მარგია იგი. თვალით ვერ მიხილავს. ხელი ვერ შემიხია. ვერც შემიცვნია“.

მაშინ დაიშინა ხუცესმა მკერდზე ხელი და აყვირდა: „ვაჰმე, ვაჰმე, ნამდვილად შლეგი ხარ ან ლენცოფანაჭამი, რამეთუ სული კაცისა, უკეთილშობილესი ნაწილთაგანია მისი. უფალმან ჩვენმან გვიბოძა იგი სიქველეთა საყოფად, არა არს საგანი რამ უძვირფასესი კაცის სულისა, ვერცა ედრება მას რაიმე ნივთი მიწიერი. ოქრო და ვერცხლი მილეთისანი ვერ აიწონიან მას, ვერცა თუ მეფეთა ედრება მას თუალმარგალიტი. განაძე შენგან, შვილო ჩემო, ეგ მავნე ფიქრი, რამეთუ ცოდვა არს ეგე არა შესანდობი. ხოლო რაიცა ზღვის ბინადართათვის, წარწყმენდილ არიან იგინი და წარწყმდების მათთან წილნაყარი ყოველი. მათ არა ესმით, ვითა ნადირთა ტყისათა, კეთილ და ბოროტ, არცა ვნებულა მათთვის მაცხოვარი ჩვენი“.

ჭაბუკ მებადურს ცრემლით აევსო თვალები, ამ მწარე სიტყვების გამგონეს, წამოდგა ფეხზე და მიმართა ხუცესს: „მამაო, ტყეში ცხოვრებით არა უმძიმთ რა ფავნებს, წყლის ბინადარნი კლდეებზე სხედან თავიანთი მეწამული ოქროს არფებით. მომეცი ნება, მივბაძო მათ, რადგან ველის ყვავილებსავით უზრუნველად ატარებენ ისინი დღეებს. ხოლო

ეს სული, აბა, რაში გამომადგება, თუ გზას მილობავს სასურველი საგნისაკენ?“.

„მდაბალია ხორციელი ვნება ყოველი“, შეჰყვირა ხუცესმა, „ხოლო მდაბალ არიან წარმართთაგანნი და წარწყმედილ, რომელნი დაუტევა უფალმან ჩვენმან ქუეყანასა ზედა თვისსა. წყეულიმც იყვნედ ჭინკები ტყისანი, სამგზის წყეულნი ზღვის მომღერალნი. მიმწუხრისას მეც მომესმის მაგათი ხმები, ცდილობენ ხოლმე მომაცდინონ ლოცვას, მირახუნებენ ფანჯარაზე და ხარხარებენ, ჩურჩულით მითხრობენ თავიანთ დამღუპველ სიამოვნებათა გამო, მაცდუნებენ მრავლის ცდუნებითა და როგორცკი ლოცვას დავიწყებ მეღრიჯებიან მაშინ და ენას მიყოფენ. წარწყმედილ არიან იგინი, გესმას ჩემი ნაუბარი, წარწყმედილ არიან სამარადჟამოდ. არა არს მათთვის არცა სასუფეველი, არც ჯოჯოხეთი, არცა ერთგან იხსენიებენ იგინი ქებით სახელსა ღვთისასა“.

„მამაო!“ შეჰყვირა ჭაბუკმა მებადურმა „თავათ არ იცი, თუ რას უბნობ. ერთხელ ჩემს ბადეს ზღვათა მეფის ქალი ამოჰყვა. იგი უფრო მშვენიერია, ვიდრე ცისკრის ვარსკვლავი და უფრო ნათელი, ვიდრე სავსე მთოვარე. მისი სხეულისთვის მე სულს დავთმობდი და მისი სიყვარული ზეცაზე მათქმევინებდა უარს. ამისრულე თხოვნა და გამიშვი გულდამშვიდებით.“

„შორს! შორს ჩემგან!“ უყვირა მღვდელმა „წარწყმედილია ხარჭა შენი და შენც წარწყმდები მასთან ერთად!“ და კურთხევაც არ უბოძა ისე გააგდო სახლიდან მებადური.

თავი ჩაჰქინდრა ჭაბუკმა მებადურმა და ბაზრისაკენ დაეშვა, ნელი ნაბიჯით დამწუხრებული.

რა დაინახეს იგი ვაჭართა, შექმნეს ჩურჩული ერთმანეთში, შემდეგ გამოეყო გროვას ერთი მათგანი და გაემართა მებადურისაკენ სახელი დაუძახა და მიმართა:

„აბა რა გექნება დღეს გასაყიდი?“

„სული მინდა გავყიდო“, მიუგო მან, „გევედრები, შეისყიდე იგი ჩემგან, რადგან მომბეზრდა ნიადაგ მისი ტარება. ნეტავ რას ვაქნევ ამ ჩემს სულს? თვალით ვერ მიხილავს. ხელი ვერ შემიხია. ვერც შემიცვნია“.

ხოლო ვაჭრებმა სიცილი დააყარეს და მიუგეს: „ან ჩვენ კი რაში გვარგია კაცის სული? ერთ გახვრეტილ შაურად არა ღირს. მოგვყიდე შენი თავი მონად, ჩაგაცმევთ წითელ პერანგს, თითზე რგოლს გაგიკეთებთ და გახდები დიდი დედოფლის საყვარელი. სულს კი ნურარც გვიხსენებ. იგი არარაობაა და არც არავითარი ფასი აქვს ჩვენს თვალში“.

მაშინ იფიქრა ჭაბუკმა მებადურმა: „საოცარია, ხუცესი მეუბნება, მთელი დუნიას ოქროც ვერ აიწონისო კაცის სულის ოდენას, ვაჭრებმა კი იგი ერთ გახვრეტილ შაურად არ შეაფასეს“. ამ სიტყვებით იგი გამორდა იქაურობას, ჩავიდა ზღვის ნაპირზე და იწყო ფიქრი, თუ რა ეღონა.

* *
*

და შუადღისას გაახსენდა, რომ ერთი მისი ამხანაგთაგანი, ხურხუმო-ბალახის შემგროვებელი, მოუთხრობდა მას ვინმე კუდიანის გამო, რომელიც უბის ზემოთ, მღვიმეში ცხოვრობდა და ფრიად დახელოვნებული იყო ჯადოქრობაში. და უეცრად ისე ძლიერ მოსწყურდა საკუთარი სულის თავიდან მოშორება, წამოხტა და გაიქცა თავქუდმოგლეჯით, ხოლო მის ზურგს უკან მტვრის ბუღი ადგა ზღვის ქვიშიან ნაპირზე. ხელისგულზე ქავილით იგრძნო ახალგაზრდა კუდიანმა მებადურის მოახლოება, გადაიხარხარა და ჩამოიშალა წითური დალალები. თმაგაშლილი დადგა მღვიმის ზღურბლზე, შხამბალახას ახლადგაფურჩქვნილი ტოტი ხელში ეკავა.

„მითხარი, რა გსურს? მითხარი, რა გსურს? მიაძახა მან აღმართში ქლოშინით ამომავალ მებადურს, რომელიც მალე მის წინ გაჩერდა წელში მოდრეკილი. „იქნებ თევზი გსურს შენი ბადისათვის ავი ქარის დროს? ლერწმის პატარა

სტვირი მაქვს ერთი, შიგ რა ჩავბერავ, ურიცხვი კეფალი მოაწყდება მყისვე ზღვის უბეს. მაგრამ, იცოდე, საფასურს მოგთხოვ, კოხტა ბიჭო, საფასურს მოგთხოვ.

„მითხარი, რა გსურს? მითხარი, რა გსურს? ქარიშხალმა გსურს ჩასძიროს დიდი გემები და გამორიყოს ოქრო-ვერცხლით სავსე ზანდუკნი? მე შემიძლია ზღვის აღელვება უფრო ძლიერ, ვიდრე ქარიშხალს, რადგან ჩემი ბატონი უფრო ძლიერია, ვიდრე თვით ქარიშხალი. და ერთი გობი წყლითა და ცხრილით შალმიძს გავგზავნო ფსკერისაკენ დიდზე დიდი გემები. მაგრამ საფასურს მოგთხოვ, კოხტა ბიჭო, საფასურს მოგთხოვ! მახლობელ ველზე ყვავილი ხარობს ერთი, არავინ უწყის მისი არსებობა ჩემ გარდა, ალისფერი ფურცლები აქვს მას და ვარსკვლავი კიაფობს მის შუაგულში. რძესავით თეთრი წვენი სდის მას და, თუ მაგ ყვავილს მიაკარებ დედოფლის ტუჩებს, ქვეყნის კიდემდე წამოგყვება იგი უმალვე. დააგდებს მყისვე ხელმწიფესთან ზიარ სარეცელს და შენ გაგიხდის სალოცავ ხატად. ჰოდა, საფასურს მოგთხოვ, კოხტა ბიჭო, საფასურს მოგთხოვ.

„მითხარი, რა გსურს? მითხარი, რა გსურს? ბაყაყს დავნაყავ ავანდასტაში მერმე მოვხარშავ, მიცვალებულის გამხმარი ხელით მოვურევ ჭამადს, ასხურე იგი შენს მტერს ძილის დროს, შავ ასპიტად გადაიქცევა იგი უმალვე და საკუთარი დედა თავს დაუნაყავს მას. მთვარის ჩამოხსნა შემიძლია ჩარხის ტრიალით, სუფთა კრისტალში დაგანახვებ სიკვდილის სახეს.

„მითხარი, რა გსურს? მითხარი, რა გსურს? და თუ რაიმე გსურს, აგისრულებ წამსვე საწადელს, ოღონდ, იცოდე, საფასურს მოგთხოვ, კოხტა ბიჭო, საფასურს მოგთხოვ“.

„ჩემი წადილი სულ მცირეა,“ მიუგო მეზადურმა, „მაინც წამეკიდა მის გამო ხუცესი და სახლიდან გამაგდო. სულ მცირეა ჩემი წადილი, ვაჭრებმა სიცილი დამაყარეს და იუარეს მისი ასრულება. და მეც ამიტომ გეწვიე, თუმც შენ ბოროტად ირაცხები კაცთა შორის, და რა საფასურსაც დასთქვამ, მზად ვარ გადაგიხადო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მაინც რა გწადია?“ ჩაჰკითხა კუდიანმა და მიუახლოვდა.

„ჩემივე სულს მინდა გავეყარო“, მიუგო ჭაბუკმა მეზადურმა.

კუდიანი გადაფითრდა ამის გამგონე, მერმე აცახცახდა და თავისი ცისფერი მოსასხამის კალთა აიფარა სახეზე. „კოხტა ბიჭო, კოხტა ბიჭო“, წაილუღლუღა მან, „საზარელი საქმე განგიზრახავს“.

ხოლო მეზადურმა აიჩეჩა წაბლისფერი კულულები და გაიცინა: „არაფრად მარგია ეგ სული“, მიუგო, „თვალით ვერ მიხილავს, ხელი ვერ შემიხია. ვერც შემიცვნია.“

„და თუ გასწავლი, რას მპირდები სამაგიეროს?“ შეეკითხა კუდიანი და თავისი მშვენიერი თვალები მიანათა ვაჟს.

„ხუთ ოქროს“ მიუგო მეზადურმა, „ჩემს ბადეს, ჩემს საცხოვრებელ დაწნულ ქოხსა და მოხატულ ნავს ჩემსას, რომლითაც ზღვაში დავცურავ. ოღონდ მასწავლე, ვით დავეხსნა ამ ჩემს სულსა და შენ დაგითმობ ყოველივეს, რაც მაბადია“.

დამცინავად გაიღიმა კუდიანმა ამის გაგონებაზე და ნაზად შემოჰკრა მეზადურს შხამბალახას ტოტი.

„მე შემიძლია ოქროდ ვაქციო შემოდგომის მკვდარი ფოთლები, მთვარის სხივები გადავადნო უწმინდეს ვერცხლად. ჩემი ბატონი უფრო მდიდარია, ვიდრე ყველა ხელმწიფე ამა ქვეყნისა. მათ საუფლოთა მპყრობელია იგი აგრეთვე.

„აბა, რას ითხოვ“ შესძახა მეზადურმა „თუ კი არ გსურს ვერცხლი არც ოქრო?“

კუდიანმა თმაზე გადაუსვა მას თავისი პაწია თეთრი ხელი, „უნდა ვიცეკვოთ მე და შენ ერთად, კოხტა ბიჭო“, წასჩურჩულა და გაუღიმა.

„სხვა არაფერი?“ შესძახა ჭაბუკმა მეზადურმა.

„სხვა არაფერი“, მიუგო კუდიანმა და კვლავ გაუღიმა.

„რაკი აგრეა, მზის ჩასვლისას ვიცეკვოთ მე და შენ სადმე მოფარებულ ადგილას“, თქვა მებადურმა „და ცეკვის შემდეგ შენ მასწავლი, რასაც მე ვითხოვ“.

კუდიანმა თავი დაუქნია. „მთვარე რომ გაივსება, მთვარე რომ გაივსება“ ლუღლუღებდა იგი. შემდეგ მიმოიხედა, რაღაცას ყური მიუგდო. რომელიღაც ცისფერი ჩიტი წრიალით ამოფრინდა თავის ბუდიდან და გარს შემოევლო მახლობელ ბორცვებს, შემდეგ კიდევ სამმა დაწინწკლულმა ჩიტმა გაიშლიგინა გარუჯულ ბალახში, უსტვინეს ერთმანეთს მათაც. ჩქამი არ ისმოდა ირგვლივ, მხოლოდ ტალღები ეშხეფებოდნენ ნაპირის სიპებს. კუდიანმა ცალი ხელი მოჰკიდა მებადურს და მოიახლოვა. შემდეგ ყურთან მიუტანა თავისი მშრალი ბაგეები და უჩურჩულა:

„ამაღამ მთის წვერზე ამოხვალ, სეროზაა მანდ და იგიც უნდა გვეწვიოს“.

ჭაბუკი მებადური შემკრთალი დააცქერდა კუდიანს, ხოლო უკანასკნელმა გაიცინა და თავისი ქათქათა კბილები გამოაჩინა.

„ვინ არის იგი, ვისაც შენ ახსენებ? ჰკითხავდა მებადური.

„ეგ სულერთია შენთვის“, მიუგო კუდიანმა, „ამოდი ამაღამ ზევით, დადექ რცხილის ტოტებქვეშ და დამელოდე, თუ შავი ძაღლი მოგვეტანოს, გადაუჭირე ტირიფის შოლტი და მოგშორდება. თუ ჭოტი შეგესიტყვოს, ხმა არ გაიღო, მთვარე რომ გაივსება, მეც მანდ გავჩნდები და ვიცეკვოთ მერმე ერთად მწვანე ბალახზე.“

„მაშ, შემომფიცე, რომ მასწავლი, თუ ვით დავეხსნა ჩემივე სულს.“

კუდიანი მზის სინათლეზე გამოვიდა, ქარმა გაიშრიალა მის წითურ თმებში.

„ვფიცავარ ვაცის ჩლიქებს“, იყო პასუხი.

„შენი ბადალი კუდიანი დედამიწის ზურგზე არ დადის!“ შეჰყვირა მებადურმა. „და მეც უთუოდ ვიცეკვებ შენთან ამაღამ მთის წვერზე. ის აჯობებდა ოქრო ან ვერცხლი გეთხოვა ჩემთვის, მაგრამ შენ მიერ დათქმული საფასური გაცილებით მცირეა და იოლად მისაღები“. ამ სიტყვებით გადაიძრო მან ქუდი, მდაბლად დაუკრა თავი კუდიანს და ქალაქისაკენ მოკურცხლა სიხარულით აღვსილმა.

კუდიანმა გახედა მიმავალს და, როცა იგი თვალს მიეფარა, შევიდა მღვიმეში, ამოიღო სარკე დატვიფრული კედარის ხის ყუთიდან, შემოდგა კუნძზე, იქვე დაფნა მოაკმია აალებულ ხის ნახშირზე და დააცქერდა კვამლის რგოლებში გახვეულ სარკეს.

მცირე ხნის შემდეგ ხელები გადააჭდო ერთმანეთს, ბრაზით აღვსილმა.

„ჩემი უნდა ყოფილიყო იგი“, გამოსცრა მან, „მე ისევე მშვენიერი ვარ, როგორც მისი მიჯნური.“

* *
*

შეღამებულზე, მთვარე ამოვიდა თუ არა, ჭაბუკი მებადური აცოცდა მთის წვერზე და რცხილის ტოტებქვეშ დადგა. ლითონის გაფერილ ფარსავით ლაპლაპებდა ზღვა მის ფერხთით. მოთევზავე ნავთა ლანდები დაცურავდნენ პატარა უბეში. უშველებელი თვალყვითელა ჭოტმა სახელი დაუძახა, მან ხმა არ გაიღო. ახლა შავი ძაღლი მიეტანა ღრენით, გადაუჭირა მებადურმა ტირიფის შოლტი და იგიც უკანვე გაიქცა წკავწკავით.

შუაღამისას კუდიანებიც გამოჩნდნენ ჰაერში ღამურებსავით.

„ფეე“, დაიძახეს მათ, მიწაზე რა დაფრინდნენ. „ვიღაც უცნობი უნდა იყვეს აქ,“ თან ჰაერს იყნოსავდნენ, ჩურჩულებდნენ, ანიშნებდნენ ერთმანეთს რაღაცას. ბოლოს ახალგაზრდა კუდიანმაც მოაწია, ქარს გაეშალა მისი წითური დალალები. ოქრომკედით ნაქსოვი კაბა ემოსა, ფარშავანგისთვალებით დამშვენებული, თავზე პაწია ჩაჩი ეხურა მწვანე ხავერდის.

„სად არის იგი? სად არის იგი?“ აწრიალდნენ კუდიანები მის დანახვაზე, მან კი გაიცინა მხოლოდ და რცხილისაკენ გაექანა, ხელი ჩაჰკიდა ჭაბუკ მებადურს,

გამოიყვანა მთვარის შუქზე და გაჩაღდა ცეკვა.

დაიწყეს როკვა ირგვლივ და ირგვლივ, და ისე მაღლა ხტოდა კუდიანი, ვაჟი ხედავდა წითელ ქუსლებს მისი წაღებისას.

უეცრად ცხენის თქარუნი მოისმა მოცეკვავეთა მხარმარჯვნივ, ხოლო თავათ ცხენი არ გამოჩენილა და ჭაბუკი მებადური შიშმა შეიპყრო რატომღაც.

„უფრო სწრაფად“, შეჰკივლა კუდიანმა, შემოაჭდო ყელზე მკლავები და მისი ცხელი სუნთქვა იგრძნო მებადურმა სახეზე. „უფრო სწრაფად“ უფრო სწრაფად“, ჰკიოდა იგი, ქანაობდა მიწა ვაჟის ფეხქვეშ, ტვინი უხურდა, თან საოცარი ძრწოლა დაუფლებოდა, ბოროტი რამ არსება უთვალთვალებსო თითქოს, და ბოლოს, კლდის ჩეროში შენიშნა მან უცნობი ფიგურა, რომელიც მანამდე იქ არ მდგარა.

ეს იყო შავი ხავერდის ესპანურ ტანისამოსში გამოწყობილი მამაკაცი. უცნაურად დაზაფრული სახე ჰქონდა, მაგრამ მისი ბაგენი რომელიღაც მწყაზარი ალისფერი ყვავილის ფურცლებს ჰგავდნენ. მოქანცული ჩანდა, ზურგით კედელს მიყრდნობილი ქედმაღლურად ათამაშებდა წელზე შებმული ხანჯლის ვადას. ფრთით დამშვენებული ქუდი იდო ბალახზე მის ფერხთით და წვრილი მხედრული თათმანი, ოქროს ყაითნით მოქარგულნი, უცნაური ემბლემა იყო მათზე ამოყვანილი წვრილი მარგალიტებით. სიასამურის ქობებიანი მოკლე მოსასხამი მოეგდო უცნობს მხარზე. ნაირნაირი ბეჭდები ამკობდნენ მის სათუთ, თეთრ ხელებს. მძიმე ქუთუთოებს ქვეშ მიმალულიყვნენ მისი თვალები.

ჭაბუკი მებადური მოჯადოებულივით უჭვრეტდა მას. ბოლოს ურთიერთს შეეყარნენ მათი თვალები და, ვიდრე იგი ცეკვავდა, არ მოსცილებია უცნობის მზერა. ახლა კუდიანის სიცილი მოესმა, ჩაავლო ხელი კალთაში და დააბზრიალა ირგვლივ და ირგვლივ გაშმაგებულმა.

უეცრად ძაღლმა დაჰყეფა ტევრში, მოცეკვავენი შედგნენ, წყვილ-წყვილად იწყეს მიახლება უცნობისა, უჩოქებდნენ და კოცნიდნენ ხელებზე. და ამ დროს სულ მცირე ღიმი არხევდა მის ამაყ ბაგეებს, მერცხალი ფრთას გაჰკრავს ამგვარად გუბის ზედაპირს და შეატოკებს. მაგრამ ქედმაღლობა გამოსჭვივოდა ამ ღიმილშიაც. და კვლავ უმზერდა იგი ჭაბუკ მებადურს.

„წამო, ვეთაყვანოთ“, უჩურჩულა მას კუდიანმა და გაიყოლია. საშინელი წადილი შეუდგა უცებ მებადურს, დაჰყოლოდა მის ნებას, და მისდია უკან, მაგრამ, უცნობს რა მიეახლნენ, თავისდა უნებურად პირჯვარი გადიწერა და წმინდათა სახელი ახსენა.

ძერებსავით იწივლეს მაშინ კუდიანებმა და მოსწყდნენ დედამიწას. და ფერნაცვალი სახე მისთვის მომზერალისა დაიღრიჯა მყისვე ვაგლახად. მახლობელ ტევრისაკენ გაეშურა უცნობი და დაუსტვინა. ვერცხლის ლაგამ-აღვირით მოკაზმული ესპანური ულაყი გამოეგება მას ჰქნებით. და რა მოახტა იგი უნაგირს უკან მოიხედა და გულნაწყენი მზერა შეავლო ჭაბუკ მებადურს.

წითურთმიანმა კუდიანმაც სცადა გაფრენა, მაგრამ მებადურმა მძლავრად ჩასჭიდა ხელები მაჯებში და შეაყენა.

„ხელი გამიშვი“, დაიწივლა მან, „ჩამომეხსენი, რადგან შენ ახსენე არსახსენებელი და გამოსახე იმგვარი რამ, რისთვის შეხედვაც არ ძალგვიძს“.

„არა“, მიუგო მებადურმა, „არსად გაგიშვებ, სანამ არ გასთქვამ საიდუმლოს“.

„რა საიდუმლოს?“ დაიკვნესა კუდიანმა. თან გარეულ კატასავით ებრძოდა ვაჟს და ქუშმომდგარ ტუჩებს იკვნეტდა.

„შენ უკეთ უწყი“, კვლავ მიუგო ჭაბუკმა მებადურმა.

კუდიანის მოლისფერ თვალებში ცრემლებმა იელვეს. „მთხოვე, სხვა რაც გსურს, ოღონდ მაგას ნუ“.

მებადურმა კი გაიცინა მხოლოდ და უფრო მძლავრად ჩასჭიდა ხელები.

და რა დარწმუნდა, ველარ დაუძვრებოდა ხელიდან, უჩურჩულა მას კუდიანმა:

„ვგონებ, მე ისევე მშვენიერი ვარ, რო-

გორც ზღვათა მკვიდრი ასულნი და ისევე სანდომიანი, როგორც ლურჯი წყლის ბინადარნი“. ამ სიტყვებით მიეყვავილა იგი ვაჟს და სახე სახესთან მიუტანა.

მაგრამ მებადურმა ხელი ჰკრა მას და წარბშეკრულმა უთხრა:

„თუ კი შენ დაარღვევ მოცემულ პირობას, იცოდე, მოგაშთობ, როგორც ცრუ კუდიანს.“

კუდიანი იუდასხეს ყვავილივით გალურჯდა ამის გამგონე და აცახცახდა.

„რა გაეწყობა“. გამოსცრა მან, „შენი სულია ეგ და არა ჩემი. როგორც მოგეპრიანოს, ისე მოექეც.“

ამ სიტყვებით გაიძრო მან პატარა დანა მწვანე გველისპერანგის ტარიანი და გაუწოდა მებადურს.

„რაში გამომადგება ეს?“ გაიკვირვა მან.

მცირე ხანს დუმდა კუდიანი, შეშლილი სახით უმზერდა ვაჟს. შემდეგ გადაიკრიფა შუბლიდან თმები და უცნაურის ღიმილით დაიწყო:

„ის, რასაც კაცნი საკუთარი სხეულის ლანდად უხმობენ, ლანდი როდია სხეულისა, არამედ ტანია ეგ კაცისავე სულისა. დადექ ზღვის ნაპირზე მთვარისაკენ ზურგშექცევით და მოიკვეთე ფერხთაგან ლანდი, იგივე ტანი შენის სულისა. მერმე უბრძანე სულს, გაგეყაროს და იგიც გაგეცლება მაშინვე“.

ჭაბუკ მებადურს გააჟრჟოლა ამის გაგონებაზე.

„მაშ სიმართლეა ეგ ყოველივე?“ წაიჩურჩულა მან.

„ჰო სიმართლეა და ნეტავ მეთქვა შენთვის ეგ სიმართლე!“ შეჰკივლა კუდიანმა და ფეხებში ჩაუვარდა ვაჟს ატირებული.

მებადურმა გაითავისუფლა თავი, დატოვა იგი ხშირ ბალახში გართხმული, თავათ კი ქარაფისაკენ გაეშურა, დანა ქამარში გაირჭო და იწყო დაშვება კლდეზე.

და საკუთარი სული შიგნიდან შეესიტყვა მას:

„ღმერთო ჩემო! წლების მანძილზე ვბინადრობდი მე შენში, გმსახურებდი შენ და რა დაგიშავე, მითხარ, ამის ფასი რომ მაძევებ ახლა?“

ჭაბუკმა მებადურმა კი გაიცინა ამის გამგონემ.

„არაფერი დაგიშავებია, მაგრამ აღარას მარგიხარ უკვე“, მიუგო მან, „ქვეყანა დიდია, მისგან კიდე არსებობს ჯოჯოხეთი, სასუფეველი და მწუხრის საუფლო იგი, მათ შორის რომ ძევს. იქითკენ გასწი, საითაც გენებოს, მე ნუღარ მაყოვნებ, რადგან მეძახის უკვე ჩემი მიჯნური.“

და შეევედრა სული საწყალობლად, მაგრამ ჭაბუკმა მებადურმა ყური არ ათხოვა მას, ხტომა-ხტომით დაეშვა კლდეზე ფეხმართალი, როგორც კლდის არჩვი, და მალე ჩააღწია მოსწორებულ ვაკესა და ზღვის გადაყვითლებულ ნაპირამდის.

ბრინჯაოსფერი და ტანწყობილი, როგორც ბერძნული ქანდაკება, დადგა იგი ზღვის ნაპირზე, მთვარისაკენ ზურგშექცეული, ზღვის ქაფში ელავდა მის მომლოდინე მკლავთა სითეთრე, ზღვისავ ტალღებზე აღმართულიყო მკრთალი აჩრდილი, სალამს უთვლიდა მოწიწებით იგი შორიდან. მის წინ საკუთარი ლანდი გართხმულიყო, იგივე ტანი მისივ სულისა, ხოლო ზურგსუკან მთვარე ეკიდა თაფლისფერ ზეცაში.

კვლავ შეესიტყვა მებადურს თავისი სული: „თუ ჭეშმარიტად განგიზრახავს ჩემი განდევნა, გევედრები, ნუ გამიშვებ უგულოდ ნურსად. მუხთალია ეს სოფელი, გამატანე თან შენი გულიც“.

ამაზე თავი გააქნია მებადურმა და გაიღიმა. „რითღა მეყვარება ჩემი მიჯნური, თუ გული შენ გაგატანე?“ შესძახა მან.

„ჰო, მაგრამ ჰქენ სიკეთე“, შეჰვედრა სულმა, „მომეცი გული, რადგან მუხთალია სოფელი მეტად და მეშინია“.

„ჩემი გული ჩემს მიჯნურს ეკუთვნის“, მიუგო მებადურმა, „ამიტომაც ნუღარ აყოვნებ, გასწი შენს გზაზე“.

„განა მე კი ვერ შევიძლებდი სიყვარულს?“ ჰკითხავდა სული.

„გასწი აქედან, რით ვერ გაიგე, რომ აღარაფრად მარგიხარ უკვე,“ შეჰყვირა

ჭაბუკმა მებადურმა, გაიძრო დანა მწვანე გველის პერანგის ტარიანი და მოიკვეთა ფეხთაგან ლანდი ,იგიც წამოდგა, წინ გაუჩერდა თავის პატრონს და ზედ მიაცქერდა და ამ წუთში ზედმიწევნით ჰგავდნენ ისინი ურთიერთს.

უკუდგა მებადური, დანა ქამარში გაირჭო საოცარი ძრწოლით ათრთოლებულმა.

„გამშორდი ახლა,“ წაიდუდუნა მან „და მეტად ნუღარ მაჩვენებ შენს სახეს“.

„არა,ჩვენ კიდევ უნდა მოგვიწიოს შეხვედრამ“ თქვა სულმა, დაბალი სტვირისმაგვარი ხმა ჰქონდა მას, ოდნავ, სულ ოდნავ ალებდა პირს ლაპარაკის დროს.

„როგორ თუ შეხვედრამ? წამოიძახა ჭაბუკმა მებადურმა, „იქნებ განზრახული გაქვს ზღვის უფსკრულებშიაც ჩამომყვე?“

„წელიწადში ერთხელ მოვადგები მე ამ ალაგს და მოგიხმობ შინ,“ მიუგო სულმა. „შესაძლოა დაგჭირდე რამეში“.

„რაში უნდა დამჭირდე ნეტავ?“ შესძახა ჭაბუკმა მებადურმა, „თუმც შენი ნებაა“ და ამ სიტყვებით ჩაყვინთა წყალში. ჩაჰბერეს მაშინ ტრიტონებმა თავიანთ ყვიროსტვირებს, პატარა ფერია გამოეგება სატრფოს, ყელზე შემოეჭდო და აკოცა ტუჩებში.

ხოლო სული იდგა უკაცრიელ სანაპიროზე და უცქერდა მიჯნურთ, და, როდესაც ისინი წყალში გაუჩინარდნენ, ატირდა სული და მიჰყვა ჭაობიან გზას.

* *
*

და ერთი წლის შემდეგ სული მიადგა ზღვის ნაპირს და მოუხმო ჭაბუკ მებადურს. იგიც ამოცურდა წყლის წიაღიდან და შეეკითხა: რად მიხმობდიო?

ხოლო სულმა მიუგო; „მომიახლოვდი სასმენ მანძილზე, რათა მოგითხრო ჩემ მიერ ნახულ საკვირველებათათვის“.

იგიც მიეახლა, მოიკალათა მეჩხერ წყალში და იდაყვზე დაყრდნობილი სასმენად განემზადა.

* *
*

ხოლო სულმა დაიწყო: „შენ რა დაგშორდი, აღმოსავლეთისაკენ მივმართე პირი და ვიმოგზაურე. აღმოსავლით მოდის ყოველივე, რაც ბრძნულია. ექვს დღეს ვიარე და მეშვიდე დღეს, ალიონზე, გორაკს მივადექ რასმე, ტარტართა ქვეყანაში მდებარეს. ხვატისაგან თავის დასაღწევად ერთი თაფლინდის ხის ქვეშ გადავიჩრდილე. გამშრალი მიწა სიცხისაგან ლღვებოდა. ხალხი ირეოდა მოედანზე, ასე იტყოდი, ბუზები დასხდომიანო ბრინჯაოს გაფერილ დისკოს.

შუადღისას წითელი მტვრის ბუღი ადგა პრტყელი ვაკის თვალმისაწვდენზე. რა დაინახეს იგი ტარტართა, გამართეს თავიანთი ფერადი მშვილდები, მოასხდნენ თავის ტანმორჩილ ცხენებს და ოთხახმით გაქუსლეს მის შესახვედრად. დედაკაცები კივილით მიაწყდნენ ფორნებს და ჩამოშვებულ ფარდებს უკან დაიმალნენ.

„მიმწუხრის ჟამს ტარტარნი მობრუნდნენ, ხუთი მათგანი ბრძოლის ველზე დარჩენილიყო, მობრუნებულთაგანი რამდენიმე დაეკოდათ. ფიცხლავ შეაბეს ფორნებში თავიანთი ცხენები და გზას გაუდგნენ. სამი ტურა გამოცუნცულდა მახლობელი მღვიმიდან, თვალი გააყოლეს გამგზავრებულთა. შემდეგ იყნოსეს ჰაერი და მოჰკურცხლეს საპირდაპირო მიმართულებით.

„მთვარე რა ამოვიდა, ბანაკად დამდგართა კოცონი შევნიშნე ვაკეზე და მას მივაშურე. ვაჭართა კრებული დამსხდარიყო ირგვლივ ხალებზე, აქლემები სარებზე მიებათ თავიანთ ზურგსუკან, მონა ზანგები მოთრიმლული ტყავის კარავებს შლიდნენ ქვიშაზე, დედისნაცვლისენის[1] მესერს ავლებდნენ გარშემო ბანაკს.

„რა მივეახლე ვაჭართა, წინამდგომი წამომიდგა მათი ხმალამოწვდილი და შემეკითხა თუ რა მეწადა.

[1] კაქტუსის სახეობა, ოპუნცია.

„მე მივუგე, რომ თავადი ვიყავ ჩემს ქვეყანაში. ხოლო ტარტართა მონად ქცევა დამიპირეს და მათგან ვილტვოდი. წინამდგომმა გაიღიმა და ბამბუკის ჭოკებზე ჩამოცმულ ხუთ კაცის თავზე მიმითითა.

„შემდეგ უფლის წინასწარმეტყველისათვის მკითხავდა, მეც მაჰმადი დავასახელე.

„რა გაიგონა ჩემგან ცრუ წინასწარმეტყველის სახელი, თავი დამიკრა, ჩამკიდა ხელი და გვერდით მომისვა. მონა ზანგმა კუმუსი მომართვა კათხით და შემწვარი ბატკნის ნაჭერი.

„მეორე დილით ალიონზე გზას დავადექით. მე წითური აქლემი მიმყავდა წინამდგომის მხარდამხარ, შუბოსანი მორბედი მიგვიძღოდა წინ სირბილით. ორივე მხრივ შეიარაღებული მცველები გვახლდნენ, სავაჭრო საქონლით დატვირთული ჯორები მოგვდევდნენ უკან. ორმოცი აქლემისაგან შედგებოდა ქარავანი და ორგზის ორმოცი ჯორისაგან.

„ტარტართა ქვეყნით გასულნი, მთვარის მაწყევართა ქვეყანას მივადექით. ვნახეთ, თუ როგორ სდარაჯობდნენ გრიფონები თავიანთ ოქროს ტუტისფერ კლდეებზე, თუ როგორ თვლემდნენ ზურგდაკბილული დრაკონები ბნელ წავარნებში. მთიან ადგილებს რა შევუდექით, სუნთქვა შევიკარით, რათა ზვავებს არა ევნოთ რა ჩვენთვის, თვითეულ ჩვენგანს პირი დოლბანდის რიდით ჰქონდა აკრული. მინდვრები რა დაიწყო, პიგმეებმა დაგვიშინეს ისრები ხეთა ფუღუროებიდან, შეღამებულზე ველურთა დაფდაფები მოდიოდა ჩვენს სმენამდე. კაც-მაიმუნების ციხე-კოშკს რა მივადექით, ხილეული მივართვით და მათაც უვნებლად გაგვატარეს. გველების ციხე-კოშკამდის რა მივაღწიეთ, ტფილი რძე მივართვით თუთიის ჯამებში, მათაც უვნებლად გაგვიშვეს. სამგზის მივადექით ოქსუსის ნაპირებს ჩვენი მოგზაურობის განმავლობაში. ხეტყის ტივები გავმართეთ ტყავის უზარმაზარ ნავტიკებზე მის გადასალახად. ცურვის დროს წყლის კამეჩები გვეტანებოდნენ მოსაშთობად. შიშისაგან ცახცახებდნენ აქლემები მათს დანახვაზე.

„გზადგავლილ ქალაქთა ხელმწიფენი ბაჟს გვახდევინებდნენ, ქალაქის ბჭენი კი დახშულნი იყვნენ ჩვენთვის ნიადაგ. ზღუდეებიდან გვიყრიდნენ ხოლმე პურსა და სიმინდის ფქვილის ნამცხვრებს თაფლით შეზავებულთ და ინდის ხურმით ამოჩურთულ თეთრი ფქვილის შაქარლამებს. ყოველი ასი კალათის წინ თითო მძივს გვართმევდნენ ქარვისას.

„რა შეიცნობდნენ სოფლის მცხოვრებნი ჩვენს მიახლოებას, ჭებს დაწამლავდნენ და მთებში იხიზნებოდნენ.

„ბრძოლა მოგვიხდა მაგადაელებთან, რომელნიც მოხუცნი იბადებიან, ჭაბუკდებიან წლით-წლობით და ბოლოს კვდებიან მთლად ჩვილნი ყრმანი; ლაკტროელებთან, რომელნიც თავისთავს ვეფხების ჩამომავლებად თვლიან და ყვითლად და შავად იღებავენ სხეულს; აურანტელებთან, რომელნიც მიცვალებულს ხეთა კენწეროებზე ჰკიდებენ, ხოლო თავათ ბნელნი ქვაბნი აქვთ საცხოვრებლად ვინძლო მზემან, რომელიც უფალია მათი, არ მოაშთოს ისინი; კრიმინიანებთან, რომელნიც ნიანგს ათაყვანებენ, მწვანექვის საყურეებით ამკობენ და კარაქითა და შინაური ფრთოსნებით ჰკვებავენ; აგაზონბაებთან, რომელნიც ძაღლისსახიანი არიან; სიბანებთან, რომელთაც ცხენის ფეხები აქვთ და ცხენზე უმალესნი არიან სირბილში. მესამედი ჩვენი დასისა ბრძოლაში დაიღუპა, მესამედი გაჭირვებისაგან, დანარჩენები მე ამიყაყანდნენ, ამბობდნენ, რომ მე მივუტანე მათ ავი ყისმათი. მაშინ დავავალე ქვის ქვეშ მწოლარე რქიან გველს ხელი და დავაგესლინე თავი. რა დაინახეს, არა მავნო რა ნაკბენმა, შიში შეუდგათ.

„მეოთხე თვეზე ილლელის ქალაქს მივადექით. ღამე იყო ჯერაც, როდესაც გალავნის ახლოს მდებარე ჭალამდის მივაღწიეთ. მძიმე ჰაერი იდგა ჭალაში, რადგან მთოვარე ღრიანკალზე გადასულიყო. ბროწეულებიდან მწიფე ნაყოფები დავკრიფეთ, გავხლიჩეთ და შევის-

რუტეთ ტკბილი ნექტარი. შემდეგ წამოვწექით ხალებზე და ვიწყეთ ლოდინი ალიონისათვის.

„გათენებისას წამოვიშალეთ და დავარახუნეთ ქალაქის კარიბჭეზე, წითელი ბრინჯაოსაგან იყო იგი ჩამოსხმული, ზღვის გველეშაპნი და ფრთოსანი ფასკუნჯები იყვნენ ზედ ნაქანდაკევნი. ქონგურებიდან გადმოიჭვრიტეს ქალაქის მცველთა და გვკითხეს სადაურობა. ქარავნის მოენემ მიუგო, რომ სირიის კუნძულებიდან ვიყავით მოსულნი და აურაცხელი სავაჭრო საქონელი გვახლდა თან. მძევლები გამოგვართვეს ქალაქის მცველთა, გვითხრეს, შუადღისას გავაღებთო ბჭეს და მოცდა გვიბრძანეს მანამდე.

„შუადღისას მართლაც გააღეს კარიბჭე და შეგვიშვეს ქალაქში, ჯგუფჯგუფად გამოეფინა ბინებიდან მოსახლეობა ჩვენს საყურებლად. მაძახურამ შემოიარა ქალაქი ზუმილში ძახილით. ჩვენ შუაბაზარში გავჩერდით, გავახსნევინეთ მონა-ზანგებს ნაყშიანი ტანისამოსის ვაშკარანები, ლეღვის ხის ზანდუკთათვის ავახდევინეთ თავი.

„და რა მოთავდა ეს ყოველივე: მთლად საკვირველი საქონელი გამოფინეს ვაჭრებმა გასასყიდლად: გაცვილული ფართალი ეგვიპტური, ფერად-ფერადი ფარჩეული ეთიოპთა ქვეყნისა, ტირიული წითელი ღრუბელნი და სიდონური ცისფერი ფარდაგნი, გიშრის თასები, მინის რხეული ჭურჭლეულობა და საუცხოო სურები ალიზისა. მახლობელი, სახლის ბანზე დიაცებს მოეყარათ თავი და ჩვენ გვიჭვრეტდნენ. ერთ მათგანს ნიღაბი ეკეთა სახეზე ოქროცხებული ტყავისა.

„პირველ დღეს ქურუმნი მოვიდნენ ჩვენთან სავაჭროდ, მეორე დღეს დიდგვაროვანნი, მესამე დღეს ხელოსნები და მონები. ამგვარი წესია მათში აღებმიცემობისა, სანამ ვაჭრები ქალაქში იმყოფებიან.

„ერთი მთვარის მოქცევის განმავლობაში დავყოვნდით მუნ, ხოლო მთვარემ ცხრომა რა დაიწყო, მომეწყინა და ვიწყე ხეტიალი ქალაქის ქუჩებში. ვიარე, ვიარე და მივადექი წალკოტს, რომელიც მუნებურ ღვთაებას ეკუთვნოდა. ყვითელ ტოგებით მორთული ქურუმნი უხმოდ დაჩალიჩობდნენ ამწვანებულ ხეთა შორის, შავი მარმარის ფილაქანზე სახლი რამ იდგა ვარდისფერი, რომელშიაც ღმერთი ცხოვრობდა თავათ. ჭიქურის ფხვნილით გაფერილი კარიება სახლს, მთლად ოქროისა, ოქროსავე ხარებითა და ფარშევანგებით ნაქანდაკევი. ზღვისფერი პორცელანით იყო იგი დახურული, ექვანთა ყვავილწნულებით მოერთოთ მისი გაზნექილი ლავგარდანები. თოვლისფერი მტრედები დაფრინავდნენ ირგვლივ, ეხებოდნენ ფრთებით პაწია ექვნებს და აჟღარუნებდნენ.

„ტაძრის პირდაპირ კამკამა წყლით სავსე აუზი იდგა, დაძარღვული ინიქსით მოპირკეთებული. მის გვერდით წამოვწექი და გაყვითლებული თითები გადავუსვი ფართო ძგიდეებს. ქურუმთაგანი ერთი მომეახლა და თავზე წამადგა. ფეხზე ხამლები ეცვა ერთი გველის პერანგისა, ხოლო მეორე ფრინველის ნარტენის. შავი თექის ტიარა ედგა თავზე ვერცხლის ნახევარმთვარეებით შემკეული. შვიდი ოქრო იყო ჩაქსოვილი მის ტოგაში, ხუჭუჭა თმა საოლავით შეეღება.

„მცირე ხნის შემდეგ იგი შემესიტყვა და მკითხა, თუ რა მეწადა.

„ მე მივუგე, რომ ღმერთის სანახავად ვიყავ მოსული.

„ღმერთი ნადირობს ამჟამად“, მომიგო ქურუმმა და, გაოცებულმა, ამხედდამხედა თავისი ჭრუტა, ელამი თვალებით.

„მითხარი, რომელ ტყეში და მეც ვიჯირითებ მასთან ერთად“, მივუგე მე.

„ქურუმმა ჩამოივარცხნა ჯუბის მოკლე ფესვედი თავისი გრძელი, წვეტიანი ფრჩხილებით: „ღმერთს სძინავს ამჟამად“, წაიჩურჩულა მან.

„მითხარი, რომელ სარეცელზე და მე დავდგები მასთან ტალად მივუგე მე.

„ღმერთი ნადიმობს ამჟამად“, შესძახა ქურუმმა.

„დატკბილულ ღვინოს თუ მიირთმევს, მეც გიახლები მასთან ერთად, ხოლო თუ მწარე იქნება ღვინო, არც მასზე ვიტყვი უარს“, კვლავ იყო ჩემი პასუხი.

„ქურუმმა ამაზე თავი ჩაქინდრა შეცბუნებულმა, შემდეგ ჩამავლო ხელი და ტაძარში შემიძღვა.

„პირველ დარბაზში კერპი ვიხილე, მსხვილი მარგალიტით შეჭედილ ამარტის ტახტზე დამჯდარი. მთლად ეკალმუხისაგან იყო იგი ნაქანდაკევი და მისი სხეული კაცის სხეული იყო იგივე. სხვილი ბადახში კიაფობდა კერპის შუბლზე და ხშირი ზეთი იღვენთებოდა მისი თმებიდან მის ბარძაყებზე. ფეხები ახლადშეწირული ბატკნის სისხლით ჰქონდა შესვრილი კერპს, შვიდი ბირვილიონით შეჭედლი სპილენძის ქამარი ერტყა წელზე.

„და ვარქვი ქურუმს თუ: „ეს არის ღმერთი?“ და მან მომიგო ეგ არისო ღმერთი.

„მაჩვენე ღმერთი“, ვუყივლე მე, „თორემ მოგაშთობ ახლავე“, და მივწვდი მის ხელს და დავუბუშე.

„და მეაჯა ქურუმი იგი: „უფალმან ჩემმან განამრთელოს თვისი მსახური და ვაჩვენებ უმალვე ღმერთსა“.

„ მაშინ შევუბერე სული მის ხელს და განვუმრთელე და აცახცახდა იგი და შემიძღვა მეორე დარბაზში და ვიხილე კერპი მუნ სხვილი ზურმუხტით მოკიდულ ნეფრიტის ლოტოსზე შემდგარი. მთლად სპილოსძვლისა იყო ეს კერპი და მისი სხეული ორგზის აღემატებოდა კაცის სხეულს. შუბლი ოქროქვით ჰქონდა შეჭედილი, მკერდზე მიხაკი და მური ეცხო. ცალ ხელში გრაგნილი სკიპტრა ეკავა გიშრისა, ხოლო მეორეში ბროლის ბურთულა. თითბირის ხამლები ეცვა მას ფეხზე და სელენის ყელსაბამი ჰქონდა მსხვილ კისერზე შებმული.

„და ვარქვი ქურუმს, თუ: „ეს არის ღმერთი?“ და მან მომიგო, ეგ არისო ღმერთი.

„მაჩვენე ღმერთი“, ვუყივლე მე, „თორემ მოგაშთობ ახლავე“, და მივწვდი მის თვალებს და დავაბრმავე.

„და მეაჯა ქურუმი იგი „უფალმან ჩემმან განამრთელოს თვისი მსახური და ვუჩვენებ უმალვე ღმერთსა“.

„და შევუბერე სული თვალებზე და ავუხილე და შემიძღვა მესამე დარბაზში და ჰოი საკვირველებავ! აღარც კერპი იდგა მუნ და არც სხვა გამოსახულება, ლითონის მრგვალი სარკე იდგა მხოლოდ ქვის საკურთხეველზე“.

„და ვარქვი ქურუმს, თუ: „ეს არის ღმერთი?“

„და მან მომიგო: „არ არის ღმერთი თვინიერ სარკისა, რომელსა ხედვი, რამეთუ ეგე არს სარკე სიბრძნისა. იგი ასახავს ყოველთა ნივთთა, მიწიერთა და ზეციერთა, თვინიერ მასში მომზირალი კაცის სახისა, რაიც განაპირობებს ბრძნეობას მისას. მრავალნი სარკენი არსებობენ ამისაგან კიდე, გარნა იგინი არიან სარკენი შეხედულებათა. სიბრძნის სარკე კი ეგ ერთია მხოლოდ. და სარკისა ამის მფლობელთ უწყიან ყოველივე, არც თუ რაჲ არს ქვეყნად მათთვის დაფარული, ხოლო იგინი, ვინაც არ ჰფლობენ სარკესა ამას, არცა ბრძენნი არიან. ამადაცაა იგი ღმერთი და ჩვენც თაყვანს ვცემთ მას“.

„და მე ჩავიხედე იმ სარკეში და დავრწმუნდი, ქურუმი მართალს ამბობდა. და მე ჩავიდინე უცნაური რამ, ხოლო რა ჩავიდინე, სულერთია შენთვის, რადგან აქედან ერთი დღის სავალზე, ერთ ტრიალ მინდორზე დავმალე მე სიბრძნის სარკე. ოღონდ შენ მომეცი უფლება, კვლავ დავისადგურო შენში, კვლავ შევიქმნა შენად მსახურად და შენ გახდები უფრო ბრძენი, ვიდრე ყველა ბრძენკაცი ამა ქვეყნისა და მთელი სიბრძნე შენს ხელთ იქნება. უფლება მომეც, დავისადგურო შენში კვლავ და არავინ იქნება შენზედ უბრძნესი“.

მაგრამ ჭაბუკმა მებადურმა გაიცინა მხოლოდ: „სიყვარული სჯობია სიბრძნეს“, დაიძახა მან, „პატარა ფერიას კი ვუყვარვარ მე“.

„არა, ქვეყნად არაფერი სჯობს სიბრძნეს“, თქვა სულმა.

„სიყვარული სჯობს მას“ მიუგო ჭა-

ბუკმა მებადურმა და ჩაყვინთა ზღვის სიღრმეში, ხოლო სული ატირდა და კვლავ გაუდგა ჭაობიან გზას.

* *
*

და რა გასრულდა მეორე წელი, სული კვლავ მიადგა ზღვას და მოუხმო ჭაბუკ მებადურს, იგიც ამოცურდა წყლის წიაღიდან და შეეკითხა: რად მეხმობდიო?

ხოლო სულმა მიუგო: „მომიახლოვდი სასმენ მანძილზე, რათა მოგითხრო ჩემ მიერ ნახულ საკვირველებათათვის".

იგიც მიეახლა, მეჩხერ წყალში მოიკალათა და, იდაყვზე დაყრდნობილი, სასმენლად განემზადა.

* *
*

ხოლო სულმა დაიწყო:

„შენ რა გაგშორდი, სამხრეთისაკენ მივმართე პირი და ვიმოგზაურე. სამხრეთით მოდის ყოველივე, რაც ძვირფასია. ექვს დღეს ვიარე ქალაქ აშტერისკენ მიმავალი დიდი შარებით, მეწამულ მტვერში გახვეული შარაგზებითა, მწირნი რომ ირჩევენ სამოგზაუროდ და მეშვიდე დღეს, დილით, გავმართე მზერა და ჰოჲ საკვირველებაჲ! უზარმაზარი ქალაქი გადაშლილიყო ჩემს ფერხთით ვაკეზე.

„ცხრაკლიტული გალავანი გარს არტყია ქალაქსა მას და ყოველი კარიბჭის წინ ბრინჯაოს ცხენი დგას თითო, რომელიც ჰიხვინებს ხოლმე ბედუინების ბარად ჩამოსვლისას. სპილენძით შეჭედილი ზღუდეები აქვს გალავანს, თუთიით არიან გადახურულნი სათვალთვალო კოშკები. თვითოეულ კოშკში მოისარი მცველი დგას თითო მშვილდმომარჯვებული. მზის ამოსვლისას ქოსა ჰკრავს ხოლმე ისარს, მზის ჩასვლისას კი რქის ყვიროსტვირს ჩაჰბერავს ხოლმე.

„ქალაქად შესვლა რა დავაპირე, დამაკავეს და სადაურობა მკითხეს ქალაქის მცველთა. მე მივუგე, რომ დერვიში ვიყავ მეკკაში მიმავალი, სადაც ინახება ანგელოსთა მიერ ჰეტრატიკონზე ვერცხლის ასოებით ამოქარგული ყურანი. განცვიფრდნენ მცველნი, ამას გამგონენი, და ნება დამრთეს ქალაქად შესვლის.

„შუაქალაქს, ბაზრის შესახედაობა აქვს. ჭეშმარიტად თან უნდა მხლებოდი შენაც. ვიწრო ქუჩაბანდებში ჭრელჭრულა ფარნებია გადმოკიდული, დიდ პეპლებსავით ფარფატებენ ისინი ჰაერში. ქარი რომ დაჰბერს სახურავებზე, აფრიალდებიან და მერმე ეშვებიან ძირს, როგორც ფერადი საპნის ბუშტები.

„იქვე ვაჭარნი სხედან აბრეშუმის ხალებზე, თავიანთ ფარდულებს გასწვრივ. გრძელი და შავი წვერი ამშვენებს მათ, ჩალმებში პერპერები აქვთ ჩაკერებული, გიშრისა და ღაროვანი ატმისკურკის კრიალოსნებს ათამაშებენ ზანტი თითებით. ზოგი მათგანი გალბანუმსა და ნარდიონს ყიდის და საუცხოო სუნამოს ინდოეთის ზღვის კუნძულებისას, ზოგი წითელი ვარდისაგან გამოხდილ ხშირ ზეთს, მურსა და პაწია ლურსმისდარ მიხაკებს. თუ კაცი ვინმე გაჩერდება მათთან საუბრად, მაყალს მოიღებენ მყისვე სანაზმირეს, ამბარს მოაკმევენ ზედ და ეფინება ამო სურნელი იქაურობას. სირიელი ვნახე მუნ ერთი, კვერთხი რამ ეკავა ხელში ლერწმისებრ წვრილი, ცისფერი კვამლის ზოლებით იხრჩოლებოდა ეს კვერთხი და ისეთი ამო სურნელი იდგა, აყვავებული ნუში რომ გამოსცემს გაზაფხულზე.

„ზოგნი ვერცხლის სამაჯურებს ყიდიან ტრედისფერი ფირუზით მოოჭვილთ, თითბრის საწვივეებს წვრილი მარგალიტებით მოჭედილთ, ოქროში ჩასმულ ჭანგებს ვეფხისას და იმ ოქროსფერი კატის, ლეოპარდის ჭანგებს, აგრეთვე ოქროში ჩასმულთა, დასერტილი ზურმუხტის საყურეებსა და დატვიფრული ნეფრიტის ბეჭდებს. ჩაიხანებიდან გიტარის ხმა მოისმის, თრიაქის მწეველნი გათეთრებულ მომღიმარი სახეებით ათვალიერებენ გამვლელ-გამომვლელს.

„ჭეშმარიტად შენც უნდა მხლებოდი თან. ღვინით მოვაჭრენი იდაყვებით იკაფავენ ბრბოში გზას, მოზრდილი შავი

თხიერები აქვთ მხრებზე შეგდებული. უმეტესობა შირაზის ღვინით ვაჭრობს, თაფლზე უტკბესი შირაზის ღვინით ლითონის მცირე თასებით მოგართმევენ ისინი ნუნუას, ვარდის ფურცლებს მოაპნევენ ზედ. ხილის გამყიდველნი დგანან იქვე ბაზარში, ათასნაირი ხილით ვაჭრობენ: მწიფე გულჩაწითლებული ლეღვებით, ტამბაზივით გაყვითლებული ნესვებით, მუშკის სურნელი რომ ასდით ციტრონებითა და წითელლოყება ვაშლებით. ხშირმტევნიანი თეთრი ყურძნით, მრგვალი მეწამულ-ოქროვანი ნარინჯებითა და მომწვანო-ოქროსფერი ლიმონებით. ერთხელ თვალი შევასწარ, სპილომ ჩამოიარა ბაზარში. სინგურითა და ზარდაწჩოთი შეეღებათ მისთვის ხორთუმი, შინდისფერი ბადე ჰქონდა გადაცმული, ყურებზე აბრეშუმის ყაითნით ნაქსოვი. ერთ-ერთი ფარდულის წინ შედგა ეს სპილო და იწყო ნარინჯების მირთმევა, ნოქარი კი იცინოდა მხოლოდ.

„ვერ წარმოიდგენ, რა უცნაური ბუნების ხალხია. როცა რამეზე იშვებენ, მიდიან ჩიტებით მოვაჭრესთან, შეისყიდიან დატყვევებულ ჩიტს და გაუშვებენ გალიიდან, რათა გაზარდონ ამით შვება, ხოლო შეჭირვების ჟამს ეკლებით იწყლულებენ სხეულს, რათა მზღვარი დაუდონ თავიანთ სატანჯველს.

„ერთ საღამოს ტახტრევანის მტვირთველი ზანგები შემომეყარნენ ბაზარში. მოოქროვილი ბამბუკისაგან იყო ნაშენი ეს ტახტრევანი, საყენი მისნი სინგურით იყვნენ მოჭიქულნი და თითბრის ფარშევანგებით შეჭედილნი. ხოჭოს ფრთებითა და წვრილი მარგალიტით მოქარგული მუსლინის ფარდები ჰფარავდნენ პატარა სარკმელებს. რა ჩაატარეს იგი ზანგებმა, ფერმკრთალმა ჩერქეზის ქალმა გამოიჭვრიტა სარკმლიდან და გამიღიმა. მე გავსდიე ტახტრევანს, — ზანგები მოიღუშნენ და ნაბიჯს უმატეს. მე არად ჩავაგდე მათი გულისწყრომა, დიდად განვცვიფრდი ნახულისაგან.

„ბოლოს რომელიღაც თეთრ, ოთხკუთხა სახლთან შეჩერდნენ. ერთადერთი კარიება ამ სახლს, აკლდამის კარისებრ მცირე.

„ძირს დაასვენეს ზანგებმა ტახტრევანი და დააკაკუნეს სამჯერ სპილენძის ჩაქუჩით. მწვანე სამოგვის ხიფთანიანმა სომეხმა გამოიჭვრიტა კარისთვალიდან და რა დაინახა მოსულნი, კარი გააღო, დააფინა მიწაზე ნოხი და ქალიც გამოვიდა ტახტრევანიდან. შინ შესვლამდის იგი მობრუნდა და კვლავ გამიღიმა. ჯერ არ მენახა სულიერი ესოდენ ფერმკრთალი.

„მთვარე ამოვიდა თუ არა, კვლავ იმ ადგილზე მივბრუნდი, მაგრამ სადღა იყო სახლი. მაშინ კი მივხვდი, თუ ვინ იყო ის ქალი და რა მიზეზითაც მიღიმოდა.

„ჭეშმარიტად შენც უნდა მხლებოდი თან. ახალი მთვარის დღესასწაულზე ჭაბუკმა სულტანმა დატოვა სასახლე და მეჩეთში წავიდა სალოცავად. ვარდის ფურცლები ეფინა მას თმა წვერზე, ბაჯაღლო ოქროს მტვრით ჰქონდა შეფერილი ღაწვები. ზაფრანისაგან გაყვითლებოდა ხელ-ფეხის გულები.

„მზის ამოსვლისას დააგდო მან სასახლე თვისი, მოვერცხლილ კაბაში მორთულმა, და მზის ჩასვლისას გარეშემოიქცა, ოქროცურვილ კაბაში მორთული. პირქვე ემხობოდა მის დანახვაზე დიდი და მცირე, მალავდა სახეს, მე კი არად ჩავაგდე იგი.

„ინდისხურმებით მოვაჭრის დახლთან ვიდექ და არ ვუმჟღავნებდი მბრძანებელს არავითარ მორჩილებას. ხალხი განაცვიფრა ჩემმა სითამამემ, მირჩიეს, გავქცეულიყავ ქალაქიდან. მე ყური არ ვათხოვე მათ ნაუბარს, მაგრამ წაველ და ჩავჯექი უცხოური კერპებით მოვაჭრე ხალხში, რომელიც შეძულებული ჰყავთ თავიანთი ხელობის გამო. და რა მოისმინეს მათ ჩემგან თუ რა ჩავიდინე, კაცადკაცადმა თითო კერპი მიბოძა და მთხოვა გავცლოდი იქაურობას.

„იმავე ღამეს ბროწეულების ქუჩაზე, ერთ-ერთ ჩაიხანაში, მუთაქაზე მიგდებულს, თავს წამადგნენ სულტანის მცვე-

ლნი და სასახლეში წამიყვანეს. შიგ რა შევედით, იწყეს ყოველი განვლილი კარის დაკეტვა და ზედ ჯაჭვ-ურდულის დადება.

„უშველებელი ეზო ჰქონდა სასახლეს, მშვილდურთა წყებებით შემოვლებული. კედლები თეთრი თაბაშირისანი იყვნენ, აქა-იქ ცისფერი და მწვანე შორენკეცებით შეჭედილნი. ზღვისფერი მარმარის ბოძები ამოზრდილიყვნენ ატმისყვავილისფერი მარმარის ფილაქანიდან. არაფერი მენახა იქაურობის მსგავსი მანამდე.

„ეზო რა გადავსერეთ, ორი ჩადროსანი დიაცი გადმოდგა აივანზე, წყევლა-კრულვა მომაყოლეს ზევიდან. ნაბიჯს უმატეს სულტანის მცველთა, წკრიალებდნენ შუბისტარები მოსარკულ იატაკზე. ახლა სპილოსძვლით ნაქანდაკევი ჭიშკარი შეაღეს მათ და ჩემს წინ გაიშალა შვიდგორაკოვანი დაცვარული წალკოტი. ტიტულიპისხენი, ზიზილები, ღამის იები და ვერცხლისფრად დაწინწკლული ალონი ხარობდნენ მუნ. ბროლის კაფანდარა ღეროსავით ირწეოდა ბნელში შადრევნის სვეტი. გამომწვარ მაშხალებს დამსგავსებოდნენ კვიპაროსები. ერთ-ერთი მათგანის ტოტებში ბულბული უსტვენდა.

„წალკოტის დასალიერზე მცირე რაჰ ფანჩატური იდგა. რა მივეახლეთ ძას, ორი საჭურისი გამოგვეგება მუნითგან. ნასუქი ტანების რხევით მოდიოდნენ ისინი, გაოცებულნი მიჭვრეტდნენ თავიანთი ჩაყვითლებული თვალებით. ერთმა მათგანმა, მცველთა წინამდგომი გაიხმო და დაბალის ხმით უჩურჩულა რაღაც. მეორემ სურნელოვანი განაგრძო ღეჭვა გოლეულისა, რომელსაც იგი გამალებული კრეფდა იასამნისფერი მინანქარის მრგვალი ყუთიდან.

„მცირე ხნის შემდეგ ათისთავმა დაითხოვა ჯარისკაცები. ეს უკანასკნელნი სასახლისაკენ გაეშურნენ, საჭურისებმა მისდიეს მათ, თან მწიფე თუთას კრეფდნენ ხეებიდან გზადაგზა. მათ შორის უფროსმა მოიხედა და გამიღიმა ცბიერად.

„მაშინ ათისთავმა ფანჩატურზე მიმითითა. წარბშეუხრელად გავემართე მეცა, გადავსწიე მძიმე ფარდაგები და შევედ.

„ჭაბუკი სულტანი ლომის ტყავებით მოგებულ ტახტზე გაწოლილიყო, სონდული დაესვა მაჯაზე. მის ზურგსუკან თითბრის ზარადიანი ნუბიელი იდგა, წელსზევით გაშიშვლებული, მძიმე საყურეებს დაეზნიქათ მისი დახვრეტილი ყურები. ტახტის გასწვრივ, მაგიდაზე ფოლადის დიდი იატაგანი იყო დაგდებული.

„რა დამინახა სულტანმა, წარბები შეჭკრა და ჩამკითხა: „ვინა ხარ შენ? არ თუ უწყი, რომ ხელმწიფე ვარ მე ამ ქალაქის?“

მაგრამ მე არა მივუგე რა.

„მაშინ მიუთითა მან ნუბიელს იატაგანზე, იგიც დასწვდა მახვილს, წარდგა ბიჯი და შემომიქნია საშინელი ძალით. ჟრიალით გამიარა ტანში ფოლადმა და ვერა მავნო რა. თავათ კაცი მიწაზე დაენარცხა და, წამოდგა თუ არა, თავზარდაცემული და, ძრწოლისაგან სახედაღრეჯილი შევარდა ტახტის ქვეშ და დაიმალა.

„ზეწამოიჭრა სულტანი მაშინ, გააძრო შუბი საჭურველის კარადიდან და შემომტყორცნა. ჰაერშავე დავიჭირე იგი და გადავამსხვრიე მყისვე შუაზე. ახლა ისარი მტყორცნა მან, ავმართე ხელი და შუაგზაზე შევაჩერე იგიცა. მაშინ გაიძრო სულტანმა ხანჯალი და გამოღადრა ხელი ნუბიელს, რათა მონას არ გაემხილა თავისი პატრონის შერცხვენის ამბავი. თავდანაყილ გველსავით დაიკლაკნა კაცი და მეწამული ქუში ამოანთხია პირიდან.

„მონამ სული რა დალია, სულტანი მომიბრუნდა, ბრჭყვიალა ოფლი მოიწმინდა შუბლიდან ქობიანი აბრეშუმის ხელსახოცით და მომმართა: „ნუუკუე წინასწარმეტყველ ხარ ანუ ნატამალი წინასწარმეტყველისა, რომე ვერა გავნე მე შენ? გვედრი, დააგდო ქალაქი ჩემი სასწრაფოდ, რამეთუ სანამ შენ აქ ჰზი, აღარა ვარ მე მპყრობელი მისი“.

„ხოლო მე მივუგე: „მე წავალ მხოლოდ შენი სიმდიდრის ნახევრისათვის. დამითმე ნახევარი შენი სიმდიდრისა და გაგეცლები“.

„მაშინ ჩამკიდა ხელმწიფემ ხელი და ბაღში გამიყვანა. ათისთავი განცვიფრდა ფრიად ჩემს დანახვაზე, ხოლო საჭურისთა რა თვალი მკიდეს მუხლები მოეკვეთათ და დაცვივდნენ მიწაზე შიშით შეძრულნი. არის დარბაზი იმ სასახლეში, პორფირის რვა კედლიანი, ფარნებითაა მოკიდული მისი სპილენძით შეჭედილი ზეთავი. სულტანმა ხელი დაადო ერთ-ერთ კედელს, იგიც გაიხსნა მეყვსეულად და ჩვენ წინ გამოჩნდა აურაცხელი ჩირაღდნებით გაბრწყინებული დერეფანი. კედლის ნიშებში ორივე მხრივ ღვინის ჭურჭელი ელაგა პირთამდე სავსე ვერცხლის ფულებით. დერეფნის შუაგულამდის რა მივაღწიეთ, ძნიად სათქმელი რამ სიტყვა თქვა სულტანმა, გრანიტის კარი გაიხსნა ჩვენ წინ, საიდუმლო ზამბარიანი და სულტანმა ხელები აიფარა სახეზე დაბრმავების შიშით.

ვერ აგიწერ, რა საოცნებო ადგილი იყო ეს! უშველებელ რკუთა ჯავშნები ელაგნენ იატაკზე, მარგალიტებით გავსილნი და, უზარმაზარი ამოხრული შპატები, წითელი იაგუნდით ამოჭედილნი. უხვად ეყარა ოქრო სპილოსტყავის ზანდუკებში, ოქროსავე ბრეთი გავსილი ბოთლები ელაგნენ იქვე. ცის დანაკნი ბროლის თასებში იყვნენ ჩაყრილნი, საფირონები — ნეფრიტის თასებში. უხვად ელაგა წყობილი ზურმუხტი სპილოსძვლის სიფრიფანა თეფშებზე და ერთ კუთხეში აბრეშუმის ბოლჩები ეწყო, ზოგნი ფირუზის ქვებითა და ზოგნიც — ბირვილიონებით სავსენი. სპილოსძვლის ყანწებში უხვად ეყარნენ ამეთვისტონი, თუთიის ყანწებში-ქალკედონი და სარდიონები. ფოცხვერისქვათა ყვითელი აკიდოებით მოერთოთ კედრის სვეტები. იაგუნდები იყვნენ ჩასმულნი პრტყელსა და წრიულ-მოგრძო ფარებში ღვინისფერნი და ჯეჯილისფერნი ზოგნი. და მაინც აქამდე მეათედი ძლივს გითხარ იმისა, რაც მანდ ვიხილე.

„და როდესაც სულტანმა გამოაჩინა სახე, მომიბრუნდა და მომმართა: „ეს არის საწყობი სიმდიდრის ჩემის, რომლის ნახევარიც შენ გეკუთვნის ჩემივე დაპირების თანახმად. აქლემებს გაახლებ და მეაქლემეთა და აღასრულებენ ისინი ყოველსა ნაბრძანს შენსას და წარიტანე შენი წილი სიმდიდრისა, ქვეყნის რომელ კიდეშიც გსურდეს. მაგრამ ეს ყოველივე ამაღამვე უნდა აღასრულო ვინძლო მზემან, მამამან ჩემმან, არა შეიტყოს, რომ ჩემს ქალაქში კაცია ერთი, ვისი მოკვდინებაც მე არ ძალმიძს“.

„მე კი მივუგე: „ოქრო ყოველი რაც აქ არის, შენ დაგრჩება, ვერცხლიც აგრეთვე, შენვე დაგრჩება თვალმარგალიტი და სამკაული ძვირფასი. რაიცა შემეხება მე, არაფრად მჭირია ეს ყოველივე. არაფერს გამოგართმევ, გარდა მაგ პატარა ბეჭდისა, რომელსაც შენ ხელზე ატარებ“.

„სულტანი მოიღუშა ამის გამგონე:“ „ეს ბეჭედი ტყვიაა უბრალო“, შესძახა მან „არც თუ ფასი აქვს მას არავითარი. ამიტომ წარიღე შენი წილი და დააგდე ქალაქი ჩემი“.

არა მეთქი მივუგე მე, „არას წავიღებ მეთქი გარდა მაგ ტყვიის ბეჭედისა, რადგან მე ვიცი, თუ რა სწერია მასზე და რა მნიშვნელობასაც ატარებს მეთქი ეგ წარწერა.

„მაშინ ათრთოლდა სულტანი და შემევედრა: „მთლად წარიტანე ჩემი სიმდიდრე და გამეცალე. შენი იყოს ჩემი ნახევარიცა!“

„და მე ჩავიდინე უცნაური რამ, ხოლო რა ჩავიდინე, სულერთია შენთვის, რადგან აქედან ერთი დღის სავალ მღვიმეში დავფლე მე სიმდიდრის ბეჭედი. და მაგ ბეჭდის მფლობელი უფრო მდიდარია, ვიდრე ყველა ხელმწიფე ამა ქვეყნისა. წამო, დაეუფლე მას და მთელი დუნიას სიმდიდრე შენ ხელთ იქნება.

მაგრამ ჭაბუკმა მებადურმა გაიცინა

მხოლოდ: „სიყვარული სჯობს სიმდიდრეს“, დაიძახა მან, „პატარა ფერიას კა ვუყვარვარ მე“.

„არა, ქვეყნად არ.ფერი სჯობს სიმდიდრეს,“ თქვა სულმა.

„სიყვარული სჯობს მას“ კვლავ მიუგო ჭაბუკმა მეზადურმა და ჩაყვინთა ზღვის სიღრმეში. ხოლო სული ატირდა და კვლავ გაუდგა ჭაობიან გზას.

* *
*

და რა განსრულდა მესამე წელი, სული კვლავ მიადგა ზღვას და უხმო ჭაბუკ მეზადურს, იგიც ამოცურდა წყლის წიაღიდან და შეეკითხა, რად მიხმობდიო?

ხოლო სულმა მიუგო: „მომიახლოვდი სასმენ მანძილზე, რათა მოგითხრო ჩემ მიერ ნახულ საკვირველებათათვის“.

იგიც მიუახლოვდა მეჩხერ წყალში მოიკალათა და იდაყვზე დაყრდნობილი, სასმენად გაემზადა.

ხოლო სულმა დაიწყო: „მე ვიცი ქალაქი, სადაც მდინარის პირას დუქანი დგას ერთი. სწორედ მანდ ვიჯექ მე მეზღვაურებთან ერთად, ორნაირი ფერის ღვინოს გეახლებოდით ჩვენ, ქერის პურს შევექცეოდით და დამარილებულ წვრილ თევზსა ძმრითა და დაფნის ფოთლით შეკმაზულს. და ვიდრე ჩვენ ვისხედით და ვმხიარულობდით, ბერიკაცი ვინმე შემოეხეტა დუქანში, ქარვის ორტარიანი ჩაღანა ეკავა ხელში მას და ერთიც ნატი. მერმე დაავო ეს ნატი იატაკზე და ჩამოჰკრა სიმებს მიზრაფი. იმავ წამს პირახვეულმა გოგონამ შემოირბინა ოთახში და დაიწყო ცეკვა ჩვენ თვალწინ. სახე ლოლბანდის რიდით ჰქონდა აკრული, ფეხები კი გაეშიშვლებინა. და ეს შიშველი ფეხები ისე დაგოგავდნენ ნატზე, როგორც პაწია თეთრი მტრედები. ჩემს დღეში არაფერი მინახავს ესოდენ საუცხოო, ხოლო ის ქალაქი, რომელშიაც გოგონა ცეკვავს, ერთი დღის სავალზეა აქედან მხოლოდ.

და რა მოისმინა ჭაბუკმა მეზადურმა თავისი სულის ნაუბარი, გაახსენდა, რომ პატარა ფერიას არ ჰქონდა ფეხები და ცეკვაც არ შეეძლო. უსაზღვრო წადილმა მოიცვა მაშინ იგი და თქვა თავის გულში: „თუ მხოლოდ ერთი დღის სავალია მანამდე, ადვილად შევძლებ, კვლავ დავუბრუნდე ჩემს სატრფოს“. მერმე გაიცინა, წამოიმართა მეჩხერ წყალში და გაალაჯა ნაპირისაკენ.

და რა მიაღწია მშრალ ნაპირამდის, კვლავ გაიცინა და გაუწოდა თავის სულს ხელები. შვების ხმა აღმოხდა მაშინ სულს, გაექანა პატრონისაკენ და კვლავ დაივანა მასში და კვლავ იხილა ჭაბუკმა მეთევზემ ქვიშაზე თავის ფერხთით გართხმული ლანდი, იგივე ტანი ჩვენის სულისა.

და სულმა უთხრა: „ნუღარ ვაყოვნებთ, გავსწიოთ აქედან, რადგან ზღვის მეუფენი იჭვიანნი არიან ფრიად და ურჩხულებიც უვისთ კარგად დაგეშილნი“.

* *
*

და, ამრიგად, გზას გაუდგნენ გამალებულნი, იარეს მთელ ღამეს მთვარის შუქზე და მთელ მეორე დღეს მზის სინათლეზე და მიმწუხრისას მიადგნენ ქალაქს.

მაშინ შეეკითხა ჭაბუკი მეზადური თავის სულს: „ეს არის ქალაქი, სადაც იგი ცეკვავს, ვის გამოც შენ მომითხრობდი?“

სულმა მიუგო: „არა ეს სხვაა. ის ქალაქი ამის შემდგომია, მაგრამ ჩვენ მაინც შევიაროთ შიგ.“

ამრიგად, შევიდნენ ისინი ქალაქად და მიჰყვნენ ქუჩებს და ოქრომჭედელთა ქუჩაზე ჭაბუკმა მეზადურმა მშვენიერი ვერცხლის თასი შენიშნა ერთერთ ფარდულში გამოდებული. სული ეტყოდა: „აიღე ეგ თასი და დამალე“.

მანაც წამოავლო თასს ხელი, ჯუბაჩის კალთისქვეშ ამოიდო და სასწრაფოდ დააგდეს ქალაქი ორთა.

და ერთი ლიგა რა გამოიარეს, ჭაბუკი მეზადური გაგულისდა, შორს გადასტყორცნა ვერცხლის თასი და ჰკითხავდა თავის სულს: „რად ამალებინე თასი

და დამამალვინე, ეგ ხომ ბოროტმოქმედება იყო ნამდვილი?“

ხოლო სული უპასუხებდა: „მშვიდად იყავი, მშვიდად იყავი“.

და მეორე დღეს შეღამებულზე ქალაქს მიადგნენ ისინი რასმე და ჭაბუკი მებადური ჰკითხავდა თავის სულს: „ეს არის ქალაქი, რომელშიაც იგი ცეკვავს, ვის გამოც შენ მომითხრობდი?“

ხოლო სულმა მიუგო: „არა, ეს სხვაა. ის ქალაქი ამის შემდგომია. მაგრამ ჩვენ მაინც შევიაროთ შიგ.“

ამრიგად, შევიდნენ ისინი ქალაქად და მიჰყვნენ ქუჩებს და მეხალმეთა ქუჩაზე ჭაბუკმა მებადურმა ბალღი შენიშნა, წყლიანი დოქის გვერდით მდგარი. სული ეტყოდა: „სცემე მაგ ბალღს ერთი“. მანაც დაუწყო ცემა პატარას და მწარედ აატირა, ამის შემდეგ სასწრაფოდ დააგდეს ქალაქი ორთა.

და ერთი ლიგა რა გამოიარეს, ჭაბუკი მებადური სინანულმა შეიპყრო და ჰკითხავდა თავის სულს: „რად მაცემინე ბალღისათვის, ეგ ხომ ბოროტმოქმედება იყო ნამდვილი?“

ხოლო სული უპასუხებდა: „მშვიდად იყავი, მშვიდად იყავი“.

და მესამე დღეს, დაისის ჟამს, ქალაქს მიადგნენ ისინი რასმე და ჭაბუკი მებადური ჰკითხავდა თავის სულს: „ესაა ქალაქი, სადაც იგი ცეკვავს, ვის გამოც შენ მომითხრობდი?“

ამაზე სულმა მიუგო: „ეს უნდა იყვეს, ამიტომაც შევიაროთ შიგ.“

ამრიგად, შევიდნენ ისინი ქალაქად და მიჰყვნენ ქუჩებს, მაგრამ არსად ჩანდა არც მდინარე და არც დუქანი, მის პირად მდგარი. განცვიფრებით უჭვრეტდნენ მებადურს ქალაქის მცხოვრებნი, იგიც შიშმა შეიპყრო და ეტყოდა თავის სულს: „გავეცალოთ აქაურობას, რადგან ის თეთრფეხა მოცეკვავე არ უნდა იყვეს აქ“.

ხოლო სულმა მიუგო: „არა, დავიცადოთ მცირედიც, რადგან ღამეა და შესაძლოა ყაჩაღები დაგვიხვდნენ გზაზე“.

ამრიგად, დასვა მან მებადური ბაზრის მოედანზე და მოასვენა. მცირე ხნის შემდეგ თავსაღგამიანმა ვინმე ვაჭარმა ჩამოიარა ბაზარში, თათრული მაუდის მოსასხამში გახვეულმა, დასვრეტილი რქის ფანარი ეკავა მას ხელში წვერწამახულ ჰოკზე აცმული.

და ამ ვაჭარმა ჰკითხა მებადურს: „რად დამჯდარხარ შუა ბაზარში, განა ვერ ხედავ, ფარდულები დაკეტილია და საქონლის ვაშკარანები შეკრული?“

ხოლო მებადურმა მიუგო: „იმად, რომ დუქანი ვერაფერი ვპოვე ამ ქალაქში არც ნათესავი მეგულება აქ ვინმე თავშესაფრის მომცემი.“

„განა ყველა ნათესავნი არა ვართ ერთმანეთისა?“ შესძახა ვაჭარმა, „ანუ ერთი და იმავე ღვთის მიერ არა ვართ გაჩენილნი? წამოდი ჩემსას, სასტუმრო მაქვს აქ საკუთარი.“

ჭაბუკი მებადურიც წამოდგა და გაჰყვა ვაჭარს. ბროწეულების ბაღში გავლით შევიდნენ ისინი სახლში, ვაჭარმა ვარდისწყალი მოართვა მას და სპილენძის ტასლით ხელისსაბანი, მწიფე ხესვები გამოუტანა წყურვილის დასაცხრობად, ბრინჯით სავსე ლანგარი დაუდგა წინ და შემწვარი ბატკნის ხორცი.

ჭამა რა მოათავა, ვაჭარი საწოლ ოთახში შეუძღვა სტუმარს და ღამენებისა უსურვა. მანაც მადლობა გადაუხადა, ბეჭდიან ხელზე აკოცა და გაიშოთა თხის ტყავის ნატებზე, შავი ცხვრის ტყაპუჭი გადაიხურა ზედ და ძილს მისცა თავი.

სამიოდ საათი უკლდა გათენებას და კვლავ ღამე იყო, როდესაც სულმა გააღვიძა იგი და უთხრა: „ადექი და შეიპარე ვაჭრის ოთახში, იმ ოთახში, სადაც მას სძინავს, მოკალი იგი და გამოიტაცე მისი ოქრო, რადგან ჩვენ ძლიერ გვჭირდება იგი.“

ჭაბუკი მებადური ადგა და შეცოცდა ვაჭრის ოთახში, სადაც მის საფერხესთან მოღუნული ხმალი ეგდო ერთი და იქვე ლანგარზე ცხრა ქისა ეწყო ოქროთი სავსე. მერმე გაალოცა ხელი და მოსინჯა ხმლის ვადა და სწორედ ამ დროს შეკრთა ვაჭარი და გაეღვიძა. წამოხტა ზეზე, თავათაც დასწვდა ხმალს

და უყივლა ჭაბუკ მებადურს: „სიკეთისათვის სიავეს მიბრუნებ განა და ჩემი გულკეთილობის წილ გსურს ჩემივე სისხლი დაღვარო?“

სულმა კი უჩურჩულა ჭაბუკ მებადურს: „დაჰკარი ნაგას“. მანაც დაჰკრა ვაჭარს და ძირს დასცა იგი გონდაკარგული, შემდეგ დაავლო ცხრასავე ქისას ხელი, სირბილით გადაიარა ბროწეულების ბაღი და პირი მიმართა იმ ვარსკვლავისაკენ, რომელსაც ცისკრის ვარსკვლავად უხმობენ.

და ერთი ლიგა რა გაიარეს, ჭაბუკმა მებადურმა მკერდზე დაიშინა ხელი და ჰყვედრიდა თავის სულს: „რად მომაკვლევინე ვაჭარი და მომაპარვინე მისი ოქრო? ბოროტება ხარ შენ ჭეშმარიტად!“

ხოლო სული უპასუხებდა: „მშვიდად იყავი, მშვიდად იყავი“.

„კმარა!“ შეჰყვირა ჭაბუკმა მებადურმა, „არ შემიძლია მშვიდად ყოფნა, რადგან ყოველივე, რაც შენი კარნახით ჩავიდინე, მძაგს ჭირისდღესავით, შენც მძაგხარ აგრეთვე და მე გიბრძანებ, მიპასუხო, თუ რად მომაქციე ასე საშინლად.“

ხოლო ამაზე სულმა მიუგო: „როდესაც შენ განმდევნე და მიმატოვე წუთისოფლის ანაბარად, შენ არ მომეცი გული, ამადაც დამჩემდნენ ამგვარი ქმედებანი და ახლა ძლიერ შევეჩვიე მათ.

„რაო, რას ამბობ?“ წაილუღლუღა ჭაბუკმა მებადურმა.

„თავათ უწყი“, მიუგო სულმა, „თავათ უწყი უკეთ. იქნებ დაგავიწყდა, რომ გული არ მომეც? მე არაფერში მიმიძღვის ბრალი. ამიტომ ნურარც თავს იწუხებ, ნურც მე მაწუხებ, მშვიდად იყავი, რადგან არ არსებობს სიმძიმილი გაუქარწყლებელი და არც შვება მიუღწეველი“.

და მებადური ათრთოლდა, ამის გამგონე, და შეუძახა თავის სულს: „არა, შენ ბოროტება ხარ თავათ, შენ დამავიწყე ჩემი მიჯნური, მაცთუნე მრავლის ცთუნებითა, ცოდვილ გზაზე შემადგმევინე ფეხი“.

ხოლო სული ეუბნებოდა: „არ გახსოვს, განა, ვით გამაძევე და მიმატოვე ქვეყნის ანაბარად, თანაც უგულოდ? გირჩევ, წავიდეთ სხვა ქალაქისაკენ, დრო გავატაროთ, განა რისთვის ვიშოვნეთ ცხრა ქისა ოქრო?“

მაშინ ამოალაგა ჭაბუკმა მებადურმა ცხრავე ქისა, ძირს დაანარცხა და გათელა ფეხით.

„არა“, იყვირა მან, „არაფერი მაქვს შენთან საერთო, არც წამოგყვები არსად, გაგაძევებ კვლავ ისევე, როგორც ერთხელ გაგაძევე, რადგან სიავის მეტი არა მომხვდა რა შენგან.“ ამ სიტყვებით შებრუნდა იგი ზურგით მთვარისკენ, გაიძრო თავისი პატარა დანა, მწვანე გველისპერანგის ტარიანი. და სცადა მოეკვეთა ფერხთაგან ლანდი, იგივე ტანი ჩვენის სულისა, მაგრამ სული არც განძრეულა, მისი ბრძანებაც არად ჩააგდო და ასეთი რამ უთხრა მას მხოლოდ: „ჯადო, რომელიც შენ კუდიანმა გაგანდო, აღარ სჭრის მეტად, მე აღარ ძალმიძს შენი დატოვება და აღარც შენ ძალგიძს ჩემი განდევნა, რადგან მხოლოდ ერთხელ თავის სიცოცხლეში შეუძლია კაცს გაყრა თავის სულთან, ხოლო იგი, ვინაც უკანვე დაიბრუნებს სულს, ვეღარ დაეხსნება ვერასოდეს და ეს არის პატიჟიცა და მუქაფაც მისთვის მიზღული“.

ჭაბუკ მებადურს ფერი ეცვალა ამის გამგონეს, გადააჭდო ურთიერთს ხელები და შესძახა: „მაშ ცრუ ყოფილა ის კუდიანი, ეს ყოველივე რომ არ მასწავლა“.

„პირიქით“, მიუგო სულმა, „მან მხოლოდ უერთგულა იმას, ვის მსახურადაც იგი დარჩება სამარადჟამოდ“.

და რა დარწმუნდა მებადური, რომ ვეღარ დაეხსნებოდა თავის სულს და რომ მისი ბოროტი სული სამუდამოდ მასთან უნდა დარჩენილიყო, დაემხო მიწაზე და აქვითინდა მდუღარე ცრემლებით.

* *
*

და რა გათენდა მეორე დილა, ჭაბუკი მებადური წამოდგა ზეზე და ასეთი რამ უთხრა თავის სულს: „მე შევიბოჭავ ხელებს, რათა არა ჩავიდინო რა შენი კარნახით, დავიმუწავ პირს, რათა არ წარმოვთქვა შენი სიტყვები და კვლავ იმ ადგილს მიუბრუნდები, სადაც ჩემი სატრფო ბინადრობს და თავათ ზღვას მივუბრუნდები მე, იმ მცირე უბეს, სადაც იგი მღეროდა ხოლმე, მოვუხმობ მას და წვრილად მოვუთხრობ, თუ რაოდენი ბოროტება ჩამადენინე“.

ხოლო სული კვლავ აცდენდა, ეუბნებოდა: „მითხარ, ვინ არის შენი მიჯნური, ასე რომ გწადია მიბრუნება მისად? მრავალნი არიან ქვეყნად მასზე მშვენიერნი. არიან მოცეკვავე ქალნი სამარიელნი, ათასნაირად ცეკვავენ ისინი ფრინველთა და ნადირთა წაბაძვით, ინით ილებავენ წვივებს, პაწია ეჟვნები უჭირავთ ხელებში, ცეკვის დროს იცინიან და მათი სიცილი ისე გაისმის, როგორც ჩხრიალი მდინარის ტალღათა. სჯობს წამომყვე და მოინახულო ეგ ასულები. მითხარ, აბა, რა ხელს ჰყრის მაგ ქეჯნათა ცოდვების გამო? ვისთვის მზადდება საამო კერძი, თუ არა მეინახეთათვის? განა ტკბილ სასმელში შხამი ურევია ოდესმე? ნუ ქენჯნი შენს თავს, წამომყევი სხვა ქალაქისკენ. პატარა ქალაქი მეგულება ერთი, მის განაპირას წალკოტია ტჲულიპისხეთა, თეთრი და ცისფერგულიანი ფარშევანგები ბინადრობენ წალკოტსა მას შვენიერს და, რა გაშლიან ისინი მზეზე თავის ბოლოებს, სპილოსძვლისა და ოქროს დისკოებს ემსგავსებიან. და ამ ფრინველთა დამპურებელი ცეკვავს ხოლმე მათ გასართობად, ხან ხელებზე დამდგარი ცეკვავს ხანაც ფეხებზე, საოლავით ილებავს იგი თვალის უპეებს, მერცხლის ფრთასავით სიფრიფანა ნესტოები აქვს. ცალ ნესტოში მცირე რამ რგოლი აქვს გაყრილი, ზედ მარგალიტის პაწია კოკრით. იგიც იცინის ხოლმე ცეკვის დროს, ვერცხლის ეჟვნებსავით ჟღარუნებენ მისი ვერცხლის საწვივეები. ჰოდა, მეტს ნუღარ ქენჯნი შენს თავს ცოდვების გამო, გირჩევ წამომყე იმ ქალაქისაკენ“.

მაგრამ ჭაბუკმა მებადურმა არა მიუგო რა თავის სულს, დუმილის ბეჭდით დაიმუწა პირი და სიმტკიცის თასმით შეიბოჭა ხელები. და კვლავ იმ ადგილისაკენ გაეშურა, საითაც მივიდა, ზღვის იმ პატარა უბისაკენ, სადაც მღეროდა ხოლმე მისი მიჯნური.

კვლავ აცთუნებდა სული გზადაგზა, მაგრამ იგი არ პასუხობდა, არც იმ არამზადობას სჩადიოდა, რომელსაც სული უკარნახებდა. ესდენ დიადი იყო მასში ძალი სიყვარულისა.

და რა მიაღწია ზღვის ნაპირამდის, შეიხსნა ხელები. აიძრო ბაგეთაგან დუმილის ბეჭედი და მოუხმო პატარა ფერიას. მაგრამ ამაოდ უხმობდა და ევედრებოდა მთელ დღეს, კვლავ აღარ გამოჩენილა იგი მის დაძახილზე.

ხოლო სული დასცინოდა, ეუბნებოდა: „ჭეშმარიტად მცირე შვება შეგხვდა შენ შენი მიჯნურისაგან, შენ იმ კაცს ჰგავხარ, ცხრილით რომ ლამობს წყლის მოტანას გოლვიან დღეში. ყოველივე დასთმე, რაც კი გაგაჩნდა და არაფერი მიგიღია სამაგიეროდ. შენთვის ის სჯობდა წამომყოლოდი, რადგან მე ვიცი, სად მდებარეობს ველი განცხრომათა და რა საქმენი ტრიალებენ ზედ.

მაგრამ ჭაბუკი მებადური ხმას აღარ სცემდა უკვე თავის სულს. რაგვის ქოხი აიშენა კლდის ნაპრალში ერთი და იცხოვრა მასში მთელ წელიწადს. და ყოველ დილას უხმობდა ხოლმე იგი ფერიას, ყოველ შუადღეს და ღამღამობით აბოდებდა მისი სახელით. მაგრამ კვლავ აღარ მოცურებულა იგი ნაპირთან მის შესახვედრად, ვერც ზღვის სხვა კუნჭულში მიაკვლია მას ჭაბუკმა მებადურმა, თუმც კი დასძებნა ქვაბები და მოლისფერი ნაგუბარები, მონაქცევარი ტბორეები და დიდი ჭები ლურჯი ზღვის ფსკერზე.

ნიადაგ აცდენდა სული მას და საზარელ ამბებს ეჩურჩულებოდა, მაგრამ

მაინც ვერ გადაიბირა, ესდენ უსაზღვრო იყო მასში ძალი სიყვარულისა.

და ერთი წელი რა გასრულდა, სულმა იფიქრა: „აქამდის სიავით ვაცთუნე ჩემი პატრონი, მაგრამ მისი სიყვარული გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა ჩემზე. აწ კი სიკეთით ვაცთუნებ მას, იქნებ ახლა მაინც დაჰყვეს ჩემს ნებას“.

და კვლავ შეესიტყვა სული ჭაბუკ მებადურს და უთხრა: „დღემდე ამქვეყნიურ განცხრომათათვის გითხრობდი, მაგრამ შენ წაუყრუე ნაუბარს ჩემსას. აწ ნება მომეც, ამქვეყნიურ ვაებათათვის მოგითხრო, იქნებ მომაპყრო გულისყური ამაზე მაინც, რადგან ჭეშმარიტად მეუფეა ტანჯვა ამა ქვეყნისა და არ არსებობს პირმეტყველი მის ხვანჯთაგან თავის დამღწევი. არიან კაცნი უტანსაცმლონი და არიან კაცნი მშიერ მწყურვალნი. არიან ქვრივნი ფარჩეულით მოსილნი და არიან ქვრივ-ოხერნი ძონძებში გახვეულნი. მუხლამდე ტალახში დატოპავენ კეთროვანნი და მტრობა აქვთ ნიადაგ ერთმანეთისა. დიდ შარაგზაზე ხეტიალში ალამებენ მთხოვარნი, მაინც ცარიელია მათი აბგები. შიმშილი დაძრწის ქალაქთა ქუჩებში, სახადი მუსრს ავლებს მოსახლეობას. წამო შევებრძოლოთ ყოველივე ამას, გამოვასწოროთ ეს უმსგავსობანი. რაღას უდგეხარ ამ ალაგს და უხმობ შენს სატრფოს, ვერ ხედავ, განა, არ პასუხობს იგი შენს ძახილს? ან ბოლოს რაა ეგ სიყვარული, ესოდენ დიდ ხარკს რომ მიუზღავ მას?

მაგრამ ჭაბუკი მებადური დუმდა ჯიუტად, ესოდენ დიდი იყო მასში ძალი სიყვარულისა. და ყოველ ცისმარე დილით უხმობდა იგი ფერიას, ყოველ შუადღეს და ღამღამობით აბოდებდა მისი სახელით. მაგრამ კვლავ აღარ მოცურებულა იგი ნაპირთან მის შესახვედრად, ვეღარც ზღვის სხვა კუნჭულში მიაკვლია მას, თუმც კი დასძებნა, მდინარეები ზღვას რომ ერთვოდნენ, დიდი ველები წყლით დაფარულნი და თავათ ზღვაცა დაისის ჟამს მეწამული ფერი რომ დაჰკრავს და თავათ ზღვაცა, ალიონზე რუხი ბანგით რომ იბურება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რა გასრულდა მეორე წელი, კვლავ შეესიტყვა თვისი სული ჭაბუკ მებადურს, შუაღამისას ეულად მჯდომარს თავის წნულ ქოხში: „საოცარია, სიავითაც გაცდუნე მე შენ და სიკეთითაც, მაგრამ შენი სიყვარული გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა ჩემზე. ამიტომ აღარ გაცდუნებ ამიერიდან, მაგრამ გევედრები, მომეცი ნება დავისადგურო შენს გულში, რათა ერთ არსად ვიქცეთ მე და შენ კვლავ, როგორც უწინ.“

„რა გაეწყობა, დაისადგურე“, მიუგო მებადურმა, „ჩანს, შენც დიდ სიმწარეს მიხვდი ქვეყანაზე უგულოდ ხეტიალისას“.

„ვაი რომ აღარ არის ადგილი ჩემთვის შენს გულში“, შესძახა სულმა, „ესდენ მოუცავს იგი სიყვარულს.“

„სამწუხაროა, ძალი არ შემწევს შენს დახმარებად“, მიუგო ჭაბუკმა მებადურმა.

და ამ დროს საზარელი ხმა გოდებისა აღმოსკდა ზღვიდან, ხმა, რომელიც მოისმის ხოლმე ზღვის რომელიმე ბინადარის მიცვალების ჟამს. ჭაბუკი მებადური ზეწამოიჭრა მყისვე, დააგდო თვისი წნული ქოხი და დაეშვა ნაპირისაკენ, შავი ტალღები მოასკდნენ ნაპირს, ვერცხლის უთეთრესი ტვირთი რამ მოიღეს თან.

მოქცევის წყალთა უთეთრესი იყო ეს ტვირთი, და ირწეოდა შმაგ ტალღებზე, როგორც ყვავილი, უსახსროდ გდებული. და ზღვის მოქცევამ გამოსტაცა იგი შავ ტალღებს, და ზღვის მოქცევას გამოსტაცა იგი ზღვის ქაფმა, და ზღვის ნაპირმა მიიღო იგი თავის გულმკერდზე და მებადურის ფერხთით განერთხო პატარა ფერიას უსიცოცხლო გვამი. უსულოდ განერთხო იგი მის ფერხთით.

მოთქმითა და ვაებით, როგორც ჭმუნვისაგან შმაგადშექმნილი შემცხადებული, დაემხო იგი მიჯნურის გვამზე, ეკონებოდა გაცივებულ მარჯნის ბაგეებს, ეფერებოდა დასველებულ ქარვას თმებისას. შვების ცახცახით მოსთქვამდა

იგი, ქვიშაზე პირქვე დამხობილი, თითქოს უხარისო რაღაც, მკერდში იკრავდა გვამს თავისი გარუჯული მკლავებით. ცივი ტუჩები ჰქონდა გვამს და მაინც ჰკოცნიდა იგი მათ, მარილი დაწრეტოდა თმებზე, მაინც ისრუტავდა მას მწარე სიამით. ხარბად უკოცნიდა დახუჭულ თვალებს და ხშირი ტევრი წამწამთა ნაკლებად მლაშე იყო, ვიდრე ცრემლთა მისთა მდინარე. და უსიცოცხლო გვამს აღსარებას ეტყოდა იგი. მისი ყურების სადაფებში აწვეთებდა უძელგეს ღვინოს თავისი თავგადასავლისას. კისერზე შემოიჭდო პაწია ხელები, თითებს უსვამდა სიფრიფანა ლერწამს ყელისას. მწარე სიხარულს განიცდიდა იგი და საოცარი შვებით იყო აღსავსე მისი უზომო ჰმუნვა.

ხოლო ზღვის შავი ტალღები ახლოვდებოდნენ და თეთრი ქაფი კვლავ ჰგოდებდა კეთროვანსავით. ქაფისავე თეთრი კლანჭებით მოფორთხავდა ზღვა ხმელისაკენ, კვლავ გამოისმა გოდების ხმა ზღვათა მეფის სრასასახლიდან და შუაზღვაში კვლავ ჩაჰბერეს დიდ-ტრიტონებმა ხმახრინწიან თვის ყვიროსტვირთა.

„თავს უშველე!“ უყივლა სულმა, „ზღვა შენსკენ იწევს, თუ დაყოვნდები, ჩანგთქავს იცოდე, თავს უშველე, მე ვშიშობ ძლიერ რადგანაც ვხედავ გულისბჭეს შენსას ჩემთვის დახურულს, შენი ეგზომი სიყვარულის მეოხებითა. აქედან გასწი, უვნებელ ადგილს დაივანე სადმე. მე იმედი მაქვს, კვლავ უგულოდ აღარ გამიშვებ სულეთში მაინც.“

მაგრამ ჭაბუკმა მებადურმა ყური არ ათხოვა სულის ვედრებას და კვლავ მოუთქვამდა იგი პატარა ფერიას გვამზე და იძახდა: „სიყვარული სჯობს სიბრძნეს, იგი უფრო სანუკველია, ვიდრე სიმდიდრე, უფრო მშვენიერი ვიდრე წარმტაც ასულთა ფეხები. ათასი ცეცხლნი ვერ დასწვავენ მას, ვერც დაშრიტავენ წყალნი მის ძალას. მე შენ გიხმობდი ცისკრის ციაგზე, მაგრამ არ უსმინე დაძახილს ჩემსას, მთვარეს ესმოდა სახელი შენი მაგრამ არ გამოჩნდი ჩემად ნუგეშად, რადგან დაგგდე მე უხანომ, დაღუპვად ჩემად, მიგატოვე და წავეხეტე. თუმც შენდამი ტრფობა ცეცხლად ღვივოდა ჩემს გულში მუდამ, უძლევი და მარადული, და არც რაიმეს დაუჩრდილავს იგი აროდეს, თუმც კი გავსინჯე კეთილის და ბოროტის გემო. და რადგან ეხლა მკვდარი გიხილე, მეც უცილოდ ზედ დაგაკვდები“.

კვლავ შეევედრა სული, გაეცალეო მანდაურობას, მაგრამ ამაოდ, ფეხიც არ წარსდგა ჭაბუკმა მებადურმა იმ ადგილიდან, ესდენ უსაზღვრო იყო მასში ძალი სიყვარულისა.

ახლოს და ახლოს მოიწევდა ზღვა, აღაქაფებდა მრისხანე ტალღეჩს მის ჩასანთქავად და, რა იხილა აღსასრული კარს მოსდგომოდა, კვლავ შეშლილივით დაეკონა მიჯნურის ბაგეთ და მისი გულიც გასკდა შუაზე. და რა გაიპო მისი გული სიყვარულით სისავსისგან, სულმა იპოვნა მუნ ადგილი თავშესაფარი და კვლავ ერთ არსად გადაიქცა თავის პატრონთან და ზღვის ტალღებმა შთანთქეს ჭაბუკი მებადური.

მეორე დილით ხუცესი ზღვისკენ გაეშურა კურთხევად მისად, რადგან ღელავდა ძლიერი შავი ზღვა. ბერები და მგალობელნი თან ახლდნენ მას, მეკელაპტრენი და მეცეცხლურნი და მრევლი ურიცხვი.

და რა მიაღწია ზღვის ნაპირამდის, ჭაბუკი მებადური იხილა, მორევში დამხრჩვალი, მკერდში ჩაეკრა მიცვალებულს პატარა ფერიას გვამი. უკუდგა ხუცი წარბშეკვრითა, გამოისახა პირჯვარი და ხმამაღლა წარსთქვა: „აღარ ვაკურთხებ ზღვასა ამასა, არც მკვიდრთა მისთა. წყეულიმც იყვნედ ზღვის ბინადარნი, სამგზის წყეულნი მათთან წილნაყარნი ყოველნი. და რაიცა შესახებ მასა, ვინაც უფალი უგულებელყო მიჯნურობისთვის და აწ აქა სძეს თვისის ხარჭითურთ მოშთობილი მსჯავრითა ღვთისაითა, წარიღეთ გუამი მისი და გუამი ხარჭისა მისისა და დაჰფლენით იგინი კიდესა ზედა ფეიქართა ველისათა. არა აღმართოთ ნიშანი მუნ, არცა დაა-

დოთ სამარხს მათსა რამ შესატყობნი, ნუვინ უწყიან განსვენების მათის ალაგი, რამეთუ შერჩვენებულ იყვნეს იგინი სიცოცხლეთა შინა თავისთა და კვლა უფალმან შეაჩვენოს იგინი შემდგომად სიკვდილისთაცა.

და ხალხი დაემორჩილა მის ნაბრძანს და ფეიქართა ველის კიდეში, სადაც არ ხარობს თვით ძირტკბილა ბალახიც კი, გათხარეს ღრმა ორმო და ჩაასვენეს მასში მიცვალებულნი.

და რა გასრულდა მეორე წელი, ერთერთ უქმე დღეს ხუცი მოვიდა ტაძარში კვალად, რათა ეჩვენებინა ხალხისათვის წყლულებანი მაცხოვრისანი და ექადაგა ღვთის რისხვის გამო.

და რა გადაიცვა ანაფორა და შევიდა სალოცად და მოიყარა მუხლი საკურთხევლის წინაშე, შენიშნა, რომ საკურთხეველი უცნაური ყვავილებით იყო მოფენილი, რომელთა მსგავსნიც მას აროდეს ენახა. უცნაური შესახედაობისანი იყვნენ ეს ყვავილები, საოცრად მშვენიერნი და ეს მშვენება ქეჯნიდა ხუცესს და მათი ამო სურნელი ელამუნებოდა მის ყნოსვას. შვებით აღივსო იგი უეცრად და ვერ გაეგო, რისთვის იშვებოდა.

და რა გაალო სანაწილე, მოაკმია წმიდა ნაწილებს გუნდრუკი, უჩვენა მრევლს წმინდა ობლატი, ხოლო შემდეგ კვლავ შეინახა ფარდაგის უკან, იწყო მან ქადაგება ხალხის მიმართ და შეეცადა ექადაგნა ღვთის რისხვისათვის. მაგრამ იმ თეთრ ყვავილთა მშვენება კვლავ ქეჯნიდა მას და მათი ამო სურნელი ათრობდა ისევ და სხვა სიტყვები ადგებოდა ქადაგს ენაზე და უბნობდა იგი ღვთის რისხვისათვის, ღვთისა, რომელსაც სიყვარული ჰქვია სახელად. და რად უბნობდა იგი ვერ მიმხვდარიყო.

და რა დაასრულა მან ქადაგება, ხალხი ატირდა, ხოლო ხუცესი კვლავ შებრუნდა სამოსსაცავში თვალცრემლიანი, მედავითნენი შემოეხვივნენ და ანაფორას გახდა დაუწყეს, ქამარი შეუხსნეს, სტიქარი, გინგილა და ოლარი ჩამოართვეს, ხოლო თვით ხუცესს კვლავ სიზმარში ეგონა თავი.

და რა გახადეს ანაფორა მედავითნეთა, ზემიაცქერდა ხუცესი მათ და შეეკითხა: „რა ყვავილები ჰყრია, მარქვით, საკურთხეველზე, ან სად გეგულვით მათი გასაგისი?“

ხოლო მათ მიუგეს: „ჩვენ ვერას გეტყვით, თუ რა ყვავილებია მანდ, მაგრამ ისინი ფეიქართა ველის კიდეში ხარობენ“.

და ხუცი ათრთოლდა, ამის გამგონე მიბრუნდა შინ და ილოცა იმ დღეს მხურვალედ.

და მეორე დილით, კვლავ ალიონზე, გაემართა იგი ზღვის ნაპირისაკენ ბერებითა და მგალობლებითურთ, მეკელაპტრეთა და მეცეცხლურთა მთელი გროვითურთ და დიდი მრევლით გარშემორტყმული, და აკურთხა ზღვა და ველურნი მკვიდრნი მისნი, აკურთხა ფავნები და ის პაწაწინა არსებანი, ტყიან ადგილებში რომ ცეკვავენ ხოლმე და ის თვალებბრჭყვიალა არსებანიც, ხის ფოთლებიდან რომ უჭვრეტენ ადამიანებს. და ყოველი მკვიდრი აკურთხა მან ღვთის ვაჩენილი ქვეყნისა, ხალხი ალაფრთოვანა და განაცვიფრა მისმა სიტყვებმა, ხოლო ფეიქართა ველის კიდეში აღარავის უნახავს ყვავილები ამის შემდეგ, კვლავ მწირ ადგილად გადაიქცა იგი. აღარც ზღვის ბინადარნი გამოჩენილან ძველებურად პატარა უბეში, რადგან ისინი ზღვის სხვა მხარეში გადაიხვეწნენ.

თარგმანი ინგლისურიდან

**ზვიად გამსახურდიასი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფედერიკო გარსია ლორკა

★

# იგნასიო სანჩეს მეხიასის დატირება

## ხარის რქენა და სიკვდილი

ნაშუადღევის ხუთი საათი.
ეს იყო ზუსტად ხუთი საათი.
გახამებული თეთრი ზეწარი
ეს იყო ზუსტად ხუთი საათი,
პატარა ბიჭმა გამოატარა
ეს იყო ზუსტად ხუთი საათი.
სავსე კალათით მოჰქონდათ კირი
ეს იყო ზუსტად ხუთი საათი —
და ბატონობდა ირგვლივ — სიკვდილი,
მხოლოდ სიკვდილი,
ეს იყო ზუსტად ხუთი საათი.
ააფრიალა ბამბა ბორიომ,
როდესაც გახდა ხუთი საათი.
მტრედი შეება მედგარ ავაზას,
როდესაც გახდა ხუთი საათი
და რქამ მახვილმა მკერდი გაფატრა,
როდესაც გახდა ხუთი საათი.
უეცრად სადღაც ჩამოკრეს ზარი...
ეს იყო ზუსტად ხუთი საათი.
ქლოროფორმის და სისხლის დინება —
ეს იყო ზუსტად ხუთი საათი,
ქუჩაში ურიცხვ ხალხის დინება,
ეს იყო ზუსტად ხუთი საათი.
ხარს გამალებით უძგერდა გული
ეს იყო ზუსტად ხუთი საათი.
გაცივდა ოფლის წვეთები ცხელი
ეს იყო ზუსტად ხუთი საათი,
არენა გახდა იოდზე ყვითელი
ეს იყო ზუსტად ხუთი საათი.
სიკვდილმა თითი ახლო ჭრილობას...
იყო შუადღის ხუთი საათი.
ეს იყო ზუსტად ხუთი საათი.
ეს იყო ზუსტად ხუთი საათი.
დგას ბალდახინი ვით სარეცელი
ეს იყო ზუსტად ხუთი საათი.
სამარე შეხვდა ცივი სიმღერით
ეს იყო ზუსტად ხუთი საათი.
ტვინი შეზარა ხარის ბღავილმა
ეს იყო ზუსტად ხუთი საათი
გადაიპენტა უცხო ყვავილი
როდესაც გახდა ხუთი საათი.
განგრენამ შეთხზა ლურჯი ხავერდი
ეს იყო ზუსტად ხუთი საათი.
თეთრი და მწვანე ფერთა ალერსი
ეს იყო ზუსტად ხუთი საათი.
ხალხის ჭედვისგან კრთოდა მინები
ეს იყო ზუსტად ხუთი საათი.
ხაშუადღევის ხუთი საათი
ნაშუადღევის ხუთი საათი.
ო, საზარელი ხუთი საათი...
შავბნელი იყო —
ნაშუადღევის ხუთი საათი.

## დაღვრილი სისხლი

არა,
არ მინდა. რომ დავინახო
რა მეწამული ამოდის მთვარე...
ო, შეაჩერეთ სისხლის მდინარე
იქ იგნასიო ქვიშაზე გდია, —
არა,
არ მინდა, რომ დავინახო!

რა მეწამული ამოდის მთვარე,
სძევთ რუხი ფერი ღრუბელთა რაშებს,
ქვემოდ არენა ანათებს მკრთალად,
მოაჯირს მოსავს მწვანე ლერწები.
არა,
არ მინდა, ნუ დამანახვებთ,
ჩააქრეთ ხსოვნის ყველა სანთელი,
მხოლოდ გვირილის ბავშვურ სითეთრეს
დღეს ეს ამბავი აქვს გასამხელი,
მე კი არ მინდა, ნუ დამანახებთ.
გარდასულ დროთა ნაღვლიან ენით
ალოკავს ძროხა სისხლიან გუბეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ლოდად ქცეულ ხარებსაც შკერდით
დღეს აღმოხდებათ გმინვა მზარავი,
რადგან აწუხებთ მძიმე ვარამი,
რომ დედამიწა ფლოქვებით თელონ...
არა,
არა,
არ მინდა, რომ დავინახო.

მიჰყვება კიბეს, მიიწევს ზემოდ,
სიკვდილი ტვირთად მის მხრებს ედება,
ეძებს განთიადს, მაგრამ ამაოდ,
ეს დილა მისთვის არ გათენდება.
ეძებს თავისთავს, მაგრამ ამაოდ,
ის ეძებს სხეულს მოქნილს და ძლიერს,
მაგრამ გართხმული ქვიშაზე გდია.
სისხლიან ბრძოლას სიკვდილმა სძლია,
სისხლის შხეფებმა სიცოცხლეს სძლიეს.

არა, არ მინდა, ნუ დამანახვებთ,
ნუ დამანახვებთ გულმკერდს სისხლიანს!
სისხლიან ხელებს რატომ მიწვდიან?!
რატომ მიხმობენ, რად მეძახიან?!
არ შემიძლია — არ დავინახავ!

ის განა შეკრთა რქების წინაშე,
განა შეჰყვირა რქების წინაშე,
განა ვერ შესძლო თვალის გახელა,
როცა პირისპირ დაუდგა ბედი?!
ოღონდ—მოესმა შორი ძახილი,
დასცდათ ეხოებს მისი სახელი
და მოელანდა თვალებგახელილს
ელდანაცემი ხატება დედის....
სევილიაში სხვა აღარ დადის
მისებრ ლაღი და მამაცი გრანდი,
ვისა აქვს გული რომ მისას ჰგავდეს,
ვისა აქვს მკლავი მასავით მარდი.
აზვირთებული, როგორც მდინარე,
ლომებრი ძალა მასში მდინარებს
და მარმარილოს ძეგლად აღმართავს
ბეჭებგანიერს და პირმცინარეს.

ის დიდებული იყო ტორერო
მთების შვილს მთები როგორ უყვარდა,
ვინ მოეპყრობა პურის თავთავებს
ნაზი სიფრთხილით ტორეროს გარდა.
ის დიდებული იყო ტორერო
ნამიან ბალახს უყოფდა ალერსს
და მშვენიერი მისი ხატება
უნაზეს ხსოვნად დარჩებათ თვალებს.

მას საუკუნო ეწვია ძილი,
ის შეეფარა ხავსსა და ბალახს
და ეხებიან თითები ფრთხილი
მის თავის ქალას —
სისხლიან ყვავილს.
მწვანე ბორცვებზე, მწვანე ველებზე
იღვრება სისხლი, როგორც სიმღერა.
იღვრება სისხლი, როგორც სიმღერა
ხან გუბეს ბაძავს ხან ზღვას ედრება
ო, შეისმინეთ ჩემი ვედრება!
არ შემიძლია, ვერ ვუმზერ, ვერა.

დე, ესპანეთის თეთრ კედლებს შორის
შავი ხარების ყრუ გმინვა მიწყდეს —
ამ დაკაფულმა სისხლის ძარღვებმა
ბულბულებივით გალობა იწყეს.
არა,
არა,
არ მინდა რომ დავინახო...
ველებო!
აღარ მაჩვენოთ ვარდი წითელი,
ღრუბლებო!
ეს მეწამული დამალეთ მთვარე,
მთებო, ო!..
ო, შეაჩერეთ სისხლის მდინარე,
არა! არა!
არ მინდა, რომ დავინახო!!!

თარგმანი **ნანა ხატისკაცისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იური ნაგიბინი

★

# ზამთრის მუხა

წინა ღამით მოსულ თოვლს მთლად დაეფარა უვაროვკიდან სკოლისაკენ მიმავალი ბილიკი და მხოლოდ თოვლზე დამჩნეული მკრთალი წყვეტილი ჩრდილებით შეიძლებოდა მიმხვდარიყავით მის მიმართულებას. მასწავლებელი ქალი ფრთხილად აბიჯებდა პატარა, ბეწვშემოვლებულ ბოტებიან ფეხს, თან მზად იყო, ფეხი უკანვე გადაედგა უცბათ, თუკი თოვლი მოატყუებდა.

სკოლამდე სულ ნახევარი კილომეტრი იყო და მასწავლებელს მხოლოდ მოკლე ქურქი მოეხურა მხრებზე, თავზე კი თხელი შალის თავსაფარი მოეხვია, ძალზე ყინავდა, თან ქარიც ქროდა, მიწიდან ახლადდადებულ თოვლს ხვეტავდა და ქალს თავიდან ფეხებამდე შიგ ახვევდა. მაგრამ ოცდაოთხი წლის მასწავლებელს ეს ყველაფერი მოსწონდა. მოსწონდა ისიც რომ ყინვა სახეზე ჩხვლეტდა, რომ ქარი ქურქის შიგნითაც უბერავდა და მთელ სხეულს უსუსხავდა. ქარის დაქროლვის დროს ქალი შემობრუნდებოდა და ხედავდა მის მიერ დატოვებულ წვეტიანი ბოტების ხშირ ნაკვალევს. მას ისიც კი მოსწონდა, რომ მისი ნაფეხურები რომელიღაც ცხოველის ნაკვალევს ჰგავდა.

იანვრის სუსხიანი და ნათელი დილა ხალისიან აზრებს უღვიძებდა სიცოცხლეზე, საკუთარ თავზე. სულ რაღაც ორი წელი იყო, რაც ის სტუდენტის მერხიდან მოვიდა აქ და უკვე რუსული ენის მცოდნეს და გამოცდილი მასწავლებლის სახელი მოიპოვა. უვაროვკაშიც, კუზმინკაშიც, ჩორნი იარში, ტორფქალაქსა და ცხენსაშენშიც კი იცნობდნენ მას, აფასებდნენ და მოწიწებით ანა ვასილის ასულს უწოდებდნენ.

მზე შორეული ტყის დაკბილულ ქედლიდან ამოიწვერა და თოვლზე ღრმად დააფინა გრძელი ჩრდილები. ჩრდილები აახლოვებდნენ ყველაზე შორეულ საგნებს. ძველი ეკლესიის სამრეკლოს წვეტი უვაროვკის სოფსაბჭოს პარმაღს მისწვდა, მდინარის გაღმა მდგარი ფიჭვები, აქეთა ნაპირზე ცერად გაწვდნენ: სკოლის მეტეოროლოგიური სადგურის ფლუგერი შუა მინდორში, ზედ ანა ვასილის ასულის ფეხებთან ტრიალებდა.

მასწავლებელმა ბილიკზე მომავალი კაცი დაინახა. „ვაითუ გზის დათმობა არ ისურვა?“ — გაიფიქრა შიშნარევი ღიმილით ანა ვასილის ასულმა. ბილიკს ვერ ასცდები, თუ გვერდზე გადადგამ ნაბიჯს — იმწამსვე თოვლში ჩაეფლობი. მაგრამ მან ხომ იცოდა, არ იყო ოლქში ისეთი ადამიანი, რომელსაც არ დაეთმო გზა უვაროვკელი მასწავლებლისათვის.

მგზავრები ერთმანეთს გაუსწორდნენ, — ეს იყო ფროლოვი, ცხენსაშენის დარაჯი.

— დილა მშვიდობისა, ანა ვასილევნა! — ფროლოვმა მოკლედ შეკრეჭილი თავიდან ბეწვიანი ქუდი მოიხადა.

— აბა, რას ჩადიხართ! ახლავე დაიხურეთ, ხომ ხედავთ, რა ყინვაა!

ფროლოვი, ალბათ თავადაც ფიქრობდა მალე დაეხურა ბეწვიანი ქუდი, მაგრამ ახლა განგებ შეჩერდა, უნდოდა ეჩვენებინა, ყინვას არაფრად ვაგდებო. მოკლე ქურქი მჭიდროდ შემოკვროდა მის მოყვანილ მსუბუქ ტანს, ხელში წვრილი წკეპლა ეჭირა და მუხლებსქვემოთ გადაკეცილ თეთრი თექის ჩექმებზე ირტყამდა.

— რას შვება ჩემი ლიოშა, ხომ არ ცელქობს? — მოწიწებით ჰკითხა ფროლოვმა.

— რასაკვირველია, ცელქობს. ყოველი ნორმალური ბავშვი ცელქობს. მხოლოდ არ უნდა გადააჭარბოს. — თავისი პედაგოგიური გამოცდილების შეგნებით უპასუხა ანა ვასილის ასულმა.

ფროლოვს გაეღიმა.

— ჩემი ლიომკა წყნარია, მთლად მამას გავს!

იგი გზიდან გადადგა და თოვლში მუხლამდე ჩაეფლო, სიმაღლით მეხუთეკლასელ ბიჭს დაემსგავსა. ანა ვასილის ასულმა მდაბლად დაუკრა თავი და გზა განაგრძო.

სკოლის ორსართულიანი შენობა, რომლის ფართო ფანჯრები ყინვისაგან იყო მოხატული, შარაგზის ახლოს იდგა, დაბალი ღობის გადაღმა. თოვლი შარაგზამდე გაწითლებული იყო შენობის წითელი კედლების ანარეკლით. სკოლა უვაროვკის მოშორებით, შარაგზაზე იმიტომ დადგეს, რომ იქ სწავლობდნენ მთელი ოლქის ბავშვები, მოდიოდნენ განაპირა სოფლებიდან ცხენსაშენის უბნიდან მენავთობეთა სანატორიუმიდან და შორეულ ტორფის ქალაქიდან. ახლა შარაგზაზე ორივე მხრიდან სკოლის კარებში ნიაღვარად მიედინებოდა კაპორები და თავშალები, კარტუზები და ქუდები, ყურიანი ქუდები და ჩაბალახები.

— გამარჯობათ, ანა ვასილევნა! — გაისმოდა ყოველ წამში, ხან წკრიალად და ნათლად, ხან ყრუდ და ძლივს გასაგონად, თვალებამდე მოხვეულ თავშალს ქვემოდან.

ანა ვასილის ასულს პირველი გაკვეთილი მეხუთე „ა“ კლასში ჰქონდა. ჯერ კიდევ არ დაწყნარებულიყო გაბმული ზარის ხმა, რომელიც გაკვეთილის დაწყებას აუწყებდა, რომ ანა ვასილის ასული კლასში შევიდა. ბავშვები ხალისიანად წამოდგნენ, მასწავლებელს მიესალმნენ და თავთავიანთ ადგილებზე დასხდნენ. სიჩუმე უეცრად არ ჩამოვარდნილა. ისმოდა მერხების გადასაკეცი სახურავების ხმა, სკამების ჭრიალი. ვიღაც ხმამაღლა ხვნეშოდა, ეტყობოდა დილის უშფოთველ განწყობილებას ემშვიდობებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დღეს ჩვენ განვაგრძობთ მეტყველების ნაწილების გარჩევას...

კლასი დადუმდა. ოთახში ისმოდა, როგორ მიხოხავდა შარაგზაზე დაბუქსავებული მძიმე საბარგო მანქანა.

ანა ვასილის ასულს გაახსენდა, თუ როგორ ღელავდა შარშან გაკვეთილების დაწყების წინ და გამოცდაზე მყოფ მოწაფესავით თავისთვის იმეორებდა. „არსებითი სახელი ეწოდება მეტყველების ნაწილს... არსებითი სახელი ეწოდება მეტყველების ნაწილს...“ ისიც გაახსენდა, თუ რა სასაცილოდ დაეუფლა შიში: ერთიც ვნახოთ და ვერ გამიგონო?...

ანა ვასილის ასულმა გაუღიმა მოგონებას, სქლად მოხვეულ თმაში სამაგრეები გაისწორა. ახლა იგი სიმშვიდეს ისევე გრძნობდა, როგორც სხეულში სითბოს. აუღელვებლად, დინჯად დაიწყო:

— არსებითი სახელი ეწოდება მეტყველების ნაწილს, რომელიც გამოხატავს საგანს. გრამატიკაში საგანი ეწოდება ყოველივე მას, რაზედაც შეიძლება შევეკითხოთ: ვინ ან რა? მაგალითად: ეს ვინ არის? მოსწავლე. ანდა ეს რა არის? წიგნი...

— შეიძლება?

ნახევრად გაღებულ კარებში მომცრო ტანის ბიჭუნა იდგა. ბიჭუნას ნახმარი ქეჩის ჩექმები ეცვა. ქეჩაზე ცვარცვარად ბრწყინავდა ყინულის წინწკლები. ყინვისაგან შეჭარხლებული მრგვალი სახე ეწოდა, წარბები კი შეჭირხლოდა.

— კიდევ დაიგვიანე, სავუშკინ? — ისე, როგორც უმეტესობა ახალგაზრდა მასწავლებლებისა, ანა ვასილის ასულსაც სიმკაცრე უყვარდა, მაგრამ ახლა მისი შეკითხვა თითქმის შესაბრალისად გაისმა.

მიიღო თუ არა მასწავლებლისაგან ჯგუფში შესვლის ნებართვა, სავუშკინი ჩქარი ნაბიჯით გაემართა თავისი ადგილისაკენ. ანა ვასილის ასულმა დაინახა, როგორ შეინახა მერხში ჩანთა. მეზობელს რაღაც შეეკითხა ისე, რომ თავი

არც კი მოუბრუნებია. ალბათ ჰკითხა: რას ხსნის მასწავლებელიო.

ანა ვასილის ასულს ეწყინა სავუშკინის დაგვიანება, რამაც გაუფუჭა კარგად დაწყებული დღე. სავუშკინის დაგვიანების გამო აგრეთვე ჩიოდა გეოგრაფიის მასწავლებელიც — პატარა გამხდარი ტანის მოხუცი ქალი, რომელიც ღამის პეპელას გავდა. იგი საერთოდ ხშირად ჩიოდა — ხან კლასში ხმაურის გამო, ხან მოწაფეების დაბნეულობის გამო. „პირველი გაკვეთილები ძალზე ძნელია!“ — ოხრავდა მოხუცი. „დიახ, იმისთვის, ვისაც არ შეუძლია მოწაფეების ხელში დაჭერა, ძნელია საინტერესოდ ჩაატაროს გაკვეთილი“, — თვითდარწმუნებით გაიფიქრა მაშინ ანა ვასილის ასულმა და შესთავაზა საათების შეცვლა. ახლა კი დამნაშავედ თვლიდა თავს მოხუცი ქალის წინაშე. ეს ქალი იმდენად მიმხვედრი. მაინც იყო, რომ ანა ვასილის ასულის თავაზიან წინადადებაში დაენახა გამოწვევა და საყვედური.

— გასაგებია ყველაფერი? — მიმართა ანა ვასილის ასულმა კლასს.

— გასაგებია!... გასაგებია! — ერთხმად უპასუხეს ბავშვებმა.

— კარგი. აბა დამისახელეთ მაგალითები.

რამდენიმე წამს სიჩუმე ჩამოვარდა, შემდეგ ვიღაცამ გაუბედავად წამოიძახა:

— კატა...

— სწორია, — თქვა ანა ვასილის ასულმა, უცბად მოაგონდა, გასულ წელსაც პირველი „კატა“ იყო.

შემდეგ კი გაისმა.

— ფანჯარა! მაგიდა! სახლი! გზა!

— სწორია, — ამბობდა ანა ვასილის ასული. კლასი მხიარულად აგუგუნდა. ანა ვასილის ასული გაოცა იმ სიხარულმა, რითაც ბავშვები ასახელებდნენ მათთვის ცნობილ საგნებს, თითქოს იგებდნენ მათ ახალ, უჩვეულო მნიშვნელობას. მაგალითების რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, მაგრამ პირველ წუთებში ბავშვები მათთვის ახლობელ, ხელშესახებ საგნებს ასახელებდნენ: ბორბალი.. ტრაქტორი... ჭა... ჩიტის ბუდე...

ბოლო მერხიდან კი, სადაც ბუთხუზა ვასიატა იჯდა, მოისმოდა წვრილი და დაჟინებული ხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ლურსმანი... ლურსმანი... ლურსმანი...

აი ვიღაცამ გაუბედავად ჩაილაპარაკა:

— ქალაქი...

— ქალაქი — კარგია! — გაამხნევა ანა ვასილის ასულმა.

ამას კი მოყვა:

— ქუჩა... მეტრო... ტრამვაი... კინოსურათი...

— საკმარისია, — თქვა ანა ვასილის ასულმა. — ვხედავ, საკითხი კარგად გაგიგიათ.

ბავშვები უხალისოდ დაჩუმდნენ, მხოლოდ ბუთხუზა ვასიატა ისევ თავისთვის ბუტბუტებდა „ლურსმანს,“ რომელიც არავინ აღიარა არსებით სახელად. უეცრად, თითქოს ეს ესაა გამოიღვიძაო, მერხიდან წამოდგა სავუშკინი და ხმამაღლა დაიძახა:

— ზამთრის მუხა!

ბავშვებმა გაიცინეს.

— ჩუმად! — ანა ვასილის ასულმა მაგიდას ხელი დაჰკრა.

— ზამთრის მუხა! — გაიმეორა სავუშკინმა, იგი ვერ ამჩნევდა ვერც ამხანაგების სიცილს, ვერც მასწავლებლის ყვირილს. ეს მან ისე კი არ თქვა, როგორც სხვა მოსწავლეებმა. ეს სიტყვა მას გულის სიღრმიდან გადმოეღვარა, როგორც აღსარება, როგორც ბედნიერი საიდუმლო, რომელსაც ვერ იტევდა ავსებული გული. ანა ვასილის ასული ვერ მიმხვდარიყო მის უცნაურ მღელვარებას, ძლივს დაფარა სიბრაზე და ჰკითხა:

— რატომ მაინცდამაინც ზამთრისა? უბრალო მუხა არ შეიძლება?

— უბრალო მუხა — რა არის! ზამთრის მუხა კი — არსებითია.

— სავუშკინ, დაჯექი, აი რას ნიშნავს დაგვიანება: „მუხა“ — არსებითი სახელია, ხოლო სიტყვა „ზამთრის“ რა არის, ჯერ არ აგიხსნია. დიდი შესვენების დროს, კეთილი ინებე და სამასწავლებლოში შემოდი.

— ესეც შენი ზამთრის მუხა! — ჩაიხითხითა ვიღაცამ ბოლო მერხზე.

საფუშკინი დაჯდა. იგი თავის რაღაც ფიქრებს ულიძოდა და სრულებით არ შემკრთალა მასწავლებლის მკაცრი სიტყვების გამო. „მძიმე ხასიათის ბიჭია“ — გაიფიქრა ანა ვასილის ასულმა.

გაკვეთილი გრძელდებოდა.

— დაჯექი, — უთხრა ანა ვასილის ასულმა, სამასწავლებლოში შესულ საფუშკინს. ბიჭი კმაყოფილებით დაეშვა რბილ სავარძელში და რამდენჯერმე შეირხა ზამბარებზე.

— კეთილი ინებე და ამიხსენი, რატომ იგვიანებ სისტემატურად?

— არ ვიცი, ანა ვასილევნა. — მან დიდი კაცივით გაშალა ხელები. — მთელი საათით ადრე კი გამოვდივარ.

რა ძნელია ჭეშმარიტების დადგენა ყველაზე უბრალო საქმეში! ბევრი ბავშვი საფუშკინზე უფრო შორს ცხოვრობდა და მაინც არც ერთი მათგანი არ ანდომებდა გზას ერთ საათზე მეტს.

— შენ ხომ კუზმინკაში ცხოვრობ?

— არა, სანატორიუმთან.

— არც კი გრცხვენიან, რომ ამბობ, ერთი საათით ადრე გამოვდივარო? სანატორიუმიდან შარაგზამდე თხუთმეტი წუთის სავალია, შარაგზიდან კი ნახევარი საათისა.

— მე, შარაგზით არ დავდივარ. მოკლედ ვჭრი — პირდაპირ ტყეზე, — თქვა საფუშკინმა, თითქოს თავადაც საკმაოდ იყო გაკვირვებული ამ გარემოებით.

ანა ვასილის ასული შფოთმა და სევდამ შეიპყრო. ასეთი სევდა იპყრობდა ყოველთვის, როდესაც ბავშვებს დაიჭერდა სიცრუეში. იგი დუმდა. იმედოვნებდა, აი, ახლა იტყვის საფუშკინი: „მაპატიეთ, ანა ვასილევნა, ბავშვებთან ვგუნდაობდიო“, ანდა რამე ამის მსგავსს, უბრალოს და უეშმაკოს, მაგრამ იგი მხოლოდ შეჰყურებდა მასწავლებელს დიდრონი ცისფერი თვალებით და მისი შემოხედვა თითქოს ამბობდა „ხომ ყველაფერი გამოარკვიეთ, კიდევ რაღა გინდა ჩემგანო?“

— სამწუხაროა, საფუშკინ, ძალზე სამწუხაროა? შენს მშობლებს უნდა მოველაპარაკო.

— მე მხოლოდ დედა მყავს ანა ვასილევნა, — გაიღიმა საფუშკინმა.

ანა ვასილის ასული ოდნავ გაწითლდა. მას მოაგონდა საფუშკინის დედა — „მოწყალების და“, როგორც მისი ვაჟი უწოდებდა. იგი სანატორიუმში მუშაობდა, წყლითმკურნალობის განყოფილებაში. გამხდარ, დაქანცულ ქალს თეთრი, ცხელი წყლისაგან დალბობილი ხელები ნაჭრისას მიუგავდა.

მას ქმარი არა ჰყავდა, სამამულო ომში დაეღუპა, კოლიას გარდა კიდევ სამ შვილს ზრდიდა.

მართალია, საფუშკინას უამისოდაც საკმაო საქმე აქვს, მაგრამ მაინც უნდა ნახოს ანა ვასილის ასულმა იგი.

— უნდა მოვიდე დედაშენთან.

— მობრძანდით, ანა ვასილევნა, დედას გაეხარდება!

— სამწუხაროდ, ვერაფრით გავახარებ. დედა დილით მუშაობს?

— არა, მეორე ცვლაშია, სამი საათიდან მუშაობს.

— კარგია. მე ორ საათზე ვამთავრებ გაკვეთილებს. გაკვეთილების შემდეგ კი შენ წაგყვები.

ბილიკი, რომლითაც საფუშკინმა ანა ვასილის ასული წაიყვანა იქვე, სკოლის კარმიდამოს უკან იწყებოდა. ის-ის იყო შევიდნენ ტყეში და თოვლისაგან მძიმედ დახუნძული ნაძვის თათები შემოჰიდროვდა მათ ზურგს უკან. უცბათ შევიდნენ სხვაგვარ, მომაჯადოებელ, წყნარ და მდუმარე სამყაროში. კაჭკაჭები და ყვავები, ხიდან ხეზე გადაფრენისას, ტოტებს არხევდნენ, დაბლა ყრიდნენ გირჩებს, ხან კი, ფრთებს წამოდებდნენ და იმტვრეოდა წვრილი, გამხმარი წკილი. მაგრამ არაფერი არ გამოსცემდა ხმას.

ირგვლივ ყველაფერი თეთრად ქათქათებდა. მხოლოდ მაღლა შავად მოჩანდა ქარისაგან თოვლჩამოყრილი მტირალა არყის ხის კენწეროები და წვრილი ტოტები ტუშით დახატული გეგონებოდათ ცის ლურჯ ზედაპირზე.

ბილიკი ნაკადულის გასწვრივ გარბოდა, ხან მორჩილად მიიკლაკნებოდა მის

დონეზე, ხან კი აიწევდა მაღლა, შვეული კბოდით მიიგრიხებოდა.

ხანდისხან ხეები გაიწევ-გამოიწევდნენ, გამოჩნდებოდა მხიარული მზიანი პატარა მინდორი, აჭრელებული კურდღლის ნაფეხურებით, რომელიც საათის ძეწკვს მოგაგონებდათ. აგრეთვე რომელიღაც მოდიდო მხეცის სამყურას მსგავსი მსხვილი ნაფეხურებიც ხვდებოდათ. კვალი მიდიოდა უღრან, ნაკრიალევ ტყეში.

— ქორბუდას გაუვლია — თითქოს მოკეთის შესახებ ლაპარაკობსო, ისე წარმოთქვა სავუშკინმა, როცა შეამჩნია, ანა ვასილის ასულის ინტერესი ნაკვალევს გამო. — თქვენ არ შეგეშინდეთ, — დაუმატა მან მასწავლებლის ტყის სიღრმეში ცქერის საპასუხოდ. ირემი უწყინარი ცხოველია.

— შენ გინახავს იგი? — გატაცებით შეეკითხა ანა ვასილის ასული.

— ცოცხალი? — სავუშკინმა ამოიოხრა. — არა, არ შემხვედრია. მისი ნაჩლიქარი კი მინახავს.

— რაა?

— ნაკვალევი, — მორცხვად განუმარტა სავუშკინმა.

გზა მოხრილი წნორის თალს გასცდა და ისევ ნაკადულს გაჰყვა. ნაკადული ზოგან დაფარული იყო თოვლის სქელი საბნით, ზოგან კი შებორკილიყო სუფთა ყინულის ჯავშნით, ალაგ-ალაგ კი ყინულსა და თოვლს შორის მუქი, ბოროტი თვალით იცქირებოდა ცოცხალი წყალი.

— რატომ მთლიანად არ არის გაყინული? — შეეკითხა ანა ვასილის ასული.

— ნაკადულში თბილი წყაროც მოედინება, აი ხომ ხედავთ ნაკადს? ანა ვასილის ასული დაიხარა ყინულლოუზე და დაინახა ფსკერიდან ამონადენი ვიწრო ძაფი, იგი წყლის ზედაპირს ვერ აღწევდა, და წვრილ ბუშტულებად იბნეოდა. ეს ბუშტულებიანი წვრილი ღერო შროშანს ჰგავდა.

— აქ ასეთი წყარო ძალიან ბევრია! — გატაცებით ამბობდა სავუშკინი — ამიტომაც ნაკადული თოვლის ქვეშაც მოძრაობს.

მან გადახვეტა თოვლი და გამოჩნდა კუპრივით შავი, მაგრამ მაინც გამჭვირვალე წყალი.

ანა ვასილის ასულმა შეამჩნია, წყალში ჩავარდნილი თოვლი არ დნებოდა, სწრაფად სქელდებოდა და წყალში გაციებულ მომწვანო წყალმცენარეს ემსგავსებოდა. მას ეს სანახაობა ისე მოეწონა, რომ ბოტის წვერით დაიწყო თოვლის გადაყრა წყალში, თან უხაროდა, როდესაც დიდი გუნდიდან იძერწებოდა განსაკუთრებით ღვლარჭნილი სახე. იგი გაიტაცა წყალში ყურებამ და უეცრად ვერც კი შეამჩნია, სავუშკინი უკვე წინ წასულიყო და მას უცდიდა.. ნაკადულის ზემოთ გადმოხრილ მაღალ ტოტთან ჩამომჯდარიყო.

ანა ვასილის ასული დაეწია სავუშკინს. აქ უკვე მთავრდებოდა თბილი წყაროს მოქმედება. ნაკადული დაფარული იყო თხელი ყინულის ფენით. მის მარმარილოსებურ ზედაპირზე მისრიალებდა სწრაფი, მსუბუქი ჩრდილები.

— შეხედე რა თხელი ყინულია, მდინარებაც კი ჩანს!

— რას ამბობთ ანა ვასილევნა! ეს მე გავარხიე ტოტი, მისი ჩრდილებია...

ანა ვასილის ასულმა ენა მოიკვნიტა. აქ, ტყეში, მართლაც უმჯობესია დაჩუმდეს.

სავუშკინი ისევ წაუძღვა წინ მასწავლებელს, ოდნავ მოხრილი იყო და ყურადღებით იცქირებოდა გარშემო.

ტყეს კი, სულ უფრო და უფრო შეჰყავდა ისინი თავის რთულ, მაცდურ შესასვლელებში. თითქოს დასასრული არ ჰქონდა ამ ხეებს, ნამქერს, ამ სიწყნარეს და მზით გაჭოლვილ ბინდს.

მოულოდნელად მოშორებით გამოკრთა მონაცრისფერო — მოცისფერო ხვრელი. მეჩხერმა ტყემ შესცვალა უღრანი, სივრცე გაფართოვდა და ჰაერიც უფრო სუფთა იყო. ახლა ხვრელი კი არა ფართო, მზით განათებული არე გადაიშალა მათ წინ, იქ რაღაც ბრწყინა-

ვდა, ნაპერწკლებს ისროდა, ყინულის ვარსკვლავებად ციმციმებდა.

ბილიკმა თხილნარის ბუჩქს შემოუარა და ტყე გვერდზე დატოვა. შუა მინდორში, თეთრ ბრწყინვალე სამოსში გახვეული უზარმაზარი და დიდებული ტაძრის მსგავსი მუხა იდგა. ხეებმა თითქოს პატივისცემით დაუთმეს ადგილი, რათა უფროსი ძმისათვის მიეცათ საშუალება გაშლილიყო მთელი ძლიერებით. მისი ქვედა ტოტები ჩარდახივით გადაფენოდნენ მინდორს. თოვლი ღრმად ჩამჯდარიყო დახეთქილ ქერქში და მერქანში, რომელსაც სამი კაცი ძლივს შემოწვდებოდა, ვერცხლის ძაფით ნაქერი გეგონებოდა. გამხმარი ფოთლები შემოდგომაზე თითქმის არ დასცვენია, მუხას კენწერომდე შერჩენოდა თოვლით დაფარული ფოთლები.

— აი, ისიც, ზამთრის მუხა!

ანა ვასილის ასულმა გაუბედავად გადადგა ნაბიჯი მუხისაკენ და ძლიერმა დიდბუნებოვანმა ტყის დარაჯმა წყნარად შეარხია მის შესახვედრად ტოტები.

სავუშკინმა არც კი იცოდა, თუ რა ხდებოდა მასწავლებლის გულში, გარს უვლიდა მუხის ძირს, თითქოს მის ძველ ნაცნობს ელერსებათ.

— ანა ვასილევნა, შეხედეთ!...

მან ძლივს-ძლივობით გადააგორა თოვლის თოში, რომელიც მიწაზე იყო მიკრული დამჭკნარ ბალახთან ერთად. იქ, თხრილში იდო რაღაც ბურთი რომელსაც გარშემო დამპალი ობობას ქსელივით თხელი ფოთლები ჰქონდა შემოხვეული. ფოთლებიდან მოჩანდა ნემსების წაწვეტებული თავები, ანა ვასილის ასული მიხვდა, რომ ეს იყო ზღარბი.

— აი, როგორ გახვეულა! — სავუშკინმა მზრუნველად დაახურა ზღარბს მისი უბრალო საბანი. შემდეგ მოაშორა თოვლი მეორე ძირთან. გაიხსნა პაწაწინა გამოქვაბული ლოლუების ფოჩიანი თაღით. შიგ იწვა ყავისფერი ბაყაყი, თითქოს მუყაოსაგანაა გაკეთებული. მის ჩონჩხზე მაგრად გაჭიმული ტყავი გალაქული გეგონებოდათ. სავუშკინმა ხელი შეახო ბაყაყს.

— თავს გვაჩვენებს, თითქოს მკვდარია, — გაეცინა სავუშკინს. — როგორც კი მზე გაათბობს, ხტუნვას დაიწყებს, მერე და როგორ ხტუნავს!

სავუშკინი დაატარებდა მასწავლებელს თავის სამყაროში. მუხის ძირში შეყუჟულიყო მრავალი მობინადრე. ხოჭოები, ხვლიკები, მუმლი. ზოგი ფესვის ქვეშ მისვენებულიყო, ზოგი — ფესვის ბზარში, გამხდრები, თითქოს მთლად გამოფიტულანო, გაუღვიძებელი ძილით სძლევდნენ ზამთარს. ძლიერმა, სიცოცხლით აღსავსე ხემ გარშემო იმდენი ცოცხალი სითბო შეაგროვა, რომ საბრალო ტყიურნი ამაზე უკეთეს ბინის მოძებნას ვერ შესძლებდნენ. ანა ვასილის ასული ცხოველი ინტერესით ჩასცქეროდა ამ მისთვის უცნობ ტყის საიდუმლო ცხოვრებას. როდესაც გაიგონა სავუშკინის შეშფოთებული წამოძახილი:

— ვაიმე, დედას უკვე ველარ მივუსწრებთ!

ანა ვასილის ასულმა სწრაფად დახედა საათს — ოთხის თხუთმეტი წუთი იყო მას ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ხაფანგში გაებაო. გუნებაში მუხას პატიება შესთხოვა თავისი პატარა ადამიანური ეშმაკობის მოგონების გამო, მან თქვა:

— რას იზამ, სავუშკინ, ეს მაინც არ ნიშნავს, რომ მოკლე გზა არაა ყველაზე სწორი. მოგიხდება შარაგზით სიარული.

სავუშკინმა არაფერი არ უპასუხა. მხოლოდ თავი გააქნია.

„ღმერთო ჩემო! განა შეიძლება ამაზე ნათლად წარმოიდგინო საკუთარი უძლურება?..“ გულისტკივილით გაიფიქრა ანა ვასილის ასულმა. მას მოაგონდა დღევანდელი გაკვეთილი და მისი სხვა გაკვეთილები. რა ღარიბად, მშრალად და ცივად ლაპარაკობდა იგი სიტყვისა და ენის შესახებ, იმის შესახებ, რის გარეშეც ადამიანი მუნჯია სამყაროს წინაშე, უძლურია გრძნობებში, მშობლიურ ენაში, რომელიც ისევე სალი.

ლამაზი და მდიდარია, როგორი უხვი და ლამაზიცაა ცხოვრება.

იგი კი თავის თავს გამოცდილ მასწავლებლად თვლიდა! შესაძლოა, მას ერთი ნაბიჯიც კი არა აქვს გადადგმული იმ გზაზე, რომლისთვისაც მცირეა ადამიანური ცხოვრების მიზანი. სადაა ეს გზა? მისი მონახვა არაა ადვილი და უბრალო, ისე როგორც ზღაპრული გასაღებისა.

მაგრამ იმ მისთვის გაურკვეველ სიხარულში, რომლითაც ბავშვები წამოიძახებდნენ: „ტრაქტორი... ჰა, ჩიტის ბუდე...“ ანა ვასილევნასთვის ბუნდოვნად გაიელვა პირველმა ნიშანსვეტმა.

— მადლობელი ვარ, სავუშკინ, გასეირნებისათვის. რასაკვირველია შეგიძლია იარო ამ გზითაც.

— თქვენიც მადლობელი ვარ, ანა ვასილევნა!

სავუშკინი გაწითლდა, მას სურდა ეთქვა მასწავლებლისათვის, აღარასდროს დავიგვიანებო, მაგრამ ტყუილის თქმის შეეშინდა. მან აიწია ქურქის საყელო და ჩამოიფხატა ყურებიანი ქუდი.

— გაგაცილებთ...

— არაა საჭირო, სავუშკინ, მარტოც გავაგნებ.

მან დაეჭვებით შეხედა მასწავლებელს, შემდეგ აიღო ჯოხი, მოატეხა მრუდე ბოლო და ანა ვასილის ასულს გაუწოდა.

— თუ ირემს წააწყდეთ, [illegible] მოსცხეთ. მოკურცხლავს. უმჯობესია უბრალოდ მოუქნიოთ ჯოხი, მისთვის ესეც საკმარისია! თორემ შეიძლება გაბრაზდეს და სულ წავიდეს ტყიდან.

— კეთილი, არ დავარტყამ.

რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ანა ვასილის ასულმა უკანასკნელად მოხედა მუხას, რომელიც მზის ჩამავალი სხივებისაგან თეთრ-მოვარდისფროდ ჩანდა, მის ძირთან კი დაინახა პატარა მუქი გამოსახულება: სავუშკინი კიდევ არ წასულა, იგი შორიდან დარაჯობდა თავის მასწავლებელს. ანა ვასილის ასული უეცრად მიხვდა, რომ ყველაზე საკვირველი ამ ტყეში იყო არა ზამთრის მუხა, არამედ პატარა ადამიანი, რომელსაც ნახმარი ქეჩის ჩექმები და დაკერებული ღარიბული ტანსაცმელი ეცვა. იგი იყო სამშობლოსათვის დაღუპული ჯარისკაცის და „მოწყალების დის“ შვილი, მომავლის შესანიშნავი და უცნაური მოქალაქე.

მასწავლებელმა დაუქნია მას ხელი და ნელა გაუდგა დაკლაკნილ ბილიკს.

თარგმანი **მარიამ აგიაშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჭელიძე

★

# ქალაქის მსგავსი ადამიანი*

— დამიგდე ყური,
ჩვენი წარსული არ დაგავიწყდეს,
ძმას გული უნდა გადაუშალო...
რა სამსახური,
მითხარ, ღმერთძაღლო, რა გახალისებს,
მაინც რა საქმე, რა სამუშაო?..
ჩვენთან დარჩები,
ჩვენთან იჯერებ გულს შენებურად
ნაგვემ-ნატანჯი ადამიანი...
გჯეროდეს ჩემი,
მიგულე გვერდით, სულ ძველებურად,
შენი ზაქრო ვარ, განა მდივანი.
ამხანაგურად
შეეპასუხა ძმობილს ხვამლაძე:
— ოც წელიწადში კაცი გავთავდი,
ზამთარ-ზაფხული
სულ ვოცნებობდი ამ ჩვენს ქალაქზე,
მის ქუჩებს როდის დავინახავდი.
გითხრა სიმართლე?
ვისღა სჭირდება თავი ტანკისტის,
თავი — ტკივილით გაყრუებული,
რისთვის ვივარგებ,
სად გამოვდგები, რომელ საქმისთვის,
ასე ხეიბრად დაბრუნებული.
— ავტირდებოდი! —
რომ არ გიცნობდე, ვინ ხარ, რა შვილი,
სად იზრდებოდი! —
დაცინვით ეტყვის ბექას მდივანი, —
რისთვის გჭირდება ჩემთან ბავშვივით
სიტყვები ფუჭი და ცრემლიანი,
რად არ შეგრცხვება,
შიშნაჭამივით რა გაფერმკრთალებს,
წელში გასწორდი, ჩემი გჯეროდეს,
დე, როგორც ძველად,
ჩვენი მიზნებით, რწმენით ერთმანეთს
ძმურ სიყვარულში შევეჯიბრებოდეთ.
— ნახვამდის! —
დაემშვიდობა ბექა მეგობარს,
მანუგეშებელ, თბილ ადამიანს.

— ხვალამდის,
ღამით ჩაიკალ უიმედობა,
თამამად მოდი დილაადრიან.
— საოცარია,
როგორ შეცვლილა წამში ბუნება?..
თითქოს ნოემბრის ცივი კი არა,
თბილი ქარია!..
არა, არ მინდა შინ დაბრუნება.
ქალაქმა სითბო გამიზიარა.
რა უნაზესად,
რა ბულბულივით მღერის რადიო
ვიღაც ლამაზზე, ქართველ ლამაზზე,
ისმის ალერსად:
უსაყვარლესო, შემიყვარდიო,
შენთვის ვცოცხლობო ამ ქვეყანაზე.
შინისკენ მიდის...
და ბექას, ნიშნად კეთილ ბედისა,
შეუთამაშდა შავი ულვაში.
ხვამლაძის ფიქრიც
ფრთებისტკაცუნით, თეთრი
მტრედისფრად
მეკვლედ წინდაწინ მიჰქრის ქუჩაში.
კარი შეაღო,
ოთახს მოავლო თვალი ხვამლაძემ,
ცარიელ ბინას რაღაც ცვლილება
უცბად შეატყო...
მიანიშნებდა რაღაც ახალზე
სარკმლებში შუქის აციმციმება.

* *
*

უმზერს ხვამლაძე:
გაჩაღებულა სახლი მეზობლის,
ზეიმი შვენის ოჯახს ნამდვილი,
როგორც ახალ წელს.
„ალბათ, დაბრუნდა ჩემებრ მებრძოლი
თამარის ქმარი, ტყვედჩავარდნილი.
ისმის სიმღერა,
თითქოს პატარა ქუჩაც გაზრდილა...
მეზობლის ჭერზე ბრწყინავს შუქფარი,
ნელა ირხევა...

---

* გაგრძელება იხ. „მნათობი". № 1

სხივები ცვივა შუშაბანდიდან,
როგორც კალია სკიდან ფუტკარი.
სუფრა ქათქათა
სავსეა, ილხენს საღამოისას...
ისმის ოთახში ტაშის გრიალი.
ბექა გაქვავდა,
უცებ თამარის ხმა შემოესმა,
იგრძნო საამოდ ტანში ჟრიალი.
ქალი მღეროდა...
ხმას შერჩენოდა რაღაც წარსულის,
რაღაც ბავშვური გულის ძახილი...
ხმა იფრქვეოდა
დიად სინათლედ გადმოფანტული,
ბექა ხვამლაძის სულში ჩაღვრილი.
შეწყდა სიმღერა,
ჩამოიწმინდა ცრემლი თამარმა,
და უცებ გვერდზე მჯდარი სამხედრო
მარცხნივ იხრება
მტირალ მომღერალს კოცნის თამამად,
ანიშნებს დიდად გავიხარეთო.
ბექას არ ესმის
მისი სიტყვები, მაგრამ ცხადია,
კოცნის მეუღლეს კაცი მაღალი,
დნება ალერსით.
„ეყოს ვარამი, რაც გადახდია,
ზეიმიც მისთვის იყოს ალალი“.
იჯდა თამართან
და მოილხენდა კაცი ვეება,
უჩანდა მსხვილი ქედი კლდესავით,
თითქოს და მართლა
ომის სიმწარე, საშინელება
შერგებიაო დედის რძესავით.
შურის ეკალმა
ხვამლაძის გული მაშინ გაკაწრა,
სევდა შეუნთო ცეცხლისნაირი,
შეაკანკალა...
როცა თამარი ზორბა ვაჟკაცმა
წრეში აცეკვა ხელში დაირით.
„გოლიათია“,
ფიქრობს ხვამლაძე — ალბათ
ქართულად
ფრიცებს მაგანაც ზურგზე ღრუბლებად
ბოლი ადინა...
მაგრამ ჩემსავით, გადაკარგულმა
რად ვერ მოასწრო შინდაბრუნება?..
მორჩა, გათავდა.
გაქრა ოცნება, უცხო ზმანება!..
როცა მეგონა სხივი ცისკრისა,
თურმე დაღამდა.
მემწუხარება და მენანება
უცბად გაწყვეტა ტკბილი სიზმრისა.
მაგრამ რას ვამბობ?..
ნუთუ ბოროტად გულს ეშურნება
როცა სხვა მებრძოლს ესიმღერება?..
არა, არასდროს,
არ მინდა სხვისი უბედურება
გადმომელოცოს ბედნიერებად.
არ მინდა, მაგრამ... —
თქვა და აანთო შუქი ხვამლაძემ,
სარკმელს ვერ იქნა ველარ მოსცილდა.
უცებ თამარმა
წამოიმღერა ვიღაც ვაჟკაცზე,
თითქოს ლამაზი დღეს დაქორწილდა.
ხელში გიტარით
დადგა სარკმელთან ხმამონარნარე,
მთელი სისავსით გამოაჩინა
მოქნილი ტანი...
მღერის თამარი: „ცრემლები ვღვარე,
მაგრამ ცრემლებმაც ვერ მომარჩინა...“
მოდი, სადა ხარ?..
აკვნიდანვეა ჩემი ოცნება
შენი სარკმლები განათებული.
მოდი ამაღამ,
გული თუ მეწვის, შენით მორჩება,
შენა ხარ ჩემთვის დაბადებული.
მოდი, რას უცდი! —
ხელით ანიშნებს ბექას თამარი,
შეწყვეტს სიმღერას, სარკმელს
გაალებს:
— ასე დასუსტდი?
ნუ გერიდება!.. ჩემი ძმა არის,
ჩემი სიცოცხლეც და სიამაყეც!
მოდი!.. არ გინდა...“
გამოგინელებს სიცხეს თამადა, —
თქვა და მიკეტა ქალმა სარკმელი
ბექა გაკვირდა:
— როგორ მეძახის ასე თამამად?..
თავში გაუჯდა ალბათ სასმელი!..
რაო სიცხეო? —
ბექამ ეს სიტყვა წამით იწყინა:
კარგად შემთვრალა, როგორც ეტყობა.
ვაი, სირცხვილო!..
ალბათ, იმღამეს მთვრალი მიხილა?..
თუმცა... პატარა გოგოც ეტყოდა!..
მობრძანდით, ძია,
გადმოსჭიკჭიკებს ბექას შინიდან

დედის სახება, დედის ბალღობა —  
        პატარა მზია.  
ხვამლაძე სანამ მათთან მივიდა,  
ბავშვს გულში უთხრა დიდი მადლობა.  
        ამ გულღიებმა,  
ამ კეთილებმა თითქოს თვალებით  
ამცნეს ხვამლაძეს, რაა ცხოვრება  
        გაუღიმებლად?..  
ბექა დუდუნებს: „გენაცვალებით,  
მიგიღებთ ძმებად, თანასწორებად.  
        ხვდება ვაჟკაცი:  
რა სისათუთით, რა ძალოვანად,  
რა მოკრძალებით, რა სინარნარით,  
        რა სილამაზით  
ცდილობს თამარი, ეგებ ოდნავად  
შეუმსუბუქოს დარდი, ვარამი.  
        ეს ღრმა თვალები,  
ეს შავი თმები და ეს ღიმილი,  
ეს გამოხედვა, ეს საუბარი  
        იდუმალებით,  
როგორც იმედის გულში ღიღინი,  
არის საამო, ნაზი, ნუგბარი.  
        მისთვის ბექასაც  
ნუგეშისცემა გულით ეწადა,  
რამდენი ფიქრი აწონ-დაწონა,  
        რას არ ეცადა,  
ბოლოს სათქმელი სიტყვა შემატა  
იქვე კუთხეში ბავშვის საწოლმა.  
        — აღარ ჰყავს მამა? —  
მზიაზე კითხა თამარს სტუმარმა.  
გამოუთქმელი ბექას სათქმელი  
        იგრძნო თამარმა.  
— ნუ მკითხავთ მამა ყავდა თუ არა,  
მზიას გვერდზე ყავს დედა ქართველი.  
        — ომში დაეცა? —  
— ომში კი არა... გაქრა გამშორდა!  
ქალმა სათქმელი ძლივს დაამთავრა  
        სადღაც გაიქცა,  
ღმერთმა დასწყევლოს მისი კაცობა,  
დამაგდო თოთო ბავშვის ამარა.  
        ჩემი მშობლები  
ჩემს დარდს გადაყვნენ ათი წელია...  
მათთვის ჩავიცვი შავი ძაძები...  
        შეგეცოდები...  
შენ მიმიხვდები, რარიგ ძნელია,  
როცა მარტო ხარ და იტანჯები.  
        მაგრამ იცოდე,  
არა ვარ მწირი წუთისოფლისა,  
არც უიმედოდ გულდაქანცული.  
        ნუ შემიცოდებ,  
როგორც ჰე, მაშინ, გუნდის წრიდან  
არ შემიბრალე შუბლგაკაწრული, —  
        თქვა და თამარმა  
ხელი მოისვა შუბლზე სიცილით,  
მერე თვალებში სტუმარს ჩახედა,  
        გაათამამა,  
თუმცა სცვიოდა ცრემლი ციმციმით,  
სახის ნაკვთებიც უცახცახებდა.  
        — დღეს რომ გიმღერე  
და დაგიძახე, გთხოვ დამიჯერო,  
მეც გამახსენდა ჩვენი ბავშვობა,  
        ჯერ ხომ სიბერე  
არ მოვარდნილა, უნდა ვიმღერო,  
სიმღერამ იცის ცრემლის გაშრობა. —  
        თქვა და გიტარა  
ხმას ააყოლა ქალმა გრძნეულად:  
— მოვალ და გარდა წრფელი ღიმილის  
        არა მინდა რა,  
დავიწვი, მაგრამ არ დავცემულვარ,  
სულში სიცოცხლის ცეცხლი  
                                მიღვივის...  
        სუფრაც ამღერდა.  
უცებ თამარმა გვერდზე, მახლობლად  
აუმღერებელ, სახედაღვრემილ  
სტუმარს გახედა  
— ისევ ჩაფიქრდი, რამ დაგაღონა?  
არ ხარ უფეხო, არ ხარ ცალხელი!..  
        თქვა და წამოდგა...  
წარბებშეკრული დიასახლისი  
დაახამხამებს ნაზად წამწამებს:  
        — აბა, თამადავ,  
ხელში აიღე დიდი სასმისი,  
ტახტიდან ხომ არ გადაგაბრძანეს?..  
        ხალხი იცინის,  
მორცხვი თამარის უკვირთ მხნეობა,  
მაგრამ თამადამ — არ აპატია:  
        ვაი, სირცხვილო,  
ჯერ ხომ არ არის შენი დღეობა,  
შე დალოცვილო, არც რვა მარტია!..  
        სტუმარს მდუმარეს  
ერთი ხელობის ხალხი მოსწონდა,  
ცეკვით აფრინდა, გუნდი ყმაწვილთა.  
        ჩამოუარეს...  
და უცებ, როგორც დენთი კოცონთან,  
ხვამლაძის თვალწინ შუქი გაბრწყინდა

* *
*

— რაო?.. არ გინდა? —
თქვა და წამოდგა ზაქრო ფერაძე,
თითქოს ძმობილმა უზარმაზარი
ტვირთი აჰკიდა,
თვალები ჰქონდა გადმოცვენაზე,
ჩაგუბებოდა სულში ხანძარი.
ათი საქმიდან
ვერ მოგაწონე, ძმაო, ვერც ერთი,
ეგებ ინებო ჩემი ადგილი?
მაინც რა გინდა?
ყველგან წაგყვები, სადაც შევწვდები,
გამაგებინე შენი წადილი.
გაეცინება
ბექა ხვამლაძეს ბავშვურ სიცილით
და მდივნის სულში ჩაიხედება:
ნუ გეწყინება,
— ძმა გერიდება ველურ კვიცივით,
ეგრე ადვილად არ იხედნება.
დიდხანს ვიფიქრე,
აწმყო, წარსული ავწონდავწონე,
მომავლის გზანიც ცოტა გავჭვრიტე,
ნუ გაიკვირვებ,
შენც დამიძახე, ხმა გამაგონე,
როცა გენებოს, როცა დაგჭირდე.
ზაქრო მშვიდდება,
ძმას ეამება ძმის მღელვარება
და გამოხედა მისი ორბული,
ეტყვის: — კიდევაც
უნდა მომკითხო, რაც მევალება,
როდის ვყოფილვარ ძმისთვის
ორგული?..
გუშინ საწყალი,
მხრებში მოხრილი გლახა იყავი,
გამომეცხადე უცებ თავხედი...
მითხარ მართალი,
გულისნადები ძმას გამიყავი,
რამ გამოგცვალა წუხელს აქეთი?..
ყმაწვილებივით
გაეცინებათ სიყრმის ძმაკაცებს,
არ სწყინს ჯარისკაცს სიტყვა უხეში.
განვლილ წლებივით
ძმასთან კამათი უნდა ხვამლაძეს,
რაც არ დასცალდა სიჭაბუკეში.
ბექას რა ეთქვა?..
მაინც რამ იცის კაცის გამოცვლა,

ტკივილმა — გულში ყრუდ
მიმალულმა,
ძმასთან შეხვედრამ,
ხვალის იმედმა, ხალხში გამოსვლამ,
ტეხვამ ღამისამ თუ სიყვარულმა?..
— ზაქროვ, იცოდე,
არ შემოვსულვარ შენთან მათხოვრად,
ნურც შემოუშვებ გლახაკ —
მათხოვრებს,
ძმას თუ მიწოდებ,
შენთან მიგულე ყველგან ძმასწორად,
სანამდე მიწა არ გაგვასწორებს.
გწამდეს ერთი რამ,
არ დაივიწყო, ჩემო ძმობილო
რა გავიარეთ, რა გზა უკუნის.
კი არ გვეძინა,
შემოგვცქეროდა მთელი მსოფლიო, —
რწმენა ვიყავით ამ საუკუნის
ვით რძე დედისა
მეტკბო სიცოცხლე ორჯერ ნაპოვნი,
ძელქვის ტოტებად შემრჩა მკლავები,
მტერს არ ეღირსა
ჩემი ძვლებისგან — ხელის საპონი,
ჩემი ტყავისგან — ხელთათმანები.
ვჭამე ძირმწარე,
ნიაღვარივით სისხლი დაღვრილი
ტყუილუბრალოდ არ გაიწირა,
ბევრი ვისწავლე,
მაგრამ ხელობა, საქმე, ადგილი
გარდა ერთისა, არა ვიცი რა.
ზაქრო შეირხა,
შეათამაშა დგამზე თითები,
წარბი შეხარა გაღიმებულმა:
—ძმაო, ერიჰა...
შენც თუ სხვებივით მომერიდები,
ძმობა შაურიც არ ღირებულა.
ბექა ჩაფიქრდა:
— გახსოვს, დავდევდით ერთად
გოგონებს?..

გახსოვს, გვეძახდნენ ალხან ჩალხანას?..
სხვა რაღა გითხრა,
აბა რა გთხოვო?.. შევძლებ როგორმე
ძველი ტანკისტი ტაქსის წაყვანას.
ბევრის მნახველი
ცოტას ვჯერდები, აღარ მჭირდება
ქება, გუნდრუკი ცადაღმაფრენი
და არც სახელი...

შაინც რა არის ფუჭი დიდება?
წყალის ნაყვაა, სხვა არაფერი.
უხასიათო
თუ გეჩვენები, ძმაო, ხანდისხან
ბევრს ვუნახივარ დალხინებული...
სხვა რა ვინატრო,
თვით უმაღლესი მთავარსარდლისგან
სამჯერ მადლობა მაქვს მიღებული
ჩემსავ სიყვარულს
ამოვუდგები მხარში ბურჯივით,
არ გამაგდებენ ძმათა რიგიდან
მხნეს და მხიარულს...
ჭრელი მანქანით, როგორც ხურჯინით
სითბოს, სიამეს ხალხთან მივიტან.
გზად გამაჩერე,
არ მომერიდო სადაც შემნიშნო,
არ დამივიწყო, ზაქროვ, ძმობილო! —
თქვა და მაშინვე
გავიდა ბექა საიერიშოდ,
ჯარისკაცულად გამოწყობილი.

* *
*

თოვს და ქრის ქარი...
და ჭადრაკივით ჭრელი კრიალა
მანქანა მგზავრებს ჩამოარიგებს.
თეთრი ზამთარი.
დიდოსტატივით ფრთხილად კი არა,
ერთბაშად წირავს ფიფქებს —
პაიკებს.
მანქანა მიჰქრის,
მიყავს ყველაზე კარგი მგზავრები,
ასე გგონია, უცებ ფრთებს გაშლის.
ულრუბლო ფიქრით,
მორცხვი ღიმილით და მოკრძალებით
ბექა ხვამლაძე უმზერს დედა-შვილს.
მზიას სიმღერამ
სკოლის ზარივით გაიწკრიალა:
თოვლში მივქრივარ, მიმიხარია,
გული მიღელავს,
ქარი მიმაფრენს, ცივი კი არა,
დეკემბრის თბილზე თბილი ქარია.
ბექა ყურს უგდებს,
უსმენს გოგონას და რაც დრო გადის,
უთბება გული ჯერ გაუთბობი,
ისე გუდგუდებს,
ისე ძაგძაგებს ძრავი ფოლადის,
როგორც მესამე მგზავრი უცნობი.

ცახცახებს საჭეც,
ბექა გასცქერის ქუჩებს მოთოვლილს,
თითქოს ვიდოდეს აღთქმის მხარეში.
ახლოს შეამჩნევს:
უკანასკნელი ხმელი ფოთოლი
ფიფქებთან როგორ დაქრის ჰაერში.
საით იჩქარის?..
სანამ მკლავები არ დაეღლება,
სანამ საწვავის იწვის მარაგი,
სანამ ცისკარი
ღრუბლებს რძესავით არ დაეღვრება,
ბექას ეძახის დიდი ქალაქი.
მთებდათოვლილო,
დედავ, ქალაქო, კეფადათოფილს
გადმომაფარე შენი კალთები,
ცეცხლგამოვლილო,
რაც ხანი გავა, ახლად გაცნობილს
უფრო და უფრო შეგიყვარდები.
მტერს რომ ეგონა
ჩემი კაცობის მკერდშელეწილის
სამარადისო მიწყდა ძახილი...
კვლავ მოგევლინე
მკვდრეთით აღმდგარი... ისევ შეგცინი
ათი წლის წინათ მიწაწაყრილი.
ვგავართ ერთმანეთს,
მეც ვარ შენსავით მტერთან ზვიადი,
კეთილ მოყვასთან — სალამმზიანი.
რომ შეგედარე
ნუ გაიოცებ... თუ ხასიათით
ქალაქს გემსგავსე ადამიანი.
არც შევიცვლები,
არც შეიძლება ვიყო სხვაგვარი,
ვარ ცამეტ წლამდე შენი გაზრდილი
თავს გეფიცები...
მამის საფლავთან, სწორედ აქ არის
უკანასკნელი ჩემი ადგილი.
არ ვარ მწუხარე,
შენც ხომ იყავი ნაცრადქცეული
და დაქცეული ცეცხლით საშინლად.
ვით ნაბუხრალი,
მკვდარი, დამწვარი, დამარცხებული
გასისხლულ მტკვართან ეგდე
აჩრდილად.
მაგრამ შვილებმა
აგიჩქრიალეს სისხლით ძარღვები,
ხორცი შეგასხეს, სული შთაგბერეს,
გული მშვიდდება,
როცა სიცხეში შენი ბაღები

თმებზე მაფრქვევენ რძისფერ
შადრევნებს.
გაიფრენს ჟამი
და ორი ათას წელს რომ ჩაიწერ
უფრო გაზრდილი, მხრებში გაშლილი.
უეცრად ღამით
შეგეფეთება ახალ გამზირზე
კაცადქცეული ჩემი აჩრდილი.
იცნობ იერით...
არ შეიძლება ვინმე არ მგავდეს
ძველი ჭრილობით, გულით, სხეულით,
გულისხმიერო,
მესამედ მოსულ შენს მოქალაქეს
არ დააცქერდე გაოცებული.
ისიც შენია,
ისიც შენს მიწას შეისისხლხორცებს
და ტანს აიყრის ძელქვის ფესვივით,
ხომ გირჩევნია,
რომ გამისამდეს ერთი სიცოცხლე,
ძმებში გაყოფილ კერის ცეცხლივით.
მაშინ ასევე
წარმოგიდგება ჩემი წარსული,
დედამიწაზე წამით ცხოვრება,
კაცად მახსენებ...
მე კი სიცოცხლის არც დასასრული,
არც დასაწყისი არ მეხსომება...
მაგრამ ნამდვილად
დამიდასტურებს აწმყო დიადი
და სიჭაბუკის დღეთა სისავსე,
რომ ქალალდივით
ქარის ნებაზე არ დავფრინავდი
ჩემსავით დაჭრილ დედამიწაზე.
თამარს უცინის
თან მიაქროლებს ბექა მანქანას,
გულის კვნესისა, თავის ტეხვისა
და კონტუზიის
საბედისწერო კვალი გამქრალა,
გამოჩენილა გზა იმედისა.
დედა და ბავშვი
ერთურთს ეკვრიან კოცნის
წყურვილით.
ხან ისმის მათი ჩუმი სიცილი
თბილ მანქანაში
უცებ, გამეფდა ცივი დუმილი,
წამყვანს აეწვა გული სიცივით.
— შეჩერდი, შესდექ! —
მკაცრად შესძახებს ბექას თამარი,
შეკრთა წამყვანი: „ჰოი, რა მოხდა?..
და ამის შემდეგ,
თამარი, როგორც გედი ფრთამალი,
მზიასთან ერთად თოვლში გადმოხტა.
— ახლავ გადმოდი! —
ბრძანებს ლამაზი წარბის აწევით
არ გესმის!?. ამ დროს რა გამუშავებს!..
სწრაფად გადმოხტი!..
— ნეტავი რაზე არის ნაწყენი? —
ამბობს ხვამლაძე, — რა დავუშავე?..
იგი კარს ალებს,
თოვლში გადმოდის გაოცებული.
უცებ, პატარაც მკაცრი ქალივით
დაუცაცხანებს,
თან გუნდას ესვრის, დაძორცხვებული.
როგორც ზღაპრული ზამთრის ყვავილი
მერე ერიჰა!..
ვაჟკაცს დაუშენს გუნდებს თამარიც
სიცილ-კისკისით, ბექაც იცინის.
ბედნიერია.
გუნდაობს ქალი კერის ჯავარი,
მზიაც კისკისებს დედამისივით.
თოვლში აქცევენ...
გუნდებს უშენენ ბექას ტყვიებად
სიყრმის ზიარი და მეგობარი
წარსულს ახსენებს:
— განა როდისმე გეპატიება
ჩემი ბავშვობის ნაჭრილობარი?
სტვენენ გუნდები,
ესმის წაქცეულს ხმა მხიარული
— გადაგიხადე სამაგიერო!..
არ მებუტები?
კაცს გააცურებ თოვლში მხარულით,
ო, სიყვარულის ძალავ ძლიერო!..
ზეზე ახტება,
ხეასწევს ხელებს ბექა ხვამლაძე
გაღიმებული და თავდახრილი.
— ჩემო ხატებავ,
შენით ვსულდგმულობ ამ ქვეყანაზე,
გამარჯვებული, ფარხმალდაყრილი.
ისევ გაფრინდნენ...
შეძლურტულებენ ბექას მგზავრები,
ძრავიდან ისმის ხმა ბუბუნისა,
თითქოს მთვარისკენ
ეხმობთ გაბმული რეკვა ზარების
და ყრუ გუგუნი საუკუნისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ჯიბუტი

★

# ცხოვრების მხარდამხარ

## ლეო ქიაჩელის შემოქმედება

ლეო ქიაჩელი თანამედროვე საქართველოს დიდი მწერალია, ქართული საბჭოთა ეპოსის პირველხარისხოვანი ოსტატი. იგი ლიტერატურულ ასპარეზზე 1909 წელს გამოვიდა. ქართველი საზოგადოება რევოლუციამდე იცნობდა მას, როგორც ნიჭიერ მწერალს, მაგრამ მისი დიდი ბელეტრისტული პოტენცია განსაკუთრებით ჩვენს საბჭოთა პერიოდში გამოვლინდა. საკმარისია დავასახელოთ მოთხრობები „ჰაკი აძბა“, „თავადის ქალი მაია“, „ალმასგირ კიბულან“ და რომანები „გვადი ბიგვა“ და „მთის კაცი“, რომ უფრო აშკარა გახდეს ჩვენი შეხედულების ჭეშმარიტება. მაგრამ ვიდრე ლ. ქიაჩელი ჩვენს ლიტერატურაში საპატიო ადგილს დაიკავებდა, მან რთული შემოქმედებითი ცხოვრების გზა განვლო. თუ იგი თავის პირველ ნაწარმოებებში ჯანსაღი რეალისტური ტენდენციების მქონე მწერლად მოგვევლინა, შემდეგ ერთგვარად უღალატა ცხოვრების გამოხატვის მის მიერ ადრე აღიარებულ და გამოყენებულ სწორ ფორმებს და რეალისტური ნაწარმოების ნაცვლად რამდენიმე დეკადენტური ხასიათის ნოველა გამოაქვეყნა.

სადებიუტო მოთხრობაში „წარსულ აწმყოში“ ლეო ქიაჩელი დიდი მხატვრული სიმართლით, ყოველგვარი გაზვიადებისა და ჰიპერბოლების გარეშე აგვიწერს თავადაზნაურული კლასის მდგომარეობას 1905 წლის რევოლუციის წინა წლებში. ამ მოთხრობაში ნაჩვენებია, თუ ისტორიის მიერ განწირული თავადაზნაურობა როგორ ებღაუჭება თავის წარსულ დიდებასა და სახელს, როგორ ცდილობს დაიცვას თავისი დაკარგული უფლებები. ლეო ქიაჩელის ამ პერიოდის მოთხრობები — („წარსულ აწმყოში“, „ნაწყალდიდევზე“, „მამა ოქროპირი ცაცხვის ძირში“ და სხვ.) ჭეშმარიტი ცხოვრებისეული მოთხრობებია და ლეო ქიაჩელი დასახელებულ ნაწარმოებებში რეალისტური მხატვრული პროზის გზას ადგას. მაგრამ შემდგომი პერიოდის მის მოთხრობებში არათუ ფართო გამოხატულება პოვა მწერლის პოლიტიკურმა შეხედულებებმა და მისმა პრაქტიკულ-რევოლუციონურმა მოღვაწეობამ, არამედ, პირიქით ,მოხდა ამ გზისგან ერთგვარი გადახვევა. ლეო ქიაჩელი ეწინააღმდეგება თავის თავს და ხელოვნების ამოცანად ირეალური ქვეყნის შეცნობას აღიარებს. ნოველებში „მიუწვდომელი სიმები“ „მუხა და ტირიფი“ ლ. ქიაჩელი გარკვევით აყალიბებს თავის წარმოდგენას საიდუმლო სამყაროს შესახებ და დაბეჯითებით გამოთქვამს იმ აზრს, რომ ბედნიერების მიღწევა შეუძლებელია, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდშიც ლ. ქიაჩელმა დეკადენტური მოთხრობების გვერდით დაბეჭდა ისეთი მოთხრობებიც, რომლებიც თავისი იდეური შინაარსით ძირეულად განსხვავდება ამავე ავტორის დეკადენტური მოთხრობებისაგან. ჩვენ მხედველობაში გვაქვს „წუთისოფელი“, „იმედები“, „ორი სტრიქონის ამბავი“ და სხვ. (1912-1913 წწ.) ეს მოთხრობები აშკარად მეტყველებენ იმის შესახებ, რომ ლ. ქიაჩელის შინაგანი სტიქია უფრო სხვაა, ვიდრე დეკადენტურობა და ვერავითარი სიმბოლიზმი და მისტიციზმი ვერ შეაჩერებდა მის სვლას მხატვრული აზროვნების რეალისტური სრულყოფისაკენ. ერთი სიტყვით, ლ. ქიაჩელის ამ პერიოდის შემოქმედებას ახასიათებდა წინააღმდეგობა. ეს პერიოდი მის შემოქმედებაში იყო დაუცხრომელი ძიების პერიოდი, რაც საბოლოოდ დამთავრდა რეალიზმის სრული გამარჯვებით. ამ გამარჯვების ნიშანსვეტს წარმოადგენს მისი შესანიშნავი ნაწარმოები „ტარიელ გოლუა“ (1916 წ.), რომელსაც 1917 წელს ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ ქართული პოეზიისა და მხატვრული პროზის საუკეთესო ქმნილებისათვის განკუთვნილი პრემია მიანიჭა. მძაფრი კლასობრივი ბრძოლების პერიოდში „ტარიელ გოლუას“ გამოქვეყნება უეჭველად დიდი მოვლენა იყო, ამ დროს სხვადასხვა ჯურის დეკადენტური სკოლები მკაცრად უტევდნენ რეალიზმს და ცდილობდნენ ქართული მწერლობის მოწინავე პოზიციების დაპყრობას. მართალია, მათ ეს ვერ შეძლეს, მაგრამ დიდი ზიანი მოუტანეს ქართულ მწერლობას. ამ იდეოლოგიის წარმომადგენლებს არ შეუქმნიათ არც ერთი ცოტად თუ ბევრად ღირსშესანიშნავი პროზაული ნაწარმოები. ხოლო იმ მწერლებმა, რომლებმაც ჩვენი კლასიკური რეალიზმის საუკეთესო ტრადიციები გააგრ-

ძელეს, მოგვცეს ქართული პროზის დაუვიწყარი ქმნილებანი. მათ რიცხვს ეკუთვნის „ტარიელ გოლუა“.

რამ შექმნა „ტარიელ გოლუას“ ასეთი მომხიბლაობა და რაში მდგომარეობს მისი დიდი მხატვრული ღირსება? უპირველეს ყოვლისა, ამ ნაწარმოებში გამომჟღავნდა მაღალი რევოლუციონური სული, კეთილშობილური სისადავე, ბუნებრივობა, განუზომელი ფსიქოლოგიური სიღრმე. ლ. ქიაჩელის, როგორც ჭეშმარიტი ხელოვანის, დამახასიათებელი თვისებაა მოვლენების მხატვრული შეგრძნობისა და აზრის ერთიანობის დიდი უნარი, იდეისა და მისი გამოხატვის ფორმის მთლიანობა. „ტარიელ გოლუა“ იმდროინდელ ქართულ მწერლობაში სრულიად ახალი მოვლენაა. იგი მრავალსაუკუნოვანი ქართული პროზის ახალი ფურცელია; იგი დაწერილია კრიტიკული რეალიზმის დიდებული ტრადიციების საფუძველზე, მაგრამ წარმოადგენს ამ ტრადიციის არა უბრალო გაგრძელებას, არამედ მის შემდგომ განვითარებას, — იგი ქართული რეალისტური პროზის ახალი საფეხურია.

კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლები თავიანთ ნაწარმოებებში ამხელდნენ ცხოვრების მახინჯ მხარეებს და სასტიკად გმობდნენ სოციალურ უთანასწორობას, შეუდარებელი სიმართლით ხატავდნენ ხალხის დუხჭირი ყოფაცხოვრების სურათებს და ღრმად თანაუგრძნობდნენ ექსპლოატატორთა უღელქვეშ მგმინავ ხალხს. მაგრამ კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელთა ნაწარმოებში არ ჩანდა მონურ შრომისაგან თავის დაღწევის გზა, მუშებისა და გლეხების ფართო მასების რევოლუციური სულისკვეთების ამაღლობა. „ტარიელ გოლუა“ სწორედ ამით განსხვავდება მე-19 საუკუნის სოციალური რომანისაგან. „ტარიელ გოლუაში“ **ცხოვრება დანახულია** მის რევოლუციონურ განვითარებაში. ლ. ქიაჩელი ამ რომანში არა მარტო ბრალმდებლად გამოდიოდა ხალხის მჩაგვრელთა წინააღმდეგ, არამედ იგი საზოგადოების ხსნას ხედავს კლასობრივი ურთიერთობის რევოლუციონურ გარდაქმნაში, რის მკაფიო დადასტურებასაც წარმოადგენს რომანის ფინალი. მაგრამ ვიდრე „ტარიელ გოლუას“ მხატვრულ თვისებას განვიხილავთ, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ეს რომანი ღრმა სულიერი ანარეკლია მწერლის მიერ 1905 წლის რევოლუციის ბობოქარ დღეებში უშუალოდ ნანახისა და განცდილისა. როგორც ვიცით, რუსეთის პირველი რევოლუციის ხანაში ლეო ქიაჩელი, როგორც აქტიური მონაწილე ქართული გლეხობის აჯანყებისა თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ, დაპატიმრებული იქნა და ქუთაისის ციხეში იქნა მოთავსებული. 1907 წელს ქუთაისის ციხიდან საიდუმლო გვირაბით განთავისუფლებული იქნა პოლიტიკურ პატიმართა საკმაოდ დიდი ჯგუფი. მათ შორის იყო ლეო ქიაჩელიც, რომელიც ციხიდან გაქცევის შემდეგ მოსკოვში გაემგზავრა, ხოლო 1912 წელს ჟენევაში ჩავიდა, სადაც იგი შეხვდა დიდ ლენინს, რომლის სახე სამუდამოდ აღიბეჭდა მის მეხსიერებაში. ჟენევაში მიეცა მწერალს საშუალება ფართო ეპიკურ ტილოზე გადაეტანა და მხატვრულად განეზოგადებინა 1905 წლის რევოლუციის ისტორიული ამბები და მისი ბობოქარი ხანა და ამ რევოლუციის მონაწილეთა დაუვიწყარი სახეები. ამ დაუვიწყარ პერსონაჟთა შორის ყველაზე უფრო მკაფიოდაა გამოძერწილი ტარიელ გოლუას ღრმად ამაღელვებელი სახე. რუსეთის პირველმა რევოლუციამ ფართო გამოძახილი პოვა საქართველოშიც. ხალხის უფლებისათვის ბრძოლის ცეცხლი მოედო ჩვენს სოფლებსა და ქალაქებს. საქართველოს ერთ კუთხეში, კერძოდ სამეგრელოში, მომავლისათვის ბრძოლას სათავეში ედგა ტარიელ გოლუა, რომელსაც ხალხი ერთსულოვნად მიჰყვებოდა. ეს იმიტომ, რომ ტარიელი ხალხის ფიქრებსა და გრძნობებს გამოხატავდა და, ამის გარდა, იგი სოფლის თვალში ვაჟკაცობის, პატიოსნებისა და სამშობლოს სიყვარულის ნამდვილი განსახიერება იყო. ტარიელ გოლუა იმ სახელოვან მამულიშვილთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც საზოგადოებრივ ინტერესებს ყოველთვის პირადულზე მაღლა აყენებდნენ და ყველა მებრძოლისაგან ამასვე მოითხოვდნენ. ბობოქარი რევოლუციონური სული ტარიელის სიტყვას თუ საქმეს მაგიურ ძალას აძლევს. სწორედ ამიტომაა რომ ხშირად საკმარისია ტარიელმა ერთი თვალი გადაავლოს თავის საყვარელ თანასოფლელებს რომ მათ მაშინვე გამოიცნონ მისი სურვილი და ერთმანეთს შეეჯიბრონ, თუ ვინ მეტ სიმამაცეს და მუყაითობას გამოიჩენს მის განხორციელებაში.

1905 წლის რევოლუცია დამარცხდა. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ტარიელ გოლუამ ღრმა მწუხარება და აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. ერთადერთი ვაჟი ვერაგულად მოუკლეს. სახლ-კარი გადაუწვეს და თვადაც დააპატიმრეს. თითქოს ყველაფერი დამთავრდა. მაგრამ არა, ტარიელის მებრძოლი სული არ გატეხილა. ციხიდან განთავისუფლების შემდეგ იგი, შურისძიებით აღტყინებული, პირველმოწოდებისთანავე კვლავ მებრძოლთა რიგებში დგება.

ტარიელ გოლუა 65 წლისა იყო, როცა რევოლუციის აბობოქრებულ ტალღებს შეუერთდა. ტარიელის მამა უტუ მიქავას ხელმძღვანელობით მოწყობილ ყმა გლეხების აჯანყების მონაწილე იყო. ამრიგად, ტარიელში მეამბოხე სული აღმოცენდა და მომწიფდა იმ რევოლუციონური ტრადიციების საფუძველზე, რომლებიც მის ოჯახს გააჩნდა. სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის ატმოსფეროში აღზრდილი ტარიელი, მკითხველს პირველი გამოჩენისთანავე ხიბლავს და იზიდავს თავისი მტკიცე ნებისყოფით, სიდარბაისლით, სიდინჯით, სოფლის ნამდვილი თავკაცისათვის დამახასიათებელი შორსმჭვრეტელობით და ახოვანი მხედრული გარეგნობით, რაც ასე ჰარმონიულად შერწყმია მის

დიდ ბუნებოვნებას. ტარიელის ხასიათი სრულყოფილად და ყოველმხრივ გამოვლინდა რევოლუციის ბობოქარ დღეებში, როდესაც მის თანამემამულეებს — ღარიბი გლეხობის სახით — ნამდვილი ხელმძღვანელი და მეგობარი სჭირდებოდა, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში. უაღრესად კრიტიკულ მომენტშიც კი იგი მოვლენათა ჭვრეტის საოცარ ალღოს ამჟღავნებდა და სულიერ წონასწორობას არ კარგავდა. ტარიელის გული ყოველთვის ღია იყო კეთილისა და მშვენიერისათვის. მას სწამდა ადამიანი და სჯეროდა მისი. იქნებ სწორედ ამიტომ იყო, რომ შენიღბული გაიოზ გადალენდია, კონტრრევოლუციის ეს პირწავარდნილი ნაშიერი, ტარიელმა დროზე ვერ შეიცნო და მის ამ შეცდომას მსხვერპლად შეეწირა უშიშარი რევოლუციონერი ლევან გოლუა. გაიოზსა და ლევანს შორის არსებულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ორმაგი საფუძველი ჰქონდა — სოციალური და კერძო. ისინი ერთმანეთს ებრძოდნენ, ერთი მხრივ, როგორც სხვადასხვა კლასის წარმომადგენლები, რომლებსაც, ცხადია, საპირისპირო ინტერესები ამოძრავებდა, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც თავგანწირული მეტოქენი სიყვარულში.

რომანში მკაფიოდ ჩანს ორი სამყარო, ადამიანთა ორგვარი კატეგორია; ერთნი სამშობლოსა და ხალხის სიყვარულის კარნახით მოქმედებენ, საზოგადოებრივ ინტერესებს ყოველგვარ პირადულზე მაღლა აყენებენ, სულიერ სისპეტაკესა და გმირულ შემართებას იჩენენ, ხოლო მეორენი, ქვენა გრძნობებს აყოლილნი, მდაბალი გრძნობების მსახურნი მზად არიან ყველა და ყველაფერი ფეხქვეშ გათელონ. ორივე სამყარო მწერლის მიერ დიდი ოსტატობითაა განსახიერებული და მკითხველის წინაშე შესანიშნავი პლასტიკური სურათებით გაცოცხლებულია გარდასულ დღეთა სინამდვილე. თუ ლეო ქიაჩელის ეს ნაწარმოები ქართულ მწერლობაში მარად მხნედ და ახალგაზრდული იერით გამოიყურება, ისევე როგორც ამ ნაწარმოების მთავარი გმირი ტარიელ გოლუა ერთობისათვის დარაზმულ თანამემამულეთა შორის, ამის საიდუმლო იმაში უნდა ვეძებოთ, რომ მწერალმა დაგვიხატა სინამდვილის ხორცშესხმული ტიპები, რომელთა პროტოტიპებს შესაძლოა პირადადაც კი იცნობდა ავტორი.

„ტარიელ გოლუაში“ მოქმედება განსაკუთრებული სისწრაფითა და ინტენსივობით ვითარდება. წერის ასეთი მანერა, საერთოდ, დამახასიათებელია ლეო ქიაჩელისათვის. თუ ნაწარმოების სიუჟეტი ისეა აგებული, რომ მკითხველის მთრთოლვარე გული შეუნელებლად მიჰყვება ავტორის თხრობას, ეს მწერლის დიდ ოსტატობაზე და ცხოველმყოფელ ბელეტრისტულ ტალანტზე მეტყველებს. მთავარი მაინც ის არის, რომ მწერალი ხარობს და იტანჯება თავისი პერსონაჟების ცხოვრებით და მათ თავისი ნება-სურვილის მიხედვით კი არ ამოქმედებს, არამედ სინამდვილის კარნახით, ცხოვრების განვითარების კანონზომიერებებზე დამყარებით.

ამ რომანის გამოქვეყნების შემდეგ გარკვეული წლების მანძილზე ლეო ქიაჩელის შემოქმედებაში ადგილი ჰქონდა ჯანსაღი რეალისტური ხაზის ერთგვარ გამრუდებას, რასაც ადასტურებენ მისი ისეთი ნაწარმოებები, როგორებიცაა „მკვლელობა კოხტა გორაზე“, „შეურაცხყოფილი“ და სხვ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ როგორც მთელ ჩვენს ცხოვრებას, ისე ჩვენს მწერლობასაც ახალი გეზი და მიმართულება მისცა, ჩვენი მწერლობა დროის შესაფერისი ახალ-ახალი თვალსაჩინო ნაწარმოებებით გაამდიდრა. და ლეო ქიაჩელიც ქართული საბჭოთა ლიტერატურის პირველხარისხოვან ოსტატთა რიგებში აღმოჩნდა. პირველი მნიშვნელოვანი ნაწარმოები, რომელიც ლეო ქიაჩელმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაწერა და რომლითაც საბოლოოდ დააღწია თავი დეკადენტურ-სიმბოლისტურ გატაცებას, იყო რომანი „სისხლი“ (1927 წ.), სადაც კვლავ თავი იჩინა რევოლუციის თემატიკამ, უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის იდეამ. თუ „ტარიელ გოლუაში“ ნაჩვენებია 1905 წლის რევოლუციის მომზადებისა და ამ რევოლუციის მღელვარე ეპიზოდები, ყველა ის სიძნელე და სირთულე, ყველა ის ტანჯვა და მწუხარება, რაც წილად ხვდათ ხალხის საუკეთესო შვილებს მაღალი მისწრაფებების განხორციელებისათვის ბრძოლის გზაზე. „სისხლში“ გამოხატულია 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგი პერიოდის მოვლენები, რეაქციის სუსხიანი წლების კონკრეტულ-მხატვრული სურათები, სადაც მკაფიოდ ჩანს, თუ თვითმპყრობელობა როგორ აღრჩობდა სისხლში ფართო სახალხო მოძრაობას და უმკაცრესი რეპრესიებით როგორ ცდილობდა გზები შეეკრა ახალი იდეებისათვის. მართალია, რომანში სრულყოფილად არ არის დახატული ბოლშევიკ პერსონაჟთა სახეები და მათი მოქმედება პირველ პლანზე არ არის წარმოდგენილი, მაგრამ ის კი უდავოა, რომ პირველად „სისხლში“ პოვა თავისი გამოხატულება ბოლშევიკების რევოლუციურმა პათოსმა და გმირულმა შემართებამ რეაქციის ულმობელ პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკთა სახეები მწერალს მკრთალი გამოუვიდა, მაგრამ მაინც რომანში აშკარად იგრძნობა, რომ ავტორის სიმპათიები სწორედ მათს მხარეზეა. როცა ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე „სისხლის“ პირველი თავები წავიკითხეთ, ვფიქრობდით, რომ ლეო ქიაჩელი ამ ნაწარმოებში ნათლად დაგვიხატავდა იმ ადამიანების სახეებს, რომლებმაც ბოლომდე მიიყვანეს ის დიადი და კეთილშობილური საქმე, რისთვისაც ტარიელ გოლუა და მისი რაზმელები იბრძოდნენ. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. მწერალი გაიტაცა შალვასა და ცაცას

სასიყვარულო თავგადასავალმა და მათმა დაუსრულებელმა მსჯელობამ „ერთიანი ეროვნული სხეულის“ შესახებ, რის გამოც რომანში, შეიძლება მწერლის უნებურადაც (ასეთი ფაქტები ლიტერატურამ იცის) კი, პირველ პლანზე წარმოდგნენ წვრილბურჟუაზიული ინტელიგენტები, მეშჩანური ფსიქიკის მატარებელი პერსონაჟები და არა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებთან მჭიდროდ დაკავშირებული ჭეშმარიტი რევოლუციონერები. დიახ, რომანის ხარვეზი ისაა, რომ არათუ ძლიერდება იდეური დაპირისპირება, რასაც ადგილი ჰქონდა ნაწარმოების პირველ თავებში მენშევიკური ორიენტაციის არჩილსა და ბოლშევიკ ნიკოს შორის, არამედ ეს დაპირისპირება თანდათანობით ქრება და მკითხველს ნათელი წარმოდგენა ეკარგება ბოლშევიკების ტაქტიკასა და ბრძოლებზე სტოლიპინის შავბნელ წლებში. ამრიგად, მწერლის კეთილშობილური სურვილი და მიზანი — ეჩვენებინა ხალხის რევოლუციური შეგნების ამაღლება და დიდი სოციალური შინაარსის ფონზე გამოეკვეთა მშრომელთა ფართო მასების ტიპიური წარმომადგენლების საინტერესო სახეები — მთელი სისავსით ხორცშესხმული ვერ იქნა. რომანში ჩვენ ვხვდებით სხვადასხვა სოციალური წრისა და სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებების ადამიანებს. ისინი მრავალრიცხოვანია, მწერალი ვერ გასწვდა მათ, ვერ შეძლო ხასიათების მრავალფეროვნად ასახვა, მათი ინდივიდუალობის მთელი სისავსითა და თავისებურებით გამოკვეთა. რომანის სიუჟეტი იმდენად დახლართულია, სიტუაციები ისე სწრაფად იცვლება, ამბები იმდენად არათანაბრად ვითარდება, რომ „სისხლი“ მხატვრული სრულყოფითი თვალსაზრისით, „ტარიელ გოლუასთან“ შედარებით, გაცილებით დაბლა დგას. ეს რომანი კომპოზიციურადაც მტკიცედ არ არის შეკრული და არ წარმოადგენს ლეო ქიაჩელის შემოქმედებაში საეტაპო ნაწარმოებს. რომანმა მაინც დიდი როლი შეასრულა ლეო ქიაჩელის რეალისტური შემოქმედებითი კონცეფციის ჩამოყალიბების საქმეში. ამ ნაწარმოების გამოქვეყნების შემდეგ ლეო ქიაჩელისაგან მკითხველი მოელოდა მაღალმხატვრულ ეპიურ ტილოებს. მოლოდინი გამართლდა.

30-იანი წლებიდან დაიწყო ჩვენი ცხოვრების ახალი პერიოდი, სოციალისტური ძალების გამარჯვება შემორჩენილ კაპიტალისტურ ელემენტებზე გარდაუვალი გახდა. ახალი ცხოვრების საბოლოო გამარჯვებამ ჩვენი მწერლობა მტკიცედ დააყენა სოციალისტური რეალიზმის ნიადაგზე. ამ დროიდან დაიწყო ჩვენი ლიტერატურის ახალი ეტაპი და ლეო ქიაჩელის შემოქმედებაშიაც დამთავრდა გარდამავალი ხანა. 30-იანი წლების დასაწყისში გამოქვეყნდა ლეო ქიაჩელის ნოველები „თავადის ქალი მაია“ (1927 წ.) და „ალმასგირ კიბულან“ (1928 წ.), რომლებიც აშკარად მეტყველებენ ავტორის მაღალ ნოველისტურ ტალანტზე. „თავადის ქალში“ აღწერილი ამბები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ხდება. ნოველის მთავარი გმირია მაია, რომელმაც საბჭოთა ხელისუფლების პირობებში დაკარგა როგორც თავისი წოდებრივი ბრწყინვალება, ისე თავისი წარსული სილამაზე და დიდება. მას არ უნდა დაიჯეროს ცხოვრებაში მომხდარი ცვლილება, რის გამოც იგი ხალხის თვალში სასაცილო და უბადრუკი ხდება. ნოველის ფინალი, სადაც ნაჩვენებია მწვავე სინანულით აღსავსე თავადის ქალი მაია თუ როგორ იგონებს თავის ძველ თაყვანისმცემლებს და მათ მიერ მიძღვნილ სამკაულებს ზღვის მორევს აბარებს, ნათლად მიგვანიშნებს ძველი ფეოდალური [ფუქსავატური] სამყაროს უკანასკნელ გაბრძოლებასა და დაღუპვაზე. სწორედ ამაშია ნაწარმოების სოციალური ხერხემლის სიმტკიცე და ის მთავარი ნერვი, რომლის მეშვეობითაც ნოველა მკითხველში სასიცოცხლო ძალას მარად ინარჩუნებს.

არის ისეთი ნაწარმოებები, რომელთა შინაარსის გადმოცემა ძალზე ძნელია. ისინი შეიძლება მხოლოდ მთელი არსებით განიცადო, განიმსჭვალო მათი გმირების ტკივილებითა თუ სიხარულით. ჩემი აზრით, სწორედ ასეთ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის ნოველა „ალმასგირ კიბულან“, სადაც დიდი მღელვარებითაა მოთხრობილი ალმასგირ კიბულანის სიცოცხლით სავსე 15 წლის ერთადერთი ვაჟის გიჟერგილის მდინარე ენგურში დაღუპვის ამბავი და ამ უბედური შემთხვევით გამოწვეული მოხუცი ალმასგირის ენით გამოთქმული მწუხარება. ალმასგირი სასტიკად უსწორდება ხის მოიჯარადე კაუზა ფიფიას, რომლის სიხარბის მსხვერპლი გახდა გიჟერგილი. ჭკუაზე შეშლილი მამა ენგურის ბობოქარ ტალღებში დაეძებს თავის საყვარელ ვაჟს. როცა იგი დამხრჩვალი შვილის გალურჯებულ გვამს იპოვის, მკერდზე მიიკრავს სიყვარულითა და მწუხარებით ელოლიავება. ასევე იღუპება ისიც ენგურის მორევში. ეს ადგილი ნოველაში ჭეშმარიტად, ნამდვილი დიდი მხატვრის ხელით არის შესრულებული და მონუმენტური სურათის შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველში.

ამ ნაწარმოებში შესანიშნავად არის ურთიერთ შერწყმული ფულის მაცდუნებელი ძალა და ადამიანის ბუნებრივი სწრაფვა საარსებო პირობების გაუმჯობესებისათვის. ხოლო ყოველივე ეს სოციალურ ჩარჩოში მოთავსებული ქმნის ჩვენი საუკუნის ოციანი წლების ქართველი გლეხკაცის ცხოვრების მძაფრ ტრაგიკულ სურათს.

ლეო ქიაჩელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პირველად მან ქართულ საბჭოთა პროზაში გამოკვეთა რუსი ბოლშევიკის მონუმენტური სახე. აქ მხედველობაში გვაქვს მისი ცნობილი მოთხრობა — „ჰაკი აძბა“ (1933 წ.), სადაც სამხედრო კრეისერ „შმიდტის“ კაპიტნის კუზმა-

კილგას სახით წარმოდგენილია ბოლშევიკის ტიპიური ხასიათი, მთელი თავისი დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით. კუზმას ცხოვრების სახელოვანი გზა აქვს განვლილი. იგი მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციაში, აქტიური წევრი იყო შავ ზღვაზე შმიდტის მეთაურობით მოწყობილი მეზღვაურთა დიდი ამბოხებისა. სამოქალაქო ომის წლებში დაუზოგავად ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლების მტრებს, თეთრგვარდიელთა კონტრრევოლუციონურ ბანდებს. ერთი სიტყვით, მისი ხასიათი და ნებისყოფა, რომელიც ესოდენ გვხიბლავს და გვიზიდავს, ჩამოყალიბდა და გამოიწრთო ხალხის უფლებებისათვის დაუცხრომელ ბრძოლაში. კუზმავილგა ჭეშმარიტად კოლორიტული ფიგურაა. აქ არ შევუდგებით ამ მოთხრობის შინაარსის გადმოცემას, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ იგი ასახავს საქართველოში მენშევიკთა ბატონობის დროის ერთ მცირე მონაკვეთს და დიდი მხატვრული დამაჯერებლობით გადმოგვცემს ამ ხანის მთელ უსისხლხორცობას, ხალხის კლასობრივი მტრების ზნეობრივ უბადრუკობას. ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ მოთხრობაში შესანიშნავად აღწერილია ის მონური მორჩილება, რომელიც ძველ საზოგადოებაში არსებობდა ციძიშვილისა და ძუძუს მოზიარე თავადის, ფეოდალური წრის წარმომადგენელს შორის, ასეთ მონურ დამოკიდებულებას თეთრგვარდიელი ოფიცრის უჯუმ ამხას მიმართ ამჟღავნებს მისი გამზრდელი ჰაკი აძბა. ნაწარმოებში ამაღელვებელი ფერებითაა შესრულებული კუზმასა და ჰაკი აძბას უკანასკნელი შეხვედრის სცენა და სავსებით გამართლებულად გვეჩვენება კუზმას ის გასროლა, რომლითაც აძბა სიცოცხლეს ესალმება.

ამ ნოველებით ლეო ქიაჩელი მტკიცედ დადგა სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე. 1936 წელს ჟურნალ „მნათობში“ დაიწყო ბეჭდვა „გვადი ბიგვასი“, რომელმაც იმთავითვე მიიქცია მკითხველის ყურადღება. ძველმა ყოფამ რომანის მთავარი გმირის, გვადი ბიგვას ხასიათი ისე სასტიკად დაამახინჯა, რომ ცხოვრება მას თაღლითობისა და სიზარმაცის გარეშე ვერ წარმოედგინა. სიცრუე და ცუღლუტობა წარსულმა სოციალურმა უკუღმართობამ მისი არსებობის განუყრელ თვისებად აქცია. გვადის თავისი საკუთარი შეხედულება ჰქონდა ცხოვრებასა და ადამიანებზე. „ამ ორპირ ადამიანებთან ლელოს გატანა ტყუილითა და მამაძაღლობით თუ შეიძლება ჩემო ბიძია გვადი“ — ასე მიმართავდა იგი თავის თავს. ამიტომ ადამიანებზე ასეთი წარმოდგენის მქონე კაცისათვის სრულიად მოულოდნელი იყო, როცა მისი გვარი ახსენეს კოლმეურნეობის კრებაზე, სადაც იგი სანარიელებისა და ორკეთელების შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის შემმოწმებელი კომისიის წევრად აირჩიეს. კაცად ჩათვალეს. ამ დღემ პირველად აღამაღლა გვადი სულიერად და მორალურად, განაცდევინა მას ჭეშმარიტად დიდი სიხარული იმ ადამიანისა, რომლის გათელილი კაცური ღირსება მაღლა ასწიეს და დააფასეს. ამ შემთხვევამ დაანახვა გვადის თუ ნამდვილად ვინ იყო მისი კეთილის მსურველი. ეს დღე იყო მის ცხოვრებაში გადამწყვეტი დღე. მისი შინაგანი ცხოვრების გარდაქმნას დასაბამი ჩვენი ცხოვრების სოციალურმა შინაარსმა მისცა. ჩვენი სინამდვილე არის ის მთავარი ფაქტორი, რამაც გვადი საზოგადოებისათვის სასარგებლო ადამიანად აქცია. საკმარისია, გავიხსენოთ ორკეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარის გერასა და პარტორგის გიორგის ის გულთბილი ადამიანური დამოკიდებულება, რომელსაც ისინი იჩენდნენ გვადისადმი, რომ ნათელი და ხელშესახები გახდეს ჩვენი ცხოვრების სიდიადე და მისი ღრმა ჰუმანიზმი.

სოციალისტური ყოფაცხოვრების თემატიკაზე ლეო ქიაჩელის მიერ შექმნილ ეპიკურ ტილოებს შორის „გვადი ბიგვა“ ყველაზე უფრო თვალსაჩინო ნაწარმოებია, სადაც, ერთი მხრივ, მკაფიოდაა ჩამოყალიბებული მწერლის შემოქმედებითი თვალსაზრისი, ხოლო, მეორე მხრივ, დიდოსტატის ფუნჯითაა შესრულებული საბჭოთა ადამიანების ღრმად ემოციური და შთამბეჭდავი სახეები (გიორგი, გერა, მარიამი და სხვ.). მკაფიო რეალისტური ფერებითაა ნაჩვენები ჩვენი ცხოვრების გარდამქმნელი ძალა. თუმცა გვადი თავდაპირველად საკოლმეურნეო წყობილებას ვერ ეგუებოდა და კოლექტიურ შრომას გაურბოდა, მაინც მის პიროვნებაში იმთავითვე საგრძნობლად იყო კეთილი ადამიანური საწყისები; ეს კი იმის საფუძველს იძლეოდა, რომ გვადი, როგორც ფაქიზი და მგრძნობიარე ბუნების ადამიანი, მალე გარდაიქმნებოდა სოციალისტური სოფლის პირობებში სასარგებლო და სასახელო ადამიანად. როგორც კი გვადი ასეთ გარემოში აღმოჩნდა, მაშინვე თავი იჩინა მის პიროვნებაში მიჩქმალულმა კეთილმა და ჯანსაღმა ბუნებამ. ამრიგად, მწერლის შემოქმედებითი მსოფლმხედველობა ემყარება იმ კონცეფციას, რომ სოციალისტური სინამდვილე ზრდის ადამიანს სულიერად და მასში თუნდაც ჩანასახის სახით არსებულ დადებით თვისებებს მთელი სისრულით ავლენს ცხოვრების სარბიელზე.

ყოველი ნაწარმოების მხატვრულობა დამოკიდებულია ძირითადი იდეის სიღრმესა და იმ კონკრეტულ სახეებზე, რომლებიც ამ ნაწარმოებში წამყვან როლს ასრულებენ. „გვადი ბიგვას“ წარმატება გამოწვეულია სწორედ მთავარი პერსონაჟების რეალისტური სახეებით, რომლებიც ამ შემთხვევაში განაპირობებენ და განსაზღვრავენ სოციალისტური სოფლის დაბადებისა და ზრდის უაღრესად რთულ და თავისებურ პროცესებს. რომანის ფაბულა მოწმობს, რომ

მწერლის დაკვირვებული თვალი ნათლად ხედავდა საკოლმეურნეო ცხოვრების საბოლოო გამარჯვებას, ხედავდა, თუ როგორ მიჰყავდა საკოლმეურნეო მშენებლობას გლეხობა შეძლებული ცხოვრებისაკენ და როგორ იწმინდებოდა კოლმეურნეობები დამარცხებული და განადგურებული კლასობრივი მტრის, კულაკობის უკანასკნელი ნაშთებისაგან.

ამრიგად, „გვადი ბიგვაში“ ასახულია შეუპოვარი ბრძოლა საკოლმეურნეო სისტემის განმტკიცებისა და ადამიანთა შეგნებიდან ანტისაზოგადოებრივი ტენდენციების აღმოსაფხვრელად. სწორედ ეს არის რომანის ძირითადი იდეა კონკრეტულ-ემოციურ სახეებში მხატვრულად ხორცშესხმული. ჩვენ არ შევუდგებით ამ ნაწარმოების ყველა ღირსების ჩამოთვლას, აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ „გვადი ბიგვაში“ ყველაფერი ცხოვრებისეულია და სათანადოდ მოტივირებულია. სიუჟეტი არაჩვეულებრივი სისწრაფით ვითარდება, ამბავი სულ რაღაც ორ დღეღამეში მთავრდება. როგორც ვიცით, მწერლის მთელი აზრი და შემოქმედებითი ძალა გვადის გარდაქმნის მხატვრულ დასაბუთებას მიექცა.

რომანში ჩვენ ვხვდებით, როგორც ახალი ეპოქის წარმომადგენლებს, როგორც მზარდ სოციალურ ძალას, ისე ძველი წყობილების უკანასკნელ ანტისაზოგადოებრივ ელემენტებს, რომელთა არსებობა უკვე განწირულია. „გვადი ბიგვაში“ ახალი ცხოვრებისათვის შეუპოვარი მებრძოლები არიან კოლმეურნეობის თავმჯდომარე გერა და პარტორგი გიორგი, რომელთა მაორგანიზებელი ხელი ორკეთის კოლმეურნეობას ასე ხელშესახებად ეტყობა. აქ უეჭველად უნდა გავიხსენოთ გერასა და გიორგის ის ეფექტიანი და ტაქტიკური ღონისძიება, რამაც უზრუნველყო საშუალო გლეხის გოჩა სალანდიას შემობრუნება კოლმეურნეობისაკენ. გოჩა სალანდიამ გვიან დაინახა ის უფსკრული, რომლისკენაც მიაქანებდა მისი სასიძო არჩილ ფორია. მაგრამ მხოლოდ არჩილ ფორიას შეცნობამ კი არ შეცვალა გოჩა სალანდიას ცხოვრების შინაარსი და, საერთოდ, მისი დამოკიდებულება საკოლმეურნეო სოფლისადმი, არამედ მთავარი და გადამწყვეტი, რამაც ამ მშრომელი გლეხ-კაცის შეგნებაში რადიკალური გარდატეხა მოახდინა, ეს იყო თვით ახალი ცხოვრება და პარტიის ბრძნული პოლიტიკა, რომელსაც გერა და გიორგი ორკეთში განუხრელად ატარებდნენ.

თუ ტარიელ გოლუა თავიდანვე, ნაწარმოებში გამოჩენისთანავე მთლიანი და სავსებით ჩამოყალიბებული სახეა, გვადი რომანის დასაწყისში ჩამოუყალიბებელი ხასიათია, რომლის გარდაქმნა და ფორმირება ხდება ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობისა და ყოფიერების ზეგავლენით. ტარიელის ხასიათი სოციალური ბრძოლის მრისხანე ქარტეხილის დღეებში მდიდრდება და ღრმავდება, ამ ბრძოლებში იგი მხოლოდ ახალ თვისებებს ამჟღავნებს, გვადი კი გაშლილი სოციალისტური მშენებლობის პროცესში სრულიად ახლად იბადება, ახლად ყალიბდება, როგორც ახალი საზოგადოების წევრი, ადამიანი. ახალი ყოფიერების შეჯახება ამ ხასიათთან და მისი გამარჯვება, გვადის ფსიქიკის არაჯანსაღ ელემენტებზე, რომანში დიდი მხატვრული სიზუსტითა და სიმართლითაა ნაჩვენები.

ლ. ქიაჩელი ფსიქოლოგიური ანალიზის დიდი ოსტატია. ეს ანალიზი მის შემოქმედებაში სხვადასხვა ფაქტორს ემყარება, იმისდამიხედვით, თუ ნაწარმოების თემად მწერალს რა მასალა და რომელი კონკრეტული სოციალური გარემო აქვს აღებული. როგორც ვიცით, ლეო ქიაჩელს სხვადასხვა სოციალური შინაარსის ეპოქებში მოუხდა მოღვაწეობა. სწორედ საზოგადოებრივი ყოფიერების ეს სხვადასხვაობა განსაზღვრავს მის მიერ შექმნილი ხასიათების თავისებურებას. სოციალურ-პოლიტიკური ატმოსფერო, რომელშიაც „ტარიელ გოლუა“ იწერებოდა, მწერალს კარნახობდა შეექმნა უკეთესი მომავლისათვის შეუპოვარი მებრძოლი გმირის სახე, რომელიც გამსჭვალული იქნებოდა თავისი ძალებისადმი ღრმა რწმენით და ანთებული კეთილშობილური მისწრაფებებით. ამიტომაც ჭარბობს ტარიელ გოლუას სახეში რომანტიკული ელემენტები. სულ სხვა ამოცანების წინაშე იდგა მწერალი, როცა ის ქმნიდა „გვადი ბიგვას“. აქ მისი მიზანი იყო ეჩვენებინა ახალი ცხოვრების მთელი სიდიადე და გრანდიოზულობა, მისი ცხოველმყოფელი ძალა ადამიანთა ფსიქოლოგიის გარდაქმნაში. ეს კეთილშობილური ამოცანა და გვადის დასრულებულ ტიპად წარმოსახვა მწერალმა შეძლო ჩვენი ეპოქისათვის დამახასიათებელი ჰუმანური მისწრაფებებისა და დემოკრატიული იდეების გამარჯვების საფუძველზე. მაშასადამე, ლეო ქიაჩელის მიერ სამყაროს სხვადასხვაგვარად დანახვა, მისი მხატვრული შემეცნების ეტაპები გაპირობებულია ცხოვრებისეული მასალით და იმ სოციალურ ვითარებათა თავისებურებებით, რომლებშიაც იქმნებოდა მწერლის ესა თუ ის ნაწარმოებები.

ტარიელ გოლუას ისეთი პროტოტიპი არ ჰყავს, როგორც მაგალითად ბაჩუას და ლევანს, იგი ხალხური, ოდნავ იდეალიზებული პოეტური სახეა, მაგრამ ეს სახე უეჭველად შეიცავს კონკრეტულ დამახასიათებელ ნიშნებს იმ ადამიანებისას, რომლებსაც მწერალი იცნობდა ბავშვობაში და შემდეგ. ეს ადამიანები იყვნენ დიდი საზოგადოებრივი ზნეობისა და გმირული ხალხური ტრადიციების მატარებელნი, აღსავსე ფიზიკური და სულიერი სიკეთით. სწორედ მათი მხატვრული ანარეკლია ტარიელ გოლუა. ამით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ ლეო ქიაჩელს არ შეუქმნია თავისი არც ერთი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები ცხოვრებაში უშუალოდ ნანახისა და

 

განცდილის გარეშე, ხოლო ამ ნანახსა და განცდილს იგი მაშინ გადმოგვცემს, როცა მის სულში შემოქმედებითად სავსებით მომწიფდება ხოლმე.

როცა ვლაპარაკობთ ლეო ქიაჩელზე, როგორც მწერალზე, შეუძლებელია არ აღვნიშნოთ მისი უაღრესად მაღალი ადამიანური თვისებები, მისი უაღრესად მიმზიდველი და კეთილშობილური ბუნება მარად მიმართული თანამედროვეობის ცოცხალი მოვლენებისადმი. ლეო ქიაჩელის შემოქმედებაში საეტაპო ნაწარმოებებია. „ტარიელ გოლუა“, „ჰაკი აძბა“. „თავადის ქალი მაია“, „გვადი ბიგვა“, „მთის კაცი“ და სხვ. ერთი სიტყვით, გაბედულად და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლეო ქიაჩელს ყურადღებიდან არ გამოპარვია არცერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ეტაპი ჩვენი ხალხის ცხოვრებისა.

დიდი სამამულო ომის წლებში ქართველი მწერლები აქტიურად ეხმაურებოდნენ ჩვენი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს. თავიანთ ნაწარმოებებში ისინი ასახავდნენ ფრონტისა და ზურგის მტკიცე ერთიანობას, ჩვენი ხალხის ვაჟკაცურ შემართებას, ფიზიკურსა და სულიერ გაუტეხელობას, მის გმირულ წინსვლას ვერაგ მტერზე გამარჯვებისათვის ბრძოლაში. ამ თემას ლეო ქიაჩელმა მიუძღვნა „მთის კაცი“, რომელიც სამამულო ომში ქართველი ხალხის საუკეთესო შვილების მონაწილეობის, მათი მორალური სისპეტაკის და, საერთოდ, მათი პატრიოტული თავდადების შესახებ მოგვითხრობს. რომანის ცენტრში დგანან სოფელში მთის კაცად წოდებული ბათუ ქარდუა და სოუს კოლმეურნეობის თავმჯდომარე კირილე გორაკოვი. ჩვენი სინამდვილიდან აღებულ ამ სახეებში აღბეჭდილია საბჭოთა ხალხის მრავალფეროვანი მძლავრი ბუნება, გაუტეხელი ნებისყოფა, დაუძლეველი სული. ბათუ თავისი გარეგნობით, მიხვრა-მოხვრით, დარბაისლური სიდინჯით, სიკეთით და სიმტკიცით, საზრიანობითა და გულისხმიერებით ტარიელ გოლუას მოგვაგონებს. როგორც ერთი, ისე მეორე თავისი თანასოფლელების ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობს. ერთი სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ ტარიელი და ბათუ სხვადასხვა ეპოქის შვილები არიან, მათ შორის ბევრი რამ არის საერთო, უპირველეს ყოვლისა, ეს საერთო ისაა, რომ ორივე უბრალო ხალხის შვილია და თავისი ხალხის უანგარო სიყვარულის მაგალითს იძლევიან. ორივენი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე წმინდა მოწოდებისა და მოვალეობის სიმაღლეზე დგანან. ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ბათუ ტარიელის განმეორება იყოს. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ მწერალმა ორივე სახეში წინ წამოსწია ხალხისათვის თავდადებული ადამიანებისათვის დამახასიათებელი თვისებები, ყოველივე ის, რაც მას ადამიანში ხიბლავს და უყვარს. აქ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ტარიელიცა და ბათუც მშობლიური ხალხის განსაცდელის დღეებში მოქმედებენ, რაც მწერალს შესაძლებლობას აძლევს რელიეფურად წარმოგვისახოს ის რკინისებური ნებისყოფა და საზოგადოებრივი საქმისადმი თავდადება, ის ვაჟკაცური შემართება და უანგარო კეთილშობილება, რაც ორივეს ახასიათებს. სწორედ ამაში მჟღავნდება მწერლის შემოქმედებითი ბუნება მისი ესთეტიკური შეხედულებები და პრინციპები. ბათუმ, გამოცდილმა მეჯოგემ, რომელიც შესანიშნავად იცნობდა თავის მშობლიურ კუთხეს, დიდი დახმარება გაუწია კავკასიის ფრონტს მტერზე გამარჯვების საქმეში. იმ კაცისაგან, რომელიც კოლმეურნეობაში ერთი პირველთაგანი უყოყმანოდ შევიდა და, მისი აქტიური მშენებელი გახდა ეს სავსებით მოსალოდნელი იყო. საკოლმეურნეო ცხოვრებამ კიდევ უფრო დააახლოვა ერთიმეორეს ბათუ და გორაკოვი. მათი ურთიერთდამოკიდებულება კონკრეტული გამოხატულებაა როგორც საბჭოთა კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობისა, ისე საბჭოთა პატრიოტიზმის თემისა.

ლეო ქიაჩელის ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელია იდეური სიღრმე და დრამატიზმი. მის პერსონაჟებს ყოველთვის რთულ ვითარებაში ვხვდებით, ისინი დაძაბულ სიტუაციებში მოქმედებენ. მწერლის მთელი სიმპათიები იმ ადამიანთა მხარეზეა, რომლებიც არ უშინდებიან სიძნელეებს და ბოლომდე ნათელი და მშვენიერი გრძნობებით ცხოვრობენ, მაღალი იდეალების ერთგულნი რჩებიან. მწერლის ასეთ გმირებს ეკუთვნიან ბათუ ქარდავა, კირილე გორაკოვი, ლია, ჯოტო და სხვები. მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ ცხოვრება მარტოოდენ კეთილხმოვანი მუსიკა როდია. მათში დისონანსი შეაქვს გახრწნილი სულისა და მდაბალი მორალის ადამიანებს, საზოგადოების ნაძირალებს. აქ მხედველობაში გვყავს სოუს კოლმეურნეობის ფერმის გამგე სამსონი, რომელმაც უღალატა თავის ხალხს, ჯოგის ნაწილი ხელში ჩაუგდო მტერს და მანუჩა გასცა. მწერალმა ამ სახეში დიდი დამაჯერებლობით გამოხატა სულმოკლე, ეგოისტური ინსტინქტების მატარებელი ადამიანი, რომელიც მზად არის პირად კეთილდღეობას ანაცვალოს თავისი ხალხის ინტერესები.

რომანის დადებით პერსონაჟებიდან განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ კირილე გორაკოვი, რომელსაც მდიდარი ბიოგრაფია გააჩნია. ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ შეიძლება რომანში პარტიული ორგანიზაცია არ იყოს ნაჩვენები — მაგრამ პარტია, როგორც ხალხის წარმართველი ძალა ნათლად ჩანდეს. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ, როგორ დახატავს მწერალი კომუნისტ-პერსონაჟების სახეებს. კირილე გორაკოვი სწორედ კომუნისტის სრულყოფილი სახეა. მას, ყუბანელ კაზაკს ცხოვრების საინტერესო და რთული გზა აქვს განვლილი. იგი სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე და საბჭოთა ხელი-

სუფლებისათვის შეუპოვარი მებრძოლი იყო. შემდეგ სოუში დასახლდა, სადაც დიდი წვლილი შეიტანა კოლმეურნეობის ჩამოყალიბების საქმეში. სამამულო ომის დღეებშიც გორაკოვმა თავი ისახელა როგორც ფრონტისადმი სოუს გლეხობის დახმარებისა და მტრის განადგურებისაკენ მიმართული ღონისძიებების ორგანიზატორმა. ერთი სიტყვით, გორაკოვის სახე ხასიათის სიმტკიცისა და ძლიერების მხატვრული აპოთეოზია, ამრიგად, რომანის პარტიული სული მისი დადებითი გმირების ხასიათში მჟღავნდება.

ორიოდე სიტყვა რომანის ერთ-ერთ მთავარ მომქმედ პირზე, რომელიც მართალია ნაწარმოებში უშუალოდ არ მოქმედებს, მაგრამ მის შესახებ ბევრი რამ ვიცით თვით ავტორისა და რომანის სხვა პერსონაჟების მეშვეობით. ეს გახლავთ ბათუ ქარდუას შვილი ჯოტო. იგი სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის უკანასკნელი კურსის სტუდენტი იყო დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო. ჯოტო ქარდუა ფრონტზე მიდის როგორც მოხალისე და სულ მალე საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდებას იმსახურებს. ეს გარემოება განსაკუთრებით სიხარულისა და სიამაყის გრძნობით ავსებს მის თანასოფლელებს, მათ შორის ყველაზე უფრო ლიას, რომელსაც მთელი არსებით უყვარდა ჯოტო, ეს მამაცი და კეთილშობილური რაინდი. ჯოტოსა და ლიას სიყვარულში, მათ სპეტაკ ურთიერთობაში, სამშობლოსადმი უანგარო ერთგულებასა და თავდადებაში მკითხველი ხედავს საბჭოთა ახალგაზრდობის ტიპიურ სახეს, ახალგაზრდობისა, რომელმაც თავი ისახელა მტრის განადგურების გრანდიოზული გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში. ლეო ქიაჩელი არ ეკუთვნის იმ მწერალთა რიცხვს, რომლებიც თავიანთი ნაწარმოებებით ზნეობრივ დამრიგებლობას ეწევიან. მის მიერ დახატული სახეები თავისთავად შეიცავენ და გულისხმობენ სახელმძღვანელო იდეებს და ღრმა ადამიანური მორალის დაუწერელ კანონებს. ერთი სიტყვით „მთის კაცის“ მთავარი გმირები ბათუ ქარდუა, კირილე გორაკოვი, ჯოტო, ლია და სხვები ჩვენ ვნახეთ მათი ცხოვრების ყველაზე უფრო მძიმე და რთულ ვითარებაში. მაგრამ მათ არასოდეს არ უღალატნიათ ადამიანური მორალის დაუწერელი თუ დაწერილი კანონებისათვის. ისინი სრულყოფილი და ღრმად შთამბეჭდავი სახეებია.

ამრიგად, ლეო ქიაჩელის შემოქმედების ამოსავალი წერტილია თანამედროვე სინამდვილე, როგორც ადამიანში კეთილი და ნათელი ძალების უმაღლესი გამოვლინების დაუშრეტელი წყარო, ამ ძალების ზრდა-განვითარების საფუძველთა-საფუძველი.

როცა ამა თუ იმ მწერლის მხატვრულ ოსტატობაზე ვლაპარაკობთ უმთავრესად ვგულისხმობთ მის სალიტერატურო ენასა და საერთოდ სტილს, სახეების გამოკვეთის უნარს და ნაწარმოებთა მთლიან კომპოზიციას. ლეო ქიაჩელი ღრმად ხალხური მწერალია, რაც არა მარტო ხალხური ხასიათების (ტარიელ გოლუა და სხვ.) ალბეჭდვაში, ხალხის გაუტეხელი სულისა და მისი ცხოვრების ტიპიურ სახეებით გადმოცემაში მდგომარეობს, არამედ მის კოლორიტულ ენასა და შეკრულ კომპოზიციაში. ლეო ქიაჩელი უმთავრესად სოფლის ცხოვრებას ასახავს, მისი საყვარელი გმირები მშრომელი და პატიოსანი გლეხებია. აღსანიშნავია, რომ ლეო ქიაჩელის, როგორც დადებით, ისე უარყოფით პერსონაჟთა ხასიათის ნიშან-თვისებები, სოციალური თუ პიროვნული სახე, მათ სალაპარაკო ენაშიც კარგად ჩანს. ტარიელი, რომ დინჯი, დარბაისელი, დაკვირვებული და თავისუფლებისათვის შეუპოვარი მებრძოლია ამას ჩვენ მის საუბარსა და მსჯელობაშიც ვგრძნობთ. გვადი რომ გულისხმიერი მამაა, გონებაგახსნილი და მოხერხებული კაცია ეს მარიამთან გამართულ დიალოგშიც აშკარად მჟღავნდება. სახერხი ქარხნის ყოფილი მეპატრონე არჩილ ფორია, რომ დეკლასირებული და სოციალურად საშიში ელემენტია ეს ჩანს მის საუბრის კილოშიც. აი როგორი ენით ელაპარაკება იგი გვადის, რომელსაც დაავალა ნაქურდალი საქონლის დანიშნულების ადგილზე მიტანა: „შენ ახლა მაქსიმეს გაყევი, რაც მოგცეს, ხურჯინში კოხტად ჩაალაგე, თავი კარგად გამოუკარი და შინისაკენ გასწი. ბაზარში რაღა გინდა, სავაჭრო და თავშესაქცევი არაფერი გაქვს. ხურჯინი დაღამებამდე შენსას შეინახე. კარგად, რომ დაღამდება, შინ მაშინ მომიტანე არავინ შეგნიშნოს, თორემ ვაი შენს დღეს, ფიცარს მოგცემ კი არა, აი ამით გულს შუაში გაგიხვრეტ“ შემდეგ არჩილი პალტოზე ხელს გაიკრავს, გადაიწევს და ვითომ ისწორებსო წელზე შემორტყმულ რევოლვერს უფრო წინ გადმოიწევს, რომ გვადის კარგად დაენახა და ამით ეგრძნობინებინა, რომ მას შეუძლია სიტყვა საქმედ აქციოს.

ლეო ქიაჩელის რეალისტური ნაწარმოებები ნათლად მეტყველებენ იმაზე რომ მწერალს ცხოვრებაში ბევრი რამ უნახავს, მრავალი რამ შეუსისხლხორცებია და ღრმად განუცდია, რომ იგი ცხოვრებას ყურადღებით აკვირდება და შესანიშნავად ერკვევა მოვლენათა განვითარებაში.

დიდია ლეო ქიაჩელის დამსახურება და მნიშვნელობა ქართულ მწერლობაში. მან შექმნა ქართველი ხალხის ცხოვრების სხვადასხვა ხანის ამსახველი ძლიერი და შთამბეჭდავი ნაწარმოებები, რომლებშიც ალბეჭდილია რევოლუციონური წარსულის მომხიბლავი რომანტიკა და ჩვენი ხალხის უკვდავი სული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ ჭოლოკავა

★

# ტიპიური გარემო მხატვრულ ლიტერატურაში

მხატვრულ ლიტერატურას, ისევე როგორც, საერთოდ, ხელოვნებას, ახასიათებს რიგი თავისებურებები, რაც ამა თუ იმ ფორმაში, მეტ-ნაკლები სიცხადით, მაგრამ ყოველთვის გამოვლინდება. ერთ-ერთ ასეთ თავისებურებათაგანს, რაც დაკავშირებულია მხატვრული ლიტერატურის, როგორც სინამდვილის შემეცნების ფორმის, ზოგად სპეციფიკურ თვისებებთან წარმოადგენს გარემოს ასახვის დანიშნულება. შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს ისეთი მხატვრული ქმნილება, რომელიც ასე თუ ისე არ ასახავდეს გარემოს. ყოველი ლიტერატურული ნაწარმოები მეტ-ნაკლები სიღრმით და მხატვრული სიძლიერით წარმოგვიდგენს ობიექტური რეალობის შინაარსს. ხოლო ის, თუ რომელი ლიტერატურული მიმართულების წარმომადგენელი როგორი სიღრმით ასახავს გარემოს, განპირობებულია არა მხოლოდ მისი ტალანტით, არამედ მხატვრული გამოსახვის იმ ზოგადი პრინციპებით, რომლებიც საფუძვლად დაედო ამა თუ იმ ლიტერატურულ მიმართულებას, ამა თუ იმ ეპოქის მწერლობას.

ცნობილია, რომ რეალისტური მწერლობის ერთ-ერთ ძირითად ნიშანს წარმოადგენს ტიპიური ხასიათების ჩვენება ტიპიურ გარემოში. მაგრამ, თუ განვიხილავთ რეალიზმამდელ ლიტერატურულ მიმართულებებს, დავინახავთ, რომ იმ მხატვრულ ნიმუშებს, რომლებიც იქმნებოდნენ წარსულში, საფუძვლად უდევს სხვა შემოქმედებითი პრინციპები და გარემოს შინაარსიც მათ მიხედვითაა გახსნილი. ამ ლიტერატურულ მიმდინარეობათა მწერლების ქმნილებებში, მაგალითად, ბერძნულ დრამატურგიაში ადამიანის ხასიათის, მოქმედებისა და ფსიქიკის მოტივირება სხვაგვარი იყო და საზოგადოებრივი სინამდვილის შინაგანი კანონზომიერების მიხედვით როდი ხდებოდა.

ესქილეს და სოფოკლეს ტრაგედიებში გმირის ხასიათის და მოქმედების მოტივირება ხდება ძირითადად ბედისწერით გამოწვეული მოვლენების საშუალებით. ამითაა განპირობებული ის, რომ გარემოს მოვლენების ჩვენებას ამ მწერლებთან შედარებით ნაკლები ადგილი ეთმობა.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ზოგადი დამახასიათებელი თავისებურება ბერძნული ტრაგედიისა ყოველთვის უცვლელად არ მეორდება. ბერძენ დრამატურგთა შემოქმედებაში გვხვდება ისეთი ქმნილებანი, რომლებშიაც დიდი მხატვრული სიძლიერითაა გამოსახული პერსონაჟის დამოკიდებულება გარემოსთან, ეს განსაკუთრებით ითქმის ევრიპიდეს ტრაგედიებზე, რომლის შესახებაც არისტოტელე ამბობდა, რომ იგი ადამიანებს ხატავდა ისე, როგორიც ისინი სინამდვილეში არიან. ამ მხრივ, აღსანიშნავია ევრიპიდეს ტრაგედია „მედეა", რომელშიც ნაჩვენებია ჭეშმარიტი მხატვრული სურათები გმირის მოქმედებისა და განცდების კავშირისა გარემოსთან. კოლხიდელი ქალი მედეა, რომელმაც იასონის სიყვარულისათვის სამშობლოს უღალატა, საბერძნეთში ხვდება სრულიად უჩვეულო გარემოში, ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობაში, რომელიც უცხოა მისი პიროვნებისათვის. თავისუფლად, ლაღად გაზრდილი კოლხიდელი ასული ხვდება საბერძნეთის არისტოკრატიის წრეებში, მისთვის სულ სხვა, უცხო გარემოში, განიცდის ამ კლასობრივი წინააღმდეგობებით აღსავსე ყოფის უარყოფითი მხარეების გავლენას, რომელიც განსაკუთრებით ძნელი მოსათმენია ქალისათვის, რადგანაც სწორედ მისი მდგომარეობაა იქ აუტანელი. მედეას თქმით, მისთვის ძნელია საბერძნეთში ყოფნა, რადგანაც აქ მას ეუცხოება როგორც ზნეობა, ისე კანონები, რადგანაც აქ ქალი თავისი თავის პატრონი კი არაა, არამედ ქმრის მონადაა ქცეული. აღსანიშნავია, რომ მედეას მიერ გამოთქმული სიტყვების აზრი იქცევა ტრაგედიის იდეად და ცოცხალ სახეებში განსახიერდება. ისეთი პერსონაჟები ამ ნაწარმოებისა, როგორიცაა მეფე კრეონტი და იასონი ამ იდეის ბრწყინვალე გამოხატულებას წარმოადგენენ. ის მდგომარეობა, რომელშიაც მედეა მოხვდა, ნაწარმოებში გამოსახულია არა რაიმე წინასწარაღებული აზრის ან ბედისწერის მიხედვით, არამედ იგი იქმნება ტრაგედიაში მედეას ურთიერთობით იასონთან და კრეონტთან. იასონს სურს თავისი პირადი ბედნიერების უკეთ მოსაწყობად შეირთოს მეფე კრეონტის ასული. ამის გამო, იგი მეფის დახმარებით ცდილობს მედეა საბერძნეთიდან გააძეოს. იასონისა და კრეონტის სახით, ევრიპიდემ შესძლო სინამდვილიდან აღებული ხასიათების წარმოსახვა. ავტორის სიმპათიები

კოლხიდელი ქალის მხარეზეა. ევრიპიდე უარყოფითად ახასიათებს იასონს, რომელმაც ანგარების მიზნით სხვა ქალი შეირთო. ევრიპიდემ შესანიშნავად შესძლო თავისი თანამედროვე საბერძნეთის მაღალი საზოგადოების ტიპიური უარყოფითი ნიშნების ჩვენება, ჩვენება იმისა, რომ იქ ადამიანის ყველაზე ძვირფასი გრძნობები შეიძლება ფულზე გაიცვალოს. ამის კონკრეტულ განსახიერებას წარმოადგენს ტრაგედიის ის ადგილი, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ სთავაზობს იასონი სასყიდელს მედეას იმ პირობით, თუ იგი შვილებიანად საბერძნეთს გაეცლება. ავტორი შესანიშნავად გვიჩვენებს, რომ მედეამ იასონს სიძულვილზე ორმაგი სიძულვილით უპასუხა, მან ჩაიდინა უდიდესი საშინელება, ამოწყვიტა იასონის მთელი საგვარეულო მაგრამ, ამავე დროს, ნაწარმოები გვარწმუნებს, რომ ეს მედეას კერძო, ინდივიდუალური ხასიათის თვისებებით კი არაა გამოწვეული, არამედ მოიტანა იმ კონკრეტულმა საზოგადოებრივმა, სოციალურმა გარემომ, რომელშიაც კოლხეთის მეფის ასული, მზის შვილად წოდებული მეფის ასული ჩააყენა ცხოვრებამ.

ძველი ბერძნული ტრაგედია წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს ფასეულობათაგანს, რაც კი ადამიანის მხატვრულ გენიას შეუქმნია. მარქსის თქმით, ანტიკური ხელოვნება, რომელიც კაცობრიობის ბავშვობის ეპოქაში წარმოიშვა, გარკვეული აზრით, ახლაც ინარჩუნებს ნორმისა და მიუღწეველი ნიმუშის მნიშვნელობას.

ანტიკური მითოლოგია წარმოადგენდა ბერძნული ხელოვნების საფუძველს, იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ძველი საბერძნეთის იდეურ სამყაროსთან, ძველი ბერძნების წარმოდგენებთან ბუნებაზე, საზოგადოებაზე და ა. შ. სწორედ ამიტომ შეერწყა იგი ასე ორგანულად ანტიკური საბერძნეთის პოეტთა და ტრაგიკოსთა ქმნილებებს, სწორედ ამიტომ იყო მისი გადასვლა მათ შემოქმედებაში ასე ბუნებრივი.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ იგივე მითოლოგიამ ერთგვარი შეუსაბამო ხასიათი მისცა XVII საუკუნის ფრანგულ მწერლობის მთელი რიგი ქმნილებების ფორმასა და შინაარსს იმ შემთხვევებში, როდესაც მისმა წარმომადგენლებმა მიზნად დაისახეს ანტიკური ეპოქის სიუჟეტებით გადმოეცათ მათი თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურებანი. მაგალითისათვის ავიღოთ ისეთი ნიმუში კლასიციზმისა როგორიცაა რასინის ცნობილი ტრაგედია „ფედრა“, რომელიც ტიპიური ნაწარმოებია ამ მხრივ. რასინმა ამ ქმნილებით ვერ მოახერხა გადმოეცა ის ეპოქისეული სული, რაც თავისთავად გააჩნდა ანტიკურ სიუჟეტს და მასთან დაკავშირებულ პერსონაჟთა სახეებს.

რასინი შეეცადა ანტიკური სიუჟეტის საშუალებით გამოეხატა მისი თანამედროვე ეპოქის საზოგადოებრივი შეხედულებები, „ფედრას“ წინასიტყვაობაში პოეტს აღნიშნული აქვს: მე გამზრდელს მივაწერე ის უარყოფითი თვისებანი, რომელნიც ანტიკური სიუჟეტის მიხედვით ფედრას უნდა ჰქონდესო. რასინის წარმოდგენით, მდაბალი გრძნობების მიწერა დაუშვებელი იყო არისტოკრატიული წრის წარმომადგენლისათვის და უფრო შეეფერებოდა დაბალი წრის ადამიანს. როგორც ვხედავთ, ძირითადი მიზეზი იმ მხატვრული არასრულყოფილებისა რაც ფსევდოკლასიციზმის ტიპიურ ნიმუშებს ახასიათებს, მდგომარეობს იმაში, რომ ამ მიმართულების წარმომადგენლები ცხოვრების, სინამდვილის, საზოგადოებრივი გარემოს შემეცნების საფუძველზე კი არ ქმნიდნენ თავის ნაწარმოებთა პერსონაჟების სახეებს, არამედ რაციონალისტური მეთოდით უდგებოდნენ სინამდვილის გამოსახვის პრობლემას. სწორედ ამიტომ ვერ შესძლეს მათ მხატვრული სრულყოფილებით ეჩვენებინათ ცხოვრებით ნაკარნახევი სიმართლე, ვერ მოახერხეს გარემოს სწორი წარმოსახვა, თუმცა ადგილის, მოქმედებისა და დროის ერთიანობის პრინციპები მათი შემოქმედების აუცილებელი ფორმალური ელემენტები იყო.

საინტერესოა გარემოს გამოსახვის თავისებურება რეაქციულ რომანტიზმში. ცნობილია, რომ ამ ლიტერატურული მიმართულების წარმომადგენელთა ნაწარმოებში მინიმუმამდეა დაყვანილი საზოგადოებრივი ცხოვრების რეალური ყოფის დამახასიათებელი ნიშნების წარმოსახვის ხარისხი. ნოვალისის, ტიკისა და შატობრიანის მხატვრული ქმნილებანი თუმცა თავისი ინტერესის ცენტრში ძირითადად თანამედროვე ადამიანებს აყენებენ, მაგრამ თითქმის არაფერს გვეუბნებიან მათი ხასიათის შინაარსზე. ეს პერსონაჟები ნაჩვენებია სინამდვილის იმ რეალური ურთიერთობისაგან მოწყვეტით, რაც საერთოდ სახეს ცხოვრებისეულ შინაარსს ანიჭებს და სწორ ესთეტიკურ გააზრებას აძლევს.

ამ მხრივ აღსანიშნავია გერმანელი მწერლის ნოვალისის (ფრიდრიხ ფონ ჰარდენბერგის) რომანი „ჰაინრიხ ფონ ოფტერდინგენი“, რომელიც მიზნად ისახავს არა სინამდვილის შინაარსის გახსნას, არა ცხოვრებისეული სიმართლის ჩვენებას, არამედ იდეალური, ზებუნებრივი ჭეშმარიტების, მისტიკის მხატვრულ სრულქმნას. მითები, რომელთაგანაც ამ მხატვრული ნაწარმოების ძირითადი ნაწილი შედგება არ არიან დაკავშირებულნი წარსულის მხატვრულ შემოქმედებასთან. მათ ნოვალისი საკუთარ ფანტაზიაში პოულობდა. ცხადია, რომ ეს იყო პრაქტიკული შედეგი ნოვალისის მხატვრული მიზანდასახულობისა — დაემტკიცებინა

მისტიკური პოეზიის უპირატესობა სინამდვილეზე.

ის პერსონაჟები, რომლებიც ნოვალისს მისი თანამედროვე გერმანული სინამდვილიდან შემოჰყავს ნაწარმოებში, მას სჭირდება არა იმისათვის, რომ დაგვანახოს საზოგადოებრივი გარემოს კანონზომიერებანი, შექმნას სოციალურ ძალთა ტიპიური წარმომადგენლების სახეები, არამედ სჭირდება იმისთვის, რომ თავისი მისტიკური იდეის გამომხატველი მითები სიუჟეტურად დააკავშიროს, შექმნას ილუზია, რომ ადამიანები აუცილებლობით უნდა ეზიარონ რელიგიურ მისტიციზმს, დაისახონ ცისფერი ყვავილის მსგავსი იდეალი, ოცნებონ შუასაუკუნეებრივი ცხოვრების დაბრუნებაზე.

რომანის მთავარი გმირი ჰაინრიხი ხელოსნის შვილია, მაგრამ ავტორი არაფერს გვეუბნება მის რეალურ სულიერ სამყაროზე, საზოგადოებრივ კავშირზე, რაც მისი ნაწარმოების ძირითად პერსონაჟს სინამდვილესთან აქვს. მწერალი მთელ თავის შესაძლებლობებს მიმართავს იქითკენ, რომ თავისი გმირი მისტიკური იდეის სახეობრივ ილუსტრაციად აქციოს. იგი კიდევაც აღწევს მიზანს. ახალგაზრდა ოფტერდინგენი რელიგიური ექსტაზით, ზეკაცობის მანიით გატაცებული პიროვნებაა, რომელსაც მიწასთან არავითარი კავშირი არ გააჩნია.

როგორც ვხედავთ, რეაქციული რომანტიზმის ლიტერატურულ ქმნილებებში დარღვეულია მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი კანონზომიერება — მათში დამახინჯებულადაა წარმოდგენილი საზოგადოებრივი გარემოს შინაგანი არსი.

თავისებურად ხდება გარემოს მხატვრული წარმოსახვა რევოლუციურ რომანტიზმში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხზე ჩვენს თეორიულ ლიტერატურაში ზოგჯერ გამოთქმულია არასწორი შეხედულებანი. კერძოდ, ზოგიერთი ლიტერატურათმცოდნე მიიჩნევს, რომ ის მოწინავე იდეალები, რომელთაც რომანტიკოსი მწერლები გამოხატავდნენ თავის ქმნილებებში, მათ სინამდვილისაგან მოწყვეტითა აქვთ წარმოსახული. მაგალითად, მ. ზელდოვიჩი, ერთის მხრივ, აღნიშნავს რომ რომანტიზმის ძალა და მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი დიდი ძალით და ემოციონალურ-იდეური ზემოქმედებით გამოხატავს ცხოვრების რეალურ, არსებით მოთხოვნებს, ისტორიული განვითარების წამყვან ტენდენციებს, მაგრამ, ამავე დროს, იქვე, ზელდოვიჩი ამტკიცებს, რომ რომანტიზმში ცხოვრებით ნაკარნახევი მისწრაფებანი ხელოვანისა გათიშული იყო ისტორიული სინამდვილისაგან და დაასკვნის, რომ ამას რომანტიკოსები სუბიექტივიზმამდე მიჰყავდა. [1]

ეს მოსაზრება არ არის სწორი. შეუსაბამობას წარმოადგენს ზელდოვიჩის მტკიცება იმის შესახებ, რომ, ერთი მხრივ, რომანტიზმი „დიდი ძალით და ემოციონალურ-იდეური ზემოქმედებით გამოხატავს ცხოვრების რეალურ მოთხოვნებს, ისტორიული განვითარების წამყვან ტენდენციებს“ და, ამავე დროს, ყველაფერი ეს „გათიშულია ისტორიული სინამდვილისაგან“.

განა რომანტიკული პოეზიის ლირიკული გმირის მისწრაფებები, ფიქრები და განცდები მოწყვეტილი იყო ისტორიულ სინამდვილეს, კონკრეტულ გარემოს? რომ ეს მართლა ასე ყოფილიყო განა რომანტიზმს ექნებოდა ისეთი ძალოვანი ზემოქმედება საზოგადოებაზე როგორიც მას უკვე თავისსავე ეპოქაში გააჩნდა? ცხადია, რომ, მაგალითად, ბაირონი იმიტომ იყო მისი თანამედროვე „ევროპის ყველაზე დიდი პოეტი“, როგორც გოეთე და ბელინსკი აღნიშნავდნენ ამას, რომ მან შესძლო XIX საუკუნის პირველი ნახევრის ინგლისის საზოგადოებრივი ცხოვრებით გამოწვეული პიროვნული ტკივილების აყვანა ზოგადსაკაცობრიო იდეალებამდე. ან ვთქვათ ბარათაშვილის „მერანში“ გამოხატული მისწრაფებანი გათიშულია ისტორიული სინამდვილისაგან? თუ ეს ასეა, მაშინ საკითხავია: რომელი სხვა მიმართულების პოეტთა ლექსებშია უკეთ მოტივირებული სოციალურადაც კი ტიპიური გრძნობა, იდეა, მისწრაფება, ვიდრე ბარათაშვილის ამ ლექსში ან ბაირონის, ლერმონტოვის და სხვა დიდი რომანტიკოსი პოეტების ნაწარმოებებში.

ცხადია, რომ სინამდვილის გამოსახვის ხერხები რომანტიკოს პოეტებთან თავისებურია და განსხვავებული რეალისტი მწერლების პრინციპებისაგან, ცხადია რომ ამის შესაბამისად რომანტიკულ პოეზიაშიც ტიპიური გრძნობის მოტივირება სინამდვილის მოვლენებით უფრო განსხვავებული, თავისებური ხერხებით ხდება, მაგრამ რომანტიკული პოეზიის კონკრეტულ-ისტორიული შინაარსის ისეთი ხელაღებითი უარყოფა, როგორც ამას ზელდოვიჩი სჩადის, მიუტევებელი შეცდომაა. თუ ჩვენ რომანტიკოსთა შემოქმედებაში გარემოს მხატვრული წარმოსახვის საკითხის შესწავლას მივუდგებით არა რაიმე განყენებული მხატვრული პრინციპების საზომით, არამედ ისტორიული თვალსაზრისით, მაშინ, უნდა ვაღიაროთ, რომ იმ ფარგლებში, რა მიზანდასახულებაც რომანტიკოს პოეტებს ჰქონდათ, მათ ქმნილებებში გარემო საკმაო სისავსითაა გადმოცემული. მაგალითად, ის, რაც ამ მხრივ ბაირონის პოემა „მანფრედშია“ მოცემული, შესრულებულია ისეთი პოეტური სიძლიერით, რომ სავსებით საკმარისია მხატვრული სიმართლის შესაქმნელად, საკმარისია, რომ დავიჯე-

[1] М. Г. Зельдович, Вопросы теории реализма, Харьков 1957, გვ. 68.

როთ ამ ნაწარმოების მთავარი გმირის ხასიათის ცხოვრებისეულობა და სიმართლე. სავსებით ბუნებრივია, რომ დიდი ინგლისელი პოეტი თავისებურად უდგება გარემოს გამოსახვის პრობლემას თავის ნაწარმოებში. იგი პოემაში აღნიშნავს მხოლოდ ზოგადდამახასიათებელ ნიშნებს, რაც საერთოა და ტიპიური ბურჟუაზიული საზოგადოების წარმომადგენლებისათვის და რომლებიც პოემაში ჰქმნიან ტიპიურ გარემოს. ბაირონი თავის პერსონაჟს ათქმევინებს ისეთ სიტყვებს, რომლის მიხედვითაც, ჩვენ წარმოდგენა გვექნება მისი ხასიათის ძირითად ნიშნებზე და, ამავე დროს, იმ კონკრეტულ გარემოზე, რომელმაც განაპირობა რომანტიული პერსონაჟის სწორედ ამგვარი სახე. II მოქმედებაში მანფრედი ეუბნება ფერიას, რომ ის ვერ ეგუებოდა იმ ადამიანებს, რომლებთანაც იგი იზრდებოდა, რომლებთანაც მას ცხოვრება უხდებოდა:

„ჩემთვის სრულიად უცხო იყო მათი მიზნები, არა ვყოფილვარ მე მათსავით პატივმოყვარე. ჩემი ნაღველი, სიხარული, ვნებათა ღელვა მათ ვერ გაეგოთ. მე ვუცქერდი ულრმესი ზიზღით ადამიანთა ბედშავ სახეს".

ცხადია, რომ აქ მანფრედის ასეთი დამოკიდებულება მიმართულია ადამიანის არა რაიმე განყენებული ცნებისადმი, არამედ კონკრეტულად ბურჟუაზიული მორალის მქონე პატივისა და ანგარების სიყვარულით გამსჭვალული საზოგადოების წევრებისადმი. სწორედ ეს წარმოადგენს პოემა „მანფრედის" მთავარი გმირის ხასიათის გამართლების ობიექტურ საფუძველს. ეს არის გარემო მანფრედის ხასიათისა, ბაირონის დიდი მხატვრული ტალანტით ტიპიურობის სიმაღლემდე აყვანილი.

ტიპიური გარემოს საკითხის შესწავლისათვის საფუძველმდებლური მნიშვნელობა აქვთ კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის შეხედულებებს. მათი სახით, პირველად ესთეტიკური აზროვნების ისტორიაში, მხატვრული ლიტერატურის საკითხების შესწავლას საფუძვლად დაედო ისეთი მსოფლმხედველობა, რომელიც ერთადერთ სწორ მეცნიერულ სისტემას წარმოადგენს. საკვლევი პრობლემის თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კ. მარქსისა და ფ. ენგელსის წერილებს ფ. ლასალისადმი მისი დრამა „ფრანც ფონ-ზიკინგენის" შესახებ. ძირითადი კრიტიკული შენიშვნა ამ დრამის მიმართ, რომელიც გამოთქმული იქნა მარქსისა და ენგელსის მიერ, შეეხება იმას, რომ ავტორმა ვერ შესძლო მხატვრული გამოსახვის თემად აღებული XVI ს. გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრების სპეციფიკის ჩვენება. ლასალმა ვერ შესძლო დაენახვებინა ის, რაც დამახასიათებელი იყო იმდროინდელი გერმანიისათვის. კ. მარქსი მიუთითებდა ლასალს, იმისათვის, რომ მისი ნაწარმოები რეალისტური გამოსულიყო, მას უნდა ეჩვენებინა ის, რაც ჰქმნიდა XVI საუკუნის გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიურ ფონს, სახელდობრ, მას დრამაში უნდა გამოეყვანა გლეხობის და ქალაქის მოსახლეობის რევოლუციური ფენის წარმომადგენლები, რაც მას საშუალებას მისცემდა მათი პირით გამოეთქვა უაღრესად თანამედროვე იდეები. ლასალს საწინააღმდეგო შედეგი გამოუვიდა იმიტომ, რომ მან ნაწარმოების ცენტრში დააყენა რეაქციული თავადაზნაურობის წარმომადგენლები. ამის გამო, დრამის ძირითად შინაარსად იქცა მხოლოდ რელიგიური თავისუფლებისა და ნაციონალური ერთიანობის იდეები, იმ დროს, როცა მას გარემოს სწორი ჩვენებით შეეძლო იმ ეპოქის პროგრესული რევოლუციური ძალების მისწრაფებების და განწყობილებების გამოსახვა.

ტიპიური გარემოს საკითხზე უაღრესად მნიშვნელოვანი შეხედულებები გამოსთქვა ფრ. ენგელსმა წერილში მარგარიტა ჰარკნესისადმი. როგორც ცნობილია, ამ წერილში ფ. ენგელსი განიხილავს მ. ჰარკნესის მოთხრობა „ქალაქელ ქალიშვილს". ნაწარმოების ძირითად ნაკლად, მის არასაკმაოდ რეალისტურობად ენგელსს მიაჩნია ის, რომ მასში სუსტადაა წარმოდგენილი თემად აღებული ისტორიული პერიოდის საზოგადოებრივი ცხოვრების ტიპიური გარემო, არ არის ნაჩვენები ის, რაც აშკარად ნიშანდობლივი იყო XIX საუკუნის ბოლო წლების ინგლისისათვის, სახელდობრ, მ. ჰარკნესმა ვერ გამოსახა ის რევოლუციური წინააღმდეგობა, რომელსაც XIX საუკუნის ბოლო წლებში ინგლისის პროლეტარიატი უწევდა მჩაგვრელ გარემოს.

ისეთ მწერლად, რომელიც ყოველთვის რეალისტურად გამოსახავდა გარემოს, ფ. ენგელსი მიიჩნევდა ბალზაკს. ენგელსის აღნიშვნით, ბალზაკმა თავის ქმნილებებში მოგვცა ფრანგული საზოგადოების 1816-დან 1848 წლამდე პერიოდის ისტორიის რეალისტური მხატვრული სურათები. ფ. ენგელსის თქმით, რეალიზმის ერთ-ერთ უდიდეს გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ბალზაკმა შესძლო ყველა თავის ნაწარმოებში ძირითად პრობლემად ექცია ის საკითხი, რომელიც მის მხატვრულ ნაწარმოებებში ქმნის ტიპიურ გარემოს — სახელდობრ, ფ. ენგელსის თქმით, ბალზაკი გვიჩვენებს ბურჟუაზიის დაწოლას თავად-აზნაურულ საზოგადოებაზე, გვიჩვენებს, თუ როგორ ხდებოდა ამ საზოგადოების უკანასკნელი საფუძვლების შეცვლა ფულის მეპატრონეთა ზემოქმედების შედეგად, გვიჩვენებს თუ ამ მოვლენასთან ერთად როგორ წარმოებდა თავად-აზნაურული საზოგადოების უკანასკნელი პრინციპების რღვევა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარემოს მხატვრული წარმოსახვა არ შეიძლება ჩაითვალოს

მხოლოდ ერთი რომელიმე ლიტერატურული მიმართულების დამახასიათებელ ნიშნად, რადგანაც საერთოდ ყოველი ჭეშმარიტი მხატვრული ქმნილებისათვის აუცილებელია, რომ იგი წარმოსახავდეს ცხოვრებას, რომ ადამიანთა სახეებს, პერსონაჟებს, ლირიკულ განცდებს გვიჩვენებდეს სინამდვილის იმ მოვლენებთან მჭიდრო ურთიერთობაში, რომლებმაც წარმოშვა ესა თუ ის ტიპიური მოვლენა, ან რომელმაც ხელი შეუწყო და განაპირობა მისი წარმოშობა.

ჩვენ უკვე დავრწმუნდით, რომ იმ ლიტერატურულ ქმნილებებში, რომლებიც კრიტიკული რეალიზმის ჩამოყალიბებამდე შეიქმნა, სახეები მოწყვეტილი კი არაა საზოგადოებრივ სინამდვილეს, არამედ, პირიქით, ხშირად პერსონაჟთა ხასიათები გახსნილია გარემოს მოვლენებთან ურთიერთობაში; მაგრამ ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ისეთ მხატვრულ ქმნილებებში, როგორიცაა, მაგალითად, ანტიკური პერიოდის მწერალთა ნაწარმოებები ან კლასიციზმისა და რევოლუციური რომანტიზმის დრამატიული ქმნილებანი არ არის ჯეროვანი სისრულით გამოვლენილი მხატვრული ლიტერატურის ზოგადი კანონზომიერება ხასიათის ჩვენებისა გარემოსთან ურთიერთობაში. იგი მწერლობის ძირითად შემოქმედებით პრინციპად მხოლოდ რეალისტურ ლიტერატურაში იქცა. შეიძლება ითქვას, რომ რეალიზმის გამოვლენის ერთ-ერთ ძირითად ნიშანს წარმოადგენს სწორედ ტიპიური ხასიათის გამოსახვა ტიპიურ გარემოში. როგორც ცნობილია, ფრ. ენგელსმა წერილში მარგარიტა ჰარკნესისადმი მიუთითა, რომ „რეალიზმი, დეტალების სიმართლის გარდა, გულისხმობს ტიპიური ხასიათების სწორ გადმოცემას ტიპიურ გარემოში“. ამით ფრ. ენგელსმა ხაზი გაუსვა რეალისტური შემოქმედების ყველაზე ძირითად თავისებურებას. ისეთი მწერლების შემოქმედება, როგორიცაა ბალზაკი, ლ. ტოლსტოი, ი. ჭავჭავაძე და სხვები წარმოადგენენ ამის მკაფიო დადასტურებას.

მაგალითად, შეიძლება დასახელებულ იქნეს ბალზაკის ცნობილი რომანი „ოცდაათი წლის ქალი“, სადაც ნაწარმოების მთავარი გმირის მარკიზ ჟიული ეგლმონის ცხოვრება მოცემულია XIX საუკუნის საფრანგეთის საზოგადოებრივი სინამდვილის ტიპიურ მოვლენებთან მჭიდრო კავშირში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ორგანული მთლიანობა, რომელიც იქმნება ნაწარმოების მთავარ გმირსა და მისი ცხოვრების გარემოს შორის. რომანში ნათლად ჩანს, თუ როგორ ხდება არისტოკრატიული წრის ქალის სულიერი სამყაროს ფორმირება საზოგადოებრივი ზნეობის ნორმების ზემოქმედებით.

ის, რომ ბალზაკმა მხატვრული წარმოსახვის ობიექტად სწორედ 30-წლის ასაკში მყოფი არისტოკრატი ქალის ცხოვრება გაიხადა, დაკავშირებულია მისი შემოქმედებითი მეთოდის ძირითად პრინციპებთან. მწერალი თითქმის არც კი ჩერდება თავისი პერსონაჟის სიყრმის პერიოდზე, რადგანაც მისთვის, რომლის შემოქმედებაშიც განსაკუთრებული სიძლიერით გამოვლინდა ტიპიური ხასიათების ტიპიურ გარემოში გამოსახვის ზოგადი კანონზომიერება, არ წარმოადგენს განსაკუთრებულ ინტერესს ქალის ცხოვრების თავისებურება სანამ იგი მეუღლე არ გამხდარა, ვიდრე არისტოკრატიულ ოჯახში ცხოვრებას მის არსებაზე კვალი არ დაუმჩნევია. ბალზაკი აღნიშნავს რომანის ბოლო ნაწილში, რომ „ახალგაზრდა ქალის სახე სუფთაა და აუმღვრეველი, როგორც ტბის წყნარი ზედაპირი. ამ დროს მასზე სიახალგაზრდავისა და სიყვარულის ზერელე ფიქრებით გამოწვეული თეთრი და ვარდის ფერები განირჩევიან მხოლოდ. მწერლის თქმით, ქალის სახეს თავისებურება მხოლოდ მას შემდეგ დაეტყობა, როცა იგი ოჯახური ცხოვრების სიმძიმეს გადაიტანს, როცა სიხარულისა და წუხილის ყველაზე მძლავრი გამოვლინებანი ბოლოს და ბოლოს გამოცვლიან მის გარეგნობას, დაამახინჯებენ მის პირისახეს — უთვალავი ნაოჭით დაღარავენ მას. ამ დროს, მწერლის თქმით, ხელოვანს შეუძლია ქალის სახეზე არსებული თითოეული ნაოჭის საიდუმლო ენა მოისმინოს.

სწორედ ამგვარი შემოქმედებითი პრინციპით უდგება ბალზაკი თავისი გმირის ჟიული ეგლმონის სახის ჩვენებას. იგი საოცარი ოსტატობით წარმოგვიდგენს, თუ როგორ ხდება ჟიულის პიროვნების გარდაქმნა მარკიზ ეგლმონის მეუღლედ გახდომის შემდეგ, გვიჩვენებს თუ როგორ იმსხვრევა ახალგაზრდა ქალის ილუზიები არისტოკრატიულ ოჯახში ცხოვრებაზე, „რომელიც თითქოს უნაკლოა მაღალი საზოგადოების თვალსაზრისით, მაგრამ საშინელია და შემაძრწუნებელი სინამდვილეში“.

ტიპიური გარემოს საკითხის შესწავლის ისტორიის თვალსაზრისით, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია დიდი რუსი მოაზროვნის ნ. დობროლუბოვის სტატია, „სინათლის სხივი ბნელეთის სამეფოში“.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ დობროლუბოვმა ამ სტატიაში გაუსვა ხაზი ოსტროვსკის შემოქმედების ისეთ თავისებურებას, რაც მთელი რეალისტური მწერლობის ძირითად ნიშანს წარმოადგენს. მან აღნიშნა კერძოდ, რომ ოსტროვსკის პიესები ინტრიგის, ან ხასიათების დრამებს კი არ წარმოადგენენ, არამედ მათში ძირითადი ყურადღება დათმობილი აქვს ცხოვრებისეულ მდგომარეობას. დიდი რუსი მოაზროვნე ამ წერილში შესანიშნავ ანალიზს იძლევა იმისას, თუ როგორ ხდებოდა ჩამორჩენილი რუსეთის საზოგადოებრივი ყო-

ფის უარყოფითი მხარეების გაბატონება პიროვნებაზე XIX საუკუნის პირველ ნახევარში. არსებითად კი დობროლუბოვის აღნიშნული აზრები წარმოადგენს მისი თანამედროვე რუსული მწერლობის საუკეთესო ნიმუშების მონაცემთა განზოგადოებას. გარემო როგორც პიროვნების შინაარსის თავისებურებათა ფორმირების საფუძველი, როგორც ადამიანის მოქმედებისა და აზროვნების თავისებურების მთავარი განმაპირობებელი ობიექტური მოვლენა იქცა რეალისტური მხატვრული ლიტერატურის ინტერესის ძირითად საგნად. შეიძლება ითქვას, რომ რეალისტურ ხელოვნებაში სიმართლის ძირითად საზომად უნდა მიჩნეულ იქნეს ის, თუ რაოდენი სალრმით შესძლებს ხელოვანი პიროვნებისა და მისი ცხოვრების გარემოს ურთიერთობის მხატვრულ ჩვენებას.

ნ. დობროლუბოვი ოსტროვსკის პიესა «ჭექა-ქუხილის“ ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიიჩნევდა იმას, რომ მასში ავტორმა მოახერხა გარკვეული ისტორიული პერიოდის საზოგადოებრივი მოვლენის — „სამოდურობის“, როგორც გარემოს, სწორი გამოსახვა. პიესაში ასახული პერიოდი ის დროა, როდესაც ნათელი გახდა, რომ „სამოდურების“ — დიკოის, კაბანოვას და მათი მსგავსების მდგომარეობა უკვე აღარც ისე მტკიცეა, როგორიც იგი იყო „პატრიარქალური ზნეობის ნეტარ დროს“. თავის დროზე პიესა „ჭექა-ქუხილის“ კრიტიკოსები ავტორს უსაყვედურებდნენ იმის გამო, რომ მასში ბევრი ისეთი პერსონაჟია გამოყვანილი, რომლებიც უშუალოდ არ იღებენ მონაწილეობას პიესის ძირითად ინტრიგაში. ნ. დობროლუბოვმა კარგად შენიშნა, რომ სწორედ ეს პერსონაჟები ქმნიან პიესაში ტიპიურ გარემოს და ამის გამო ისინი ისევე აუცილებელნი არიან ნაწარმოებისათვის როგორც მთავარი პერსონაჟები, რამდენადაც გვიხატავენ იმ მდგომარეობას, რომელშიაც ხდება პიესაში მოცემული მოქმედება. ნ. დობროლუბოვი აღნიშნავდა: იმისათვის, რომ კარგად გავიგოთ რომელიმე მცენარის ცხოვრების თავისებურება, იგი უნდა იმ ნიადაგზე შევისწავლოთ, რომელზედაც იზრდება. თუ მას ნიადაგს მოვაცილებთ, მაშინ ხელში შეგვრჩება მხოლოდ ფორმა მცენარისა და მისი ცხოვრების შესახებ დანამდვილებით ვერაფერს შევიტყობთ. ასევე ვერ გავიგებთ რომელიმე პერიოდის საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურებას, თუ მას განვიხილავთ მხოლოდ იმ რამოდენიმე პიროვნების ურთიერთობათა მიხედვით, რომელნიც რაიმე მიზეზმა ერთმანეთთან შეახვედრა: აქ იქნება მხოლოდ საქმიანი, ოფიციალური მხარე ცხოვრებისა, იმ დროს, როცა სინამდვილეში საინტერესოა მისი ყოველდღიური მხარე. ნ. დობროლუბოვის თქმით, ცხოვრებისეული დრამის უმოქმედო, გარეშე მონაწილენი, რომელნიც თითქოს ყველა საკუთარი საქმითაა გატაცებული, [illegible] მხოლოდ და მხოლოდ თავისი არსებობით იმდენ გავლენას ახდენენ საქმის ვითარებაზე, რომ მისგან თავის დაცვა შეუძლებელი ხდება.

ტიპიური გარემოს გამოსახვის სამაგალითო ნიმუშებს იძლევა ქართული ლიტერატურის კლასიკოსების შემოქმედება.

ილ. ჭავჭავაძის მოთხრობა „კაცია-ადამიანის ერთ-ერთ ძირითად ღირსებათაგანს ლუარსაბ და დარეჯან თათქარიძეების სახეთა გარდა წარმოადგენს ის, რომ მასში რეალიზმის დიდი ძალითაა გამოსახული საზოგადოებრივი გარემო. საერთოდ ილიას მიერ ბატონყმობის თემაზე შექმნილი თხზულებების მნიშვნელოვანი, არსებითი თავისებურება მათ ისტორიულ-კონკრეტულობაში მდგომარეობს. მწერალმა როგორც „გლახის ნაამბობით“, ისე „კაცია ადამიანით“ და „ოთარაანთ ქვრივით“ ქართველი თავადაზნაურობის ცხოვრების სხვადასხვა პერიოდები გაიხადა მხატვრული გამოსახვის მიზნად. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაწარმოებებში ილია არსად არ ასახელებს არც ერთ თარიღს, მას ისე ოსტატურად აქვს შენიშნული და წარმოსახული თითოეული ამ პერიოდთაგანის საზოგადოებრივი გარემოს დამახასიათებელი ტიპიური თავისებურებანი, რომ ჩვენ ზუსტად შეგვიძლია განვსაზღვროთ, თუ რა ეპოქას ეხება თითოეული ეს მოთხრობათაგანი. კერძოდ, „კაცია-ადამიანის“ ისტორიულ შინაარსზე მიგვითითებს არა მხოლოდ ის, რომ გლეხობაში უკვე ფესვგადგმულია ბატონყმობის გადავარდნის იდეა, არამედ უწინარეს ყოვლისა თვით მოთხრობაში წარმოსახული სურათები, რომლებიც ლუარსაბისა და დარეჯანის ცხოვრებას ისე წარმოგვიდგენენ, რომ ვგრძნობთ — მათი შემდგომი არსებობა უკვე არა მხოლოდ ლოგიკურ, არამედ ყოველგვარ რეალურ აზრს მოკლებულია. ამის მიხედვით, გადაგვარების უკანასკნელ საფეხურამდე მისული თავადაზნაურობის ცხოვრებისა და მისდამი შეგნება გაღვიძებული გლეხობის დამოკიდებულების თვალსაზრისით წარმოდგენა გვექმნება ამ პერიოდის საზოგადოებაზე და პოლიტიკურ გარემოზე.

ასევე რომ ავიღოთ ილია ჭავჭავაძის მოთხრობები „გლახის ნაამბობი“ და „ოთარაანთ ქვრივი“ დავინახავთ, რომ აქ ქართულ საზოგადოების ისტორიის სხვა პერიოდებთან გვაქვს საქმე. თუ „გლახის ნაამბობი“ ასახავს იმ ეპოქას, როცა არისტოკრატიული კლასის გადაგვარება ჯერ კიდევ არ იყო მისული იმ ზომამდე, რასაც ჩვენ „კაცია-ადამიანში“ ვხედავთ (თუმცა საზოგადოების წიაღში შინაგანი წინააღმდეგობანი უკვე უაღრესად დაძაბულია), „ოთარაანთ ქვრივში“ ნაჩვენებია ბატონყმობის

გაუქმების შემდგომი პერიოდი, დაახლოებით 80-90-იანი წლები XIX საუკუნისა, როდესაც ევროპულად განათლებული თავად-აზნაურობის წარმომადგენლები ცდილობდნენ შეგუებოდნენ კაპიტალიზმის განვითარების შედეგად ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს და ამით პრივილეგირებული მდგომარეობა შეენარჩუნებინათ.

როგორც ვხედავთ, წარსულის ლიტერატურული მიმართულებებიდან რეალისტური მწერლობა იძლევა გარემოს მხატვრული წარმოსახვის საუკეთესო ნიმუშებს. როგორც უკვე აღინიშნა, კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრების შემდეგ გარემოს მხატვრული ასახვა იქცა რეალისტური ლიტერატურის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად, ტიპიურ სახეთა შინაგანი დამაჯერებლობის შინაარსად. და სწორედ ეს მხარე რეალიზმისა — სახელდობრ პრინციპი ტიპიური სახეების გამოსახვისა ტიპიურ გარემოსთან ურთიერთობაში წარმოადგენს იმ ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემოქმედებით პრინციპს, რომელიც სოციალისტური რეალიზმის მწერლობამ მემკვიდრეობით მიიღო კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურისაგან და ახალი შინაარსით გაამდიდრა იგი. სოციალისტური რეალიზმის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებათაგანს წარმოადგენს ის, რომ იგი ემყარება საზოგადოებრივი სინამდვილის მოვლენათა სწორი შემეცნებისა და ახსნის მსოფლმხედველობას, რაც მწერლებს საშუალებას აძლევს მომავლის თვალით შეხედონ ცხოვრებას, დაინახონ სინამდვილე მის განვითარებაში, გამოსახონ არა მხოლოდ აწმყოს მაჩვენებელი სურათები, არამედ მომავლის იდეალებიც.

საბჭოთა მწერლობის შემოქმედებითი მეთოდი საშუალებას იძლევა უფრო მეტი სისწორით და სიღრმით იქნეს შეცნობილი გარემოს მოვლენების შინაარსი. სწორედ ამ მეთოდითაა შექმნილი სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებლის მ. გორკის ნაწარმოებები. რომლებშიაც მწერალმა დიდი მხატვრული დამაჯერებლობით გვიჩვენა ჩვენი ქვეყნის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენები. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია მ. გორკის ეპოპეა „კლიმ სამგინის ცხოვრება“ რომელიც სამაგალითოა გარემოს წარმოსახვის სისავსის თვალსაზრისით, რამდენადაც მასში ნაჩვენებია, რუსეთის საზოგადოებრივი განვითარების ძირითადი ეტაპები ორმოცი წლის მანძილზე, სამოცდაათიანი წლებიდან 1917 წლამდე. ნაწარმოები წარმოდგენას გვიქმნის ამ პერიოდის ყველაზე ძირითად მოვლენებზე: 1905 წლის რევოლუციაზე პირველ მსოფლიო ომზე. თებერვლის რევოლუციაზე, გვიჩვენებს ლენინის ჩამოსვლას პეტროგრადში 1917 წლის აპრილში. „კლიმ სამგინის ცხოვრებაში“ მაქსიმ გორკიმ მოგვცა თემად აღებული პერიოდის რუსეთის სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების გარემოს უბადლო სურათები. სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებლის ეს ნაწარმოები გვიჩვენებს, თუ როგორ ხდებოდა რუსეთის საზოგადოების სხვადასხვა წრეების ტიპიურ წარმომადგენელთა ხასიათების განვითარება 40 წლის მანძილზე, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპებზე გარემოს ცვლილებათა შესაბამისად.

გორკის თავის ეპოპეაში გამოყვანილი ჰყავს 500-მდე პერსონაჟი. მიუხედავად სახეთა ასეთი სიმრავლისა მწერალმა შეძლო მოეცა უაღრესად მკვეთრი ინდივიდუალობის მატარებელი სახეები, მოახერხა გაეხსნა ცხოვრების ტიპიური შინაარსი. ძირითად საფუძველს, რამაც განაპირობა მ. გორკის შემოქმედებითი გამარჯვება ამ შემთხვევაში წარმოადგენს ის, რომ მწერალმა რუსეთის სინამდვილიდან აღებული ადამიანები გვიჩვენა მათ დამოკიდებულებაში საზოგადოებრივი ცხოვრების ტიპიურ მოვლენებთან, რომელთაგანაც ძირითადს წარმოადგენს ჩვენება იმისა, თუ როგორ ხდებოდა რევოლუციის განვითარება რუსეთის სინამდვილეში და როგორი იყო ადამიანთა დამოკიდებულება ცხოვრების განვითარების იმ ძირითად მოვლენასთან, რომელიც მის პერსპექტივას წარმოადგენდა.

კლიმ სამგინის სახე ითვლება ერთ-ერთ ყველაზე ფართო განზოგადოებად მ. გორკის მიერ შექმნილ სახეთა შორის. მისი საშუალებით მწერალმა გვიჩვენა მეშჩანობის ტიპიური წარმომადგენელი, წარმოსახა უაღრესად მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენის არსი, გვიჩვენა მისი ისტორიული დაღუპვის აუცილებლობა რუსეთის პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებასთან კავშირში. ის სურათი რომანიდან, რომელშიაც ნაჩვენებია ვ. ი. ლენინის ჩამოსვლა პეტროგრადში და კლიმ სამგინის გათელვა ხალხის მიერ წარმოადგენს ნაწარმოებში გამოსახული საზოგადოებრივი სინამდვილის ტიპიური გარემოს უმნიშვნელოვანეს კომპონენტს.

სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი მეთოდი გულისხმობს გარემოს ტიპიზირების პრინციპებისა და ხერხების მრავალფეროვნებას. ეს ფართო შესაძლებლობას ქმნის საბჭოთა მწერლების ინდივიდუალური შემოქმედებითი თავისებურებების გამოსავლინებლად, რაც გარემოს სრულყოფილი მხატვრული სურათების, განუმეორებელი ხასიათების შექმნის ძირითადი პირობაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ნადირაძე

★

# სენსორული ესთეტიკის საკითხი

1.

ადამიანი შეგრძნებათა საშუალებით ამყარებს კონტაქტს გარესამყაროსთან: ფერებს **ვხედავთ** (მხედველობითი შეგრძნებები), ტონები და ხმაური **გვესმის** (სმენითი შეგრძნებები), საგნებს **ვეხებით** (შეხებითი შეგრძნებები), ან მათ **სუნსა** თუ **გემოს** განვიცდით (სუნისა და გემოს შეგრძნებები) და ა. შ. ამიტომ ბუნებრივია, რომ ესთეტიკაში დიდი ხანია წარმოიშვა საკითხი ადამიანის სენსორული (შემგრძნები) აპარატის ესთეტიკური ღირებულების შესახებ.

ყველაზე გავრცელებულად უნდა ჩაითვალოს ის შეხედულება, რომელსაც შევხვდებით, მაგალითად, აკად. დ. უზნაძის ფსიქოლოგიურ შრომებში. ესთეტიკურ ორგანოებად, წერს იგი, პირველ რიგში უნდა ჩაითვალოს თვალი და ყური, რომლებიც გვაწვდიან სახვითი ხელოვნებისა და მუსიკის მასალას. გარდა ამისა, ხელოვნება სარგებლობს სხვა მასალითაც: მოძრაობით (ქორეოგრაფიული ხელოვნება) და სიტყვით (მეტყველებითი ხელოვნება). რაც შეეხება სხვა სენსორულ მასალას, მაგალითად, გემოს, სუნს, შეხებას, ტემპერატურას — მათ ესთეტიკურ ღირებულებაზე ლაპარაკი დაუსაბუთებელია. მართალია, ზოგიერთი ლაპარაკობს სუნის ესთეტიკაზე (გიუიო), შეიძლება გემოს ესთეტიკაზედაც, მაგრამ შეუძლებელია პარიფიუმერია და გასტრონომია ხელოვნების დარგებად იქნან მიჩნეული. სუნი და გემო იმდენად მჭიდროდ არიან ჩვენს ბიოლოგიურ მოთხოვნილებებთან დაკავშირებული, რომ ამათ გარეშე რაიმე მხრივ მათი დამოუკიდებელი ღირებულების შესახებ ლაპარაკი ზედმეტი იქნებოდა. უკანასკნელ ხანებში ლაპარაკია ვიბრაციის ესთეტიკური ღირებულების შესახებაც. მაგრამ უეჭველია, რომ ჯანსაღი, ნორმალური ადამიანისათვის ყოველ შემთხვევაში მას არავითარი ესთეტიკური ღირებულება არა აქვს. შესაძლებელია ყრუ-მუნჯთათვის ეს ასე არ იყოს. მაგრამ მაშინ შეხებითი ესთეტიკური გრძნობის შესახებაც უნდა ვილაპარაკოთ, იმიტომ, რომ უსინათლონი ზოგიერთი ესთეტიკურ განცდის მიღებას მხოლოდ შეხებით ახერხებენ. (დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1940, გვ. 480-481).

დავუკვირდეთ მოყვანილი ამონაწერების აზრებს და ჩვენ ადვილად მივხვდებით, რომ აქ ყველაფერი რიგზე არაა. ჯერ ერთი, სენსორული მოდალობის თვალსაზრისით მეტყველებისა და სმენითი ხელოვნების ესოდენ მკვეთრ დაპირისპირებას არავითარი საფუძველი არა აქვს, ვინაიდან სიტყვაც სმენითი ფენომენია და განსაზღვრული თვალსაზრისით პოეზია და მუსიკა ტონალური ხელოვნების სფეროს განეკუთვნებიან.

მეორე: გაუგებარია, თუ უსინათლონი შეხებით ახერხებენ ზოგიერთი ესთეტიკური განცდის მიღებას, მაშინ რა საფუძველი გვაქვს უარვყოთ შეხების ესთეტიკური მნიშვნელობა საერთოდ. ვის შეუძლია დაამტკიცოს, რომ ნორმალური მხედველობა ხელს უშლის სილამაზის შეგრძნებას შეხების საშუალებით? დ. უზნაძის მიერ მოყვანილი მაგალითი სწორედ ამ უკანასკნელის სასარგებლოდ ლაპარაკობს და არა პირიქით.

აღსანიშნავია ისიც, რომ ფრანგი ესთეტიკოსის ჟან-მარი გიუიოს აზრით, ესთეტიკური ღირებულება გააჩნია არა მარტო სუნის, არამედ შეხებისა და გემოს შეგრძნებებსაც. („Les problemes del esthetique“, VI).

ამავე შრომის მეორე ალაგას აკად. დ. უზნაძე სამართლიანად მიუთითებს იმ განსხვავებაზე, რომელიც სუნსა და გემოს შორის აღინიშნება ესთეტიკური ღირებულების თვალსაზრისით: „სუნის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ იგი... შედარებით დისტანტური (შორითი) გრძნობაა: გალიზიანებას შორიდან გრძნობს; და მეორე—არა მარტო ჭამა-სმას ემსახურება, არამედ თავისთავადაც ღირებულებას შეიცავს. ამიტომაა, რომ კულინარია, რომელიც გემოს შეგრძნებათა ნიადაგზე აგებულ ხელობას წარმოადგენს, ეგოდენ განსხვავებულია პარფიუმერიისაგან, რომელსაც სუნის შეგრძნების კულტურა აქვს მხედველობაში: ამ უკანასკნელს უფრო მეტად აქვს აბსტრაქტული, არა ვიტალური ხასიათი, ვიდრე პირველს, და ამიტომ უფრო ახლო დგას ხელოვნებასთან, ვიდრე პირველი“. (იქვე, გვ. 225).

როგორც ხედავთ, აქ აკად. დ. უზნაძის მსჯელობას შედარებით ნაკლებ კატეგორიული ხასიათი აქვს.

ეს ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივი მსჯელობანი ისეთი კომპეტენტური ფსიქოლოგისა, როგორიც დ. უზნაძეა, იმაზე მეტყველებს, რომ ე. წ. დაბალ შეგრძნებათა ესთეტიკური ღირებულების პრობლემა დღემდე არ არის შესაფერად შესწავლილი და გარკვეული.

ჩვენ გვინდა რამდენიმე მოსაზრება გამოვთქვათ სუნისა და გემოს ესთეტიკურ ღირებულებაზე.

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ დაბალ შეგრძნებათა ესთეტიკურ უნარს იმდენად მკვეთრად გამოხატული პიროვნული ხასიათი აქვს, რომ ჩვენ იძულებული ვართ ეს არსებითად დამახასიათებელი გარემოება პრინციპულ დებულებად ჩავთვალოთ. ჩვენი აზრი ასე უნდა გაიშალოს: სუნი, გემო, შეხება, კინესთეტური და ვიბრაციის შეგრძნებები ესთეტიკურ სიამოვნებას გვანიჭებენ იმდენად, რამდენადაც თვითონ პიროვნება არის დაჯილდოვებული ამ სპეციფიკური უნარით. როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი არ შეიძლება ჩაითვალოს საყოველთაო ადამიანურ უნარად. ზოგიერთის დაბალი შეგრძნებები გამახვილებულია ესთეტიკური გაღიზიანებისათვის, ზოგიერთისა კი მეტად თუ ნაკლებად დახშულია, თუმცა არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ამ შემთხვევაშიც ყოველი ადამიანი ძნელად ან ადვილად ემორჩილება სათანადო აღზრდასა და გაწრთვნას.

ცხადია, ასეთი კონცეფციის შუქზე შეუძლებელი იქნებოდა გველაპარაკა ლუარსაბ თათქარიძისა და დარეჯანის ტიპის ადამიანთა გურმანულ ესთეტიკაზე (gourmand ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს ფაქიზ გემოვნებას საკვების მიმართ), მაგრამ ამდენადვე სრულიად უსაფუძვლოდ უნდა ჩაგვეთვალა კატეგორიული აზრი იმის შესახებ, თითქოს ყანმარი გიუიოს არავითარი ესთეტიკური განცდა არ ჰქონდა, როცა ის პირინეის მთებში ახლად მოწველილ რძეს სვამდა.

ქართველი მწერლებიდან შეგვეძლო დაგვესახელებინა, თუნდაც, ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელსაც, უეჭველია, მხედველობაში აქვს ღვინის ესთეტიკური შეგრძნება, როცა ის არაგვის პირზე ცხენიდან ჩამოქვეითებულ მგზავრის შესახებ წერს:

ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს,
ოდეს შვენება თქვენი იხილოს...
რომ თქვენს ბუჩქებში არა ჩამოხდეს,
რაც უნდა გზასაც ეშურებოდეს!
როგორ იქნება არ განისვენოს?
სამჯერ ხომ მაინც გადაჰკრავს ღვინოს...

ამრიგად, როდესაც დაბალი შეგრძნებების ესთეტიკურ განცდაზე ვლაპარაკობთ, უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად საკითხი ეხება შემგრძნები სუბიექტის ფსიქო-ფიზიოლოგიურ ორგანიზაციას, მის შინაგან უნარს — იმდენად გათავისუფლდეს წმინდა ვიტალური ინსტინქტებისაგან, რამდენადაც ეს საკმარისი აღმოჩნდება ესთეტიკური განცდის წარმოსაშობად.

ბიოლოგიური მოთხოვნილება საყოველთაოა და ადამიანი ამ მოთხოვნილებით ენათესავება ცხოველთა სამეფოს. მაგრამ ბიოლოგიურ ინსტინქტებთან დაკავშირებულ ესთეტიკურ განცდებს, როგორც ჩანს, ასეთი საყოველთაო მნიშვნელობა არ ახასიათებს და ზოგიერთების კატეგორიული პოზიცია დაბალი შეგრძნებების ანესთეტიკურ ბუნებაზე შეიძლება სწორედ ამ გარემოებასაც ემყარებოდეს. ჩვენ ასეთი ფაქტები მხოლოდ გამონაკლისად მიგვაჩნია და არა ტიპიურ მოვლენად. განა მაღალი შეგრძნებების სფეროში კი არ შეგვხვედრია ისეთი კაცი, რომელსაც არავითარი მუსიკალური სმენა არ გააჩნია? ასეთი მოვლენები მხოლოდ სამწუხარო მოვლენებია და მეტი არაფერი.

ადამიანი გახვეულია ბუნების მშვენიერებათა საბურველში და სილამაზის ფენომენები გრძნობათა ყველა ორგანოდან იჭრებიან ჩვენს სულში. მაგრამ იმისათვის, რომ ადამინმა განიცადოს ყოველივე ეს, საჭიროა ჯერ მის შინაგან სამყაროში აღმოჩნდეს ისეთი სპეციფიკური ენერგია, რომელიც გამოაღვიძებს მას ესთეტიკურ ექოს.

სილამაზის განცდაში ადამანის სული მიაგავს ეოლოსის ქნარს, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს სენსორული გზებით შემოჭრილ ობიექტურ მოძრაობას. არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვამტკიცოთ, რომ სილამაზეს გვაგრძნობინებენ მხოლოდ თვალი და ყური, ხოლო შეგრძნებათა სხვა ორგანოები გადარაზულნი არიან გარესამყაროსთან ასეთი ესთეტიკური კონტაქტისათვის.

## 2.

მოვილაპარაკოთ ახლა უფრო სპეციალურად სუნისა და გემოს შეგრძნებათა ესთეტიკურ ღირებულებაზე.

სუნი როგორც დისტანტური გრძნობა ერთგვარად ენათესავება მხედველობას და სმენას. მიუხედავად იმისა, რომ ცხოველებთან შედარებით ადამიანს იგი ნაკლებად განვითარებული აქვს, „ობიექტურ ნივთიერებათა ათვისებაში იგი თვალსაც კი აღემატება, როგორც დამხმარე საშუალება" (ებინგჰაუზი).

სუნთა სამყარო თავისი მრავალფეროვნობით დიდად სჭარბობს ფერებსაც და ტონებსაც. დედამიწაზე უფრო მეტი საამური არომატებია, ვიდრე საღებავები და ბგერები. მათთან შედარებით სუნის შეგრძნების დიაპაზონიც მნიშვნელოვნად ვრცელია და დამტევ-

ებინგჰაუზი აღნიშნავს, რომ ნატრიუმის უმცირესი რაოდენობა, რომელსაც გაარჩევს თვალი სპექტრალური ანალიზის დროს, თითქმის 250-ჯერ მეტია მერკაპტანის იმ უმცირეს რაოდენობაზე, რომელიც შეიძლება ადამიანმა შეიყნოსოს.

ამ მრავალფეროვანობით აიხსნება ის სირთულე, რომელსაც აწყდება სუნთა კლასიფიკაციის ცდები. იგი არ არის გადაწყვეტილი არც ლინესი და ცვაარდემაკერის, არც ჰენინგის უკანასკნელ ცდაში (H. Henning, Der Geruch. 1 Aufe, 1916).

შესაძლებელი რომ იყოს ყნოსვის ფენომენთა გადატანა ტილოზე, სურნელების ფერწერა უდავოდ დაჩრდილავდა კოლორიტის ფერწერას.

წარმოიდგინეთ ბუნება სურნელებათა გარეშე და თქვენ მიხვდებით, რა მდიდარ ესთეტიკურ საუნჯეებს იქნებოდა მოკლებული იგი და მასთან ერთად ადამიანიც.

ბუნების სიტურფეთა შორის შეიძლება ყველაზე ნაზი ესთეტიკური სიყვარული ეკუთვნის ყვავილებს. „ყველა ენაზე ყვავილი გამოხატავს მშვენიერების სიმბოლოს". ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ პოეზიის ყვავილებზე ხელოვნების აყვავებაზე, პოეტების ან მჭევრმეტყველების ყვავილოვან ენაზე. „ყვავილები მუდამ იყვნენ და არიან ადამიანის განუშორებელი თანამგზავრები..." (პაოლო მანტეგაცა). ისინი ამშვენიერებენ მისი ცხოვრების საუკეთესო წუთებს და ისინივე მიაცილებენ მას უკანასკნელ ნავსაყუდელთან. გავიხსენოთ თქმულება აბესალომსა და ეთერზე, სადაც ქართველმა სახალხო მგოსნებმა ვარდისა და იის სიმბოლოებით გამოხატეს სიყვარულის დაუძლეველი ვნება.

მაგრამ ვინ დაეჭვდება იმაში, რომ ყვავილების ესთეტიკური მომხიბვლელობა მიეწერება არა მარტო მათ საუცხოო ფორმებს, მოკაშკაშე ან ჩაბინდულ ფერებს, რომელთაც უხვად სესხულობენ ფერწერის ოსტატები, არამედ მათ საამო, დამათრობელ სურნელებასაც.

ბარათაშვილმა გრძნობიერი სტრიქონები უძღვნა მინდვრის ყვავილთა „გუნდრუკის კმევას":

ძირს გაშლილს, ლამაზს ველსა ყვავილნი
მოჰფენენ ვითა ტაბლას წმინდასა,
და ვით გუნდრუკსა სამადლობელსა შენდა
აღკმევენ სურნელებასა!

ვარდსა და ღვინოს იმდენივე მომღერალი ჰყავთ მსოფლიო პოეზიაში, რამდენიც ულამაზეს ქალებს.

ვარდის უდიდესი ტრუბადური იყო ვეფხისტყაოსნის გენიალური შემოქმედი. რუსთაველის ფაქიზმა ესთეტიკურმა გემოვნებამ შეიწოვა ვარდის პოეზიის მთელი სურნელება და მიანიჭა მას პოეტური გამოთქმის მომხიბვლელი კრისტალური ფორმები. და სწორედ რუსთაველივე გვეტყვის, რომ ვარდის უბადლო სილამაზეს მარტოოდენ მისი „ტურფა ფერობა" კი არ ჰქმნის, არამედ დამატკბობელი სურნელებაც:

ვარდი თუ გახმეს ეგრეცა ვემართებს მისივე
ჯერობა:
მისივე ჰმეტობს ყოველსა სული და ტურფა
ფერობა.

ჩაუარეთ ყვავილნარს, სადაც სხვადასხვა ჯიშები მწკრივად მისდევენ ერთმანეთს და თქვენ ისუნთქებთ სურნელების უნაზეს მელოდიებს. ნაირნაირ ყვავილთა კრებულები და ადამიანის ხელით შეკრული თაიგულები კი სურნელების მომხიბვლელ აკორდებს ჰქმნიან.

ესტუმრეთ მინდორს, ნაწვიმარ ბაღებს, როცა მიწა და მცენარეები საუცხოო სუნს აკმევენ ჰაერში, და თქვენ შეგიძლიანთ სთქვათ, რომ მოისმინეთ წარმტაცი არომატების უხმო პასტორალური სიმფონია.

ქვეყნის არც ერთ მხარეში არ ჰყოლია ღვინოს იმდენი მეხოტბე, რამდენიც აღმოსავლეთში და განსაკუთრებით საქართველოში. მაგრამ სად სძულთ სიმთვრალე და მთვრალი კაცი ისე როგორც ჩვენში? არსად!

ქართველი კაცისთვის ღვინო ესთეტიკური სიამოვნების წყაროა.

ჩვენი ხალხური, ეროვნული თვალსაზრისია გამოხატული ბარათაშვილის პოემის იმ სტრიქონებში, რომელნიც ზევით დავიმოწმეთ, და გრ. ორბელიანის ლექსში „იარალი", სადაც ესთეტიკური კეთილშობილების გრძნობას დაუმორჩილებია და თითქოს სრულიადაც ჩაუნთქავს გასტრონომიული პროცესის ვიტალური ფუნქციები.

ჩემო იარალი, ნეტავი ოდეს
ლხინით აღვსილნი ვსხდეთ ველსა მწვანეს,
ჩვენებურადა,
ძველებურადა,
ვსვამდეთ,
ვიძახდეთ:
იარი-არალი!
ჯეირნის მწვადი შიშინით
ცეცხლზედა დატრიალებდეს,
ყნოსვა, დამტკბარი მის სუნით,
მადასა განგვიღვიძებდეს.

ყურადღება მიაქციეთ ამ პოეტურ სტრიქონებში სურნელების ესთეტიკურ შეგრძნებას (ჩვენ ჯერჯერობით მხოლოდ ყნოსვაზე ვლაპარაკობთ). მთელი ქართული პოეზია ნათლად გაგრძნობინებთ, რა დიდი ესთეტიკური სიტკბოება შეაქვს ღვინოში მის თავისებურ არომატს და მასთან შედარებით რა ღარიბად გვეჩვენებიან წყაროები რომელთაც ყველაფერი აქვთ არომატის გარდა.

ბუნების სურნელებათა სიტურფენი საფუძვლად დაედო პარფიუმერიას, რომელსაც ნატიფი ოსტატები ჰყავს უძველესი დროიდან დღევანდლამდე.

ხელოვანია მეყვავილეც და პარფიუმერიც. მათ ზედმიწევნით აქვთ შესწავლილი სურნელებათა ურთიერთზეგავლენა, კომპენსაცია და განეიტრალება. კარგი თაიგული ესთეტიკურ სიამოვნებას უნდა ჰგვრიდეს როგორც თვალს, ისე ყნოსვას. სურნელებათა აკორდები მხოლოდ მაშინ „ჟღერენ“ ჰარმონიულად, როცა ოსტატმა კარგად იცის თვითეული ყვავილის არომატული მელოდია.

მაგრამ, რა ღარიბია პარფიუმერია ბუნების სურნელებათა სამყაროსთან შედარებით! ეს არის ერთადერთი ოსტატობა, რომელმაც ვერ დაამარცხა ბუნება ფანტაზიითა და გამომგონებლობით.

და მართლაც, შეადარეთ იგი თვალისა და სმენის ოსტატობას — ფერწერას და მუსიკას. ფერებისა და ბგერების რა საუნჯეებიც უნდა გააჩნდეს ბუნებას, ის მაინც უმწეოა კოლორისტებისა და კომპოზიტორების შემოქმედებასთან. ამას ვერ ვიტყვით პარფიუმერიის შესახებ. ის თვითონაა უსუსური ბუნების აურაცხელ სურნელებათა წინაშე.

ამ მხრივ პარფიუმერია დიდად ჩამორჩება კულინარიასაც. ადამიანის გურმანული ვირტუოზობა უფრო ნაყოფიერი აღმოჩნდა, ვიდრე პარფიუმერის გამომგონებლობა, ხელოვნურად მიღებული გემო ისევე აურაცხელია, როგორც ბუნებრივ სურნელებათა სამყარო.

3

რამდენიმე შენიშვნა გემოს შესახებ.

გემო იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული ყნოსვასთან, რომ მისი დამოუკიდებელი ესთეტიკური ღირებულება ძნელად მისაკვლევ ფაქტს წარმოადგენს. მაგრამ ეს უკანასკნელი ფიქსირებულია უკვე ჩვენს მეტყველებაში; როდესაც ჩვენ გვსურს გამოვხატოთ სმენითი ფენომენების ესთეტიკური საამურობა, არაიშვიათად მივმართავთ ისეთ სიტყვას, როგორიცაა „ტკბილი“. გავიხსენოთ, მაგ., ნ. ბარათაშვილის სტრიქონები:

ხმით მშვენიერით,
ტ კ ბ ი ლ ი  ს ი მ ღ ე რ ი თ,
ჰაეროვანო, სულს ელხინები.
. . . . . . . .
მახსოვს სიამით,
ოდეს ტ კ ბ ი ლ ი ს  ხ მ ი თ
ვარდსა და ბულბულს მოელხინარე.

ტ კ ბ ი ლ ი  დ უ დ უ კ ი მოარული პოეტური სახეა საქართველოში.

ეროვნული

სიტყვა დ ა ტ კ ბ ო ბ ა ჩვეულებრივ იხმარება როგორც ესთეტიკური სიამოვნების სინონიმი (ლექსმა და სიმღერამ მსმენელები დაატკბო).

გემოს შეგრძნებათა მოდალობაში შესაძლოა ს ი ტ კ ბ ო ყველაზე ადრე იქნა აღიარებული ესთეტიკური სიამოვნების წყაროდ. ჩვენ შეგვეძლო ბევრი საამისო მასალა მოგვეყვანა ქართული კლასიკური მწერლობიდან. ვეფხისტყაოსანი ხშირად გვაწვდის სიტკბოთი გამოხატულ ესთეტიკურ განცდებს. ასეთებია: „მიიმღერის ხმასა ტკბილსა“ (966,3), „ჩაღანა და ჩანგი ტკბილი“ (101,4), „თქმა ლექსებისა ტკბილისა“ (5,1), „სიტყვა ტკბილი შეეუთვალე“ (438,1), „ენა ტკბილად მოუბარი“ (901,4), „იგი ტკბილნი გონებანი“ (207,2), „სიტკბო მზისა“ (1415,2), „ვარდი ტკბილი“ (1117,2) და სხვა მრავალი. როგორც ამ სახეებიდან ჩანს, რუსთაველი სიტკბოს შეგრძნებას ადარებს როგორც სმენითი, ისე მხედველობითი მოვლენების სიტურფესაც.

ვეფხისტყაოსანში ჩვენ გვაქვს სამი განსაკუთრებით საუცხოო პოეტური სახე, რომლებიც სენსორული ესთეტიკის უბრწყინვალეს ნიმუშებად უნდა ჩაითვალოს.

პირველია ქართული ენის მშვენიერების გამოხატვა სიტკბოთი. მე ვგულისხმობ იმ სტროფს, რომელსაც რუსთაველი წარმოსთქვამს თინათინისა და ავთანდილის პაემანზე:

ყმა ტკბილი და ტკბილ-ქართული, სიკეთისა
ხელის მხდელი,
მზესა ასრე ეუბნების, ვით გაზრდილსა ამო
მზრდელი (710,1-2).

მეორე სახეს შევხვდებით პროლოგის მესამე სტროფში, სადაც თამარ მეფის ხილვით გამოწვეული ესთეტიკური სიამოვნების გრძნობა შედარებულია ეგვიპტური ყანდის (ყინვაშაქრის) სანაქებო გემოსთან:

მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს
მართ მიშერისა,

ე. ი. თამარის ჭვრეტა ისეთივე სიტკბოებას მიანიჭებს ადამიანს, როგორც ყანდის მირთმევაო.

პოეტური მშვენიერებით ამ სტრიქონს უნდა გავუტოლოთ მესამე სენსორული სახე, რომელსაც შაქრის სიტკბოება გადააქვს უკვე ხმაზე: როცა ტარიელი შეხვდება თავის საყვარელ ძმადნაფიცს, რომელიც საიმედო ამბებით

ჩამოვიდა გულანშაროდან, პოეტი გვეუბნება:

ხმა შაქრის-ფერად გაუხდა ვარდსა ხშირ-
ხშირად პობილსა (1335,4).

ჟან-მარი გიუიო მართებულად მიუთითებს, რომ „ქებათა-ქება“ აღსავსეა სენსორული პოეტური სახეებით: „შენი ბაგეების კეთილსურნელება საუცხოო ღვინოს მაგონებს... შენი მკერდი მიაგავს კეთილსურნელოვანი ღვინით სავსე თასს... ო, ღვინოზე უფრო ტკბილია შენი სიყვარული!.. შენთა ბაგეთაგან გადმოდის თაფლი, ჩემო სასურველო... შენი ენა შეზავებულია რძითა და თაფლით... იგემეთ, მეგობრებო, შესვით და დაითვერით სიყვარულით... პირველყოფილი ხალხების პოეტური ნაწარმოებები მდიდარია მსგავსი გრძნობადი მეტაფორებით, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ყველაზე უხეში სიამოვნებანი, რომელთაც ჭამა-სმა გვანიჭებს, არ შეიცავენ არაფერ ანტიპოეტურს: პირიქით, ამ სიამოვნების ოდნავი გახსენებაც კი, როგორც ჩანს, ადვილად უღვიძებდა ესთეტიკურ გრძნობებს პირველყოფილ ადამიანს“.

გურმანული ესთეტიკის ფაქიზმა გემოვნებამ წარმოშვა ევროპელ მხატვართა გასტრონომიული nature morte და ქართული პოეზიის .ისეთი შესანიშნავი ჟანრი, როგორიცაა „ხილთა ქება“.

მაგრამ ჭამა-სმას მაინც იმდენად მკვეთრად გამოხატული ვიტალური ხასიათი აქვს, რომ მასთან შედარებით სურნელებას დიდი უპირატესობა გააჩნია ესთეტიკური განცდის საყოველთაობისა და ინტენსივობის თვალსაზრისით.

უფრო მეტი: ფაქიზი ესთეტიკური კულტურის, მაგრამ მშიერი კაცის ჭამა-სმასთან არავითარი ესთეტიკური განცდა არ უნდა იყოს დაკავშირებული. აი როგორ აგვიწერს გი დე მოპასანი შიმშილისაგან გადალასლასებული ვალტერ შნაპსის ჭამას:

„ვალტერ შნაპსი მიუჯდა ვიღაცის ხელუხლებელ თეფშს და ჭამას შეუდგა და უშველებელ ლუკმებს იყრიდა პირში, თითქოს ეშინოდა, ვინმემ უდროოდ ხელი არ შემიშალოს და გამოძღომა ვერ მოვასწროო. ის ორივე ხელით იტენიდა ნაჭრებს პირში, რომელიც ლიუკის მსგავსად დაელო; და საჭმლის კოშტები, მიარღვევდნენ რა ყელს, ერთიმეორეზე მიყოლებით ეშვებოდნენ კუჭში. დრო და დრო იგი შეჩერდებოდა ხოლმე, თითქოს მზად იყო გამსქდარიყო, როგორც ძალზე გატენილი ნაწლავი. მაშინ იგი აიღებდა ხოლმე სიდრით სავსე ტოლჩას და ჩაირეცხავდა საყლაპავს, როგორც რეცხავენ მონაგვიანებულ მილს. მან მოასუფთავა ყველა თეფში, ყველა ლანგარი და ყველა ბოთლი. მერე სმითა და ჭამით გამობრუჟულმა, გამობენტერებულმა, გაჭარხლებულმა, ბოყინით აქაქაებულმა, გაბრუებული თავით და გაქონილი ტუჩებით, მუნდირი გაიხსნა, იქნებ სული მოვითქვაო, რადგან გრძნობდა, რომ არც ერთი ნაბიჯის გადადგმა აღარ შეეძლო. თვალები ეხუჭებოდა, თავში აზრები ერთმანეთში ერეოდა. მას მძიმედ დაუვარდა თავი მაგიდაზე დაწყობილ ხელებზე და შეუმჩნევლად დაეკარგა წარმოდგენა გარემომცველ საგნებზე და ყველაფერზე, რაც იქ ხდებოდა“. (ნოველა „ვალტერ შნაპსის თავგადასავალი“)

რასაკვირველია, სასაცილო იქნებოდა ლაპარაკი ვალტერ შნაპსის სენსორულ ესთეტიკაზე. მაგრამ ისიც ცხადია, რომ აქ საქმე გვაქვს ადამიანის არანორმალურ მდგომარეობასთან. საერთო კანონად ის გარემოება უნდა მივიჩნიოთ, რომ ესთეტიკური ანტურაჟი, რომელსაც ქართველები სუფრის ლაზათს უწოდებენ, მეტ-ნაკლებად აკეთილშობილებს გემოსთან დაკავშირებულ უხეშ ფიზიოლოგიურ პროცესებს. როგორც სხვა ანალოგიურ შემთხვევებში, ისე აქაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის მორალურ-ესთეტიკურ აღზრდას.

როცა ჩვენ ვამბობთ, რომ სასმელს რაღაც სხვა გემო ეძლევა იმისდა მიხედვით, თუ რომელი სასმისით ვსვამთ, მაგალითად, ბროლის ჭიქით თუ მამაპაპური თასით, ამით ჩვენ ვადასტურებთ, რომ გემოს შეგრძნება ერთგვარად იცვლება სხვა სენსორულ შთაბეჭდილებათა ზეგავლენით. ანალოგიური მაგალითები შეგვეძლო მოგვეყვანა ყნოსვის შეგრძნებათა მასალიდანაც. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ გემოს შეგრძნებები და სურნელებანი ესთეტიკურ ღირებულებას იძენენ მხოლოდ სხვა შეგრძნებათა კომპლექსებში? ასეთი ეჭვი საფუძვლიანი იქნებოდა იმ შემთხვევაში, რომ მსგავსი რამ არ ახასიათებდეს სხვა სენსორულ შთაბეჭდილებებს, კერძოდ, მხედველობას და სმენას. მაგრამ ჯერ კიდევ გუსტავ ტეოდორ ფეხნერმა აღნიშნა, რომ ეს კანონი, რომელსაც მან **ესთეტიკური ასოციაციის კანონი** უწოდა, საყოველთაოა მშვენიერების განცდის ყველა სახეობისათვის.

სუნისა და გემოს ესთეტიკურ მნიშვნელობას ვერც ის გარემოება შეარყევს, რომ ისინი არ ქმნიან ხელოვნების ცალკე დარგებს. ორივენი უმთავრესად ემსახურებიან ბუნების მშვენიერებათა განცდას, ხოლო მათთან დაკავშირებული ესთეტიკური სიამოვნების გამოხატვა შეუძლია მხოლოდ პოეზიას.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ნოდარ კაკაბაძე

★

# „ჰამლეტი ანუ გრძელი ღამე თავის დასასრულს უახლოვდება“

სამწუხაროდ, ჩვენში ალფრედ დობლინს, მე-20 საუკუნის ამ თვალსაჩინო გერმანელ რომანისტს, თითქმის სრულებით არ იცნობენ. ავტორი ისეთი რომანებისა, როგორიცაა „მთები, ზღვები და გიგანტები“, „მანასე“, „ვალენშტაინი“, „ვანგ-ლუნის სამი ნახტომი“, „ბერლინი-ალექსანდერპლაცი“ და სხვა, ევროპასა და ამერიკაში არა ნაკლებ პოპულარულია, ვიდრე ჰაინრიჰ მანი ანდა არნოლდ ცვაიგი.

განსაკუთრებით სახელგანთქმულია ალფრედ დობლინის რომანი „ბერლინი — ალექსანდერპლაცი“, რომელიც 1929 წელს გამოქვეყნდა და 1933 წლამდე 45-ჯერ გამოიცა. თავის დროზე ამ რომანმა დიდი მითქმა-მოთქმა და ხმაური გამოიწვია. მის მიხედვით ფილმიც კი შეიქმნა. აქ აღწერილია ცხოვრება საპყრობილიდან გამოსულ დეკლასირებულ ფრანც ბიბერკოპფისა, რომელსაც პატიოსანი შრომით სურდა ლუკმა პურის შოვნა, მაგრამ რომელიც მწარედ მოტყუვდა. ნაწარმოები ასახავს 20-იანი წლების მიწურულის ბერლინის ფსკერს, ბერლინელ ნაძირალებს, რომლებიც ალექსანდრის მოედანზე და მის მახლობელ ქუჩებში იყრიდნენ თავს.

ალფრედ დობლინმა აქ გერმანულ პროზაში პირველად გამოიყენა ასახვისა და აღწერის ახალი, თავისებური მანერა, რასაც მიმართავდა, აგრეთვე, ამერიკელი პროზაიკოსი ჯონ დოს პასოსი: ესაა ვითარებათა და ამბავთა რეპორტაჟული, ერთგვარად ჩამოთვლითი, ასოციაციური და კინემატოგრაფიული გადმოცემა, სადაც თითქმის ზღვარია წაშლილი ნაფიქრალსა და მომხდარს, ნაოცნებარსა და რეალურს შორის.

...ალფრედ დობლინი დაიბადა 1878 წელს ქალაქ შტეტინში. 1910 წელს სხვებთან ერთად დაარსა ექსპრესიონისტული ჟურნალი — „Der Sturm“, 1915 წელს რომან „ვანგ-ლუნის სამ ნახტომში“ ფონტანეს პრემია მიიღო. დობლინი პროფესიით ექიმი იყო და ხანგრძლივად მუშაობდა ნევროლოგად ბერლინის აღმოსავლეთ ნაწილში ფრანკფურტის ქუჩაზე, ალექსანდერპლაცის მახლობლად.

1933 წელს ნაცისტებმა დაწვეს დობლინის წიგნები, ხოლო თვით მწერალი ანტიფაშისტურ ემიგრაციაში წავიდა. დობლინი ჯერ საფრანგეთში ცხოვრობდა, მერე ამერიკაში.

1946 წელს ალფრედ დობლინი დაბრუნდა სამშობლოში. ის ერთხანს მაინცში მეცნიერებათა და ლიტერატურის აკადემიის პრეზიდენტი იყო, სცემდა ჟურნალს „Das goldene Tor“.

1955 წელს პარიზს გადავიდა საცხოვრებლად, ხოლო 1957 წელს გარდაიცვალა დასავლეთ გერმანიის ქალაქ ემენდინგენის საავადმყოფოში, — 78 წლისა.

...თავისი უკანასკნელი რომანის წერა ალფრედ დობლინმა 1945 წელს ჰოლივუდში (კალიფორნია) დაიწყო: დაასრულა იგი ბადენბადენში 1946 წელს, როდესაც აქ საფრანგეთის საოკუპაციო ჯარში მუშაობდა.

რომანში—„ჰამლეტი ანუ გრძელი ღამე თავის დასასრულს უახლოვდება“ მოთხრობილია ერთი ინგლისური ოჯახის დაშლა. ბიურგერული ოჯახის ეს რღვევა სიმბოლურად, და ამავე დროს en miniature, გამოხატავს მთელი ბიურგერული საზოგადოების, ბიურგერული კულტურისა და ბიურგერული ეპოქის აღსასრულს.

ედუარდ ელისონი, ცნობილი მწერლის გორდონ ელისონის ვაჟი, ომიდან შინ ფეხმოჭრილი, კონტუზირებული და ილუზიებშემოფანტული ბრუნდება. ფიზიკურ ტანჯვაზე გაცილებით ძლიერი შეძრწუნებაა, რომელიც ახალგაზრდა ინგლისელს თან გამოჰყვა II მსოფლიო ომის ბრძოლებიდან. მისთვის გაუგებარია მასიური ჟლეტისა და განადგურების აზრი და მიზანი. იგი ყოველ შემხვედრსა თუ სტუმარს დაჟინებით ეკითხება ცხოვრების აზრისა და ომის მიზნის თაობაზე. ედუარდისათვის შესამჩნევი ხდება, აგრეთვე, რომ თვით მისსავე ოჯახში ყველა ყველას მტერია, რომ ადამიანები, რაგინდ ახლობლებიც არ უნდა იყვნენ ისინი (და-ძმა, მამაშვილი, ცოლ-ქმარი), ერთმანეთის მიმართ უცხოობას, სიშორეს გრძნობენ.

ფსიქიატრ კინგის თანხმობით, რომელიც ედუარდს მკურნალობს, მისიანები გადაწყვეტენ სულიერად ტრავმირებული გაართონ, გამოიყვანონ შავნაღვლიანობიდან ამბების თხრობით. და იკრიბება პატარა საზოგადოება, რომლის წევრები რიგრიგობით ყვებიან რაიმე საინტერესო ამბავს (აქ კაცს მსოფლიო ლიტერატურაში უამრავი ნაწარმოები გაახსენდება, სადაც ანალოგიური ხერხია გამოყენებული დაწყებული „დეკამერონითა“ და გათავებული, თუნდაც, ჩვენი „ლაშაური საღამოებით“).

ალფრედ დობლინის ამ რომანში პერსონაჟები ყვებიან ცნობილ, საყოველთაოდ გავრცელებულ ამბებს, მაგრამ ისინი ცდილობენ სუბიექტური, ინდივიდუალური ინტერპრეტაცია მისცენ ამ

პოპულარულ ისტორიებს. ისინი მოწადინებულნი არიან მკვეთრად გამოყონ ერთმანეთისაგან Dichtung და Wahrheit, გვიჩვენონ, თუ რა მძაფრი წინააღმდეგობაა მათ შორის.

ამ ჩართულ ამბებს არავითარი სიუჟეტური და პირდაპირი ლოგიკური კავშირი არა აქვთ რომანის ძირითად შინაარსთან, მათი მიმართება ნაწარმოების იდეასთან სიმბოლიურია.

შეიმჩნევა, აგრეთვე, ტენდენცია ამ ამბებში ჩაქსოვილი, თაობიდან თაობამდე გადმოცემული, საუკუნეთა განმავლობაში გამჯდარი და განმტკიცებული ტრაგიზმისა და ჰეროიზმის პაროდირება-გაშარჟებისა. კარგად შეუნიშნავს გერმანელ ლიტერატორს არნოლტ ბრონენს. იმ დროს, როცა თომას მანმა ბიურგერული კულტურისა და ცივილიზაციის მიწურულში „ფაუსტის“ ერთგვარი პაროდირება მოახდინა თავისი „დოქტორ ფაუსტუსით“, ალფრედ დობლინმა მეორე დიდი ჰუმანისტის, შექსპირის „ჰამლეტის“ თემა დაამუშავა მე-20 საუკუნის ასპექტში. და თუ განვავრცობთ და განვავითარებთ ბრონენის მინიშნებას, შეიძლება ითქვას, რომ შედეგი დაახლოებით ანალოგიური მივიღეთ: ბიურგერული ეპოქის გარიჟრაჟის გმირი ფაუსტი, სიცოცხლის ენერგიით სავსე და შემმართებელი, ოპტიმისტი და კაცთმოყვარე დაქვეითდა და დაკნინდა კაცთმოძულე, ეგოცენტრიკოს, ცინიკოს ადრიან ლევერკიუნად; ასევე: ცხოვრების აზრის ძიებით, ყოფნა-არყოფნის პრობლემით ნატანჯი, ადამიანთა ეგოიზმითა და ვერაგობით შეძრწუნებული ჰუმანისტი ჰამლეტი დაეშვა ნევრასთენიკოს, მისტიკოს, „ოიდიპოსის კომპლექსით“ შეპყრობილ, საკუთარი ოჯახის მოუწყობლობის გამო მოწუწუნე ედუარდ ელისონამდე.

ედუარდ ელისონი ჰამლეტია ვიწრო მნიშვნელობით: იგი თავს გრძნობს მოწოდებულად გახსნას საშინელი ბოროტმოქმედების საიდუმლო, გამოამჟღავნოს მამისა და დედის ადრეული შეცოდებანი. აქაც წარმოიშობა კონფლიქტი მამასა და შვილს შორის, სიძულვილი და მტრობა დაისადგურებს მათ შორის.

მაგრამ აქ არის ბრძოლა არა იმდენად მსოფლმხედველობის, აზრების, მრწამსის გამო; არამედ ესაა წინააღმდეგობა სქესთა, ზოგჯერ თაობათა შორის. იქ იჩენს თავს ალფრედ დობლინზე ფროიდის მოძღვრების ძლიერი გავლენა.

მწერალი მთელ რომანში ჟულმოდგინედ იყენებს ფსიქო-ანალიზის მეთოდს. სოციალურს აქ ბიოლოგიური, უკეთ, სექსუალური ფაქტორი ცვლის, და თითქმის ყველაფერი „ლიბიდოს“ თეორიითაა ახსნილი. აქვე ვხედებით ოიდიპოსის კომპლექსსაც: ედუარდ ელისონი ეჭვიანობს მამის მიმართ (უფრო მეტიც, მტრულადაა განწყობილი მისდამი) და უნაზესი სიყვარულითაა გამსჭვალული დედისადმი. ედუარდის და, კეტლინი ძმისა და დედის მეგობრობაში მამის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებას ხედავს და მათდამი სიძულვილით იელინთება. მამა შეიჯავრებს ვაჟიშვილს, რომელიც ცოლს უმხედრებს მას, მეორე მხრით, უკმაყოფილო ცოლით, რომელმაც ვაჟი გადაამტერა...

ბოლოს ყველანი სტოვებენ ოჯახს, რიგ-რიგობით მიიპარებიან სახლიდან ბინადარნი.

ბოლოსვე ირკვევა: არავითარი საშინელი ბოროტმოქმედება არ აწევს ოჯახს. ედუარდს არავითარი საიდუმლო არა აქვს გასახსნელი. მამასაც და დედასაც ახალგაზრდობაში გარკვეული ადამიანური შეცოდებანი ჰქონიათ და მეტი არაფერი. დედას მრავალი რამ მოუტყუებია ედუარდისათვის, მაგალითად ისიც, რომ თითქოს ედუარდი გორდონის შვილი არ იყო...

მაგრამ უკვე გვიანაა: ოჯახი დაშლილა, დედა მოლიპულ გზაზე დაქანდა, მამა დაგლახაკდა. ბოლოს ტრაგიკულად იღუპება მამა, კვდება დედაც და ოჯახის რღვევა მთავრდება.

ედუარდ ელისონი რამდენადმე თომას მანის ადრიან ლევერკიუნს მოგვაგონებს: სუბიექტურად მასავით პატიოსანია, მაგრამ მიზანთროპი, უკიდურესი სკეპტიკოსი და პესიმისტი. ესეც მოკლებულია მორალურ პათოსს და ამასაც დაუფლებია ცხოვრების უაზრობის განცდა. მაგრამ ადრიან ლევერკიუნი უფრო ღრმაა და მისი სევდა უფრო მეტად ცილდება პირადულ ფარგლებს. ადრიან ლევერკიუნის ტრაგედია მკვეთრად სოციალურ-ისტორიულია, ედუარდ ელისონის შეჭირვება შედარებით ვიწრო მასშტაბოვანია და თვალშიმოსახვედრად შეიცავს პირადულ, ბიოლოგიურ, კლინიკურ ელემენტს.

ადრიან ლევერკიუნიცა და ედუარდ ელისონიც დადაღული არიან უკიდურესი პესიმიზმითა და უპერსპექტივობით, მაგრამ თუ ადრიან ლევერკიუნი შეშლილობაში პოულობს თავშესაფარს და ბოლოს იღუპება საცოდავად, ედუარდ ელისონი თითქოსდა ნახულობს თავისში სასიცოცხლო ძალებს და ახალი ცხოვრების დაწყებას აპირებს. მაგრამ რომანის ეს ოპტიმისტური ფინალი ყალბი, ხელოვნური და დაუჯერებელია. რადგან არაფერი არ იცვლება არც გმირის გარშემო და არც მის სულიერ სამყაროში, მის მსოფლმხედველობას და მსოფლშეგრძნებაში, ამიტომ მკითხველს არ სჯერა ედუარდ ელისონის „მეტამორფოზა“, რაც მხოლოდ დეკლარატიულადაა განცხადებული (საგულისხმოა, რომ რომანის I ვარიანტში ეს თანამედროვე ჰამლეტი მონასტერში მიდიოდა საბოლოოდ).

...უაღრესად საინტერესოა ის ამბები, რომელთაც პერსონაჟები ედუარდ ელისონის თავშესაქცევად ყვებიან.

ედუარდის ბიძა, დედის ძმა, ჯეიმს მეკენზი მოგვითხრობს მეფე ლირის ამბავს, რაც შექსპირის ავტორობის თავისებურ ჰიპოთეზას წარმოადგენს. აქაც მიზანი ლეგენდის „დერომანტიზირებაა“.

ძველისძველათ ინგლისში მეფობდა ლირი, კაცი გულქვა, უსულგულო, უხეში და მტარვალი. მას არც საკუთარი 3 ქალიშვილი უყვარდა, რომელთაგან ორი ჰერცოგებზე ჰყავდა გათხოვილი. მეფე ლირი უწყალოდ ჩაგრავდა ქვეშევრდომებს, ნადირობისას აოხრებდა და თელავდა მათ ნათესავებს და ყანებს...

ამ დროს ინგლისში არსებობდა თეატრალური დასი, რომელსაც ხელმძღვანელობდა მსახიობი ვინმე ჯეკ ჯონსონი, ჯონსონი თავისი მრწამსით მონარქისტი იყო, მაგრამ მას აშფოთებდა ლირის თვითნებობა და ტირანია და თავის სპექტაკლებში ძველ-ბერძნულ თუ რომაულ ნიღბის ქვეშ აკრიტიკებდა ინგლისის მეფის გამგებლობას, აყენებდა ჭეშმარიტი მონარქის იდეალს. ლირს სძულდა ჯონსონი და შესაფერ შემთხვევას ეძებდა, რომ დაესაჯა იგი... სახელმწიფო ხაზინა ცარიელი იყო, ლირს უამრავი ვალი ჰქონდა, ინგლისში ფინანსური და ეკონომიური კრიზისი მძვინვარებდა, მეფე ლირს გადადგომა ურჩიეს. მან გადასწყვიტა გადამდგარიყო და ქვეყანა ქალიშვილებისათვის გაენაწილებინა.

ლირმა წარმოთქვა პათეტიკური სიტყვა: მას გადაეწყვიტა ხანგრძლივი შრომისა და წვალების შემდეგ დასვენება... შემდეგ მეფემ გაითამაშა მოყვარული მამისა და ოჯახის მზრუნველი პატრონის როლი, მან გამოუცხადა ქალიშვილებს, რომ მთელ თავის ქვეყანას, მთელ უძრავ-მოძრავ ქონებას მათ უტოვებდა (სინამდვილეში მას ამით მევალეებისგან თავის დახსნა ჰქონდა განზრახული). — და როგორ სიყვარულსაც გამოიჩენთ ჩემდამი, ამის მიხედვით გაგიყოფთ ქონებასო — მიმართა ქალიშვილებს. ქალიშვილები კარგად იცნობდნენ მამას, არ უყვარდათ, მაგრამ იძულებული იყვნენ ეთამაშათ „თეატრი", „გამოემჟღავნებინათ" სიტყვიერად ლირისადმი უზომო სიყვარულის გრძნობა. მხოლოდ ერთმა, ყველაზე უმცროსმა და გაუთხოვარმა ქალიშვილმა ვერ აიტანა ეს ფარსი, წამოდგა და ამაყად გავიდა ოთახიდან.

ამის შემდეგ ლირი ყველამ დასტოვა, რამდენიმე მსახური-ღა შერჩა, მხოლოდ თეატრის დირექტორი ჯონსონი ამოუდგა მას მხარში. ჯონსონი ლირის მტერი იყო, მაგრამ ის მონარქიის იდეის შელახვას ხედავდა მეფის ასეთ განკიცხვაში. და მან საბაბად გამოიყენა რა ლირი, იწყო მონარქისტული იდეის პროპაგანდა. და შეითხზა მითი ვერაგულად გარიყული მონარქის შესახებ, რომელიც ბედმა ტახტიდან ჩამოაგდო და ავდარსა და ქარიშხალში გადაისროლა. ლირს არავითარ შემთხვევაში არ სურდა ერთი ღამის გათევაც კი ღია ცის ქვეშ ავდარსა და ქარიშხალში: ჯონსონი კი მას არწმუნებდა, რომ მონარქისტული იდეის ზეისათვის აუცილებელი იყო წამებულისა და მარტვილის ცხოვრება.

ლირმა მის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის ჯონსონს აზნაურობა უბოძა და რაინდადაც აკურთხა; ამიერიდან ჯონსონმა მან უწოდა უილიამ შეიკსპირი (შუბის შემარხეველი). და მსახიობმა მისთვის შეთხზა პიესა „მეფე ლირი". მას არ აინტერესებდა ნამდვილად არსებული, არც თუ ძალიან მოხუცი მეფე. ჯონსონის თვალწინ იდგა ქალიშვილების მიერ განკიცხული თეთრწვერა მოხუცი, რომელიც ერთ დროს მორჭმული და განგებიანი ხელმწიფე ყოფილიყო და აწ უწყალო ბედს მათხოვრად და გლახაკად ექცია...

მოგვიანებით, რამდენიმე საუკუნის შემდეგ ერთმა მსახიობმა და დრამატურგმა გამოიყენა ჯონსონის, იგივე უილიამ შექსპირის ეს პიესა და თანამედროვე სცენას შეუსაბამა. ამ კაცის გვარი სმითი იყო, მაგრამ ამანაც შექსპირი უწოდა თავს. ამ შექსპირს ბევრი პიესა ჰქონდა დაწერილი, ჩვეულებად ქონდა სხვათა სიუჟეტების გამოყენება...

მეფე ლირის ამბის ასეთი ინტერპრეტაცია უაღრესად საინტერესო და საგულისხმოა:

ბიურგერული ეპოქის მიწურულში ადამიანები ცდილობენ გააშარჟონ, გააბითურონ, პაროდირება უყონ თავიანთ კულტურულ წარსულს, ჰეროიკულ გადმოცემებს, თავიანთი ისტორიის პათეტიკურ-ტრაგიკულ სულს. ეს დამახასიათებელია არა მარტო ალფრედ დობლინის ამ რომანის პერსონაჟებისათვის, არამედ, აგრეთვე, თომას მანის აღრიან ლევერკიუნისათვისაც, რომელიც ცდილობს (უკეთ, რომელსაც აქვს მოთხოვნილება) ბეეტჰოვენის „გაბათილებისა", „მოხსნისა", („Zurücknahme").

...„ჰამლეტი ანუ გრძელი ღამე თავის დასასრულს უახლოვდება" ძირითადად უსიუჟეტო პროზის ნიმუშია. თუ მხედველობაში არ მივიღებთ რომანში ჩართულ ამბებს, რომელთაც მოქმედი პირნი ყვებიან, თვით რომანის საკუთრივი ფაბულა ერთობ ამორფული და გამოუკვეთელია. მასში თითქმის სრულებით არაა მოქმედება, ობიექტური პროცესების აღწერა: აქ არაფერი ხდება პერსონაჟთა ფსიქიკის გარეთ, (გამონაკლისს წარმოადგენს ედუარდის დედის, ალისა მეკენზის თავგადასავალი, მისი მორალური დაცემა და სიკვდილი, რაც რომანის ბოლოშია აღწერილი).

მართალია, ალფრედ დობლინს თავისი რომანის — „ბერლინი, ალექსანდერპლაცი" — შემდეგ ზუსტად აღარ გაუმეორებია სტილის სფეროში „ექსპრესიონისტული ნატურალიზმი" (ლანგე), მაგრამ ამ უკანასკნელ რომანშიც დასტურდება ისეთი სტილური თავისებურებანი, რაც მას აახლოვებს „ასოციაციური" წერის მანერასთან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს. შარიქაძე

★

# კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის დიდი პროგრამა

პარტიის 21-ე ყრილობამ აღნიშნა სსრ კავშირის შესვლა განვითარების ახალ პერიოდში— კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

საბჭოთა კავშირის განვითარებაში ახალი ისტორიული პერიოდის, როგორც კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდის ეს ღრმა და ნათელი დახასიათება, წარმოადგენს დიდმნიშვნელოვან წვლილს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის შესახებ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებაში.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მომავალ შვიდწლედში სახალხო მეურნეობის განვითარების პარტიის მიერ შემუშავებულ პროგრამას უწოდა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის დიდებული პროგრამა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ შვიდწლიანი გეგმა არის კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე პარტიის ლენინური გენერალური ხაზის ახალი მკაფიო გამოხატულება.

კომუნისტურ საზოგადოების მშენებლობის გაშლილი პერიოდი მოიცავს არა მარტო ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიან გეგმას, არამედ იგი მოიცავს მთლიანად კომუნიზმის მშენებლობის ეკონომიურ პროგრამას, განვითარების 15-წლიან პერსპექტიულ გეგმას. შვიდწლიანი გეგმა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების 15-წლიანი პერსპექტიული გეგმის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია.

შვიდწლიანი გეგმის მთავარი ამოცანაა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი აღმავლობა მძიმე ინდუსტრიის უპირატესი ზრდის ბაზაზე. ქვეყნის ეკონომიური პოტენციალის მნიშვნელოვანი გაძლიერება, რათა უზრუნველვყოთ ხალხის ცხოვრების დონის განუწყვეტელი აღმავლობა.

ეკონომიურ დარგში მიმდინარე შვიდწლედი ითვალისწინებს ჩვენი ქვეყნის მწარმოებლური ძალების ყოველმხრივ განვითარებას. მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარების ბაზაზე ეკონომიკის ყველა დარგში წარმოების ისეთი ზრდის მიღწევას, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს გადამწყვეტი ნაბიჯი გადავდგათ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად და კაპიტალისტურ ქვეყნებთან ეკონომიურ შეჯიბრებაში სსრ კავშირის გამარჯვების უზრუნველსაყოფად.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური პოტენციალის გაძლიერებამ, შემდგომმა ტექნიკურმა პროგრესმა, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელმა ზრდამ უნდა უზრუნველჰყოს ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი სწრაფი ზრდა.

საბჭოთა ხალხმა ისარგებლა, რა მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობით ისტორიულად უმოკლეს დროში შექმნა სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პირველი კლასის მსხვილ ინდუსტრიისა და მაღალმექანიზებულ სოფლის მეურნეობის სახით. ამის საფუძველზე იყო მიღწეული ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის განუყრელი ბატონობა.

საბჭოთა კავშირმა სოციალიზმის გამარჯვების საფუძველზე უკანასკნელ პერიოდში და განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში მიაღწია უდიდეს გამარჯვებებს კომუნიზმის მშენებლობის გზაზე. ჩვენი ქვეყანა გადაიქცა მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ დიდად განვითარებული ეკონომიკით, მოწინავე მეცნიერებითა და კულტურით.

სსრ კავშირს ამჟამად სამრეწველო წარმოების მოცულობის მიხედვით ევროპაში პირველი და მსოფლიოში მეორე ადგილი უჭირავს. მრეწველობის საერთო პროდუქცია 1913 წელთან შედარებით 36-ჯერ გადიდდა. ამასთან წარმოების საშუალებათა წარმოება გაიზარდა 83-ჯერ, ხოლო მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქცია ორას ორმოცჯერ.

არც თუ ისე დიდიხნის წინათ ბურჟუაზიის ლაქიები ღვარძლიანი ცილისწამებით ამტკიცებდნენ, რომ თითქოს სოციალისტურ რევოლუციას შესწევს მხოლოდ ნგრევის უნარი და არა შენების. ახლა სოციალიზმის ყველაზე პირწავარდნილი მტრებიც კი ვერ ბედავენ გაიმეორონ მსგავსი მონაჭორი. საბჭოთა კავშირი აღარ წარმოადგენს ერთადერთ სოციალისტურ სახელმწიფოს; შეიქმნა და განმტკიცდა მსოფლიო სოციალისტური სისტემა, რომელიც აერ-

თიანებს დაახლოებით ერთ მილიარდ მოსახლეობას.

ამჟამად საბჭოთა ქვეყანა იმყოფება ისეთ ისტორიულ მიჯნაზე, როდესაც საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა სფეროში სოციალიზმის უდიდესი გამარჯვებები საშუალებას იძლევიან პრაქტიკულად განხორციელდეს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, კომუნიზმზე გეგმაზომიერად გადასვლა.

აშენებდნენ რა სოციალისტურ საზოგადოებას საბჭოთა ხალხი და მისი ავანგარდი — კომუნისტური პარტია, ყოველთვის გამოდიოდნენ იქედან, რომ სოციალიზმი წარმოადგენს პირველ ფაზას, რომლის მიღწევის შემდეგ საზოგადოება შემდგომ განვითარდება კომუნიზმის გზით.

სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა წარმოადგენს კანონზომიერ ისტორიულ პროცესს.

მართალია არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება სოციალიზმსა და კომუნიზმს შორის, მაგრამ მათ შორის არ არის რაიმე კედელი, რომელიც ერთმანეთისაგან ჰყოფდეს საზოგადოებრივ განვითარებას. კომუნიზმი სოციალიზმის პირდაპირი გაგრძელებაა, იგი უეცრად როდი ჩნდება. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში ბევრია კომუნიზმის ხელშესახები და ხილული ნიშნები, რომლებიც თანდათანობით განვითარდება და სრულყოფილი გახდება.

„კომუნიზმში შესვლა განსაზღვრული არ არის რაღაც კალენდარული თარიღით... სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა ხორციელდება განუწყვეტლივ. ჩვენ უკვე ახლა ვაღებთ კარს კომუნისტურ საზოგადოებაში შესასვლელად, ახლა საქმე ეხება კომუნიზმის მშენებლობას. ჩვენი ქვეყანა ამჟამად შევიდა გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პერიოდში. როცა იქმნება კომუნიზმის მთელი მატერიალური და სულიერი პირობები. კომუნისტური მშენებლობის დამთავრება მოხდება მაშინ, როცა ჩვენ შევქმნით სრულ სიუხვეს ყველა ადამიანის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, როცა ყველა ადამიანი ისწავლის შრომის უნარის მიხედვით, რათა გაამრავლოს და დააგროვოს საზოგადოებრივი სიმდიდრე“. (გვ. 125).

კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლა ჩვენ არ უნდა გავიგოთ, როგორც რაღაც შენელებული მოძრაობა. „პირიქით, — ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი — ეს არის პერიოდი თანამედროვე ინდუსტრიის, მსხვილი მექანიზებული სოფლის მეურნეობის, მთელი ეკონომიკისა და კულტურის სწრაფი განვითარებისა, კომუნისტური საზოგადოების მილიონობით მშენებელთა აქტიური და შეგნებული მონაწილეობით“. (გვ. 126).

მაშასადამე, კომუნიზმზე გადასვლა არ შეიძლება შეუფარდოთ რომელიმე კალენდარულ თარიღს. ეს გადასვლა განხორციელდება განუწყვეტლივ. სწორედ ასევე განხორციელდება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. კომუნიზმი იზრდება სოციალიზმიდან და წარმოადგენს მის პირდაპირ გაგრძელებას. სწორედ ასევე კომუნიზმის მატერიალური საწარმოო ბაზა იზრდება სოციალიზმის მატერიალურ ტექნიკური ბაზიდან მისი ჩქარი და ყოველმხრივ განვითარების გზით.

„ჩვენ — დასძენს ნ. ს. ხრუშჩოვი — თანმიმდევრულად უნდა ვიაროთ წინ, შევქმნათ მატერიალური და სულიერი წინამძღვრები კომუნიზმზე გადასვლისათვის“ (გვ. 125).

ამ წინასწარ პირობებს ეკუთვნის: შრომის გადაქცევა ადამიანის ცხოვრების პირველ მოთხოვნილებად, ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის და ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების მოსპობა. ვ. ი. ლენინი ამბობდა რომ კომუნიზმში გადასვლა შეიძლება მხოლოდ მაშინ, „როდესაც ადამიანები იმდენად შეეჩვევიან საერთო თანაცხოვრების ძირითადი წესების დაცვას და როდესაც მათი შრომა იმდენად ნაყოფიერი იქნება, რომ ისინი ნებაყოფლობით იშრომებენ უნარის მიხედვით (ტ. 25, გვ. 584).

კომუნიზმში გადასვლის განხორციელებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საწარმოო ძალების მძლავრ განვითარებას. ეს ფაქტი გადამწყვეტ როლს თამაშობს კომუნიზმში გადასასვლელად, მატერიალურ და სულიერ პირობებთან შედარებით საწარმოო ძალების სწორედ სწრაფ ზრდასთან არის დაკავშირებული ყველა სხვა წინასწარ პირობების მომწიფება.

ახლა ჩვენი ქვეყანა შევიდა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში, როდესაც დასახულია კომუნიზმის მატერიალური და სულიერი წინასწარ პირობების შექმნა. კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა გულისხმობს საზოგადოების საწარმოო ძალების ყოველმხრივ აღმავლობას. კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვი თავის მოხსენებაში სკკპ 21-ე ყრილობაზე,— უწინარეს ყოვლისა გულისხმობს: დიდად განვითარებულ თანამედროვე ინდუსტრიას, ქვეყნის სრულ ელექტროფიკაციას, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ყველა სახის წარმოებრივი პროცესების კომპლექსურ მექანიზაციას და ავტომატიზაციას, ენერგიის, ახალი წყაროების, უმდიდრესი ბუნებრივი რესურსების, ახალი სინთეზური და სხვა მასალების ყოველმხრივ გამოყენებას. მოსახლეობის კულტურულ-ტექნიკური დონის ზრდას, წარმოების ორგანიზაციის შემდგომ გაუმჯობესებას და მწარმოებლობის გადიდებას.

შვიდწლიანი გეგმა გულისხმობს გადამწყვეტ ნაბიჯს ამ უდიდესი ამოცანების შესრულებაში.

საბჭოთა კავშირში კომუნისტური მშენებლობის დასახულ პროგრამას, ეკონომიკის, კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობისა და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამას, თავისი გრანდიოზული მასშტაბით ბადალი არ მოეპოვება კაცობრიობის ისტორიაში.

სახელმწიფო კაპიტალური დაბანდება სახალხო მეურნეობის შვიდწლიანი გეგმის მიხედვით შეადგენს დაახლოებით ორ ტრილიონ მანეთს, რაც თითქმის უდრის კაპიტალურ დაბანდებათა ჯამს მთელ სახალხო მეურნეობაში, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთელ პერიოდში. სამრეწველო პროდუქცია შვიდწლედში იქნება ნაწარმოები დაახლოებით იმდენი, რამდენიც იყო ნაწარმოები საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთელ პერიოდში, საბჭოთა ქვეყნის ნაციონალური შემოსავალი მიღებული შვიდი წლის განმავლობაში გაუტოლდება ამ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში მიღებულ ნაციონალურ შემოსავალს.

სოციალიზმის საუკეთესო თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ეს საზოგადოებრივი წყობილება კაცობრიობის ისტორიაში პირველად უზრუნველყოფს საწარმოო ძალების სწრაფ პროგრესს, და ხალხთა კეთილდღეობის განუწყვეტელ აღმავლობას. სოციალიზმის პირობებში წარმოების მიზანია არა მოგების ამოქაჩვა, არამედ ხალხთა მზარდ მოთხოვნილებათა სულ უფრო სრულად დაკმაყოფილება.

ხალხთა კეთილდღეობისათვის მუდმივი ზრუნვა მჟღავნდება შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული პროგრამით.

საბჭოთა ადამიანის ცხოვრების დონის ამაღლების ყველაზე უფრო სწორ განზოგადოებულ საზომს წარმოადგენს ეროვნულ შემოსავლის ზრდა — იგი შვიდწლედში გაიზრდება 62-65 პროცენტით და ომამდელი 1940 წლის დონეს 6-ჯერ გადააჭარბებს. ამასთან მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა რეალური შემოსავალი საშუალოდ გაიზრდება სულ ცოტა 40 პროცენტით.

საბჭოთა კავშირი, ხალხთა ცხოვრების დონის ამაღლების მხრივ კაპიტალიზმთან მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში გახდება ყველაზე უფრო დიდ სახელმწიფოდ. მიმდინარე შვიდწლედი ხასიათდება როგორც გადამწყვეტი ეტაპი სოციალიზმის ეკონომიური შეჯიბრებისა კაპიტალიზმთან მარტო იმიტომ კი არა, რომ ამ ვადაში საბჭოთა კავშირმა უნდა გაიაროს მეტი ნაწილი იმ გზისა, რომელიც მას აცილებს ამერიკის შეერთებული შტატებისაგან. ორი სისტემის შეჯიბრების ამ ეტაპის უმნიშვნელოვანესი ნიშანი იქნება მთელი მსოფლიო სოციალისტურ მეურნეობის განუზომელ უპირატესობათა დემონსტრაცია მსოფლიო კაპიტალისტურ მეურნეობის წინაშე. ეს შეჯიბრება ყველაზე სრულად გამოავლენს სოციალიზმისა და კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელ კანონზომიერებებს.

1965 წელს სოციალიზმის ქვეყნები აწარმოებენ მთელ მსოფლიოს სამრეწველო პროდუქციის ნახევარზე მეტს, რაც ბევრად განამტკიცებს მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალების პრინციპებს.

იმისათვის, რომ შვიდწლედში გადაიდგას გადამწყვეტი ნაბიჯი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, დასახულია 1965 წელს 1958 წელთან შედარებით გადიდდეს მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა დაახლოებით 80 პროცენტით, აქედან „ა“ ჯგუფში წარმოების საშუალებათა წარმოება 85-88 პროცენტით და „ბ“ ჯგუფში (მოხმარების საგნების წარმოება) — 62-65 პროცენტით. ამავე ხნის განმავლობაში გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია გაიზარდოს 1,7-ჯერ.

შვიდწლედში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისათვის დამახასიათებელი იქნება ღრმა თვისობრივი ცვლილებები. ეს ცვლილებები თავის გამოხატულებას ჰპოვებენ უმთავრესად, ყველაზე პროგრესიული დარგებისა და წარმოებების განვითარებით, რომლებიც უზრუნველყოფენ სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას საზოგადოებრივი შრომის უმცირესი დანახარჯებით წარმოების ყველა დარგის ტექნიკური დონის ამაღლებით, ჩვენი ქვეყნის მწარმოებლური ძალების განმტკიცების შემდგომი გაუმჯობესებით.

შვიდწლიანი გეგმით მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგში ტექნიკური პროგრესის უდიდესი პროგრამაა დასახული. ამას განსაკუთრებული სიცხადით გვიჩვენებს მანქანათმშენებლობის ზრდის ჩქარი ტემპები. 1959—1965 წლებში მანქანათმშენებლობამ უნდა უზრუნველყოს: სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის და უწინარეს ყოვლისა შავი და ფერადი მეტალურგიისათვის, ქიმიური მრეწველობისათვის, ენერგეტიკისა და მშენებლობისათვის უახლესი მოწყობილობის — ექსკავატორების, საგლინავი დგარების, მძიმე წნეხების, აგრეთვე მანქანებისა და ხელსაწყოების კომპლექსის დამზადება მძიმე და შრომატევად სამუშაოთა შემდგომი მექანიზაციისათვის, მრეწველობაში, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში ავტომატიზაციის ფართოდ დანერგვისათვის.

სხვადასხვა სახის ლითონებს შორის ყველაზე მეტად გავრცელებულს და აუცილებელს წარმოადგენს შავი ლითონები — ფოლადი და თუჯი. რკინის მადნეულების მარაგის მიხედვით ჩვენს ქვეყანას პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის მიზნით, დასახულია ამო-

ცანა 1965 წელს გამოდნობილი იქნას ფოლადი 86-91 მილიონ ტონამდე (ნაცვლად 1958 წლის 55 მილიონ ტონისა), ხოლო თუჯის გამოდნობა 1958 წელს 39,6 მილიონი ტონიდან 1965 წელს გაიზრდება 65-70 მილიონ ტონამდე.

შვიდწლედში განხორციელდება სათბობის ბალანსის სტრუქტურის ძირეული შეცვლა. უაღრესად სწრაფი ტემპით განვითარდება ეკონომიურად სასარგებლო სათბობის — ნავთობის და გაზის მოპოვება, წარმოება, ნავთობის მოპოვება გაიზრდება ორჯერ და მეტად და იგი 1965 წლისათვის მიაღწევს 230-240 მილიონ ტონას. ამავე პერიოდში გაზის მოპოვება და წარმოება გადიდდება დაახლოებით ხუთჯერ და 1965 წელს მიაღწევს 150 მლნ კუბიკურ მეტრს, დაახლოებით გაუთანაბრდება ქვანახშირის იმ დონეს, რასაც ამჟამად ვიღებთ დონეცის, მოსკოვის ოლქისა და პეჩორის აუზებიდან. სათბობის ბალანსის სტრუქტურაში დასახული ცვლილებები მოგვცემენ სახსრების ისეთ დიდ ეკონომიას, რომელიც მნიშვნელოვნად გადააჭარბებს ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის გაწეულ მთელ ხარჯს.

გამოანგარიშებულია, რომ ბუნებრივი გაზითა და ნავთობით ქვანახშირის შეცვლის შედეგად მიღებული საერთო ეკონომია შვიდწლედში იქნება 125 მილიარდ მანეთზე მეტი.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს მთელი სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაცია.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი მძლავრი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციას. მას წამყვანი როლი უკავია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აშენებაში. როგორც ცნობილია, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ვ. ი. ლენინმა, განსაზღვრა რა ქვეყნის სამეურნეო მშენებლობის პერსპექტიული ამოცანები, წამოაყენა თავისი ცნობილი ლოზუნგი: კომუნიზმი არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია. ვ. ი. ლენინს ელექტროფიკაცია მიაჩნდა უდიდეს ფაქტორად ტექნიკისა და წარმოების ენერგეტიკული ბაზის განვითარებაში.

ელექტროფიკაცია თანამედროვე ტექნიკის შემდგომი სწრაფი განვითარების საერთო საფუძველია, მასთან დაკავშირებულია უახლესი ავტომატური ატომური, რაკეტული, რადიოლოკაციური ტექნიკა, ტელევიზია და ა. შ. ელექტროფიკაცია თანამედროვე ტექნიკის განვითარების პროგრესიული მიმართულების — კომპლექსური მექანიზაციის, ავტომატიზაციის, ქიმიზაციის საფუძველია.

ლენინის ლოზუნგი მიუთითებს მასზე, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შესაძლებელია მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია.

ბიბლიოთეკა

ხელმძღვანელობს რა ვ. ი. ლენინის მითითებით, საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აშენებდა და აშენებს გიგანტური სიმძლავრის ელექტროსადგურებს. ელექტროენერგიის წარმოების მხრივ საბჭოთა კავშირმა მეთვრამეტე ადგილიდან, რომელიც მას ეჭირა მსოფლიოში 1920 წელს, გადმოინაცვლა ამჟამად მეორე ადგილზე მსოფლიოში და პირველ ადგილზე ევროპაში. თანდათანობით ხორციელდება ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში ლენინური იდეა ერთიანი ელექტროსადგურების ქსელის შექმნის შესახებ.

შვიდწლედი იქნება გადამწყვეტი ეტაპი ჩვენი ქვეყნის მთლიანი ელექტროფიკაციის შესახებ ლენინის იდეების განხორციელებაში. ელექტროენერგიის გამომუშავება 1965 წლისათვის გაიზრდება 500-520 მილიონ კილოვატსაათამდე, ე. ი. 2,1-2,2 ჯერ.

მრეწველობის ელექტროფიკაციასთან ერთად შვიდწლედის განმავლობაში ელექტროფიცირებული იქნება ყველა საბჭოთა მეურნეობა, სარემონტო-ტექნიკური სადგური, კოლმეურნეობა და მუშათა დაბა.

მძლავრი თბოელექტროსადგურების ამუშავებასთან ერთად გათვალისწინებულია დამთავრდეს სტალინგრადის ბრატსკის, კრემენჩუგის, ბუხტარმის და მთელი რიგი სხვა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა.

ქვეყნის ენერგეტიკულ ბაზაში მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა ექნება ატომურ ელექტროსადგურებს. შვიდწლედის მანძილზე მწყობრში ჩადგება მთელი რიგი ასეთი სადგურები. შეიქმნება სსრ კავშირის ევროპული ნაწილისა და ცენტრალური ციმბირის ერთიანი ენერგეტიკული სისტემები, აგრეთვე გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემები ჩრდილო-დასავლეთისა და დასავლეთის, ამიერკავკასიის, ყაზახეთისა და შუა აზიის რესპუბლიკებში.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს წარმოების ქიმიზაცია, რომელიც იძლევა ცოცხალ და განივთებულ შრომის კოლოსალურ ეკონომიას სახალხო მეურნეობაში.

შვიდი წლის მანძილზე ქიმიური პროდუქციის მოცულობა გაიზრდება თითქმის ერთისამად. სინთეზური ბოჭკოებისა — 12-13 ჯერ, პლასტიური მასებისა და სინთეზური ფისებისა — 7-ჯერ და მეტი, მინერალური სასუქებისა დაახლოებით 3-ჯერ.

ამხანაგი ხრუშჩოვი სკკპ 21-ე ყრილობაზე მიუთითებდა, რომ ქიმიური მრეწველობა მოგვცემს იაფ და მაღალხარისხოვან ნედლეულს სახალხო მოხმარების საქონლის გამოსამ-

ვებად, შექმნის გაცილებით უფრო ნაკლებ შრომის დახარჯვით თვისობრივად ახალ მასალებს, რომლებიც თავიანთი თვისებებით ბუნებრივ მასალებზე უკეთესი იქნება.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში უაღრესად დიდ როლს შეასრულებს თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი აღმოჩენები.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა—მიუთითებდა ნ. ს. ხრუშჩოვი გულისხმობს მეცნიერების აყვავებას, მეცნიერების აქტიურ მონაწილეობას რთული პრობლემების გადაწყვეტაში.

შვიდწლიან გეგმაში დიდი ადგილი უკავია ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც მოწოდებულია უზრუნველყოს მთელი საწარმოო კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია. შვიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან და დროულ ღონისძიებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის ივნისის პლენუმმა განიხილა საკითხი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებისა და სახალხო მეურნეობის საბჭოების მუშაობის შესახებ პარტიის XXI ყრილობის იმ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად რომლებითაც გათვალისწინებულია მრეწველობისა და მშენებლობაში ტექნიკური პროგრესის დაჩქარება. პლენუმმა განსაზღვრა კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის, წარმოების ავტომატიზაციის, ნაკადური ხაზების შემოღების, მოძველებული გაწყობილობის მოდერნიზაციის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი თვითღირებულების, აგრეთვე მშენებლობის ღირებულების შემცირების კონკრეტული ამოცანები და მათი განხორციელების ღონისძიებანი.

საზოგადოების მზარდ მოთხოვნილებათა მაქსიმალურად დაკმაყოფილებისათვის რაც სოციალიზმის ძირითად ეკონომიურ კანონს წარმოადგენს, აუცილებელია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, ტექნიკური პროგრესი. ძველი ტექნიკა უნდა შეიცვალოს ახლით, ხოლო ახალი უახლესით, — მიუთითებდა ი. ბ. სტალინი. ტექნიკის განვითარებას სოციალიზმის დროს არ აფერხებს წარმოებითი ურთიერთობა.

კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოების ავტომატიზაცია ხვდება დიდ დაბრკოლებებს, მხოლოდ სოციალიზმის დროსაა შესაძლებელი ფართო მასშტაბით იქნას გამოყენებული ავტომატიზაცია, რომელიც ძირფესვიანად აიოლებს და აუმჯობესებს შრომის პირობებს და ჩქარი ტემპით ზრდის შრომისნაყოფიერებას. სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობა ძირეულად ცვლის მშრომელთა მდგომარეობას მატერიალური დოვლათის წარმოების პროცესში.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის პროცესში მიმდინარეობს წარმოების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესება და საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდა. პარტიამ ამ მხრივ დიდი მნიშვნელობის ღონისძიებები ჩაატარა. უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც აჩქარებს სახალხო მეურნეობას განვითარებას, იყო მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნა, მტს-ების რეორგანიზაცია და საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარების ღონისძიებანი. პარტიისა და მთავრობის ამ და სხვა უმნიშვნელოვანესმა ღონისძიებებმა გამოიწვიეს მასების შემოქმედებითი ინიციატივის და აქტივობის ახალი მძლავრი აღმავლობა, აამაღლეს ადგილობრივი, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების როლი და პასუხისმგებლობა. სწორედ ამიტომაა, რომ სკკპ XXI ყრილობამ და ივნისის პლენუმმა შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლების მიზნით შვიდწლედის მთავარ ამოცანად დააყენა საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია. საგულისხმოა, რომ მრეწველობის პროდუქციის მატების სამი მეოთხედი შვიდწლედის ბოლოს მიღებულ იქნება შრომის ნაყოფიერების გადიდებით.

პარტია განუხრელად ხელმძღვანელობს ვ. ი. ლენინის მითითებით იმის შესახებ, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდა წარმოადგენს ყველაზე მთავარ და ყველაზე მნიშვნელოვანს ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის.

შვიდწლიანი გეგმით დიდი ამოცანებია დასახული შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, მრეწველობაში ერთ მუშაზე გაანგარიშებით შვიდწლედის მანძილზე შრომის ნაყოფიერება გაიზრდება 45-50 პროცენტით, მშენებლობაზე — 60-65 პროცენტით, რკინიგზაზე — 34-37 პროცენტით, საბჭოთა მეურნეობაში — 60-65 პროცენტით, კოლმეურნეობებში დაახლოებით ორჯერ.

შვიდწლიან გეგმაში გათვალისწინებულია სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების დიდი ღონისძიებები. დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების მოსწავლეთა რიცხვი 1958 წელს 30 მილიონ კაციდან 1965 წელს გაიზრდება 38-40 მილიონ კაცამდე. 1959—1965 წლებში უმაღლესი სასწავლებლებიდან გაშვებული იქნება 2 მილიონ 300 ათასი სპეციალისტი, ნაცვლად 1952—1958 წლებში გამოშვებული 1.700 ათასი კაცისა.

სახალხო მეურნეობის სწრაფი განვითარება განუყრელად დაკავშირებულია მწარმოებლური ძალების სწორად განლაგებასთან. შვიდწლიანი

გეგმა ითვალისწინებს სამრეწველო წარმოების სტრუქტურაში არსებით წინსვლას, რომლის მიზანია სამეურნეო ბრუნვაში მოაქციოს ქვეყნის მდიდარი რესურსები. მწარმოებლური ძალების სწორად განლაგება სოციალიზმის პირობებში ხელს უწყობს წინათ ეკონომიურად ჩამორჩენილი ნაციონალური რაიონების სახალხო მეურნეობის კომპლექსურ განვითარებას. ამ მიზნით სკპ 21-ე ყრილობამ დასახა ამოცანა დაჩქარდეს ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონების მდიდარი ბუნებრივი რესურსების ათვისება. გათვალისწინებულია უახლოეს 10-15 წლის განმავლობაში ციმბირი გადაიქცეს საბჭოთა კავშირის უმსხვილეს ბაზად ქვანახშირის მოპოვებისა და ელექტროენერგიის გამომუშავების, აგრეთვე შავი, ფერადი და სხვ. ლითონების წარმოების მიხედვით. ასევე დიდი ამოცანებია დასახული ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონების ასათვისებლად.

კომუნიზმის მშენებლობის დიდებული პროგრამა, რომლის მიზანია ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარება, ასახავს სოციალიზმის დაუძლეველ სასიცოცხლო ძალას, მის უდაო პოლიტიკურ და ეკონომიურ უპირატესობას კაპიტალიზმის მიმართ.

ჩვენს ქვეყანას აქვს ყველა ობიექტური პირობა შვიდწლედის დავალებათა ვადამდე და გადაჭარბებით განაღდებისათვის. მაგრამ გამარჯვება თავისთავად არ მოდის, იგი შრომითა და ბრძოლით, მიზნისაკენ მიმავალ გზაზე არსებული ყველა სიძნელისა და დაბრკოლების გადალახვით უნდა მოიპოვო. ობიექტურ ფაქტორებთან ერთად საჭიროა სუბიექტური ფაქტორიც, რომელიც აამოძრავებს, გამოიყენებს, აამოქმედებს ობიექტურ პირობებს. ასეთი ფაქტორია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი და გამოწრთობილი კომუნისტური პარტია საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა, სოციალისტური სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების დაუშრეტელი წყაროა, ჩვენი ხალხის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებათა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები კომუნიზმის დიად იდეებით შთაგონებულნი, მთელ თავიანთ ძალებს, ენერგიას, ცოდნას დაუზოგავად ახმარენ სკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულების საქმეს. ამის უდაო დადასტურებას წარმოადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა 1959 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ. შვიდწლედის პირველი წლის გეგმა გადაჭარბებით შესრულებულია, როგორც სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის, ისე სამრეწველო პროდუქციის მეტწილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა დარგში. 1958 წელთან შედარებით სამრეწველო წარმოების მოცულობა გადიდდა თერთმეტი პროცენტით. სამრეწველო პროდუქციის წარმოების წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ, ჩვენი ქვეყნის ყველა ეკონომიურმა რაიონმა.

1959 წელს ახალი დიდმნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს სოფლის მშრომელებმაც. სასოფლო-სამეურნეო გეგმა მთლიანად ჩვენს ქვეყანაში გადაჭარბებით შესრულდა. ამაღლდა სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობა, გაიზარდა პროდუქტიული პირუტყვის სულადობა, გადიდდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და დამზადება.

ეს წარმატებები იმას მოწმობენ, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხმა შვიდწლიანი გეგმა მიიღო, როგორც თავისი სასიცოცხლო, მშობლიური საქმე და მტკიცედ იბრძვის მისი შესრულებისათვის.

სსრ კავშირში კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პროგრამას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა მოასწავებს გადამწყვეტ ეტაპს კაპიტალიზმთან სოციალიზმის მშვიდობიან შეჯიბრებაში.

შვიდწლიანი გეგმის შესრულების შედეგად საბჭოთა კავშირი მოსახლეობის ერთ სულზე პროდუქციის წარმოების მხრივ პირველ ადგილს დაიკავებს ევროპაში. ამ პერიოდისათვის სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი პროდუქტების წარმოება როგორც მთლიანად ისე მოსახლეობის ერთ სულზე გადააჭარბებს ამერიკის თანამედროვე დონეს.

ახორციელებს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 21-ე ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ჩვენი პარტია კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმება ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, კიდევ უფრო განამტკიცებს განუყრელ კავშირს ხალხთან და იგი გადაჭარბებით შეასრულებს შვიდწლიანი გეგმით დასახულ დიდ ამოცანებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ლობჟანიძე

★

# ქართული საბჭოთა ლიტერატურა დიდ სამამულო ომში (1941—1945 წ.წ.)

გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა ვერაგულმა თავდასხმამ ჩვენს სამშობლოზე და სამამულო ომის დაწყებამ მოითხოვა ხალხის მთელი სულიერი და მატერიალური ძალების სრული მობილიზაცია და მაქსიმალური დაძაბვა.

ქართველმა ინტელიგენციამ მთელს საბჭოთა ინტელიგენციასთან მტკიცე კავშირში მთელი თავისი ძალღონე და ცოდნა მოახმარა ფრონტს, საძულველი მტრის — ფაშიზმის განადგურებას. ეს ამოცანა ჩვენმა საბჭოთა ინტელიგენციამ წარმატებით გადაწყვიტა. ფაშისტურ გერმანიაზე და იმპერიალისტურ იაპონიაზე გამარჯვების სულისჩამდგმელი და მაორგანიზებელი იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. პარტიამ მილიონობით საუკეთესო შვილი გაგზავნა ფრონტზე. ისინი ალაფრთოვანებდნენ საბჭოთა მეომრებს თავიანთი ნოვალეობის თავდადებულად შესრულებისთვის, იყვნენ საბრძოლო ნაწილების და შენაერთების სული და გული. მარქსისტულ-ლენინური კომუნისტური პარტია რაზმავდა ხალხთა ფართო მასებს მათ შორის საბჭოთა ინტალიგენციას, კაცობრიობის უბოროტესი მტრის — ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ნ. ს. ხრუშჩოვი მოხსენებაში „ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირისათვის“, ამბობდა, რომ საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება ძლიერია თავისი კავშირით ხალხთა ცხოვრებასთან, მისი ბრძოლა კომუნიზმისათვის, რომ ლიტერატურის და ხელოვნების მოღვაწენი წარმოადგენენ კომუნისტური პარტიის ერთგულ თანაშემწეებს ახალი საზოგადოების შენებლებაში და მასების კომუნისტურად აღზრდის საქმეში. სწორედ ეს დიადი ამოცანა — მშრომელთა აღზრდის ამოცანა — სამამულო ომის წლებში შეასრულა ჩვენმა საბჭოთა ლიტერატურამ და ხელოვნებამ.

...1941 წლის 23 ივნისს შედგა საქართველოს მწერალთა მიტინგი. მიტინგზე გამოსულები ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ საბჭოთა მწერლებს მოეთხოვებათ უდიდესი ორგანიზებულობა, დისციპლინა, შეუპოვრობა, ბოლშევიკური სიმტკიცე. მიტინგზე ითქვა, რომ ბევრი მწერალი იარაღით ხელში იბრძოლებს, ბევრი კი კალმით. საბჭოთა ინტელიგენციას უდიდესი სამუშაო მოეთხოვებოდა — მჭიდროდ შეკავშირებულიყვნენ ჩვენი პარტიის ირგვლივ და მთელი ძალ-ღონე გაეღოთ სოციალისტური სამშობლოს დასაცავად. მიტინგზე გამოსული მწერლები ერთ საერთო აზრს გამოთქვამდნენ — გაეტოლებინათ კალამი ხიშტთან. მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამი იყო, რომ ქართველი მწერლები მზად არიან მკერდით დაიცვან მშობელი მხარე. ფრონტზე მრავალი ქართველი მწერალი წავიდა.

ლიტერატურის წინაშე დადგა ამოცანა — კიდევ უფრო ამაღლებულიყო ხალხთა მებრძოლი პატრიოტული აღფრთოვანება, ასახულიყო სამამულო ომის ფრონტისა და ზურგის გმირული ცხოვრება — ყველაზე ხალხური, ყველაზე სამართლიანი ომისა კაცობრიობის ისტორიაში. ეჩვენებინათ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრისათვის ფაშიზმის მხეცური სახე. და საბჭოთა ლიტერატურამ გაამართლა ხალხის ნდობა, ომის მთელს მანძილზე მან პატიოსნად შეასრულა ეს თავისი ისტორიული მოწოდება.

1946 წ. აგვისტოს ლენინგრადში პარტიული აქტივისა და მწერლების კრებაზე ჟურნალების „ზვეზდისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ ამხ. ჟდანოვი ამბობდა: „რა მოხდებოდა, ჩვენ რომ ახალგაზრდები აღგვეზარდა ჩვენი საქმისადმი სასოწარკვეთილობით და ურწმუნოებით? მოხდებოდა ის, რომ ჩვენ ვერ გავიმარჯვებდით დიდ სამამულო ომში. სახელდობრ იმიტომ, რომ საბჭოთა ქვეყანამ და ჩვენმა პარტიამ საბჭოთა ლიტერატურის დახმარებით აღზარდა ჩვენი ახალგაზრდობა სულიერი მხნეობით, თავის ძალ-ღონეში რწმენით, სახელდობრ ამიტომ დავძლიეთ ჩვენ უდიდესი სიძნელეები სოციალიზმის მშენებლობაში და მივაღწიეთ გერმანელებზე და იაპონელებზე გამარჯვებას“.

ომის პირველსავე დღეებში დაიბეჭდა ლექსები ა. აბაშელისა „ჩემს კალამს“ და ი. გრიშაშვილისა — „სამშობლო და გამარჯვება“. ქართველი პოეტები მხურვალედ მოუწოდებდნენ ხალხს თავდადებული საბრძოლო და შრომით გმირობისაკენ, სამშობლოს თავისუფლებისა და სახელისათვის ბრძოლისაკენ.

გ. ტაბიძემ გამოსცა მებრძოლი პატრიოტული ლექსების კრებული „მამულო სიცოცხლეო“ და „მშობლიურო ჩემო მიწა“. ს. ჩიქოვანმა — „გამარჯვება“ და სხვა ნაწარმოებები, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ხალხში ომის პირველ დღეებიდანვე.

გამომცემლობა „ფედერაციამ“ გამოსცა წიგნი სათაურით „სამშობლოსათვის, სტალინისათვის“,

რომელშიაც მოთავსებულია ლექსები და მოთხრობები დიდი სამამულო ომის შესახებ. ამ წიგნის ყოველი სტრიქონი გამსჭვალულია პატრიოტული გრძნობით.

ომის მრისხანე და დაძაბულ დღეებში მწერალი უნდა გახდეს უშუალო მონაწილე იმ დიადი ბრძოლებისა, რომელსაც ეწევა საბჭოთა ხალხი გერმანელი ფაშიზმის წინააღმდეგ .მთელი მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი დაირაზმა პარტიის მოწოდებისთანავე, ყველა თავის პოსტზე — ფრონტსა და ზურგში — ემსახურება სამშობლოს. — ეს აზრი წითელ ხაზად გასდევს კრებულში შესულ ნაწარმოებებს.

კრებულში განსაკუთრებული ადგილი უკავია სამამულო ომის გმირებისადმი მიძღვნილ ლექსებს. ,უნდა აღინიშნოს კ. ბობოხიძის „სამამულო ომის პირველ გმირებს“, კ. კალაძის „შ. ლებანიძე“, ა. მაშაშვილის „ზღვის არწივი“, რომელიც კაპიტან წურწუმიასადმია მიძღვნილი და სხვა.

მწერლებს აღაფრთოვანებს პარტიზანული მოძრაობის ჰეროიკა. ამ თემებზეა დაწერილი ი. აბაშიძისა და შ. იოსელიანის ლექსები.

„ხისქვეშ გაშლილა მათი სახლ-კარი,
ტყე და სტეპია მათი სამეფო;
ძმებო! ჰიტლერის კეფას დაჰკარით,
თქვენ გაგიმარჯოთ პარტიზანებო!“
(ი. აბაშიძე „პარტიზანები“)

წიგნში გამოირჩევა ს. ჩიქოვანის ორიგინალური ლექსი „მამულს ვუთხრათ გამარჯვება“. სიტყვა „გამარჯვებას“ თავისი ისტორია აქვს. ქართულ ენაზე იგი დიდი ხანია მისასალმებელი სიტყვაა და ამავე დროს გამოხატავს ქართველი ხალხის თავისუფლებისმოყვარულ სულს.

„ჭირში, ლხინში გვასწავლიდა
ეს მიმართვა გაკაჟებას,
რადგან ქართველს მარად სწამდა
მშობელ კუთხის გამარჯვება.
. . . . . . .
ამ ძახილით ცეცხლი გვერგო
მისალმების აღმნიშვნელი.
გამარჯვებით რომ შეგვემკო
ჩვენი მთა და ჩვენი ველი“
(ს. ჩიქოვანი „მამულს ვუთხრათ გამარჯვება“)

წიგნში მოთავსებული ყოველი ნაწარმოები სუნთქავს მტკიცე, ურყევი რწმენით ჩვენ გამარჯვებაში გერმანელ ფაშიზმზე — კაცობრიობის დაუძინებელ მტერზე.

ასე იწყებოდა ქართული საბჭოთა ლიტერატურის საბრძოლო ცხოვრება. აითვისეს რა ქართული კლასიკური ლიტერატურის პატრიოტული ტრადიციები, ქართველი მწერლები მხურვალედ მოუწოდებდნენ ხალხს სამშობლოს დიდებისა და უკვდავებისათვის.

ომის წლების ქართულ საბჭოთა პოეზიის მაღალი ხალხურობის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ი. აბაშიძის შესანიშნავი ლექსი „კაპიტანი ბუხაიძე“

„მე ქართველი ბუხაიძე,
ბალყარეთის მთებში ვწევარ,
რომ შემეძლოს საფლავიდან
ძმებო, მხრების წამოწევა,
მე სიცოცხლეს ხელმეორედ
შევწირავდი მშობელ მხარეს
შევწირავდი იმავ მიწას.
დღეს რომ გულზე დამაყარეს.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღიდებდა რა მტერთან ბრძოლაში დაცემული მამაცი ქართველი მებრძოლის ბუხაიძის უკვდავ გმირობას, პოეტმა გამოთქვა ამ ლექსში საბჭოთა ადამიანის წმინდათა-წმინდა გრძნობა ერთგულების და სიყვარულისა სამშობლოსადმი. პოეტმა მონახა განსაკუთრებული, მკაფიო, გულში ჩამწვდომი სახეითი ფორმა ამ ამაღლებული გრძნობის ღირსეულად განსახიერებისათვის. ხალხმა აიტაცა პოეტის შთამაგონებელი სიტყვები. ფრონტისა და ზურგის მებრძოლებმა ზეპირად იცოდნენ და სიყვარულით იმეორებდნენ ი. აბაშიძის სტრიქონებს. ვაჟკაცური, ომახიანი სტრიქონებით გამოეხმაურა სამამულო ომს ფრონტელი მწერალი ალექსი გომიაშვილი, გრიგოლ აბაშიძემ შექმნა ომის თემაზე თვალსაჩინო ნაწარმოები — პოემა „ძლევის ქედი“.

ომის შემდგომ ეტაპზე ქართულ პოეზიაში გაჩნდა ფრონტისა და ზურგის საბრძოლო ცხოვრების ეპიზოდების ამსახველი ნაწარმოებები, რომლებიც გვიხატავენ სამამულო ომის გმირების სახეებს.

ამ პერიოდის ისეთი ლექსები როგორიცაა გ. ლეონიძის „არ დაიდარდო დედაო“, რ. გვეტაძის „არტილერიის დუელი“, კ. კალაძის „შალამბერიძეს“, დ. გაჩეჩილაძის „უკვდავების ძახილი“, ი. მოსაშვილის „მისი წერილი“, ს. ჩიქოვანის „ვინა სთქვა“, ა. მირცხულავას — „ყაზბეგი“ შევიდნენ ქართული საბჭოთა პოეზიის ოქროს ფონდში. ქართველმა მწერლებმა შექმნეს მთელი რიგი პროზაული ნაწარმოებებისა, რომლებიც გამოხატავენ საბჭოთა ადამიანის საბრძოლო და შრომით გმირობას.

ლ. ქიაჩელის რომანი „მთის კაცი“, კ. ლორთქიფანიძის მოთხრობა „როგორ მოკვდა მოხუცი მებაღური“, გ. ნატროშვილის ფრონტული მოთხრობები და ნარკვევები, ს. კლდიაშვილის, ა. ბელიაშვილის და სხვათა მოთხრობები და ნოველები მოგვითხრობენ საბჭოთა ადამიანების უკვდავ საქმეთა შესახებ.

ქართულ თეატრებში ომის წლებში დადგმული ქართველი დრამატურგების ნაწარმოებებიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანთაგანია ს.შანშიაშვილის დრამა „კრწანისის გმირები“. პიესაში გამოსახულია ისტორიული თანამეგობრობა ქართველი ხალხისა რუს ხალხთან. ბუნებრივია, რომ ეს პიესა განსაკუთრებით აქტუალური იყო სამამულო ომის დღეებში, როდესაც ქართველი ხალხი და ჩვენი სამშობლოს სხვა მოძმე ხალხები მხარდამხარ გმირულად იცავდნენ სამშობლოს.

რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობის თემისადმია მიძღვნილი აგრეთვე ა. სამსონიას ისტორიული პიესა „ბაგრატიონი“, რომელიც წარმატებით იდგმებოდა ქართული თეატრის სცენაზე. პიესა მიძღვნილია 1812 წლის სამამულო ომის სახელოვანი გმირის ქართველი ხალხის შვილის, გენერალ ბაგრატიონის ცხოვრებასა და მოღვაწეობისადმი.

სოციალისტური წყობის გამარჯვებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისა და მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის შესახებ. საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობის საფუძველს წარმოადგენს საბჭოთა ადამიანების ინტერესთა ერთიანობა, მათი მჭიდრო კავშირი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

ეს მეგობრობა განსაკუთრებით განმტკიცდა 1941 — 1945 წლების სამამულო ომში. აი ერთი მკაფიო მაგალითი საბრძოლო მეგობრობისა. გენერალ-მაიორ კოვპაკის პარტიზანულ გაერთიანებაში რუსებისა და უკრაინელების, ბელორუსებისა და ყაზახების მხარდამხარ იბრძოდა ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი საბჭოთა კავშირის გმირი, პარტიზანული პოლკის მეთაური დავით ილიას ძე ბაქრაძე, კოვპაკის შენაერთებთან ერთად ბაქრაძე ანადგურებდა მტერს უკრაინაში, ბელორუსიაში, კარპატებში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, აღმოსავლეთ პრუსიაში. ნამდვილი ძმებივით იბრძოდნენ საბჭოთა კავშირის ხალხები მოსკოვთან და სტალინგრადთან, ლენინგრადის ბლოკადის რკალში, სევასტოპოლის მისადგომებთან, ყირიმში და ოდესაში, უკრაინისა და ბელორუსიის ველებზე.

არასოდეს არ დაავიწყდება ქართველ ხალხს კავკასიის გმირული დაცვა, რომელშიაც ქართველებთან ერთად მონაწილეობას ღებულობდნენ რუსი ხალხის შვილები, უკრაინელები, ბელორუსები, ყაზახები, აზერბაიჯანელები, — ჩვენი ქვეყნის მოძმე რესპუბლიკების ყველა წარმომადგენელი.

სამამულო ომის დღეებში ქართველი საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენელნი თავიანთ მოძმეებთან ერთად იცავდნენ საბჭოთა კავშირის დაბებსა და ქალაქებს. აი მკაფიო მაგალითები: 193-ე საზენიტო არტილერიის პოლკს, რომელიც მოსკოვს იცავდა მტრის თვითმფრინავთაგან, მეთაურობდა პოლკოვნიკი მ. გ. კიკნაძე. პოლკმა გერმანელთა ათასობით თვითმფრინავი ჩამოაგდო. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა პოლკოვნიკ კიკნაძეს დროშა გადასცა. დროშის მიღებისას პოლკოვნიკმა კიკნაძემ ფიცი დასდო პოლკის მთელი პირადი შემადგენლობის სახელით, რომ სიცოცხლეს არ დაიშურებდა მტერთან ბრძოლაში. მოსკოვის მამაც მებრძოლთა რიცხვს ეკუთვნოდა 107-ე მოტომსროლელი დივიზია, რომლის მეთაურიც იყო პოლკოვნიკი პ. გ. ჩანჩიბაძე. ამ დივიზიამ გაანადგურა გერმანელ-ფაშისტური არმიის მე-20 სატანკო დივიზია და განუწყვეტელ ბრძოლებს ეწეოდა ფრონტის მთავარ უბნებზე. ლენინგრადის ფრონტზე მამაცურად იბრძოდა პოდპოლკოვნიკი შ. მელქაძის ნაწილი. ვიტებსკთან ბრძოლებში თავი ისახელა ბატარეის მეთაურმა იაკობ ჯუღაშვილმა. გენერალ-ლეიტენანტი ი. ერიომენკო წერდა: „ნამდვილი გმირობის და სამშობლოსადმი ერთგულების გასაოცარი მაგალითი გვიჩვენა ვიტებსკთან ბრძოლებში ბატარეის მეთაურმა იაკობ ჯუღაშვილმა. მძაფრ ბრძოლაში იგი უკანასკნელ ჰურვამდე არ ტოვებდა საბრძოლო პოსტს, ანადგურებდა მტერს. სიმამაცე სამოქალაქო ომის გმირებისა, რომლებიც თავდადებულად იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის, ცოცხლობს მათსავე შვილებში და მთელ საბჭოთა ხალხში, რომელიც აღსდგა დიდი სამამულო ომისათვის“ [1].

სამამულო ომის ფრონტზე უმაგალითო სიმამაცე გამოიჩინა კაპიტანმა ა. ს. გეგეშიძემ. აი რას წერდა გაზეთი „იზვესტია“: „საზღვაო ქვეითი ბატალიონის მეთაურმა არკადი გეგეშიძემ ნამდვილი გმირობა გამოიჩინა. მომთხოვნმა თავისი თავისა და ხელქვეითებისადმი, მან არა ერთხელ მოიგერია მტრის შემოტევა, არა ერთხელ გადავიდა კონტრშეტევაზე. თავგანწირვით იბრძოდნენ სევასტოპოლელები და კაპიტანი გეგეშიძე მათ შორის პირველთაგანი იყო. მისმა ბატალიონმა გაანადგურა ათასობით ფაშისტი. მეთაურის პირადი მაგალითით გატაცებული მებრძოლები იბრძოდნენ უკანასკნელ ვაზნამდე, გულის უკანასკნელ ძგერამდე კაპიტან გეგეშიძეს ყველაზე საშიშ უბნებში გზავნიდნენ. მას არა ერთხელ შეუხედავს სიკვდილისათვის თვალებში და სიკვდილი გაურბოდა მას. სახელი და დიდება გმირს! ისეთებით როგორიც გეგეშიძეა, ძლიერია ჩვენი არმია, ძლიერია ჩვენი ფლოტი“ [2].

გეგეშიძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. ყირიმის ფრონტზე გამოჩენილი გმირობისათვის 1942 წლის 11 ივნისს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა მ. ლ. გახოკიძეს. ამ დღეს ქვეგანაყოფმა, რომელსაც მეთაურობდა გახოკიძე, ოთხი შეტევა მოიგერია მოწინააღმდეგის ძლიერი ძალებისა. მესამე შეტევის დროს, მისი ქვეგანაყოფის ერთერთი ოცეულის მიშველებისას, რომელიც მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, მ. ლ. გახოკიძემ პირადად მოსპო ხელჩართულ ბრძოლაში 68 ფაშისტი. საქართველოს სახალხო პოეტმა გალაკტიონ ტაბიძემ უშიშარ გმირს ლექსი მიუძღვნა.

უკვდავი გმირობის მაგალითი გვიჩვენა

[1] გაზეთი „კრასნაია ზვეზდა“. 15 აგვისტო 1941 წ.

[2] გაზეთი „იზვესტია“ 24 ოქტომბერი 1942 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტხელმა ა. ა. კანკავამ, რომელიც ფრონტზე სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მერხიდან წავიდა. იმ ქვეგანაყოფმა, სადაც პოლიტხელად კანკავა იყო, გაარღვია მოწინააღმდეგის პოზიცია და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავა. მტერმა კონტრშეტევაზე გადმოისროლა დიდი ტექნიკა და ცოცხალი ძალა. სამი დღის განმავლობაში კანკავას ქვეგანაყოფი იგერიებდა ჰიტლერელების უპირატეს ძალთა შემოტევას. პირადად კანკავამ ტანკსაწინააღმდეგო იარაღით ორი ტანკი გაანადგურა. პოლიტხელი კანკავა გმირული სიკვდილით დაეცა. საბჭოთა კავშირის გმირობა მას სიკვდილის შემდეგ მიენიჭა.

სანდრო შანშიაშვილმა დაწერა პიესა „ოკუპანტები“, რომელიც მოგვითხრობს ფაშისტ დამპყრობელთა ძალადობაზე და საბჭოთა პარტიზანების სახელოვან ბრძოლებზე. ი. მოსაშვილმა და კ. ლორთქიფანიძემ 1941 წ. დაამთავრეს სცენარი „საყარაულო ჯიხურში“.

გაზ. „კომუნისტის“ გამომცემლობაში გამოვიდა ბროშურა ქართულ ენაზე, რომელშიაც მოთავსებულია ქართველი ხალხის სახელოვანი შვილების გმირული თავდადების შესახებ მოთხრობები, ლექსები და ნარკვევები.

ამავე გამოცემით გამოვიდა კრებული „სამამულო ომის მამაცი მებრძოლები“ მესამე წიგნი, რომელშიც შედიოდა 40 პატარა მოთხრობა ქართველი ხალხის შვილების თვალსაჩინო გმირობათა შესახებ. აქ დაბეჭდილია მოთხრობები საბჭოთა კავშირის გმირების ძ. გახოკიძისა და ვ. ხარაზიას შესახებ, მფრინავ კაპიტან მ. ჯორმელაშვილის, ბატალიონის კომისარ ა. გიორგაძის, უფროსი პოლიტხელის თ. თოდუას, სერჟანტ გ. სულუხიას, ტანკისტ გ. შანგუას, კაპიტან თ. ჯოხაძის, პოდპოლკოვნიკ ს. ნატროშვილის და სხვათა შესახებ.

მებრძოლთა წერილები ფრონტიდან და წერილები რომლებიც ფრონტელებს გაუგზავნეს დედებმა და მამებმა, დებმა და ძმებმა მოქმედ არმიაში, მთელ რიგ ქართველ მწერალთა ნაწარმოების თემად იქცა. ასეთია ა. აბაშელის — „დედის წერილი“, რ. გვეტაძის— „წერილი შვილს“, შ. იოსელიანის — „წერილი დედას“ და სხვ.

ამ ლექსებში გამოხატული იყო ღრმესი გრძნობები საბჭოთა პატრიოტებისა, რომლებიც მზად იყვნენ სამშობლოს საკეთილდღეოდ შეეწირათ მთელი თავისი ძალღონე და თუ საჭირო იქნებოდა სიცოცხლეც კი.

სახელოვანმა საბჭოთა არმიამ ფაშისტთა ურდოებს გამანადგურებელი დარტყმა აგემა. მტერი თავის მტაცებლურ თათებს იწვდიდა ჩვენი ქვეყნის დოვლათისაკენ, მაგრამ საკადრისი დახვედრა მიიღო საბჭოთა ხალხისაგან. ეს შესანიშნავად გამოსახა თავის ლექსში პოეტმა ა. მაშაშვილმა.

„მშიერ ყორნების ხროვა,
მოილტვის გულის ძგერით,
რომ დაიტაცონ გროვად
ჩვენი პური და ქერი“
(ა. მაშაშვილი — „თავზე დაგვესხა მტერი“).

1943 წ. იანვარში გამოვიდა თბილისში მცხოვრებ რუსი მწერლის გიორგი კრეიტანის ბროშურა. „მოკლედ და გასაგებად“. ეს იყო ანტიფაშისტური სატირის პატარა წიგნი. მასში მოთავსებული იყო 21 მოკლე ლექსი, არაკი, ეპიგრამა და სხვა სახის პოლიტიკური სატირა. წიგნი გამიზნული იყო პირველ რიგში მუშათა და ფრონტელთა ფართო აუდიტორიისათვის.

მწერალმა გიორგი ნატროშვილმა, რომელიც დასავლეთის ფრონტზე იბრძოდა, გამოსცა მხატვრული ნარკვევების და ნოველების კრებული — „სტრიქონები დღიურიდან“. ეს წიგნი დაწერილია დიდი გულწრფელობით, შინაგანი სითბოთი და მხატვრული სიმართლით.

მრავალი ფრონტული მოთხრობა გამოაქვეყნა კ. ლორთქიფანიძემ, რომელიც ორჯერ იყო ფრონტზე და მდიდარი მასალა დააგროვა მებრძოლი ქართველების შესახებ.

ომი სერიოზული გამოცდა იყო ქართველი მწერლებისათვის. ისინი. არა მხოლოდ ლექსებს წერდნენ და მოუწოდებდნენ ხალხს დამპყრობელების წინააღმდეგ საბრძოლველად, არამედ თვითონაც დგებოდნენ მებრძოლთა რიგებში. მწერლები დემნა შენგელაია, ა. გომიაშვილი, შ. ამისულაშვილი, რ. მარგიანი, ი. ნონეშვილი, პ. აბრამია, კ. ბობოხიძე მუშაობდნენ პოლიტხელებად, აგრეთვე საფრონტო გაზეთებში. პოეტი-მებრძოლების მიერ შექმნილი ლექსები ბრძოლის ველიდან ზურგში მოდიოდა, როგორც საბრძოლო მოწოდება, გამსჭვალული მაღალი პატრიოტიზმით.

ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტები ს. ისიანი და ს. ქლენტი გმირულად დაიღუპნენ ბრძოლის ველზე.

ომის დამთავრების შემდეგ, ჩვენმა ქვეყანამ არა მხოლოდ მოიშუშა ომის მიერ მიყენებული ჭრილობები, არამედ დასახა კიდეც კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გრანდიოზული ამოცანები.

საბჭოთა ხალხი თავისი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდის აღფრთოვანებითა და ენერგიით შრომობს, რათა განახორციელოს ჩვენი მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის ზრდის პროგრამა, რომელიც დაგვისახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-21 ყრილობის ისტორიულმა დადგენილებამ, ჩვენი ქვეყნის ძლიერების შემდგომი განმტკიცებისა და აყვავებისათვის, საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ.

# ლიტერატურული მემკვიდრეობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა რადიანი

★

## გიორგი წერეთლის ლიტერატურული შეხედულებანი

გ. წერეთელი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის პროგრესული თაობის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია. იგი უნივერსალური განათლების ადამიანი იყო. „გულქანისა“ და „პირველი ნაბიჯის“ ავტორი იყო თვალსაჩინო მოაზროვნე, ფილოსოფოსი, ძლიერი და თავისებური მხატვარი, დრამატურგი, პოეტი, პუბლიცისტი, ისტორიკოსი, კრიტიკოსი, სოციოლოგი. არ ყოფილა არც ერთი დარგი საზოგადოებრივი საქმიანობისა ჩვენს ცხოვრებაში, რომ მასში გ. წერეთელს მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს და თავისი კვალი არ დაეჩინოს. იგი არის მთარგმნელი ვიქტორ ჰიუგოს — „კლოდ გოსა“ და გოეთეს „ეგმონტისა“. სახელოვნად იღწეოდა გ. წერეთელი საბავშვო ლიტერატურის დარგში. ნორჩი თაობისათვის დასწერა და თარგმნა ლექსად და პროზად მრავალი ნაწარმოები.

გ. წერეთლის მხატვრული ძალა მდგომარეობს თავის თანამედროვე ცხოვრების ღრმად ჩაწვდომაში. ამ ცხოვრებიდან იგი ეხებოდა დიდ სოციალურ თემებს, საკვანძო პრობლემებს. მწერალი ფართოდ და მრავალმხრივად გვიჩვენებს ცხოვრებას, მის შინაარსსა და ტენდენციებს. გ. წერეთლის შემოქმედებაში სრულად აისახა ის ისტორიული ცვალებადობანი, რაც ხდებოდა ჩვენს ქვეყანაში მე-19 საუკუნეში. იგი სინამდვილეს ხატავს სოციალურ წინააღმდეგობებში.

გ. წერეთელი არა მარტო უარყოფს ძველს, არამედ ამტკიცებს ახალს, გვიჩვენებს იმ დადებითსაც, რასაც ხედავს ცხოვრებაში. ეს დადებითი საწყისები უპირველეს ყოვლისა მომდინარეობს ხალხიდან. ხალხს იგი განიხილავს, როგორც აქტიურ ძალას საზოგადოებრივი განვითარებისა, რომელიც ქმნის არა მარტო მატერიალურ, არამედ სულიერ კულტურას. ხალხის ცხოვრებას იგი გამოხატავს მის ისტორიულ-კონკრეტულ პირობებში. მთელი მისი შემოქმედება გამსჭვალულია სიყვარულით, რწმენით ადამიანისადმი. გ. წერეთელი მიისწრაფვის რათა ხალხი იხილოს თავისუფალი, თანასწორი და ბედნიერი, რაც მან ასე მკაფიოდ გამოთქვა ზღაპარ — მოთხრობაში „ღვთის წყალობა“. მას სჯერა რომ სიმართლე, სიკეთე გაიმარჯვებს.

გ. წერეთელი თავისებური მანერის მწერალია. მისი ჩვეულებრივი მანერაა — ხატვა სადა, მკაფიო ფერებით. სიზუსტით, კონკრეტულობით და სასიცოცხლო სიმართლით ხასიათდებიან მის მიერ ხმარებული მხატვრული გამოსახვის საშუალებები.

ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიაში გ. წერეთლის შემოქმედება მისთვის დამახასიათებელი ღრმა რეალიზმის მნიშვნელოვანი და შინაარსიანი საფეხურია.

მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე გ. წერეთელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ხელოვნების მიზნისა და ამოცანების პრობლემებს, სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ მას აქვს გარკვეული ესთეტიკური თეორია და მხატვრულ შემოქმედებაში იგი ამ თეორიის თანამიმდევარი გამტარებელია. იგი ყოველთვის დასაბუთებულად და ღრმად არკვევდა ლიტერატურისა და ხელოვნების რთულ საკითხებს.

ხელოვნებას გ. წერეთელი განიხილავს, როგორც ხალხის სულიერ ცხოვრების უმნიშვნელოვანეს დარგს, სინამდვილის ასახვის თავისებურ ფორმას. იგი არა ერთგზის მიუთითებს, რომ მხატვრულ შემეცნებას გააჩნია თავისი სპეციფიკა. ხელოვნებაში სინამდვილის ათვისების დამახასიათებელ თავისებურებას შეადგენს სახეობრივი, სურათობრივი ასახვა. „თავი კანონი ესთეტიკისა არის ცხოვრების

სურათის სიტყვით გაცოცხლება".[1] ჭეშმარიტ ხელოვნებაში სინამდვილე ყოველთვის აისახება ახალი თვისებებით, ახალი კუთხით. ხელოვნების წყაროა — ბუნება და საზოგადოება. ხელოვნების მთავარ საგანს შეადგენს ადამიანი და მისი ცხოვრება, მისი სულიერი სამყარო; გ. წერეთელს სავსებით აქვს შეგნებული აზრი, რომ ხელოვნების ამოცანა მდგომარეობს არა ფაქტების უბრალო აღნუსხვაში, არამედ იმაში, რომ მართებულად გამოხატოს ცხოვრება და ადამიანები. მწერლის ოსტატობა მდგომარეობს იმაში, რომ სინამდვილეში შენიშნოს დამახასიათებელი და ის გარდაქმნას მხატვრულ სახეებში. რეალისტური სახე არის სინამდვილის განზოგადება.

მხატვრული შემოქმედება არის შეგნებული და რთული პროცესი. ხელოვნებას არ შეუძლია დარჩეს იზოლირებული საზოგადოებრივი ურთიერთობის სხვა პროცესებისაგან. მან უნდა გამოხატოს ცხოვრება, ემსახუროს საზოგადოებას, შეიტანოს ხალხში მოწინავე აზრები. „მავნებელია — ლიტერატურა და პოეზია, — წერს გ. წერეთელი, — როდესაც ის არ მსახურებს ხალხის ცხოვრებას; ატარებს ცხოვრებას ფუჭ დეკლამაციაში, როგორც გადაღებაში, ნამეტურ ამგვარი განათლების მხარეებისა, როგორიც არის პოეზია და ლიტერატურა. მისი გადამღები ხელმძღვანელობს ერთ-ერთ გარეგან ბრწყიალი სახით და ვერ სცნობს მის მართალს მნიშვნელობას, მის შინაგან აზრს, ურომლისოდაც თვით ელვარე ფორმა ფუჭია და მავნებელი"[2]. იგი გადაჭრით უარჰყოფს ისეთ გარეგნულ, ბრჭყვიალა ნიშნებს, რაც არ იძლევა საშუალებას სინამდვილის ღრმად, საფუძვლიანად შეცნობისა, გ. წერეთელი ერთმანეთს არ უპირისპირებს, არ აშორებს შინაარსსა და ფორმას. იცავს რა ხელოვნებაში შინაარსის პრიმატს ფორმასთან შედარებით, იგი ამავე დროს არ ამცირებს ფორმის მნიშვნელობას. ფორმა შინაარსის გამოთქმისათვის არსებობს. მაგრამ ის არ არის პასიური.

გ. წერეთლის მთელი ძიება ესთეტიკის დარგში მიმდინარეობდა რეალისტური ხელოვნებისათვის ბრძოლის ნიშნის ქვეშ. თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისიდან იგი ხელოვნებაში იბრძოდა რეალისტური მიმართულებისათვის, ამიტომ მის ესთეტიკაში მთავარი ადგილი უჭირავს რეალიზმის თეორიას. მან შექმნა მწყობრი და მთლიანი კონცეფცია რეალიზმისა, რომელშიაც სინამდვილისადმი ერთგულება იყო გამოცხადებული ხელოვნების აუცილებელ პირობად. ჩვენმა ბელეტრისტმა კარგად იცის, რომ რეალიზმი არის მხატვრული მეთოდი, მიმართულება, სკოლა, რომელიც წარმოიშვა განსაზღვრულ ისტორიულ ვითარებაში. რეალიზმისათვის დამახასიათებელია ორიენტაცია სინამდვილეზე, მისი მრავალფეროვანების გამოვლინებაზე. რეალიზმი არის სიტყვიერ-მხატვრული გამოხატვა ცხოვრებისა, მისი არსისა და კანონზომიერებისა. გ. წერეთელი არ იზიარებს სინამდვილის უბრალო, ნატურალისტურ კოპირებას. „ხელოვნება და ლიტერატურა მხოლოდ მაშინ არის საზოგადოების გონების განმავითარებელი, როცა იგი თვით ცხოვრებაზეა დაკავშირებული, როდესაც იგი აღმოხატავს ნამდვილად ზედმიწევნილი სიმართლით ცხოვრების ვითარებას, მის გულისტკივილს, მის გულის ჭრილობას, რომ საზოგადოებამ და მთელმა ერმაც სამართლიანად იძიოს წამალი თავის სატკივრისა და დამაუძლურებელის სენისაგან თავი განიკურნოს. როდესაც ხელოვნება ამ ზომამდე დაკავშირებულია ცხოვრებასთან, აი მაშინ ჰქვია მას ნამდვილი ხელოვნება, ე. ი. რეალური ხელოვნება. მხოლოდ რეალურს ხელოვნებას აქვს ძალა ხელში ცხოვრების გაუმჯობესებისათვის"[1], რეალიზმი მოითხოვს სინამდვილის მართებულ გამოხატვას. გ. წერეთელი უარყოფს ყოველგვარ სიყალბეს, რომანტიკულ გაფუყულობას, ნაძალადეობას, იბრძვის სიმართლისათვის ხელოვნებაში.

მწერალს ევალება სინამდვილის ღრმა და მართებული შეცნობა, სინამდვილის ფაქტების საფუძვლიანი ცოდნა. „მხატვარი მოვალეა მოგვცეს თვით ცხოვრების სახე მისი გარემომცველი ყველა გარემოებით ისე, როგორც იგი არის, რათა მივიღოთ მისი ყველაზე მართალი ასახვა"[2]. ხელოვანმა ისე უნდა ასახოს ცხოვრება. რომ უფრო მეტად დაარწმუნოს მაყურებელი, მკითხველი. „რამდენად მწერალი უფრო ღრმად შეეხება ცხოვრებას, იმდენად იმისაგან გამოყვანილს სურათში ნათლად დაინახავს მაყურებელი თავისთავს[3]. მწერალს ევალება უთხრას მკითხველს ახალი, მანამდე უცნობი. მწერლისათვის არ არსებობს „დაბალი" ბუნება, რომელიც არ იყო ღირსი გამოხატულ იქნას ხელოვნების ნაწარმოებში. ხელოვნების განსაზღვრა „ამაღლებული", „უჩვეულო" თემებით მიუღებელია გ. წერეთლისათვის, რადგანაც ამ გზას საბოლოოდ მივყე-

---

[1] გ. წერეთელი („კრებულის" მკითხველი) „დროშა", 1871 წ. № 24.

[2] გ. წერეთელი (გ. თელი), „ცისკარს რა აკაკანებდა", ჟურნ. „საქართველოს მოამბე", 1863 წ. № 5.

---

[1] გ. წერეთელი, „ხაფანგი" მეველესა, „კვალი", 1894 წ. № 5.

[2] გ. წერეთელი. Лекции в кружке Г. Г. Пальма и Ерицова, газ. «Тифлисский вестник» 1878 г. № 38.

[3] გ. წერეთელი, „ქართული თეატრი დროება", 1866 წ. № 11.

ვართ ცხოვრების ყალბ, დამახინჯებულ გამოხატვამდე. გ. წერეთელი ხელოვნებას მოუწოდებს, რომ მან ზურგი არ შეაქციოს „დაბალ“ ბუნებას, არამედ გამოხატოს რეალობა, ნაწარმოების საგანი შეიძლება იყოს სინამდვილის ყოველი მოვლენა, რაც შეადგენს ადამიანის ცხოვრების შინაარსს, მხატვრული სახე უნდა წარმოგვიდგენდეს სინამდვილის დამახასიათებელ მოვლენებს. გიგო გაბაშვილის მხატვრობას იგი მაღალ შეფასებას იმიტომაც აძლევს, რომ ეს გამოჩენილი ქართველი ხელოვანი იყო რეალისტური სკოლის მიმდევარი, „ყოველი მისგან გამოხატული სურათი ცხოვრების სინამდვილით არის აღბეჭდილი... იგი ეძებს ბუნებაში კაცს, ანუ კაცთა გროვას, მისი ჭირვარამით, დაუცხრომელი მოძრაობით, ლტოლვილებით, მისი მწუხარებით, უბედური შემთხვევით, სიხარულით და ცხოვრების სიტკბოებით“ [1].

გ. წერეთელი გამოდის ხელოვნებისა და ლიტერატურის იდეურობის დამცველად, აღიარებს იმ აზრს, რომ ხელოვნება უნდა ემსახურებოდეს ცხოვრებას, უპასუხებდეს დროის სასიცოცხლო მოთხოვნილებებს; ხელოვნების შინაარსს იგი უშუალოდ უკავშირებს ყოველდღიურ საჭირბოროტო საკითხებს. მწერლის მთავარ მოწოდებას შეადგენს ბრძოლა მოწინავე იდეალებისათვის, სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ. გ. წერეთელი ამტკიცებს, რომ „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ ისეთივე უაზრობაა, როგორც „მეცნიერება მეცნიერებისათვის“, მხოლოდ ისეთი ხელოვნება და მეცნიერებაა ჭეშმარიტი, რომელიც ემსახურება საზოგადოებრივ პროგრესს. შემოქმედი უნდა გამოხატავდეს თავისი ხალხის ფიქრებსა და მისწრაფებებს, ოცნებასა და იმედს, სიხარულსა და მწუხარებას; სხვაგვარად, ლიტერატურა და ხელოვნება უნდა გამოხატავდეს ყველაფერს იმას, რაც შეადგენს ხალხის ცხოვრებას ამ სიტყვის ფართო და სრული გაგებით. „მწერალი არის ერთი თავისი საზოგადოების წევრთაგანი, ერთი იმ პირთაგანი, რომლების კრება შეადგენს საზოგადოებას. ის არის საზოგადოების ტანჯვის და შვების თანამებრძოლი. რაში მდგომარეობს მისი ლვაწლი საზოგადოების წინ? — აჩვენოს საზოგადოებას თავისი აზრი ამ ნაკლოვანებების შესახებ, უჩვენოს იმგვარი საშუალებები, რომლებიც მისი ფიქრით საუკეთესონი არიან ამ ნაკლოვანებების მოსასპობად“ [2] მაგრამ გ. წერეთელი წინააღმდეგია სინამდვილის ოქმისებური განმეორებისა. იგი მოითხოვს რათა ხელოვნებამ გახსნას სინამდვილის არსებითი მხარეები. მწერლის დანიშნულებაა სინამდვილის მოვლენების განზოგადოება ცოცხალ ნათელ მხატვრულ სახეებში, დადგენა კერძოობითში — საერთოს. მოვლენაში — არსის.

ხელოვნებისა და ლიტერატურის ამოსავალ საყრდენად გ. წერეთელს მიაჩნია ხალხურობის პრინციპი. ჭეშმარიტი მწერალი შეიძლება ეწოდოს იმას, ვინც დაკავშირებულია ეპოქასთან, ხალხთან; ლიტერატურის ღრმა კავშირი ხალხთან შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში, თუ მწერალი ნაწარმოებში დააყენებს საერთო — სახალხო მნიშვნელობის პრობლემებს, თავისი დროის ძირეულ საკითხებს, თუ ნაწარმოებში დასმული პრობლემები გადაწყვეტილი იქნება ხალხის თვალსაზრისით. აქედან მხატვრული ლიტერატურა რომ გახდეს ღრმა ხალხური, ის უნდა გამოხატავდეს ხალხის ინტერესებს. გ. წერეთელი იცავს ისეთ ხელოვნებას, რომელიც იბრძვის ხალხთა მასების თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, მოწინავე იდეებისათვის. „წმინდა ხელოვნების“ დამცველებში იგი ხედავს ისეთ ადამიანებს, რომლებიც გაურბიან სინამდვილეს, საზოგადოებას და არსებითად იცავენ ყოველივე რეტროგრადულს, ინდივიდუალისტურს.

ხელოვნება არა მარტო ასახავს ცხოვრებას, არამედ აქტიურად ერევა ცხოვრების გარდაქმნაში, გაუმჯობესებაში. მხატვარი ცხოვრებას ხედავს, როგორც განვითარების უწყვეტ პროცესს. მან ცხოვრებაში უნდა გამოყოს ძირითადი, წამყვანი, პროგრესული და ხელი შეუწყოს მის ზრდას. „ცხოვრების ცუდი მხარეების დამახასიათებელი მწერალი მითი ნუგეშობს და იმედი უკეთესი მომავლისა მით უათკეცდება, რომ ის ღრმად დარწმუნებულია: „ჩემი მწერლობის თანამედროვე ცხოვრება გაუმჯობესდებაო და ერთ წარმატებით ნაბიჯს წინ წარსდგამსო“ [1]. ასეთია ხელოვნების დიდი ძალა.

ა. სუმბათაშვილის დრამის „ბორკილის“ მე-19 საუკუნის 90-იან წლებში ქართულ სცენაზე წარმოდგენასთან დაკავშირებით გ. წერეთელი მიუთითებდა, რომ ქართველი მსახიობები თავის ნიჭს ამჟღავნებენ ისეთ პიესებში, რომლებშიც მოცემულია „ცხოვრების სურათები“, რომელშიც „ნამდვილი კაცის ცხოვრების მაჯა სცემს“ [2]. ახალი მოვლენების ასახვა მიაჩნია გ. წერეთელს მწერლის მოწოდებად.

განსაზღვრავს რა დავით გურამიშვილის პოეზიას, გ. წერეთელი მდიდარი მასალის მოშველიებით ახასიათებს იმ ისტორიულ გარემოს,

---

[1] გ. წერეთელი (გორისელი), „გ. გაბაშვილის მხატვრობის გამოფენა“, „კვალი“, 1899 წ. № 5.

[2] გ. წერეთელი (გ. თელი), „ცისკარს რა აკაკანებდა?“, ჟურნ. „საქართველოს მოამბე“, 1883 წ. № 5.

[1] გ. წერეთელი „კიტა აბაშიძე“ და ჩვენი ახალგაზრდობა“, „კვალი“, 1887 წ. № 46.

[2] გ. წერეთელი, „ბორკილი“ ა. სუმბათაშვილისა, „კვალი“, № 4.

რომლის საფუძველზედაც აღმოცენდა ამ შესანიშნავი ქართველი პოეტის შემოქმედება. დ. გურამიშვილის დიდ ღირსებად გ. წერეთელს ის მიაჩნია, რომ მან გამოხატა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ცხოვრება, მდგომარეობა „დ. გურამიშვილის თხზულებაში აღიბეჭდა თავის თანამედროვე სურათი ერის ცხოვრებისა. იმისი აზრი, სულისკვეთება და გაჭირვება[1].

დ. გურამიშვილი უპირველეს ყოვლისა ეროვნული პოეტია, რომლისთვისაც ამავე დროს უცხო არ არის საერთო-საკაცობრიო მოტივები. თავისი ნაწარმოებებით დ. გურამიშვილი დაკავშირებული იყო მრავალ საუკუნოვანი ქართული პოეზიის საუკეთესო ტრადიციებთან. დ. გურამიშვილის პოეზიისათვის დამახასიათებელია რეალისტური ტენდენციები „გურამიშვილის თხზულებებში მოჭორებული არა არის რა. ავტორი რასაც ამბობს, სულ მისი თვალით ნახული და გამოცდილია“[2]. აქედანვე მომდინარეობს მის ნაწარმოებთა ხალხური ხასიათი, გ. წერეთლის თქმით, ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის ნაწერებით მკითხველის წინაშე წარმოსდგება ისეთ პიროვნებად, რომელიც „ებრძვის გარემოებას, ეძებს გონების წარმატებას, უნდა თავისი სამშობლო და იმისი ლიტერატურა წინ წააყენოს. ამის გულისათვის თვითონაც შრომობს და თავის ნათესავებსა და მეგობრებსაც აღვიძებს, ამხნევებს... იმისი სიცოცხლე ამ ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ყოფილა შეწირული“[3].

იმისათვის, რომ მწერალმა შექმნას ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოები, აუცილებელია დაგვიხატოს ცხოვრების არა ცალკეული შემთხვევები, არა სინამდვილის უმნიშვნელო ნატეხები, არამედ ტიპიური სახეები, თუ გინდ ჯერ კონტურებში რომ არის გამოხატული, უნდა ჩაწვდეს ცხოვრების განვითარების კანონზომიერებას. ტიპიურობა რეალიზმის აუცილებელი თვისებაა. ამიტომ ტიპიურობის პრობლემას ასეთი დიდი ადგილი აქვს დათმობილი თერგდალეულთა ესთეტიკაში.

„ხელოვნების რომელსამე ნაწარმოებისაგან ჩვენ ვითხოვთ ტიპს (საზოგადო შეკრებილობითს მოვლენის ნაყოფს და არა განკერძოებულს პირს) შემთხვევითს მოვლინებას“[4]. მხატვარი ემსგავსება სკას, რომელიც ყველა ყვავილისაგან აგროვებს თაფლის მასალას. ლიტერატურული ტიპები იქმნებიან აბსტრაქციის და კონკრეტიზაციის კანონების მიხედვით. აბსტრაქტირება, გამოყოფა ხდება მრავალი გმირის თვისებებისა და ნიშნებისა, შემდეგ კი ხდება მათი კონკრეტიზაცია, განზოგადება ერთ გმირში. ამგვარად მწერალი საერთოს წარმოგვიდგენს ინდივიდუალურის გზით.

რასაკვირველია, მწერლისათვის არაა საკმარისი, რომ თავისი გმირის სახეში შეაგროვოს მრავალი ადამიანის ნიშნები. მისი ამოცანა უფრო ფართო, განსაკუთრებულია — გამოხატოს ცხოვრების განვითარების კანონზომიერება და ტენდენციები, რომლის ვითარებაშიაც თითოეული ხასიათის განვითარება ღრმად უნდა იყოს მოტივირებული.

ყოველი ადამიანი, მათ შორის მხატვარი, ცხოვრობს რა განსაზღვრულ პირობებში, გამოხატავს ამა თუ იმგვარ წარმოდგენას სინამდვილეზე, ამიტომ ხელოვნებაში კანონიერია ტენდენცია, რომელიც უმეტესად ერთი შეხედვით, თითქოს შეუმჩნეველიცაა, მაგრამ რომლის გარეშეც შეუძლებელია ხელოვნება. გ. წერეთელი წინააღმდეგია „მოჭორებული ტენდენციისა“[1], რომელიც ამახინჯებს რეალობას. იგი მოითხოვს მხატვრულ ნაწარმოებში „ცხოვრების სინამდვილის“[2] გამოხატვას. რაკი ეს ვერ შენიშნა მან მეველეს „ხაფანგში“, სწორედ ამიტომ დაიწუნა ეს პიესა[3] ამიტომ იყო, რომ იგი აკრიტიკებდა ქართველ ხალხოსან მწერლებს, რომლებიც ვერ განთავისუფლებულან „ცრუტენდენციისაგან“, „სანტიმენტალური ტენდენციური ლაქებისაგან“[4].

განსაკუთრებულ ყურადღებას გ. წერეთელი აქცევს მხატვრული შემოქმედების ეპოქალობას. მას კარგად ესმის, რომ ცხოვრება ვითარდება, იცვლება. მწერალი, რომ არ ჩამორჩეს ცხოვრების სიმართლეს, მან უნდა შესძლოს საზოგადოებრივ ვითარებაში დანახვა, ახლისა რაც შეიძლება ჯერ სრული სახით ჯერ არც კი იყოს გამოვლენილი. „მწერალს შეუძლიან გამოიყვანოს ხოლმე თავის თხზულებათა ან იმისთანა გვამი, რომლის მსგავსიც ბევრი იპოება საზოგადოებაში, ან იმისთანა გვამი, რომელიც ამჟამად სამაგალითოა საზოგადოებისათვის; და თუ ახლა არა შემდეგს უფრო გამჯობინებულს ცხოვრებაში მაინც შესაძლებელია ამგვარი პირების არსებობა“[5]. გ. წერეთლის აზრით, თანადროულ ლიტერატურას არ

---

[1] გ. წერეთელი, „დავით გურამიშვილი“ და იმის წინა დროები“. შესავალი წერილი „დავითიანისა“ თბილისი, 1870 წ. იქვე გვ. XXV.

[2] გ. წერეთელი, „დავით გურამიშვილი“ და იმის წინადროები“, შესავალი წერილი „დავითიანისა“. თბილისი 1870 წ. გვ. XXV.

[3] გ. წერეთელი (გ. გორისელი), „ერთი უგბილიმ“, „დროება“, 1873 წ. № 36.

[4] გ. წერეთელი (გზაკვალი), „თეატრის მატიანე“, „კვალი“, 1894 წ. № 11

---

[1] გ. წერეთელი, „ხაფანგი“ მეველესა, „კვალი“, 1894 წ. № 5.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] გ. წერეთელი, „ჩვენი სახიობა“, „კვალი“, 1897 წ. № 47.

[5] გ. წერეთელი — „შენიშვნები“, „დროება“, 1867 წ., № 35.

შეუძლია პირდაპირ, უბრალოდ გაიმეოროს გუშინდელი ლიტერატურა, მისი სახეები, ტიპები და ფორმები. არც ცხოვრება და არც ლიტერატურა არ არსებობს სხვადასხვა ეპოქაში ერთნაირად უცვლელი.

ხელოვნება ჭარბსისხლიანია და ამაღლებული მაშინ, როდესაც გამსჭვალულია დიდი საზოგადოებრივი შინაარსით, როდესაც მისი ყურადღების ცენტრშია მნიშვნელოვანი სოციალური თანამედროვეობის ცხოვრებისა. ხელოვნება, უნდა იყოს ცოცხალი გამოძახილი თავისი თანამედროვეობის ცხოვრებისა. ხელოვნება, რომელიც არ უწყობს ხელს საზოგადოების პროგრესულ განვითარებას, ვერ გამოიწვევს ხალხის ინტერესსა და სიყვარულს. ამიტომ იყო, რომ იგი ერთგვარი მოწოდებითაც კი მიმართავდა ხელოვნების მოღვაწეებს: „მოგვეცი, დაგვიხატეთ ხელოვნურად ჩვენი აწინდელი ცხოვრება“ [1]. იგი ამხელდა იმ მწერლებს, რომლებიც ცდილობდნენ მკითხველი დაეშორებინათ თავის თანამედროვეობის სასიცოცხლო პრობლემებისათვის. მხატვრული ნიჭი, ოსტატობა მწერალს აძლევს საშუალებას თავის თანამედროვე ცხოვრების კონკრეტულ გამოვლინებაში დაინახოს დიდი შინაგანი აზრი.

გ. წერეთელი დიდ მნიშვნელობას აკუთვნებს ხელოვნების აქტიურ, „მოქმედ ძალას“, საზოგადოებრივ როლს. ამიტომ იგი მოითხოვს, რომ ხელოვნება იყოს ცხოვრების არა მარტოოდენ მართებული ამსახველი, არამედ მისი ჭეშმარიტი განმმარტებელიც. ხელოვნება ასრულებს დიდ შემეცნებით როლს, ის არის ხალხის მხატვრული და ზნეობრივი აღზრდის მძლავრი იარაღი. ახასიათებს რა შექსპირის დრამატიულ ნაწარმოებებს, იგი წერს: „იმან პოეტურ სურათებში სრულად აღმოხატა კაცობრიობის ცხოვრება, ტანჯვა, სიხარული, ბრძოლა, მეგობრობა, გულის თქმა, გულის წადილი, შური, სიქველე, ზნე და უზნეობა, ერთი სიტყვით ყოველნაირი კაცის თვისება და სულის ძალა, რომელიც განმარტებს კაცობრიობის წარმატებას ცხოვრების დაუცხრომელს ბრძოლაში. შექსპირმა სცენაზე გადმოშალა შინაგანი ვითარება მთელი კაცობრიობისა და შეასმინა კაცს იმის აზრი. იმან დაბადა ისეთი შკოლა, რომელიც სწრთვნის ყოველს იმის თხზულების მკითხველს, უსწორებს ზნეს, უმატებს მხნეობას და ზრდის იმის გონებას“ [2]. ეს სიტყვები მართებულად განსაზღვრავენ გენიოსი მწერლის შემოქმედების დიდ ძალასა და მნიშვნელობას, საერთოდ კი ხელოვნების დიდ შესაძლებლობას.

გ. წერეთლის რეალიზმის ძალა ცხოვრების მოვლენების განზოგადებულ გამოხატვაში მდგომარეობს. ეს განზოგადება თითქმის ყოველთვის დაკავშირებულია კონკრეტულთან, დეტალების სიზუსტესთან, ყოფითი მასალის ფაქტიურობასთან.

ფართოდ აღებულ სასიცოცხლო მასალას გ. წერეთელი ორგანულად უკავშირებს მხატვრული სახეების ტიპიზაციას. თავისი გმირების აზრებს, გრძნობებს და ქცევას გვიჩვენებს დამახასიათებელ ვითარებაში. ეს გმირები გახსნილია არა ვიწრო ყოფით, არა წმინდა ფსიქოლოგიურ პლანში, არამედ სოციალურ-ისტორიულ ასპექტში. მის ნაწარმოებთა ერთი რიგის მოქმედი პირები უარყოფით ტიპებად გვევლინებიან არა უბრალოდ თავიანთი პიროვნული ცუდი თვისებებისა და ჩვევების მიხედვით, არამედ თავიანთი საზოგადოებრივი მდგომარეობის, თავიანთი სოციალური პრაქტიკის შედეგად. ამიტომ არის, რომ გ. წერეთელი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ცხოვრების იმ საერთო პირობების, სოციალური სინამდვილის იმ საერთო ატმოსფეროს ასახვას, რომელშიაც იმყოფებიან მისი პერსონაჟები. თითოეული მოქმედი პირი ყურადღებას იქცევს უპირატესად საზოგადოებრივი ვითარებასთან შეფარდებით. ამასთანავე ეს საზოგადოებრივი ვითარება განსაზღვრავს მოქმედი პირის ცხოვრებისა და შეგნების ხასიათს. ამგვარად, მწერალი გვიჩვენებს წრეს, რომელშიაც ხდება პერსონაჟის ფორმირება. ამით იგი აღწევს თხრობის სხვადასხვა ელემენტისათვის მაქსიმალური გამომსახველობითი ძალის მიცემას. ყველაფერი, რასაც გამოხატავს გ. წერეთელი თავისი პერსონაჟის მოქმედებასა და სახეში, აღებულია ცხოვრებიდან, შერჩეულია სხვადასხვა შემთხვევისა და ფაქტისაგან ისე, რომ სინამდვილის წამყვანი ტენდენციები უფრო მკვეთრად და მახვილად მოჩანს. მართალია, გ. წერეთლის პერსონაჟების ინტერესები და ვნებები სხვადასხვაგვარია, მაგრამ ისინი ერთიანად ადასტურებენ საზოგადოებრივი ცხოვრების შინაარსს.

გ. წერეთელს არ ახასიათებს მიდრეკილება, რომ უეჭველად შექმნას გამძაფრებული სიუჟეტები. ამ გარეგნულ ეფექტს იგი ამჯობინებს ადამიანთა ხასიათის გახსნას. გ. წერეთელი ეძიებს გზებს გაიგოს თუ რა მიზეზები აიძულებს ადამიანებს იმოქმედოს ასე თუ ისე. იგი ხატავს სოციალური წრის გავლენას ადამიანის ბუნებაზე.

ასეთია გ. წერეთლის რეალიზმის ძირითადი პრინციპები.

[1] გ. წერეთელი „ჩვენი სახიობის ისტორია“ („თემურ ლენგი კ. მესხისა“). „კვალი“, 1893 № 12.

[2] გ. წერეთელი, „ბიბლიოგრაფიული შენიშვნები“, „კრებული“, 1872 წ. № 8-9

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ. მეგრელიშვილი

★

# ანტონ ფურცელაძის სოციალ-პოლიტიკური მსოფლმხედველობა

ანტონ ფურცელაძემ დიდი მრავალმხრივი ლიტერატურულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობა დაგვიტოვა, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე არ არის სათანადოდ შესწავლილი. მან, როგორც მწერალმა და ქართული დემოკრატიის თეორეტიკოსმა, ბევრი რამ გააკეთა ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლაში, და კაპიტალიზმის ანტიხალხური, ექსპლოატატორული ბუნების გამოაშკარავების საქმეში. მისი სტატიები და გამოკვლევანი ლიტერატურის თეორიის, საქართველოს ისტორიის, ეკონომიკისა და პოლიტიკის ზოგად და რთულ საკითხებზე ქართველი ერის გონებრივ განვითარებაში წარმოადგენენ წინ გადადგმულ ნაბიჯს, კარგ მემკვიდრეობას და ბევრ მათგანს დღევანდელ დღისათვისაც არ დაუკარგავს თავისი ცხოველმყოფელი მნიშვნელობა. ანტონ ფურცელაძე თანამედროვე იყო პარიზის კომუნისა და ორი დიდი ისტორიული მოვლენისა ჩვენში — საგლეხო რეფორმისა და 1905 წლის რევოლუციისა. პარიზის კომუნამ მხურვალე მხარდაჭერა პოვა მის მხატვრულ ნაწერებსა და პუბლიცისტიკაში. მას მტკიცედ სწამდა, რომ პარიზის კომუნარების საქმის გამარჯვება, მიუხედავად კომუნის დამარცხებისა, გარდუვალია. ჩვენში ორივე ისტორიულ მომენტში, რომლებიც ხასიათდებოდა მშრომელთა დაძაბული ბრძოლებით გაბატონებული კლასების წინააღმდეგ, ანტონ ფურცელაძე მტკიცედ იდგა ხალხის მხარეზე, ის დიდი აღფრთოვანებით მიესალმა 1905 წელს და მშრომელ ხალხთან ერთად მძიმედ განიცადა რევოლუციის დამარცხება.

ამ წერილში მიზნად ვისახავთ უმთავრესად ა. ფურცელაძის პუბლიცისტიკის ანალიზს. ანტონ ფურცელაძე ქართული საზოგადოებრივი აზრის რომელ იდეურ პოლიტიკურ მიმართულებას მიეკუთვნება, ქართველი ერის რომელ ძალებს ემსახურებოდა? ჩვენი ლიტერატურის ზოგი ისტორიკოსი ფიქრობს, რომ „ანტონ ფურცელაძის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში უმთავრესად ყურადღებას მაინც მისი პროზა იპყრობს“ და რომ „მისი მოთხრობების მთავარი ღირსება ის არის, რომ იდეა, თემა ყოველთვის აქტუალურ საკითხს შეეხება“.[1]

უნდა შევნიშნოთ, რომ ანტონ ფურცელაძის მხატვრულ ნაწარმოებთა სოციალური მოტივების გახსნა და გაგება იმას გაუადვილდება, ვინც გულდასმით გაეცნობა მისი მემკვიდრეობის დიდ მნიშვნელოვან ნაწილს — პუბლიცისტიკას. ა. ფურცელაძის, როგორც მწერლის სწორი შეფასება შესაძლებელია, მის მხატვრულ მემკვიდრეობასთან ერთად, მისი პუბლიცისტიკის სერიოზული შესწავლის საფუძველზე. დასავიწყებელი როდია ის გარემოება, რომ ფურცელაძე ჩვენი ქვეყნის დიდი და ვნებიანი პუბლიცისტია და რომ მისი პუბლიცისტიკა, რომელიც გამოხმაურებაა ეკონომიკისა და პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე, წარმოადგენს მწერლის მხატვრულ ნაწარმოებთა იდეურ მხარეს, მის მხატვრულ ნაწარმოებთა სოციალური მოტივების მეცნიერულ დასაბუთებას. ამიტომ დროა თავი დავანებოთ ჩვენს ლიტერატურის ისტორიაში გაბატონებულ ტრადიციას — ა. ფურცელაძის მწერლობა განვიხილოთ მისი პუბლიცისტიკისაგან მოწყვეტით. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ფურცელაძე ეკუთვნის იმ მოღვაწეთა რიგს, რომლებიც „ვერ თავსდებოდნენ ვერც ერთი მიმდინარეობის ფარგლებში“, რომლებსაც არ ჰქონდათ მყარი ლიტერატურული და თეორიული პრინციპები და სამწერლო და პუბლიცისტური მოღვაწეობა ხშირად პირად კინკლაობამდე, პირად ინტერესებამდე დაჰყავდათ. ჯერ კიდევ ალ. ხახანაშვილმა გაამაგრა თავისი მეცნიერული ავტორიტეტით ის უსაფუძვლო დებულება, რომ მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ფურცელაძე თითქოს იდგა ქართველი ხალხის რეაქციული საზოგადოებრივი ძალების მხარეზე და იბრძოდა ახლის წინააღმდეგ, „პროგრესული მიმართულების“ წინააღმდეგ. თავის „ქართული სიტყვიერების ნარკვევებში“ ხახანაშვილი წერდა, რომ ფურცელაძეზეა მიუტევებელი ცოდვა, რომ მან ი. ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბეს“, ამ პროგრესული მიმართულების ჟურნალს, ბრძოლა გაუმართა დახავსებული „ცისკრის“ ფურცლებიდან, დახავსებული პოზიციებიდან[1]. ამ უმართებულო მოსაზრებას

[1] ანტონ ფურცელაძე. რჩეული ნაწერები, გვ. 545, 1951 წ.

[1] იხ. ხახანაშვილი, Очерки по истории грузинской словестности, გვ. 295. იხ. აგრეთვე. არ. ჯორჯაძე ტ 5. გვ. 407.

ა. ფურცელაძის შესახებ უკიდურესობამდე ავითარებდა და დაჟინებით იმეორებდა არჩილ ჯორჯაძე თავის „მასალებში ქართველი ინტელიგენციის ისტორიისათვის“ და წერილში „ბ. ანტონ ფურცელაძის საპასუხოდ“.[1] ა. ჯორჯაძე ამტკიცებდა, რომ 60-იან წლებში, ბატონყმობის დაცემის პერიოდში, გამართულ იდეურ-ლიტერატურულ ბრძოლებში ა. ფურცელაძე დადგა ძველისა და დრომოჭმულის მხარეზე ახლის წინააღმდეგ, იბრძოდა იმ „ახალთაობის“ წინააღმდეგ, რომელიც პროგრესული იყო, წინაღუდგა ნაციონალურ ჩაგვრას და აქებდა ახალ საქართველოს; ებრძოდა იმ ახალთაობას, რომელიც თავის ახალგაზრდულ ძალებს არ ზოგავდა ქართული ნაციონალური ეკონომიკისა და კულტურის აყვავებისათვის, რომ ეს იყო დანაშაულობა ქართული კულტურის წინაშე“[2] და „პროგრესულმა საქართველომ თავის დროზე ღირსეულად დააფასა ბ. ანტონ ფურცელაძის ასეთი შეცდომა და ასეთი ღალატი“. ასეთი მოსაზრების დაცვისა და წამოყენების დროს როგორც ალ. ხახანაშვილი, ისე არჩილ ჯორჯაძე და სხვები გამოდიოდნენ ი. ჭავჭავაძესთან ა. ფურცელაძის შეკამათების ფაქტიდან. ისინი ფიქრობდნენ, რომ რაკი ა. ფურცელაძე „ცისკრის“ ფურცლებიდან ეკამათებოდა „საქართველოს მოამბეს“, იგი რეაქციული კლასების პოზიციებზე იდგა. ა. ხახანაშვილის, ა. ჯორჯაძის და სხვათა მიერ მხედველობიდან გაშვებულია ის გარემოება, რომ კამათი, რომელსაც ადგილი ჰქონდა მაშინ ილია ჭავჭავაძესთან და „საქართველოს მოამბესთან“, ორი ხაზით მიიმართებოდა. ილია ჭავჭავაძეს და „საქართველოს მოამბეს“ ებრძოდნენ მარჯვნიდან კონსერვატორები და ლიბერალები, ი. ჭავჭავაძეს ეკამათებოდნენ მარცხნიდან, რამდენადაც მაშინ ამის საშუალებას საცენზურო პირობები იძლეოდა. ა. ხახანაშვილის, ა. ჯორჯაძის და სხვათა მიხედვით გამოდის, რომ ილია ჭავჭავაძის „პროგრესიულ მიმართულებასთან“ კამათი შეიძლებოდა მხოლოდ მარჯვნიდან და ვისაც „საქართველოს მოამბესთან“ ჰქონდა იდეურ-პრაქტიკული უთანხმოება, ყველა რეაქციონერი იყო.

ა. ხახანაშვილი და ა. ჯორჯაძე, როგორც ჩანს, გამორიცხავენ ერთი მიმართულების აზრის წარმომადგენელთა შორის და ერთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების ფარგლებში იდეურ-პოლიტიკური უთანხმოების ფაქტს. ცნობილია, რომ პოლემიკა წარმოებდა ჩერნიშევსკისა და გერცენს შორის, ასევე გერცენსა და ოგარიოვს შორის და ა. შ. მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა, ჩერნიშევსკისთან უთანხმოების გამო გერცენი ჩაგვერიცხა რეაქციონერთა ბანაკში. ვინც გაეცნობა 60-იანი წლების ა. ფურცელაძის პოლემიკას „საქართველოს მოამბესთან“, ვერავითარ შემთხვევაში ვერ მივა იმ დასკვნამდე, რომ ფურცელაძე მაშინ ან ოდესმე — როგორც ბატონყმობის დაცემის პერიოდში, ისე მის შემდეგ — გაბატონებული კლასების ინტერესების სადარაჯოზე მდგარიყოს სუბიექტურად ან ობიექტურად.

„უცნაურობას“ არ შეიცავს ის ფაქტი, რომ ფურცელაძე „საქართველოს მოამბის“ დაარსების შემდეგ „ცისკარში“ იბეჭდება. „ცისკარში“ ა. ფურცელაძე არ აწყდებოდა გადაულახავ წინააღმდეგობებს, რომ თავისი რადიკალურ-დემოკრატიული იდეების პროპაგანდა ეწარმოებინა, და რატომ არ უნდა ესარგებლა მას ამ შესაძლებლობით, თუ სხვა გამოსავალი არ იყო. როგორც ახლა ჩანს, ა. ფურცელაძე იბრძოდა „ცისკრის“ ხელში ჩასაგდებად და მისი ეს ცდა არა გასაკიცხი, არამედ მოსაწონია. მსოფლიო პრესის ისტორიაში იშვიათი არაა შემთხვევა, როდესაც რევოლუციური სოციალისტები ბურჟუაზიულ და ოფიციალურ პრესას თავის მოსაზრებათა დასაცავად იყენებენ, თუ „ცისკარში“ გამოსვლა არ ჩაუთვალა ა. ჯორჯაძემ ცოდვად ილია ჭავჭავაძეს, რატომ უთვლის იგივე ჯორჯაძე ა. ფურცელაძეს ასეთსავე ფაქტს რეაქციონერობად და ღალატად ქართველი ერისა და „ქართული კულტურის“ წინაშე?! ა. ჯორჯაძე თავდაუჭერელია ა. ფურცელაძის წინააღმდეგ კამათში და არ ერიდება მის უსაფუძვლო დატუქსვასა და განქიქება-დამცირებას. ყველაფერი ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ა. ფურცელაძე იდეური მოწინააღმდეგეა ა. ჯორჯაძისა. ისინი ორ სხვადასხვა იდეურ კლასობრივ ბანაკს წარმოადგენენ. ა. ჯორჯაძე დგას „საერთო ნიადაგის“ თეორიის საფუძველზე, ის მიისწრაფვის ბურჟუაზიული საქართველოს აგებისაკენ, ელოლიავება და ეფერება ქართველ თავადაზნაურობას რევოლუციური-სოციალისტური მოძრაობის მტერია და გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებს მარქსიზმის გასანადგურებლად, მაშინ როდესაც ა. ფურცელაძე არ დგას „საერთო ნიადაგის“ თეორიის საფუძველზე, იგი იხრება მარქსიზმისაკენ, ინარჩუნებს რევოლუციურ-სოციალისტურ პოზიციას. ესაა საფუძველი ა. ჯორჯაძის პოლემიკის შეუბრალებლობისა ა. ფურცელაძის წინააღმდეგ. მართალია ა. ფურცელაძე „საქართველოს მოამბესთან“ პოლემიკას აწარმოებდა, მაგრამ ეს როდი იძლევა იმის უფლებას, რომ მას რეაქციონერობა დავწამოთ. ა. ფურცელაძის კამათი „საქართველოს

[1] ა. ჯორჯაძე, თხზ. ტ. 5, გვ. 157, 159, 203—205—206 და სხვ.

[2] ა. ჯორჯაძე, თხზ. ტ. 5, გვ. 204.

მოამბესთან“ დაიწყო 1863 წელს.[1] ამ დროისათვის მას ჰქონდა დაახლოებით 5 წლის სამწერლო მოღვაწეობის ისტორია. საკითხავია, რა ლიტერატურულ და სოციალ-პოლიტიკურ თვალსაზრისებს ავითარებდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ა. ფურცელაძე ამ პერიოდში, სწორედ იმ დროს, როდესაც ბატონყმური ურთიერთობა კრიზისს განიცდიდა და, მიუხედავად ცენზურული არტახებისა, მწვავე ლიტერატურული და იდეოლოგიური ბრძოლები წარმოებდა ბატონყმობის შესახებ მაშინდელ საქართველოში? რა თვალსაზრისებს ავითარებდა ა. ფურცელაძე იმ დროს, როდესაც „საქართველოს მოამბემ“ აღმართა კოლონიალური ჩაგვრისა და ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლის დროშა? ამ პერიოდისათვის ის უკვე იდგა დემოკრატიულ და სოციალისტურ პოზიციებზე. ის შეურიგებელი მტერი იყო ბატონყმობისა.

ა. ფურცელაძე სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1858 წელს და 1863 წლის „საქართველოს მოამბესთან“ პოლემიკის ჩათვლით მის გამოქვეყნებულ ლექსებსა და წერილებში ნათლადაა გამოსახული მწერლის პლებეური დემოკრატიზმი. იგი იბრძოდა რეაქციულ-იდეალისტური თეორიის „ხელოვნება-ხელოვნებისათვის“ წინააღმდეგ. ჩვენს მეცნიერულ ლიტერატურაში დამკვიდრებულია აზრი, რომ ა. ფურცელაძე ესთეტიკის სფეროში გვევლინებოდა ნიჰილიზმის თეორეტიკოსად. ეს ცილისწამებაა. სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დღიდან ფურცელაძე ლიტერატურისა და ხელოვნების ამოცანებისა და დანიშნულების რევოლუციურ-დემოკრატიულ თვალსაზრისს იცავდა. იგი „საქართველოს მოამბესთან“ პოლემიკის პერიოდშიც მოითხოვს მაღალ-იდეური რეალისტური ლიტერატურისა და ხელოვნების განმტკიცებას. ის მოითხოვს, რომ ლიტერატურულ ტალანტებს თავისი მხატვრული სიტყვის ყურადღების ცენტრში მოექციათ ეპოქის პოლიტიკურეკონომიური პრობლემები, რომ ისინი გვერდზე არ გადადგომოდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად საკითხებს. ა. ფურცელაძე აღიარებდა რომ დიდი ლიტერატურული ნაწარმოებნი შეიძლება შექმნილი იქნეს მხოლოდ რეალიზმის პრინციპების გამოყენების საფუძველზე, მხატვრული ქმნილების საზოგადოების რევოლუციურ ძალთა მოწინავე იდეოლოგიით ვაჟღენთის საფუძველზე. ა. ფურცელაძე ამტკიცებდა, რომ „წმინდა ხელოვნების“ თეორიამ „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ ობიექტივიზმის თეორია ტენდენციურობის წინააღმდეგ მჩაგვრელთა, გაბატონებულ კლასთა მოთხოვნებია, მათი ინტერესების მატარებელი თეორიებია. გაბატონებულ კლასებს შემოზღუდვა ლიტერატურისა მხოლოდ ესთეტიკური ფუნქციებით იმიტომ უნდათ, რომ არ იქნეს ჩაყენებული მხატვრული ლიტერატურა მათ წინააღმდეგ ბრძოლაში, არ იქნეს იგი გამოყენებული საზოგადოებრივ უკულმართობათა სამხილებლად, არ იქნეს მხილებული გაბატონებული კლასების ბოროტებანი ხალხის წინაშე, არ იქნეს მხატვრული სიტყვის საშუალებით მასები გათვითცნობიერებული და დარაზმული კაცობრიობის უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაში. ყურადსაღებია ამ მხრივ ა. ფურცელაძის შენიშვნები, გამოთქმული 1863 წ. სტატიაში „სურამის ციხის შესახებ“. „ცრუ ოცნებები კი არ გვინდა პოეზიაში — წერს ის, — ჩვენ გვინდა პოეზიაშიც და ისეც ვხედავდეთ საქმეს, ჭეშმარიტებას, ჩვენი გულის პასუხს, ჩვენი თავის ცნობას, ჩვენს გარშემოს, ჩვენს თვისებას და კუთვნილებას..“[1]

ამავე წერილში ის შენიშნავს, რომ „ყოველი კეთილსინდისიანი ჟურნალი უნდა ცდილობდეს, რომ ხალხს აუხსნას გონება, გამოიყვანოს თავის მდგომარეობიდან და უჩვენოს ჭეშმარიტება და გზა ჭეშმარიტებისა“.[2]

ამრიგად, „საქართველოს მოამბესთან“ პოლემიკის დროს ა. ფურცელაძე, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი, დემოკრატიის პოზიციაზე იდგა და პოპულარიზაციას ეწეოდა პროგრესულ, დემოკრატიულ მწერალთა მხატვრული ნაწარმოებებისას, რომლებიც ასაბუთებდნენ დახავსებული საზოგადოებრივი წყობის ლიკვიდაციას, უჩვენებდნენ ხალხს ახალ იდეალსა და საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის გზებს. „საქართველოს მოამბესთან“ პოლემიკის დროს, 1863 წელს, მან, ერთმა პირველთაგანმა, მხარი დაუჭირა პრესაში დ. ჭონქაძის „სურამის ციხეს“. როგორც ცნობილია, მოთხრობა „სურამის ციხე“ დაიბეჭდა „ცისკრის“ 1859 წლის დეკემბრისა და 1860 წლის იანვრის ნომრებში. ეს იყო გლეხური დემოკრატიის — დ. ჭონქაძის პირველი მკვეთრი ლიტერატურული გამოსვლა ბატონყმობის წინააღმდეგ.

ამ ნაწარმოების გამოქვეყნებამ ბატონყმური და ლიბერალური ბანაკის დიდი პროტესტი და ფაციფუცი გამოიწვია. მათ დ. ჭონქაძის ფიზიკური განადგურებაც კი მოინდომეს. ა. ფურცელაძე გაბედულად გამოვიდა დ. ჭონქაძის „სურამის ციხის“ დასაცავად. მან აღნიშნა, რომ „სურამის ციხეში“ დ. ჭონქაძე სწორად ასახავს ბატონყმურ ურთიერთობებს, რომ ავტორი სავსებით სამართლიანად მოითხოვს ბატონყმობის საფუძვლიანად დანგრევას, ის ცხადყოფს, რომ ბატონყმობის დანგრევის

---

[1] ა. ფურცელაძე ქართული ლიტერატურა: „ცისკარი“, № 7, 1863.

[1] ანტონ ფურცელაძე ქართული ლიტერატურა“, „ცისკარი“, № 7, 1863, გვ. 339.

[2] „ცისკარი“, № 7, 1863 წ. გვ. 378.

გარეშე საქართველოს არ შეუძლია შეუფერხებლად გაემართოს სოციალური და კულტურული აღმავლობის გზებზე. თავის სტატიაში ა. ფურცელაძემ გააცამტვერა ა. ჯ. ორბელიანისა და სხვების აპოლოგეტური მემამულური თეორია, რომელიც ქართული ფეოდალიზმის საზოგადოების იდეალურ ფორმად წარმოდგენის ცდა იყო, ფეოდალიზმის იდეალიზაციას წარმოადგენდა. ა. ფურცელაძემ უკუაგდო ბატონყმური ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის მიერ შექმნილი თეორია ქართული ფეოდალიზმის შესახებ, თეორია, რომელიც ბატონყმობას საქართველოში წარმოადგენდა საზოგადოების ფორმად, სადაც ბატონობს ჰუმანიურობა და ადამიანის ადამიანისადმი სიყვარული, მშვიდობიანი, კეთილმეზობლური დამოკიდებულება კლასთა შორის. მებატონეებისა და გლეხებს შორის ჰარმონია, ურთიერთ დახმარება, მეგობრობა და თანამშრომლობა, საზოგადოებრივი სიმშვიდე, უზრუნველყოფილი ცხოვრება ყველა წოდებისათვის, ბატონყმურ იდეოლოგთა აზრით, თითქოს ქართული ფეოდალიზმის დამახასიათებელი იყო. აი რას წერდა 1859 წელს „ცისკარში" ალ. ორბელიანი: „უწინდელ დროში გარეშე კაცი იმას ეძებდა, მებატონე ვიშოვნო და იმას შევეხიზნოვო, ამისთვის, რომ მებატონე თავის ყმასა შვილსავით ყურს უგდებდა და შვილის მსგავსად გული სტკიოდა ყმისათვის.. ყმა, თავის მებატონესთან თამამად მიეიდოდა... როგორც ამხანაგი"[1] და სხვა.

ამ მემამულურ თეორიას განსაკუთრებული ენერგიით იცავდნენ საგლეხო რეფორმის მომზადების პერიოდში, და ეს გასაგებიცაა. ეს თეორია ამოსავალი წერტილი იყო მემამულეთა ინტერესების დაცვის საქმეში. ამ თეორიის ავტორები ფიქრობდნენ, რომ ფეოდალიზმის იდეალიზაციის გზით უზრუნველყოფდნენ ისინი საგლეხო რეფორმის არარაობამდე დაყვანას. და მართლაც, ისინი ამტკიცებდნენ, რომ იდეალურ ფეოდალურ სამყაროში, რომელშიც უზრუნველყოფილია ბატონი და გლეხი, უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი სიმშვიდე, შესაცვლელი და უკუსაგდები არის მხოლოდ უმნიშვნელო რამეები.

ანტონ ფურცელაძე, წინაღუდგა რა ამ ბატონყმურ თეორიას „საქართველოს მოამბესთან" კამათის პერიოდში, ცხადყო მისი უსაფუძვლობა, მისი აპოლოგეტური ხასიათი და ბატონყმური ურთიერთობა მიიჩნია უკვე დრომოჭმულ ფაქტად. იგი აშკარად დადგა გლეხობის მხარეზე მემამულეთა წინააღმდეგ და აღიარა ბატონყმობა ძირითად ეროვნულ უბედურებად კოლონიალურ ჩაგვრასთან ერთად.

რაც შეეხება მის კამათს „საქართველოს მოამბესთან" კატეგორიულად უნდა ითქვას, რომ ამ კამათის დროს ა. ფურცელაძის მიერ განვითარებული მოსაზრებები არა ძველის [illegible] მოქომაგებაა, არა ბატონყმური საქართველოს დაცვაა, არამედ ეს მოსაზრებები დემოკრატიული და სოციალისტურია. და მხოლოდ იმ ადამიანებს შეეძლოთ მიეჩნიათ „საქართველოს მოამბის" ფურცელაძისეული კრიტიკა რეაქციულ კრიტიკად, რომლებიც ან ჩახედული არ იყვნენ 60-იანი წლების იდეოლოგიურ-ლიტერატურულ ბრძოლებში, ან მათ ამოძრავებდათ სურვილი, როგორმე ჩირქი მოეცხოთ ფურცელაძისათვის. 1863 წლის „ცისკრის" № 7-ში დაბეჭდილ წერილში ფურცელაძე იმას კი არ უსაყვედურებს „საქართველოს მოამბეს", რომ ის ძველ საქართველოს არ იცავს, არამედ იმას, რომ ეს ორგანო ძველის, დრომოჭმულის წინააღმდეგ ბრძოლაში ვერ დადგა „Современник"-ის პოზიციაზე. ა. ფურცელაძე წერდა: „გვეგონა ის გაბედვით გადაელობებოდა ყოველ უგვანებას, როგორც შეჰფეროდა ყმაწვილთაობასა, მაგრამ, ჩვეხდა სამწუხაროდ ამას ველარ ვიტყვით": „საქართველოს მოამბემ", მისი აზრით, მართალია, „Современник"-ის კაბა ჩაიცვა, მაგრამ, მის გზას ბოლომდე ვერ გაჰყვა[1]. ის ფიქრობდა, რომ „Современник"-ის საზოგადოებრივი სარგებლობის", ე. ი. სოციალიზმის პოზიცია „მოამბის" მიერ შეცვლილია. „ეგოისტურით", ბურჟუაზიულით. მაშ, სად არის აქ „პროგრესული მიმართულების" წინააღმდეგ ბრძოლა, რომელზედაც ასე ჰყოდებდა პროფ. ა. ხახანაშვილი „დახავსებული" პოზიციებიდან? განა ცხადად არ ჩანს ა. ფურცელაძის პოლემიკის შინაარსიდან, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ეს პოლემიკა გატანილ იქნეს დემოკრატიზმის ფარგლებს გარეთ?

მხედველობიდან როდია გასაშვები ის ფაქტი, რომ ანტონ ფურცელაძე არა მარტო პოლემიკას აწარმოებდა „საქართველოს მოამბის" წინააღმდეგ, არამედ ის ენერგიულად მხარს უჭერდა მის ბრძოლას ფეოდალიზმის წინააღმდეგ, ამ შემთხვევაში სწორედ ის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბლოკში, კავშირში იყო „საქართველოს მოამბესთან". ამის დასადასტურებლად საკმაოა მივუთითოთ ა. ფურცელაძის დამოკიდებულებაზე ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანთან".

სწორედ რომ განისაზღვროს ა. ფურცელაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობის როლი საქართველოს ისტორიული განვითარების პროცესში, სწორად რომ გავიგოთ მისი სოციალ-პოლიტიკური შეხედულებანი, უპირველეს ყოვ-

[1] ალ. ორბელიანი, უწინდელ დროს ბატონყმობა საქართველოში; „ცისკარი", № 1. 1859 წ.

[1] ა. ფურცელაძე, ქართული ლიტერატურა; „ცისკარი", 1863 წ., № 7, გვ. 353.

ლისა, უნდა გამოირკვეს, თუ როგორი იყო ა. ფურცელაძის დამოკიდებულება ფეოდალიზმთან, რუსეთის ცარიზმთან და მის კოლონიურ პოლიტიკასთან საქართველოში, კაპიტალიზმთან, სოციალიზმთან. უნდა შევნიშნოთ, რომ ფურცელაძე მოღვაწეობის დასაწყისშივე გამოდის, როგორც ფეოდალიზმის შეურიგებელი მტერი, გასული საუკუნის 60–70-იან წლებში ა. ფურცელაძე ფეოდალიზმის კრიტიკას აწარმოებს რევოლუციურ-დემოკრატიული პოზიციებიდან. ფეოდალიზმს ის თვლის ძირითად სოციალურ ბოროტებად; ფეოდალიზმის არსებობა იწვევს კულტურული და ეკონომიური განვითარების შეფერხებას, მშრომელი გლეხობის ცხოველურ მდგომარეობაში ჩაყენებასო. ფეოდალიზმი, მისი მცდარი აზრით, წარმოიშვა ძალმომრეობის გზით. ფურცელაძე აღიარებს: იმის გამო, რომ ფეოდალიზმის დროს მონოპოლიზებულია მემამულეთა მიერ მიწა და პოლიტიკური ძალა-უფლება, წარმოებითი ურთიერთობანი ადამიანთა შორის ფეოდალებსა და გლეხებს შორის არ შეიძლება არ ატარებდეს ექსპლოატატორულ, მძარცველურ ხასიათს. მიწის დაგროვება ფეოდალთა ხელში და პოლიტიკური უუფლებობის ხალხის მხარეზე, ამტკიცებს ა. ფურცელაძე, — აქცევს ფეოდალიზმს მშრომელთა მიმართ ძალმომრეობისა, თვითნებობისა და ძარცვის დაკანონებულ სისტემად. მიწისა და პოლიტიკური ძალაუფლების მონოპოლიზაცია აქცევს ფეოდალებს პარაზიტულ, უქნარა და რეაქციონურ კლასად, რომელსაც ეკარგება ინტერესი ეკონომიური პროგრესისადმი, საწარმოო ძალების განვითარებისადმი, სწორედ იმიტომ, რომ ის მიწისა და პოლიტიკის მონოპოლისტია. ბატონყმობის საწინააღმდეგო რომანში — „მაცი ხვიტია“, მონოგრაფიაში გიორგი სააკაძის შესახებ, „მართაში“ და სხვა ნაწერებში ის იძლევა ფეოდალურ საქართველოს კლასობრივ ურთიერთობათა დახასიათებას და არკვევს ფეოდალიზმის მნიშვნელობის საკითხს ქართულ ისტორიულ პროცესში. არა მარტო ზემოთ ჩამოთვლილ თხზულებებში, არამედ მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე ა. ფურცელაძეს არ გაუზიარებია ბატონყმური იდეოლოგების შეხედულებანი ფეოდალთა კლასის და მათი როლის შესახებ საქართველოს ისტორიულ პროცესში.

რეფორმამდელი ფეოდალური ურთიერთობანი ფურცელაძეს მიაჩნია ურთიერთობებად, რომელნიც არ იძლეოდნენ საწარმოო ძალთა განვითარების საშუალებას. და ეს იმიტომ, რომ აღნიშნული ურთიერთობები, უპირველეს ყოვლისა, მისი სამართლიანი აზრით, თვით პრივილეგიურ კლასში აღკვეთდა ყოველგვარ ინტერესს ეკონომიური განვითარებისადმი, რადგან მას, ამ კლასს, შესაძლებლობა ჰქონდა მოთხოვნილების ზრდის შემთხვევაში გაეძლიერებინა გლეხობის ექსპლოატაცია. ეს გარემოება, რომ ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობებისათვის დამახასიათებელია ექსპლოატაცია, მწარმოებელი კლასის შრომა სხვისთვის, ანტონ ფურცელაძის სამართლიანი აზრით, სწორედ ამიტომ ეს ურთიერთობანი გლეხობას ინდიფერენტულს ხდის ეკონომიური პროგრესისადმი და, ესეც რომ არ იყოს, რეფორმამდელი ურთიერთობანი, როგორც გაძლიერებული ფეოდალური ექსპლოატაციისა, თვითნებობისა და ძალადობის სისტემა არ აძლევს გლეხობას გაფართოებული კვლავწარმოების საშუალებას, ეკონომიური განვითარების საშუალებას, არავითარ დაგროვების ფონდს მათს მეურნეობებში, ხოლო ფეოდალური თვითნებობა იწვევს გლეხობის შრომის კოლოსალურ ფლანგვას და ანადგურებს მათს ეკონომიკას. ყოველივე ამის გამო ფეოდალიზმის დროს მწარმოებელი მძიმე სიღატაკესა და ცხოველურ მდგომარეობაშია ჩაყენებული და მოკლებულია კულტურული წინმსვლელობისა და ადამიანური სიამოვნების მიღების შესაძლებლობებს. ფეოდალიზმის ამ გაგებაზე აგებს ანტონ ფურცელაძე თავის ეკონომიური განვითარების პროგრამას და რევოლუციურ-დემოკრატიულად წყვეტს აგრარულ საკითხს. „მაცი ხვიტიაში“ ის მოითხოვს მსხვილი ფეოდალური საკუთრების ლიკვიდაციას და მიწის გადაცემას მიწის მუშებზე, ხალხზე. ის ამტკიცებს, რომ წარმოების საშუალებებზე საკუთრება არ შეიძლება არ იყოს სახალხო, რადგან სწორედ სახალხო საკუთრება შლის ექსპლოატატორული ურთიერთობის საფუძველს, რადგან ხალხი, რომელიც იმ პერიოდში უმთავრესად მას ესმის, როგორც გლეხობა, არის მშრომელი, ხოლო პრივილეგიური კლასები მუქთახორა, არამშრომელი კლასებია და, როგორც მუქთამჭამელები, მოკლებულნი უნდა იყვნენ მიწაზე საკუთრების უფლებას.

მსხვილ ფეოდალურ საკუთრებას ა. ფურცელაძე „მაცი ხვიტიაში“ იმიტომ ესხმის თავს, რომ, მისი სამართლიანი აზრით, ის ძალაა, რომელიც მის მფლობელს აძლევს საშუალებას პარაზიტად იქცეს, იცხოვროს სხვისი შრომით, ხოლო მშრომელებს ართმევს შესაძლებლობას განავითარონ საწარმოო ძალები და ადამიანურად იცხოვრონ, ის აფერხებს ქვეყნის წინ განვითარებას, აჩერებს მას ისტორიის დაბალ საფეხურზე. თუ აქ მოტანილი მისი თვალსაზრისი სწორია, მეორე მხრივ, არც ფეოდალიზმის გენეზისის საკითხში და არც ფეოდალიზმის როლის შეფასებაში ქართულ ისტორიულ პროცესში ანტონ ფურცელა-

[1] იხ. ანტონ ფურცელაძე. რჩეული ნაწერები, გვ. 147 — 148.

ძე არ დგას სწორ მეცნიერულ პოზიციაზე. მან, მართალია, სწორად გაიგო კლასთა შორის დამოკიდებულების ხასიათი ფეოდალიზმის პირობებში, მაგრამ ფეოდალიზმის წარმოშობის საკითხში დადგა ძალმომრეობის თეორიის საფუძველზე და ფეოდალიზმი ჩათვალა საქართველოს პოლიტიკური დანაწილების და ეკონომიური დაქვეითების მთავარ ფაქტად. მან მხედველობიდან გაუშვა ის გარემოება, რომ ყოველი ხალხის ისტორიაში პირველყოფილ-თემური ან მონათმფლობელური წყობიდან ფეოდალურზე გადასვლა წარმოადგენდა პროგრესულ მოვლენას და ხელს უწყობდა საწარმოო ძალთა განვითარებას, დაივიწყა ის გარემოება, რომ საქართველოს დაწინაურება პოლიტიკურად და კულტურულად მე-11-12 საუკუნეებში აიხსნება უმთავრესად იმით, რომ საქართველომ ადრე შედგა ფეხი ფეოდალური განვითარების გზაზე და ფეოდალიზმი, პირველყოფილ-თემურ და მონათმფლობელურ წარმოების წესებთან შედარებით, მეტ შესაძლებლობას მოიცავდა ჩვენი ხალხის ეკონომიური და პოლიტიკური აღმავლობისათვის. მაგრამ მე-13 საუკუნის 40-იანი წლებიდან მოყოლებული, ვიდრე რუსეთთან შეერთებამდე თუ საქართველო ძლიერებიდან დაცემისა და დაქვეითების გზით მიემართებოდა და რუსეთთან შეერთების პერიოდში ის რამდენიმე სამეფოდ და სამთავრო-სათავადოებად იყო დანაწილებული, პოლიტიკურად დეცენტრალიზებული, ამ ფაქტს ა. ფურცელაძე ფეოდალური წარმოების წესის არსებობას მიაწერდა საქართველოში. საქართველო რომ ფეოდალურმა შინაგანმა უთანხმოებამ დასცა და დაუკარგა მას დამოუკიდებლობა, ეს დებულება, შეიძლება ითქვას, მაშინაც და დღესაც გაბატონებულ მოსაზრებად ითვლება ქართულ ისტორიოგრაფიაში. მაგრამ ასეთი მოსაზრება ქართული ისტორიული პროცესის შესახებ არც თეორიულად და არც ფაქტობრივად სიმართლეს არ შეესაბამება.

ა. ფურცელაძემ ფეოდალურ ურთიერთობათა ანალიზის დროს მხედველობიდან გაუშვა საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა, გარეშე ფაქტორი და ჩვენი ეროვნული უბედურების მიზეზად შინაგანი ფაქტორი გამოაცხადდა. საქართველოს ისტორიის მიმართ საერთაშორისო ურთიერთობათა მხედველობაში არმიღება უდავოდ შეცდომა იყო, და დღესაც მცდარნი არიან ის ისტორიკოსები, რომლებიც საქართველოს ისტორიის გასაღებს მხოლოდ მის შინაურთიერთობებში ეძებენ.

თუ როგორია ა. ფურცელაძის დამოკიდებულება კაპიტალიზმთან, ეს საკითხი სპეციალური შესწავლის საგანი არ ყოფილა და მას გაკვრით ეხებოდნენ. მითითებულია, რომ ფურცელაძეს ხალხოსნური დამოკიდებულება ჰქონდა კაპიტალიზმთან. დღემდე არ არის გარკვეული, თუ რა მეცნიერულ ელემენტებს შეიცავს ფურცელაძის შეხედულებანი კაპიტალიზმზე.

ა. ფურცელაძე, როგორც კაპიტალიზმის კრიტიკოსი, მიეკუთვნება ქართველ სოციალისტ-უტოპისტთა რიგს. ის კაპიტალიზმის კრიტიკას მშრომელთა ინტერესების დაცვის პოზიციიდან აწარმოებს. ამ კრიტიკის ძირითადი დებულებაა, რომ კაპიტალიზმი არ შეეფერება მშრომელთა ინტერესებს, რომ ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლამ საქართველოში არ შეიძლება მატერიალური კეთილდღეობა მოუტანოს ქართველ მშრომელ ხალხს. ფურცელაძე, ბურჟუაზიული ლიბერალებისაგან განსხვავებით, ამჩნევს, რომ კაპიტალიზმის დროს სიმდიდრე გროვდება მცირერიცხოვანთა ხელში, სიღარიბე კი მშრომელთა მხარეზე. ანტონ ფურცელაძე კარგად ხედავს, რომ დასავლეთში — კაპიტალიზმის განვითარებასთან — ერთად — ღატაკების რაოდენობა მატულობს, რომ წვრილ მეურნეობებს კაპიტალიზმის დროს არა აქვთ აღმავლობის პერსპექტივა. მაგრამ ბურჟუაზიის გამდიდრებას და მასების გაღატაკებას, მსგავსად კაპიტალიზმის იდეოლოგებისა, ა. ფურცელაძე ბურჟუაზიულ-აპოლოგეტური თავშეკავების თეორიას როდი უდებს საფუძვლად, ის როდი ფიქრობს, რომ კაპიტალიზმში მასების სიღატაკეს იმიტომ აქვს ადგილი, რომ მშრომელები ზარმაცობენ, ხოლო კაპიტალისტები ბეჯითობენ. ამ თეორიის წინააღმდეგ ფურცელაძე სამართლიანად ამტკიცებს, რომ კაპიტალიზმის დროს ღატაკდება ის, ვინც ზომაზე მეტს შრომობს, წელზე ფეხს იდგამს და მდიდრდება, ის, ვინც არავითარი შრომით მონაწილეობას არ იღებს მატერიალური დოვლათის წარმოების პროცესში. თვლის რა ამ ფაქტს კაპიტალიზმის ერთ-ერთ ძირითად დამახასიათებელ ნიშნად, ა. ფურცელაძე სწორ წარმოდგენას იძლევა იმაზე, თუ რატომ აქვს მას ადგილი კაპიტალიზმის პირობებში.

ა. ფურცელაძე აღიარებს, რომ კაპიტალისტური განვითარება იწვევს ხელფასის დაცემის ტენდენციას, რომ თვით კაპიტალი, როგორც ამას ჩვენი საუკუნის უდიდესი ეკონომისტი მარქსი ამბობსო, შენიშნავს ის, ყოველთვის მიისწრაფვის, დაწიოს ხელფასი ნულამდე ბურჟუაზია თავისი შრომით კი არ მდიდრდება, არამედ სხვისი შრომის სისტემატური მითვისებით, ის კაპიტალს ადგენს ექსპლოატაციით, ძარცვით, და ძალადობითო.[1] თავისი კრიტიკა კაპიტალიზმისა ა. ფურცელაძემ საქართველოს პირობებში ბურჟუაზიულ თეორიებს დაუპირ-

[1] ა. ფურცელაძე, ბანაკები, ფული და მათი მნიშვნელობა, გვ. 16, 17, 1883 წ.

დაპირა და უჩვენა მათი არამეცნიერული ხასიათი და კლასობრივი მიზანდასახულობა.

არ შეიძლება მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზრის წინაშე დიდ დამსახურებად არ ჩაეთვალოს ა. ფურცელაძეს მალთუსიანიზმის კრიტიკა. ჩვენში მალთუსიანიზმს იყენებდნენ განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ როგორც მემამულეთა იდეოლოგიის წარმომადგენლები, ისე ბურჟუაზიული ლიბერალები.

როგორც ცნობილია, მალთუსის მოძღვრება დასავლეთ ევროპული ვულგარული-პოლიტიკური ეკონომიის თეორიაა, იგი წარმოიშვა და განვითარდა დასავლეთში საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს, კლასობრივი ბრძოლების გამწვავებისა და სიღატაკის გამწვავების პერიოდში, იმ დროს, როდესაც ინგლისში მანქანური მრეწველობის განვითარების შედეგად ფაქტი იყო არსებობის საშუალებათა მოკლებულ ადამიანთა, უმუშევართა არმიების ზრდა. ხუცესმა მალთუსმა თავის „გამოკვლევაში“ — „ცდა მოსახლეობის კანონის შესახებ“ ამოსავალ წერტილად გაიხადა ყალბი წანამძღვარი: თითქოს საარსებო საშუალებათა წარმოება, როგორც წესი, კანონი, უკან რჩებოდეს მოსახლეობის ზრდას, მის გამრავლებას. მალთუსმა ამ მოჭორილი მის მიერ გამოგონილი „კანონიდან“ გამოიყვანა დასკვნა, რომ სიღარიბის ზრდის, მასების აუტანელი გაჭირვების მიზეზია არა საზოგადოებრივი ურთიერთობანი, არა კაპიტალიზმის და არა გაბატონებული კლასები, არამედ ბიოლოგიური მოვლენები. მოსახლეობის ჩქარი ზრდის მიზეზია თითქოს მუშათა კლასის ქარაფშუტული ჩვეულებანი გამრავლებისადმი.

ა. ფურცელაძემ, ერთმა პირველთაგანმა, დაასაბუთა ჩვენში, რომ სიღატაკის, ამ დიდი სოციალური პრობლემის, მიზეზები კაპიტალისტურ-ექსპლოატატორულ ურთიერთობებში მდებარეობენ, რომ სიღატაკის ზრდა ორგანულად დაკავშირებულია კაპიტალიზმის განვითარებასთან და მისი მოსპობა შეუძლებელია კაპიტალისტურ ურთიერთობათა შენარჩუნების ბაზაზე. 1871 წ. იგი წერდა, რომ მალთუსის „თეორიის“ ამოსავალი დებულება თვით ცხოვრების ფაქტებითაა დარღვეული, რომ მალთუსის „კანონი“ აპოლოგეტური მიზნით არის მოჭორილი და მიმართულია სოციალიზმის წინააღმდეგ, რომლის განხორციელებას მართლაც შეუძლია გაათავისუფლოს ადამიანები სიღატაკისაგან, ექსპლოატატორულ ურთიერთობათა ამ საშინელი სენისაგან. ა. ფურცელაძემ ცხადყო, რომ სიღატაკე სოციალური ფაქტია. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მალთუსის კრიტიკისას ის ეყრდნობა ჩერნიშევსკის და შემდგომ მარქსის „კაპიტალის“ გაცნობამ უთუოდ მოახდინა გავლენა მისი შეხედულებების ჩამოყალიბებაზე. მალთუსიანელებთან პოლემიკის დროს კი ფურცელაძეს არ უსარგებლია მარქსის დასკვნებით.

გასული საუკუნის 70-იანი წლებში შემჩნეული იქნა საქართველოში კაპიტალისტური განვითარების ფაქტები. ქართველი ბურჟუაზიული ლიბერალები დიდი აღტაცებით შეეგებნენ კაპიტალიზმის გამოჩენას საქართველოში. ისინი 70-ან წლებიდან მოყოლებული დითირამბებს ასხამდნენ კაპიტალისტურ განვითარებას და ამტკიცებდნენ, რომ, ავითარებს რა კაპიტალიზმი საწარმოო ძალებს წინანდელ წარმოების წესებთან შედარებით უფრო ჩქარა მაღლა სწევს შრომის ნაყოფიერებას და რომ ამის გამო კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში გამოიწვევს მოსახლეობის ყველა ფენის გამდიდრებას, რომ მატერიალურ-ცხოვრების ალმაღლობის თვალსაზრისით ფაბრიკული წარმოება მუშისთვის უფრო სასარგებლოა, ვინემ კაპიტალისტისათვის. ამ იდეებს დიდი გასაქანი მიეცა პროგრესული გაზეთის „დროება“ ფურცლებზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გ. წერეთლის შემდეგ ს. მესხი გახდა გაზეთის მეთაური. ბურჟუაზიული ლიბერალები კაპიტალიზმის განვითარებაში ხედავდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისა და მისი კულტურული და ეკონომიური აყვავების, მშრომელთა გამდიდრების გარანტიას. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს თეორია გაიზიარეს ქართველმა რეფორმისტებმა, ლეგალურმა მარქსისტებმა ფ. გოგიჩაიშვილისა და სხვათა მეთაურობით რევოლუციური მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ა. ფურცელაძე იყო ერთი იმ მოწინავე დემოკრატთაგანი 70-იან წლებში, რომელიც თავს დაესხა ამ ბურჟუაზიულ-ლიბერალურ კონცეფციებს და თავის პუბლიცისტურ წერილებში უჩვენა, რომ კაპიტალიზმი ანტიხალხური წყობაა და ის მშრომელი კლასებისთვის მხოლოდ სიღატაკესა და გაჩანაგებას მოიტანსო. მან სწორედ შენიშნა, რომ კაპიტალიზმს არ შეუძლია გამოიწვიოს ქართველი ხალხის ნაციონალური ჩაგვრისაგან განთავისუფლება, რომ ქართველი ბურჟუაზია მას კოლონიალური მდგომარეობიდან ვერ გამოიყვანსო.

აღიარებდა რა ამას, ის გასული საუკუნის 70-იან წლებში გამოდიოდა საქართველოს ფეოდალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის მომხრედ, საქართველოს არაკაპიტალისტური გზით განვითარების თეორიის დამსაბუთებლად. ამ პერიოდში ფურცელაძე ეკუთვნოდა ქართველი ერის იმ დემოკრატ-რევოლუციონერთა და სოციალისტ-უტოპისტ თეორეტიკოსთა რიგებს, რომლებიც ამუშავებდნენ საქართველოს სოციალიზმზე გადასვლის გზების საკითხს კაპიტალიზმის განვითარების გარეშე. საქართველოს არაკაპიტალისტური გზით განვითარების

მისი თეორია, რომელიც რეალურ საფუძვლებს არ იყო მოკლებული, გარკვეული აზრით რაციონალისტური იყო. რასაკვირველია, გარკვეულ ისტორიულ ვითარებაში არ იყო გამორიცხული რუსეთისა და საქართველოს ფეოდალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა კაპიტალიზმის გაუვლელად; მაგრამ ა. ფურცელაძის საქართველოს არაკაპიტალისტური გზით განვითარების თეორიაში გათვალისწინებული როდი იყო, თუ რა ისტორიულ ვითარებებში იყო ეს შესაძლებელი. ამ თეორიის ძირითადი შეცდომა მდგომარეობდა იმაში, რომ ის მხედველობაში არ იღებდა რუსეთსა და საქართველოში არაკაპიტალისტური გზით განვითარების საერთაშორისო ფაქტორის მნიშვნელობას და ფიქრობდა, რომ შინაგლეხური რევოლუციის გზით ეს გადასვლა სავსებით უზრუნველყოფილი იქნებოდა. ამ თეორიის ერთი ძირითადი შეცდომა ის იყო, რომ გლეხური განმათავისუფლებელი მოძრაობა ჩათვლილი იყო, როგორც სოციალისტური მოძრაობა და შესაძლებლად იყო მიჩნეული ცარიზმისა და მსხვილი მემამულური საკუთრების დამხვრევა იზოლირებულ გლეხურ მოძრაობაზე დაყრდნობით, ხოლო თემური მიწათმფლობელობის, თანაბრობის პრინციპის განხორციელება მიწათსარგებლობაში სოციალისტურ საწყისებად იყო გამოცხადებული.

ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ა. ფურცელაძე რეფორმისტი-სოციალისტი იყო, ნამდვილად კი ის თავის თეორიულ მოსაზრებებში გამორიცხავდა სოციალიზმის განხორციელებას რევოლუციური მოძრაობის გარეშე. დიდი უტოპისტებისაგან განსხვავებით, მას გაბატონებული კლასები სამართლიანად მიაჩნდა სოციალიზმის მტრებად, რადგან ის ფიქრობდა, რომ მათი ვიწროკლასობრივი ინტერესები ეწინააღმდეგებოდა სოციალიზმის განხორციელებას და, დასავლეთის უტოპიური სოციალიზმისაგან განსხვავებით, 70-იან წლებში ქართულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში ავითარებდა იმ აზრს, რომ მშრომელთა განთავისუფლება თვით მშრომელთა საქმეა და მათ არა თუ იმედი უნდა იქონიონ ამ საქმეში გაბატონებული კლასების დახმარებისა, არამედ მათ მოუხდებათ სწორედ პოლიტიკური ძალდატანებით გატეხონ ამ კლასების სასტიკი წინააღმდეგობა სოციალიზმის განხორციელების დროს. ა. ფურცელაძე, როგორც სოციალისტი, წარმომადგენელია ქართული წინამარქსისტული სოციალიზმისა. ის ერთი იდეოლოგთაგანია და პრაქტიკული მონაწილეა 70-ანი წლების ქართული რევოლუციურ-ხალხოსნური პროპაგანდისტული მოძრაობისა. მის წინაშე სოციალიზმისა და პოლიტიკის, ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთობის დიდი და რთული საკითხი იდგა. საკითხავია, როგორ გაართვა თავი ა. ფურცელაძემ რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამ ურთულეს კითხვას? მისი ნაწერების შესწავლა იმ დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევს, რომ ანტონ ფურცელაძე არ გაჰყვა ამ შემთხვევაში იმ სოციალისტურ სკოლებს, მათ შორის — ანარქისტებს, რომლებიც ინდიფერენტული იყვნენ პოლიტიკისადმი. მისი დამსახურება ქართული რევოლუციური განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ იგი ამტკიცებდა: პოლიტიკა არ არის განყენებული, მოწყვეტილი ეკონომიკისაგან, სოციალიზმისაგან, ყოველ ეკონომიურ განვითარებას ესა თუ ის პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა, მმართველობის ფორმა, სახელმწიფო, გულგრილად როდი უყურებს. მართალია, მას არ გააჩნია ბაზისისა და ზედნაშენის მატერიალისტური თეორია, მაგრამ იგი ნათლად ამჩნევდა პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთ კავშირს. მისი დამსახურება ქართული განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ მას არ მიაჩნია სოციალიზმის განხორციელება პოლიტიკური წინაპირობების შექმნის გარეშე, მით უმეტეს, როგორც ამას შემდეგ ლიბერალი ხალხოსნები ფიქრობდნენ, ცარიზმის შენარჩუნების პირობებში.

მართალია, იგი ხშირად პოლიტიკურ ფაქტორს გადაჭარბებულ როლს ანიჭებდა ეკონომიური განვითარების ისტორიაში, მის ნაწერებში ხშირად პოლიტიკის ფუნქციად გამოდის ეკონომიკა, მაგრამ, იმ დებულების დაცვა, რომ სოციალისტს არ შეუძლია პოლიტიკისაგან განიყენოს და რომ სოციალიზმის განხორციელება შეუძლებელია მშრომელთა პოლიტიკური ბატონობის, ხალხის მმართველობის გარეშე, წარმოადგენს გასული საუკუნის 70-იან წლებში მის მნიშვნელოვან იდეურ დამსახურებას.

ა. ფურცელაძის მთელი მოღვაწეობის მანძილზე საქართველოს ისტორიის შინაარსს შეადგენდა ბრძოლა კაპიტალიზმის განვითარების ორ ტენდენციას შორის. ა. ფურცელაძე თავისი მოღვაწეობით გზას უკაფავდა დემოკრატიული ტენდენციის გამარჯვებას მემამულურ-ლიბერალურ პროგრესზე და ამით ხელს უწყობდა სოციალიზმის მოახლოებას, მშრომელთა განთავისუფლების საქმეს, — ამაშია მისი ისტორიული დამსახურება, მისი სოციალ-პოლიტიკური პროგრამის რევოლუციურ-დემოკრატიული მხარე, მიუხედავად უტოპიზმის ელემენტებისა მის თვალსაზრისში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე ღოღაშვილი

★

# ჰომეროსი, შავთელი, რუსთაველი

ძველ-ქართულ მწერლობაში ჰომეროსის ეპოსისადმი ინტერესი დიდი იყო, ეს ინტერესი განსაკუთრებით გაცხოველდა მე-11 საუკუნიდან, როდესაც სამწერლო ასპარეზზე გამოვიდნენ ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი და მათი მიმდევარნი, ხოლო მე-12-13 საუკუნეებში ჰომეროსის გმირთა სახელები არა შორდებიან საისტორიო და სახოტბო თხზულებების ფურცლებს. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ჰომეროსს უწოდებს „დიდსა მაქებელსა“ და „სახელოვან გამომეტყველს“, რომელმაც „შეამკვნა თხრობანი ტროადელთა და აქეველთანი“ და აღწერა, „თუ ვითარ აღამემნონ და პრიამოს, ანუ აქილევი და ეკტორი, მერმეცა ოდისეოს და ორესტი ეკვეთნეს და ვინ ვის მძლე ექმნა“ (ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 342).

„ისტორიანი და აზმანის“ ავტორი წერს, რომ თამარ მეფის „შესხმა ხამს ჰომიროსის მიერ“ და არა ჩემგანო (1941, გვ. 54). ჩახრუხაძე ჰომეროსს თამარის საქებრად მოიხმობს, ხოლო ერთგან მას „ყობადთა მცნელს“ უწოდებს (X, 10).

ჰომეროსის სახელის ასეთი პოპულარობა იმას მიუთითებს, რომ კლასიკური ხანის ქართველი მწიგნობარნი ინტერესით კითხულობდნენ ანტიკური საბერძნეთის ლიტერატურულ შედევრებს. როგორც ჩვენი მკვლევარნი სამართლიანად შენიშნავენ, საფიქრებელია, მე-12 საუკუნეში „ელინთა ზღაპრობანის“ მსგავსად, გაჩენილიყო ჰომეროსის თხზულებების მოკლე გადამუშავებული ქართული ვერსია, რომლის საშუალებითაც განათლებული ქართველები გაეცნობოდნენ აქეველ-ტროელთა ეპიკურ ციკლს.

ანტიკური კულტურისადმი ინტერესს ამჟღავნებდნენ აგრეთვე იოვანე შავთელი და შოთა რუსთაველი. შავთელი ძველი საბერძნეთის გამოჩენილ ავტორებს: სოკრატეს, პარმენიდეს, ძენონს, მენანდროს, მოშაპირეს, პროკლეს, ენოსს და სხვა ფილოსოფოსებსა თუ პოეტებს კარგად იცნობდა. ასევე რუსთაველი თავის პოემაში მოიხსენიებს პლატონსა და დიონისე ბრძენს, მაგრამ არც შავთელი და არც რუსთაველი არსად არ ასახელებენ ჰომეროსს და მისი პოემების განთქმულ გმირებს. ეს გარემოება ძალაუნებურად ბადებს კითხვას: იცნობდნენ თუ არა შავთელი და რუსთაველი ჰომეროსის ეპოსს და, თუ იცნობდნენ, როგორ აისახა მათი ეს ცოდნა „აბდულმესიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“?

ნ. მარის აზრით, შავთელი, რომელიც XI—XII საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწეობდა, არ იცნობდა ჰომეროსის ეპოსს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის დავით აღმაშენებლის ქებისას არ გამოიჩენდა **„упорное равнодушие“**-ს იმ მდიდარი მასალების მიმართ, რომლებიც პოეტური შედარებებისათვის შეეძლო მას ამოეკრიბა „ილიადა“-დან (TP, IV, 1902, გვ. III). ნ. მარის საპასუხოდ მ. ჯანაშვილმა ყრუდ აღნიშნა, რომ „აბდულმესიანის“ გამოთქმაში „ნესტორად მძლეობ, არა თუ ლეობ“ (98,3) იგულისხმება ცნობილი პილოსელი ბრძენი ნესტორი, „რომელმაც მოხუცებულობაში 90 წავით მიიღო მონაწილეობა ტროადელთა ომში და უკეთესი მრჩეველის სახელი მოიხვეჭა“ (აბდულმესიანი, 1916, გვ. 77; 1920, გვ. 57). მ. ჯანაშვილის კომენტარი გაიზიარეს სხვა მკვლევარებმაც (ს. კაკაბაძემ, ა. ბარამიძემ) და ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში განმტკიცდა აზრი, რომ შავთელი იცნობდა ჰომეროსის „ილიადას“, ყოველშემთხვევაში მის ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟს ნესტორს, რომელიც თავისი ჭკუამახვილობითა და მჭევრმეტყველობით ბერძნულ პოეზიაში ბრძენ-კაცის სახელს ატარებდა. მაგრამ 1938 წელს მკვლევარმა პ. ინგოროყვამ თავის ერთ-ერთ ნაშრომში („რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა“) კვლავ აღადგინა ნ. მარის მოსაზრება: შავთელმა „ბერძნული არ იცოდა, და ყველა ცნობები ანტიკურ მსოფლიოს შესახებ მას აღებული აქვს იმ ტექსტებიდან, რომლებიც მის დროს ქართულ ენაზე არსებობდა თარგმანების სახითო“; XII საუკუნის 20-იან წლებში, როდესაც „აბდულმესიანი“ დაიწერა, ჰომეროსის ეპოსი „ჯერ კიდევ არ ყოფილა თარგმნილი ქართულად“, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ეპოსის კვალი „აბდულმესიანში“ უეჭველად აისახებოდაო; „აბდულმესიანში არ მოიპოვება არავითარი ნიშანი იმისა, რომ შავთელი იცნობდა ომიროსს. პოემაში არც ერთხელ არ გვხვდება ომიროსის სახელი და არც პერსონაჟები ომიროსის ეპოსიდანო“. ამავე დროს მკვლევარმა არ უარყო ის ფაქტიც, რომ გამოთქმაში „ნესტორად

მძლეობ" „იგულისხმება ჰომეროსის ეპოსის ნესტორი". და აი ამ ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრების შესათანხმებლად მან გამოთქვა ახალი მოსაზრება, რომელიც „აბდულმესიანის" შედგენილობის საკითხს შეეხება. მისი აზრით, სახოტბო პოემას დართული აქვს ელეგია. ეს ელეგია შავთელს დაუწერია 1125 წელს დავით აღმაშენებლის გარდაცვალების გამო და „დამოუკიდებელ ნაწარმოებს წარმოადგენს, როგორც შინაარსით, ისე ფორმითაც, — დამთავრებული მთლიანი არქიტექტონული წყობით". მისი ერთ-ერთი შემადგენელი სტროფია 98-ე, სადაც მოხსენებულია ნესტორი. „ამის მიხედვით, — დაასკვნის მკვლევარი, — უნდა ვივარაუდოთ, რომ ელეგიის დაწერის დროს, ე. ი. 1125 წლის ახლო ხანებში, ქართულ ენაზე გადმოუღიათ ომიროსის ეპოსი ამა-თუ-იმ ვერსიის სახით" (რუსთაველის კრებული, 1938, გვ. 53-55).

თუ რამდენად სწორია პ. ინგოროყვას მოსაზრება „აბდულმესიანის" შედგენილობის შესახებ, ამაზე „ძველი ქართველი მეხოტბენის" მეორე წიგნში გვექნება საუბარი, აქ კი საჭიროა აღინიშნოს, რომ როგორც ა. ბარამიძე წერს, შავთელის მიერ ჰომეროსისა და მისი თხზულებების პერსონაჟთა მოუხსენებლობა „არ გამოდგება არც აბდულმესიანის და არც იმ საძიებელი თხზულების თარგმანის დასათარიღებლად. შავთელს შეეძლო რაიმე მოსაზრებით, ან, უბრალოდ, ყოველგვარი მოსაზრების გარეშე გვერდი აეხვია „ილიადასთვის" (ნარკვევები, I, 1945, გვ. 145). რაც შეეხება პოემაში მოხსენიებულ ნესტორს, იგი არ არის „ილიადას" პერსონაჟი. როგორც ეს 1947 წელს კ. კეკელიძემ გაარკვია დამაჯერებლად, ეს ნესტორი არის ახალგაზრდა მხედარი, ფარული ქრისტიანი და წმიდა მოწამე დიმიტრი სოლუნელის „სულიერი შვილი", რომელმაც „დიმიტრის მიერ ძალ-შეზღუდვილმა" ლახვრის ერთი დაკვრით „მოაკუდინა" გოლიათი-ბარბაროზი ლეონი (ეტიუდები, IV, 1957, გვ. 67). ამ მიგნებით კ. კეკელიძემ აღმოაჩინა „აბდულმესიანის" ერთ-ერთი ჩვენთვის უცნობი ახალი წყარო „წამება დიმიტრი სოლუნელისა", მაგრამ მანვე ჰომეროსისა და შავთელის ურთიერთობის საკითხი უპასუხოდ დატოვა. ამრიგად, თითქოს გამართლდა ნ. მარისა და პ. ინგოროყვას დებულება, რომ „შავთელი არ იცნობდა ომიროსს". მიუხედავად ამისა, დღეს შეიძლება ზოგიერთი ახალი მასალის საფუძველზე მათი მოსაზრების გადასინჯვა და დასმული პრობლემის დადებითად გადაწყვეტა. შავთელი იმდენად კარგი მცოდნე იყო ანტიკური კულტურისა, რომ შეუძლებელია მას არა სცოდნოდა ჰომეროსის საგმირო ეპოსი. სწორია პ. ინგოროყვას დებულება, რომ „პოემაში არც ერთხელ არ გვხვდება ომიროსის სახელი და არც პერსონაჟები ომიროსის ეპოსიდან", მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ შავთელისათვის ჰომეროსი უცნობი ავტორი წარმოადგენდა?. ჰომეროსი არც „ვეფხისტყაოსანშია" ნახსენები, მაშინ იგივე მოსაზრება რუსთაველის მიმართაც უნდა გავრცელებულიყო. მაგრამ არა გვგონია ვინმემ თქვას, რომ რუსთაველი არ იცნობდა „ილიადასა" და „ოდისეას". შავთელისა და რუსთაველის განსწავლულობა საწინააღმდეგოს მეტყველებს. ორივე პოეტს წაკითხული ჰქონიათ ჰომეროსის ეპოსი. ამისი კვალი მათ თხზულებებში გარკვევით შეიმჩნევა. რომ ეს კვალი მკითხველისთვის შესამჩნევი გახდეს, შევეცდები გავარკვიო ერთი სადავო ტერმინის — „მოლის" მნიშვნელობა.

* *

„აბდულმესიანსა" და „ვეფხისტყაოსანში" მოიპოვება ზოგიერთი ისეთი სიტყვა, რომელთა შინაარსი ჯერ კიდევ დაუდგენელია. ამ პოემებში ზოგჯერ ვხვდებით ისეთ სიტყვებსაც, რომელთა მნიშვნელობა ერთი შეხედვით თითქოს გასაგები უნდა იყოს, მაგრამ, როგორც კი მათ სპეციალური დაკვირვების საგნად გადავაქცევთ, მაშინვე გამოირკვევა, თუ რა მოჩვენებითი ცოდნა გვქონია ამ თითქოსდა შინაარსობლივად გასაგებ სიტყვებზე. ავიღოთ მაგალითად ყველასათვის ცნობილი სიტყვა „მოლი". თანამედროვე ქართულში იგი ახლად ამოსულ ხშირ ბალახს ეწოდება. როდესაც ვამბობთ — „მოლიანი ფერდობიო", ამ ცნებაში ახალი, მწვანე ბალახით დაფარული ადგილმდებარეობა იგულისხმება. „შაჰნამეს" ქართული თარგმანით, „მოლი" საერთოდ ბალახს ნიშნავს: „ცა გამხმარა, მიწაზედან მოლსა ძირი დალევია" (I, 1997), ან „ჯერეთ მოლი არა მწვანობს" (I, 2089). საბას განმარტებითაც „მოლი" ახალი ბალახია. მაგრამ სულ სხვა მნიშვნელობით იხმარება ეს სიტყვა „ვეფხისტყაოსანში": „მან გრძნეულმან მოლი რამე წამოისხა ზედა ტანსა" (1276,3). მკვლევართა და მთარგმნელთა მიერ აქ „მოლი" გაგებულია როგორც:

„მწვანე ლართისავით, გრძნეულთა წამოსასხამი, შელოცვილი", „მწვანე წამოსასხამი ნაბადივით" (თეიმურაზ ბაგრატიონი) [1], შავი წამოსასხამი, плащ (დ. ჩუბინაშვილი) [2], „მწვანე წამოსასხამი ნაბადივით, ნაბდის მსგავსი" (იუს-

---

[1] განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა. S 1732.

[2] ქართულ-რუსულ-ფრანციცული ლექსიკონი. პეტერბურგი, 1840, გვ. 320.

ტინე აბულაძე [3], ს. კაკაბაძე [4]), ნაბადი, წამოსასხამი (დ. კარიჭაშვილი [5], ვ. ნოზაძე [6]), зеленый плащ (კ. ბალმონტი [7] გ. ცაგარელი [8], შ. ნუცუბიძე [9]) зеленая ткань (პ. პეტრენკო), [10] чудесная мантия (ნ. ზაბოლოცკი) [11], „ნაბდის მაგვარი თილისმური მოსასხამი, რომელსაც ბეწვეულის ნაცვლად ასხმული ჰქონია მწვანე ბალახი“ (კ. ჭიჭინაძე) [12] და სხვა.

ამ განმარტებათა მიხედვით ტაეპის შინაარსი გააზრებულია შემდეგნაირად: „(ფატმანის) გრძნეულმა (მონამ) ტანზე წამოისხა (მოიხურა) მწვანე წამოსასხამი (ნაბადი, თილისმური მოსასხამი)“.

ზოგიერთი მკვლევარი უარყოფს ტაეპის ასეთ ინტერპრეტაციას და სხვადასხვა ლიტერატურული პარალელის მოშველიებით ცდილობს „მოლის“ ცნებაში ახალი გააზრება შეიტანოს. მაგ. მ. ჯანაშვილი წერს: „მოლი არის მოლიდი — მულიდი, წევრი XII საუკუნეში არსებული მწვალებლობისა, მულიდობის (ქაჯობის), რომლის მიმდევარნი, ვით შოთას ქაჯები, იქცეოდნენ გრძნეულებივით“, და ტაეპის აზრი მკვლევარს ესმის ამგვარად: „მან გრძნეულმან მოლიდმა (მოლიმ) რამე წამოისხა ზედან ტანსა“ [13]. ასევე კ. კეკელიძის აზრით, „მოლი“ არ შეიძლება წამოსასხამს ნიშნავდეს, ისიც მწვანე ფერისას, ვინაიდან ფატმანის ქაჯი, პოეტის ტენდენციით, ყველგან და ყოველთვის არის შავი, «შავი მართ ვითა ყორანი», «ზანგი პირ-შავი». მე ვფიქრობ, რომ თავდაპირველ ტექსტში იყო არა მოლი (გრამატიკული დამატება), არამედ მოლიდ (შეკვეცილი ფორმა მოთხრობითი ქვემდებარისა): «მან გრძნეულმან მოლიდ რამე წამოისხა ზედან ტანსა“, ე. ი. გრძნეულმა მოლიდმა ტანზე რაღაც წამოისხა“. [14].

დასასრულ, „მოლის“ მნიშვნელობის ახლებური გააზრება. სცადა ი. გიგინეიშვილმა. მან ერთ-ერთ თავის მოხსენებაში ყურადღება მიაქცია H 599 ხელნაწერის წანაკითხს: „მან გრძნეულმან მოლი რამე წამოისვა ზედა ტანსა“. აქ „წამოისხა“-ს ნაცვლად იკითხება „წამოისვა“, რაც შეიძლება „წაისვას“ ნიშნავდეს. ეს გარემოება მკვლევარს გაახსენებს ხალხური „ამირანიანის“ ცნობილ მოტივს, ყამარმა რომ მკვდარ ამირანს ბალახი წაუსვა და გააცოცხლა. აქედან გამომდინარე, ი. გიგინეიშვილი დაასკვნის: „მოლი“ შეიძლება ნიშნავდეს ისეთ ბალახს, რომელსაც „სავრძნეულო, მაგიური ფუნქციები აქვს დაკისრებული“ [15].

ამრიგად, სიტყვა „მოლი“, რომლის მნიშვნელობა „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით თითქოს არ უნდა იყოს გაუგებარი, ჩვენს მეცნიერებაში ცხარე კამათის ობიექტს წარმოადგენს. ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ სახელი „მოლი“ და ზმნა „წამოისხა“ შინაარსობლივად ჯერ კიდევ არ არის გაშიფრული. გამოთქმაში „მოლი რამე წამოისხა ზედა ტანსა“ მკვლევარნი ვარაუდობენ ტანზე წამოსასხამის მოხურვას. მაგრამ არც „მოლი“ და არც „წამოისხა“ არ შეესატყვისება მათ მიერ ნავარაუდევ მნიშვნელობებს.

ზოგიერთი რუსთველოლოგი „მოლის“ განმარტებისას ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ფატმანის გრძნეული მონა შავია, „ტან-ნაბდიანი“. ამის მიხედვით ისინი ფიქრობენ: „მოლი“ შავი ნაბადიაო. დაახლოებით ასე ესმის ეს პოემის ზოგიერთ გადამწერსაც: „მოლი ბალახია, წამოსასხმელ ნაბადსაც მოლი ჰქვიან, რადგან ბალახსავით ასხმულია“ (A 855, S 4732). მართლაც, ფატმანის გრძნეული „პირ-შავი, თმა-გრძელი, ტან-ნაბდიანია“, ე. ი. ის ზანგია (შავკანიანი), გრძელთმიანი და ტან-ბალნიანი (და არა ტანზე ნაბადმოხურული). ასე რომ, სიტყვა „ტან-ნაბდიანი“ აქ არ გამოდგება „მოლის“ მნიშვნელობის ასახსნელად. არც ქართულ „შაჰნამეში“ დამოწმებული „მოლი“ ნიშნავს ნაბადს, როგორც ამას განმარტავენ იუსტ.

---

3. იუსტ. აბულაძე, XII საუკ. ქართ. საერო მწერ. და ვეფხისტყაოსანი, თბ. 1922, გვ. 79; რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, 1937, გვ. 366.

4 რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ს. კაკაბაძის რედაქციით თბ., 1927 გვ. 199.

5 რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, დ. კარიჭაშვილის რედაქციით, თბ. 1920, გვ. 293.

6 ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის განკითხვანი. ფერთამეტყველება, ბუენოს აირეს, 1953, გვ. 77.

7 Ш. Руставели, Витязь в тигровой шкуре пер. К. Д. Бальмонта, 1937, стр. 218.

8 Там же, пер. Г. Цагарели, Москва, 1937, стр. 184.

9 Там же, пер. Ш. Нуцубидзе, Москва, 1941, стр. 215.

10 Там же, пер. П. Петренко, Тб., 1937, стр. 208.

11 Там же, пер. Н. Заболоцкого (Грузинская классическая поэзия, I, Тб., 1958, стр. 218).

12 კ. ჭიჭინაძე, შოთა რუსთაველი თუ სარგის თმოგველი? (თბილისის უნივერსიტეტის შრომები, V, 1936. გვ. 191).

13 მ. ჯანაშვილი, ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ხელნაწერი; შდრ. მისივე: თამარ მეფე და მისნი ისტორიკოსნი (მოამბე, 1904, № 4, გვ. 66-67); თამარ მეფის მეხოტბენი (ტრიბუნა, 1923, № 454); იოანე შავთელი, აბდულმესიანი, 1916, გვ. 72; 1920, გვ. 53.

10. „მნათობი“ № 2.

14 მნათობი, 1931, № 7, 8; გვ. 165—166.

15 ი. გიგინეიშვილის მოხსენება არ არის დაბეჭდილი. ავტორის ნებართვით ამონაწერს ვიმოწმებ ხელნაწერის მიხედვით.

აბულაძე და ვ. ნოზაძე. გამოთქმაში „მან დაიგო ქვეშე მოლი“ (I, 2263 და 2621) ივარაუდება — როსტომი წამოწვა მწვანე ბალახზე (მოლზე, მდელოზე). „როსტომიანის“ ტაეპები

რაშსა მისცა საძოვარი, მან დაიგო ქვეშე მოლი,
გზის გარჯილი მოსასვენლად ძილად მიწვა ლომთა ლომი

„შაჰნამეს“ სპარსული დედნიდან თარგმნილია რუსულადაც, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ ორიგინალშიც „მოლის“ შესატყვისი სიტყვაა ბალახი (სპ. გიაჰ):

Он Рахша пустив по зеленым полям
Пустил, и ко сну приготовился сам;
Доспехи просохшие снова надев,
На ложе из трав растянулся, как лев[16].

რაც შეეხება იმ მოსაზრებას, რომ „მოლი“ დამახინჯებული წაკითხვაა სიტყვისა „მოლიდ“, მის გაზიარებას აბრკოლებს სამი გარემოება: 1. „მოლიდი“ ეთნიკური სახელია, რომელიც ძველი ქართულის ნორმებით შეუძლებელია ნამყოწყვეტილი დროის გარდამავალი ზმნის მიერ შეკვეცილი მოთხრობითი ბრუნვის ფორმით იყოს მართული; 2. კონტექსტით, წინადადების ქვემდებარეა „გრძნეულმან“, შემასმენელი — „წამოისხა“, ხოლო დამატება — „მოლი რამე“: მან (გრძნეულმა) წამოისხა ის (რაღაც მოლი); და 3. პოემის ყველა ხელნაწერში იკითხება „მოლი“, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა წანაკითხის სისწორეს ადასტურებს აგრეთვე იოანე შავთელის „აბდულმესიანი“, რომელშიც იგივე „მოლი“ იმავე მნიშვნელობით იხმარება, როგორც რუსთაველის პოემაში. ეს ფაქტი ქართული ლიტერატურის მკვლევართაგან დღემდე შეუმჩნეველი იყო, რადგანაც „აბდულმესიანის“ გამოცემებში „მოლი“ ყველგან დამახინჯებით იკითხებოდა. XVIII საუკუნის ორი (H 2069 და 1193) ნუსხის მიხედვით შავთელის თხზულების 79-ე სტროფი, სადაც დამოწმებულია სიტყვა „მოლი“, აღდგენილ იქნა შემდეგნაირად:

ანდიბან მოგვმან, გრძნებითა მბორგმან,
მისნობით ხელ-ყო ზაკვით ზღაპრობა;
ეშმაკს ევედრა, სული შეჰვედრა,
მით ექმნა სრულად მათთან საგრობა;
თქვენგან ქურუმთა მყის აქ ურუმთა
მოლითა ცუდ-ყვეს ბომონთ-მოთხრობა[17].

ახალი ქართულით ეს ნიშნავს:

„გრძნებით მბორგავმა მოგვმა ანდიბანმა მისნობით მიჰყო ხელი მზაკვრულ ზღაპრობას. მან ეშმაკს (საკუთარი) სული ჩააბარა (შეჰვედრა) და შეეხვეწა (რომ მისთვის ჯადოსნობა ესწავლებინა). ამით ის მთლიანად (მთელი არსებით, სრულად) ეშმაკების თანამოსაგრე (ამხანაგი) გახდა, (მაგრამ) თქვენგან (მოვლენილმა) ქურუმებმა აქ (საქართველოში) ბერძენთა (ურუმთა) მოლით მყისვე გააბათილეს ბომონების მოთხრობა (გრძნეულობაზე).

ანდიბან მოგვის ლეგენდა შავთელს თავის პოემაში შემოტანილი აქვს ეფრემის აპოკრიფული თხზულებიდან „თარგმანება დაბადებისათვის ცისა და ქვეყანისა და ადამისი“[18], სადაც მოთხრობილია ასეთი ეპიზოდი:

ნებროთ გმირის მეფობის დროს „გამოჩნდა ცეცხლი აღმოსავალით, რამეთუ გამოვიდა ქვეყანით. და ვითარცა იხილა ნებროთ, თაყვანის-სცა და დაადგინნა მღვდელნი, რათა თაყვანის-სცემდენ ცეცხლსა და უკმევდენ გუნდრუკსა“. ამის შემდეგ ნებროთი წავიდა ანკონს, „რომელი არს ქვეყანა იუდასი, და ვითარცა მიიწია საცავსა მას ზღვისასა“, ნახა გრძნეული ქალი იუნიტან, რომლისაგანაც მან ისწავლა „წიგნი სიბრძნისა“. სამი წლის შემდეგ ნებროთი დაბრუნდა თავის ქვეყანაში და იუნიტანისაგან ნასწავლ სიბრძნეს მეტყველებდა. „ვითარცა იხილა ესე ანდიბან მღვდელმან, რომელი ჰმსახურებდა ცეცხლსა, ევედრებოდა იგი ეშმაკთა, რომელი გამოეცხადებოდა ცეცხლსა მას შინა, რათა ასწაონ მათ სიბრძნე იგი ნებროთისი“, მაგრამ ეშმაკებმა უთხრეს ანდიბანს: „კაცი ვერ შემძლებელ არს ბრძენ-ყოფად,ვიდრე არა დაწვეს დედასათანა და დასა და ასულსა. მაშინ წარვიდა ქურუმი იგი და ყო ეგრეთ, ვითარცა ჰრქვა მას ეშმაკმან. და მიერ ჟამითგან... ანდიბან იწყო პირველ ვარსკვლავთ-რიცხვა და გრძნება და ბედის თხრობა და მისნობა და კარი ყოვლისა ბილწებისა ისწავა“ (A 153, გვ. 139—141).

ამ ამონაწერისა და შავთელის ლექსის შედარებიდან ცხადი ხდება, რომ ეფრემი და შავთელი იბრძვიან ცეცხლთაყვანისმცემელ მოგვთა გრძნეულობის წინააღმდეგ. ისინი მათთა“. ეს შესწორება ეკუთვნის დავით რექტორს (შდრ. A 1164, S 1511 და H 391), საყურადღებოა, რომ A 1164-ში სიტყვასთან „მოლითა“ ი-სა და თ-ის შორის ზემოდან დავით რექტორის მიერ მიწერილია ასო დ-ონი.

[16] Фирдоуси, Шахнаме, I, от начала поэмы до сказания о Сохрабе. Издание подготовили Ц. Б. Бану, А. Лахути и А. А. Стариков, Москва, 1957, стр. 378.

[17] ხაზგასმული სიტყვა „აბდულმესიანის“ ბეჭდურ გამოცემებში და XIX საუკუნის ზოგიერთ ნუსხაში იკითხება როგორც „მოლიდ-

[18] ამის შესახებ იხ. (М. Джанашвили, изгнание Адама из рая С МОМПК, XXIX, 1901, стр. 37—39): აბდულმესიანი, 1916, стр. 71—72; 1920 стр. 52—53. Н. Марр, Древнегрузинские одописцы (ТР IV, 1902, стр. VI); კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია II, 1958, გვ.

ბომონებს ამსხვრევენ. მათ კარგად იციან, რომ „წიგნი სიბრძნისა", რომელიც ნებროთმა იონიტან გრძნეულისაგან შეისწავლა, „არა შეიწყნარეს მოძღვართა ეკლესიისათა". ეფრემი ამ წიგნში აღწერილ ამბებს „ეშმაკთა ხელოვნებას" უწოდებს, შავთელი კი — „ბომონთმოთხრობას", რომელიც თამარ მეფის ქურუმებმა „ურუმთა მოლით" გააბათილეს (გააუქმეს). შავთელის მსჯელობიდან ირკვევა, რომ „მოლი" მოგვთა გრძნეულობის, ჯადოსნობისა და მისნობის გამაბათილებელი (გამაუქმებელი) საშუალებაა. ამასთანავე ისიც ცხადია, რომ ეს „მოლი" არ არის ქართველების საკუთრება, არამედ ის ურუმებს (ე. ი. ბერძნებს) ჰქონიათ. მართლაც, ბერძნული მითოლოგიით „მოლი" (μῶλυ) თ ლისმებისა და ჯადოსნობისაგან თავდასაზღვევ საგრძნეულო საშუალებას წარმოადგენს. ჰომეროსი „ოდისეას" მეათე სიმღერაში მოგვითხრობს ასეთ ლეგენდას:

გრძნეულმა ქალმა ცირცემ ოდისევსის მეგობრები თავის სასახლეში შეიტყუა და ღორებად გადააქცია. ოდისევსმა გადაწყვიტა: რადაც არ უნდა დაუჯდეს, დაკარგული მეგობრები მოიძიოს და განსაცდელისაგან იხსნას. გზად მიმავალ ოდისევსს შემოხვდა ჰერმესი, მან ტროადის გმირს უთხრა: მე მოგცემ სასწაულებრივ წამალს (ფარმაკონ-ს), რომლის საშუალებით შენ გადაურჩები ცირცეს ჯადოსნობას. ის საჭმელს შეგიმზადებს და შიგ ჯადოსნურ შხამს გაურევს, მაგრამ ჩემი წამლით უვნებელი იქნები. შემდეგ მან მიწიდან ამოგლიჯა სამკურნალო მცენარე და გადასცა ოდისევსს, თან აუხსნა მისი თვისება: ამ მცენარეს ფესვები აქვს შავი, ყვავილი — თეთრი, რძისფერი. ღმერთები მას უწოდებენ „მოლი"-ს. მისი ამოგლეჯა მიწიდან მომაკვდავთ არ შეუძლიათ, მაგრამ ღმერთებისათვის ყველაფერი შესაძლებელია. ოდისევსმა მიიღო ეს „მოლი" და გაემგზავრა ცირცეს სასახლისაკენ. გრძნეულმა ქალმა მოინდომა ოდისევსის გადაქცევა ცხოველად, მაგრამ „მოლის" მეოხებით ის გრძნეულებისაგან თავდაცული აღმოჩნდა [19].

ჰომეროსის ლეგენდა გავრცელება ჰოვა ბერძნულ და რომაულ მწერლობაში. იგი მცირეოდენი ცვლილებებით შეიტანა თავის „მეტამორფოზებში" პოეტმა ოვიდიუს ნაზონმა (XIV, 291—292). ჰერმესი რომ ოდისევსს „მოლის" აძლევს, ანტიკური ხანის ხელოვანთაგან ამოკვეთილ იქნა ქვებსა და ლითონებზე. „მოლი", როგორც მცენარე, აღწერა ბოტანიკოსმა თეოფრასტემ „მცენარეთა ისტორიაში" (IX, 15), ხოლო „ბუნების ისტორიაში" რომაელმა მეცნიერმა პლინიუს დიდმა მოგვითხრო შემდეგი:

ღმერთების მიერ შერქმეული, დიდად ცნობილი მცენარე „მოლი", რომლის აღმოჩენასა და ძლიერი შხამის წინააღმდეგ გამოყენებას ჰომეროსი მერკურიუსს მიაწერს, დღესაც იზრდება არკადიის მთების ფერდობებზე. მას აქვს დაგრეხილი შავი ფესვები, ბრტყელი და მოგრძო ფოთლები და ყვითელი ყვავილი. მისი ამოგლეჯა მიწიდან ძალიან ძნელია. მე შევხვდი ერთ მცენარეთმცოდნეს, რომელმაც მითხრა, რომ მოლი იტალიაშიც ხარობსო. მან მომიტანა ამ მცენარის მთელი გროვა. ისინი ქვიან ყამირში დაეგლიჯა. თითოეული მათგანის სიგრძე უფესვებოდ 30 ფუტი იქნებოდაო (XXV, 4) [20]

წარმოდგენილი ქართული და უცხოური მასალების მიხედვით ირკვევა ორი რამ:

1. „მოლი" შერქმეული საკუთარი სახელია; ის არ ითარგმნება, გამოითქმის და იწერება როგორც „მოლი". „ოდისეას" ევროპულ და რუსულ თარგმანებში ყველგან ბერძნული μῶλυ-ს ადგილას წერია Moly, Моли. ქართულში „მოლ-ი" ახალი ბალახის მნიშვნელობით ბოლოთანხმოვანფუძიანი სახელია და მისი აღრევა „აბდულმესიანისა" და „ვეფხისტყაოსნის" „მოლი"-სთან არ შეიძლება. შავთელთან და რუსთაველთან ეს სიტყვა იხმარება იმავე მნიშვნელობით, როგორი მნიშვნელობითაც გამოიყენა ჰომეროსმა თავის „ოდისეაში". ამიტომ მთარგმნელთა საყურადღებოდ უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც ისინი „აბდულმესიანსა" და „ვეფხისტყაოსანს" სხვა რომელიმე ენაზე თარგმნიან, ამ ძეგლებში დამოწმებული „მოლი", როგორც გრამატიკულად ბოლოხმოვანფუძიანი საკუთარი სახელი, არ შეიძლება ითარგმნოს.

2. ჰომეროსის გაგებით, „მოლი" არის მაგიური ძალის მქონე ჯადოსნური მცენარე და

[19] Гомер, Одиссея, переведенная с греческого языка Иваном Мартыновым, с примечаниями переводчика, часть II, 1827, Спб., стр. 186—187 и 214; Гомер, Одиссея, пер. В. А. Жуковского, 1935, стр, 176; пер. В. Вересаева, 1953, стр. 119. Loeb Classical Library, Homer, The Odyssey, I, Translated by A. T. Murray, London, 1946. pp. 364—367; Homers Odyssee, Neu übertragen von Rudolf Alexander Schröder, 1911, S. 172.

[20] Plinius, Naturgeschichte, Übersetzt von Johann Daniel Denso, Bd. 2. Rostock und Greiswald. 1765, S. 377: Cayus Plinius Secundus, Naturgeschichte, Übersetzt von Dr. Christian Friedrich Lebrecht Strack. 3. Bremen, 1855, S. 83. მოლის განმარტება სათანადო ლიტერატურის მითითებით იხ. წიგნში: Paulys-Wissowa, Real-Encyclopädie der classischen Altertumswissenschaft, Stutgart, 1933, Halbband 31, S. 29—33.

ამ მცენარისგან დამზადებული სასწაულებრივი წამალი, ფარმაკონ-ი, რომელსაც მინიჭებული აქვს გრძნეულობის გამაბათილებელი ფუნქცია.

სამწუხაროდ, ჰერმესის რჩევა-დარიგებიდან არ ჩანს, თუ ეს „მოლი“ ადამიანის მიერ როგორ უნდა იქნეს მოხმარებული, მაგრამ, რაკი ჰომეროსი მას უწოდებს „ფარმაკონ“-ს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ის მცენარისაგან დამზადებული თხევადი ან მალამოს მაგვარი სამკურნალო საშუალებაა, რომლის დალევით ან ტანზე წასმით ადამიანი თავს იხსნის გრძნეულთა ჯადოსნური საწამლავებისა, თუ სხვა რაიმე თილისმური ზემოქმედებისაგან. ამ მხრივ საყურადღებოა აგრეთვე „ოდისეას“ ქართველი მთარგმნელის მოსაზრება. როგორც ცნობილია, XIX საუკუნის 30-იან წლებში ქართულად ითარგმნა „ოდისეა“ (H 1419) და აი ამ ქართულ თარგმანში „მოლის“ ეწოდება „მაცხოვნებულობითი საშუალება“. მისი მიღებით „ყოველნივე სავნებელნი ძალნი დაშთებიან მისგან უქმად“. ეს „მაცხოვნებელობითი საშუალება“ „მოლის“ შავი ფესვებიდან გამონაჟონი წვენია, რომელსაც დალევს თუ ტანზე მოისხურებს ოდისევსი. ერმისემ, — ვკითხულობთ ამ თარგმანში, — „აღმოაგდო მიწით რომელიმე შავი ფესვი, რომლისაცა წვენი მიემსგავსებოდა მაწონსა და იწოდებოდა ღმერთთაგან მოლად. ვერვის ძალუძს მიწის შობილთაგანსა ჰშოვნად იგი, ხოლო ღმერთთაგან ყოველივე შესაძლებელ არსო“ (ფ. 61 ა)[21]. რაკი ქართველ მთარგმნელს „მოლის“ ცნებაში გაუაზრებია მაწვნის მაგვარი „მაცხოვნებელობითი საშუალება“, ეს შემთხვევითი ამბავი არ უნდა იყოს. „მოლის“ ამგვარ განმარტებას საფუძვლად უდევს ფოლკლორში კარგად ცნობილი ჯადოსნური წამლების შემზადება-გამოყენების მოტივი.

ხალხის წარმოდგენით არსებობს რაღაც მაგიური ძალა, რომელიც ადამიანს იხსნის რაიმე ხიფათისაგან (სიკვდილისაგან, ჭრილობების მიყენებისაგან, თილისმებისაგან, მოწამვლისაგან და სხვა ამგვარი მოვლენებისაგან). ეს ძალა მოეპოვება ან მცენარეს, ან საგანგებოდ შემზადებულ წამალს ან რაიმე ნივთს თუ საგანს. მაგ. გველის ხორცის შეჭმით, ან პირში გველის ნერწყვის გამოვლებით ადამიანი გაბრძენდება და ცხოველთა ღმ[illegible] ისწავლის; თუ ვინმემ უკვდავების წყალში იბანავა, ის ყოველგვარი ბრძოლებიდან უვნებელი გამოვა; ან უკვდავების ბალახის მოსმით შეიძლება მკვდრის გაცოცხლება და ა. შ. „სირინოზიანში“ ასეთი მაგიური ძალა მინიჭებული აქვს ბეჭედს, რომელიც სირინოზს თითზე აქვს წამოცმული[22]. „ამირანდარეჯანიანით“ გრძნეული დიაცი სეფე-დავლე დარისპანისძეს მისცემს სამ სხვადასხვა ძალის მქონე წამალს: რაინდი ერთს წაისვამს ფეხზე და ზღვასავით მოვარდნილ წყალში უვნებლად გავა; მეორეთი თვალშეუდგამი სიბნელით მოცულ არემარეს გაანათებს; მესამე წამალი კი მას „ძალის წაღებისა“ და „ფშვინვისაგან“ გადაარჩენს[23]. ასეთი მაგიური ძალის მქონე წამალია აგრეთვე განთქმული „პრომეთეოსის წვენი“. მისი სასწაულებრივი თვისებები აღწერილი აქვს აპოლონიოს როდოსელს: ვინც „ამ წამლით სხეულს დაიზელს, მას ვერც მახვილი დასჭრის, ვერც მგზნებარე ცეცხლი დააკლებს რამეს და, გარდა ამისა, გასაოცარი გაბედულება და ძალღონე შეემატება. ამ წამლის მცენარე პირველად აღმოცენდა ტანჯული პრომეთეს იმ ზრქელი სისხლისაგან, რომელიც გაუმაძღარმა არწივმა კავკასიონის ფერდობებზე დაღვარა. ამ მცენარის ღერო ორ, თითო წყრთის ოდენა შტოდ იყოფა, რომლებზედაც ფერით კორიკიოსის ზაფრანის მსგავსი ყვავილია გაშლილი. მიწაში გაშვებული ფესვი კი ახლად გაჭრილ ხორცსა ჰგავს. მისი წვენი მთაში ნაზარდი წიფლის შავი სითხის ფერია“[24].

ამრიგად, „მოლი“ ეწოდება მაგიური ძალის მქონე მცენარეს და მისგან გამონაჟონ სამკურნალო წამალს, რომელიც თავისი აღწერილობით ენათესავება „პრომეთეოსის წვენს“. რომლისაც შავთელი წერს — თამარის „ქურუმთა მყის აქ ურუმთა მოლითა ცუდ-ყვეს პომონთმოთხრობაო“, გასაგებია, რომ აქაც „მოლის“ მინიჭებული აქვს ჯადოობის, მისნობისა და გრძნეულობის გამაბათილებელი წამლის ფუნქცია. ეს უფრო თვალნათლივ შეიმჩნევა „ვეფხისტყაოსანში“: ფატმანს ჰყავს ორი მონა. ისინი არიან „შავნი“ და „სავსენი გრძნებითა, უჩინოდ წავლენ-წამოვლენ მათითა ხელოვნე-

[21] ტექსტი თარგმნილია ივანე მარტინოვის რუსული თარგმანიდან. მის ორიგინალში იკითხება: «Сказав сие, Аргоубийца вырывает из земли растение, отдает мне и объясняет его свойство. Корень у него был черный, а цвет — подобные млеку. Боги именуют оное Молием: смертным трудно выкапывать его, но богам все возможно» (Гомер, Одиссея, переведенная с греческого языка Иваном Мартыновым, часть вторая, СПб., 1827, стр. 187—189).

[22] S 1503, გვ. 56 და შემდეგ.

[23] მ. ხონელი, ამირანდარეჯანიანი, 1896, გვ. 161—164.

[24] აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა. ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და განმარტება დაურთო აკაკი ურუშაძემ, თბ., 1948, გვ. 136; შდრ, იქვე, გვ. 141—142.

ბითა“ (1238); მათ შეუძლიათ ამავე დროს ფრენა და დახშულ კართა შევლა. ისინი თავიანთი საგრძნეულო ხელოვნების ზოგიერთ სახეობას ეუფლებიან „მოლის“ საშუალებით, რადგანაც მათ კარგად იციან ამ სასწაულთმოქმედი წამლის შოვნა და მოხმარება. როდესაც ფატმანმა ნესტან-დარეჯანისადმი ქაჯეთში გასაგზავნი უსტარი დაწერა, გადასცა „გძნეულსა ხელოვანსა“, ხოლო

„მან გრძნეულმან მოლი რამე წამოისხა
ზედა ტანსა,
მასვე წამსა დაიკარგა, გარდაფრინდა ბანისბანსა.

წავიდა ვითა ისარი კაცისა მშვილდფიცხელისა.
რა ქაჯეთს შეხდა, ქმნილ იყო ოდენ ბინდბანდი ბნელისა.
უჩინოდ შევლო სიმრავლე მოყმისა, კართა მცველისა,
მას მზესა ჰკადრა ამბავი მისისა
სასურველისა“
(1276—1277).

ამ კონტექსტშიც „მოლის“ მნიშვნელობა დაკავშირებულია ჯადოსნური მცენარის ფესვებიდან გამონაყონ სითხესთან, რომელსაც, რუსთაველის აზრით, მიკუთვნებული აქვს გაუჩინარების ძალა და გრძნეულ ქაჯთა მისნობის გამაბათილებელი ფუნქცია. ასე რომ, ტაეპი „მან გრძნეულმან მოლი რამე წამოისხა ზედა ტანსა“ ნიშნავს: („ფატმანის) გრძნეულმა (მონამ) ტანზე წამოისხა (დაისხა, მოისხურა) ჯადოსნური მცენარის ფესვებიდან ღამზადებული თხევადი ნივთიერება, რაღაც საგრძნეულო წამალი (ანუ მოლი)“.

„მოლის“ ამგვარი გააზრების სისწორეს მხარს უჭერს აგრეთვე H 599 ხელნაწერის წანაკითხი: „მან გრძნეულმან მოლი რამე წამოისვა ზედა ტანსა“. რაკი გადამწერს „წამოისხა“ ზმნა შეუცვლია „წამოისვა“-ზმნით, ცხადია მას „მოლის“ სახით უვარაუდებია თხევადი ან მალამოს მსგავსად ოდნავ შესქელებული ნივთიერება.

• •
•

დასასრულ, დავუბრუნდეთ ამავე ნარკვევის შესავალში აღძრული კითხვას: იცნობდნენ თუ არა შავთელი და რუსთაველი ჰომეროსის ეპოსს და, თუ იცნობდნენ, როგორ აისახა მათი ეს ცოდნა „აბდულმესიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“? პასუხი გარკვეულია: ორივე პოეტი იცნობდა ჰომეროსის ეპოსს. ლეგენდა „მოლის“ შესახებ, რომელმაც ჰომეროსის შემდეგ ანტიკურ ქვეყნებში დიდი გავრცელება პოვა, ქართულ კლასიკურ მწერლობაში შუალობით თუ უშუალოდ შემოსულია „ოდისეა“-დან. „აბდულმესიანსა“ და „ვეფხისტყაოსანს“ გარდა ჩვენ ჯერჯერობით არ ვიცით სხვა რომელიმე ქართული თხზულება, რომელშიც დამოწმებული იყოს სიტყვა „მოლი“ იმავე მნიშვნელობით, როგორი მნიშვნელობითაც ვხვდებით „ოდისეაში“, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს სიტყვა კლასიკური ხანის სხვა ძეგლებშიც გამოვლინდება. ქართული ლიტერატურული ცნობა ჯადოსნური „მოლის“ შესახებ შემთხვევითი როდია. შავთელმა და რუსთაველმა კარგად იციან, თუ რა განათლების მქონე მკითხველებთან აქვთ საქმე და რა წყაროები უნდა გამოიყენონ მათ თავიანთ პოემებში. ამის კვალობაზე ისინი უცხოურ სიტყვებს, გამოთქმებს თუ ცნებებს იმ ლიტერატურული ძეგლებიდან იღებენ, რომელთაც მაშინდელი განათლებული ქართველები კითხულობდნენ. სასწაულმოქმედი „მოლის“ მნიშვნელობა „აბდულმესიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ თანამედროვე მკითხველებისათვის გასაგები იყო, მაგრამ შემდეგში, როდესაც „მოლი“ გაგებულ იქნა როგორც „ახალი ბალახი“, მისი ადრინდელი მნიშვნელობა თანდათანობით მივიწყებას მიეცა. დღეს კი შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ ჰომეროსის, შავთელისა და რუსთაველის თხზულებებში დადასტურებული სამივე „მოლი“ ერთიდაიგივე ცნებაა — მაცხოვნებელობითი წამალი, რომელსაც მინიჭებული აქვს მაგიური ძალა. ასეთ წამლებს საერთოდ დიდი გასავალი ჰქონდათ საგრძნეულო ხელოვნებაში (მოგვობაში) და ჰომეროსი, ოვიდიუს ნაზონი, შავთელი და რუსთაველი ამ განთქმულ „მოლის“ სწორედ საგრძნეულო ამბების გადმოცემის დროს იმოწმებენ.

# საუბრები ენის საკითხებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა ძიძიგური

★

## ქართულის მონათესავე ენები მსოფლიოში

დიდი ხანია მეცნიერები დაინტერესებული არიან საკითხით, თუ მსოფლიოს რომელ ენას ენათესავება ქართული ენა. მოეპოვება ქართულ ენას მოძმე ენები თუ იგი უნათესავოა და განკერძოებით მდგომი მსოფლიოს ენათა შორის, — აი კითხვა, რომელიც აღელვებთ მკვლევარებს — მოყოლებული გენიალური ფილოსოფოსის ლაიბნიციდან დღემდის.

სანამ გავეცნობოდეთ ქართული ენის მონათესაობის ძველ თეორიებს, წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ შეუძლებელია ეს შეხედულებანი მყარი და დასაბუთებული ყოფილიყო იმიტომ, რომ ქართული ენის გრამატიკული აგებულება და ლექსიკა არ იყო საფუძვლიანად შესწავლილი, — ნათესაობის საკითხი მხოლოდ მას შემდეგ იქნება მკვიდრ ნიადაგზე დამყარებული, როდესაც საანალიზო ენა მეცნიერულად გამოკვლეულია, ყოველშემთხვევაში, საამისოდ ბევრი რამ გაკეთებულია.

ქართული ენის შედარება სხვა ენებთან ჯერ კიდევ ძველ ქართველ გრამატიკოსებს უცდიათ. მაგალითად, მე-18 საუკუნის ქართველი მეცნიერი ანტონ პირველი, რომელიც ავტორია პირველი ქართული ფუნდამენტალური „ქართული ღრამმატიკისა“, ჩვენი ენის გრამატიკულ კატეგორიებს ადარებდა ბერძნული, ლათინური და სომხური ენების შესაბამის გრამატიკულ კატეგორიებს. ამ ენების ანალოგიით ანტონ პირველი ქართულშიც ხედავდა „ბრალდებით ბრუნვას“ (винительный падеж), მაგრამ მალე თვითონვე დარწმუნდა ამ აზრის მცდარობაში. ფირალოვი, რომელსაც ეკუთვნის ქართული ენის თვითმასწავლებელი (1820 წ.), ლაპარაკობს ქართული და რუსული ენების ზოგი გრამატიკული კატეგორიის ერთგვარობაზე. ეს შედარებაც ხელოვნურია და, მაშასადამე, მცდარი. პლატონ იოსელიანი თავის გრამატიკის სახელმძღვანელოში (1840 წ.) კაუზატიური ფორმების („ვაშენებინებ“ „ვაწერინებ“...) განხილვის დროს იშველიებს არაბულისა და ებრაულის ფორმებს, და სხვ.

ამგვარი შედარებანი ძველ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში არ არის დაფუძნებული მეცნიერულ მონაცემებზე, — ისინი გულუბრყვილო დასკვნებზეა დამყარებული და, ამდენად, არაფრის მთქმელი ენათა შედარებითი ანალიზისათვის.

უფრო ფართოდ და სისტემატიზებულად ქართული ენისა და მსოფლიოს ენათა ნათესაობაზე მსჯელობენ ევროპელი მეცნიერები. არსებობს რამდენიმე თეორია, რომლებსაც ცალცალკე გავეცნობით ქვემოთ.

### 1. ქართული ენისა და ინდოევროპული ენების მონათესავეობის თეორია

ქრონოლოგიურად პირველი თეორია, რომელიც წამოაყენეს ევროპელმა მეცნიერებმა, ქართულ-ინდოევროპული თეორიაა.

ამ შეხედულების დასაბუთების ცდა პირველად მოგვცა გამოჩენილმა გერმანელმა ფილოსოფოსმა ლაიბნიცმა.

ლაიბნიცი პაოლინისა და ირბახის ქართულ-იტალიურ ლექსიკონზე დაყრდნობით ფიქრობდა, რომ ქართული ენა გენეტურად ინდოევროპული ენების მონათესავეა. თავის გამოკვლევაში ავტორს გაანალიზებული აქვს 140 ქართული სიტყვა, რომელთა პარალელს იგი ხედავს ბერძნულ, ლათინურ და იტალიურ ენებში. ეს სიტყვებია, მაგალითად, **კლიტე, პაერი, ორბი, სერობა, ფანარი** და მრ. სხვ.

ლაიბნიცის თეორია მიუღებელია, რადგან მის მიერ დამოწმებული ქართული სიტყვები „ქართული“ კი არ არის წარმოშობით (იგივე **კლიტე, პაერი** და სხვ.), არამედ ნასესხებია ბერძნულ-ლათინურიდან. ნასესხები სიტყვების მიხედვით კი ენათა გენეტური ნათესაობა არ შეიძლება დამტკიცდეს. რამდენი სიტყვაა შემოსული ქართულში, მაგალითად, სპარსულიდან, არაბულიდან, თურქულიდან, სომხურიდან, რუსულიდან, — გამოვა, რომ ქართული ენა წარმოშობით ყველა ამ ენის მონათესავეა.

მეორე მხრით, ლაიბნიცის მიერ გარჩეულ ქართულ სიტყვებს არავითარი სიახლოვე არა აქვს ბერძნულ-ლათინურ-იტალიურ სიტყვებთან. მაგალითად, ქართული სერი და vesper (საღამო) ხელოვნურად თუ დაუკავ-

შირდება ერთმანეთს, თორემ მათი შესატყვისობა არაფრით არ არის გამართლებული.

კაცმა რომ თქვას, ლაიბნიცს ვერც მოვთხოვდით მკაცრ მეცნიერულ საფუძველზე დაემყარებინა თავისი მსჯელობა ენათა ნათესაობის გამოსარკვევად. ეს იმიტომ, რომ ენათმეცნიერება, როგორც გარკვეული სამეცნიერო დისციპლინა, არც იყო გამომუშავებული; მხოლოდ მე-19 საუკუნეში შემოიღეს ე. წ. ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, რომელმაც მკვიდრ ნიადაგზე დააყენა აზროვნება ენის შესახებ: ამ მეთოდის გამომუშავებამდე ენათა ურთიერთშედარებას მეცნიერული საფუძველი არ ჰქონდა.

მიუხედავად ამისა, ფილოსოფოს ლაიბნიცს მიმდევრები მე-19 საუკუნეშიც გამოუჩნდნენ.

გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი მარი ბროსე პარიზში გამოქვეყნებულ თავის წერილებში და ქართული ენის გრამატიკაში (მეორე გამოცემა განხორციელდა 1834 წელს) ადრმავებს ლაიბნიცის თეორიას. ბროსეს დასკვნით, ქართული ენა ენათესავება ინდოევროპულ ენებს — სანსკრიტს (ძველ ინდურს), ძველ სპარსულს და სხვ. მეცნიერი მსგავსებას ხედავს უმთავრესად გრამატიკულ სტრუქტურაში.

უდიდესი გერმანელი ლინგვისტი, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი და აკადემიკოსი ფრანც ბოპი, რომელიც ითვლება ენათმეცნიერების ფუძემდებლად (მან შემოიღო ე. წ. შედარებითი მეთოდი), უფრო შორს წავიდა და თავი მოუყარა იმ შესაძლებელ მონაცემებს, რომელთა საფუძველზე შეიძლებოდა მიგვეღო დასკვნა ქართულის ნათესაობისა ინდოევროპულ ენებთან. ბოპმა თავისი შრომის შედეგები ჯერ მოახსენა ბერლინის მეცნიერებათა აკადემიას (1842 წ. და 1845 წ.), შემდეგ კი ცალკე წიგნად გამოაქვეყნა („ინდოევროპულ ენათა ოჯახის წევრები კავკასიაში“, 1847 წ., ბერლინი).

ბოპი ამბობს, რომ ქართული და ლაზური (ე. ი. ჭანური) საოცარ მსგავსებას ამჟღავნებენ სანსკრიტთან (ძველ ინდურთან. როგორც ცნობილია, ინდური ინდოევროპული მოდგმის ენაა). ეს მსგავსება, მისი აზრით, დასტურდება სახელების ბრუნებაში, შედარების ხარისხში, ნაცვალსახელებში, ზმნებში და სხვ. ბგერითი სისტემის ანალოგიებზე ავტორი არაფერს ამბობს. ბოპი მსჯელობს აგრეთვე სვანურისა და მეგრულის შესახებ.

ამრიგად, ლინგვისტური მეცნიერების მამამთავარი ბოპი ამტკიცებდა, რომ ე. წ. ქართველური ენები მონათესავეა ინდოევროპული ენებისა.

ბოპის დაუცხრომელი ძიების შედეგად დაგროვდა ყველა საბუთი, რაც კი შეიძლება დაიძებნოს ქართულისა და ინდოევროპული ენების გენეტიკური ნათესაობის თეორიაზე. მიუხედავად იმისა, რომ ბოპის ნაშრომში გაბნეულია გონებამახვილური დაკვირვებანი (განსაკუთრებით ფასეულია ქართულ-მეგრულ-ჭანურ-სვანურის შედარებითი ანალიზი), მაინც მიზანი მიღწეული არაა: ქართული ენის დაკავშირება ინდოევროპულ ენებთან ხელოვნურია და ნებისმიერი.

გენიალური ენათმეცნიერის კვლევა-ძიებამ, მიუხედავად მცდარი თვალსაზრისისა, დადებითი შედეგი გამოიღო: საბოლოოდ დამტკიცდა, რომ ყოველგვარი ძიება ამ მიმართულებით უნაყოფოა; შემდგომ ამ საკითხს არავინ დაბრუნებია.

ფრანც ბოპის თეორიას თავის დროზე გამოეხმაურა აკადემიკოსი ბროსე. მან 1844 წელს გამოაქვეყნა ბოპისადმი ღია წერილი, რომელშიც ავტორი ნაწილობრივ იზიარებს ბოპის მიერ მოცემულ კონკრეტულ მაგალითებს, ნაწილობრივ კი ამხელს ბოპისეულ მცდარ ენობრივ შედარებებს.

ბოპის თვალსაზრისი საფუძვლიანად გააკრიტიკა პროფესორმა ალ. ცაგარელმა (1872 წ.).

მ. ჯანაშვილს ეკუთვნის ცდა ქართულის დაკავშირებისა სლავურ ენებთან.

## 2. ქართული ენისა და თურანული (ალთაური) ენების მონათესავეობის თეორია

იყო ცდა, ქართული ენა წარმოშობით დაეკავშირებინათ თურანულ (ალთაურ) ენებთან (ე. ი. თურქულ-თათრულთან).

ეს თეორია წამოაყენა გამოჩენილმა ინგლისელმა მეცნიერმა მაქს მიულერმა.

პროფ. მიულერი თავის ცნობილ მსოფლიოს ენათა კლასიფიკაციაში ქართულ ენას (აგრეთვე სხვა კავკასიურ ენებს) მიიჩნევს თურანული მოდგმის ენათა შორეულ მონათესავე წევრად. დროთა ვითარებაში ქართული ძალიან დაშორებია თურანული (ალთაური) ენების შტოს, იმდენად უცვლია სახე, რომ ენობრივი მსგავსება ძნელად აღმოსაჩენიაო, ამბობს მიულერი. იგი თავის შრომაში კავკასიურ ტომებს ყოფს ორ ჯგუფად: ერთია — „საკუთრივ კავკასიური ტომები“, რომლებიც უხსოვარი დროიდან ბინადრობენ (ჩრდილოეთ) კავკასიაში, მეორეა — ქართველები, თურქული მოდგმის ტომები და ოსები, რომლებიც კავკასიაში უფრო გვიან დამკვიდრებულან.

ქართული ენის შტოდ მიულერი წარმოგვიდგენს ა) საკუთრივ ქართულს — ქართლის, კახეთისა და იმერეთის მეტყველებას, ბ) სამეგრელოს, ოდიშისა და გურიის მეტყველებას (მეგრელ-ოდიშელ-გურულები ბინადრობენ ძველ კოლხიდაში და მათი ენა ახლო მონათე-

სავეა ლაზურისაო); გ) სვანურს (სვანები ბინადრობენ კავკასიის ალპების სამხრეთ ფერდობებზე და ეს ეთნიკური განშტოება ყველა ნიშნის მიხედვით ქართული წარმოშობისააო; ავტორის აზრით, სვანური განსხვავდება მეგრულ-ლაზურისაგან, მაგრამ სიტყვის ძირებით და გრამატიკული ფორმებით ისინი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იმყოფებიან; დ) ლაზურს, რომელიც ქართული ენის დასავლური განშტოებააო.

მ. მიულერის შრომაში მოცემულია ისტორიული და გეოგრაფიული ცნობები ზემოდასახელებული ტომების შესახებ. ავტორი ამბობს, რომ ბერძენი ისტორიკოსები ლაზებს მიიჩნევენ კოლხების ჩამომავლებად, ხოლო კოლხების მიჩნევა ძველი ეგვიპტელების ჩამომავლებად უსაფუძვლოა; ქართულ-მეგრულ-ლაზურში ჩვენ ვერ ვპოულობთ საამისო დამამტკიცებელ საბუთებსო.

ქართულ-თურქული თეორიაც მცდარია და მეცნიერულად დაუსაბუთებელი.

### 3. ქართული ენის განკერძოების თეორია

არა ერთი და ორი ევროპელი მეცნიერი ფიქრობდა, რომ ქართული ენა (ისევე როგორც სხვა კავკასიური ენები) განმარტოებით, განკერძოებულად მდგომი ენაა მსოფლიოს ენათა შორის.

ასე, მაგალითად, ცნობილი გერმანელი მკვლევარი კლაპროტი ამბობს, რომ, თუმცა ქართული ენა ნაწილობრივ ემსგავსება ინდოევროპულ თუ სხვა მოდგმის ენებს, მაინც იგი იზოლირებულია და წარმოადგენს სრულიად განსაკუთრებული მოდგმის ენობრივ სამყაროს. არც სიტყვის ძირებით (ე. ი. ლექსიკით) და არც გრამატიკული სტრუქტურით ეს ენა არ ავლენს ნათესაურ კავშირს ჩვენთვის ცნობილ რომელიმე ენობრივ შტოსთანო.

ამავე აზრს გამოთქვამდნენ ისეთი გამოჩენილი მეცნიერები, როგორიც იყვნენ შლაიხერი (1850 წ.), პოტი (1856 წ.), ლეფსიუსი (1863 წ.), ფრ. მიულერი (1864 წ.,) ბენფეი (1869 წ.) და შპიგელი (1871 წ.). ფრიდრიხ მიულერი, მაგალითად, ამბობდა, რომ კავკასიური ენები, მათ შორის ქართული, იმ დიდ ენათა ოჯახის ნაშთია, რომელიც უხსოვარ დროს ფართოდ იყო გავრცელებული კავკასიაში და კავკასიის სამხრეთით, ვიდრე აქ ინდოევროპული და სემიტური ენები გაჩნდებოდა.

უფრო ვრცლად ამ შეხედულებას ასაბუთებდა ჩვენი თანამემამულე ალ. ცაგარელი, პეტერბურგის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი, გამოჩენილი ქართველოლოგი, რომლის ნაშრომები ფართოდაა ცნობილი როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ.

ალ. ცაგარელი გასული საუკუნის 70-იან წლებში გამოთქვამდა აზრს, რომ ქართული ენა არ ენათესავება არც ერთ ენობრივ ჯგუფს, რომელიც კი ცნობილია დღ[illegible] მსოფლიოში; იგი არ ავლენს მსგავსებას არც ინდოევროპულ, არც სემიტურ, არც ალთაურ, არც სხვა რომელიმე ენათა ოჯახთან; ქართული, ისევე როგორც ევროპაში ბასკური უნდა წარმოადგენდეს ნაშთს ოდესღაც არსებული დიდი ენათა ჯგუფისას, რომელიც გავრცელებული იყო კავკასიაში აქ სემიტური, ინდოევროპული და ალთაური ტომების მოსვლამდის.

ცაგარელი სავსებით მართებულად აღნიშნავდა, რომ, თუ დღესდღეობით ევროპელმა ენათმეცნიერებმა ვერ დაადგინეს ქართული ენის ნათესაობა და ვერ მიუჩინეს მას ადგილი მსოფლიოს ენათა შორის, ამის მიზეზი ის კი არ არის, რომ ქართული ენის გრამატიკა „დაბურდულია" და უაღრესად ძნელი და ამოუცნობი, ან კიდევ არ მოიპოვებოდეს ძველი წერილობითი წყაროები ამ ენაზე. საკითხის გაურკვევლობა იმით აიხსნება, რომ საკვლევი ენა (ე. ი. ქართული) არ არის სათანადო სიღრმით შესწავლილი და ამოცნობილი. როცა სათანადოდ გავერკვევით ქართულ-მეგრულ-ჭანურ-სვანურის გრამატიკულ აღნაგობაში, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მკვიდრ ნიადაგზე დაიდგეს ქართული ენის ნათესაობის პრობლემაო.

ამრიგად, პროფესორი ცაგარელი უნდა მიეკუთვნოს იმ მეცნიერებს, რომლებიც ქართულს თვლიდნენ განკერძოებულად მდგომ ენად თანამედროვე ენათა შორის.

### 4. ქართული ენისა და სემიტური ენების მონათესავეობის თეორია

ქართული სემიტურ ენებს დაუკავშირა ნიკო მარმა.

1888 წელს გაზ. „ივერიაში" დაიბეჭდა წერილი სათაურით: „ბუნება და თვისება ქართულის ენისა". წერილს ხელს აწერდა ნ. მარი, რომელიც მაშინ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო.

რამ გამოიწვია ამ წერილის გამოქვეყნება?

„ივერიის" № 62-ში გამოქვეყნდა კორესპოდენცია ქ. ვენაში 1886 წელს ორიენტალისტების ყრილობის შედეგების შესახებ. ამ ცნობაში ნათქვამია, რომ მეცნიერები დღემდის ვერ შეთანხმებულან ქართული ენის წარმოშობის საკითხში. ბოპი ქართულს ინდოევროპულ ენებს უკავშირებდა, მაქს მიულერი და ფრიდრიხ მიულერი—სემიტურ ენებს; ცაგარელი ქართულ ენას დამოუკიდებელი ჯგუფის წარმომადგენლად მიიჩნევსო. ნ. მარი თავის წერილში ასწორებს ამ ცნობაში დაშვებულ ზოგიერთ ფაქტობრივ შეცდომას. შემდეგ იგი დასძენს, რომ

სამი წელიწადია უნივერსიტეტში არაბულ ენას ვსწავლობ და იმ აზრამდის მივედი, რომ ქართული ენა სიტყვათა ძირებითა და გრამატიკული აღნაგობით არაბულს (ე. ი. სემიტურ ენებს) ენათესავებაო. მარი ვარაუდობს, რომ ქართულ-მეგრულ-ჭანურ-სვანური ერთი წინარეენის, საზოგადო ქართულის, განშტოებებია, ხოლო ეს წინარექართული უხსოვარ დროს ისეთივე სემიტური მოდგმის ენა იყო, როგორიც არიან დღევანდელი სემიტური ენები ერთმანეთის მიმართო.

ოცი წლის შემდეგ ნ. მარი პეტერბურგში აქვეყნებს თავის ცნობილ წიგნს — ძველი ქართული ენის ძირითად ტაბულებს, რომელსაც ურთავს გამოკვლევას ქართულ-სემიტურის ნათესაობის შესახებ. აქ ავტორს მოჰყავს თავისი აზრის დამადასტურებელი მაგალითები.

მიუხედავად იმისა, რომ მარი თავგამოდებით იცავდა თავის თეორიას, ქართული ენის დაკავშირება სემიტურ ენებთან ხელოვნური და გაუმართლებელი უმოჩნდა. თვითონ ნ. მარმა უარყო შემდგომ თავისი შეხედულება და ეს თეორია „განვლილ ეტაპად მიიჩნია“.

### 5. ქართულისა და ბასკური ენის მონათესაეობის თეორია

როგორც ცნობილია, ძველ საქართველოს (საკუთრივ-აღმოსავლეთ საქართველოს) იბერია ეწოდებოდა. ამასთანავე, არსებობდა „დასავლეთის იბერია“: იბერიელები ცხოვრობდნენ იმ ტერიტორიაზე, რომელიც შემდეგ ესპანელებმა დაიკავეს. ის ძველი, დასავლეთის იბერიელები გადაშენდნენ და მათი მემკვიდრეებია დღევანდელი ბასკები.

ამრიგად, ერთი და იმავე სახელწოდებით არის მონათლული ტერიტორიულად საკმაოდ დაშორებული ორი ეთნიკური ერთეული—ჩვენი იბერია და დასავლეთ ევროპის იბერია.

ოცი საუკუნეა კაცობრიობის ისტორიაში ტრიალებს აზრი, რომ ესპანეთის პირვანდელი ძირითადი მოსახლეობა ქართველებს ენათესავება.

ჯერ კიდევ ძველ დროში დაიბადა კითხვა: რა ურთიერთობა უნდა არსებობდეს ამ ორ იბერიას შორის?

ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს ტერმინოლოგიური ერთგვარობა შემთხვევითი იყოსო, ხვჯიან პირველი საუკუნეების ბერძენი, რომაელი, სომეხი და ქართველი ავტორები, და აქ იჩენს შეხედულებათა სხვადასხვაგვარობა. ამაზე გარკვევით ლაპარაკობს II საუკუნის (ჩვენი წელთაღრიცხვით) ბერძენი მწერალი აპიანი. ერთი მიმდინარეობა გულისხმობდა, რომ დასავლეთ ევროპის იბერიელები გადასახლდნენ საქართველოდან, ე. ი. აზიის იბერიიდან. ამ აზრს პირველად დაადგა გრამატიკოსი ვარონი (I საუკ.). V — VI საუკ. რომაელი მწერალი და გრამატიკოსი პრისციანი თავის თხზულებაში — „გრამატიკის სახელმძღვანელო“ ვარაუდობს, რომ დასავლეთ ევროპელი იბერიელები კავკასიიდან მომდინარეობენ. ამავე მიმართულებას ეკუთვნის VII საუკუნის ბიზანტიელი მწერალი მაქსიმე აღმსარებელი.

მეორე ბანაკი ძველი ავტორებისა ირწმუნება, რომ, პირიქით, საქართველოს იბერიელები წარმომდგარი არიან დასავლეთის იბერიელთაგან, ოღონდ მიგრაციის (ხალხთა გადასახლების) მოტივაცია სხვადასხვაგვარია. ძველი მწერლების ერთი ჯგუფი იბერიელთა ესპანეთის საზღვრებიდან კავკასიაში გადმოსახლებას ხსნის დიდი მიწისძვრით დასავლეთში. ამ მიმდინარეობას ვეცნობით სტრაბონის თხზულებაში. ავტორთა მთელი რიგი მიგრაციის მიზეზს მიაწერს ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსარის დაპყრობის პოლიტიკას.

მესამენი ვერ იძლევიან გადასახლების ფაქსარის დაპყრობითს პოლიტიკას.

დიონის პერიეგეტი, ევსტაფი და სოკრატ სქოლასტიკოსი ვარაუდობენ, რომ იბერიელების თავდაპირველი სამშობლო დასავლეთია.

პირველი მათგანი (I — II საუკ. ძვ. წელთაღრიცხვ.) თავის გალექსილ თხზულებაში „დედამიწის აღწერა“ სწორედ ასეთ აზრს გამოთქვამს. ევსტათი (XII საუკ.) ავითარებს პერიეგეტის კონცეფციას და კატეგორიულად ლაპარაკობს, რომ „აღმოსავლეთის იბერია კოლონიაა დასავლელი იბერიელებისა“.

ბოლოს, მოიპოვებიან ისეთი ძველი ავტორები, რომლებიც ვერავითარ ნათესაობას ვერ ხედავენ დასავლელ და აღმოსავლელ იბერიელთა შორის. ამ მხრივ საგულისხმოა სტრაბონის მოსაზრება. ეს გამოჩენილი ბერძენი გეოგრაფოსი გადმოგვცემს, რომ იმ ადგილებში, სადაც ქართველები ცხოვრობენ, ჩანჩქერებს ოქრო მოჰყვება; ბარბაროსები ჩამოზიდულ ოქროს აგროვებენ გობებითა და ბანჯგვლიანი ტყავებით (აქედან მომდინარეობს მითი ოქროს ვერძის შესახებ), ხოლო, რაკი დასავლეთის იბერიაშიც მოიპოვება ოქროს ქვიშნარი, სახელწოდებათა იდენტობის სათავეც ეს არისო.

საინტერესოა ვიკითხოთ: იცოდნენ თუ არა ძველ საქართველოში ქართველთა და ესპანეთის იბერიელთა მონათესაეობის შესახებ?

როგორც ჩანს, იცოდნენ.

ჯერ კიდევ იოვანე მთაწმიდელს გადაუწყვეტია წასულიყო „სპანიად“ და მოეენახულებინა თვისტომნი. აი რა არის ნათქვამი გიორგი მთაწმიდელის თხზულებაში, რომელსაც ეწოდება „ცხოვრება იოვანესი და ეფთვმესი“:

„განიზრახა ნეტარმან მამამან ჩუენმან იოანე, რაჲთა აღიღოს ძე თჳსი და რავდენნიმე მოწაფენი და ივლტოდეს სპანიად... რამეთუ ასმიოდა, ვითარმედ ქართველნი არა-მცირედნი ნათესავენი და ერნი მკჳდრ არიან მუნ. და ამის პირისათჳს წარვიდა ვიდრე ავიდოსადმე, რაჲთა მიერ პოვოს ნავი, კერძოთა სპანიისათა მიმავალი, და წარვიდენ მუნ..."

მე-18 საუკუნის ცნობილი ქართველი მოღვაწისა და მწერლის ტიმოთე გაბაშვილის სამოგზაურო ჟანრის თხზულებაშიც („მიმოსვლა") ლაპარაკია ქართველთა და ესპანეთის იბერიელთა ნათესაობის თაობაზე.

ტიმოთე გაბაშვილმა მოიარა ბევრი ქვეყანა. მას საშუალება ჰქონდა გასცნობოდა იმდროინდელ განათლებულ ადამიანებს. როგორც გამორკვეულია, იგი ესაუბრებოდა, კონსტანტინეპოლისა და იერუსალიმის პატრიარქებს, მთავარეპისკოპოსებსა და ეპისკოპოსებს, ფილოსოფოსებსა და მწიგნობრებს, — ყველგან მას პატივითა და ყურადღებით იღებდნენ. ერთი აკადემიის რექტორ ევგენი ბულგარისის წინაშე ტიმოთემ წამოჭრა საკითხი ქართველთა და ესპანეთის მკვიდრთა ნათესაობის თაობაზე. რექტორს პასუხი გაუცია. თავის სამოგზაურო თხზულებაში ტიმოთე გაბაშვილი ამბობს:

„აღმომეკითხა წერილთა შინა ჩუენთა, ვითარმედ სპანთა ენასა ზედა ეთარგმნეო, ქართულთათვის იტყოდა. ამისათვის ვკითხევდი რა ევგენიოს, იგი მეტყოდა, ვითარმედ არის წერილთა შინა მდებარედ, ვითარმედ ქართველნი მოსრულან შპანიად და დამკვიდრებულან, და მეფეთა შპანიისასა ქართველი ეწოდა. და კვალად შპანიელნი წარსრულან საქართველოთა შინა და მუნ დამკვიდრებულან; ამისთვის ქართველთა და შპანიელთა ნათესაობისათვის ურთიერთარს სახელი ეწოდების. და მისთვის მთარგმნელთა სახელი უნაცვლებია".

ტიმოთე დასძენს:

„ეს რა მესმა, მომეხსენა მე, რამეთუ მსმენოდა, ვითარმედ ქართველნი აზნაურნი საფრანგეთიდამ არიანო მოსრული, რომელი დაადგინაო მცველად ალექსანდრე მაკედონელმან ქართლს. ესრეთ გამეგონა მე ქართლს".

ეს ბოლო სიტყვები ტიმოთეს, როგორც ჩანს, მეხსიერებით აღუდგენია. ცნობა კი „ქართლის ცხოვრებიდან" მომდინარეობს:

„დაიპყრა ალექსანდრე [ქართლი], მოსრნა ყოველნი იგი ნათესავნი აღრეულნი ქართლს მყოფნი... — ნათქვამია ქართლის ცხოვრებაში, — და დაუტევა მათ ზედა პატრიარქად სახელით აზონ, ძე იაროდოსისი, ნათესავი მისი, ქვეყნით ჰრომი, რომელსა ჰქუიან ფროტათოს. ესე ფროტათოსელნი იყუნეს კაცნი ძლიერნი და ეკირთებოდეს ქუეყანასა ჰრომისასა, და მოიყუანნა ქართლად, მისცნა აზონს პატრიარქსა და. დაუტევა აზონ ქართლის ერისთავად, მის თანა სპანი იგი მპყრობელად ქართლისა".

ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ძველ საქართველოშიც ტრიალებდა აზრი ქართველთა და ესპანეთის იბერიელთა ნათესაობის თაობაზე.

შედარებით გვიანდელ ავტორთაგან, რომლებიც ეხებოდნენ საქართველოსა და ესპანეთის იბერიის ურთიერთდამოკიდებულებას, უნდა დავასახელოთ შტრიტერი და შარდენი.

შტრიტერი თავისი შრომის იმ ნაწილში, სადაც ლაპარაკია ზემო იბერიის მეზობლად ბინადარ ალანებზე, კატეგორიული და სრული ეჭვმიუტანლობის კილოთი აცხადებს, რომ ესენიც იბერიელები არიანო. ხოლო რა მანქანებით მოხვდნენ ისინი ამ მხარეში, ე. ი. დასავლეთ ევროპის იბერიელთაგან მომდინარეობენ თუ სხვა მიდამოებიდან არიან გადმოსულნი, ამ საგანზე ვერაფერს ვიტყვიო, დასძენს ავტორი.

სახელგანთქმული მოგზაური ჟ. შარდენი (XVII საუკ.) თავის ნარკვევში „მოგზაურობა სპარსეთში" საგულისხმო ამბავს მოგვითხრობს. საქართველოში ყოფნის დროს იგი მიიწვიეს ნადიმზე მეფესთან. ამ უკანასკნელმა მოიკითხა ესპანეთის მეფე და შესვა ძვირფასი ქვებით მოოჭვილი სასმისით მისი სადღეგრძელო. როდესაც ქართველი მეფე შეეხო იბერიელთა ნათესაობას, შარდენს მოაგონდა, რომ მართლაც, მრავალი ავტორი აღნიშნავს ესპანელთა წარმოშობას ქართველთაგან და, დაინტერესებულმა, თუ როგორ ესმის მეფეს ეს ნათესაობა, ასეთი პასუხი მიიღო: კლიმენტი მერვემ (რომის პაპმა) თეიმურაზისადმი მიწერილ წერილში ქართველი მეფე ფილიპე მეორის (ესპანეთის მეფის) ნათესავად მოიხსენია, ხოლო ქართველები და ესპანელები ძმებად დასახა. ამის შემდეგ თეიმურაზი და მისი მემკვიდრეები ამაყობდნენ და კვლავაც იმაყებენ ამ ნათესაობითო.

ასეთია ზოგადი შეხედულებანი საქართველოს იბერიისა და დასავლეთ ევროპის იბერიის დამოკიდებულების თაობაზე.

როგორც ვთქვით, ის ძველი დასავლელი იბერიელები ისტორიული პროცესების შედეგად გადაშენდნენ (მათი ჩამომავლებია ბასკები).

რა აგებულებისა იყო მაშინდელი დასავლური იბერიული ენა, არ ვიცით. ჩვენამდის მოღწეული იბერიული ძეგლები მეტად მცირერიცხოვანია. ჩვენ ხელთაა, ერთი მხრით, მედალები და წარწერები, ხოლო, მეორე მხრით, საკუთარი სახელები და ტოპონიმიკური ტერმინები, შენახული ბერძენ-რომაელ ავტორთა თხზულებებში. ამ წერილობითი ძეგლებიდან ჩანს, რომ

იბერიელთა ალფაბეტური სისტემის ფინიკურ ბუნებას თანამედროვენი ამოიცნობენ იმ ენობრივი სისტემის საფუძველზე, რომლის მატარებლებიც ძველ იბერიელთა ტერიტორიაზე ბინადრობენ ამჟამად და არასემიტური მოდგმის ხალხის სამკვიდრებელია არა მარტო ესპანეთი, არამედ საფრანგეთიც. ამ ხალხის მცირე ნაწილი არგენტინაშიც დასახლებულა. ისტორიულად მათი ძირითადი ტერიტორია ესპანეთია. საფრანგეთის ემიგრანტები ესპანეთიდან არიან გადასახლებული, ოღონდ უფრო ძველად, ვიდრე ამერიკაში. ეს თანამედროვე იბერიელები, მაშასადამე, ბასკებია,

როგორი აღნაგობისაა ბასკური ენა?

ბასკური ენა არა ჰგავს ადგილობრივ ენებს, იგი „რაღაც საკვირველი და გამოუცნობი ფენომენია", ხალხის წარმოდგენით. ეს ენობრივი განკერძოება ათასნაირი მითებისა და ზღაპრების წყაროდ გადაიქცა მთელ ესპანეთში. ასე, მაგალითად, იეზუიტი დარამენტი თავის სენსაციურ წიგნში, რომლის სათაურია „ძლეული შეუძლებლობა", გვამცნობს, რომ ბასკური ენიდან წარმოიშვნენ მსოფლიოს ენებიო. ავტორი „გვარწმუნებს", რომ ბასკური ანბანის ყოველი ასო მისტიკურ საიდუმლოებას შეიცავს. ხოლო აბატი დარიგოლი ბასკურის მარადიულ სრულყოფილობაზე მსჯელობს. ჩრდილოეთ ესპანეთში ასეთი აზრია გავრცელებული, რომ „თვით ეშმაკი ცხოვრობდა ბასკეთში შვიდ წელიწადს და ვერც ერთი სიტყვა ბასკური ვერ შეისწავლაო". უაღრესად დამახასიათებელია ბასკური ენის განმარტება ერთ ძველ ესპანურ ლექსიკონში: „ბასკური — ის, რაც იმდენად აღრეულია და ბუნდოვანი, რომ გაგება შეუძლებელია". არც მეტი, არც ნაკლები!

ბასკური მოქცეულია ინდოევროპული მოდგმის რომანული ენების გარემოცვაში. მართალია, მასში მრავლად გვხვდება რომანული ელემენტები (ლათინურ-ფრანგულ-კელტურ-ესპანური...), მაგრამ ეს ენობრივი ფენა არ არის ორგანული ბასკური ენობრივი სამყაროსათვის, იგი შემოტანილია კულტურულ-ისტორიული ზეგავლენის შედეგად. ბასკურის აგებულება სრულიად თავისებურია, იგი ტიპოლოგიურად სხვა ლინგვისტური მოდგმისაა, არაინდოევროპული ოჯახისაა. ასეთი აზრი შემუშავდა მეცნიერთა შორის, როდესაც ისინი რომანული ენების კვლევის პროცესში პირისპირ წააწყდნენ ბასკურის პროფილის გარკვევის აუცილებლობას.

გენეტიკური ძიება ბასკური ენისა ძალიან შორს მიდის. არ არის მსოფლიოში ენობრივი ტიპი, რომელთანაც ეს ენა არ დაეკავშირებინოთ. ასე გასინჯეთ, ჩინეთსა და ამერიკასაც გადასწვდნენ და იქ ეძიებდნენ ევროპაში ობლად შთენილი ეთნიკური ერთეულის თვისტომთ. მკვლევართა დიდი ნაწილი იმ დასკვნამდის მივიდა, რომ ბასკური ენა სრულიად განსაკუთრებული რასის ტიპობრივი წარმომადგენელია და დღეს-დღეობით იზოლირებულია და უნათესავო, როგორც გადმონაშთი ძველ საუკუნეთა ეთნოლოგიური ჯგუფებისა. ფიქრობენ, რომ ბასკები დასავლეთ ევროპის უძველესი ცივილიზაციის წარმომადგენლები არიან და, მაშასადამე, მათი დამსახურება საკაცობრიო ცივილიზაციის ისტორიაში უდავოა. ევროპელთა შესევის შედეგად ეს ძველი კულტურა აღიგავა და გაჩანაგდა, ხოლო „ევროპული ცივილიზაცია" ამ ნგრევისა და გაპარტახების შემდგომს პერიოდში ჩამოიქნა, როგორც სხვა ყალიბისა და სხვა შინაარსის კულტურა. ზოგი მეცნიერი, აღზავებული კულტურის ისტორიაში „არიული რასის" პრიორიტეტობით და ინდოევროპულთ ქედმაღლობით, არა თვლის ბასკებს ასეთი პრეტენციოზული კულტურის წარმომადგენლებად და ცდილობს დაგვაჯეროს, რომ ბასკთა ტომის თანამედროვე კულტურა ლათინური ცივილიზაციის ბრწყინვალე ტრადიციების გავლენის შედეგია.

კარგა ხანია მეცნიერებაში წამოყენებულია ბასკურისა და ქართულის ნათესაობის თეორია.

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში ევროპელი მეცნიერი ჰერვასი ფიქრობდა, რომ ბასკები, რომლებიც გადასახლებული არიან საქართველოდან, ენობრივად ენათესავებიან ქართველებს. გამოჩენილი ორიენტალისტი ჰენრიხ კლაპროტი, რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის ადიუნქტი და შემდეგ პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი, თავის ცნობილ „მოგზაურობაში", სადაც, სხვათაშორის, მოცემულია ქართველი ერის ისტორია უძველესი დროიდან რუსეთთან შეერთებამდის, იძლევა ბასკურ-ქართულ ლექსიკურ შესატყვისობებს. ანალოგიური ხასიათისაა ანტ. აბადის დაკვირვებები, მოცემული „ბასკური გრამატიკის შესავალში". ესპანელი ფილოლოგი და ისტორიკოსი ფიტა ზმნის ფორმათა და თვლის სისტემის ანალიზის საფუძველზე აყენებს საკითხს ბასკურ-ქართულის გენეტიკური ურთიერთობის შესახებ. ცნობილი გერმანელი მეცნიერი ფ. ჰომელი გამოთქვამს აზრს ე. წ. მიდიური ენის (აწინდელი ტერმინოლოგიით — ახალელამური) ქართველურ ენებთან ნათესაობის თაობაზე. ამის შემდეგ ჰომელმა თავისი ჰიპოთეზა უფრო გააღრმავა. მისი თეორიით, არსებობდა არაინდოევროპული და არასემიტური წარმოშობის ხალხთა და ენათა დიდი ჯგუფი წინა აზიაში და ხმელთაშუაზღვაზე. ამ ენებს მან „ალაროდიული ჯგუფი" უწოდა. მასში შედიან: ელამიტური, მიტანიური, წინარეევროპული, სომხური, ხეთური, ლიკიური, ეტრუსკული, იბერიული, ლიბიური და სხვ. წამოყენებულ იქნა საბუთები.

გენიალური ენათმეცნიერი ჰუგო შუხარდტი რომანული ენების კვლევის პროცესში დაინტერესდა ბასკოლოგიური პრობლემით და ამ მიზნით მან სპეციალურად შეისწავლა ქართული ენა. მალე იგი გახდა ქართული ენის დიდი სპეციალისტი. მის ნაშრომებს დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. 1895 წელს შუხარდტმა გამოაქვეყნა შრომა ქართული ენის შესახებ, სადაც აღნიშნავს, რომ ქართულ ენას „შინაგანი ნათესაობა“ აქვს ბასკურთან. ამ თეზისის განვრცობა და დეტალიზაცია თავს იდვა აგრეთვე დიდმა იტალიელმა ენათმეცნიერმა ალფრედო ტრომბეტიმ. შრომაში „წერილები პროფესორ ჰუგო შუხარდტისადმი“ (1902 წ.) ტრომბეტი ქართველურ ენებს ერთ სიბრტყეზე ათავსებს სემიტურ-ქამიტურ და ბასკურ ენებთან. სახელოვანი მეცნიერი თავის თეორიას ღრმავებს რამდენიმე სპეციალურ ნაშრომში და იმუშავებს გარკვეული წრის ენების გენეალოგიურ სქემას.

ბასკურ-ქართულის პარალელებზე მსჯელობდა აგრეთვე ჰ. ვინკლერი — მორფოლოგიური მოვლენების შედარების ქვალობაზე.

ბასკურ-ქართულის ნათესაობის თეორიის დამცველი იყო ნიკო მარიც.

მარი რამდენჯერმე გაემგზავრა ბასკეთში. როდესაც იქ პირველად ჩავედით, ამბობს იგი, ყოველივე მაგონებდა საქართველოს, კერძოდ გურიასო. საჭმლის კეთება ჩვენებურად იციან, მიხვრა-მოხვრა ქართულისებურია. სიმღერებიც ნაცნობ მოტივებს შეიცავენო. არქიტექტურანაგებობანი ისეთივეა, როგორიც შემხვედრია მოწამეთაში ან შემოქმედშიო, დასძენს მარი.

ნ. მარს მოჰყავს ბასკი პოეტის აჩობიას ლექსიდან ერთი სტროფი:

„ესტოს ესტიცეკო,
ესკოს არგილეკო,
ესკვარა გურეა,
ესკვარა მაიტეა“,

რაც ქართულად ასე იქნება:

„თაფლზე უტკბესო,
თაფლის სანთელზე უხწყინვალესო,
ჩვენო ესკვარა,[1]
საყვარელო ესკვარა“.

სამშობლო მხარის ამ მშვენიერი ხილვის მოტივი ნ. მარს უნებლიეთ აგონებს 1905 წლის რევოლუციის დროინდელ სალხურ სიმღერას: „საქართველო ჩვენია, ჩვენია“.

ნ. მარის თეორიის მიხედვით, ბასკური ქართველური (საერთოდ — იაფეტური) მოდგმის ენაა; მსგავსება თავს იჩენს უმთავრესად ლექსიკაში და სემანტიკის სფეროში; ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ქვის კულტის სიტყვები, ლითონის აღმნიშვნელი და მიწათმოქმედების ტერმინები, საკულტო ცნებები და სხვა; ევროპის ტერმინებით ბასკური შორდება ქართველურ ენებს, — ეს განშორება უნდა მომხდარიყო იმ სტადიაზე, როდესაც იაფეტელნი ჯერ კიდევ არ იცნობდნენ ღვინოს; ქართული სიტყვა „ღვინო“ გადასულია მთელი ევროპისა და წინააზიის ენებში; ბასკები წარმოადგენენ იმ იაფეტელთა ოჯახის ნაშთს, რომელთაც შექმნეს კაცობრიობის პირვანდელი ცივილიზაცია; იბერიელების (ბასკების წინაპრების) მიგრაცია დასავლეთით ორი გზითაა ნავარაუდევი: ერთი — ზღვაზე სამხრეთით, მცირე აზიისა და ხმელთაშუაზღვის კუნძულების მიმართულებით, მეორე ჩრდილოეთით მატერიკაზე შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე და ევროპის სამხრეთით; ბასკები კავკასიას გამოეთხოვნენ პონტოს აღმოსავლეთ სანაპიროების გზით და საბოლოოდ მოემწყვდნენ პირენეის ნახევარკუნძულზე ერთ-ერთი ადრე გადასახლებული იაფეტური ტომის მეზობლად; დასავლეთში კვლავ მოხდა შინაგანი ეთნოლოგიური შეჯვარედინება და ისტორიულ ვითარებაში იბერიელთა სუბსტრატს „ისრუტავს“ ევროპა, ხოლო ბასკები რჩებიან კაცობრიობას, როგორც გადაშენებული იბერიელების მემკვიდრენი. ასეთია ნ. მარის ჰიპოთეზა.

ბასკური ენის დაკავშირებას ჩვენს ენებთან დადებითად ეკიდება აგრეთვე არნ. ჩიქობავა.

[1] „ესკვარა“ სინონიმია ტერმინისა „ბასკეთი“.

(გაგრძელება იქნება)

# ჩვენი მეცნიერები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ძიძიშვილი

★

## ქართული ფიზიოლოგიის დედაბოძი

(ივანე ბერიტაშვილის დაბადებიდან 75 წლის შესრულების გამო)

დეკემბრის დამლევს, რამდენიმე დღით ადრე, ვიდრე ჩვენს სასიქადულო მეცნიერს ივანე ბერიტაშვილს 75 წელი შეუსრულდებოდა, ამერიკიდან მოვიდა ბარათი, რომლითაც ატყობინებდნენ, რომ იგი არჩეულია ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად. ბარათთან ერთად საპატიო წევრობის დიპლომიც მოვიდა. ბარათში სხვათა შორის წერდნენ: „...ფრიად მოხარულნი ვართ გაუწყოთ, რომ ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წლიურმა კრებამ, რომელიც 1959 წლის 3 დეკემბერს შედგა, თქვენ ერთსულოვნად აგირჩიათ აკადემიის საპატიო წევრად... აკადემიის საბჭო განსაკუთრებულ კმაყოფილებას გამოთქვამს, რომ თქვენი სახელი შეემატა ჩვენი საპატიო წევრების სიას. ვიმედოვნებთ, რომ თქვენც სასიამოვნოდ მიიჩნევთ ჩვენთან ურთიერთობას და ჩვენთან თანამშრომლობის ღირსს გაგვხდით...“

„ეს აკადემია აკლდა ბატონ ივანესო“, ხუმრობით ამბობდნენ ახალი ცნობით ნასიამოვნები მისი უახლოესი თანამშრომლები და მოწაფეები. და მართლაც, ამ ახალ არჩევამდე ივანე ბერიტაშვილი ხომ სამი აკადემიის წევრი იყო: საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა, საბჭოთა კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა. არც ამერიკელთა ყურადღება აკლდა ბატონ ივანეს: რამდენიმე წლის წინ იგი ამერიკის ელექტროენცეფალოგრაფისტთა საზოგადოების საპატიო წევრად იყო არჩეული. მაგრამ ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრობა ჩვენი მხცოვანი მეცნიერისადმი განსაკუთრებული პატივის გამომხატველია: რამდენადაც ვიცით, ეს პირველი შემთხვევაა, რომ საბჭოელი მეცნიერი ამ საპატიო წოდების ღირსი გახადეს.

რით არის გამოწვეული ჩვენი თანამემამულისადმი ესოდენ დიდი პატივი? — საპატიო დიპლომში აღნიშნავენ, რომ ივანე ბერიტაშვილს (სხვათა შორის, ინგლისურად სწორედ ასე სწერია: „ივანე“ — ქართულებრ და არა „ჯონ“, რაც ინგლისურად „ივანე“-ს სინონიმია) თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვის მეცნიერების წინაშე და რომ მან მეცნიერება წინ წასწია.

თუ ქართველ გამოჩენილ მეცნიერთა არც თუ ისე მრავალრიცხოვან გუნდს თვალს გადავავლებთ, დავინახავთ, რომ ამ მეცნიერთა შორის ერთ-ერთი პირველთაგანი ივანე ბერიტაშვილია და ამად არის იგი ესოდენ პოპულარული პიროვნება საქართველოში. — მეცნიერისთვის ხომ პოპულარობის მიღწევა არც თუ ისე იოლი საქმეა! საყოველთაოდ ცნობილია ერთი ამბავი: მსახიობს ან სპორტსმენს ათიათასობით მაყურებელი ჰყავს, მწერლის ნაწერს ათიათასობით კაცი კითხულობს და თუ ვინმე ხელოვანთაგანი ან სპორტსმენთაგანი სათანადო ნიჭსა და უნარს გამოამჟღავნებს, მისი სახელიც სწრაფად ხდება პოპულარული და ხალხისთვის საყვარელი. სულ სხვაა მეცნიერი: შესაძლოა იგი დიდად ნიჭიერი და განსწავლული იყოს, მნიშვნელოვანი ნაშრომებიც გააჩნდეს და თავისი დარგის სპეციალისტთა შორის კარგადაც იყოს ცნობილი, მაგრამ მეცნიერის პოპულარობისთვის ეს როდი კმარა. ხალხის ფართო მასისგან პატივი და დიდება მხოლოდ იმ ერთეულ მეცნიერთ თუ ხვდომიათ წილად, ვისაც ერისა და ხალხის წინაშე უდავოდ დიდი დამსახურება მიუძღვის და რომლის მეცნიერულ ნაღვაწს ყველა ქვეყნის მეცნიერები აღიარებენ. ასეთ მეცნიერთა სახელს აიტაცებს ხოლმე ხალხი და შეიყვარებს. აი, ასეთი სახელი და ფართო პოპულარობაა ივანე ბერიტაშვილის წილხვედრი.

ოდითგან მოგვდგამს, რომ, საბედნიეროდ, ჩვენი პატარა საქართველო დიდ ადამიანთა სახელებით არის მდიდარი. და თუ ჩვენი ღვევანდელი კულტურის, ჩვენი მეცნიერების მემატიანე ამ სახელთა შორის ივანე ბერიტაშვილის სახელსაც მოიხსენიებს მადლიერებით, ალბათ

უთუოდ იტყვის, რომ ეს სახელი ძვირფასია ჩვენთვის არა მარტო იმით, რომ მან ქართული საბჭოური ფიზიოლოგია საბჭოეთის საზღვრებს გაღმა გაიტანა, არამედ უფრო მეტად იმით, რომ მან საქართველოში საძირკველი გაუდგა მეცნიერულ ფიზიოლოგიას, რომლის დედაბოძადაც თვითვე გვევლინება. დღეს თუ ბევრ ქართველ ფიზიოლოგს იცნობენ სპეციალისტთა ფართო წრეები როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ, ეს კვლავ ივანე ბერიტაშვილის მაღლის ნიშატია: საქართველოში ძნელად თუ მოიძებნება საქმის მცოდნე, ასე თუ ისე ცნობილი ფიზიოლოგი, რომ იგი ივანე ბერიტაშვილის მოწაფე არ იყოს ან მას „შვილიშვილად“ არ ეკუთვნოდეს — მისი მოწაფის მოწაფე არ იყოს! მასთან სამუშაოდ თუ სასაუბროდ ამაოდ როდი მოეშურებოდნენ და დღეს კიდევ უფრო მეტად მოეშურებიან დიდი საბჭოეთის სხვადასხვა კუთხიდან და საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნიდან „დიდნი“ და „მცირენი“ — უკვე გამოცდილი ფიზიოლოგები და ახალბედები! ივანე ბერიტაშვილის დაუზერებელი, ნათელი ვონება დღესაც არა ერთ სპეციალისტს უშუქებს ჯანღით დაფარულ, მეცნიერების კლდოვან ბილიკებს, — დღესაც არა ერთ მის მოწაფეს შეჰმატებს სიმტკიცეს მისი თითქოს ულმობელი მარჯვენა და მეცნიერულ ძიებაში ზოგჯერ გულგატეხილს მისი სათნო და კაცთმოყვარე გულის სითბო მოესალბუნება ხოლმე.

• • •

ჭეშმარიტ ხელოვანსა და მეცნიერს ბევრი რამ გააჩნია საერთო. ეს, პირველ ყოვლისა, შემოქმედების გზნებაა: ისე, როგორც ხელოვანი წარმოუდგენელია შემოქმედების გარეშე, ჭეშმარიტი მეცნიერიც მხოლოდ შემოქმედია და შემოქმედების გარეშე ვერას შეჰმატებს რა მეცნიერებას.

ივანე ბერიტაშვილს ჭაბუკობიდანვე აჩნდა შემოქმედებითი ძიების მაცოცხლებელი იმპულსი. ჯერ კიდევ სანკტ-პეტერბურგის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტმა მიიქცია გამოჩენილი რუსი ფიზიოლოგის ნიკოლოზ ვვედენსკის ყურადღება მუდამ ახლის ძიებით და ნერვული სისტემის ფიზიოლოგიის საკითხთა კვლევისადმი თავისებური, ბერიტაშვილისებური მიდგომით. და ეს იმ დროს, როცა ქართველ ახალგაზრდას მეფის დროინდელ პეტერბურგში მეცნიერულ მუშაობაზე ოცნებაც კი არ შეეძლო. ცნობილია, მაგალითად, რომ შავრაზმული პირით შეპყრობილ ერთ-ერთ პროფესორს ჩვენი თანამემამულის ივანე თარხნიშვილის თანდასწრებით ლექციაზე განუცხადებია, რომ ქართველის ჩამორჩენილი გონებისთვის მეცნიერება მიუწვდომელიაო. ამბობენ, ამ უაპელაციო განცხადებამ იმდენად აღაშფოთა ივანე თარხნიშვილი, რომ მას გადაუწყვეტია დაემტკიცებინა, რომ ქართველს ნამდვილად შესწევს მეცნიერად გახდომის უნარი. როგორც ცნობილია, ივანე თარხნიშვილმა შესანიშნავად შეასხა ხორცი ამ თავის ქადილს. და აი, იმავე პეტერბურგში, 1908 წელს, მსოფლიოში სახელმოხვეჭილი ფიზიოლოგის ივანე თარხნიშვილის გარდაცვალების წელს, მეორე ქართველი ივანე, — ივანე ბერიტაშვილი, მესამე კურსის სტუდენტი, იწყებს მუშაობას რუსი ფიზიოლოგის ნიკოლოზ ვვედენსკის ხელმძღვანელობით.

ჭაბუკი ივანე იმთავითვე ეძებდა ახალ გზებს ფიზიოლოგიურ მოვლენათა საკვლევად. იგი გულმოდგინედ ეცნობოდა ყოველივე ახალს ფიზიოლოგიაში და იმ დროს უკვე სახელგანთქმული ინგლისელი ფიზიოლოგის ჩარლზ შერინგტონის ნაშრომების გაცნობის შემდეგ მან ნამდვილი შემოქმედის თვალით შეჰხედა შერინგტონისეული ე. წ. რეციპროკული ინერვაციის შესწავლის საქმეს და საკუთარი ცდებით ამ საკითხის შესწავლას მნიშვნელოვანი წვლილი შეჰმატა. და ეს წვლილი შედეგი იყო იმისა, რომ ახალგაზრდა მეცნიერმა შეძლო მარტივი და დამაჯერებელი ცდა დაეყენებია, რომელიც მისი შემოქმედებითი უნარის მანიშნებელი იყო. ამის შემდეგ რა საკითხიც არ უნდა შეესწავლა ივანე ბერიტაშვილს, ყველგან თავს იჩენდა შემოქმედის თვალი და ხელი, შემოქმედის გონება და გამჭრიახობა.

მაინც რაშია ბერიტაშვილისეული კვლევის თავისებურება? — ყველა ექსპერიმენტატორმა კარგად იცის, რომ ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტის ბედი იმაზე ჰკიდია, თუ რამდენად მოხდენილი ექსპერიმენტია გამოყენებული დასმული პრობლემის გამოსაკვლევად: თუ მკვლევარმა საკითხის შესასწავლად ადეკვატურ ექსპერიმენტს მიაგნო, პრობლემის გადაწყვეტასაც შეიძლება იმთავითვე წარმატება უწინასწარმეტყველოთ. სწორედ რომ შესაფერისი ცდის ხერხების გამონახვის საიდუმლოების საუკეთესო ოსტატია ბატონი ივანე. და ეს ოსტატობა, იცით, რაში მდგომარეობს? — იგი მიაგნებს ხოლმე სრულიად მარტივ გზასა და ხერხს იქ, სადაც ზოგი მკვლევარი რთულსა და ჩახლართულ ხერხებს ეძებს საკვლევად, რის შედეგადაც დასმული პრობლემა გარკვევის წილ ზოგჯერ უფრო მეტად ბუნდოვანდება.

ექსპერიმენტული კვლევით მიღებული მასალის განსჯა-ინტერპრეტაციასაც ხომ უაღრესად დიდი როლი აკისრია შესასწავლი საკითხის გარკვევისთვის. ივანე ბერიტაშვილი აქაც მეტად მახვილ ალღოს ამჟღავნებს. გარდა იმისა, რომ ფიზიოლოგიური საკითხების დამუ-

შავებისას იგი გამოიყენებს ღრმა ერუდიციას არა მარტო ფიზიოლოგიაში, არამედ მოსაზღვრე დისციპლინებში, განსაკუთრებით მორფოლოგიაში, განსასჯელი მასალის განხილვისას იგი მუდამ მარტივსა და დამაჯერებელ გზას მიმართავს და ისე გონებამახვილურად გადაწყვეტს ხოლმე საკითხს, რომ გაგიკვირდება კიდეც, ასეთი მარტივი გადაწყვეტა რად არ მომივიდა აზრად იქ, სადაც რთულ ჰიპოთეზებსა და მრავალსართულიან კონსტრუქციებს ვვარაუდობდით. იქნებ ამის საიდუმლოება იმაშია, რომ ი. ბერიტაშვილის გონება მუდამ ნათელია და გამჭვირვალე, — არ არის დამძიმებული რთული კოლიზიებით. უფრო მეტიც: ზოგჯერ მისი მსჯელობა მიამიტიც, თითქოს ერთგვარად პრიმიტიულიც მოჩანს, მაგრამ თუ კარგად ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ იგი მუდამ ჯანსაღად მოაზროვნე რეალისტია და გაურბის დახლართულ გზებს; იგი თავისი ამ ვითომდა — პრიმიტიული მსჯელობით მიაგნებს ხოლმე საკითხის არსს, საკითხის დედაძარღვს იქ, სადაც რთული მსჯელობები ამ არსის ბუნებას დაგვაშორებენ.

ცდის გონებამახვილური დაყენებით და მიღებული ფაქტობრივი მასალის მარტივი, მაგრამ ღრმა და ნათელი ანალიზით ხასიათდება ივანე ბერიტაშვილის მრავალწახნაგოვანი მეცნიერული მონაგარი: დაწყებული შედარებით მარტივი აპარატით — ნერვ-კუნთოვანი სისტემით და დამთავრებული ურთულესი წარმონაქმნით — ზურგისა და თავის ტვინით; მის ინტერესთა მხედველობის ველშია, ერთი მხრით, კუნთში ან პერიფერიულ ნერვში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესები, მეორე მხრით — ცენტრალური ნერვული სისტემის მიერ წარმოებული რთული კოორდინაციის პროცესები, ხოლო მესამე მხრით, ისეთი თავსატეხი პრობლემები, რომლებიც ადამიანისა და ცხოველთა ქცევას შეეხებიან. და ყველა ამ პრობლემის კვლევაში არა მარტო შემოქმედებითი ჭვრეტაა გამჟღავნებული, არამედ ისეთი შემმართებლობაც, როგორიც მხოლოდ ჭეშმარიტ მეცნიერს ძალუძს: მას არ ეშინია მკლავის გაბედულად მოქნევისა იქ, სადაც ზედმეტად ფრთხილი და საკუთარ ნაჭუჭში გამომწყვდეული ადამიანი საკითხის მხოლოდ წვრილმან მხარეთა დამუშავებას თუ შეჰბედავდა. ასეთ შემოქმედს არც იმის ეშინია, რომ თავისი აზრი, დღეს მართებულად ნავარაუდევი, ხვალ უკუაგდოს ახალ მასალათა და ფაქტთა ზეგავლენით. აზრის ასეთი გაქანება ჩვენს მეცნიერს საშუალებას აძლევს ზოგჯერ გამოთქვას თეორიული მოსაზრება ამა თუ იმ ფიზიოლოგიური მოვლენის თაობაზე და ივარაუდოს რთული კანონზომიერების არსებობა იქ, სადაც მეცნიერთა მიერ იქნებ ჯერ არც იყოს რაიმე თვალსაჩინო ფაქტობრივი მასალა მოპოვებული. ნათქვამის საილუსტრაციოდ ერთ მაგალითს მოვიყვან.

ი. ბერიტაშვილი, როგორც ვთქვი, მუდამ ცხოველი ინტერესით ეცნობა ფიზიოლოგიის მოსაზღვრე დისციპლინათა მიღწევებს. განსაკუთრებით ეს ითქმის ცენტრალური ნერვული სისტემის — ზურგისა და თავის ტვინის — მორფოლოგიის, მისი ნატიფი აგებულების თაობაზე. და აი, 1937 წელს, თავის ტვინის აგებულების შესწავლის შედეგად დაგროვილი ახალი მასალის გაცნობის შემდეგ ი. ბერიტაშვილმა ივარაუდა, რომ თავის ტვინის ე. წ. ღეროვან ნაწილში მოთავსებული წარმონაქმნი, რომელიც ბადისებური (რეტიკულური) სუბსტანციის სახელით არის ცნობილი და რომლის ფუნქცია სრულიად უცნობი იყო, მნიშვნელოვან ფიზიოლოგიურ როლს უნდა თამაშობდეს ტვინის მოქმედებაში. სახელდობრ, ი. ბერიტაშვილმა ივარაუდა, რომ ბადისებური წარმონაქმნის გავლენით უნდა იცვლებოდეს ცენტრალური ნერვული სისტემის-ზურგისა და თავის ტვინის აგზნებადობა: უნდა ხდებოდეს მისი მოქმედების უნარის ამაღლება ან დაქვეითება. იმ დროს ასეთი ვარაუდისთვის არავითარი პირდაპირი ექსპერიმენტული საბუთი არ არსებობდა. მაგრამ ი. ბერიტაშვილისთვის ცნობილი იყო მისგან და მისი მოწაფეებისაგან დაწვრილებით გამოკვლეული ე. წ. ზოგადი შეკავებისა და ამის მომდევნო ზოგადი გაადვილების მოვლენა. ამ ფაქტებს დაუკავშირა ი. ბერიტაშვილმა ტვინის ღეროვანი ნაწილის აღნაგობის თავისებურება და ივარაუდა, რომ ზურგისა და თავის ტვინში მიმდინარე ძირითადი პროცესების განვითარება-გამოვლინებაში მნიშვნელოვანი როლი ბადისებური წარმონაქმნის მოქმედებას მიენიჭება. ქართველი მეცნიერის ამ ვარაუდიდან სულ რამდენიმე წელი გავიდა და უცხოელმა ფიზიოლოგებმა — ამერიკელმა ჰორაციო მეგუნმა, იტალიელმა ჯუზეპე მორუციმ და სხვებმა კვლევის თანამედროვე მეთოდთა გამოყენებით შეისწავლეს თავის ტვინის ღეროს ბადისებური წარმონაქმნის მოქმედება და მისი გავლენა ტვინის სხვა ნაწილებზე. ამ გამოკვლევებით, რომლებიც შემდეგ მრავალგზის დადასტურდა, გამოირკვა, რომ ბადისებური წარმონაქმნი გადამწყვეტ როლს თამაშობს თავის ტვინის ცხოველმყოფელობაში. ამ წარმონაქმნის ფუნქციების დაწვრილებით გამოკვლევას დღეს მთელი ქვეყნის მოწინავე ლაბორატორიებში აწარმოებენ, მათ შორის ი. ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით მომუშავე ლაბორატორიებშიც. ჩვენი მეცნიერის ვარაუდი ამ წარმონაქმნის ფუნქციის თაობაზე არა თუ გამართლდა ექსპერიმენტული გამოკვლევებით, არამედ ნეიროფიზიოლოგიაში (ნერვული სისტემის ფიზიოლოგიაში) ჩამოყალიბდა სრულიად ახალი მიმართულება, რომელმაც ძირ-ფესვია-

ნად შესცვალა ჩვენი წარმოდგენები თავის ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა წარმონაქმნების ურთიერთობაზე.

ჩემს თავს ნებას მივცემ ერთი მაგალითი კიდევ მოვიყვანო იმის სანიმუშოდ, თუ როგორი მარტივი გზით ახერხებს ი. ბერიტაშვილი ზოგჯერ მეტად რთული საკითხების გადაწყვეტას. ახლახან გამოვიდა ი. ბერიტაშვილის დიდტანიანი გამოკვლევა სათაურით: „უმაღლეს ხერხემლიან ცხოველთა სივრცითი ორიენტაციის ნერვული მექანიზმები". ეს გამოკვლევა ავტორისგან უკანასკნელ წლებში ჩატარებული გამოკვლევების შემაჯამებელი მონოგრაფიაა. ნაშრომში ასეთი საკითხია გამოკვლეული: რა ნერვული მექანიზმი უდევს საფუძვლად ადამიანისა და ცხოველთა იმ უნარს, რომლითაც წარმოებს სივრცეში ორიენტაცია — გზის აღქმა, გარკვეული მიმართულებით სვლა. მეცნიერებაში გაბატონებული იყო შეხედულება, რომ სივრცითი ორიენტაცია ხორციელდება უმთავრესად მხედველობის მეშვეობით და ნაწილობრივ — კუნთების მგრძნობელობის წყალობით. მართალია, წარსული საუკუნის მეორე ნახევარში იყო გამოთქმული ისეთი მოსაზრებაც, რომ ამ ფუნქციის განხორციელებაში მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს შიგა ყურის სპეციფიკურ მგრძნობიარე დაბოლოებათა, ე. წ. ლაბირინტის რეცეპტორთა გაღიზიანებასო, მაგრამ ზოგმა მკვლევარმა ეს მოსაზრება უარჰყო და იგი დავიწყებას მიეცა. ი. ბერიტაშვილმა მარტივი, მაგრამ დამაჯერებელი ცდებით დაამტკიცა, რომ ამ რეცეპტორებს მართლაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სივრცითი ორიენტაციის განხორციელებაში. საილუსტრაციოდ აღვწერ ერთ-ერთ ცდას.

ი. ბერიტაშვილი გალიაში ჩასვამდა ხოლმე თვალებახვეულ კატას ან ძაღლს, რათა ცხოველს არ ჰქონოდა საშუალება დაენახა ის გარემო, რომელშიც ცდა წარმოებდა. გალიას ცხოველიანად გაატარებდნენ სწორხაზობრივად ერთი გარკვეული მიმართულებით; განსაზღვრული მანძილის გავლის შემდეგ გალიას გზას შეუცვლიდნენ,—მიაბრუნებდნენ მარჯვნივ ან მარცხნივ და 2—3 მეტრის გავლის შემდეგ ცხოველს გამოიყვანდნენ გალიიდან საკვების მისაცემად. ამის შემდეგ ცხოველს კვლავ პირვანდელ ადგილზე აბრუნებდნენ. საკმარისი იყო ცხოველი 2-3-ჯერ წამოეყვანათ ამ წინასწარ განსაზღვრული გზით, რომ ამას შემდეგ ცხოველი თვითვე გაიგნებდა გზას: თუ ცხოველს, კვლავ გალიით და კვლავ თვალებახვეულს, წამოიყვანდნენ პირვანდელი ადგილიდან სწორხაზობრივად იმ მანძილზე, რომელზედაც წინა ცდებში მოჰყავდათ, აქედან ცხოველი თვით იღებდა სწორ გზას საკვების ადგილმდებარეობისკენ — მარჯვნივ თუ მარცხნივ, იმის მიხედვით, თუ რომელი მიმართულებით მიჰყავდათ იგი საკვების მისაცემად. ამ მარტივი გზით გამოირკვა, რომ იმ შემთხვევაშიც, როდესაც მხედველობითი ფუნქცია გამოთიშული იყო (ცხოველი ხომ თვალებახვეული იყო) და კუნთოვანი აპარატიც არ ღებულობდა მონაწილეობას ცხოველის ამა თუ იმ მიმართულებით მოძრაობაში (ცხოველი ხომ გალიაში ჩასმული გადაჰყავდათ საკვებისკენ), იგი კარგად ახდენდა სივრცეში ორიენტაციას და ზუსტად აგნებდა გზას საკვების ადგილმდებარეობისკენ. ყნოსვის გავლენა ამ ცდებში გამორიცხული იყო: საკვების სუნი მოდიოდა ცხოველამდე არა მარტო იმ ადგილიდან, სადაც მას კვებავდნენ, არამედ სხვა ადგილებიდანაც, სადაც განზრახ იყო ხოლმე მოთავსებული ისეთივე საკვები. ახლა საჭირო იყო იმაშიღა დარწმუნება, თუ ამ ფუნქციის განხორციელებაში რამდენად მნიშვნელოვანია ლაბირინტის რეცეპტორთა გაღიზიანება. ამის გასარკვევად ი. ბერიტაშვილი საცდელ ცხოველს უზიანებდა ლაბირინტულ სისტემას: ამ ოპერაციის შემდეგ ცხოველი ველარ ახერხებდა საკვებისკენ გზის გაგნებას, — აშკარა იყო, რომ სივრცითს ორიენტაციაში ლაბირინტის რეცეპტორებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. — ის ერთი მცირე ფრაგმენტია იმ მრავალრიცხოვანი გამოკვლევებისა, რომლებსაც ი. ბერიტაშვილი აწარმოებდა სხვადასხვა ცხოველებზე და ადამიანებზე — სხვადასხვა ჰასაკის ბავშვებზე, ყრუ-მუნჯებზე (სმენის ფუნქციის გამოსარიცხად), ბრმა ბავშვებზე და ა. შ. ამ ცდების შედეგები აღბეჭდილია კინო-ფირზე, რომლის დემონსტრაცია ავტორმა ბევრგან მოახდინა სპეციალისტთა აუდიტორიაში.

ი. ბერიტაშვილი საბჭოთა კავშირში ელექტროფიზიოლოგიის საუკეთესო სპეციალისტად ითვლება. ფიზიოლოგიის ამ წარმტაცი დარგით იგი ახალგაზრდობაშივე დაინტერესდა და საუკეთესო საქმის მცოდნეებთან, მათ შორის რუსეთში სახელგანთქმულ, ყაზანში მომუშავე, ა. სამოილოვთან დაოსტატდა. რადიო-ელექტრონიკის თანამედროვე მიღწევათა გამოყენებით ელექტროფიზიოლოგიური კვლევის მეთოდები დღეს საშუალებას იძლევა, რომ ცოცხალ ქსოვილებში აღვრიცხოთ სულ მცირეოდენი ელექტრული ეფექტები და ამ ეფექტების მიხედვით ვიმსჯელოთ მნიშვნელოვან ფიზიოლოგიურ პროცესებზე. თუ გამოკვლევის ამ თანამედროვე ტექნიკას თან დავურთავთ ბერიტაშვილისეულ თვისებას, რომ მას გასაოცარი უნარი შესწევს მიაგნოს დაყენების მარტივსა და მოხდენილ ხერხს, გასაგები იქნება, თუ რად სარგებლობენ ესოდენ დიდი ყურადღებით ის ნაშრომები, რომლებიც ი. ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით არის შესრულებული. მაგონდება ერთი საინტერესო დეტალი. შარშან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიო-

ლოგიის ინსტიტუტს, რომლის მეცნიერული ხელმძღვანელი ი. ბერიტაშვილია, მეტად ავტორიტეტული ელექტროფიზიოლოგები ესტუმრნენ ამერიკიდან. როდესაც მათთან საუბარში ქართული მობოდიშებით ვთქვი, რომ ინსტიტუტის შენობაში ვიწროდ ვართ, რადგან დამატებითი შენობა ჯერ არ დამთავრებულა, კანადელმა ჰ. ჯასპერმა მითხრა: „განა ღირს ამაზე ლაპარაკი? მე პირადად ვერც შევამჩნიე თქვენი ვიწროობა, ვინაიდან თქვენ გაქვთ ის, რაც არავის აქვს მთელ მსოფლიოში — თქვენი შეფის იდეები“-ო. ჯასპერს კვერი დაუკრეს სხვებმაც. შემთხვევითი არ იყო არც ის გარემოება, რომ ამ მეცნიერებმა სურვილი გამოთქვეს კვლავაც შეხვედროდნენ ი. ბერიტაშვილსა და მის თანამშრომლებს, რომ ერთად შეესრულონ გარკვეული სამუშაო ნეიროფიზიოლოგიის პრობლემატიკიდან.

* *
*

ალბათ ბევრ ქართველს შეშურდება ივანე ბერიტაშვილის იშვიათი შრომისმოყვარეობა. მისი მეყაითობა თურმე მისი მოწაფეობისა და სტუდენტობის დროსაც ყველას აკვირვებდა და დღესაც აკვირვებს, როცა იგი ხანდაზმული მეცნიერია. ვინც ბატონ ივანეს იცნობს, ვერ წარმოიდგენს, რომ ეს ჰარმაგი, მკვირცხლი კაცი გამუდმებით არ შრომობდეს.

ი. ბერიტაშვილის ახალბედა თანამშრომელი ვიყავი. მითხრეს, ბატონი ივანე ავად არის და თავისთან გიბარებსო. მიველ და ვნახე მისი ღარიბულად მოწყობილი ბინა. ავადმყოფი სიცხიანი წამომჯდარიყო ლოგინში და ბალიშებზე ზურგმიყრდნობილი რაღაცას წერდა. გვერდით უცხოური ფიზიოლოგიური ჟურნალი იდო. არც მომსალმებია, ისე გამომკითხა ჩემი ცდების ამბავი, გულდასმით მომისმინა, ზოგი დარიგება მომცა და გამომისტუმრა. ამის შემდეგ აღარ გამკვირვებია, როცა იგი ტრავმით ხერხემალდაზიანებული და ლოგინად ჩავარდნილი ყოველივე ახალს ეცნობოდა, ბევრს კითხულობდა, წერდა და თანაც თანამშრომლებს ეთათბირებოდა ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხზე.

ჩვენს მეცნიერს არა მარტო გონებრივი, არამედ ფიზიკური შრომაც ეხალისება. თავის აგარაკში, სოხუმში, ბოსტანსაც თავის ხელით ამუშავებს, ხეხილსაც უვლის და ყვავილებსაც ახარებს. შემოდგომით მიგვიწვევს ხოლმე სოხუმში, მაგრამ სტუმრებთან საბაასოდ მხოლოდ სალამოობით თუ მოიცლის, დღისით ბაღში ტრიალებს და შეუსვენებლად მუშაობს. ჩვენც, ნაკლებ ბეჯითნიც, იძულებულნი ვხდებით მას მივბაძოთ, მაგრამ იგი მეყაითობით გვჯაბნის. საერთოდ მან არ იცის რა არის სიზარმაცე, რომელიც ბუნებისგან განებივრებულ ქართველ კაცს ზოგჯერ ხასიათის უშნო, წოწოლა ჩრდილად აედევნება...

ასევე დაუზარელია ი. ბერიტაშვილი როგორც ორგანიზატორიც. სხვა რომ არა იყოს რა, თუნდაც ის რად ღირს, რომ მან საქართველოში თითქმის სრულიად არაფრისგან შექმნა მშვენიერი ფიზიოლოგიური ლაბორატორია, რომელიც შემდეგ ინსტიტუტად გადაკეთდა და ქართული ფიზიოლოგიური სკოლის საბუდარად იქცა.

ყოველ საქმეს, რომელსაც ი. ბერიტაშვილი წამოიწყებს, ორიგინალური მოაზროვნისა და ნებისყოფის მქონე ადამიანის ტვიფარი ამჩნევია. ასე ყოფილა იმთავითვე. ნებისყოფითა და მიზნისკენ მიმსწრაფველობით იგი თურმე ყმაწვილობაშივე გამოირჩეოდა: მას, კახელ სოფლელ ბიჭს, ვეჯინში გაზრდილს, რომელმაც რუსული ენაც კი არ იცოდა, გადაუწყვეტია მეცნიერად გამხდარიყო და მეცნიერებისკენ მიმავალ ძნელ გზაზე ყოველივე დაბრკოლება ჯიქურ გადულახავს.

ი. ბერიტაშვილის ორგანიზატორული უნარის გამოვლინებაა ერთი ასეთი ფაქტიც. ყველამ იცის, რომ ჩვეულებრივ სამეცნიერო კონფერენციებზე, მოხსენებათა სიჭარბისა და საკამათოდ დროის სიმცირის გამო ვერ ხერხდება ხოლმე ამა თუ იმ პრობლემის დეტალურად გარჩევა-განხილვა. ამის გამო მეცნიერების ზოგ დარგში ბოლო წლებში მიმართავენ კონფერენციის ახალ ფორმას: განსახილველად წამოაყენებენ ერთ რომელიმე პრობლემას და მომხსენებლებად იწვევენ შედარებით მცირერიცხოვან სპეციალისტებს. ი. ბერიტაშვილის თაოსნობით სამ წელიწადში ერთხელ ეწყობა ასეთი „სპეციალიზებული“ კონფერენციები, რომლის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად იწვევენ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც განსახილველი პრობლემის შესწავლაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით, ი. ბერიტაშვილმა შემოიღო, რომ მოხსენებათა ტექსტს კონფერენციის მონაწილენი წინასწარ ეცნობიან და უკვე წინასწარ ჩამოაყალიბებენ თავიანთ შენიშვნებს წაკითხულის გამო. იმისთვის, რომ დასმული პრობლემის განხილვა მშვიდ ატმოსფეროში მიმდინარეობდეს, ი. ბერიტაშვილმა თავშესაკრებ ადგილად ზღვისპირა აგარაკი გაგრა აირჩია, თანაც ზამთრის პერიოდში, როცა მოაგარაკეთა რიცხვი მცირეა და დელეგატებს საშუალება ეძლევათ მოსვენებით იმსჯელონ დასმული პრობლემის განსახილველად. ხშირად ისედაც ხდება, რომ სხდომის შემდეგ სასეირნოდ გამოსული დელეგატები ზღვისპირა ბულვარში განაგრძობენ სხდომაზე დაწყებულ კამათს. გაგრის კონფერენციის მასალები — მოხსენებებისა და მათ ირგვლივ გამართული კამათის ტექსტი იბეჭდება ხოლმე ცალკე კრებულად სათაურით — „გაგრის საუბრები“.

ყოველი ასეთი კონფერენციის მოწვევისთვის ი. ბერიტაშვილი გულმოდგინედ ემზადება, თვითვე ადგენს მოსაწვევ პირთა სიას, აწარმოებს მათთან მიწერ-მოწერას და ასე გასინჯეთ, იმაზედაც ზრუნავს, რომ დელეგატებისთვის კარგი საყოფაცხოვრებო პირობები იყოს შექმნილი.

• •
•

ისტორიამ იცის შემთხვევები, როდესაც მეცნიერს ან ხელოვანს მისი სიკვდილის შემდეგ „აღმოაჩენდნენ". ი. ბერიტაშვილი იმ ბედნიერ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც თავიანთი ნაღვაწი სიცოცხლეშივე დაჰფასებიათ. მაგრამ რამდენი ჯაფა და ვარამი გადახდა თავს ამ ადამიანს, ვიდრე იგი თავის მადლიანი მარჯვენით მოწეული ყანის ნაყოფს დაახვავებდა! განსაკუთრებით მრავალი განსაცდელი შეხვდა მას იმის გამო, რომ იგი ბუნებით პრინციპული და პირდაპირია, მაგრამ შინაგნად მას მრავალი სიამეც განუცდია, რომ არასდროს უგრძვნია სინდისის ქეჯნა რაიმე პრინციპული საკითხის დათმობის გამო. და ეს პრინციპულობა, პირდაპირობა და შეუპოვრობა ზოგჯერ მეამბოხის შთაბეჭდილებასაც ტოვებდა. ხასიათის ეს თვისება იყო, ჭაბუკ ივანეს რომ თბილისის სასულიერო სემინარია მიატოვებინა: მან ვერ გაუძლო სემინარიაში გამეფებულ შავრაზმულ რეჟიმს და სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ექსტერნად ჩაბარება ამჯობინა. ეს თვისება იყო, რომ იგი არ დაეთანხმა თავისი მასწავლებლის, სახელგანთქმული რუსი ფიზიოლოგის ნ. ვედენსკის თეორიულ შეხედულებებს და იმთავითვე საკუთარი გეზი აირჩია. და კიდევ რამდენი მაგალითის ჩამოთვლა მოგვიხდებოდა ივანე ბერიტაშვილის პირდაპირობისა და პრინციპულობის გამოვლინებები რომ ჩამოგვეთვალა! — მოვიყვან მხოლოდ ერთ ნიმუშს, რომელიც ჩვენი საზოგადოებისთვის არ იქნება ინტერესს მოკლებული და რომელშიც გამჟღავნებულია ამ ადამიანის სახე — მეცნიერისა, მოქალაქისა და უტეხი ნების მქონე რაინდისა.

ცხოველთა ქცევის შესწავლის შედეგად ი. ბერიტაშვილმა დაახლოებით ამ 25 წლის წინ გამოთქვა მოსაზრება, რომ ადამიანისა და უმაღლეს ხერხემლიან ცხოველთა ყოველგვარი ქცევა არ შეიძლება განვიხილოთ როგორც სხვადასხვა უპირობო და პირობითი რეფლექსთა ჯამი. გარდა ქცევის ამ რეფლექსური ფორმისა არსებობს კიდევ ქცევის სხვა სახეც, რომელსაც ფსიქიკური მოქმედება ახასიათებს და რომელსაც აგრეთვე ნერვული მოქმედება უდევს საფუძვლად. ქცევის ამ სახეს ი. ბერიტაშვილმა ფსიქონერვული მოქმედება უწოდა, ხოლო მის უმაღლეს გამოვლინებად ადამიანის ცნობიერი მოქმედება აღიარა. მართალია, ფსიქონერვულ მოქმედებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს რეფლექსური მოქმედების კანონზომიერებები, მაგრამ მას თავისი საკუთარი კანონზომიერებებიც უნდა გააჩნდეს. ი. ბერიტაშვილი შეუდგა ამ კანონზომიერებათა აღწერას და თავისი მრავალწლიანი მუშაობის შედეგები ცალკე წიგნად გამოაქვეყნა 1947 წელს. პირდაპირ უნდა ვთქვა: ამ ნაშრომში ი. ბერიტაშვილის აზრის ფორმულირება ალაგ-ალაგ ისეთი იყო, რომ ფორმალური მსჯელობის ნიადაგზე შეიძლებოდა მცდარი დასკვნის გამოტანა. ამან გამოიწვია ისეთი კრიტიკული გამოხდომები, რომლებიც სრულიად „სპობდნენ" და „ანადგურებდნენ" ი. ბერიტაშვილის ნაღვაწს. მართალია, შეიძლება ავტორს შეედავო ზოგიერთი მოსაზრების სისწორეში, ზოგიერთ ფილოსოფიურ განზოგადებაში. ი. ბერიტაშვილის მიერ წამოყენებული ბევრი დებულების ირგვლივ კამათობენ თვით მისი მოწაფეები და მათ შორის ამ სტრიქონების ავტორიც, მაგრამ უდავოა, რომ ეს მოსაზრებები უაღრესად დიდი ყურადღებისა და მეცნიერული განსჯის ღირსია. დღეს ამას უკვე ყველა კარგად გრძნობს, მაგრამ იყო დრო, როდესაც ცალმხრივი მსჯელობის შედეგად ზოგმა „კრიტიკოსმა" ი. ბერიტაშვილის მოსაზრებები დიდი რუსი ფიზიოლოგის ივანე პავლოვის წინააღმდეგ გალაშქრებად და მისი მოძღვრების „რევიზიად" მიიჩნია. თუმც ი. ბერიტაშვილს არა ერთხელ დაუმტკიცებია პრესაში, რომ იგი ამ მეცნიერის ღვაწლსა და შეხედულებებს მუდამ დიდი კრძალვით ეპყრობოდა და დიდად აფასებდა. სამწუხარო ის იყო, რომ ამ „კრიტიკის" ფეხის ხმას აჰყვა ი. ბერიტაშვილის ზოგი ისეთი ნამოწაფარიც, რომელთაც წინათ არც პავლოვის მოძღვრება აინტერესებდათ და ამ დარგში არც ბერიტაშვილის შეხედულებებს იცნობდნენ ხეირიანად... ეს იყო ამ ცხრა-ათი წლის წინ, როცა ი. ბერიტაშვილი უკვე ხანში შესული იყო. ბევრი შიშობდა, ასეთ უსამართლო გამოხდომას არ ემოქმედა მხცოვანი მეცნიერის ჯანმრთელობაზე. მაგრამ ი. ბერიტაშვილი ფილოსოფიური, სტოიკური სიდინჯით შეხვდა ყოველივე ამას და თავის აზრში დაჯერებული კვლავ განაგრძობდა აღებული გეზით მუშაობას. მხოლოდ დროებით, რათა თავისი გამოკვლევებით ზედმეტად არ გაეღიზიანებინა ვაი-კრიტიკოსები, ი. ბერიტაშვილმა ყველასთვის მოულოდნელად თავი ანება ლაბორატორიულ მუშაობას: იგი ჩაუჯდა ძველ ხელნაწერებს და გატაცებით იწყო ბიოლოგიური აზროვნების ისტორიის შესწავლა. ამ მუშაობის შედეგად მან 1957 წელს გამოაქვეყნა საინტერესო მონოგრაფია: „მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ საქართველოში — ძველი დროიდან მე-14 საუ-

კუნემდე“. რამდენიმე ხნის შემდეგ მან განაახლა თავისი მუშაობა ცხოველთა ფსიქონერვული მოქმედების კანონზომიერებათა გამოსარკვევად და ახალი მონაცემები შარშან დასტამბა რუსულად; ამავე დროს მოამზადა წიგნი ინგლისურ ენაზე გამოსაცემად — „უმაღლეს ხერხემლიანთა ქცევის ნერვული მექანიზმების შესახებ“, რომელიც ქ. ბოსტონში იბეჭდება.

თუ ი. ბერიტაშვილი დაჯერებულია თავისი აზრის სისწორეში, იგი ულმობელია ოპონენტებთან. მაგრამ საკმარისია ვინმემ ლოგიკური, დამაჯერებელი მასალით დაუსაბუთოს, რომ მისი აზრი სწორი არ არის, რომ იგი იმწამსვე თვინიერი ხდება, გულისყურით მოეკიდება გამოთქმულ მოსაზრებას და მცდარ დებულებას უყოყმანოდ უკუაგდებს. ყოველივე ეს განსაცვიფრებელი უშუალობით ხდება. პრინციპულ საკითხებში მტკიცე და უდრეკი, ყველა იმ თანამშრომლისადმი სასტიკი და დაუნდობელი, ვინც სრული შესაძლებლობით არ ეწევა მეცნიერულ მუშაობას, იგი ამავ დროს გულთბილი და მიმტევებელიც არის, თუ დარწმუნდა, რომ „ცოდვილ“ პირს კვლავ ძალუძს მეცნიერებისთვის კეთილი სამსახური. იგი მუდამ გულწრფელი და უშუალოა ადამიანებთან დამოკიდებულებაში და სხვათა გულწრფელობისაც სჯერა, ვინაიდან ვერ წარმოუდგენია, თუ როგორ შეიძლება ადამიანი ალალი და გულწრფელი არ იყოს.

მეცნიერებაში მკაცრი და თითქოს პირქუში „მშრალი გონების“ ადამიანად მოჩანს იგი იმათ თვალში, ვინც მას ახლოს არ იცნობს. მაგრამ ვისაც ასე ეჩვენება, მან უნდა ნახოს ეს „მშრალი გონების“ ადამიანი მეგობართა წრეში, მეგობრულ ნადიმზე, როცა იგი გულგახსნილი, პირმომღიმარი „შაშვი — კაკაბს“ მღერის გლეხურ ყაიდაზე.

* *
*

შარშან მოსკოვში გაიმართა პირობით რეფლექსთა ელექტროფიზიოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კოლოკვიუმი. კოლოკვიუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 40-მდე სახელგანთქმულმა მეცნიერმა მსოფლიოს ყველა კუთხიდან. ამ კოლოკვიუმის საპატიო პრეზიდენტები იყვნენ ივანე ბერიტაშვილი და კანადელი ჰერბერტ ჯასპერი. დელეგატთა პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე ივანე ბერიტაშვილი თამამად აირჩიეს. ბანკეტზე წარმოთქმულ სიტყვებში სტუმრებიც და მასპინძლებიც აღნიშნავდნენ, რომ ჩვენი მხცოვანი მეცნიერი არა მარტო კოლოკვიუმის მონაწილე სპეციალისტთა სუფრის თამადაა, არამედ იგი თამადაა ნეიროფიზიოლოგთა საერთაშორისო კოლექტივისა.

ის სიმხნე, სრული ჯანი და მუშაობის უნარი, რომლითაც ბევრ ახალგაზრდას ჯობნის 75 წლის მეცნიერი, საბაბს გვაძლევს სიამით ვთქვათ, რომ ქართული ფიზიოლოგიის დედაბოძი თავის მხრებით კიდევ დიდხანს დაიმაგრებს ჩვენი მეცნიერების ლაზათიან შენობას.

# მეცნიერება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. პაპალაშვილი

★

## სიცოცხლე სამყაროში თანამედროვე მეცნიერულ გამოკვლევათა შუქზე

საბჭოთა ხალხი და მთელი პროგრესული კაცობრიობა უდიდესი აღფრთოვანებით ზეიმობს ახალი ერის — კოსმოსური გადაფრენების ერის დასაწყისს.

ახლა ჩვენი მეცნიერები ინტენსიურად მუშაობენ კოსმოსური გადაფრენების ისეთ სამედიცინო-ბიოლოგიურ პრობლემებზე, როგორიცაა: სიცოცხლის უზრუნველყოფა კოსმოსურ რაკეტაში, ატმოსფეროს დამფარავი თვისებების კომპენსაცია, ეკიპაჟის გადარჩენა ავარიისას და სხვ.

მეცნიერების ამ გრანდიოზულ მიღწევებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბიოლოგიის დიდმნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტისათვის, უწინარეს ყოვლისა, იმის გარკვევისათვის, თუ როგორ უძლებს ცოცხალი ორგანიზმი კოსმოსურ რადიაციას, ხოლო შემდეგში იმის ჩვენებისათვის, თუ როგორია სიცოცხლის გავრცელება და მისი ფორმები ციურ სხეულებზე (კერძოდ კი, მზის სისტემის პლანეტებზე), რომლებსაც დედამიწისაგან განსხვავებული ფიზიკური პირობები ახასიათებთ.

სიცოცხლის არსებობის საკითხს სამყაროში აქვს დიდი ფილოსოფიური და ბიოლოგიური მნიშვნელობა.

ცნობილია, რომ რელიგია უარყოფს სიცოცხლის არსებობას სადმე სხვაგან, გარდა დედამიწისა, დედამიწა და მასზე სიცოცხლე, რელიგიის მტკიცებით, ღმერთმა შექმნა, მზე, მთვარე და ვარსკვლავები, ამ სქოლასტიკური თვალსაზრისით მხოლოდ დამხმარე როლს ასრულებენ. ისინი წარმოადგენენ ნათების წყაროს და დროის ანგარიშის საშუალებას.

გენიალურმა ასტრონომმა კოპერნიკმა 1543 წ. გამოსცა წიგნი „ციურ სფეროთა ბრუნვის შესახებ“, რომელმაც უარყო ათასხუთასი წლის მანძილზე გაბატონებული პტოლემეს გეოცენტრიზმი. (სისტემის მიხედვით დედამიწა თითქოს სამყაროს ცენტრს წარმოადგენს, ხოლო პლანეტები და მზე მის გარშემო ბრუნავენ) და დაამტკიცა ჰელიოცენტრისტული სისტემა. ამით კოპერნიკმა შეარყია ბიბლია, რომელსაც ზურგს უმაგრებდა პტოლემეს გეოცენტრისტული სისტემა. ამასთან ერთად, მისმა მოძღვრებამ საფუძველი გამოაცალა ყალბ წარმოდგენას, თითქოს სიცოცხლე მარტო დედამიწაზე არსებობდეს. რელიგიამ აკრძალა კოპერნიკის წიგნი. კოპერნიკის მიმდევარმა და მისი იდეებისათვის მებრძოლმა ჯორდანო-ბრუნომ (1548 — 1600) 1584 წ. გამოაქვეყნა წიგნი, სადაც ამტკიცებდა, რომ უსასრულო სამყაროში ვარსკვლავები წარმოადგენენ შორეულ მზეებს, რომელთა ირგვლივ აგრეთვე ბრუნავენ პლანეტები, მათ შორის ზოგი დასახლებულია ცოცხალი არსებებით. ჯორდანო ბრუნო ასეთი შეხედულებისათვის გამოცხადებული იქნა ერეტიკოსად და იგი, საეკლესიო სასამართლოს გადაწყვეტილებით, 1600 წ. 17 თებერვალს კოცონზე დაწვეს.

ასე მკაცრად სჯიდნენ რელიგიის მსახურები ყველა იმას, ვინც ხმას აღიმაღლებდა რელიგიური დოგმების წინააღმდეგ და საკუთარ აზრს გამოთქვამდა. მათ აწამეს და მოკლეს მოხუცი გალილეი. მეცნიერს ვანინს ენა ამოჰრეს და შემდეგ ჩამოახრჩვეს. ექიმი სერვეტი დაწვეს იმისათვის, რომ მან აღმოაჩინა სამკურნალო საშუალება და ახლო მივიდა სისხლის მიმოქცევის აღმოჩენამდე.

ამ ყალბი შეხედულების საწინააღმდეგოდ, დიალექტიკური მატერიალიზმი გვასწავლის, რომ ბუნებაში ადგილი აქვს მატერიის მარადიულ მიმოქცევას. მატერია განიცდის განვითარებასა და სახეცვლილებას. თანამედროვე სამყაროში მიმდინარეობს სხეულების წარმოქმნა. ასტრონომიის მიერ ნაჩვენებია, რომ განუწყვეტლივ აღმოცენდებიან არა მარტო პლანეტები, არამედ ვარსკვლავები და ვარსკვლავთა სისტემებიც (გალაქტიკები).

გალაქტიკა რამდენიმე ათეულ მილიარდ ვარსკვლავს მოიცავს.

აკად. ვ. ამბარცუმიანმა აღმოაჩინა ჩვენს ეპოქაში მიმდინარე ვარსკვლავთა წარმოშობის განუწყვეტლად მიმდინარე პროცესის დადგენის ნიშნები. ამასთან, დამტკიცებულ იქნა, რომ ვარსკვლავთა წარმოშობა ხდება ჯგუფობრივად სხვადასხვა ტიპის ასოციაციებში. თვითეული ჯგუფი ათეულ და ასეულ ვარსკვლავს ითვლის. ეს ფაქტები სავსებით უარყოფს იდეალისტურ შეხედულებას იმაზე, თითქოს ყველა ვარსკვლავი ერთდროულად წარმოიშვა.

დიალექტიკური მატერიალიზმი ცნობს, რომ სამყაროში არაფერი არ არსებობს, გარდა მარად მოძრავი და მარად განვითარებადი მატერიისა.

მატერიას თავისი პროგრესული განვითარების დიდი შესაძლებლობა ახასიათებს. მატერიის ისტორიული განვითარების, მისი ორგანიზაციის დონის ამაღლების შედეგად სიცოცხლე სამყაროში აღმოცენდება პლანეტაზე მისი განვითარების დონის მიხედვით.

ამრიგად, სიცოცხლის წარმოშობა განხილული უნდა იქნეს არა როგორც უბრალო შემთხვევის შედეგი, არამედ როგორც ცოცხალი მატერიის განვითარების აუცილებელი და კანონზომიერი პროცესი, ხოლო არაცოცხალის ცოცხალში გადასვლა, „ნახტომი“ დაპირობებულა თვით მატერიის განვითარების კანონების მიხედვით, როგორც ბუნებრივი პროცესი.

ჩვენ ეჭვი არ უნდა შევიტანოთ იმაში, რომ ზოგიერთი პლანეტა, რომლებიც ცალკეული ვარსკვლავის ირგვლივ ბრუნავენ, შეიძლება გონიერი არსებებით იყვნენ დასახლებული. „რაკიღა ერთხელ ორგანული სიცოცხლე მოცემულია, იგი უნდა განვითარდეს თაობათა განვითარების მეოხებით მოაზროვნე არსებათა გვარეობამდე“ (ფ. ენგელსი).

ამრიგად, უსასრულო სამყაროში შეიძლება არსებობდეს ციურ სხეულთა კოლოსალური რაოდენობა, სადაც სიცოცხლე არსებობს, მაგრამ სიცოცხლის განვითარების დონე და ფორმები პირობების შესაბამისად სხვადასხვა შეიძლება იყოს.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ფ. ენგელსი სავსებით ცნობდა სიცოცხლის არსებობას სამყაროს სხვა პლანეტებზე, სადაც არის მისი, როგორც მატერიის, მოძრაობის განსაკუთრებული ფორმის არსებობის პირობები.

ენგელსი ამას მკვეთრად გამოთქვამს შემდეგი სიტყვებით: „ძველი ტელეოლოგია ეშმაკმა წაიღო, მაგრამ ახლა მტკიცედ არის დადგენილი რწმენა, რომ მატერია თავის მარადიულ წრეობრუნვაში ისეთი კანონების თანახმად მოძრაობს, რომელნიც გარკვეულ საფეხურზე, ხან აქ, ხან იქ — ორგანულ არსებაში მოაზროვნე გონს წარმოშობს აუცილებლობით“ („ბუნების დიალექტიკა“, გვ. 199, 1950).

ახლა დიდ ინტერესს იწვევს სამყაროში სიცოცხლის არსებობისა და მისი ფორმების კონკრეტული პრობლემა.

ცხადია, სიცოცხლე არ შეიძლება არსებობდეს იქ, სადაც მისი არსებობის ელემენტარული პირობები არაა. სიცოცხლე არ შეიძლება არსებობდეს ვარსკვლავებზე, მათ შორის მზეზე, რომლებიც წარმოადგენენ საკუთარ ენერგიის მქონე გიგანტურ სხეულებს.

მათ ზედაპირზე ტემპერატურა აღის 3000°, 6000°, 10000°, 25000° 50000°, 100000° და უფრო ზევით, ხოლო მათ წიაღში ტემპერატურა აღწევს მილიონ და ათეულ მილიონ გრადუსამდე. ვარსკვლავის გამოსხივების ენერგიის წყაროა მის წიაღში ნივთიერების გარდაქმნა. მაგალითად, წყალბადი გარდაიქმნება უფრო მძიმე ელემენტად ჰელიუმად, რასაც თან ახლავს ენერგიის დიდი რაოდენობის გამოყოფა. ვარსკვლავების ტემპერატურა იმდენად მაღალია, რომ მათ შორის ყველაზე უფრო ცივ ვარსკვლავებზე (რომელთა ზედაპირის ტემპერატურა ერთნახევარ-ორი ათას გრადუსს აღწევს) ადგილი აქვს მხოლოდ ძალიან მარტივ შენაერთებს.

კვერცხის ცილა შედედებას იწყებს +60°-ზე. ასეთი ტემპერატურისას ორგანიზმთა უმრავლესობა იღუპება. 100°-ზე ყველა ბაქტერია კვდება. მხოლოდ ზოგიერთი წყალმცენარე ცხოვრობს ცხელ წყაროში, რომლის ტემპერატურა + 70° აღწევს, ციმბირის წყლულის მიკრობი უძლებს + 140°, მაგრამ უკვე 200°-ს ვერავითარი ცოცხალი ვერ გაუძლებს.

**სიცოცხლე შეიძლება მხოლოდ პლანეტებზე არსებობდეს**

პლანეტები ანუ ცთომილები უმთავრესად უფრო მცირე ზომის ცივ სხეულებს წარმოადგენენ. ისინი სითბოსა და სინათლეს მზისაგან ღებულობენ. მათ არ გააჩნიათ ისეთი ენერგია, რაც მათი ზედაპირის თვითგათბობას უზრუნველყოფდა.

მატერია პლანეტების დაწეული ტემპერატურის პირობებში თავისი მოძრაობის უფრო ნაირგვარი ფორმებით ხასიათდება.

პლანეტებზე ხელსაყრელი ტემპერატურის პირობებში შესაძლებელი ხდება, ისეთი ქიმიური რეაქციების განხორციელება და ნაერთების წარმოქმნა, რასაც არ შეიძლება ექნეს ადგილი მაღალი ტემპერატურისას. გარდა ამისა, ზოგიერთ პლანეტაზე ისეთი პირობები შეიქმნა, როცა შესაძლებელი გახდა ორგანული ნივთიერების აღმოცენება არაორგანული ნივთიერებისაგან, ხოლო ორგანული ნივთიერების გართულების შედეგად სიცოცხლე წარმოიშვა.

დღეს კარგადაა დამუშავებული დედამიწაზე ორგანული ნაერთების წარმოქმნის, მისი შემდგომი გართულებისა და პირველადი სიცოცხ-

ლის წარმოშობის თეორია უმთავრესად საბჭოთა მეცნიერის აკად. ოპარინის მიერ.

ოპარინმა დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძველზე შეიმუშავა სიცოცხლის წარმოშობის მატერიალისტური თეორია, რომელიც აშუქებს არაცოცხალი ნივთიერებიდან ცოცხალი ორგანიზმის წარმოშობის ყველაზე შესაძლებელი პროცესის ისეთ ძირითად ეტაპებს, როგორიცაა: პირველად ორგანულ ნივთიერებათა — ნახშირწყალბადებისა და მისი უმარტივესი წარმოებულების აღმოცენება, უმაღლესი ორგანული ნაერთის წარმოქმნა და შემდეგ ნივთიერებათა ცვლის უნარის მქონე ცილის აღმოცენება, ანუ სიცოცხლის წარმოშობა.

სიცოცხლის ევოლუციური გზით წარმოშობის ამ თეორიამ დიდი გავრცელება და მხარდაჭერა ჰპოვა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

ამას მოწმობს ბუნებისმეტყველთა საერთაშორისო თათბირი (სიმპოზიუმი), რომელიც ქ. მოსკოვში 1957 წელს ჩატარდა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს 17 ქვეყნის გამოჩენილმა ბიოქიმიკოსებმა, ასტრონომებმა, ქიმიკოსებმა, გენეტიკოსებმა და საბუნებისმეტყველო მეცნიერების სხვა დარგთა წარმომადგენლებმა.

ცნობილმა მეცნიერებმა თავიანთ მოხსენებებში წარმოადგინეს მონაცემები ცოცხალი მატერიის აღმოცენებისა და მისი ევოლუციის ექსპერიმენტული წარმოსახვის თაობაზე, რომელიც სავსებით ადასტურებს ცოცხალის არა ცოცხალიდან წარმოშობისა და განვითარების მატერიალისტურ დებულებებს.

### სიცოცხლე მთვარეზე

მეცხრამეტე საუკუნის ზოგიერთ მეცნიერს, მათ შორის ცნობილ ასტრონომებსაც კი, მიაჩნდათ, რომ მთვარეზე არსებობს სიცოცხლე. კიდევ მეტი: ზოგიერთი მათგანის წარმოდგენით, მთვარეზე ქალაქიც კი მოჩანს. შემდეგში მთვარეზე გონიერ არსებათა შესახებ წარმოდგენა უარყოფილი იქნა სათანადო გამოკვლევების საშუალებით. მაგრამ თითქმის უკანასკნელ დრომდე მთვარეზე შესაძლებლად მიაჩნდათ მცენარეებისა და ცხოველების არსებობა. ასტრონომმა პიკერინგმა მთვარეზე აღმოაჩინა უცნაური ლაქები, რომლებიც, მისი აზრით, წარმოადგენს მწერთა დიდ ჯგუფებს.

მთვარეზე არსებულ მეტ-ნაკლები ზომის ცვლილებებს, რომლებსაც ადგილი აქვს მის კრატერებში, ზოგმა მცენარეთა არსებობით ახსნა.

შემდეგში მთვარეზე სხვადასხვა კრატერებში აღმოჩენილი იქნა ცვალებადი ინტენსიურობის რადიალური ზოლები, რაც აგრეთვე მცენარეთა არსებობით ახსნეს.

ამერიკელი მეცნიერი მური შესაძლებლად თვლის მთვარეზე ისეთ მცენარეთა არსებობას, რომლებიც სრულიად განსხვავდება დედამიწის მცენარეულობისაგან.

თანამედროვე გამოკვლევების საფუძველზე მთვარე შეიძლება დახასიათებულ იქნეს შემდეგნაირად: როგორც ვარაუდობენ, მთვარე თავისი მასით 80-ჯერ უფრო პატარაა დედამიწაზე. მთვარეს სრულიად არა აქვს ატმოსფერო, ან თუ არსებობს, მისი მაქსიმალური სიმკვრივე მილიონჯერ უფრო მცირეა, ვიდრე დედამიწისა. მთვარის ზედაპირი დაფარულია ვულკანური წარმოშობის ფერფლით და მეტეორების მტვერით. თანამედროვე გამოკვლევების მიხედვით, მთვარის ეკვატორზე ტემპერატურა 100°-ზე მეტს აღწევს, როცა მზე ზენიტში იმყოფება, ხოლო მზის ჩასვლის შემდეგ 14°-მდე ეცემა. მზით გაუნათებელი მხარის ტემპერატურა ძლიერ ეცემა და ის -150. 160°-მდე დადის.

მთვარეზე წყალი არაა არც თხევად და არც მაგარ მდგომარეობაში. ასეთ პირობებში შეუძლებელია ვივარაუდოთ მთვარეზე სიცოცხლის რაიმე ფორმის არსებობა.

### სიცოცხლე მერკურზე

მერკური, სხვა პლანეტებთან შედარებით, მზესთან ყველაზე უფრო ახლოს იმყოფება. ამასთან მერკურის მოძრაობა და ბრუნვა ისე ხდება, რომ ის მზისაკენ მუდამ ერთი და იმავე მხარითაა მიქცეული. ამიტომ მის ერთ მხარეზე მარადიული დღეა, ხოლო მეორეზე— მარადიული ღამე.

მზესთან სიახლოვის გამო განათებულ მხარეს მზე მეტად აცხუნებს. ის მას ექვსჯერ უფრო მეტად ათბობს, ვიდრე დედამიწას. ამიტომ მერკურის ტემპერატურა განათებულ მხარეს დაახლოებით 400 გრადუსს აღწევს, ხოლო მეორე მხარეს, სადაც მარადიული წყვდიადი ღამე სუფევს, ტემპერატურა თითქმის აბსოლუტურ ნულამდე (-273) დადის.

მერკურს არავითარი ატმოსფერო არა აქვს და, ცხადია, იქ არც წყალია.

ასეთ პირობებში მერკურზე სიცოცხლე არ არსებობს.

### სიცოცხლე მზის სისტემის დიდ პლანეტებზე

ამჟამად ცნობილია მზის სისტემაში შემავალი 9 პლანეტა: მერკური, ვენერა, დედამიწა, მარსი, იუპიტერი, სატურნი, ურანი, ნეპტუნი და პლუტონი.

მზის სისტემის ცენტრში იმყოფება მზე.

მზის სისტემის დიდი პლანეტებია იუპიტერი, სატურნი, ნეპტუნი, ურანი.

დიდი პლანეტების ტიპობრივი წარმომადგენლებია იუპიტერი და სატურნი. იუპიტერი თავისი მასით 318-ჯერ აღემატება დედამიწას, სატურნი კი 95-ჯერ.

დიდი მასების გამო, რაც ამ პლანეტებს ახასიათებთ, მათი ატმოსფერო მკვეთრად განსხვავდება დედამიწის ატმოსფეროსაგან. იქ ჭარბად არის წარმოდგენილი მსუბუქი გაზები— წყალბადი და ჰელიუმი. ოთხსავე პლანეტაზე მარადიული ყინვებია. ტემპერატურა იუპიტერისა უდრის -140°, სატურნისა **-150°**, ურანისა -190° და ნეპტუნისა -220°.

მათ ატმოსფეროში სრულიად არ არის წყალი, ჟანგბადი და ნახშირორჟანგი. ნაცვლად ამისა, აღმოჩენილია მეთანი და ამონიაკი.

ასეთ ფიზიკურ პირობებში სიცოცხლის არსებობა შეუძლებელია.

### სიცოცხლე პლუტონზე

თანამედროვე გამოკვლევების მიხედვით, პლუტონის მასა დაახლოებით დედამიწის მზის ტოლია. ის მზისგან ყველაზე უფრო დაშორებულია, ვიდრე მზის სისტემის სხვა პლანეტები. დედამიწასთან შედარებით, პლუტონი 40-ჯერ უფრო შორს იმყოფება მზისაგან. პლუტონის ზედაპირი მზისაგან ცოტა სინათლესა და სითბოს ღებულობს. ამიტომ პლუტონის ზედაპირის ტემპერატურა აბსოლუტურ ნულთან (—273) ახლოსაა და იგი 200-ზე ზევით არასოდეს არ იწევს.

ასეთ პირობებში, ცხადია პლუტონზე სიცოცხლის არსებობა შეუძლებელია.

### სიცოცხლე ვენერაზე

ვენერა დედამიწასთან ყველაზე უფრო ახლოს იმყოფება. ამასთან თავისი ზომითა და მასით ყველაზე უფრო მეტად ემსგავსება დედამიწას, ვიდრე რომელიმე სხვა პლანეტა. ვენერა უფრო ახლოსაა მზესთან და ამიტომ ის მზისგან თითქმის ორჯერ უფრო მეტ სინათლესა და სითბოს ღებულობს, ვიდრე დედამიწა.

მიუხედავად ვენერასა და დედამიწის ზემოაღნიშნული მსგავსებისა, ამ პლანეტის ბუნება ჯერ კიდევ საიდუმლოებით არის მოცული.

ვენერის უკიდურესად ღრუბლიანი ატმოსფერო ამ პლანეტის ბუნების გაგების საშუალებას არ იძლევა. მისი ზედაპირი ძლიერ მბრწყინავი თეთრი და ერთგვაროვანი მოჩანს. რაღაც არაგამჭვირვალე ღრუბლის ფენა ხელს გვიშლის, დადგენილ იქნეს ვენერას ზედაპირის ხასიათი. ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, არის თუ არა იქ მთები, ველები, ოკეანეები და სხვ.

უკანასკნელი სპექტროსკოპული გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ ვენერას ატმოსფერო ნახშირორჟანგის ძალიან დიდ რაოდენობას შეიცავს. მაგრამ მის ატმოსფეროში სრულიად არაა წარმოდგენილი არც წყლის ორთქლი და არც თავისუფალი ჟანგბადი. მასში იმყოფება აზოტი. ამასთან ერთად, ვენერას ატმოსფერო მტვრიანია.

ვენერას დღისა და ღამის მხარის ტემპერატურა თითქმის ერთნაირია და შეადგენს 30°-ს, ზოგიერთი მეცნიერის გამოკვლევით, ვენერას გაშუქებულ მხარეზე ტემპერატურა ზოგჯერ +30°-სა და მეტსაც აღწევს

ვენერას ამ ფიზიკური პირობებიდან ჩანს, რომ იქ სიცოცხლის არსებობის საკითხი ჯერ კიდევ ღიად არის დატოვებული. თუ იქ უმაღლესი მცენარეებისა და ცხოველების არსებობა არ შეიძლება ვივარაუდოთ, სიცოცხლის უმდაბლესი ფორმების არსებობის საკითხი არ შეიძლება გადაჭრილად მივიჩნიოთ.

### სიცოცხლე მარსზე

სხვადასხვა დროს მრავალი ასტრონომის მიერ ჩატარებული დაკვირვებები ეჭვმიუტანლად ამტკიცებენ, რომ მარსზე არსებობს წვრილი, მეტ-ნაკლები დონით გამოხატული ზოლები, ე. წ. არხები, რომლებიც აერთიანებენ მარსზე არსებულ ცალკეულ ლაქებს. მათი ბუნება დღემდე საბოლოოდ გარკვეული არ არის.

არხების აღმოჩენის შემდეგ ზოგმა იმის მტკიცებაც დაიწყო, რომ არხები წარმოადგენს ხელოვნურ ნაგებობას, რომელიც ფრიად განვითარებულ მარსიანელებს გაუკეთებიათ — ირიგაციის მიზნით — წყლის გადასაყვანად პოლარული მხარიდან, (სადაც თითქოს ყინული დნება) ეკვატორისაკენ.

ლაპლასის კოსმოგონიური ჰიპოთეზიდან ჩანს, რომ მარსი, როგორც პლანეტა, დედამიწაზე უფრო უხნესია. ამიტომ ლოგიკურად იყო მიჩნეული, რომ მარსის ცოცხალმა არსებებმა განვითარების უფრო მაღალ საფეხურს მიაღწიეს, ვიდრე დედამიწისამ.

მიუხედავად იმისა, რომ ე. წ. არხები რეალურად არსებობენ მარსზე, უნდა ითქვას, სადღეისოდ ამ არხების ბუნებაზე მკვლევართა შორის ერთიანი აზრი არ არსებობს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს სწორი ხაზები წარმოადგენენ რაღაც ბუნებრივ წარმოქმნებს, მაგალითად, პლანეტის ზედაპირის ნაპრალებს ან სხვა რაიმეს.

იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ მარსზე სიცოცხლის არსებობის შესახებ, საჭიროა დავახასიათოთ მარსის ფიზიკური პირობები.

მარსი ვენერასა და მთვარეს შემდეგ დედამიწასთან ყველაზე უფრო ახლო იმყოფება, ხოლო მზიდან მარსამდე მანძილი 1,52-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე დედამიწამდე. მზე მარსს დაახლოებით 2,3-ჯერ უფრო ნაკლებ ათბობს, ვიდრე დედამიწას.

თანამედროვე გამოკვლევათა მიხედვით, ტემპერატურა მარსის ზედაპირის სხვადასხვა ადგილას შემდეგს სურათს იძლევა: შუადღისას

როცა მზე ყველაზე უფრო მეტად აცხუნებს, ტემპერატურა ეკვატორის ზონებში 20-25°-მდე აღწევს. საღამოს ტემპერატურა ეცემა 0°-მდე, ტემპერატურა ღამით კიდევ უფრო მეტად ეცემა და დილით მზის ამოსვლამდე იგი 50-80°-მდე აღწევს.

ამგვარად, მარსზე დღეღამის განმავლობაში ტემპერატურის მკვეთრი მერყეობაა.

საშუალო წლიური ტემპერატურა მარსის ყველაზე უფრო თბილ ადგილებში აღწევს + 5°-ს. მარსს აქვს თავისი ატმოსფერო, რომლის სიმკვრივე 15—20-ჯერ უფრო მცირეა, დედამიწის ატმოსფეროსთან შედარებით.

როგორც ირკვევა, მარსის ატმოსფეროს ძირითადი გაზი აზოტი უნდა იყოს. მარსის ატმოსფეროში შედის, აგრეთვე, ნახშირორჟანგი, რომლის რაოდენობა დაახლოებით 13-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე დედამიწის ატმოსფეროში. ჟანგბადი დედამიწაზე ატმოსფეროში არსებული რაოდენობის 0,1%-ზე ნაკლები უნდა იყოს. მარსის ატმოსფერო მეტად მშრალია.

თანამედროვე სპექტროსკოპული გამოკვლევის მიხედვით, წყლის საერთო რაოდენობა დედამიწის ატმოსფეროში არსებულ წყლის რაოდენობაზე 0,001-ით ნაკლები უნდა იყოს.

ამგვარად, მეცნიერული დაკვირვებით, რაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარდა, დადგენილად უნდა იქნას მიჩნეული, რომ მარსზე არის წყალი, ატმოსფერო, რომელიც აზოტისა (98%), ნახშირორჟანგისა და ჟანგბადისაგან შედგება. მარსზე, როგორ აღვნიშნეთ, არსებობს ხოლმე დადებითი ტემპერატურა +10 +25°-ის ფარგლებში — დედამიწის თითქმის ექვსი თვის ხანგრძლივობით.

ამასთან ერთად, მარსზე შემჩნეულია წყლის სეზონთა ცვლა და ატმოსფერული ნალექები.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ მარსზე ყველაფერია იმისათვის რომ იქ, არსებობდეს სიცოცხლე, რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იქნეს დიდი ნაირგვარობით. მაშასადამე, მარსს აქვს თავისი ბიოსფერო, ე. ი. სიცოცხლის გამოვლინების სფერო (პლანეტის ერთგვარი გარსი, რომელიც სავსეა ცოცხალი მატერიით და მისი პროდუქტებით).

მარსზე სიცოცხლის არსებობის თაობაზე შეიძლება მოტანილი იქნეს არაპირდაპირი და პირდაპირი მტკიცებულებანი.

### მარსზე სიცოცხლის არსებობის შესაძლებლობის არაპირდაპირი მტკიცებანი

მარსზე სიცოცხლის არსებობის არაპირდაპირი მტკიცებულებანი ეყრდნობა ცოცხალ ორგანიზმთა დიდ შეგუებითი უნარს, რასაც ისინი დედამიწაზე იჩენენ. გარემო პირობების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც დიდ როლს თამაშობს ორგანიზმთა სიცოცხლესა და განვითარებაში, წარმოადგენს ტემპერატურა.

როგორც ვთქვით, მარსზე ტემპერატურის ქვედაზღვარი -50-80°-ის ფარგლებში მერყეობს.

შეიძლება თუ არა ასეთ ტემპერატურულ პირობებში სიცოცხლის არსებობა?

მარსის ეს ტემპერატურული პირობები დაახლოებით იაკუტიის ავტონომიური რესპუბლიკის ტემპერატურული პირობების მსგავსია, იაკუტიისა, რომელიც დედამიწაზე ყველაზე უფრო ცივ ადგილად ითვლება. ვერხოიანსკში ზამთრობით უარყოფითი ტემპერატურა 70°-ს აღწევს. დედამიწა იყინება 100 მეტრის სიღრმეზე. ზაფხულობით დედამიწის ზედაპირი მხოლოდ ერთი მეტრის სიღრმეზე დნება. მაგრამ იაკუტიის ტყეები ასეთ ყინვებს კარგად უძლებენ. იქ წარმატებით იზრდება ლარიქსი, ნაძვი, ფიჭვი, ვერხვი არყი და სხვ. პოლარის იქეთა მხარეში, ახალ მიწაზე ჩვენ ვხვდებით ყვავილოვან მცენარეთა 190-ზე მეტ სახეობას; მათ შორის— გვირილას, ცისანას, ბაიასა და სხვ.

ცხადია, არსებობს დაბალი ტემპერატურის ზღვრები, რომელთა ქვევითაც სიცოცხლის არსებობა შეუძლებელი ხდება. მაგრამ ორგანიზმებს ახასიათებთ დაბალი ტემპერატურისადმი შეგუების გამომუშავების უნარი. მცენარეში შესანიშნავი შეგუებაა გამომუშავებული ძლიერი ყინვებისადმი. მას ყინვის მიმართ რიგი შეგუებანი ახასიათებს. ასე, მაგალითად, ყინვების დადგომისას იზრდება შაქრების შემცველობა მცენარის უჯრედებში, ხოლო შაქრების წყალხსნარებს დაბალი გაყინვის წერტილი აქვთ. ამით ძლიერდება პლაზმის გამძლეობა დაბალი ტემპერატურის მიმართ. ამასთან ერთად, დადგენილია, რომ ცხიმები დიდ დაცვითს როლს ასრულებენ დაბალი ტემპერატურის პირობებში. მერქნიან ჯიშებში აღნიშნულია ნახშირწყლების ცხიმებად გარდაქმნის მოვლენა, რაც ზრდის უჯრედების ყინვაგამძლეობას. ყინვაგამძლეობას ხელს უწყობს, აგრეთვე, თავისუფალი წყლის გადასვლა ბმულ მდგომარეობაში, რომლის გაყინვის წერტილი ძლიერ დაბლა იწევს. ეს დიდ გამძლეობას ანიჭებს უჯრედის კოლოიდურ სისტემას. რიგი მცენარეები გაყინვისაგან თავს იცავენ მათს ქსოვილებში არსებული ფისითა და ეთეროვანი ზეთებით.

მცენარეებს ახასიათებთ შეგუება ტემპერატურის მკვეთრი მერყეობისადმიც. პამირზე 3500 მეტრის სიმაღლეზე ნიადაგის ზედაპირზე დღისით ტემპერატურა +60°-ს უდრის. ღამით ზაფხულის ყინვებისას ის ზოგჯერ ეცემა — 10°-მდე. ტემპერატურის დღეღამური სხვაობა აქ შეადგენს 70°-ს. მიუხედავად ამისა, ამ ადგილებში მეტად მდიდარი მცენარეულობაა წარმოდგენილი.

დადგენილია, რომ ხორბლის, ქერის, ბარდისა და სხვა მცენარეების თესლები უძლებენ გაყინვას 6 საათის განმავლობაში - 250°-სას აღმოცენების უნარის დაკარგვის გარეშე; ხავს-

მა გაუძლო გაყინვას - 190°-ზე 125° საათის განმავლობაში და სხვ.

ცხოველთა სამყაროს ზოგიერთი წარმომადგენელიც საკმაოდ დიდ ამტანობას იჩენს დაბალი ტემპერატურისას. ასე, მაგალითად, ლოკოკინებს შეუძლიათ იცოცხლონ - 120°, ციბრუტონებს - 190°, ბაქტერიებს - 200°. ისინი ასეთ მდგომარეობაში გაშენდებიან ხოლმე და აქედან გამოსვლა მათ შეუძლიათ ფრთხილი გათბობით.

ახლა ჩვენში და უცხოეთშიც საუკეთესო ბუღა მწარმოებლის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით მიმართავენ სპერმის გაყინვას თესლის დიდი მარაგის დაგროვების მიზნით. აშშ-ში გაყინული სპერმის მთელ საწყობებს ქმნიან, შემდეგ მას ალღობენ და თესლავენ ცხოველებს. ცდებით, დამტკიცებულია, რომ შეიძლება ცხოველის თესლის გაყინვა - 70°-ის ტემპერატურის პირობებში, ისე, რომ მან შეინარჩუნოს ცხოველმყოფელობა ორი წლის მანძილზე.

ყოველივე ეს იმას გვიჩვენებს, რომ პროტოპლაზმა ინერტულ უმოქმედო მდგომარეობაში ინარჩუნებს სიცოცხლეს საკმარისი ხანგრძლივობით.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ მარსის ჰაერი ძალიან მშრალია, მაგრამ მცენარე ორგანიზმში შეგუებულობას იჩენს ნაკლები ტენის მიმართაც.

დედამიწის მშრალი ველებისა და უდაბნოების მცენარეებს ახასიათებთ გრძელ განტოტვილ ფესვთა სისტემა. ორგანიზმის აუცილებელი წყლით მომარაგებისათვის, რადგანაც წყლის სიმცირის დროს საჭიროა ძლიერად განვითარებული შემწოვი აპარატი. მეორე მხრივ, წყლის ნაკლებობისას საჭიროა მისი ფრთხილი ხარჯვა. მცენარე თავისი ფოთლების საშუალებით აორთქლებს წყლის დიდ რაოდენობას. ამიტომ რიგ მცენარეებს ფოთოლი გარდაქმნილი აქვთ ქერქად ან ნემსად.

უდაბნოების მრავალ მცენარეს სახეშეცვლილი ფოთლები აქვს. ასეთია, მაგალითად, კაქტუსი, საქსაული და სხვ. ამ მცენარეებში ფოტოსინთეზს, ფოთლის ნაცვლად, ღერო ასრულებს. კაქტუსების ღეროები გარდაიქმნენ რბილეულ წარმოქმნებად, რომლებიც ტენის სათავსოებს წარმოადგენენ, გარედან ეკვრით მაგარი ქერქი, რაც მათ იცავს აორთქლებისაგან.

ტრანსპირაციის (აორთქლების) შემცირების სხვა შეგუებულობაც არსებობს. ზოგ მცენარეს ახასიათებს ტყავისმაგვარი ფოთლები, ხოლო ზოგის ფოთოლი ეხვევა იმგვარად, რომ ბაგეები შიგნით ექცევა და აორთქლება მცირდება.

მშრალი პირობებისადმი შეგუება დაკავშირებულია ქიმიური პროცესების ხასიათის ღრმა ცვლილებებთან, რაც ცოცხალ ქსოვილში მიმდინარეობს.

ამ პირობებთან შეგუების საფუძველია ნივთიერებათა ცვლის სახეცვლილება. ცხოველები დიდ შეგუების უნარს იჩენენ მშრალი რეჟიმის მიმართ. ყველაზე უფრო საინტერესოა ამ მხრივ ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ცხოველი, საზოგადოდ, წყალს არ ღებულობს გარედან, უწყლოდ ცხოვრობს. ასეთია, მაგალითად, ხრჩილის მატლები, რომლებიც მარტო მშრალი მატყლით იკვებებიან, ასეთივეა ხაჭო ქერქიჭამია, რომელიც ხის ქერქის ქვეშ ვითარდება და მხოლოდ მშრალ მერქანს იყენებს. აუცილებელ წყალს ის ღებულობს განსაკუთრებული ქიმიური რეაქციების საშუალებით.

•ცხოველების ანაბიოზი წარმოადგენს შეგუებას წყლის დროებითი ნაკლებობის მიმართ. მაგ, ნელმავალი, რომელიც მცირე ზომის ცხოველს წარმოადგენს, ცხოვრობს გუბეში, ხოლო გუბის გაშრობისას ნელმავალიც გადაიქცევა ხოლმე გამომშრალ „უსიცოცხლო“ სხეულად მაგრამ, როგორც კი ის წყალში მოხვდება, მაშინვე იწყებს მოძრაობას, კვებასა და გამრავლებას.

ექსპერიმენტული ანაბიოზის დროს, რომელიც გაცივებით გამოიწვევა, ცხოველმყოფელობა და ნივთიერებათა ცვლა პრაქტიკულად წყდება, თუმცა მისი სუსტი ნიშნები შეიძლება აღმოჩენილ იქნეს; გაყინვისას შენარჩუნებულია ცოცხალი მატერიის სტრუქტურა.

სიცოცხლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ატმოსფეროს. ცოცხალმა ორგანიზმებმა თავისი არსებობის პერიოდის განმავლობაში შექმნეს დედამიწის თანამედროვე ატმოსფერო, რომელიც ძირითადად აზოტისაგან და ჟანგბადისაგან შედგება.

აკად. ფესენკოვი ამტკიცებს, რომ რაკი, დედამიწის ატმოსფეროს თავისუფალ ჟანგბადი წმინდა ბიოგენური წარმოშობისაა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამა თუ იმ პლანეტაზე ბიოსფეროს არსებობის ერთადერთ სარწმუნო ნიშანს წარმოადგენს მის ატმოსფეროში თავისუფალი ჟანგბადის არსებობა, ხოლო რადგან მარსის ატმოსფეროში პრაქტიკულად არაა აღმოჩენილი თავისუფალი ჟანგბადი თანამედროვე სპექტროსკოპული მეთოდით, იქ თითქოს არავითარი სიცოცხლე არ შეიძლება არსებობდეს

უმაღლეს საფეხურზე მდგომი მცენარეული და ცხოველური ორგანიზმებისათვის იმ კონკრეტული ფორმის სახით, რომელსაც აქვს ადგილი დედამიწაზე, ცხადია, აუცილებელია თავისუფალი ჟანგბადი. მაგრამ დედამიწაზე არსებული სიცოცხლის განვითარების რიგი უმდაბლესი ფორმებისათვის მათ გარემოში თავისუფალი ჟანგბადის არსებობა აუცილებელი არაა. რიგ უმდაბლეს ანაერობულ ფორმებს (რომელთაც ეკუთვნის ბევრი ბაქტერია, სოკო და, აგრეთვე, პარაზიტული ჭია) სრულიად უჟანგბადოდ შეუძლიათ არსებობა, ხოლო ზოგიერთ ანაერობზე ჟანგბადი მოქმედებს, როგორც საწამლავი.

ცნობილმა რუსმა მეცნიერმა ს. ვინოგრადოვსკიმ (1893 წ.) აღმოაჩინა ავტოტროფული ორგანიზმის დიდი ჯგუფი, რითაც დაამტკიცა სი-

ცოცხლის არსებობის შესაძლებლობა მზა ორგანული ნაერთების გარეშეც, წმინდა მინერალურ არეში.

როგორც დღეს ვარაუდობენ, დედამიწაზე წარმოშობილი პირველადი ცოცხალი ორგანიზმები დამოკიდებული იყვნენ იმ ორგანულ ნივთიერებაზე, რომელიც პირველადი ოკეანეების წყალში გარკვეული ფიზიკო-ქიმიურ პროცესების შედეგად წარმოიშვებოდა ხოლმე. ცნობილია, რომ სიცოცხლის ამ უძველეს სტადიაზე ატმოსფეროში ჟანგბადი ჯერ კიდევ არ არსებობდა. მაშინ უმარტივეს ცოცხალ არსებებს თავიანთი ცხოველმყოფელობისათვის შეეძლოთ მხოლოდ იმ ენერგიის გამოყენება, რომელიც მათ მიერ გამოწვეული ანაერობული დუღილის შედეგად თავისუფლდებოდა.

ცნობილია, რომ დედამიწაზე არსებული წყლისა და ჰაობის მცენარეებს არ შეუძლიათ სუნთქვისათვის თავისუფალი ჟანგბადის გამოყენება უშუალოდ ჰაერიდან, ისინი სუნთქვისათვის იმ ჟანგბადს იყენებენ, რომელიც ფოტოსინთეზის შედეგად მათი ქსოვილის უჯრედთაშორისებში გროვდება, აქვთ სასუნთქავი ფესვები და სხვა შეგუებანი.

ირკვევა, რომ ჰაობის მცენარეების ევოლუცია მიმდინარეობდა ჟანგბადის შემცირებული რაოდენობის მოხმარების მიმართულებით.

მხოლოდ თავისუფალი ჟანგბადის არსებობა ან არარსებობა არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ვცნოთ ან უარვყოთ სიცოცხლის არსებობა ამა თუ იმ პლანეტაზე.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მარსის მცენარეულობას აქვს ცოტა სხვანაირი აპარატი, რომელიც უზრუნველყოფს მათი სუნთქვისა და ფოტოსინთეზის პროცესებს. სუნთქვის პროცესი მარსის მცენარეებისა შეიძლება მიმდინარეობს ნიადაგისაგან და ფოტოსინთეზის დროს წარმოქმნილი ჟანგბადის ხარჯზე, იმის მსგავსად, როგორც ეს ხდება ჰაობისა და წყლის მცენარეებში.

უნდა აღინიშნოს, რომ დედამიწის მცენარეულობა აღჭურვილია ისეთი შეგუებულობით, რომელიც უზრუნველყოფს ნახშირორჟანგის საკმაო რაოდენობით შთანთქვას, მიუხედავად იმისა, რომ მისი რაოდენობა ჰაერში სულ 0,03%-ს შეადგენს.

ეს მიიღწევა იმით, რომ მცენარეთა ფოთლები ხასიათდებიან ძალიან დიდი საერთო ზედაპირით. ამასთან, მათ ახასიათებთ ამორჩევითი უნარიანობა; ითვისებენ უდიდესი რაოდენობის ჰაერიდან ნახშირბადის იმ მცირე რაოდენობას, რაც საჭიროა მათი სიცოცხლისათვის.

აქედან გამომდინარე, ზოგ მეცნიერს გამოაქვს დასკვნა, რომ მარსზე, რომლის ატმოსფეროში ჟანგბადი მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი, ცხოველებს განუვითარდათ ანალოგიური ორგანოები და შეგუებანი მისი გამოყენებისათვის.

ვარაუდობენ, რომ მარსზე, სადაც ჟანგბადი მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი, ცხოველებს სუნთქვის სხვანაირი ორგანოები უნდა ჰქონდეთ. მარტო ფილტვები იქ ვერ უზრუნველყოფს გაზის ცვლას სისხლსა და ჰაერს შორის. მათ ესაჭიროებათ შთანთქმის უფრო დიდი ზედაპირი, შეიძლება მათ მთელი სხეული სუნთქვის ძლიერი დატოტვილი ორგანოებით აქვთ დაფარული, მსგავსად ჩვენი მცენარეების ფოთლებისა. ამასთან ერთად, შეიძლება სუნთქვის ორგანოები აღჭურვილი არიან ჰაერის უფრო ინტენსიური ცვლის უნარით, ისინი უფრო ხშირად და ღრმად სუნთქავენ. სისხლს კი შეიძლება უფრო მეტი ამორჩევითი შთანთქმის უნარი გააჩნია. შეიძლება ორგანიზმს აქვს მცირე ჟანგბადის უფრო კარგი ათვისების, ენერგიის მეტი წარმოქმნისა და მისი უფრო ნაყოფიერი გამოყენების უნარი, უფრო ნელი მოძრაობა და სხვ.

გამოჩენილი ასტრობოტანიკოსი მ. ტიხოვი, აკრიტიკებს რა იმ შეხედულებას, რომ მარსზე ძალიან ცოტაა ჟანგბადი და ამიტომ იქ თითქოს არაა და არ შეიძლება არსებობდეს სიცოცხლე, წერს: „მე შემიძლია წარმოვიდგინო ასეთი ფანტასტიკური სურათი: აი შეიკრიბნენ მარსის აკადემიკოსები და მსჯელობენ დედამიწაზე სიცოცხლის არსებობის საკითხზე და ერთი მათგანი ლაპარაკობს: განა შეიძლება სიცოცხლის არსებობა დედამიწაზე, რომლის ატმოსფერო ესოდენ დიდი რაოდენობით შეიცავს ჟანგბადს? იქ ხომ ყოველი ცოცხალი გაიგუდება და დაიწვება. სულ სხვაა ჩვენთან. მცენარის ფესვების მიერ გამოყოფილი ჟანგბადი ნელ-ნელა შედის ჩვენს ატმოსფეროში და საშუალებას გვაძლევს ჩვენ და ყველა ჩვენს ცხოველს ისუნთქოს, ისე რომ არ გაიგუდოს".

ამრიგად, მარსზე სიცოცხლის არსებობის არაპირდაპირი მტკიცებულება ისაა, რომ ცოცხალი ორგანიზმები კარგად ეგუებიან გარემოს ამა თუ იმ პირობებს. ამას ნათლად გვიჩვენებს სიცოცხლის ფართოდ გავრცელება დედამიწის მეტად ნაირგვარ პირობებში, დედამიწის ზედაპირზე და მიწისქვეშ გამოქვაბულებში, ტროპიკულ და პოლარულ ქვეყნებში, ნახევრად უდაბნოს და უდაბნოს პირობებში, მაღალ მთებში, ზღვებში და ოკეანეების სიღრმეში, მაღალი და დაბალი ტემპერატურის პირობებში, უკიდურეს სიმშრალესა და ძლიერ ტენიან პირობებში. ყველგან ორგანიზმები შეგუებული არიან საარსებო პირობებს. როგორც სავსებით სამართლიანად აღნიშნავს გრინვიჩის ობსერვატორიის დირექტორი სპენსერი ჯონსი, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ „დედამიწაზე არსებული სიცოცხლის ფორმები ხანგრძლივი ევოლუციის შედეგად განვითარდნენ არსებული პირობების შესაბამისად, ასე რომ, თუ სადმე სამყაროში სხვა პირობები არსებობს, მას შეუძლია სიცოცხლის სხვა ფორმებიც წარმოშვას. ცხადია, ჩვენ გვაინტერესებს სიცოცხლე არა გაყინული თავისი განვითარების

რომელიმე უმდაბლეს სტადიაზე, არამედ განვითარებადი და პროგრესული, — ეს კი სავსებით შესაძლებელია იყოს მარსზე. ამას სავსებით ადასტურებს ის ფაქტიც, რომ დედამიწის ცოცხალი ბუნების ისტორიული განვითარების მანძილზე იცვლებოდა არა მარტო სიცოცხლის ფორმები, ორგანიზმები, არამედ თვით ევოლუციის ფაქტორებიც და კანონზომიერებანიც.

### მარსზე სიცოცხლის არსებობის უშუალო მტკიცებულება

აკად. ფესენკოვს მიაჩნია, რომ, არსებული მონაცემების უკმარისობის მიუხედავად, ამჟამად შეიძლება ვთქვათ, რომ არავითარი პირდაპირი მითითება მარსზე სიცოცხლის არსებობის შესახებ არ მოიპოვება.

მაგრამ მაინც არ შეიძლება, მისი აზრით, უარვყოთ სიცოცხლის უმდაბლესი ფორმების არსებობა. პირიქით, ასეთი შესაძლებლობა არსებობს. მაგრამ არავითარ ეჭვს არ იწვევს ის, რომ იქ არ შეიძლება არსებობდეს უმაღლეს საფეხურზე მდგომი მცენარე ან ცხოველი.

სულ სხვა თვალსაზრისზე დგას პროფ. ტიხოვი. მისი თვალსაზრისი ემყარება მარსზე დადგენილ შემდგომ მოვლენებს: მარსზე შემოდგომობით სათანადო ნახევარსფეროზე გამოჩნდება ხოლმე თეთრი პოლარული ქუდი და ქრება (დნება) გაზაფხულის დადგომისას. მარსის მუქ უბნებში ადგილი აქვს გაზაფხულისა და ზაფხულის შეფერვის გამოჩენასა და გაქრობას, რასაც დიდი ხანია, რაც შეარქვეს არასწორი სახელი — მარსის ზღვები. ამ ზღვების „შეფერვა" წლის სეზონების მიხედვით შემდეგნაირად იცვლება: ზამთრობით ზღვები შედარებით მკრთალი ნაცრისფერი შეფერილობისაა, ზაფხულის დადგომისას კი ისინი მუქდებიან და თანდათანობით ჯერ ცისფერსა და შემდეგ მწვანე შეფერვას იღებენ. შემოდგომაზე ისევ თანდათან მონაცრისფრო შეფერვას უბრუნდებიან. ტიხოვს მიაჩნია, რომ მარსზე არსებობს არა მარტო უმდაბლესი, არამედ უმაღლესი მცენარეებიც. ეს მცენარეები შეიძლება ეკუთვნოდეს უმაღლეს ფოთლოვან ან წიწვიან მცენარეებს, რომლებიც შეგუებულია ამ პლანეტის მკაცრ პირობებს. მარსის მცენარეები, ტიხოვის აზრით, უნდა იყოს დაბალტანიანი ან მიწაზე გართხმული. ეს მცენარეულობა ძირითადად ბალახებსა და მიწაზე გართხმულ ბუჩქებს წარმოადგენენ.

ეს დასკვნა ტიხოვს გამოაქვს იქიდან, რომ დედამიწის ცივ ადგილებში მცენარეულობა დაბალტანიანია და მიწაზეა გართხმული, რაც სიცივისადმი შეგუებას გამოხატავს.

შეიძლება ითქვას, რომ ახლა მეცნიერთა უმრავლესობა ცნობს, რომ მარსის „ზღვები" მცენარეებით დაფარულ ადგილებს წარმოადგენენ.

ამჟამად მარსზე სიცოცხლის არსებობის საკითხი თავისი კვლევის ახალ ერაში შევიდა. მკვლევართა უმრავლესობა ამტკიცებს, რომ მარსზე სიცოცხლე მცენარეების სახით მაინც ნამდვილად არსებობს.

უნდა ვივარაუდოთ, რომ მარსის მცენარეულობაც მოითხოვს ნახშირორჟანგის განუწყვეტელ ნაკადს.

ნახშირორჟანგი შეიძლება ატმოსფეროში შესულიყო ვულკანური ამოფრქვევების გზითაც. მაგრამ ასეთი ვულკანური ამოფრქვევები დღემდე მარსზე არ ყოფილა შემჩნეული.

აქედან ვარაუდობენ, რომ მარსზე მცენარეებთან ერთად ერთგვარი ცხოველთა სამყაროც უნდა არსებობდეს.

მარსის ატმოსფეროს სიმკვრივე მეტად მცირეა და ჟანგბადი ძალიან ცოტაა. ეს გარემოება, როგორც ჩანს, ზღუდავს მარსზე ცხოველთა, განსაკუთრებით უმაღლეს საფეხურზე მდგომ ცხოველთა, განვითარების შესაძლებლობას.

შეიძლება ეს ცხოველები მჭიდრო თანაარსებობას აწარმოებდნენ მცენარეებთან და კმაყოფილდებიან იმ ჟანგბადით, რომელსაც მცენარეები გამოყოფენ ფოტოსინთეზის დროს.

ცხოველთა შეგუების უნარს თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისტორიული განვითარების პროცესში, როგორც ზევით იყო აღნიშნული, გამომუშავდა ისეთი ორგანოები, რომლებიც შეითვისებენ ჰაერიდან სასურველ გაზებს.

უნდა გავითვალისწინოთ, აგრეთვე, ის გარემოება, რომ მარსის განვითარების ადრეულ საფეხურებზე შეიძლება უფრო ხელსაყრელი პირობები არსებობდა სიცოცხლისათვის, ვიდრე მომდევნო პერიოდებში. მაგალითად, უფრო მეტი იყო წყალი, ატმოსფერო უფრო მეტი სიმკვრივით ხასიათდებოდა, და სხვ.

ასეთ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ სიცოცხლის აღმოცენება და მისი განვითარების პირველი ეტაპები უფრო ხელშემწყობ პირობებში განხორციელდა. . მაგრამ დღესდღეობით პირდაპირი მტკიცებულება არ არის მარსზე რაიმე ცხოველის არსებობის შესახებ.

მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ზოგიერთი მეცნიერის აზრიც, რომ მცენარეები თავისი მწვანე ფერის გამო შორ მანძილზე შეიძლება იქნეს შემჩნეული. ცხოველებს კი არ ახასიათებთ ასეთი ნიშნები. მარსზე ცხოველების არსებობის შესახებ მხოლოდ ვარაუდი შეიძლება გამოითქვას;

დედამიწის მაგალითის მიხედვით, მცენარეები და ცხოველები ერთმანეთთან მტკიცედ არიან დაკავშირებული. ეს კავშირი იმაში მდგომარეობს, რომ მცენარე ფოტოსინთეზისათვის იყენებს ჰაერის ნახშირორჟანგს და გამოყოფს ჟანგბადს. ცხოველი კი სუნთქვისას იყენებს ჟანგბადს და გამოყოფს ნახშირორჟანგს. დედამიწაზე რომ ცხოველები არ არსებობდნენ, მცენარეები ამოწურავდნენ ნახშირორჟანგს და შეწყვეტდნენ თავიანთ არსებობას. მაგრამ ეს ხდე-

ბა იმიტომ, რომ ცხოველები უბრუნებენ ატმოსფეროს ნახშირორჟანგს. მართალია, მცენარეებიც სუნთქვისას სარგებლობენ ჟანგბადით და გამოყოფენ ნახშირორჟანგს, მაგრამ ეს შედარებით მცირე რაოდენობით ხდება, რადგანაც ფოტოსინთეზის პროცესი გაცილებით უფრო ინტენსიურად ხდება და მეტი ნახშირორჟანგი გამოიყენება, ვიდრე ჟანგბადის ის რაოდენობა, რაც მცენარის მიერ სუნთქვის დროს გამოიყენება. ნახშირორჟანგს დიდი რაოდენობით გამოყოფენ, აგრეთვე, ნიადაგის ბაქტერიებიც.

ახლა ქ. ალმა-ატაში შეიქმნება ახალი მეცნიერება ასტრობოტანიკა, რომელიც შეისწავლის ცის მნათობთა მცენარეულობას.

ამ განყოფილებამ გადაწყვიტა მარსის მცენარეულობის შესწავლა, პირველ რიგში კი ხელი მოჰკიდა მაღალი მთისა და სუბარქტიკის მცენარეული საფარის ოპტიკური თვისებების გამორკვევას. ეს კლიმატი კი ერთგვარად უახლოვდება მარსის სუსხიან კლიმატს.

ამ გამოკვლევათა შედეგად დადგენილი იქნა, რომ მაღალი მთებისა და სუბარქტიკის მცენარეულობის ოპტიკური თვისებები მსგავსებას იჩენს მარსის მუქი უბნების თვისებებისადმი.

ფრიად საინტერესოა ამასთან დაკავშირებით ტიხოვის მიერ მოტანილი ფაქტები. თუ დედამიწის მწვანე მცენარეს სურათს ინფრაწითელი სხივების საშუალებით გადავიღებთ, ის პოზიტივზე გამოდის, როგორც სრულად თეთრი. ასეთსავე პირობებში ფოტოგრაფირობისას მარსის მუქი ადგილები გამოდის არა თეთრი, არამედ მუქი. აქედან ზოგს გამოაქვს დასკვნა, თითქოს მარსზე არავითარი მცენარეულობა არ არსებობდეს. მაგრამ, საქმე თურმე ისაა, რომ მზის ინფრაწითელი სხივები, რომლებიც, მის დანარჩენ სხივებთან შედარებით, ყველაზე უფრო მეტ ენერგიას შეიცავენ, დედამიწის მცენარეულობას ზაფხულობით ძლიერ აცხუნებენ. ამიტომ მცენარე მათ არეკლავს და ამ სხივებში ფოტოგრაფირებისას თეთრი გამოდის. მარსის მცენარეულობა კი საჭიროებს ამ სხივებს მაშინაც კი, როცა მარსზე ზაფხულია, ამიტომ ამ სხივებს, არეკვლის ნაცვლად, შთანთქავს. მარსის მცენარეები ასეთ პირობებში ფოტოგადაღებისას მუქი გამოდის.

როგორც ტიხოვი აღნიშნავს, სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ მარსის „მუქი ადგილების“ ცისფერი ან ლურჯი შეფერვა ახასიათებს. დედამიწის მაღალი მთის მცენარეთა გამოკვლევით, დადგენილი იქნა, რომ ბევრ მათგანს ცისფერი ახასიათებს. ბოტანიკოსებმა შეამოწმეს მაღალი მთისა და სუბარქტიკის მცენარეულობა და აღმოჩნდა, რომ ამ ადგილების ბევრი მცენარე ინფრა წითელ სხივებზე ფოტოგრაფირებისას მუქი გამოდის. ამრიგად, „ინფრა-წითელმა“ მოვლენამ სრული ასახვა ჰპოვა ასტრობოტანიკოსთა შრომებში.

იბადება კითხვა: ხდება თუ არა ამჟამად სიცოცხლის წარმოშობა სამყაროში?

უნდა ვივარაუდოთ, რომ უსასრულო სამყაროში უსიცოცხლო პლანეტებთან ერთად მთელ რიგ პლანეტებზე მატერიის განვითარება წარიმართა დედამიწის ანალოგიურად და იქ, სადაც ეს განვითარება აღწევს ორგანიზაციის სათანადო დონეს, უთუოდ სიცოცხლე აღმოცენდება. მთელ რიგ სხვა პლანეტებზე სიცოცხლე არსებობს სხვადასხვა დროის ხანგრძლივობით და ის უთუოდ განვითარების განსხვავებულ დონეზე იმყოფება. იმ პლანეტებზე კი, სადაც სიცოცხლის განვითარება ისეთ მაღალ დონეზეა ასული, როგორც, მაგალითად, ეს დედამიწაზეა, იქ, ისე როგორც დედამიწაზე, ამჟამად ცოცხალის აღმოცენება უშუალოდ არა ცოცხალისაგან, ნივთიერებათა გარდაქმნის ხანგრძლივი პროცესის გზით (რაც მილიონი წლობით იზომება), გაძნელებული იქნება იმით, რომ უკვე განვითარებული და გაბატონებული ორგანიზმები შთანთქავენ ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ცოცხალ ორგანიზმებს.

ზემოთქმულიდან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ სიცოცხლე სამყაროში ყველგან არსებობს, სადაც საამისო პირობები არის, ხოლო სიცოცხლის ფორმა და ცოცხალის ორგანიზაციის სირთულე სხვადასხვა პლანეტაზე განსხვავებული იქნება. ამასთან ერთად, არავითარი საფუძველი არა გვაქვს უარვყოთ ის, რომ სამყაროში არსებობს ისეთი პლანეტებიც, სადაც მცენარეთა და ცხოველთა განვითარებისა და გაფურჩქვნის უფრო უკეთესი პირობები არსებობს, ვიდრე დედამიწაზე, ხოლო ზოგან ცოცხალი არსება ცნობიერების უფრო მაღალ დონეზეა ასული, ვიდრე ადამიანი.

ეხლა დადგა ერა, როცა მრავალსაუკუნოვანი ოცნება კოსმოსური გადაფრენისა სინამდვილედ იქცევა.

დედამიწიდან სხვა პლანეტაზე გადაფრენის პრობლემა პრინციპულად გადაწყვეტილია.

ეჭვი არაა, რომ ახლო მომავალში გაშვებული იქნება პირველი კოსმოსური ხომალდი ადამიანებით. ადამიანი თვალნათლივ დაინახავს, რომ სიცოცხლე სულაც არაა მარტო დედამიწის კუთვნილება. საბოლოოდ დაიმსხვრევა ბიოგეოცენტრიზმი, რომელსაც ებღაუჭებიან იდეალიზმი და რელიგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევგენი ღუნდბერგი

★

# კოტე მარჯანიშვილის შემოქმედებითი გზა და მემკვიდრეობა

დიდხანს დევნილი რომანტიზმის აღორძინება, სანახაობის თეატრალურობის მოთხოვნა, მსახიობის მიერ ამაღლებულ გრძნობების თავისუფლად, შეუბოჭველად გამოხატვა სიტყვასა და ჟესტში — ყოველივე ამან აიძულა მარჯანიშვილს გადაესინჯა არა მარტო დადგმის მეთოდები, არამედ რეპერტუარიც და კლასიკოსების ინტერპრეტაციაც. კლასიკოსებს კი, როგორც ა. ლუნაჩარსკის არა ერთხელ უთქვამს, იმ წლებში მარჯანიშვილი „აიძულებდა ელაპარაკათ ახლებურად“.

მარჯანიშვილი ანგარიშს უწევდა იმ სიძნელეებს, რომელნიც მის წინ აღიმართნენ „თავისუფალ თეატრში“: „ჩვენ გვაკისრია დიდი სერიოზული და საშინლად საპასუხისმგებლო საქმე, — ამბობს იგი თავის მოკლე მიმართვაში მსახიობებისადმი, — თვითეული ჩვენთაგანის ხელშია ჩვენი მომავალი, ჩვენი ბედი და ჩვენი ახალგაზრდა თეატრის ბედი. ჩვენ მიმართ იქნებიან ულმობელნი.“ და რადგან კოტეს განზრახული ჰქონდა თეატრის გადახალისება, როგორც ცხოველმყოფელი ძალისა, მან გადაწყვიტა „თავისუფალი თეატრის“ ირგვლივ შემოეკრიბა რუსეთისა და ევროპის საუკეთესო არტისტები, საუკეთესო რეჟისორები, საუკეთესო მხატვრები.

იგი აწარმოებს მოლაპარაკებას მაქს რაინჰარდტთან, გეორგ ფუქსთან, გორდონ კრეგთან, ამაოდ იწვევს თავის დასში შალიაპინსა და ლიპკოვსკაიას, შეკვეთას აძლევს დახვეწილ მხატვარს კ. სომოვს „თავისუფალი თეატრისათვის“ შექმნას ფარდის ესკიზი...

გამოცდილი თეატრალები და თეატრალური საქმოსნები საეჭვოდ თავს აქნევდნენ: „მეტისმეტად ბევრი მოინდომა მარჯანიშვილმა, ეს ყოველგვარ ძალ-ღონეს აღემატება!“... მაგრამ კოტე სხვა აზრისა იყო და გულდაჯერებით იმათ ჯიბრზე, მიჰყავდა თავისი გემი.

მას განზრახული ჰქონდა, ისე როგორც წინათ, „თავისუფალ თეატრში“ ორივე თავისი ხაზი განეგრძო, რაც მისი მუშაობის უკანასკნელ, ეგზომ ბედნიერ და მდიდარ წლებში, მტკიცედ გამოვლინდა: რეალისტური სპექტაკლებისა და კლასიკის ფართო გამოყენებით „ფერადოვანი“, ამაღელვებელი დადგმების ხაზი.

ამასთანავე, ოსტატი მართებულად ითვალისწინებდა იმას, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება არ ჩერდება ერთ ადგილას, რომ გარდუვალად იცვლებიან და რაც დრო გადის, უფრო-დაუფრო გამოიცვლება თემები, ფორმები როგორ დრამატურგიაში, ისე სცენაზე.

ამისაგან გამომდინარე, მარჯანიშვილი დეკლარაციულად მიესალმება „უკიდურეს მემარცხენე მიმდინარეობას“ და მათი ცდების საწარმოებლად ქმნის „კამერულ თეატრს“, რომელიც ორგანიზაციულად „თავისუფალ თეატრს“ ექვემდებარებოდა. იგი ადგენს დასს დასში, რისთვისაც იყენებს იმ ახალგაზრდებს, რომელნიც „თავისუფალი თეატრის“ სპექტაკლებში არ იყვნენ დაკავებული. ახალგაზრდობას იგი იმ წლებში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა.

ეს ახალგაზრდობა და მისი ჯერ კიდევ მოუმწიფებელი შთანაფიქრი რომ დაიცვას ცნობილი თეატრალური ჯგუფებისა და კრიტიკოსებისაგან, მარჯანიშვილი ოფიციალურად აცხადებს: „კამერულ თეატრში მეცადინეობას და სპექტაკლებს ექნება ინტიმური, სტუდიური ხასიათი“. მისი აზრით, „მემარცხენე მიმდინარეობების წარმომადგენლების მიერ თეატრალური ხელოვნების ახალი ფორმების გამოყენება უნდა ხდებოდეს მხოლოდ მცირე აუდიტორიის წინაშე, სტუდიურ და არა ჩვეულებრივ თეატრალურ, პირობებში“. ეს აზრი სავსებით სწორი იყო როგორც პედაგოგიკური ისე ორგანიზაციულის თვალსაზრისით.

„თავისუფალ თეატრს“ რომ თავის „განაყო-

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 1.

ფებთან“ ერთად მეტხანს ეარსება, მის შთამგონებელს რომ პირველ ხანებში ოდნავ მაინც შეეოკებინა თავისი გაქანება, „სტუდია“ მარჯანიშვილის, სანინისა და ტაიროვის ხელმძღვანელობით გაიშლებოდა და გამტკიცდებოდა და ანდერსენის „უშნო ჭუჭულის“ მსგავსად თანამედროვეებს ამაყ დედათ მოევლინებოდა. მაგრამ მეცენატი „გაკოტრდა“ და სტუდია რომელიც მფლანგველი რეჟისორის ახირებულ წამოწყებად მიაჩნდათ, მიხურეს, როგორც უშემოსავლო დაწესებულება. მარჯანიშვილის ფიქრები „დიდ ვნებათა“ თეატრის დროულობის შესახებ, როგორღაც განიფანტნენ, „კამერული თეატრი“ კი, რომელიც „თავისუფალი თეატრის“ ნანგრევებზე აღმოცენდა, მიუხედავად ძლიერი დასისა ა. ტაიროვის შეზღუდულ ესთეტიზმს დაექვემდებარა.

როგორადაც არ უნდა ყოფილიყო გატაცებული კოტე, თავისი უდღეური ბავშვით, ჩვენ გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ არა მარტო გაკოტრების წინ, არამედ „თავისუფალ თეატრის“ თვით წარმოშობის მომენტშიაც, ოსტატს არ ასვენებდა აზრი თავისი პროგრამის, საზოგადოებრივი თვალსაზრისით, უნიადაგობისა. შესაძლოა, სწორედ ამ მოუსვენრობით — გარდა განზრახვისა „აღზარდოს თავისი მსახიობი“ — განისაზღვრება მისი ინტერესი „მემარცხენე“ ახალგაზრდობის სტუდიასადმი.

რეალისტური, გოგოლისებურად ფეროვანი, მხიარული „სოროჩინის ბაზრობა“, მუსორგსკის შესანიშნავი “წიაღიანი“ მუსიკით და მის გვერდით „მშვენიერი ელენე“, წარმოდგენილი როგორც ზედროული, ზენაციონალური მოვლენა, ის „მშვენიერი ელენე“, რომლის შესახებ თვითონ მარჯანიშვილი შემდეგ განაცხადებს, რომ მან ფიასკო განიცადა. მართალია ამ ფიასკოს მიზეზს იგი იმით კი არ ხსნიდა, როგორც ამას კრიტიკოსები წერდნენ, რომ სპექტაკლი მეტისმეტად გადატვირთული იყო რეჟისორული გამოგონებებით, არამედ იმით რომ სცენაზე ყოველდღიურობა იყო, რეალური სიმართლე, რეზონიორობა, ყველაფერი კეთდებოდა გონებით და არა გრძნობით, ცხოვრების შეგრძნებით, სიხარულისა და სიმხნევის მომტანი პოეზიით.

„პირველი აქტი — ანტიკური ლარნაკის ბარელიეფი ორსართულად წარმოდგენილი; მეორეში — მთელი სცენა როკოკოს უშველებელი საწოლია, რომელზედაც წარმოებს მოქმედება; მესამე — სეირნობა კისლოვოდსკში. სიყვარული სხვადასხვა საუკუნის პრიზმაში — ანტიკურობა, გალანტური საუკუნე და თანამედროვეობა“... მართლაც, განა ცოტაა აქ რეზონიორობა?

ცხადია, მარჯანიშვილს ახლაც ყველაზე მეტად უნდოდა ეჩვენებინა მაყურებლისთვის წარმტაცი სანახაობა, დეტალების მხატვრულობით და მსახიობის ოსტატობით გამოხატული: იგი ცდილობდა თანამედროვეებისათვის [illegible] გაედო იმით, რომ ოპერეტის ღმერთები ოლიმპიდან კისლოვოდსკში ჩამოიყვანა და ყველაფერი ეს სრულიადაც არ იყო რეჟისორის შემთხვევითი ახირება.

ახლო მომავალში მას ჰქონდა განზრახვა დაედგა „სოროჩინის ბაზრობის“ გვერდით „პიერეტას მოსასხამი“, „არლეზიელი ქალი“, ჩინური პრიმიტივი „ყვითელი კერესი“ და ისევ ამოტივტივდა მეტერლინკის „პრინცესა მალენი“ რომელსაც დაუპირისპირდა კოტესათვის ეგზომსაყვარელი, უჩვეულო თემა „ბოკაჩოსი“.

ყველაფერი ეს ჩაფიქრებული და ნაჩვენები იყო აზრიანათ, „მჩქეფარეთ და მხიარულად“, ქმნიდა „მტკიცე, მხნე და მხიარული ტონის თეატრის“ შთაბეჭდილებას, იმ თეატრისა, რომელიც მთელი მისი ცხოვრების მანძილზე ელანდებოდა მარჯანიშვილს. მაგრამ თეატრის კედლების იქით ბანალური ბანკროტობის გარდა, ამ სიხარულს ემუქრებოდა მოახლოებული ომის და ნგრევის მკაცრი აჩრდილი. მარჯანიშვილი მაინც იმეორებს იმას, რაც მას მიაჩნია უდავო ჭეშმარიტებად, სცდილობს დაიცვას მსოფლიო მნიშვნელობის ამბებით დამსხვრეული თავისი „იდეა — განწყობილებები“.

თავისი ცოტათი ქაოსურ შენიშვნებში (1915 და 1916 წწ.) მარჯანიშვილი ჩივის, რომ „თეატრმა დაკარგა რომანტიკა“, თუმცა თვითონ იგი ხომ ცდილობდა ახლახან მის გაცოცხლებას. აქვე ახსენებს ვაგნერს, რომელმაც თავისი გზა დაიწყო დრეზდენის ბარიკადებზე და მუსიკალურ დრამებში თავისი დროის უმნიშვნელოვანესი მორალური პრობლემები დააყენა, მაგრამ „თავისუფალ თეატრის“ თუნდაც ყველაზე „მჩქეფარე და მხიარული“ ოპერეტები ვაგნერს როგორ უნდა გათანაბრებოდა?...

ამ „შენიშვნებში“ მარჯანიშვილი დაჟინებით იმეორებს აფორიზმებს სიხარულსა და სიმხნევეზე, წარმოუდგენელია კოტეს არ სცოდნოდა თუ რამდენად უადგილო იყო ეს აფორიზმები იმ პირქუშ დღეებში — ქალაქებში სადაც მხოლოდ მშვიდობიანი ცხოვრების გარეგნობა იყო შენარჩუნებული, მით უფრო ამ ქალაქებს ფარგლებს გარედ, წუხილითა და ნგრევით დაბეჩავებულ ქვეყანაში. ვფიქრობთ, კოტე საკმარისად ითვალისწინებდა იმას, თუ რა სირთული შეიქნა თეატრისათვის და პირადად მისთვისაც. საეჭვოა სწამდეს, რომ ოპტიმისტური შელოცვებით შეიძლება რაიმეს ხსნა, მაგრამ მას ურყევად სწამდა ხელოვნების გამამხნევებელი ძალა, და მალე საქმითაც დაამტკიცა, თუ რამდენად დაუშრეტელია ეს ძალა, თეთრგვარდიელებით გარშემორტყმულ კიევში „ცხვრის წყაროს“ ბრწყინვალე დადგმით. მაგ-

რამ ამაზე ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. აქ კი ერთ სამწუხარო გარემოებას უნდა შევეხოთ. სწორედ საერთო — სახელმწიფოებრივ რღვევის პერიოდში მარჯანიშვილისათვის ძნელი იყო „თავისუფალი თეატრის“ კრახის შემდეგ ნდობა აღედგინა კაპიტალისტურ თეატრალურ ბაზარზე. საჭიროების გამო მისი მოწოდებანი გათვალისწინებული იყო უმთავრესად ბულვარული პრესისათვის, მეშჩანური და ბურჟუაზიული წრეებისათვის, რომლებზეც დამყარებული იყო თეატრის შემოსავალი. სხვა დროს, 1905 წელსაც კი, მარჯანიშვილი არ ფიქრობდა ასეთ დამამცირებელ საგნებზე. ახლა უნებურად უხდება მას დაპირდეს მეშჩანებს, — თავის აღთქმულ შთანაფიქრის დაფარვით, — „წარმტაცი, წკრიალა სიცილით აღსავსე რეპერტუარი, რომელიც ოდესღაც ფრანგებმა შექმნეს და ახლა მოძველებულად ითვლება“. იმავე სტატიაში ვხვდებით ისეთ ფრაზას, რომელიც ამჟღავნებს მარჯანიშვილის სიძულვილს ასეთი სიცრუისადმი და უკმაყოფილებას იმით, რომ მარცხიანად ჩაატარა თამაში: „თავისუფალი თეატრი“ და მისი რჩეული არტისტული ძალები.

„რასაკვირველია, — განაგრძობს მარჯანიშვილი თავის მიმართვას სავსებით გარკვეული ადრესატისადმი, — ჩემი ოპერეტული რეჟისურის ხანმოკლე პირველი სეზონის დროს კ ო მ ე რ ც ი უ ლ ი მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი ს ა და მ ე შ ჩ ა ნ უ რ ი გ ე მ ო ვ ნ ე ბ ი ს თ ე ა ტ რ ი ს ს ც ე ნ ა ზ ე, მე ბევრს ვერას მივაღწიე“... შემდეგ ომახიანი ფრაზები გასტროლების შესახებ მოსკოვსა, ოდესაში, პეტროგრადში და სხვ. **(1917 წ.).**

ომის წლებში კ. მარჯანიშვილის ცხოვრება მშფოთვარე და არეული იყო, მისი არტისტული მოღვაწეობაც ასეთივე მრავალფეროვანი და მრავალნაირია. თეატრში გამარჯვებას მოსდევდა დამარცხება, ალმაფრენას — „ჩაწოლა“, ოსტატის სახელი კი იზრდება როგორც იზრდება მისი წონა განსაზღვრულ თეატრალურ სამყაროში. აქა-იქ, მეტადრე თეატრალური მეგობრები ამჩნევენ მარჯანიშვილის სცენური მუშაობის წინამძღვრებსა და საზოგადოებრივი განწყობილების შორის გამძაფრებულ განხეთქილებას. ისინი მსუბუქად ჩხვლეტენ ოსტატს ირონიული დახასიათებითა და ზედაპირული ეპიგრამებით, — ისიც უნდა ითქვას, რომ ეს მასალა კარიკატურების ჩათვლით, ისტორიულ ინტერეს წარმოადგენს და ელოდება თავის შემკრებს.

. ა. ტაიროვის „რეჟისორის ჩანაწერებში“ დახატულია კარიკატურის მაგვარი სილუეტი „ამ უცნაური თითქმის ფანტასტიკური ფიგურისა“. იგი ერთსა და იმავე დღეს მუშაობს მოსკოვში „მშვენიერ ელენეზე“, პიტერში მოლაპარაკებას აწარმოებს ვარლამოვთან, ფლორენციაში — კრეგთან, ჩინეთში უყურებს „ყვითელ კოფთას“, პრაგაში აგროვებს ორკესტრს, ლონდონში პირობას ადგენს საზღვარგარეთულ გასტროლებზე; სოროჩინცაში ყიდულობს ხარებს „უაზრობისათვის“... ჭეშმარიტად ეს ადამიანი გრძნობდა თავის თავს თეატრალური რუსეთის შემკრებად“...

„ინტუიტივური ნიჭიაო“ — ზოგ თაყვანისმცემელს ამით უნდოდა მისი გამართლება, თუ ბრალის დადება. „ქაოსური, არაორგანიზებული, თითქმის ირაციონალური ფიგურაა“, რეჟისორი, „რომელსაც არც გეგმა, არც სისტემა, არც მეთოდი არა ჰქონდა“...

აქ უადგილო არ იქნება გავიხსენოთ პუშკინის მიერ ნახევრად ხუმრობით გამოთქმული შენიშვნა ერთი თანამედროვე პოეტისადმი, რომელიც ამაყად გაიძახოდა: „დაე, ჩემს ლექსებში მოიძებნოს უაზრობა, სამაგიეროთ პროზას ვერ მოძებნით“. „ბაირონს არ შეეძლო ზოგიერთი თავისი ლექსის ახსნა — განმარტება“, — ამბობს პუშკინი, — „არსებობს ორნაირი უაზრობა: ერთი გამომდინარეობს გრძნობებისა და აზრების უქონლობისაგან, რაც სიტყვებითაა ანაზღაურებული; მეორე — გრძნობებისა და აზრების სიჭარბისაგან და მათი გამოსახვისათვის საჭირო სიტყვების უქონლობისაგან“.

რასაკვირველია, მარჯანიშვილი არ იყო ჰარმონიული, დინჯი ბუნების ადამიანი. მაგრამ „სისტემისა და მეთოდის უქონლობა“, რასაც მას აბრალებენ, ქარწყლდება, როგორც ვნახეთ, მთელი რიგი გარკვეული ეტაპებით, რომლებითაც აღინუსხება მისი, როგორც სცენის მხატვრის თანდათანობითი განვითარება. ეს განვითარება შეუნელებლად გრძელდება მის უდროოდ გარდაცვალებამდე. ყველასათვის, ვინც მასთან ერთად მუშაობდა, კარგადაა ცნობილი, რომ კოტეს სძულდა მზამზარეული გადაწყვეტილებანი და შტამპები. იგი თვლიდა, რომ ყოველი მნიშვნელოვანი დრამატურგიული ნაწარმოები მოითხოვს სცენური განსახიერების ყველა საშუალების გადასინჯვას. ამის შედეგია მისი ყოველი ახალი ნამუშევრის ათასობით ვარიანტი, აქედანვე გამომდინარეობს ძირეული გადამუშავება ერთხელ უკვე ნაჩვენები დადგმისა.

5.

მოხდა რევოლუცია. რუსეთსა და უკრაინაში უკვე ნათლად ისახებოდა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობანი. ხალხი აშენებდა მუშურგლეხურ სახელმწიფოს, და თან უდიდესი დაძაბულობით იგერიებდა მტრებს.

ხელოვნების მსახურნი, რომელთა შორის ცოტა როდი იყო ძველი წრთობის ადამიანები, მიხვდნენ რომ თუკი საბჭოთა ხელისუფლება გამაგრდება, უახლოეს მომავალში საჭირო გახდება თვალი გადაავლონ კულტურულ მემკვიდ-

რეობას, რომელიც მათ გამოუსწორებელ ზარალს მოუტანს. მათ აინტერესებდა არა იმდენად მუდმივი, რამდენადაც სადღეისო ღირებულება, თუმცა განათლების კომისარი ა. ნ. ლუნაჩარსკი თავისდროზე ავრცელებდა ამ შერჩევის პრინციპებს. „მსოფლიო რეპერტუარი, — წერდა იგი თეატრზე, — ცალკეულ კლასთა უმაღლეს მიღწევათა საგანძურია — ხელმძღვანელ კლასთა, თუ კლასებისა რომელნიც სხვადასხვა საუკუნეებისა და სხვადასხვა ხალხთა ხელმძღვანელობისათვის იბრძვიან... მყარი კულტურის მოზეიმე შუადღის თეატრში, როგორც რევოლუციის გამარჯვების წინა დღის მშფოთვარე დილის თეატრში, — ამღელვარებული, უშუალო სიმაღლეზე ამაღლებული ავტორი ყოველთვის წინ უსწრებს თავის დროს და არწივის გაფრენის სიმაღლიდან ხალხზე და მიწაზე თვალის გადავლებით ქმნის სახეებს, გამოხატავს გრძნობებს, გამოთქვამს დებულებებს, რომელნიც საუკუნეებში და ათეულ საუკუნეებში ცოცხლობენ და ჰპოვებენ შესაძლებელია თავისებურ, მაგრამ ყოველთვის მძლავრ გამოძახილს ყოველ შესაბამის ეპოქაში[1].

მაგრამ, ასეთი ძალისა და გამჭრიახი გონების დრამატურგი შეუძლებელია ასე უცებ დაბადებულიყო, ხოლო დრამატურგის გარეშე, როგორც კ. ს. სტანისლავსკი შენიშნავდა: „არტისტებსა და რეჟისორებს არაფერი აქვთ გასაკეთებელი"[2].

თეატრი, შედარებით დიდხანს აღმოჩნდა პარალიზებული. ხან აქ, ხან იქ ცდილობდნენ შესაფერისად დაემუშავებიათ კლასიკოსები, მაგრამ, ასე უცებ, ესეც არ ხერხდებოდა.

უმეტესობა მსახიობებისა, რეჟისორებისა და მუსიკოსებისა — ნოვატორების ჯგუფის გამოკლებით, — დამწუხრებულები იყვნენ იმით, რომ როგორმე ადვილად გადაეტანათ ძნელი დრო, და ხელუხლებლად შეენახათ თავიანთი სახელოსნოები, აკადემიები, კონსერვატორიები, მუზეუმები, თეატრები. სასურველი გამოსავლის პასიური ლოდინი და ამ სამარცხვინო „არაფრისკეთებაში" დეკორუმის შენახვა იმ დროს პოლიტიკური სიბრძნის მწვერვალად ითვლებოდა.

კონსტანტინე ალექსანდრესძე ვერ ითმენდა ბევრი მისი კოლეგისა და ამხანაგის ორპირობას და დახავსებულობას, ოქტომბრის რევოლუციას იგი აღფრთოვანებული შეხვდა.

ა. ი. დეიჩს მოჰყავს ადგილი მისი სტატიიდან: „რევოლუციამ თეატრს დაუბრუნა მისი ნამდვილი გზა, დაუბრუნა ყველაფერი, რაც კი მას დაკარგული ჰქონდა: მისი ქმედითობა, მისი აქტიურობა, მისი რიტმი... ჩვენ სცენიდან გავნდევნით ყოველგვარ ფილისტერებს და მივეგებებით მხიარული და [illegible] სინთეტური სპექტაკლის შექმნას..."[1]

1919 წლის დასაწყისში მარჯანიშვილი კიევში მიემგზავრება. კიეველებს ახსოვდათ „სცენის ჯადოქარი" და მისი დადგმები, რომლებმაც თავის დროზე მძაფრი პოლემიკა გამოიწვია პრესაში და ლიტერატურულ სალონებში, რითაც ასე მდიდარი იყო ომამდელი კიევი...

1919 წლის 15 მარტს გუბერნიის რევკომის გადაწყვეტილებით მარჯანიშვილი დანიშნულ იქნა კიევის ნაციონალიზირებული თეატრების კომისრად[2]. საჭირო იყო შექმნილიყო საპირველმაისო დღესასწაულისათვის საზეიმო რევოლუციური სპექტაკლი. ვიღაცამ ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო" შესთავაზა. მარჯანიშვილს ეს აზრი მოეწონა. „ცხვრის წყარო" საჭირო იყო დადგმულიყო ისე, რომ ახალ მაყურებელს შეეგნო და დაეფასებია და ამავე დროს, მაღალი ხელოვნება, რაზედაც ხელოვანი ოცნებობდა ყოველდღიურობის მოთხოვნილებებს მსხვერპლად არ შეწიროდა.

კოტე ამუშავებს არსებული თარგმანის ტექსტს, უახლოვებს თანამედროვეობას, ლოპე დე ვეგას დიალოგებში ამახვილებს ამბოხურ ინტონაციებს, მონარქიული იდეოლოგიის გარეგან სამოსელს აცლის, აშიშვლებს ხალხთა აჯანყების თემას, გატაცებით ამუშავებს ტრაგიკულიდან კომიკურში გადასვლებს.

„მე მახსოვს წითელარმიელებით გაჭედილი დარბაზი — იგონებს გ. კ. კრიჟიცკი — ეს იყო ქარიშხალი. ჯარის სარდალმა, რომელიც სწმენდდა უკრაინას პეტლიურელებისაგან, სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მარჯანიშვილს უთხრა, რომ იგი ფრონტზე გასაგზავნ ნაწილებს აჩვენებს „ცხვრის წყაროს" და დარწმუნებული იქნება გამარჯვებაში".

სპექტაკლის რევოლუციური ზემოქმედება რამდენიმე ფრთიანი სიტყვით გამოხატა თვით მარჯანიშვილმა: „მე მინდა, მას შემდეგ რაც მსახიობები გაემართებიან რამპისაკენ, მაყურებლები გაემართონ ფრონტზე"[3].

მსახიობებზე და მაყურებელზე ზემოქმედების ასეთი ძალა და სიმაღლე დამახასიათებელი იყო ანტიკური თეატრისა და შუასაუკუნეების მისტერიისათვის, შემდგომში ეს საიდუმლოება დაიკარგა. რ. ვაგნერი ძლიერ ცდილობდა მის აღმოჩენას, მაგრამ ვერ მისწვდა — ესთეტიური განცდების იქით მაყურებელი ვერ მიდიოდა. აქ კი, სოლოვცოვის თეატრში მაყურებ-

---

[1] А. Луначарский, «Театр и революция». М. 1924. стр. 15.

«Моя жизнь в искусстве», стр. 519.

[1] Сборник «Котэ Марджанишвили», стр. 443—444.

[2] იქვე, стр. 428.

[3] იქვე, А. Дейч, «Легендарный спектакль», стр. 452.

ლები და მონაწილეები ლაპარაკობდნენ „სცენის სასწაულზე“ „რეჟისორის ამ შესანიშნავ ქმნილებაში ფერადებითა და სინათლეებით აფორაჯებული მთელი სცენა თამაშობდა, თამაშობდა თვითეული საგანი, თამაშობდა თვითეული ქსოვილი, რითაც შემოსილი იყვნენ შემსრულებლები..“ [1]

ჯერ კიდევ 1905 წელს მიუთითებდა მარჯანიშვილი დრამატურგიის სინამდვილისაგან ქრონიკულ ჩამორჩენილობაზე. „..ხელოვნება ვერ ეწევა სწრაფად მომწიფებულ რევოლუციას და მცირედი გამონაკლისით (თეატრში მაგალითად გორკის — „ფსკერზე“ და ნაწილობრივ „მდაბიონი“) მხატვრული შემოქმედება გაიყინა თითქმის იქ, სადაც იგი ადრე იყო“.

1918—19 წლებში კონსტანტინე ალექსანდრესძემ დასწერა პატარა წერილი „ახალი გზები“, რომელშიც მან შორსმხედველურად მიუთითა იმ სიძნელეებზე, რომლებიც აფერხებდნენ რევოლუციური თეატრის ნორმალურ განვითარებას.

„თეატრი — ამბობდა იგი — დგას თავისი მაყურებლის წინაშე, ისე როგორც აუდიტორიის წინაშე იდგებოდა ორატორი, რომელმაც დახვეწა თავისი ხელოვნება, მაგრამ არ იცის კი რა თქვას. მსახიობმა გააფართოვა და დახვეწა თავისი ოსტატობა, ახალი მაყურებელი, პროლეტარი, უცდის თუ მთლად გულღიას არა, ყოველშემთხვევაში ნათელ, მხიარულ სანახაობას, და მხოლოდ ავტორი არ გვყავს, ან უფრო სწორად ერთ ადგილზე განაგრძობს ტკეპნას.. არც ერთ თანამედროვე ავტორს არ უცდია მოეცა თუნდაც ხალისიანი სურათი კაცობრიობის მომავალი ერთიანობისა... რევოლუციის მიერ დაწინაურებული პროლეტარული მწერალი ჯერ კიდევ ნაკლებადაა მომზადებული, ის ვერ ფლობს პიესის არქიტექტონიკას, ჯერ არ შეუძლია გამოავლინოს ის სახეები, რომლებიც ბუნდოვნად ეზმანებიან მას მომავალში. ხოლო ძველმა ბურჟუაზიულმა მწერალმა, თუნდაც რომ ამ თემას ხელი მოჰკიდოს, აუცილებლად დახურდავდება ნატურალიზმის წვრილმან დეტალებში და, უკეთეს შემთხვევაში, დაამთავრებდა მელანქოლიით. ამგვარად, ჩვენ ვადასტურებთ, რომ ეპოქის თანახმიანი თეატრი მთლიანობაში, ჯერჯერობით არ არის“ [2].

რა უნდა გაეკეთოთ?

კიევში კონსტანტინე ალექსანდრესძე ამაოდ ჰკიდებს ხელს ხან ო. უაილდის „სალომეს“, ხან კიდევ ცარიელ ბუფონადას, ხან ვ. კამენსკის დრამატიულ პოემას „სტეფანე რაზინი“, რომელმაც მასიური სცენების შესანიშნავი მასალა მისცა.

ქალაქში შფოთიანი ცხოვრება სუფევდა. უკრაინაში კონტრრევოლუციასთან ბრძოლა გარდამავალი წარმატებებით მიდიოდა, ფრანგები და პეტლიურა ძალებს იკრებდნენ, — მარჯანიშვილი მოსკოვში წავიდა, შემდეგ გულმა პეტროგრადისაკენ გაუწია. აქ, თითქოს, როგორც არსად, შეიძლებოდა წყნარად ეფიქრა, დაეყენებია ცდები, დაუბრკოლებლად მისცემოდა შემოქმედებას.

რა უნდა ამ ახალი სამყაროს შემქმნელ ხალხს, ამ ახალგაზრდობას, რომლებმაც განათლება სკოლაში კი არ მიიღო, არამედ ბრძოლის ველზე? „მსოფლიო ომის შემდეგ, უდიდესი რევოლუციების დროს ხელოვნება მონუმენტურად წარმოგვესახება“ — წერს მარჯანიშვილი — თეატრალური ხელოვნება უნდა იყოს „ისევე დიადი, როგორადაც ჩვენი თანამედროვეობაა და ღმერთმანი, რაღაც არ მჯერა, რომ მილიონიანი არმიების შეჯახების შემდეგ, ქუჩის ათასოვანი მანიფესტაციების შემდეგ, კიდევ შესაძლებელი იყოს თეატრალურ სენაკში ჯდომა და უმნიშვნელო დრამით დატკბობა“.. [1]

ხალხს, რომელიც ფრონტიდან ბრუნდება, ან ფრონტზე მიდის, ან არადა ზარბაზნების გრიალში „მშვიდობიანი“ შემოქმედებითაა დაკავებული, სხვაზედ მეტად სჭირდება მხიარულება და სიმხნევე. შეუძლიათ კი ჩვენს თანამედროვე თეატრებსა და თანამედროვე რეპერტუარს მისცეს მათ ბევრი მხიარულება და სიმხნევე?

პირველ რიგში კონსტანტინე ალექსანდრესძემ არსებითად უარყო მის მიერ დაარსებული „კამერული თეატრი“, ამ თეატრმა დაიჭირა თანამედროვე ცხოვრების ტემპი. შეიგნო ხელოვნებაში ფორმის მნიშვნელობა, მაგრამ სამწუხაროდ სრულიად ამოშანთა შინაარსი“.

შემდეგ გრძელდება ძველი პოლემიკა „მხატ“-თან.

„დღევანდელი დღე თვითმიზანი გახდა ამ თეატრში. იგი უფრო განცდებსა და თვითჩაღრმავებაში წავიდა“. მაგრამ მარჯანიშვილს მხედველობიდან გამოეპარა, რომ სტანისლავსკი და ნემიროვიჩ-დანჩენკო, მის მსგავსად, კალაპოტიდან ამოვარდნილი არიან და საუკუნეებსა და მრავალ სტილს შორის დაბორიალობენ, რათა მოძებნონ რევოლუციური ეპოქის შესაფერისი პიესა, თანაც „მხატ“-ის გზა, რაც უფრო შორს მიდიოდა, მით უფრო ხშირად უახლოვდებოდა მარჯანიშვილის გზას.

თუმცა „მხატ“-ის პოზიცია, მარჯანიშვილის პოზიციისაგან განსხვავებით ნახევრადღული რჩება. კ. ს. სტანისლავსკი თავის წიგნში „ჩემი ცხოვრება ხელოვნებაში“ ეკამათებოდა, როგორც მოუთმენელ რევოლუციონერებს, რომლებიც „ანგარიშს არ უწევენ შინაგანი ევო-

---

[1] იქვე, стр. 429.

[2] იქვე, стр. 98-99.

[1] «Котэ Марджанишвили». გვ. 113.

ლუციის ბუნებრივ სვლას... ძალას ატანენ ხელოვნებას, მსახიობების შემოქმედებას, პოეტებს“ ასევე რეჟისორებსაც, რომლებმაც „ხელი მოჰკიდეს დიდი ადამიანებისა და დიდი გრძნობების დამხატველ ძველ კლასიკოსებს, და იწყეს მათი ახალ ყაიდაზე გამოყვანა, აძლევდნენ რა მათ გარეგნულ სიმახვილეს, რომელიც აუცილებელი იყო თანამედროვე მაყურებლისათვის...[1] „თანამედროვე ყაიდაზე კლასიკოსების დამუშავებამ სერიოზული შედეგები არ მოგვცა“ — შეაჯამა კონსტანტინე სერგისძემ თავისი პასუხები „ნოვატორების“ მიმართ. მან, თავის მხრივ, ვერ შეამჩნია სიძველის ორი ძლიერ დამარწმუნებელი გარდასახვა, რომელიც მისცა რევოლუციურ თეატრს მარჯანიშვილმა უკრაინაში და საქართველოში ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყაროსა“ და კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტას“ დადგმებით.

რევოლუციის პირველ წლებში მარჯანიშვილს ძლიერ გამოადგა ჯერ კიდევ რევოლუციის წინ განუხორციელებელი „თავისუფალი თეატრის“ პროგრამა.

მარჯანიშვილი რწმუნდება, რომ მისი წყობის რეჟისორს ყველაზედ იოლად შეუძლია შეასრულოს თავისი მოვალეობა ახალი მაყურებლის წინაშე, თუკი აჩვენებს საერთო-ევროპული და რუსული კლასიკის ნიმუშებს, რომელიც საფუძვლად დაედო „თავისუფალი თეატრის“ რეპერტუარს.

ძველებური კომედიის ჩვეულებრივი თემა— არისტოკრატიის, ვაჭრებისა და სასულიერო წოდების მანკიერებათა მხილება სავსებით შეესაბამება გარდამავალი დროის მოთხოვნილებებს. შემდეგ კი თანდათან თავს იჩენენ სხვა თემები და სხვა სახეები.

კონსტანტინე ალექსანდრესძეს, როგორც ნამდვილ სამხრეთელს, უყვარდა სიცილი და სამართლიანად სთვლიდა თავს გროტესკის ოსტატად. სიცილი სცენაზე უხსოვარ დროიდან დევნიდა სისულელეს, ყოყოჩობას და ძუნწობას, ნიღაბს ხდიდა ყოველგვარ სიყალბეს და მათ შორის რელიგიურ ფარისევლობას.

მარჯანიშვილი პეტროგრადის „სახელმწიფო კომიკური ოპერის თეატრისა“ და კლასიკური კომედიის ხელმძღვანელი ხდება. ერთი მხრივ პროგრამაში იყო დონიცეტის — „დონ პასკვალე“, ჩიმაროზას — „საიდუმლო ქორწინება“, მოცარტის — „სერალიდან მოტაცება“ და „ასე იქცევა ყველა“, მეორე მხრივ მოლიერის „გააზნაურებული მდაბიო“, ბენავენტეს „ინტერესთა თამაში“, შექსპირის „ვინძორის ცელქი ქალები“.

მაგრამ, როგორადაც არ უნდა ჰყვარებოდა კოტეს სიცილი და განსაკუთრებით მუსიკა, მას ერთი ჟანრის ჩარჩო მაინც ევიწროებოდა.

ამასთანავე, ეძლეოდა რა თავის ვნებებს, მას კარგად ახსოვდა მის წინაშე მდგომი ამოცანა— დაეკავშირებინა თანამედროვეობისათვის საუკუნეების განმავლობაში განმტკიცებული თეატრალური ხელოვნება, ეკარნახა ახალგაზრდა დრამატურგებისათვის სიუჟეტი, უფრო სწორად სინამდვილისადმი სწორი მიდგომა, მოეხიბლა ისინი გროტესკული მსჯელობის სიმახვილით, ცოცხალი ცხოვრებიდან პერსონაჟების ხორცშესხმით, ხოლო პიესის იდეურ შინაარსს დაე, თვითვე მოუარონ.

ამავე დროს მარჯანიშვილი არჩევს პიესებს, რომლებსაც შეიძლება ძალების დაუძაბავად მისცე რევოლუციური ჟღერადობა და თვითმოქმედ კოლექტივს ეხმარება დადგას ორი მათგანი „მუშათა თეატრში“ ე. ვოინიჩის „კრაზანა“ და ვ. ვ. კამენსკის „სტეფანე რაზინი“— უკანასკნელი უფრო ახალ, მძაფრ პოლიტიკურ ვარიანტში, ვიდრე გამოყენებული იყო მარჯანიშვილის მიერ კიევში.

კაბარეში „კოჰლი ჯო“ და პატარა თეატრში, რომელიც ლ. ნიკულინის მიერ იყო დაარსებული, კონსტანტინე ალექსანდრესძის მონაწილეობით გაიფურჩქნა სატირა. „ბუფ“-ში მარჯანიშვილმა ყოფილი რესტორნის გადახურული გალერეია შეარჩია, კიდევ ერთი პატარა სატირის თეატრის მოსაწყობად[1]. ამ პატარა თეატრების პროგრამაში შედიოდა — სცენები, სკეტჩები, პაროდიები, ინსცენირებები, სიმღერა, ცეკვები — შემსრულებელთა შორის იყვნენ მისი დასის საუკეთესო მსახიობები. ხანდისხან, როგორც ავტორი, გამოდის მარჯანიშვილიც.

ეს პატარა თეატრები — უდაოდ წარსულის გადანაშთები, ცუდი სკოლა როდი იყო „სინთეტიური მსახიობისათვის“. ისინი მოითხოვდნენ მოქნილობას, ხასიათურობას, იმპროვიზაციის უნარს და მაყურებელთა შენიშვნებზე გამოხმაურებას. მათ რამდენადმე საზოგადოებრივი როლი ითამაშეს, მით რომ დაუახლოვეს თეატრი მწერალთა ფენას და სწრაფად ეხმარებოდნენ ყოველდღიურ ჭირვარამს.

თეატრალური გრიუნდერობით გატაცებამ მარჯანიშვილი აიძულა გაორკეცებული ძალით ხელი მოეკიდა „არტისტული ძალების შეგროვებისათვის“ თუნდაც პეტროგრადის ფარგლებში. კონსტანტინე ალექსანდრესძე რაღაც საოცარი სიფაქიზით ეპყრობოდა ნიჭიერ ადამიანებს, ვინც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი: მებუტაფორეს, დურგალს, გამნათებელს, მუსიკოსსა და მხატვარს, მაგრამ, კიდევ უფრო ხარობდა კოტე, როდესაც შესძლებდა აღმოეჩინა, ზოგჯერ უკვე აღიარებულ მსახიობში, მანამდე მთელემარე ნიჭი, ან ღირსება.

არა ერთხელ მომხდარა ისეც, რომ კოტეს

---

1 К. С. Станиславский, «Моя жизнь в искусстве», М., 1926, стр. 518.

4 «Котэ Марджанишвили» გვ. 493.

შორსმჭვრეტელობას ახლებურად შეუბრუნებია ამა თუ იმ მსახიობის შემდგომი ბედი. მაგალითისათვის დავასახელოთ თუნდაც: ნ. ი. ტამარა, ნ. ფ. მონახოვი, გ. ლ. როსტოვცევი, მოგვიანებით კი საქართველოში — უ. ჩხეიძე, გ. შავგულიძე და მრავალი სხვა.

მარჯანიშვილი, როგორც ყოველთვის დიდ ენერგიას და ყურადღებას უთმობს ახალგაზრდობას. იგი არ გამოყოფს განსაკუთრებულ ახალგაზრდათა სტუდიებს, როგორც „თავისუფალ თეატრში“, არამედ მუშაობს ახალგაზრდა მსახიობებთან მიმდინარე დადგმათა მასალაზე. პეტროგრადის კრიტიკა განსაკუთრებით აღნიშნავდა „მთელი მსახიობთა შემადგენლობის მეგობრულ მორჩილებას რეჟისორის ნებისადმი... განსაკუთრებულად დამახასიათებელია, არა ახალგაზრდობის საუკეთესო სწავლების ფაქტი, არამედ ის, რომ გამოცდილმა მსახიობებმა უარი სთქვეს თამაშის ისეთ ხერხებზე, რომლებიც სცენიური მოღვაწეობის ხანგრძლივი დროის განმაელობაში მათ ჩვევად გადაექცათ“ [1].

ჩამოყალიბებული მსახიობების ეს ხელახლა სწავლება, მათი შტამპებისაგან განთავისუფლება, სხეულის ვარჯიში თითქოსდა როლის თავისუფალი გახსნის დროს მიიღწეოდა, ყოველგვარი თავზემომხვევი სწავლებისა და ჩვენების, მსახიობის ნებისყოფაზე ძალდატანების გარეშე.

სწორედ პეტროგრადში, როდესაც უკვე აღარ იყო „მეწარმეთა თეატრი“, რომელიც ხრწნიდა საზოგადოებას, უამისოდაც კაპიტალისტური კულტურული გარემოცვით რომ იყო გახრწნილი და თავის მხრივ ხრწნიდა თეატრს [1], მარჯანიშვილში განსაკუთრებული სიცხადით გამოვლინდა თვისებები, რომლებიც მას ანათესავებდნენ ხელოვნების ძველ ოსტატებთან: „ამქრული კავშირის“ გრძნობა მსახიობებთან, დასთან, სცენის მუშებთან, „დამხმარე“ ხელოვნების წარმომადგენლებთან; დაუსრულებელი მომთხოვნელობა ხელოვნებისა და „საამქროს“ სახელით თავის თავისადმი და სხვებისადმი; სიძულვილი სიზარმაცის გამოვლინებისადმი, სიბინძურისადმი, დიდების მოყვარულობისადმი, კ. მარჯანიშვილი იყო დიდი მომთხოვნი — განსაკუთრებით თეატრის ნიჭიერ მოწაფეებისა და თანამშრომლებისადმი; ზუსტი — წვრილმანებამდე, ყოველგვარ საქმეში ჩახედული, რაც დაკავშირებული იყო დასადგმელ სამუშაოებთან, მსახიობის ფსიქოლოგიიდან დაწყებული — საქმის მატერიალურ მხარემდე.

კოტე შესანიშნავად ერკვეოდა ქსოვილებში, ხის ხარისხში, არ ჩამორჩებოდა არც-ერთ მხატვარს ფერების შერჩევაში, მათ შეხამებაში, ამა თუ იმ განათებისას მათ ელფერში. მას შეეძლო შეეცვალა გამნათებელი, ტანისამოსის გამგე, დურგალი, მონტიორი.

კოტეს სიფიცხე რეპეტიციის საათებში თუკი იგი არ იყო ბოლოს და ბოლოს პედაგოგიური მეთოდი, აიხსნება ნაწილობრივ იმითაც, რომ იგი გამოწვეული იყო მისი მუდამ მთრთოლვარე ნერვებით, სცენიურად რთული მოქმედების მრავალ კომპონენტებზე მუშაობისას, რომელიც არც თუ ისე ადვილია რომ ერთიანობაში მოიყვანო და უფრო ძნელია მისი ხელში დაჭერა სპექტაკლის დაწყებიდან დამთავრებამდე.

კონსტანტინე ალექსანდრესძის მოწაფე, უნიჭიერესი ქართველი მსახიობი უშანგი ჩხეიძე ერთი რეპეტიციის სურათს იგონებს: „ეს ერთი კაცი თითქოს რამდენიმე ადამიანად იქცეოდა... არაფერი ისე არ იტაცებდა მას რეპეტიციის დროს, როგორც აქტიორის თამაში. აქტიორის კარგი თამაშით ის თითონაც აენთებოდა, გამოცოცხლდებოდა, სახე გაუნათდებოდა, თვალები გაუბრწყინდებოდა, მთლად ერთიან გაახალგაზრდავდებოდა და გარდაიქმნებოდა. ხშირად ასეთ დროს მთელი სარეპეტიციო დარბაზი სუნთქვაშეკრული, უდიდესი დაძაბულობით ადევნებდა თვალყურს შემოქმედების ცეცხლით აგზნებულ ადამიანს, რომელიც საოცარის ჯადოქრობით ქარგავდა უმშვენიერეს მიზანსცენებს და აქანდაკებდა მეტყველ, გამოკვეთილ სახეებს. და ეს, — თითქმის პატარა ტანის ადამიანი — ვეფხვივით ტრიალებდა, ხელდებოდა, იშლებოდა მისი უწესრიგოდ დაყრილი შევერცხლილი თმები, მისი თვალები ელავდნენ, ნაპერწკლებს ისროდნენ და როგორც თოფის წამალს, ისე აფეთქებდნენ მსახიობის გრძნობებს. ერთს მივარდებოდა — მიზანსცენას უსწორებდა, მეორეს — მოძრაობას, სიტყვები აღარ ჰყოფნიდა, ლაპარაკს ველარ ახერხებდა, ან იდგა სარეჟისორო მაგიდასთან სახელოებგადაკეცილი, მოზიდული მშვილდივით, მთელი ტანით წინ, აქტიორებისაკენ მიმართული, მარჯვენა ხელი დამუშტული, რომელიც მოძრაობისა და მეტყველების რიტმს უჩვენებდა მსახიობს, ან კიდევ დამკვრელს, მარცხენა ხელით ხშირად თმებს ისწორებდა, ან მაგიდაზე აფათურებდა და პაპიროსს ეძებდა ისე, რომ იქით არც იხედებოდა, ან ნერვიულად სრესდა და ამტვრევდა ნახევრად დამწვარ პაპიროსს“. [1]

არა ერთხელ რეპეტიციის დროს ნახევრად განათებული დარბაზის სიღრმეში მიმალული თვალყურს ვადევნებდი იმას თუ რა ხდება ამ საცოდავ გაშიშვლებულ სცენაზე და დიდი

[1] «Котэ Марджанишвили», стр. 475 (рецензия в журнале «Жизнь искусства»).

[2] А. Луначарский, «Театр и революция», стр. 12.

[1] «Котэ Марджанишвили», стр. 223.

მსახიობებისა და მწერლების აზრებს თეატრის შესახებ ვუფარდებდი კოტეს. უნებურად მახსენდებოდა ორი შენიშვნა: „მოჩალოვი დიდი გაქანების ადამიანი იყო, დაუმორჩილებელი და უმწყობრო შთაგონებისა“ — წერდა ოდესღაც გერცენი. ხოლო გოგოლი წერდა შჩეპკინს: თქვენში მეტად ბევრი იყო ცეცხლი“... გოგოლი გახარებული იყო როცა შჩეპკინში ცეცხლის სიჭარბე — უმაღლესი სიმშვიდით შეიცვალა.

ამ შემთხვევაშიც, წლოვანებაც (მარჯანიშვილი ორმოცდაათს იყო უკვე გადაცილებული) და ცხოვრებისეული გამოცდილებაც უძლური იყო დაეძლია გაქანებანი და ისინი შთაგონების მორჩილებაში და მწყობრში ჩაეყენებია. მხოლოდ იშვიათად „ცეცხლის სიჭარბე“ იცვლებოდა შედარებითი სიმშვიდით, რომელსაც მარჯანიშვილი თავს დაღლილად გრძნობდა, ან რაიმეთი ნაწყენი იყო, რასაც ყოველთვის ისე განიცდიდა როგორც „დამცირებას“.

მე ორჯერ მომიხდა მენახა იგი ასეთ მდგომარეობაში უცხო ქალაქში, სხვის, საზაფხულოდ დაცარიელებულ ბინაზე, **უჩვეულო მარტოობა**, უჩვეულო სიჩუმე; დაფიქრებული კოტე, ბეჯითად აკეთებს რაღაც მაკეტებს, იხუნჯობს და არც თუ ყურადღებით უგდებს ყურს რეპლიკებს.

ცხადია, რომ სიმყუდროვის ამ საათებშიც კი კოტე ყოველგვარ ენერგიას აგროვებდა თავისი მრავალწახნაგოვანი არსების ოთხ თუ ხუთ პოლუსზე ერთად: მაკეტები — ეს არის მთელმარე ენება თეატრისადმი; წყენისათვის ან ნაღვლისათვის ასწილად უნდა ზღო, ხოლო „შურისგებას“ ეს შმაგი ადამიანი აღიარებდა ორგვარს — ან დაიხურე ქუდი და წადი, ან არადა ხელახლა აფეთქდი მაშხალასავით, რათა შენს ირგვლივ მიმოაფრქვიო დამატყვევებელი ნაპერწკლები. იგი დაბნეულია და გულკეთილი, რომ თანამოსაუბრემ შეუფერებელი კითხვით ხელი არ შეუშალოს მას ფიქრში და არ დააფრთხოს, საღლაც სიღრმეში ახლად აღმოჩენილი სახეები...

ძნელია წარმოვიდგინოთ სტანისლავსკი და ნემიროვიჩი მხატის კოლექტივის გარეშე. საქმე, რასაკვირველია, არც ისე უბრალოა, როგორც ამას საზეიმო დეკლარაციებში იუწყებიან.

კ. ს. სტანისლავსკის „ჩემი ცხოვრება ხელოვნებაში“ არის რთული მოთხრობა კოლექტივის შექმნაზე, მისი თუ მის მიმართ ჩადენილ უნებლიე თუ ნებისმიერ ღალატზე, საშუალო მსახიობის უძრაობაზე, გაბედული თეატრალური კანონმდებლის თამამ ბრძოლაზე უძრაობია წინააღმდეგ. ამ შესანიშნავ და გულწრფელ წიგნში ხშირად მოისმის ყრუ გამოძახილი: „ჩემსა და დასს შორის აღიმართა კედელი. **მთელი წლების განმავლობაში მე ვულცივად** ვიყავი მსახიობებთან, ჩავიკეტებოდი ჩემს ოთახში, ბრალს ვდებდი მათ უძრაობაში, რუტინაში, უმადურობაში, ორგულობაში და ღალატში **და უფრო მეტი გაათრებით განვაგრძობდი ძიებებს... მსახიობებს უძნელდებოდათ ჩემთან მუშაობა, მე კი მათთან**“[1]. (ხაზი ჩვენია, ე. ლ.).

მარჯანიშვილი არ „ჩაიკეტებოდა თავის ოთახში“ და ვერ მოითმენდა დასთან წლობით „ცივ დამოკიდებულებას“. იგი ან **ხელს ჰკიდებდა** თავის კოლექტივს, იჭერდა მას, გაიტაცებდა, წაიყვანდა იქეთ სადაც მას აუცილებლად მიაჩნდა, ან არადა მიატოვებდა და მეორეს შექმნიდა, უფრო მოქნილს მისთვის უფრო შესაფერისს. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთი დამარცხებანი და წარუმატებლობანი მას ცხოვრებაში ცოტა ჰქონდა.

„ორგულობისათვის“. „ღალატისათვის“, ჩვეულებრივი პატარა წინააღმდეგობისთვისაც კი მარჯანიშვილი მსახიობს გააგდებდა: იგი ხელს უშლიდა მუშაობაში, ზეშთაგონებას უკლავდა. მარჯანიშვილისეულ „სამოთხიდან“ გაძევება სრულიადაც არ იყო სასჯელი, არამედ იყო მხოლოდ დამდგმელისა და დასის ხელმძღვანელის არსობითი მოთხოვნილება.

მარჯანიშვილს პირველ პლანზე საკუთარი შემოქმედება ჰქონდა, ისევე როგორც სტანისლავსკის — სცენიური სიმართლის საკუთარი ძიებები.

[1] К. С. Станиславский. «Моя жизнь в искусстве», стр. 460.

(გაგრძელება იქნება)

# წიგნების მიმოხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დიდი პოეტის პატარა კრებული

★

წიგნების თარო ჩვენს ქვეყანაში ახლა თითქმის ყველა სახლშია, იგი მეტად ჩვეულებრივი, ყოველდღიური და პროზაული ავეჯია. მაგრამ რა სასიამოვნო და სასიხარულოა, როდესაც ყურით კი არა, სულით ისმენთ ამ თაროდან წიგნების უხმო ძახილს, წიგნების ჩურჩულს. და რა კარგია, როდესაც ამ წიგნებს ემატება ახალი, სასურველი და წარმტაცი წიგნი.

ქართველი მკითხველი გაახარა გალაკტიონის მომცრო კრებულმა, ამას წინათ „საბლიტგამმა“ რომ გამოსცა და „ასი ლექსი“ ეწოდება. გადაშლით და პირველი გვერდიდანვე რაღაც განუმეორებლად წარმტაცი სიმღერისა და სილამაზის ვერცხლის ძაფს იჭერთ და გინდათ დაუსრულებლივ მიჰყვეთ მას.

კრებული შედგენილია სიყვარულით და იმ მიზნით, რომ მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდეს სახელდახელოდ იპოვოს პოეტის ლირიკული შედევრების ნიმუშები, ისეთები, მაგალითად, როგორიცაა „მთაწმინდის მთვარე“, „ატმის ყვავილები“, „თოვლი“, „მამული“, „ვერხვები“, „მშობლიური ეფემერა“, „ლურჯა ცხენები“, „სილაქვარდე ანუ სილაში ვარდი“, „შემოდგომის ფრაგმენტი“, „ცამეტი წლის ხარ“, „მე და ღამე“, „მერი“, „გურიის მთები“, „რომელი საათია?“, „დროშები ჩქარა“, „განახლდა გული“, „გემი „დალანდი“, „მშობლიურო ჩემო მიწავ“, „ჩემი ქუთაისი“, „ჩვენ პოეტები საქართველოსი“, „იმ დღეებს ძეგლი უნდა ავუგო“, „ჩემი სიმღერა“ და სხვა.

მაგრამ კრებული უნაკლოდ შედგენილი როდია. გული გეთანაღრებათ, რომ აქ ვერ პოულობთ მთელ რიგ მშვენიერ ლექსებს, გასხივოსნებულთ ნამდვილი დიდი პოეზიით. გაუგებარია, მაგალითად, რატომ არ შევიდა კრებულში ცნობილი ლექსი „აკაკის ლანდი“ ანდა „საღამო“ ან კიდევ საუცხოო ლირიკული ქმნილება „დაბრუნება“, რომლის ცნობილ სტროფში სამშობლო მთების ფერთა ისეთი ჟღერადობაა მიგნებული, რომ სამშობლო ქვეყნის უმძაფრეს გრძნობას აღვიძებს.

„საღამოს ლანდები, ვით ბინდი ნიავის,
მიდამოს სდებია.
გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის?
ეს ჩემი სამშობლო მთებია“.

ასეთი საყვედურები კრებულის მიმართ შეიძლება განვაგრძოთ... და ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ რიცხვი „ასი“ სრულიადაც არ არის საკმაო დიდი პოეტის მემკვიდრეობის ყველა პოეტური თვალმარგალიტის დასატევად.

სავსებით მართალია ირაკლი აბაშიძე, როდესაც კრებულის მოკლე წინასიტყვაობაში წერს: „...გალაკტიონ ტაბიძეს ბევრი რამ ანათესავებს ნიკოლოზ ბარათაშვილთან... თუ ნიკოლოზ ბარათაშვილმა მეცხრამეტე საუკუნეში ქართული პოეზია აღმოსავლური მუხამბაზების გავლენას გამოსტაცა, გალაკტიონ ტაბიძემ მეოცე საუკუნის დასაწყისში იგი პროვინციული შეზღუდულობის, დაკნინების, იდეური და ფორმალური დაცემის გზას ააცდინა და მოწინავე ევროპული და რუსული თანამედროვე ახალი პოეზიის სიმაღლეზე ასწია.

მეცხრამეტე საუკუნის ახალ ქართულ პოეზიას სათავე ნიკოლოზ ბარათაშვილმა დაუდო. მეოცე საუკუნის ახალ ქართულ პოეზიას სათავე გალაკტიონ ტაბიძემ დაუდო“.

სხვადასხვა ეპოქის ამ ორ დიდ პოეტს ანათესავებს მძაფრი დრამატიული გრძნობა სამყაროსადმი დამოკიდებულებაში.

გავიხსენოთ თუნდაც სულ მცირე მაგალითი ამ ნათესაობისა.

ორი მთაწმინდის მთვარე, ორი პოეტური ხილვა, რა დიდად განსხვავებული და რა საოცრად ნათესაური.

„გინახავთ სული, ჯერეთ უმანკო, მხურვალე ლოცვით მიქანცებული?
მას ჰგავდა მთვარე, ნაზად მოარე, დისკოგადახრით შუქმიბინდული“.

ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე
წყნარი!
მდუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი
ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და
ხეებში აქსოვს,
ასე ჩუმი, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახსოვს.

უდავოა, რომ გალაკტიონ ტაბიძე — უმძაფრესი გრძნობებისა და უდიდესი, განუმეორე-

ბელი ნიჭის პოეტი — ასრულებდა უპირველეს როლს ქართული პოეზიის განვითარებაში საუკუნის დამდეგიდან ჩვენს დღეებამდე. მისი პოეზიის სათავეები დაღებულია ქართველი ხალხის 1905—1907 წლების პროგრესულ-რევოლუციურ მოძრაობაში. ამ მხრივ დამახასიათებელია პოეტის განწყობილება, გამოხატული ერთ-ერთ მის ადრინდელ ბრწყინვალე ლექსში — „გურიის მთები“. პოეტი შეჰყურებს ამ მთებს, მათ შორის ცნობილ ნასაკირალს, შეჰყურებს „განახლების თვალით მზირალ“ სოფლებს და იხიბლება მათი სიმღერის ძალით, მათი ბრძოლის ჟინით.

ჩუმად! ვიღაც მღერის მთაზე... რა ძალაა
ამ ტკბილ ხმაში!
არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ
ქვეყანაში,
არსად, არსად არ არსებობს ბრძოლის ჟინი,
ბრძოლის ქარი,
არსად ისე არ გადმოხეთქს უკმარობის
ნიაღვარი.

აი, სწორედ ეს უკმარობის გრძნობაა ყველაზე ორგანული პოეტისათვის. იგი სისავსისა და სრულყოფილობის მაძიებელი პოეტია და მუდამ იტანჯება ყოველივე ნაკლულობით. ეს გრძნობა განაწყობდა მის სულს იმისათვის, რომ განსაკუთრებული სიმძაფრით განეცადა ეპოქის ტკივილები. პირქუში სინამდვილის ღრმა წინააღმდეგობათა დაწოლით პოეტის მგზნებარე სული ეძლეოდა სევდასა და ნაღველს იმის გამო, რომ უკმარი იყო თავისუფლება, ბედნიერება, მშვენიერება და ჰარმონია ცხოვრებისა. და იბადებოდა სიმღერები მიჯაჭვული ამირანის კვნესასა და ტანჯვაზე, მთაწმინდის მთვარესა, სევდიან გედსა და ოცნებათა ლურჯ იალქნებზე, ქარით გაწამებულ ატმის ყვავილებზე, მამულზე, სადაც წინაპართა აჩრდილები მწუხარებით და სინანულით ავსებენ სულს, სატრფოს უბედურ ჯვარისწერაზე, მიუწვდომელ სანთლებზე, ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქრის უშორეს ზღაპრად შრიალზე, ქარზე, რომელიც არ ჩანს, მაგრამ მაინც ედება მწვერვალებს, მუხაზე, რომელიც პირველი ხვდება ალიონს, ლურჯა ცხენებზე უსულგულო დღეების ორომტრიალში რომ მიჰქრიან უსასრულეთში, ბედთან შეურიგებლობაზე, ღამეებთან რჩოლაზე... იბადებოდა მშფოთვარე და ტკივილებით სავსე სიმღერები, ხშირად მეტად სევდიანი და მწუხარენი, მაგრამ მშვენიერნი გრძნობათა გამოხატვის სრულყოფილობით, ემოციური დაძაბულობით, წარმტაცი შინაგანი მელოდიურობით. ამ მშვენიერი ქმნილებებით პოეტი თითქოს ახშობდა პირგახსნილ უფსკრულთა გრძნობას, რომელთაც იგი ხედავდა არსებულ სამყაროში.

ეჭვი არ არის, რომ გალაკტიონის ადრინდელ შემოქმედებაში საკმაოდ ძლიერი იყო სიმბოლისტური პოეტიკის ნაკადი. მაგრამ, როგორც ყოველი დიდი შემოქმედი, გალაკტიონი მიდიოდა თავისი საკუთარი და განუმეორებელი გზით. არსებითად მისი შემოქმედება იმ თავითვე შორს იდგა დეკადანსისათვის დამახასიათებელ საშინელ და შემაძრწუნებელ ხილვებისაგან, სიმახინჯის პოეზიისაგან, დაშლისა და რღვევის გრძნობათაგან, პორნოგრაფიისაგან... თავისი განწყობილებით თვით უაღრესად სევდიან და იმედწარკვეთილ ლექსებშიც კი გალაკტიონი პოეტური ნივთის ისეთ ნათელ ქსოვილებს აქსოვს, ფერთა და მელოდიათა ისეთ ნატიფ შეზავებას ქმნის, რომ ლექსი მთლიანად, როგორც მშვენიერი ქმნილება, ჩრდილავს თავისივე განწყობილებას.

ძვირფასო! სული მევსება თოვლით.
დღეები რბიან და მე ვბერდები!
ჩემს სამშობლოში მე მოვვლე მხოლოდ
უდაბნო ლურჯად ნახავერდები.
ჰო! ასეთია ჩემი ცხოვრება,
იანვარს მოძმედ არ ვეძნელები,
მაგრამ მე მუდამ მემახსოვრება
შენი თოვლივით თეთრი ხელები.
ძვირფასო! ვხედავ... ვხედავ შენს ხელებს,
ულონოდ დახრილს თოვლთა დაფნაში.
ილევებს, ქრება და კვლავ ილევებს
შენი მანდილი ამ უდაბნოში...

სატრფიალო ლირიკაში? მთელს ქართულ პოეზიაში ბევრი არ შეიძლება მოიძებნოს ქალისადმი ისეთი რომანტიკულად ამაღლებული, ფაქიზი, წმინდა და კდემამოსილი დამოკიდებულების მაგალითი, როგორიცაა გალაკტიონის პოეზიაში. თვით „მესაფლავეში“ — პოეტის ამ ერთ-ერთ ადრინდელ მწუხარე ლირიკულ ამბავში — სიყვარულის წარმავლობის შესახებ, არაფერია უხეში და ქვეწარმავლური (sic) — 

გალაკტიონი ყოველთვის ისწრაფვის ლექსის ფორმალური სრულყოფისაკენ, მაგრამ ფორმალისტური მის პოეზიაში არარა არის. ხელოვნებაში ყოველგვარი ფორმალიზმი არსებითად ხომ გამოდის არა უშუალო გრძნობათა და აზრთაგან, არამედ რაიმე წინასწარ აღებულ ფორმალური სქემისაგან. პოეტი კი, რომელიც წერდა სისხლის წვეთით, წერდა სასოებით, სულ ერთავად უშუალო, მოულოდნელი და ღრმად ემოციურია.

გალაკტიონი შეურიგებელ წინააღმდეგობაში იყო ძველ ქვეყანასთან და ხშირად მას აღმოხდებოდა ხოლმე გარემომცველი წყვდიადით გაწამებული სულის კვნესა.

ღმერთო, როგორ მოხდა, წვიმა მოსისხარი
თითქოს შეუწყვეტი კუპრის ნაკადია,
აღარ გათენდება ღამე საზიზღარი!
რომელი საათია? რომელი საათია?

მართალია, პოეტს ზოგჯერ ეგონა, რომ „საშველი არ არის“, მაგრამ მას არასდროს არ დაბადებია იმ სინამდვილესთან შემარიგებელი და დამამშვიდებელი სულიერი კავშირი. ძველ ქვეყანაში პოეტს არაფერი გაჩნდა ისეთი, რასაც იგი ვერ დასთმობდა და ზურგს ვერ შეაქცევდა და ამიტომაც იგი ასე გაბედულად, ასე უყოყმანოდ — თავისი განსაკუთრებული პოეტური გზით მივიდა ახალ ქვეყანასთან და გახდა მისი მომღერალი. ამ ახალ ქვეყანას პოეტი განიცდის არა მარტო როგორც ადამიანთა საზოგადოების გათავისუფლებას საუკუნებრივ სოციალურ ბოროტებათაგან, არამედ საზოგადოების იმ ძალთა გათავისუფლებითაც რომლებმაც უნდა იმუშაონ საერთოდ ადამიანთა ყოფიერებასა და მთელ სამყაროში არსებულ უსრულობათა ამოსავსებად, გამოსასწორებლად. პოეტი ხარობს მით, რომ ხედავს თავისუფალ ადამიანს — აშვებულ, ჯაჭვებ შემომხსვრეულ ამირანს და სიხარულის ამ გრძნობას ერთგვარი პოეტური ჰიპორბოლითაც გამოხატავს — „სულ რომ არ იყო ქვეყნად ღიმილი. შეხედეთ ახლა რაოდენია“-ო. მაგრამ უკმარობის გრძნობა პოეტს მუდამ წვავს. არასდროს არ ნელდება მისი წყურვილი სისავსისა, სრულყოფილობისა...

ცხადია, ბევრი რამ იმ სამყაროდან, იმ განწყობილებიდან, რომლებიც გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში აისახა, წარსულში გადავიდა და გადავა, მაგრამ ის, რაც პოეტმა შექმნა, საუკუნეებში იცოცხლებს. მარტოოდენ პურით როდი არსებობს ადამიანი. მის სულს, არა ნაკლებ ვიდრე მის სხეულს, ესაჭიროება საზრდო. მშვენიერების განცდა სულის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნილებაა.

გალაკტიონის ლექსებში ადამიანის სულის მოძრაობის იმდენი სიმართლე, სილამაზე და სინატიფეა, რომ გვჯერათ ამ სიმართლის, სილამაზისა და სინატიფის და არ გვჯერათ ადამიანის სიცოცხლის უმიზნობის მოტივისა, რაც აქა-იქ გაისმის ხოლმე პოეტის ადრინდელ ლექსებში, ანდა როგორ უნდა დაიჯეროთ უმიზნობა ადამიანის სიცოცხლისა, რომელსაც ძალუძს შექმნას ისეთი გარდუვალი ღირებულებანი, როგორიცაა თუნდაც თვით პოეტის მშვენიერი ლექსები.

ისე როგორც ხელოვნების ყოველი ჭეშმარიტი ნაწარმოები, გალაკტიონის უკვდავი ლირიკული ქმნილებანი, უკვე დამოუკიდებლად იმ მოვლენებისა და განწყობილებებისა, რომლებმაც წარმოშვეს ისინი, — იქცნენ წარუხოცელ მხატვრულ-ესთეტიკურ ფაქტებად.

გალაკტიონი არასდროს არ მოსწყვეტია მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიის უკეთეს ტრადიციებს, იგი გაბედულად აგრძელებდა და ავითარებდა მათ. მაგრამ ამავე დროს პოეტი უხვად ამდიდრებდა თავის შემოქმედებას ევროპული და რუსული პოეზიის გამოცდილებით. ეს კი არამც თუ არ ანელებდა მისი პოეზიის ეროვნულობას, არამედ, პირიქით, აღრმავებდა და აფართოებდა მას. ნამდვილად კი სწორედ ეროვნული შეზღუდულობა, რაც კულტურათა ურთიერთგამდიდრებას გამოთიშავს, აღარიბებს და ნამდვილ ეროვნულ თვითმყოფობას უკარგავს მხატვრულ შემოქმედებას.

მარტო ის, რომ გალაკტიონი ასე კარგად, ასე ძლიერ გრძნობს ქართული ენის ყველა საუნჯეს, გრძნობს მთელ მის ემოციურ-გამომსახველობით ძალას და შეუძლია ეს ძალა შესანიშნავად გამოიყენოს, — მოწმობს პოეტის მტკიცე ნიადაგობრივობას.

ბევრი რამ არის ნოვატორული გალაკტიონის პოეზიაში, მაგრამ მათი გარკვევა სპეციალური გამოკვლევის საქმეა. საერთოდ პოეტის მდიდარი მემკვიდრეობა მოელის საფუძვლიან, ყოველმხრივ კრიტიკულ განხილვას, ღრმა იდეურ-ესთეტიკურ ანალიზს. მით უმეტეს, რომ ამ მემკვიდრეობის ღრმა ემოციურობისა და მომხიბვლელი ოსტატურობის გამო ახალგაზრდობა ხალისით სწავლობს საყვარელ პოეტისაგან... დიახ, მისგან უნდა ვისწავლოთ, — ეს უეჭველად სასარგებლო იქნება, მაგრამ ვისწავლოთ არა ყველაფერი, არა სულ სხვა დროითა და პირობებით გამოწვეული განწყობილებანი, არამედ ვისწავლოთ წერა სისხლის წვეთით, წერა სასოებით. ვისწავლოთ შექმნის ოსტატობა და ქმნილებაში მთელი გულის ჩადება.

ჩვენს ხალხს უყვარს პოეტის ლექსები. ისინი ახარებენ, ახალისებენ და პოეტური შემოქმედების სიმშვენიერეს აზიარებენ მას.

მკითხველებს სრული უფლება აქვთ მოელოდნენ ჩვენი გამომცემლობებისაგან პოეტის რჩეული ლექსების როგორც უფრო ვრცელ კრებულებს, ისე მეცნიერულად დამუშავებულ თხზულებათა სრულ კრებულს. „ასი ლექსი“ პირველი კარგი ნაბიჯია ამ მხრივ.

ᲚᲐᲕᲠᲝᲡᲘ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ

## ნ. მიწიშვილის „რჩეული"

ეროვნული ბიბლიოთეკა

★

მწერალი ნიკოლოზ მიწიშვილი, რომლის რჩეული გამოსცა „საბჭოთა მწერალმა", საკმაოდ დაჯილდოვებული იყო მხატვრული ასახვის შთამაგონებელი ძალითა და ალღოთი, გონების სიმახვილით, სარკაზმული თქმით და პოეტური ოსტატობით, მაგრამ მუდამ „გზების ძიებით" გატაცებულმა ისე დალია სული, რომ მშობლიურ მიწაზე სწორი გზის „ერთი მეტრიც კი ვერ იპოვა"... ამიტომ იყო რომ „ბედის საძიებლად" პარიზს მიაშურა. პატრიოტიზმის ცეცხლით ანთებულმა მწერალმა თან წარიტაცა სამშობლოს სიყვარული, რომელსაც გულისტკივილით ეთხოვება: „მშვიდობით, მშვიდობით, ჩემო ქვეყანა, მე არაფერი მიმაქვს შენი, გარდა ერთი მუჭა მიწისა და ერთი გულისა, რომელიც სავსეა შენი სიყვარულით".

ნიკოლო მიწიშვილი მწერლობაში გამოვიდა მინიატურებითა და ესკიზებით, რომელთაც მხოლოდ უიმედობისა და სასოწარკვეთილების დაღი აჩნდა, ასე ვთქვათ, მისმა პერსონაჟებმა არ იციან საითკენ მიდიან, რატომ ცოცხლობენ ამ ქვეყნად, რა შეადგენს ცხოვრების მიზანდასახულებას და ყველა გზაჯვარედინზე კითხულობენ „საით, საით მოვდივართ?" რაზედაც ავტორი ყოველთვის დუმილით პასუხობს. მაგალითად, ასეთი უიდეო და უფერულია ნ. მიწიშვილის მინიატურები — „ტანჯვა", „წინ სიკვდილისაკენ", „ყოველივე წარმავალია", „მელანქოლია" და სხვა. საერთოდ მწერლის ადრინდელ შემოქმედების ნიმუშებს ძალიან ცოტა კავშირი აქვს ცხოვრებასთან, რეალობასთან. ურომლისოდაც მხატვრულად რაგინდ მომხიბვლელი არ უნდა იყოს ნაწარმოები — მაინც მკვდარია, არც სულს არგია და არც ხორცს. მაგრამ ოქტომბრის რევოლუციის ტალღებმა მაინც საკმაოდ შეარხიეს ნ. მიწიშვილი, რომელიც ხმამაღლა აღიარებს, რომ „დღეს საჭიროა მწერალი იყვეს რევოლუციონერი, მებრძოლი, თანამედროვე... ოქტომბრის რევოლუცია მოითხოვს საქმეს, სისხლსაც, ოფლსაც", მაგრამ ამ „სისხლ-ოფლდენას" ველარ გაუძლო მწერალმა, — „ველარ აიწიე უბრალო კაცმა ერთად ამხელა სიმძიმეო", გულწრფელად აღიარებს ის.

სარეცენზიო წიგნში ყველაზე მეტ ყურადღებას იპყრობს „ეპოპეა", რომელიც შეიცავს ქართულ ქრონიკას რევოლუციის დროიდან და ასახავს „რევოლუციით აფორიაქებულ ფენათა ყოფას და ფსიქოლოგიას, რაც ემიგრაციის მაგალითზე განსაკუთრებით რელიეფიური ხდება". აღელვებით კითხულობთ „ეპოპეის" ცალკეულ ეპიზოდებს და მის ავტორთან ერთად თითქოს დაუსრულებლად მოგზაურობთ ხმელეთზე და ზღვებში.

მართლაც და რა მკვეთრად და მოხდენილი სარკაზმით აგვიწერს ავტორი ემიგრაციის საწყალო მდგომარეობას, რამაც ბევრი გაუბედურებული „უბრალო" ქართველი სამარის კარამდე მიიყვანა. მათ აგონდებათ „დაკარგული სამოთხე" — საქართველო და აქაურ საჭმელების ხსენებაზეც კი ნერწყვი ადგებათ.

ეს საწყალი ხალხი და თავისი თავიც ეცოდება ნიკოლო მიწიშვილს. უცხოეთში გადახვეწილი მწერალი უფრო მძაფრად გრძნობს თავისი სამშობლოს სიყვარულს და ნაღვლიანად ფიქრობს: „როგორი ტკივილით ეძახის მიწა თავის დაკარგულ შვილებს"...

ნიკოლოზ მიწიშვილმა პოეზიაშიაც შეიტანა თავისი წვლილი, მაგრამ სიმბოლიზმით დაავადებულ ავტორის წინადროინდელ ლექსებსაც, თავმოყრილთ „შავ ვარსკვლავებში", ახასიათებს იგივე უიმედობა და ბუნდოვანება. ამ ლექსების უმეტესობა დაწერილია უცხოეთში და ამიტომ გასაკვირიც არ არის, რომ საქართველოს მოწმენდილ, ლაჟვარდოვან ცაზე ის ვერ ხედავს ბრწყინვალე ვარსკვლავს, რომელიც იქ მას შავად ეჩვენება. „თანამგზავრობის" პოზიციაზე მდგარ პოეტს, ჯერ კიდევ „გადახრები" ახასიათებს, რასაც თვითონვე გულწრფელად აღიარებს ლექსში — „უსახელო".

მომაკვდინებელ გადახრების ღამჩემდა ქინი,
—მე გადახრილად ვჭამე, თურმე, ვსვი
დავიძინე.
მინდა გავსწორდე, გავაშეშო ბრძოლა,
ყიჟინა..
მაგრამ ერთხელაც გადუხრელად ვერ
გავიცინე.

საკმაო წლებმა განვლო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან, ბევრი რამ შეიცვალა, განახლდა ჩვენი ერის ცხოვრება, მაგრამ ნ. მიწიშვილის მერყეობა და გადახრები კვლავ უცვლელი რჩება, რასაც ასე ასახავს ერთს თავის ლექსში:

ამხანაგებო, ორივე მხრიდან
ამ წლების ტალღა მისრესდა გვერდებს.
მარჯვნივ — წარსული ნაცარს მაყრიდა
მარცხნივ ახალი მინგრევდა გვერდებს.

მაგრამ ეს „ახალი", კომუნისტური სიახლენი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ათი წლისთავზე, როცა ძირფესვიანად შეიცვალა, აღორძინდა და გაიფურჩქნა ჩვენი ქვეყნის კულტურა და ეკონომიკა, — მკვეთრად აღიქვა ნ. მიწიშილმა, რასაც ნათლად ადასტურებს 1931 წლის 25 თებერვლით დათარიღე-

ბული მისი ლექსის, შემდეგი ასე ვთქვათ სადეკლარაციო კუპლეტი, რომლითაც ის მიმართავს სოციალიზმის მშენებლობაში ჩაბმულ საქართველოს მშენებლებს:

მე თქვენთანა ვარ ამ დიდ შარაზე,
როგორც პოეტი და მოქალაქე,
როგორც მესტამბე, როგორც ხარაზი,
როგორც მუშა და როგორც დალაქი —
— რომ დედამიწა შებრუნდეს მზისკენ
და არ შესჭამოს პატარა დიდმა,
სოციალიზმის მეწამულ გზისკენ
გადაგვატაროს ლენინის ხიდმა.

ასევე ხმამაღლა და. მოხდენილად უმღერს მიწოშვილი საქართველოს აღორძინებისათვის მებრძოლ ქართველ ხალხს თავის სხვა ახალ ლექსებშიაც: „გემი „აფხაზეთი“, „დილა“, „კოლხიდა“, „გურიაში“, „წერილი სერგო ორჯონიკიძეს გურიიდან“ და სხვ.

„ჩვენს პოეზიაში მე მეკუთვნის ერთი თარო“, სამართლიანად ამბობს ნიკოლო, მაგრამ ეს თარო უფრო ბარაქიანი და სავსე იქნებოდა, რომ სიმწიფის პერიოდში ის არ გაცლოდა ამ ქვეყანას და ვფიქრობთ ჩვენს მიერ მოკლედ განხილული მისი „რჩეული“ მაინც დიდხანს შერჩება ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებას, რომლის მკვლევარი ნიკოლო მიწოშვილს გვერდს ვერ აუვლის.

**გრიგოლ მაჭავარიანი**

---

## იპ. ვართაგავას „კრიტიკული წერილების“ შესახებ

★

ჩვენი ლიტერატურული კრიტიკის უხუცესი წარმომადგენელი იპ. ვართაგავა დიდი ხანია მუშაობს სალიტერატურო ასპარეზზე და მისასალმებელია, რომ ნაყოფიერად განვლილი ვრცელი გზის შემდეგ გამომცემლობა „ცოდნამ“ მკითხველებს მიაწოდა მისი „კრიტიკული წერილების“ პირველი ტომი. ისიც აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ხანდაზმულობისა იპ. ვართაგავა ამჟამადაც სიყვარულით განაგრძობს კრიტიკის დარგში მუშაობას (ამის მკაფიო დადასტურებაა მისი ვრცელი ნაშრომი „ფილოსოფიური ოპტიმიზმი, ფსიქოლოგიური პრობლემები და ხალხურობა ვასილ ბარნოვის მოთხრობებში“. რომელსაც სარეცენზიო წიგნის 462-634 გვ. უჭირავს).

„კრიტიკული წერილების“ პირველ ტომში გარდა ზევით დასახელებული ნაშრომისა წარმოდგენილია შემდეგი წერილები: „აკაკი როგორც სატირიკოსი“, „სიმღერა მთის შვილის— ვაჟა-ფშაველასი“, „სოფელი და სოფლელები სოფრომ მგალობლიშვილის მოთხრობებში“, „რაფ. ერისთავის შემოქმედება“, „შიო მღვიმელი და ბავშვთა სამყარო“, „მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება“, „ი. ევდოშვილი“, „ია ეკალაძის შემოქმედება“, „პოეტი-მოქალაქე, გრ. აბაშიძის პოეზია“ და „დუტუ მეგრელის მოთხრობები“. ამ წერილებში ბევრი საყურადღებო მოსაზრებებია გამოთქმული და გასაზიარებელი, ბევრიც სადავო. ამიტომ რამდენიმე შენიშვნა გვინდა გამოვთქვათ, მით უმეტეს, რომ ამ წიგნით უეჭველად ისარგებლებს ჩვენი ლიტერატურით დაინტერესებული ახალგაზრდობა, რომელსაც სურს ღრმად იცოდეს, ვთქვათ, „გველის მჭამელის“ დედა-აზრი, მისი მხატვრული ღირსება, მინდიას ტრაგედიის მიზეზები ან მიხ. ჯავახიშვილის შემოქმედება და ა. შ.

პირველ წერილში საკმაოდ მკაფიოდაა დახასიათებული ა. წერეთლის სატირა, რომელიც მიმართული იყო გადაგვარებულ ქართველთა წინააღმდეგ და მიზნად ისახავდა აღმოეფხვრა ჩვენს საზოგადოებაში გავრცელებული მრავალგვარი მანკიერება. ასეთ შემთხვევაში აკაკი მოურიდებელი იყო, მისი ბასრი კალამი არავის ინდობდა და სააშკარაოზე გამოჰქონდა ყველაფერი, რაც ჩირქს ცხებდა ჩვენს ეროვნულ ღირსებას. მაგრამ როგორც კრიტიკოსიც სამართლიანად აღნიშნავს, ეს გამოწვეული იყო იმ მგზნებარე სიყვარულით, რომელსაც დიდი მგოსანი სიკვდილამდე ჩაუქრობლად ატარებდა გულში თავის ხალხისა და სამშობლოსადმი. შეგნებულად მიმართავდა რა სატირას გადაგვარებულთა წინააღმდეგ, აკაკის მათთან ბრძოლაში ზოგჯერ სასოწარკვეთილების ხმაც აღმოხდებოდა. მაგრამ „ასეთ სულიერ განცდას“ იმით ვერ ავხსნით, რომ აკაკი „ერთ დროს ყველასგან დევნილი იყო“ (გვ. 24), რადგან აკაკი „ყველასგან დევნილი“ (თუნდაც ერთ დროს!) არასოდეს არ ყოფილა.

საყურადღებოა ი. ვართაგავას კრიტიკული ეტიუდი „სიმღერა მთის შვილის — ვაჟა-ფშაველასი“. იგი პირველად ჟურნ. „განათლების“ 1913 — 1914 წლის ნომრებში დაიბეჭდა. ვაჟა ქართველი ხალხის უსაყვარლესი მგოსანია, რომლის შემოქმედება ჰუმანიზმით, გმირული პათოსით და პატრიოტული სულისკვეთებით არის გამსჭვალული. ი. ვართაგავას ზემოდასახელებულმა ეტიუდმა თავის დროზე დიდი გამოხმაურება ჰპოვა და თვით ვაჟას პასუ-

ხიც გამოიწვია. ამ კრიტიკულ წერილში ბევრი რამ არის მისაღები და სწორად ახსნილი, მაგრამ წარმოდგენილია ისეთი დებულებებიც, რომლებიც არავის გაუზიარებია (დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. ი. ბოცვაძის მიერ შედგენილი ქრესტომათია „ვაჟა-ფშაველა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში", I, შესავალი წერილი).

სამწუხაროდ, ი. ვართაგავას „კრიტიკულ წერილებს" არ ახლავს არც წინასიტყვაობა, არც ბოლოსიტყვაობა, არც შენიშვნები, რომელთა მიხედვით შეგვეძლო გაგვერკვია ავტორის ახლანდელი შეხედულებანი ვაჟას შემოქმედების ამა თუ იმ საკითხზე. ამიტომ ზოგიერთ მათგანს შევეხებით.

ალეგორიულ ფორმას რომ ხშირად მიმართავს ვაჟა ეს უეჭველია. ამას თავის დროზე იწვევდა უკუღმართი სოციალურ-პოლიტიკური და ეროვნული პირობები. მაგრამ ყველგან ალეგორია ვეძიოთ? ჩვენი აზრით, ეს არ იქნებოდა სწორი. მაგალითად, ი. ვართაგავა იხილავს ვაჟა-ფშაველას „კლდე და მდინარეს" და დაასკვნის: „უახლოესი აზრი ამ ალეგორიისა ჩვენთვის ცხადია: აქ „მდინარის" ქვეშ იგულისხმება საქართველო, „კლდის" ქვეშ კი — მისი თავისუფლად განვითარების და წინსვლის ხელისშემშლელი გარემოებანი". (გვ. 103).

ჩვენი ფიქრით კი აქ დასმულია იგივე საკითხი, რაც დ. გურამიშვილსა და ი. ჭავჭავაძესაც აწუხებდათ. ესაა მოძრაობის, მოქმედებისა და გარჯის საკითხი, რაც საერთოდ მიმართულია მცონარეობისა და უმოქმედობის წინააღმდეგ. ადამიანი აქტიურობას უნდა იჩენდეს და შრომობდეს. მოქმედებისა და მოძრაობის სიმბოლოდ დ. გურამიშვილს მჩქეფარე და დაუდეგარი მდინარე მიაჩნდა.

მოძრაობის ფილოსოფიის დასასაბუთებლად მდინარის სახეს მიმართეს ი. ჭავჭავაძემ და ვაჟა-ფშაველამაც. მჩქეფარე მდინარე გაღვიძებული, მოქმედი ადამიანის სახეა, იგი იბრძვის და იმარჯვებს. სწორედ ამითაა უფრო ძვირფასი ჩვენთვის „კლდე და მდინარე".

სრულიად დაუსაბუთებელი აზრები აქვს გამოთქმული ი. ვართაგავას ვაჟას პოემების, კერძოდ „გველის მჭამელის" შესახებ. ავტორის აზრით, ვაჟამ ხალხური თქმულებები მზამზარეულად აიღო: „ჩვენმა პოეტმა არამც თუ ვერ გაართულა ეს ქმნილება ხალხის ფანტაზიისა, არამედ მას თავიც ვერ დაუღწევია მისი ზეგავლენისათვის როგორც იდეის, ისე მომეტებულად ფორმის მხრით. როდესაც კითხულობთ ვაჟას პოემებს, თქვენ გგონიათ, რომ ვიღაცას უცვლელად ჩაუწერია ხალხში დარჩენილი ლამაზი თქმულება და თქვენდა დასატკბობად დაუბეჭდიათ: იგივე ხალხური ენა, იგივე რითმა, იგივე ხალხური შედარებები, ეპითეტები, ტროპები, იგივე ხალხის შეხედულების, რწმენის მოხაზულობა და ხასიათი, იგივე ხალხური ჰანგები, იგივე ხალხური იდეალები!

...სახამ ის „ძველი ამბები", რომლებიც [illegible]კად აუღია ვაჟას თავისი პოემისათვის, შეუცვლელად არ ჩაიწერება და არ გამოქვეყნდება, მანამდე ძნელია გადაჭრით თქმა, თუ რა ეკუთვნის პოემაში ხალხის გენიოსობას და რა შეუტანია თვით მგოსანს" (გვ. 106).

ამას დავუმატოთ ისიც, რომ პოემების მხატვრული შეფასებისათვის ავტორს აინტერესებს იცოდეს, თუ „რამდენი შრომა გასწია ვაჟამ თავისი პოემის, თუ გინდ „ალუდა ქეთელაურის" და „გველის მჭამელის" შექმნის დროს; რამდენი დაკვირვება, შეცვლა-გამოცვლა, გადაწერა დასჭირდა მას". შემდეგ ასახელებს იმ მწერლებს, რომლებმაც ხუთჯერ, ათჯერ და ოცჯერ გადაწერეს, გადაამუშავეს თავიანთი ნაწარმოებები... „ჩვენს მხატვრებს და მწერლებს კი, გარდა ილიასი, ჯერაც ვერ შეუთვისებიათ ეს ყველა შემოქმედისათვის უსაჭიროესი თვისება — მედგარი შრომა და დაკვირვება; მათ ჯერაც ვერ შეუგნიათ მთელ სულიერ ძალთა მობილიზაციის საჭიროება მხატვრულ შემოქმედების სიმწვავ-სიძნელის დასაძლევად და დასაამებლად" (გვ. 112 — 113).

რასაკვირველია, კარგია, რომ ვიცნობდეთ მწერლის შემოქმედებითს ლაბორატორიასაც, მაგრამ ეს არაა გადამწყვეტი ნაწარმოების შეფასებისათვის. ჩვენ სრულებით არ ვიცით, რამდენ წელიწადს წერდა შ. რუსთაველი „ვეფხისტყაოსანს" ან რამდენჯერ შეასწორა-გადაწერა ის, მაგრამ განა ამის ცოდნის გარეშე კი ვერ აფასებენ მის გენიალურ ქმნილებას?

ასე რომ სრულიადაც არაა სავალდებულო ვიცოდეთ რამდენი „ოფლი დაღვარა" ვაჟამ თავის ნაწარმოებთა შექმნაზე და ამით შევაფასოთ კარგია თუ სუსტი მისი ნაწარმოებნი.

აქ არაფერს ვიტყვით, „გველის მჭამელის" დედააზრისა და მისი პერსონაჟების შინაგანი ბუნების გაგებაზე. კრიტიკულ ეტიუდში ამ მხრივ ბევრი რამ არის სადავო. სავსებით მიუღებელია ავტორის განცხადებაც, რომ ის, რაც „ლექსს ალვარებს, რაც ჰარმონიას და სინარნარეს მატებს მას, რაც აფოლადებს ლექსს და რაც მგოსანს შრომა-მუყაითობასა და ტექნიკურ ცოდნაზეა დამოკიდებული, ე. ი. ის, რასაც ეძახიან „ლექსთა წყობას", ვერსიფიკაციას, ვაჟას, ჩვენი აზრით, არ უვარგა: მისი ლექსთა წყობა ერთფეროვანი, შაბლონურია" (გვ. 124).

ჩვენში ბევრი პოეტი იყო, რომლებიც „შრომა-მუყაითობით" და „ტექნიკური ცოდნით" ქმნიდნენ ლექსებს, მაგრამ საეჭვოა ქართულ პოეზიას დიდხანს შერჩნენ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვადასხვა „ლექსთა წყობით" არის დაწერილი. მათ აკლიათ ის პოეტური ცეცხლი, რაც უხვად აქვს მიმადლებული ვაჟას ლექსებ-

სა და პოემებს და რაც ჭეშმარიტად აფოლადებს და აელვარებს გენიალური მგოსნის პოეზიას.

მიუღებელი აზრები აქვს გამოთქმული ი. ვართაგავას XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ მწერლობასა და მწერლებზე სტატიაში „რ. ერისთავის შემოქმედება“. აი, მაგალითად, როგორ ახასიათებს კრიტიკოსი ზემოდასახელებულ პერიოდს: „ზნეობრივი გახრწნა და უიდეალობა იქამდის იყო მისული, რომ ისეთმა ღიდბუნებოვანმა და ზეგარდმო მადლით ცხებულმა მგოსნებმაც, როგორიც იყვნენ ალ. ჭავჭავაძე, ვახ. და გრ. ორბელიანები და რ. ერისთავი, ვერ მოახერხეს, რომ დროებით მაინც არ ჩაყურყუმალებულიყვნენ ამ ფუქსავატი და გამხრწნელი ცხოვრების ‚უფსკრულში“ (გვ. 178). ეს კიდევ არაფერი. — „იმ დროს, როდესაც პოლიტიკურად გაძლიერებული, გონებით გამოფხიზლებული და თავისუფალი ძლიერი რუსეთის შვილები — საუკეთესო მწერლები უკეთეს მომავლისაკენ მიისწრაფოდნენ, მოწინავე და ჰუმანიურ იდეალებს ქადაგებდნენ და თავსაც კი სწირავდნენ ამ იდეალებს, — ამ დროს, „ჩაბალახ ჩამოხსნილი“ საქართველოს საუკეთესო შვილნი, გარდა ნ. ბარათაშვილისა, არშიყობას, მიჯნურობას, ღვინოს და ქეიფს შეტრფოდნენ და უმღეროდნენ. ალოლაც ასეთი უნდა“ (გვ. 180)

ნუთუ ალ. ჭავჭავაძეს, გრ. და ვახ. ორბელიანებს, სოლ. დოდაშვილს, გ. ერისთავსა და სხვ. იდეალები არ ჰქონდათ, სამშობლოს კეთილდღეობისათვის არ იღწვოდნენ და დროს მხოლოდ ქეიფსა და არშიყობაში ატარებდნენ? ეს ლიტონი განცხადებაა, ყოველგვარ საბუთს მოკლებული და XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ ლიტერატურასა და მწერლებზე მკითხველს არასწორ წარმოდგენას უქმნის.

გულთბილადაა დაწერილი „ირ. ევდოშვილის შემოქმედება“. სწორად მიგვაჩნია ი. ვართაგავას მსჯელობა საერთოდ „პოემის“ შესახებ, რომ გაუმართლებელია მოზრდილ ლექსს ან მექანიკურად გადაბმულ ლექსთა წყებას პოემა ვუწოდოთ (გვ. 322), მაგრამ უმართებულოა ის შეფასება, რომელსაც ის აძლევს ი. ევდოშვილის ნაწარმოებს „მუზა და მუშა“. „ეს ნაწარმოები მხოლოდ დრამატული სურათია, მაგრამ უხერხულად, გადამეტებული ბრჭყვიალა საღებავებით დახატული. ამ ლექსში პოეტი თითქოს სინთეზს უკეთებს ყოველივე იმას, რაც მან სხვადასხვა ლექსებში ნაწყვეტ-ნაწყვეტად გამოსთქვა ცხოვრებაზე, მის უკუღმართობაზე, მშრომელ ხალხზე და მის ბედზე, მდიდრებზე, ძლიერებზე და სხვადასხვა. ამ ლექსში ფრაზეოლოგია მეფობს, რაც უსიამოვნოდ მოქმედებს მკითხველებზე“ (გვ. 323). არა, უსიამოვნოდ არ მოქმედებს მკითხველებზე! აქ მკვეთრადაა დასმული საკითხი: ვის უნდა ემსახურებოდეს მუზა (ხელოვნება). განზე იდგეს და სიყვარულს უმღეროდეს, თუ ცხოვრების სიღრმეში შეიჭრას და დაჩაგრულს ამხნევებდეს? პოეტის ღრმა რწმენით პოეზია მშრომელებს უნდა ემსახურებოდეს, მის ჭირვარამს ასახავდეს და მომავლის იმედს გულში უნერგავდეს. ეს ძალიან კარგად არის გადმოცემული ზემოდასახელებულ ნაწარმოებში.

საინტერესოა ვ. ბარნოვის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ვრცელი ნარკვევი. საფუძვლიანად არის განხილული ვ. ბარნოვის მთელი რიგი მოთხრობები (განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას „ტკბილი დუდუკის“ შესახებ).

სადავოა ი. ვართაგავას გაგება ნაწარმოების ხალხურობის შესახებ. მას მოჰყავს ვრცელი ამონაწერი ვ. ბარნოვის ერთ-ერთი მოთხრობიდან, რომელშიც „კოჰაობის“ სურათია აღწერილი და დაასკვნის: „ვაშა მხატვრის კალამს!. აი, ეს არის ნამდვილი ხალხურობა!“ (გვ. 616). „თებერას დანიშნულის“ შესახებ შენიშნავს: „ხალხურობა ამ მოთხრობასაც ახასიათებს. ყველა მოქმედი პირი (დადებითი ან უარყოფითი) დაბალი წრიდანაა აღებული“ (გვ. 556). ნაწარმოების ხალხურობის განსაზღვრისათვის არც ერთი ეს მომენტი არაა მთავარი.

„კრიტიკული წერილების“ პირველ ტომში დაბეჭდილია აგრეთვე „შიო მღვიმელი და ბავშვთა სამყარო“, რომელიც კარგად წარმოადგენს ამ შესანიშნავი საბავშვო პოეტის სახეს. მკითხველისათვის უდავოდ საყურადღებო იქნება წერილები, რომლებიც მიძღვნილია რ. ერისთავის, ია ეკალაძის, ვრ. აბაშიძის და დ. მეგრელის შემოქმედებისადმი.

მაგრამ როგორც ზევით აღვნიშნეთ, ყოვლად შეუძლებელია შენიშვნა-განმარტებათა გარეშე ასეთი წიგნის დაბეჭდვა. სწორედ ამ შენიშვნების უქონლობა იწვევს იმ უხერხულობას, რასაც ადგილი აქვს „ი. ევდოშვილის შემოქმედების“ კითხვისას. სქოლიოში აღნიშნულია, რომ ზემოხსენებული სტატია დაიბეჭდა 1913 წელს ჟურნ. „განათლებაში“. ტექსტში კი (324 გვერდიდან) ციტატები მოყვანილია 1915, 1916 და 1958 წლების გაზეთებიდან და გორში გამოცემული ალმანახიდან. საქმე ისაა, რომ ავტორს ძირითადი ტექსტისათვის დაუმატებია შემდეგში დაწერილი „მოგონებების“ ერთი ნაწყვეტი, რომელიც თავისთავად ძალიან საინტერესოა, მაგრამ „განათლებაში“ დაბეჭდილ სტატიას არ უკავშირდება.

მიხეილ კეკელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გ. ნატროშვილის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების კრებული

★

„განახლების მებაირახტრე“, — ილია ჭავჭავაძის ეს სიტყვები გიორგი ნატროშვილს თავისი კრიტიკული წერილების ახალი წიგნის სათაურად აქვს აღებული. და მართლაც, ჯერ ერთი ილია ჭავჭავაძეს ნამდვილად შეფერის წიგნში გარჩეულ თანამედროვე ავტორების სულიერი წინამძღოლობა, ხოლო მეორე მხრივ, ამ სათაურით გაერთიანებულ წერილებში განხილულია ისეთი ავტორები, რომლებიც თვითონ არიან შემოქმედებითი განახლების მედროშენი ჩვენი ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრში მისი განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

წერილში „განახლების მებაირახტრე“ მოკლედაა მოხაზული ის ლიტერატურული და საზოგადოებრივი საფუძვლები, რომლებიც ილია ჭავჭავაძის შემოქმედების განმსაზღვრელ პირობად იქცა; აგრეთვე ლაკონიურადაა გათვალისწინებული ის ესთეტიკური და განსაკუთრებით სოციალურ-საზოგადოებრივი ხასიათის ღირებულება, რომელიც ჩვენმა სასიქადულო მწერალმა შესძინა მშობლიურ ხალხს.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართველმა ხალხმა განსაკუთრებით მწვავედ იგრძნო ეროვნული პრობლემის გადაჭრის აუცილებლობა, სულიერი და მატერიალური ცხოვრების ყველა სფეროში თავისი სასიცოცხლო ინტერესების უაღრესად აქტიური დაცვის საჭიროება. ილია ჭავჭავაძე სწორედ ქართველი ხალხის ამ ეროვნულ მისწრაფებათა მესიტყვე და იდეოლოგი იყო. მისი შემოქმედების მთავარი ნაკადიც ამ მიმართულებით წარიმართა.

მაგრამ იმ დროს ქართველ ხალხს სხვა წუხილებიც ჰქონდა: ბატონყმური ცხოვრების ნაშთები ამძიმებდა ქართველი გლეხობის ცხოვრებას და ილიას არ შეეძლო უსიტყვოდ დარჩენილიყო მშრომელი ქართველი ადამიანის ბედის მიმართ და მწერლის შემოქმედებამაც ამგვარად კლასობრივი შეფერილობა მიიღო. სწორედ ამ ორი განსხვავებული ტენდენციის—ეროვნულის და კლასობრივის ურთიერთშერწყმამ განსაზღვრა, ერთის მხრივ ილია ჭავჭავაძის შემოქმედების წინააღმდეგობრივი ხასიათი, ხოლო მეორეს მხრივ დაუკავშირა ის ადამიანური ცოდნის სხვადასხვა სფეროს. როგორც სამართლიანად, აღნიშნავს გ. ნატროშვილი ილ. ჭავჭავაძეს ახასიათებდა განსაცვიფრებელი „უნივერსალიზმი,“ „მრავალმხრივი განსწავლულობა“, „აზრის სიძლიერე და პრაქტიკული გამჭრიახობა“ (გვ. 11).

ლიტერატურული მემკვიდრეობიდან, რომელმაც განმსაზღვრელი გავლენა იქონია ილია ჭავჭავაძის პოეტიკისა და მსოფლმხედველობის დამუშავებაში, კრიტიკოსი მიუთითებს ორ ძირითად წყაროზე: რუს რაზნოჩინელებსა და ჩვენს თანამემამულე ნიკოლოზ ბარათაშვილზე. გ. ნატროშვილი დამაჯერებლად ითვალისწინებს ამ გავლენათა ბუნებრიობასა და კეთილისმყოფობას ილ. ჭავჭავაძის მიმართ. გ. ნატროშვილი ასახელებს ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებებს „ბედი ქართლისა“, „საფლავი მეფის ირაკლისა“ და აღნიშნავს რომ ეს წყაროები „ასაზრდოებდნენ ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობას“ (გვ. 16). ძნელი არაა კრიტიკოსის ჩანაფიქრს მივუხვდეთ. დასახელებული პოემითა და ლექსით ილიას მსოფლმხედველობის ის ნაწილია ნასაზრდოები, რომელიც საქართველოს რუსეთთან შეერთების მნიშვნელობას შეეხება. ილიას მსოფლმხედველობა ეროვნულ საკითხში ჩამოყალიბდა იმ ნაწარმოებების იდეურ საფუძველზე, სადაც ნ. ბარათაშვილი თაყვანს ცემს მრავალნაღვაწი მეფეს საქართველოს რუსეთთან შეერთების ბრძნული გადაწყვეტილების მიღებისათვის. პროგრესული ქართველი მოღვაწეები კარგად ხედავდნენ ერთის მხრივ იმ ფაქტს,რომ რუსეთთან შეერთებით მოიხსნა ქართველი ხალხის ფიზიკური განადგურების საფრთხე, რისთვისაც ისინი კმაყოფილებას გამოთქვამდნენ რუსეთის სახელმწიფოებრივ შემადგენლობაში საქართველოს შესვლით, მაგრამ მეორე მხრივ ყურადღების გარეშე ვერ დარჩებოდა ის კოლონიური პოლიტიკა, რასაც მეფის მთავრობა ეწეოდა ქართული ეროვნული კულტურის შენარჩუნებისა და განვითარების წინააღმდეგ. ილია ჭავჭავაძე მართალია მრავალჯერ აღნიშნავდა რუსული კულტურის დიდსა და სასურველ გავლენას ქართულ კულტურაზე, მაგრამ ამავე დროს უპირისპირდებოდა დიდმპყრობელურ შოვინიზმის ყოველგვარ გამოვლინებას. მაგალითად, არ შეიძლება მნიშვნელობა დავუკარგოთ იმ ჭეშმარიტად გმირულ ბრძოლას, რასაც დიდი ილია ეწეოდა მეფის მოხელის კატკოვის, ამ ბნელეთის მოციქულის, წინააღმდეგ თავისი ერის უფლებების დასაცავად.

როგორც ვხედავთ საქართველოს რუსეთთან შეერთების მნიშვნელობის საკითხს ორი მხარე აქვს და კარგი იქნებოდა გ. ნატროშვილს საკითხის მეორე მხარეც არ გამორჩენოდა მხედველობიდან.

---

გიორგი ნატროშვილი. „განახლების მებაირახტრე.“ „საბჭოთა საქართველო“. 1959.

გ. ნატროშვილი ძირითად ხაზებში მიუთითებს იმ ახალზე, რაც ილიამ შემოიტანა ქართულ ლიტერატურაში.

ქართველი ხალხის ინტერესების მესიტყვემ და ქართველი გლეხობის ქომაგმა ლიტერატურა აღჭურვა პრაქტიკულ ცხოვრებასთან შეგუების უნარით, მხატვრული ლიტერატურის თემატიკა, იდეური მხარე შეუხამა ცხოვრების, მოწინავე საზოგადოების ინტერესების საჭიროებას, მაგრამ ლიტერატურა მხოლოდ იდეურ-თემატიკური მომენტებით ვერ მივა ცხოვრებასთან ახლოს, თუ გაუთვალისწინებელია მისი კონკრეტული, გრძნობადი მხარე. საკითხის ამ მხარემ ილია მიიყვანა ქართული მხატვრული სიტყვის რეფორმატორის როლამდე. ილიას ერთერთი უდიდესი დამსახურება ის იყო, რომ მან ქართული სალიტერატურო ენა გაწმინდა მოძველებულ სინტაქსისაგან, არქაული სიტყვებისაგან და ჩამოაყალიბა ცოცხალი მხატვრული სახეების შექმნის ტრადიცია.

ანალოგიური ხასიათისაა ილიას მიერ ქართულ ლიტერატურაში შრომის თემის შემოტანა, რასაც თავის დროზე დიდი დემოკრატიული მნიშვნელობა ჰქონდა.

ცენტრალური ადგილი ილიას შემოქმედებაში პატრიოტულ მოტივს უკავია. როგორც სავსებით სწორად მიუთითებს გ. ნატროშვილი ილია ჭავჭავაძის პატრიოტიზმის ღრმეს ჰუმანიზმსა და კეთილშობილობას ამტკიცებს ის გარემოება, რომ მისი ეროვნული გრძნობა არ არის მხოლოდ ქართველი ხალხის ისტორიული მდგომარეობით წარმოშობილი. ილ. ჭავჭავაძის ეროვნული სულისკვეთება განაზოგადოებდა იმ დროინდელი ცივილიზებული კაცობრიობის საუკეთესო მიდრეკილებებს. ჩვენი სახელოვანი პოეტის სასიქადულოდ უნდა ითქვას, რომ იტალიელი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისათვის იგი თითქმის ისეთივე უშუალობით ალიქვამდა, როგორც ქართველი ხალხის მიერ თავისუფლებისაკენ ყველა წინგადადგმულ ნაბიჯს.

გ. ნატროშვილმა თავის წერილში წინ წამოსწია ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც, ჩვეულებრივად, კრიტიკოსებს მხედველობის გარეშე რჩებათ.

ილ. ჭავჭავაძის მოღვაწეობა იყო უწყვეტი ბრძოლა არა მხოლოდ პოლიტიკური და ლიტერატურული მტრების, არამედ თანამოკალმეთა და თანამოზიარეთა წინააღმდეგაც კი. ამ ბრძოლით, მისი მეგობრების მიერ დაშვებული თვითეული შეცდომის წინააღმდეგ გაწეული ბრძოლით, ილია ჭავჭავაძე საქართველოში ქმნიდა საზოგადოებრივი კრიტიკული აზრის ულრესად საჭირო ტრადიციას. ხშირად ეს ბრძოლა ამჟღავნებდა ჩვენი ქვეყნის ნაკლოვან მხარეებს, ნაკლოვანებას არა მხოლოდ ცალკეულ ადამიანთა ზნეობრივი მანკიერების გაგებით, კიდევ მეტი — ნაკლოვანებას, რომელიც დაკავშირებული იყო თვით ქართველი ხალხის ადათთან, მამა-პაპისეულ ჩვევებთან. ილიას კარგად ესმოდა, რომ ქართველი ხალხი არ უღრის რომელიმე უზნეო ქართველს და ქართული ეროვნული ჩვეულებების ერთობლიობა — რომელიმე ჩვეულებას. ამიტომ იბრძოდა ის ასეთი თანმიმდევრობით, ასე თავგანწირულად. მართლაც არცერთ ერს არ გამართლებია თავის სწრაფვაში პროგრესისაკენ თუ ის გადაჭრით არ გათავისუფლებულა მისი დამამძიმებელი ადათებისაგან.

გ. ნატროშვილის წიგნში აგრეთვე განხილულია ილია ჭავჭავაძის ვრცელი წერილი „შინაური მიმოხილვა“.

ილია ამ წერილშიც ერთგული რჩება საკუთარი თავის: პრინციპული მნიშვნელობის თეორიულ საკითხებს იგი განიხილავს ერის საჭიროებისადმი შესაბამისობის ასპექტით. კრიტიკოსი დაწვრილებით აანალიზებს „ყოფნა-არყოფნის“, „ამაოების“, ამ ცხოვრების „წარმავლობის“ საკითხს. თუ იუდეველთა უბრძნესმა და უწარმატებულესმა მეფემაც — სოლომონმა—ცხოვრებას „ამაოთა ამაოება“ უწოდა ჩვეულებრივი მოკვდავებისათვის რაღას უნდა წარმოადგენდეს იგი?

ილია თავისებურად მიუდგა საკითხს: ეროვნულ ნიადაგზე დააყენა იგი, აჩვენა ქართველ მკითხველს, რომ მას თავისი მდგომარეობით დიდი მანძილი აშორებს იმათგან, ვისაც ცხოვრების სიტკბოებამ გული მოუჭრა. ილიას თანამედროვე ქართველის წინაშე ვერ დადგებოდა „ამაოთა ამაოების“ საკითხი რადგან მას თითოეული უმნიშვნელო პირადი ან საზოგადოებრივი წარმატება ადამიანური ბედნიერების იდეალად ეჩვენებოდა.

გ. ნატროშვილის წიგნში ვრცლადაა განხილული შესანიშნავი ქართველი პოეტი გიორგი ლეონიძე.

გ. ლეონიძის პოეზია აღბეჭდილია ისეთი თავისებურებით, რომ ზოგჯერ გამოცდილი მკითხველიც კი ეჭვდება გ. ლეონიძისათვის დამახასიათებელი მხატვრული სახეების კანონიერებაში. პოეტის მხატვრული ხედვა ესოდენ ემიჯნება ბევრ მაღალკვალიფიციურ ქართველ ავტორის ხედვას, რომ ზოგჯერ იქმნება მათი როგორც შეურიგებელთა დაპირისპირების ცდუნება, მაგრამ საბედნიეროდ, საქმე არ თხოულობს ამ დაპირისპირებას: ქართული ენის სტიქია და ქართული ფსიქიკის თავისებურება უმტკივნეულოდ მოიცავს გ. ტაბიძის იდუმალ თრთოლვას, ი. გრიშაშვილის სატრფიალო ლირიკის ნაზ ლალადს და გ. ლეონიძის პოეზიის ლტოლვას ადამიანური სიხარულის შესაგებებლად.

გ. ლეონიძის პოეზიის საგანი ნათელია, რამდენადმე ტრადიციულიც: პოეტი უმღერის ვაჟკაცობას, მშვენიერ ქალს, მშობლიურ ქვეყანას, მეგობრობას და სხვა. ადამიანური ბედნიერების და ზნეობის ეს თემები თავიდანვე

იყო ხალხური პოეზიის კუთვნილება. ლეონიძე აქ ხალხს არ უსწრებს წინ. მისი პოეზიისათვის დამახასიათებელი არაა ემოციების ფილოსოფიური სიღრმე, ლექსის ინტელექტუალური შინაარსით დატვირთვა, რაფინირებული გრძნობები, მაგრამ თვით ეს ტრადიციული თემატიკა პოეტს ისეთი სიშმაგით მიაქვს მკითხველთან, რომ იგი შეჰყავს ახლის, ჭეშმარიტად ამაღლებულის განცდის სამყაროში.

გ. ნატროშვილი აღნიშნავს გ. ლეონიძის ლექსის „კანონზომიერ არათანმიმდევრულობას". (გვ. 52). დასანანია რომ კრიტიკოსმა ეს საინტერესო შენიშვნა შემდგომში აღარ განავითარა. მართლაც სახეების, განწყობილებების, მოქმედებების ქარიშხლისებური უმდგრადობა, მოულოდნელობა, განსხვავებული მხატვრული მასალის უეცარი ურთიერთშეხამება აძლევს გ. ლეონიძის პოეზიას მისთვის დამახასიათებელ სიჩაუქეს და სილამაზეს.

როგორც სწორად მიუთითებს გ. ნატროშვილი გ. ლეონიძის მიერ სოციალური შინაარსის მოვლენების ·აღქმას ორნაირი მნიშვნელობა აქვს: პოეტი დღევანდელი დღეების შთაგონებით ჩვენი ხალხის წარსულს იგონებს, ხოლო წარსული, თავის მხრივ, დღევანდლობამდე მოყავს. პოეტი წარსული ცხოვრების ფონზე განსაკუთრებული ღრმა შინაარსით აღიქვამს ჩვენს სინამდვილეს.

გ. ნატროშვილის კრიტიკული წერილების ახალ წიგნში განხილულია სიმონ ჩიქოვანის ლექსების ციკლი „პოლონეთის გზაზე" და „გოეთეს ცაცხვებთან", რომელიც დაიწერა პოეტის მიერ ევროპაში მოგზაურობით მიღებული შთაბეჭდილებების საფუძველზე. უნდა აღინიშნოს, რომ მოგზაურობის თემა პოემის „სიმღერა დავით გურამიშვილზე" ავტორისათვის ორგანულია, შინაგანი მხატვრული სტიქიის შესაბამისი თემაა. ს. ჩიქოვანს როგორღაც საოცრად ეადვილება ახალი სახეების, უცნობი ადამიანების და ბუნების სამყაროს გარდასახვა ნაცნობ, თანშეზრდილ, ძვირფას გრძნობებად და აზრებად.

გ. ნატროშვილი მაღალკვალიფიციური კრიტიკოსის თანმიმდევრობით მიჰყვება პოეტის მხატვრულ ნააზრევს.

როგორც ავტორი აღნიშნავს ს. ჩიქოვანის პოეზიის ერთერთი ძირითადი თვისებაა ფერწერულობა. ფერწერულობა ს. ჩიქოვანის პოეზიისათვის ნიშანდობლივია. იგი ერთგვარად გამაერთიანებელია პოეტის მძლავრი ემოციების და ღრმა ინტელექტისა. ს. ჩიქოვანის პოეზიაში ხშირად წაშლილია ზღვარი ავტორის ნააზრევსა და განცდილს შორის, მიღწეულია გრძნობისა და აზრის ჰარმონიული შერწყმა. ამიტომაც ს. ჩიქოვანის პოეზიის ფერწერულობა არ არის ცივი, ხელოსნური. იგი გაცოცხლებულია შინაგანი სითბოთი და მოძრაობით.

ს. ჩიქოვანი არ გაჰყვა მის მიერ ნანახი ქვეყნების შემეცნების ცდუნებას, მან თავის ლექსებში არ დაისახა მიზნად წარმოედგინა ეს ახალი ქვეყნები, ისინი რჩებიან პოეტის წარმოსახვის, მოგონების გამაღიზიანებლად და ასოციაციების აღმძვრელად. ხოლო თავისი მოგონებებით ავტორი ევროპულ ლექსებშიც კვლავ ქართულ ეროვნულ ნიადაგზე დგას. ამ მიზეზმა გახადა ს. ჩიქოვანის ლექსები მხატვრულ ქმნილებად და გადაარჩინა ის ჩვენს მიერ ათასჯერ გაგონილი ფაქტის გალექსვისაგან.

გერმანიაზე დაწერილ ლექსებში განსაკუთრებით მკვეთრად მოჩანს პოეტის შემოქმედებითი ხერხი: პოეტმა გოეთეზე დაწერილ ლექსიდან განდევნა თვით გოეთე და ამ სახელით შემოიყვანა ლეგენდარული გმირი, ნებისყოფის, სიბრძნის, კეთილშობილების, ვაჟკაცური შემართების სიმბოლო. ამ ხერხით აღწევს ს. ჩიქოვანი თავისი პოეზიის ჩანაფიქრის მხატვრულ განზოგადებას.

წიგნში „განახლების მებაირახტრე" განხილულია ალიო მირცხულავას პოეზია. ალიო მირცხულავა სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა ჩვენი საუკუნის ოციან წლებში. პოეტი თავიდანვე მტკიცედ იდგა რეალიზმის ნიადაგზე. მასზე გავლენა ვერ მოახდინეს ქართველმა სიმბოლისტებმა. ალიო მირცხულავამ მტკიცედ დაუკავშირა თავისი პოეტური ხმა სოციალისტური რეალიზმის პრინციპებს. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, როგორც ქართული ლირიკის ისევე ეპიკური ჟანრის განვითარების საქმეში.

მაგრამ სინანულით უნდა აღვნიშნოთ, რომ გ. ნატროშვილი მთლიანობაში არ განიხილავს ალიო მირცხულავას პოეზიას: ერთის მხრივ მოცემულია ალიო მირცხულავას შემოქმედების თემატიკურ — იდეური მხარის დეტალური ანალიზი, ხოლო, მეორეს მხრივ თითქმის არაფერია ნათქვამი ალიო მირცხულავას პოეზიის მხატვრულ მხარეზე.

გ. ნატროშვილის წიგნში განხილულია კ. ლორთქიფანიძის რომანი „ნატვრის თვალი". საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ „განახლების მებაირახტრეში" გ. ნატროშვილი იმდენად აკადემიური სტილით არ განიხილავს ავტორებს, რამდენადაც ეტიუდურად. ეს განსაკუთრებით მკვეთრად მოსჩანს „ნატვრის თვალის" ანალიზში. გ. ნატროშვილი არ ცდილობს გახსნას რომანის ავტორული ჩანაფიქრი. კრიტიკოსი ცალკეულ დეტალებს, ნაწარმოების ცალკეულ კომპონენტებს განიხილავს, ახალ ელფერს, ნიუანსს, სილამაზეს, ახალ გაგებას მატებს კ. ლორთქიფანიძის მიერ შექმნილ სახეებს და პერსონაჟებს. კრიტიკოსი მკითხველთან გულითადი საუბრის როლს ირჩევს და აცნობებს მას თავის შთაბეჭდილებებს ამ წიგნის გარშემო, ყმაწვილობის მოგონებებს „ნატვრის თვალში" აღწერილი ზოგიერთი შემთხვევის ირგვლივ.

გ. ნატროშვილის წიგნში შეტანილია აგრეთვე ორი პატარა წერილი „ნ. ტიხონოვი" და „ვარ-

დების ქვეყანაში“. პირველი წერილი ქართველ მკითხველს აცნობს ცნობილ რუს პოეტს და ქართული კულტურის მეგობარს ნ. ტიხონოვს. წერილში „ვარდების ქვეყანაში“ ჩვენამდეა მოტანილი ცნობილი ბულგარელი მწერლების ხრისტო ბოტევის და ივან ვაზოვის შემოქმედება.

გ. ნატროშვილის წიგნი „განახლების მებაირახტრე“ ერთ-ერთი საყურადღებო ნაშრომთაგანია უკანასკნელი წლების ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში.

ჯემალ შარაშიძე

---

## სადრიდინ აინის „მოგონებების“ მესამე წიგნი

★

აუტანელი ექსპლოატაციასა და ჯოჯოხეთურ პირობებში, ცხოვრობდნენ შუა აზიის ხალხები ბუხარის საემიროში. დიდი ტირანი-ბუხარის ემირი ათასგვარ მახინაციებს მიმართავდა, რათა უფრო გაეტყავებინა ბეგებისა და ხანების მიერ ისედაც წელშიგაწყვეტილი ტაჯიკი ხალხი. „ერთადერთი რაზედაც გადასახადს არ გვახდევინებდნენ, ეს იყო ბუხრიდან ამომავალი კვამლი“ იხსენებს სადრიდინ აინი. მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე ბუხარის საემიროში ადამიანი, როგორც საქონელი ისე იყიდებოდა ბაზარზე. მონობა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, თვით 1920 წლამდე-ბუხარის ემირის დამხობამდე იყო გავრცელებული.

სადრიდინ აინის სწორედ ასეთ გარემოში უხდებოდა ცხოვრება, იგი თავისი თვალით ხედავდა იმ ჯოჯოხეთურ საშინელებას, რომელსაც განიცდიდა როგორც სოფლად, ისე ქალაქში ტაჯიკი ხალხი. ძნელი იყო აინისთვის ამის დავიწყება: ის სილატაკე და გაჭირვება, რომელიც მან განიცადა; ის დამცირება და დაცინვა, რომელსაც ხვდებოდა ყოველი ფეხის ნაბიჯზე. ყოველივე ეს აინიმ მისთვის ჩვეული ოსტატობით აგვიწერა თავის ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში, რომელსაც მწერალმა „მოგონებები“ უწოდა და 1950 წ. სტალინური პრემიით აღინიშნა.

სადრიდინ აინის ოსტატობა ნათლად გამომჟღავნდა ამ ნაწარმოებში. ავტორმა თავის ბიოგრაფიასთან ერთად XIX საუკუნის ოთხმოციდაათიანი წლებისა და XX საუკუნის დასაწყისის ბუხარის საემიროს ავი და კარგი გადაგვიშალა. ვკითხულობთ მის „მოგონებებს“ და ცხადად წარმოგვიდგება ის შემაძრწუნებელი სურათები, რომლებიც ასე რეალისტურად დაგვიხატა აინიმ. მწერლის მიზანი ტაჯიკი ხალხის დუხჭირი ცხოვრების გადმოცემაა. ის მოგვითხრობს ნამდვილ ამბებს. მისი მოქმედი პირებიც რეალურად არსებული პირები იყვნენ. მიუხედავად ამისა, მთელი ეს უზარმაზარი ტილო დაწერილია მხატვრული ნაწარმოების ხერხებით და სამართლიანად დგას ღირსშესანიშნავი ლიტერატურული ძეგლების გვერდით.

სადრიდინ აინიმ თავისი „მოგონებები“ ხუთ წიგნად დაჰყო. აქედან ოთხი წიგნი მის სიცოცხლეში გამოვიდა, ხოლო მეხუთე წიგნის გამოქვეყნება აღარ დასცალდა მხცოვან მწერალს: იგი 1954 წ. 15 ივლისს სამოცდათექვსმეტი წლის ასაკში გარდაიცვალა.

„მოგონებების“ პირველი ორი წიგნი ქართულ ენაზე „ბუხარას“ სახელწოდებით ჯერ კიდევ 1956 წ. გამოსცა საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობამ. ახლა გამოქვეყნდა „მოგონებების“ მესამე წიგნის თარგმანიც. მესამე წიგნი გარდა იმისა, რომ მასში თანამიმდევრულად არის გადმოცემული მშრომელი ხალხის, უბრალო ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება, მათი სტიქიური ბრძოლა უკეთესი მომავლისათვის, ღირსშესანიშნავია ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისითაც: ლათიფჯან მახდუმისას, რომელთანაც აინი ბუხარაში მოჯამაგირედ იდგა, კვირაში სამჯერ თავს იყრიდნენ პოეტები, ლიტერატურათმცოდნეები და იმ დროისათვის ბუხარის ყველა განსწავლული პიროვნება. აინი დიდი ყურადღებით უსმენდა მათ ლიტერატურულ საუბრებს. როგორც თვით მწერალი მოგვითხრობს სწორედ აქ აღძვრია სურვილი ეცადა თავისი კალამი ლიტერატურაში. „ჩემი შემდგომი ხანის მემკვიდრეობაც დიდადაა ამ სახლისგან დავალებული — წერს აინი — პირველად აქ გავიცანი და შევისწავლე მულა ნაზრულა ლუთფი, იაჰია ხოჯა, ჰამიდბეგ ჰამიდი, აბდულა ხოჯა თაჰსინი... და სხვები, რომელთა უმეტესობა ან პოეტი იყო, ან ლიტერატურათმცოდნე“. აი, ამ პოეტებისა და ლიტერატურათმცოდნეების შესახებ ძვირფას ცნობებს გვაწვდის აინი თავის „მოგონებებში“. იმდენად საყურადღებოა ეს ცნობები, რომ შესაბამისი პერიოდის ლიტერატურის მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის აინის ამ წიგნს.

ქართველი მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ არის აინის მიერ ოსტატურად აღწერილი ბუხარელ ყარაჩოღელთა ზნე-ჩვეულება-

ნიც. აინის თქმით „ბუხარელი ყარაჩოღელები გახლდნენ ხელოსნები, მეჯინიბენი, მეურმეები, თულუხჩები, კალატოზები, დურგლები და სხვანი. ეს იყო თავმდაბალი, გულკეთილი და ოქროპირი ხალხი. რა თქმა უნდა ყველა ხელოსანსა თუ დურგალს ყარაჩოღელობის თავი როდი ჰქონდა, მაგრამ ვინც ყარაჩოღელობდა, სიტყვა პასუხის მქონეც იყო. წერა-კითხვაც კი არ იცოდნენ, მაგრამ ლექსები უყვარდათ. ზოგი მათგანი ლექსებსაც კი გამოთქვამდა. ორაზროვანი ლაპარაკი უყვარდათ და გადაკრულად იწკეპლებოდნენ... მეგობრისთვის ნამდვილად რომ თავს დადებდნენ და მტერს მართლაც რომ თავის შეაკლავდნენ. მათ რიგებში ვინმე ავარა თუ გამოერეოდა, ვაი მის შავ დღეს! თუ ვინიცობაა ორ ვაჟკაცს ერთმანეთთან უთანხმოება მოუვიდოდა ერთმანეთს ორთაბრძოლაში იწვევდნენ და ასე ვაჟკაცურად ასწორებდნენ ანგარიშს". კითხულობთ ამ სტრიქონებს და თვალწინ წარმოგიდგებათ თბილისელი ყარაჩოღელები. ისინი ხომ ყველა იმ ნიშნით ხასიათდებოდნენ, რომლითაც ბუხარელ ყარაჩოღელებს ახასიათებს აინი. ბუხარელი ყარაჩოღელების ცხოვრებასა და საქმიანობას „მოგონებებში" საკმაო ადგილი აქვს დათმობილი. ვფიქრობთ, ამ ორი უძველესი ქალაქის — ბუხარისა და თბილისის ყარაჩოღელთა ზნეჩვეულებათა და ადათ-წესების შესწავლა ურთიერთმიმართებაში მეტად საინტერესო საკითხს წარმოადგენს.

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ „ბუხარას" (მესამე წიგნი) თარგმანის გამოსვლამდე ქართულ ენაზე არ გვქონდა უშუალოდ ტაჯიკურიდან თარგმნილი მხატვრული პროზის არცერთი ნაწარმოები (პირველი და მეორე წიგნი ნათარგმნია რუსულიდან).

მესამე წიგნი არის მაგალი თოდუას მიერ მხატვრული პროზის თარგმნის პირველი ცდა. ეს ცდა თამამად შეიძლება ითქვას, წარმატებით დაგვირგვინდა. აინი გაურბის რთულ, დახლართულ წინადადებებს და ცდილობს რაც შეიძლება სადა, ხალხისთვის გასაგები ენით მიიტანოს თავისი ჩანაფიქრი მკითხველამდე. მწერალი ისეთი იშვიათი ოსტატობით იყენებს ხალხურ ანდაზებსა და ხატოვან თქმებს, რომ ხშირად მისი შემცველი აზრის გადმოსაცემად მთელი გვერდებია ხოლმე საჭირო.

მთარგმნელი შესანიშნავად გარკვეულა ორიგინალის ყველა ნიუანსში. ამიტომაა, რომ თარგმანში კარგად იგრძნობა აინის ძარღვიანი სიტყვა. ამავე დროს დაცულია მწერლის წერის მანერა, მისი სტილი. თარგმანი შესრულებულია დახვეწილი ლიტერატურული ქართულით.

ორიოდე სიტყვით გვსურს რამდენიმე შენიშვნა მივაწვდინოთ მთარგმნელს:

წიგნის მე-9 გვერდზე ვკითხულობთ: „თითებით წარბებს იფარცხავდა და მიდიოდა" ორიგინალში კი წერია „წარბებშეჭმუხნილი მიდიოდა". (ბა აბრუვანიჩ ჩინ ოვარდა...). ასევე 25-ე გვერდზე „უჭირდა, მაგრამ ქურდბაცაცებთან მაინც არ იჭერდა კავშირს და ამირასაც მოსაკითხს უგზავნიდა" ორიგინალში კი ასეთი აზრია გატარებული: „ქურდებთან და ყომარბაზებთან არ იჭერდა კავშირს და ამირასაც კი უგზავნიდა მოსაკითხს".

ორიგინალში გვხვდება: „თურმე მას მეტიწილი თურქული სიტყვის მნიშვნელობაც კი არ ესმოდა..." მთარგმნელმა კი ის (მირ-ყადირი) საერთოდ თურქულის უცოდინრად გამოიყვანა. „შემდეგ დავრწმუნდი, რომ მირ-ყადირმა არა თუ „პარლამენტის" ამ უცხო სიტყვის მნიშვნელობა არ იცოდა, არამედ თურქულის ინჩიბინჩიც არ ესმოდა" (გვ. 61) წერს მთარგმნელი.

თარგმანს ბოლოში დართული აქვს შენიშვნები, რომელშიც განმარტებულია ქართველი მკითხველისთვის ზოგიერთი უცხო სიტყვა (ტერმინი) ან მთელი წინადადება და ისტორიულ პიროვნებათა ვინაობა. სამწუხაროდ, ზოგი სიტყვა დარჩა შენიშვნებს გარეთ. მაგალითად — კაფია, მახდუმი, თანბური, ნაზრი, მარსია და სხვა.

სადრიდინ აინის „მოგონებების" გამოშვებით „საბლიტგამმა" უდავოდ კარგი საქმე გააკეთა. სასურველი იქნებოდა, რომ მომავალში ქართულ ენაზე უფრო მეტი რაოდენობით ითარგმნებოდეს შუა-აზიის ხალხთა ლიტერატურის ნიმუშები.

**თენგიზ გორელიშვილი**

# ახალი წიგნები

★

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამომცემლობა საბჭოთა მწერალი"

ლადო ასათიანი — ჩემი ქვეყნის ოქროყანა. რედ. ა. გაბესკირია. გვ. 156, ფასი 4 მან. 55 კაპ.
კოლაუ ნადირაძე — რუსი პოეტები. რედ. ვ. გორგაძე. გვ. 90, ფასი 1 მან. 25 კაპ.
ალექსანდრე ქუთათელი — ახალი ლექსები. რედ. რ. მარგიანი. გვ. 188, ფასი 3 მან. 55 კაპ.
დავით კასრაძე — მათიას შავარდენი. რედ. გრ. ჩიქოვანი. გვ. 184, ფასი 4 მან. 90 კაპ.
გიორგი შატბერაშვილი — ნაფიქრი, რედ. თ. კოპლატაძე. გვ. 222, ფასი 6 მან. 65 კაპ.
კლიმენტი გოგიავა — სადაც არის ბედი შენი... რედ. გრ. ჩიქოვანი. გვ. 212, ფასი 5 მან. 10 კაპ.
არჩილ ჩაჩიბაია — სიმღერის მასწავლებელი. რედ. ნ. ხომერიკი. გვ. 350, ფასი 5 მან. 30 კაპ.
ზურაბ ლორთქიფანიძე — ორი სილამაზე. რედ. მ. ფოცხიშვილი. გვ. 72, ფასი 1 მან.
ვარტკეს თევეკელიანი — მდინარე მოსკოვის გაღმა. თარგ. თ. კოპლატაძისა და ნ. ხომერიკისა. რედ. ა. გაბესკირია. გვ. 378, ფასი 8 მან.

## გამომცემლობა „ნაკადული"

რაფიელ ერისთავი — ჯერ შრომა, მერე ხტომა. რედ. ქ. ნადირაძე. გვ. 20, ფასი 2 მან. 10 კაპ.
ნიკო ლომოური — ქაჯანა. რედ. ქ. ნადირაძე. გვ. 30, ფასი 2 მან.
ა. ნ. ტოლსტოი — ინჟინერ გარინის ჰიპერბოლოიდი; აელიტა. თარგ. გ. კარბელაშვილისა. რედ. ნ. აგიაშვილი. გვ. 542, ფასი 18 მან.
ჯეკ ლონდონი — ოქროს ხეობა. რედ. გ. გაჩეჩილაძე. გვ. 260, ფასი 6 მან. 30 კაპ.
ფრიდრიხ შილერი — დონ კარლოსი. თარგ. ვ. ბეწუკელისა. რედ. დ. ლაშქარაძე გვ. 316, ფასი 10 მან.
გიორგი ნატროშვილი — ვითა დავლამდი, ისე გავთენდი. რედ. ვ. ძიძიგური. გვ. 160. ფასი 3 მან.
სერგი დანელია — მიხეილ ლერმონტოვი. რედ. ბ. ჟღენტი, გვ. 132, ფასი 2 მან. 20 კაპ.
ალექსანდრე კუპრინი — საოცარი ექიმი. თარგმ. ნინო სამუკაშვილისა. რედ. დ. კასრაძე. გვ. 452, ფასი 9 მან.
კორნეი ჩუკოვსკი — აიბოლიტი. რედ. მ. ჭახრაკია. გვ. 60, ფასი 5 მან. 10 კაპ.
კ გოგიაშვილი — პირველი ზარი. რედ. ვ. გვეტაძე. გვ. 60, ფასი 1 მან.
ოლექსა ნოვიცკი — დნეპრისპირეთი. რედ. თ. ჯანგულაშვილი, მ. ჭავჭანიძე. გვ. 82, ფასი 1 მან.
შოთა ნიშნიანიძე — ახალგაზრდული. რედ. გრ. აბაშიძე. გვ. 76, ფასი 1 მან.
ალექსი ლასურია — მეგობრის გული. თარგ. ო. კუპრავასი. რედ გ. კაჭახიძე. გვ. 74, ფასი 1 მან.
ი. ვოლპერი — მიწისქვეშა განძეული. თარგ. ა. მუჯირისა. რედ. ნ. აგიაშვილი გვ. 108, ფასი 2 მან.
ვასილ ლაფერაშვილი — დაუვიწყარი მაიაკოვსკი. რედ. ანა ნიკოლაძე. გვ. 72, ფასი 1 მან. 50 კაპ.
გიორგი ქავთარაძე — შემთხვევა ფუტკრის ოჯახში. რედ. გ. კაჭახიძე. გვ. 26, ფასი 60 კაპ.
ს. ობრანტი — გემთმშენებელთა სკოლა. თარგ. კ. ქაჯაიასი. რედ. ა. კელენჯერიძე. გვ. 254, ფასი 6 მან.
გიორგი გელაშვილი — გაუცვეთავი ქუჩები. რედ. გრ. ჩიქოვანი. გვ. 172, ფასი 2 მან. 70 კაპ.

## გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"

აპიანე — (ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ). ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა. რედ. ალ. გამყრელიძე. გვ. 270. ფასი 10 მან. 20 კაპ.
ზაზა ფანასკერტელი — ციციშვილის სამკურნალო წიგნი კარაბადინი — ტექსტი დაამუშავა, გამოკვლევება და ლექსიკონი დაურთო მ. შენგელიამ. გვ. 386, ფასი 19 მან. 30 კაპ.
ბონდო კეშელავა — ჩემი რჩეული. რედ. ც. ბუაჩიძე. გვ. 120. ფასი 1 მან. 70 კაპ.
ლადო ავალიანი — ახალი ჰორიზონტი. ტომი 2 ნაწ. 3. და 4. რედ. ხ. ბერულავა. გვ. 474. ფასი 5 მან. 30 კაპ.

---

## შეცდომების გასწორება:

მნათობის № 12 დაბეჭდილი დავით გვრიტიშვილის სტატიაში — „წერილი რედაქციის მიმართ" დაშვებულია შემდეგი კორექტურული შეცდომა.

| გვ. | დაბეჭდილია | უნდა იყოს |
|---|---|---|
| 191 | გლეხის ფეოდალური საკუთრება | მიწის ფეოდალური საკუთრება |
| 191 | მეგობრობა | მდგომარეობა |

6 /62

ფასი 8 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ"

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ГРУЗИНСКОЙ ССР
«САБЧОТА САКАРТВЕЛО»